

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

გზა ევროინტეგრაციისაკენ

A WAY TO EURO INTEGRATION

**საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის შრომათა კრებული**

**The Proceedings of International
Scientific Conference**

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

გზა ევროინტეგრაციისაკენ A WAY TO EURO INTEGRATION

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული
The Proceedings of International Scientific Conference



თბილისი – Tbilisi

2014

სარედაქციო საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი **გიორგი მათიაშვილი**

მთავარი რედაქტორი – პროფესორი მაია უკლება

პროფესორი **ინგა დიაკონიძე**

პროფესორი **ვალერი ვაშაკიძე**

პროფესორი **მარინე ვეკუა**

პროფესორი **ამირან თავართქილაძე**

პროფესორი **გივი ლობჯანიძე**

პროფესორი **თალიკო ჟვანია**

პროფესორი **შალვა ქურდაძე**

პროფესორი **ლალი ჩაგელიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლია შენგელია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **ზვიად საჯაია**

კომპიუტერული დიზაინი – **გამომცემლობა „კლიო“**

ყდის დიზაინი – **ელენე ვარამაშვილი**

EDITORIAL BOARD

Head of Editorial Board

Professor **Giorgi Matiashvili**

Chief Editor – Professor Maia Ukleba

Professor **Inga Diakonidze**

Professor **Valeri Vashakidze**

Professor **Marine Vekua**

Professor **Amiran Tavartkiladze**

Professor **Givi Lobzhanidze**

Professor **Taliko Zhvania**

Professor **Shalva Kurdadze**

Professor **Lali Chagelishvili**

Lia Shengelia – Technical editor

Zviad Sajaia – Computer providing

Design and Layout KLIO Publishing House

Cover design Elene Varamashvili

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2014

© Guram Tavartkiladze Teaching University, 2014

ISBN 978-9941-441-37-0

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 47

შინაარსი
CONTENTS

წინათქმა
Introduction 9

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
SOCIAL AND HUMAN SCIENCES 10

აბესაძე ირინე – ქართული პოსტმოდერნიზმის განვითარების ტენდენციები
ევროპული პოსტმოდერნისტული კულტურის კონტექსტში
Abesadze Irine – *The Tendencies of Development of Postmodern Georgian
Painting in the Context of European Postmodern Culture*..... 10

ბალანჩივაძე რეზო – სოლომონ დოდაშვილი – „ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში“
Balanchivadze Rezo – *Solomon Dodashvili – the Founder of Europeanization in Georgia*..... 17

გოგიჩაშვილი ნანა – ფსიქოლოგიური ძალადობის მახასიათებლები
Gogichashvili Nana – *The Features of Psychological Violence*..... 23

დაუშვილი ალექსანდრე – საქართველოს ევროპული ორიენტაცია
– XX საუკუნე (ფიქრები და ფაქტები)
Daushvili Alexander – *European Orientation of Georgia – 20th Century (Ideas and Facts)* 30

დაუშვილი რუსუდან – ქართველი მეცნიერები ემიგრაციაში 1920-30-იან წლებში
Daushvili Rusudan – *Georgian Scientists in Emigration in 1920s and 30s* 38

კოლუაშვილი მაყვალა (ბაია) – ტომას სტერნზ ელიოტი და ევროპული კულტურა
Koguashvili Makvala (Baia) – *T. S. Eliot and European Culture*..... 45

მარჯანიშვილი მარიამ – დიდი 60-იანელები ევროინტეგრაციის სათავეებთან
Marjanishvili Mariam – *Great Representatives of the 60s at the Origins of European Integration* 51

პარინოს ნანა – ჰილარი კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი
ქალბატონის ფონზე (შედარებითი ანალიზი)
Parinos Nana – *Hillary Clinton against the Background of
Two Secretaries of State (Comparative Analysis)*..... 58

სარალიძე ლელა – ევროინტეგრაციის საკითხი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია
Saralidze Lela – *The Issue of European Integration and Georgian Political Emigration* 66

ურუშაძე თეა – ევროპული დრამატურგია ქართველი თეატრალური
მხატვრების შემოქმედებაში (1920-30 ანი წლები)
Urushadze Tea – *European Drama in Georgian Theatric Painters’ Creation (1920-30 Y)* 72

ყალიჩავა თამარ – რეალისტური ანტიტოტალიტარული რომანის დისკურსი
(ოთარ ჩხეიძის „ცთომილნი“)
Kalichava Tamar – *The Discourse of Anti-totalitarian Realistic Novel
(‘Wandering Stars’ by Otar Chkheidze)*..... 78

ჯანელიძე ოთარ – ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში Janelidze Otar – European Values in the Democratic Republic of Georgia.....	84
წიფურია ლელა – ევროინტეგრაციის პროცესი და თანამედროვე ქართული კინო Tsipuria Lela – The Process of Euro Integration and Contemporary Georgian Cinema.....	90
ჟურნალისტიკა JOURNALISM.....	94
ბოჩკოვა კრისტინა – ევროკავშირი და კონფლიქტების გადაწყვეტა საქართველოში Bochckova Kristina – European Union And Conflict Resolution In Georgia.....	94
დანელია როზეტა – გლობალიზაცია და მედია Danelia Rozeta – Globalization and Media	101
დარსაველიძე მარინე – მასმედიაზე ზემოქმედების ბერკეტები და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება (ზოგადი ტენდენციების მიმოხილვა) Darsavelidze Marine – Levers of Influencing Media and as a Means of Influence itself(Common Trends).....	108
დოლიძე მაკა – ეროვნული იდენტობა და ეროვნული პრობლემები Dolidze Maka – National Identity and National Problems	112
კანკია ნარგიზა – ტრეფიკინგი და ქართული მედია Nargiza Kankia – Trafficking and Georgian Media	117
კუტუბიძე-ზუბაშვილი ლაურა – საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი მედიის პრიზმაში Kutubidze-Zubashvili Laura – Image of the Country in a Prism of Media	122
ლომიძე ელზა – ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: პროგრესი და ზნეობრივი რისკები Lomidze Elza – Virtual mass media: progress and moral risks	130
ონიანი ნატო – „სანავარდოს“ მითოსური პლასტები Oniani Nato – The Use of Mythical Method in “Sanavardo”	137
რუე ჟილ – ევრო და ევროპული პროექტი Rouet Gilles – The Euro and the European project	144
ჩარკვიანი ხათუნა – PR როგორც პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი Ckarkviani Khatuna – PR as important elements of political process.....	153
ჩიკვილაძე დალი – ზოგიერთი რამ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკიდან Chikviladze Dali – From Niko Nikoladze’s Epistolary Heritage	159
ძამუკაშვილი ლალი – ჟურნალისტური კომპეტენციების ტრანსფორმირება ფლამანდური კურიკულუმების მაგალითზე Dzamukashvili Lali – Journalistic Competency Transformation Based on Flemish Curricula.....	164
ჭანკოტაძე დიანა – საქართველოს 2014 წლის გასავლელი გზა ევროინტეგრაციისაკენ Chankotadze Diana – Georgia’s Road towards the European Integration 2014.....	169
ჯიქია ნათია – აშშ-ს ჟურნალისტიკა ორი მსოფლიო ომის პერიოდში Jikia Natia – A Middle Period between the First and the Second World Wars and the USA Journalism	175

LAW	180
ამირანაშვილი გიორგი – ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი ბუნება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით Amiranashvili Giorgi – <i>Legal Essence of Joint Activity (Partnership)</i> <i>According to the Georgian and German Law</i>	180
ბაგრატიონი ირმა, ჯაბუა კობა – ორგანოთა ტრანსპლანტაციის ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების მსოფლმხედველობრივი გააზრება Bagratiioni Irma, Jabua Koba – <i>The Worldview Understanding of Ethical and</i> <i>Law Aspects of Transplantation of Bodies</i>	187
კრასნოიაროვი ფიოდორ – უკრაინის შინაგან საქმეთა ორგანოების მართვის ფორმები და მათი სრულყოფის მიმართულება Krasnoiarov Fiodor – <i>Ruling Forms Of The Internal Affairs Of Ukraine</i> <i>And Their Improvement Direction</i>	193
ლილუაშვილი ბაკურ – ქორწინება საერთაშორისო კერძო სამართალში Liluashvili Bakur – <i>Marriage in International Private Law of Georgia</i>	197
ლობჯანიძე გივი – ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის სამართლებრივი ბუნება და პრინციპები Lobzhanidze Givi – <i>Legal Nature and Principles of the Local Self-Administration's European Charter</i>	202
ლომსაძე მალხაზ – გაუპატიურების ობიექტური მხარე ევროპულ და ქართული კანონმდებლობის მიხედვით Lomsadze Malkhaz – <i>Objective Side of the Rape in the European and Georgian Legislation</i>	209
ლომსაძე მალხაზ, თევდორაძე ნუგზარ – კვალიფიციური გაუპატიურების სახეები ევროპულ და ქართულ კანონმდებლობაში Lomsadze Malkhaz, Tevdoradze Nugzar – <i>The Types of Qualified Rape</i> <i>in the European and Georgian Legislation</i>	216
მილევსკაია ინა – პროკურორის სამართლებრივი სტატუსი ადმინისტრაციულ დელიქტურ პროცესში Milevskaia Inna – <i>Prosecutor's Legal Status In The Administrative Delict Process</i>	223
მილევსკი ანდრეი – ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების დადებითი გამოცდილების გამოყენება უკრაინის პროკურატურის ორგანოების ფორმირებისას Milevski Andrei – <i>Positive Experience Use Of The Near East Countries</i> <i>In The Formation Of The Ukrainian Prosecution Organs</i>	227
პომერი ფრანცისკა, პაულინგი რეინჰარდ – ევროკავშირის ხელშეკრულების დემოკრატიული დებულებების საფუძვლები Pommer Franziska and Pauling Reinhard – <i>Provisions of Democratic Principles in the TEU</i>	233
პრიპოლოვა ლ. – წინასაბჭოთა პერიოდის უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიული მონყოფის პრობლემა Pripolova L. – <i>Problem Of The Unitarian State Territorial Arrangement Of The Soviet Pre-Eriod</i>	241
რიაშინა ალინა – ეროვნული ნების გამოვლინებასა და მის უზრუნველყოფასთან წინააღმდეგობაში მყოფი პრობლემის განსაზღვრა ადმინისტრაციულ კანონდარღვევაში Riamzina Alina – <i>Problem Definition In Resistance Of The National Will Exposure</i> <i>And Its Provision In The Administrative Legislation</i>	245

სოტნიჩენკო ვლადიმერ – პროფესიონალური მოდელის ფორმირება უკრაინის სახელმწიფოპენიტენციური სამსახურისათვის სასწავლო პროცესში დიდაქტიკური ალგორითმების დანერგვის საფუძველზე Sotnichenko Vladimer – <i>Formation Of The Professional Model For The Ukraine Penitential Service On The Base Of The Didactic Algorithms' Implementation</i>	251
ფიცხელაური შენგელი – ფილოსოფიური და ზოგად-მეცნიერული მეთოდების გამოყენების თავისებურებანი ევროპულ კრიმინალისტიკაში Pitskhelauri Shengeli – <i>Peculiarities of the Philosophical and General Scientific Methods' Application in the European Criminology</i>	260
ქურდაძე შალვა – სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის საერთაშორისო პრინციპები Kurdadze Shalva – <i>International Principles of Civil Enforcement Law</i>	269
შიშკა რომან – სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თანამედროვე ცივილისტიკაში Shishka Roman – <i>Civil-Legal Responsibility In The Modern Civilistics</i>	283
ეკონომიკა და ბიზნისი ECONOMICS AND BUSINESS	287
ალადაშვილი ბესიკ – „ევროინტეგრაცია“ და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთი ასპექტი Aladashvili Besik – <i>'Euro Integration' and One Aspect of National Economic Safety</i>	287
მედია გოცირიძე – განათლება თუ ცოდნა – ახალი რეალობები Medea Gociridze – <i>Education or Knowledge – New Realities</i>	291
ვაიგინენი რიკა – ლიტვის გზა ევროკავშირში Vaiginiene Rika – <i>Lithuania's Path Towards European Union</i>	296
ვეკუა დავით – საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა და კონტროლი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა Vekua Davit – <i>Effectiveness and Control of the Management of Public Finances are one of the Main Conditions of Georgia's Integration with European Union</i>	300
თავართქილაძე სიმონ (ამირან) – საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება დაბეგვრის შესახებ Tavartkiladze Simon (Amiran) – <i>Georgia-EU Association Agreement on Taxation</i>	304
თევდორაძე სოფიკო – ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში Tevdoradze Sopiko – <i>Modern Aspects of Integration in Tourism</i>	312
თორია მამუკა – შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება და საქართველო Toria Mamuka – <i>Regulation of International Migration Labor Resources and Georgia</i>	316
კბილაძე დავით – ევროკავშირთან დაახლოება და საქართველოში ევროპული სტატისტიკის დანერგვის ზოგიერთი პრობლემა Kbiladze David – <i>Integration with the EU and Some Problems in Implementing European Statistics in Georgia</i>	322
კვარაცხელია ნიკა – ტურიზმის ინდიკატორების ევროპული სისტემა TOOLKIT, როგორც ახალი მიდგომა საქართველოს ევროინტეგრაციისთვის Kvaratskhelia Niko – <i>European System of Tourism Indicators TOOLKIT as a New Approach of Georgia's Integration to Europe</i>	326

კიკნაძე მზია, პეტრიაშვილი ლილი – რეგიონის მდგრადი განვითარების მახასიათებელ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი	
Kiknadze Mzia, Petriashvili Lili – Building of Research Model for Region Stable Development.....	333
ლიპარტელიანი ნინო, ახალაია ნანა – დოუ ჯონსი ერთ-ერთი უძველესი ამერიკულ საბაზრო ინდექსი	
Liparteliani Nino, Akhalaia Nana – Dow Jones – One of the Oldest U.S. Market Index.....	339
მარიდაშვილი მანანა – ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში	
Maridashvili Manana – Pharmaceutical Product Price Formation and Regulation Trends in Georgia and CIS Countries	343
პაპიაშვილი ტატინა – დასაქმების წარმატებული გზა: უნივერსიტეტის როლი	
Papiashvili Tatiana – Successful journey to employment: The role of university	348
სადაღაშვილი ლალი, ქოქაშვილი ნანული – საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები ბიზნესში	
Sadaghashvili Lali, Kokashvili Nanuli – Georgian Taxation System Perfection Issues in Business	355
ალექსანდრე სიჭინავა – უძრავი ქონების როლი საბაზრო ეკონომიკის სრულყოფაში	
Alexandre Sichinava – The Role of Real Estate for Perfection of Market Economy	360
სოსანიძე მაკა, ოსაძე ლალი – ვიზუალური მერჩენდაიზინგი – ახალი მარკეტინგული ტექნოლოგია სავაჭრო მომსახურების სფეროში	
Sosanidze Maka, Osadze Lali – Visual Merchandizing – a New Marketing Technology in the Field of Service	364
სტრომე ჩარლზ მორგან – ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა	
Stromme Gharles Morgan – Sanctions Policies	369
უკლება მაია – მსოფლიო ტურიზმის მომავალი ტრენდები და საქართველოს დესტინაციების ამოცანები	
Ukleba Maia – Future Tourism Trends and Georgian Destination Tasks	376
ყორღანაშვილი ლარისა – საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში	
Korghanashvili Larisa – Cooperation Between Georgia And The European Union In The Field Of Innovation	382
ჩაგელიშვილი-აგლაძე ლალი – ევროპის გამოწვევები და საქართველოს გზა განათლების ევროპულ სივრცეში	
Chagelishvili-Agladse Lali – Challenges of Europe and the course of Georgia in the space of European Education	387
უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია	
FOREIGN LANGUAGE TEACHING METHODOLOGY	393
ბოჭორიშვილი ნინო – უცხო ენის სწავლების ზოგადი ასპექტები	
Bochorishvili Nino – General Aspects of Foreign Language Teaching Process	393
დიაკონიძე ინგა – გაუცხოების პრობლემა უცხო ენის შესწავლისას და მისი გადაჭრის გზები	
Diakonidze Inga – Alienation Problem in Foreign Language Learner Classroom and Some Solution Techniques Offered	397

იოსელიანი ია – ინტერკულტურული კომუნიკაციები Ioseliani Ia – Intercultural Communication	401
ლომსაძე ნინო – უცხო ენის საგანგებო მიზნებისთვის სწავლების მეთოდოლოგია და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება Lomsadze Nino – Methodology of Teaching ESP and the Use of ITC	406
მერაბიშვილი თამარ – კულტურათაშორისი კომუნიკაცია ახალი რეალების გაჩენის ფონზე Merabishvili Tamar – Intercultural Communication in the Light of a Contemporary Realities	410
ნადარეიშვილი ნინო – ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები ევრო-ინტეგრაციის გზაზე Nadareishvili Nino – Cotemporary Teaching Methods of English Due To Euro Integration	415
შავლაძე თეა, ტაკიძე მაია – როგორ დავეუფლოთ სწორ ინგლისურ წარმოთქმას დოქტორ სეუსთან ერთად – ლიტერატურა სწორი წარმოთქმის სამსახურში Shaviadze Thea, Takidze Maia – Mastering English Pronunciation through Literature – Dr. Seuss for Phonetics and Pronunciation	420
საინფორმაციო ტექნოლოგიები	
INFORMATION TECHNOLOGIES	424
დვალისვილი მარიამი – ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საბანკო რისკების მართვაში Dvalishvili Mariami – The Role of Information Technologies in the Management of the Banking Risks	424
მიქელაძე მაია, რადიევსკი ვადიმ, ჯალიაბოვა ნორა, რადიევსკი დიმიტრი – ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანებში Mikeladze Maia, Radzievski Vadim, Jaliabova Nora, Radzievski Dimitri – Intelligent Information Technologies in Problems of Medical Diagnostics	429
მშვიდობაძე თინათინ – თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების ტენდენციები სასწავლო პროცესში Mshvidobadze Tinatin – Modern Technology Integration Tendencies in the Academic Process Summary	435
ჟვანია თალიკო, კაპანაძე დავით – სასწავლო ორგანიზაციებში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები Zhvania Taliko, Kapanadze David – The Perspectives of the Cloud Technologies' Application in Educational Organizations	440
რადიევსკი ვადიმ, რადიევსკი დიმიტრი – ინტელექტუალური საინფორმაციო ტექნოლოგიები რთული ჰუმანისტური სისტემების მართვის ამოცანებში Radzievski Vadim, Radzievski Dimitri – Intelligent Information Technologies in the Problem of Complex Humanistic Systems Control	449
საჯაია ზვიად – ელექტრონული კომერციის დაცული სისტემის აგების პრინციპები ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის პროტოკოლების საფუძველზე ინტერნეტში Sajaia Zviad – Principles of Building Secure Electronic Commerce Systems Using Zero-Knowledge Authentication Protocol	454
ჯალიაბოვა ნორა – საინფორმაციო სისტემის აგება და მისი პროგრამული უზრუნველყოფა Jaliabova Nora – Information System and its Software	462

წინათქმა

საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ერის სწრაფვას ევროპისა და დასავლეთისაკენ ისტორიული ფესვები აქვს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ევროპეიზმი რამდენიმე ძირითად ღირებულებას ეფუძნება. ეს არის: ანტიკური ფილოსოფია და ბერძნულ-რომაული სამართალი, ქრისტიანობა და ევროპული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მინისმფლობელობის წესი. ყოველივე ეს საკუთრების ხელშეუხებლობას განაპირობებდა და პიროვნების თავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. ქართული და უცხოენოვანი წერილობითი წყაროები და მატერიალური ძეგლები ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართული საზოგადოება არამარტო ნაზიარები იყო ზემოხსენებულ ღირებულებებთან, არამედ თავად მონაწილეობდა მათ შექმნასა და დამკვიდრებაში. ამიტომაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წინაპარი კულტურულ-პოლიტიკურად და სოციალურ-ეკონომიკურად ჭეშმარიტი ევროპელი იყო.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, გარკვეულ პერიოდში, ქართული სამყარო მოწყდა ევროპულს, თუმცა მშობლიურ წიაღში დაბრუნების სურვილი არასოდეს განელეზულა.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოებისათვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა, რომ ევროპულ სივრცეში დამკვიდრების მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდენა ქართველ ერს, უფლებებთან ერთად, უზარმაზარ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს.

გიორგი მათიაშვილი

INTRODUCTION

Georgia's striving for Europe has historic roots. It is well-known that Europeanism is based on several values. These are the following: Ancient Philosophy, Greek and Roman law, Christianity and principles of the European Feudalism. These values conditioned inviolability of property and was the basis for personal freedom. Georgian and foreign written sources and material monuments undoubtedly confirm that during centuries Georgian society not only shared the above mentioned values, but participated in their creation and adoption. Therefore, it can openly be declared that our ancestors were true Europeans from cultural, political, social and economic point of view.

Due to historic downfalls, during certain period, Georgian world was broken away from the Europe, though the desire of getting back has never disappeared.

The aim of the International Conference held at Guram Tavartkiladze Teaching University was to remind the society once more that realization of the centuries-old dream of joining European space not only gives rights, but imposes great responsibilities on Georgian people.

Giorgi Matiasvili

ქართული პოსტმოდერნიზმის განვითარების ტენდენციები ევროპული პოსტმოდერნისტული კულტურის კონტაქტში

კულტუროლოგები XX საუკუნის 70-იან წლებთან აკავშირებენ ისეთი მძლავრი მიმართულების ჩასახვას, როგორც პოსტმოდერნიზმია. იგი იმ მოვლენების „შთამომავალად“ განიხილება, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 60-იანი წლების ევროპაში.

პოსტმოდერნიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც საკაცობრიო კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი სტადია, როგორც მთელი ეპოქა, რომელიც სტილის სფეროში მოდერნიზმის ერთგვარ ანტითეზად და ახალ, განსაკუთრებულ მიმართულებად იქცა.

პოსტმოდერნიზმი, რომელიც საფრანგეთში დაფუძნდა, 80-იანი წლებისათვის მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა. პოსტმოდერნისტულმა ფილოსოფიამ ევროპულ და მასთან ნაზიარებ ამერიკულ კულტურას ის მყარი თეორიული საფუძველი შეუქმნა, რომელიც დღემდე არსებულ თეორიებს შორის უმთავრეს როლს ასრულებს. დღეს პოსტმოდერნიზმი განიხილება, როგორც თანამედროვეობის გამომხატველი მიმართულება, რომელიც თავს კულტურის ყველა სფეროში იჩენს.

პოსტმოდერნისტული სახვითი ხელოვნება საკმაოდ რთული, მრავალგანზომილებიანი, მრავალშრიანი და წინააღმდეგობრივი მოვლენაა და იგი ყველა ქვეყანაში ეროვნული ნიშნით ვითარდება.

ქართული პოსტმოდერნისტული მხატვრობის პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან იწყება და იგი პოსტმოდერნიზმის პირველ ფაზად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე ფაზა, 80-იან წლებს, ხოლო მესამე, საქართველოსთვის მეტად რთული სოციალური მოვლენებით აღსავსე პერიოდს – 90-იან წლებს უკავშირდება. სამივე პერიოდში საქართველოში პოსტმოდერნიზმის ყველა ნიშანი მეტ-ნაკლები სახიერებით გამოვლინდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითქმის იმავე წლებს განეკუთვნება ევროპულ ესთეტიკურ სააზროვნო სივრცეში აღნიშნული მიმართულების გაჩენა და განვითარება. აღსანიშნავია, რომ თუ საბჭოთა იდეოლოგიურ მარწმინდებში მოქცეულ ქართულ კულტურულ-სახელოვნებო სფეროს მესვეურებს 50-იანი წლებიდან დაწყებული, დაგვიანებით უხდებოდათ აეთვისებინათ ის ტენდენციები, რომელიც ევროპულმა და მასთან ნაზიარებმა ამერიკულმა მხატვრობამ თითქმის 20-30 წლის წინ განვლო, 70-იანი წლების ბოლოსთვის მიახლოვება თანადროულ საერთო მისწრაფებებთან აჩქარებული ტემპით მოხდა. ადგილი ჰქონდა, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ ევროპის შემოქმედებითი ინტელიგენციის ინტერესების ერთვარ თანხვედრას. აღნიშნული დაახლოვება, თუ მისწრაფებათა სინქრონიზაცია განაპირობა (მომავალშიც განაპირობებს) ელექტრონული მასობრივი საინფორმაციო ქსელების არსებობამ. ეს კომუნიკაციური ე.წ. ნეტ-ური კავშირები თანამედროვე მედია ტექნოლოგიების მიღწევები ხომ პოსტმოდერნისტული სამყაროს, მისი ესთეტიკის მთავარი მამოძრავებელი იარაღია. განათლებული კაცობრიობა მის განუზომელ სიკეთესთან ერთად საფრთხეებზეც მიაწინებს.

როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა რეტროსპექციაში განვიხილოთ 70-იანი წლებიდან დღემდე ქართულ პოსტმოდერნისტული მხატვრობაში მიმდინარე პროცესები, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ტენდენციები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, საერთო ევროპული პოსტ-მოდერნისტული მხატვრობის განვითარების ადეკვატურია. ესენია: 1) აბსტრაქტული მხატვრობის ნონფიგურატულობის საპირისპიროდ, ნეოფიგურატივიზმის დამკვიდრება; 2) გროტესკის, ირონიის ძირითად მხატვრულ ხერხებად გამოყენება; 3) სტილური ეკლექტიზმის დამკვიდრება, ე.წ. ინტერტექსტუალობა; 4) რელიგიური და მითოლოგიური მოტივაციების არსებობა; 5) ისტორიული წარსულის ნოსტალგია; 6) ორმაგი კოდირების ტენდენცია.

აღნიშნული ტენდენციებიდან, განსაკუთრებულად ორგანული ქართული მხატვრობისათვის აღმოჩნდა რელიგიურ-მითოლოგიური მოტივების წინა პლანზე წამოწევა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რელიგიური ფაქტორის არსებობა ქართულ პოსტმოდერნისტულ მხატვრობას განსაკუთრებულ თვითმყოფადობას ანიჭებს.

იმისათვის, რომ ქართველი და ევროპელი პოსტმოდერნისტი მხატვრის რელიგიურ მოტივაციას შორის განსხვავება დავიჭიროთ, ამისათვის უნდა მივმართოდ თანამედროვე დასავლურ პუბლიკაციებს პოსტმოდერნისტული კულტურის შესახებ. ავტორები, სულ უფრო ხშირად ავლებენ პარალელს პოსტმოდერნიზმს და ეკუმენიზმს შორის. მათი აზრით, პოსტმოდერნიზმში ხდება ერთგვარი დესაკრალიზაცია, რადგან საკრალური თავისი არსით უპირისპირდება პროფანულ პოსტმოდერნისტულ კულტურას. ამერიკელი კულტუროლოგი ი.ჰასანი პოსტმოდერნიზმის თავისებურებებს ხედავს მის გახსნილობაში ყველა ტიპის „მრევლისადმი“, თეოლოგიაზე ფუტუროლოგიის უპირატესობაში, მოდერნიზმისთვის დამახასიათებელ ბინარულ ოპოზიციებზე უარის თქმაში, ახალი პოლითეიზმის დამკვიდრებაში, რომლის დროსაც პიროვნული „ეგო“ ეროზიას განიცდის“ (ასსან, 102).

მართლმადიდებლურ ქრისტიანული სამყაროს წიაღში აღზრდილი ქართველი პოსტმოდერნისტი მხატვარი, ბუნებრივია, განსხვავებულად უდგება რელიგიური თემის ასახვას. ამ კონტექსტში საინტერესოა რუსული მართლმადიდებლობის არეალიდან აღმოცენებული პოსტმოდერნისტული აპერცეპცია. რუსი კულტუროლოგები, როდესაც რუსულ პოსტმოდერნიზმს მართლმადიდებლობის ქრილში განიხილავენ, ყურადღებას ამახვილებენ სალოსის ე.წ. „ღვთის გლახის“ წმინდანად შერაცხვის საკითხზე. მათი აზრით: „სწორედ სალოსის საკრალიზაციას შეუძლია პოსტმოდერნისტული კულტურა სეკულარული ჯოჯოხეთიდან გამოიყვანოს“ (Горичева, 23). სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ქართულ პოსტმოდერნისტულ მხატვრობაში, სადაც შეიმჩნევა ერთგვარი ნოსტალგია ჰარმონიის და მშვენიერის კატეგორიის დაკარგვის გამო. ლამაზი მხატვრული სახეების მახინჯი ფორმებით ჩანაცვლებამ ქართველ მხატვრებში კლასიკური დიადი ფორმებისადმი, ალეგორიულ-მითოსური მეტყველებისადმი საოცარი მონატრება გამოიწვია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ პოსტმოდერნისტული მხატვრობაში, დაწყებული მისი განვითარების პირველი ფაზიდან (70-იანი წლებიდან), (ი. ფარჯიანის ფერწერული ვარიაციები „ხარება“, ლ.ჭოლოშვილის „ვენერა და მარსი“), მეორე ფაზის ჩათვლით (80-იანი წწ., მ. აბრამიშვილის „ჯვარცმა“) და მესამე ფაზაზე (90წწ.–დღემდე, ლ. მარგიანი „სახარებისეული იგავები“), ანუ პოსტმოდერნიზმის სამივე ეტაპზე, სახეზეა ალეგორიულ-რეალისტურისკენ გადახრის ტენდენცია. ქართველი პოსტმოდერნისტების შემოქმედებაში რელიგიური ფაქტორის გააზრებისას, მკვეთრად წარმოჩნდა ორი მიმართულე-

ბა: წარმართული კოსმოგონიური ღვთაებრივი მხურვალეებით ნაფერი მხატვრული ფორმები და ქრისტიანული ღვთაებრივი ნათლით განბანილი ეიკონურ სახეები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ჯგუფში გაერთიანებულ ნაწარმოებებს თავიანთი არქეტიპები საუკუნეთა სიღრმეში მოეძებნებათ, რაც თავის მხრივ პოსტმოდერნისტული წარმოშობისაა, თითოეული ნაწარმოების მისამართს კონკრეტული მხატვრის ხასიათთან, მისი ცხოვრების წესთან, ინტერესთა სფეროსთან და ინდივიდუალურ შემოქმედებით ლაბორატორიასთან მივყავართ.

დავინწყით პირველი ფაზიდან: 70-იან წლების ბოლოს, ქართული პოლიტიკურ-დისიდენტური მოძრაობის გააქტიურებამ საქართველოს სახელოვნებო სივრცეში გააღვივა მხატვართა ე.წ. „ანდერ გრაუნდი“, რომელიც იატაკქვეშეთის ნაცვლად, თბილისის სამხატვრო აკადემიის „მეათე სართლის“ ჯგუფის სახით ჩამოყალიბდა (მამუკა, ნიკო და მაია ცეცხლაძეები, ოლეგ ტიმჩენკო, მამუკა ჯაფარიძე, კარლო კაჭარავა, გია დოლიძე, თემურ იაკობაშვილი, ზურაბ სუმბაძე, გია ლორია, გიორგი მალაქელიძე, აკაკი რამიშვილი). ჯგუფი მალე შეივსო მხატვართა ახალი ნაკადით (გია რიგვავა, ნიკო ლომაშვილი, გურამ ნიბახაშვილი, დავით ჩიხლაძე, ზურაბ გომელაური, გია ეძგვერაძე, ლია შველიძე), რომელიც არსებული რეალობისადმი თავის „ნონ-კონფორმისტულ“, მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ირონიისა და გროტესკის მხატვრული ხერხების გამოყენებით გამოხატავდა. ძირითადად, არატრადიციულ მასალაში (სამეურნეო საღებავი, დისპრესია, რკინისა და ხის გამოყენებით) განსხეულებული ეს პოსტმოდერნისტული მხატვრული სახეები ქართული მსოფლალქმისათვის ნიშანდობლივი რომანტიკული ზეანეულობით გამორჩეულ კარნავალურ განწყობას ქმნიდნენ. აღნიშნული წლების ამავე მიმართულების რუსული მხატვრობის წმინდა პოლიტიკურ-იდეური პროტესტის ეპატაჟური გამოვლინებისაგან განსხვავებით, აღნიშნულ მიმართულებას იმ წლების საქართველოში შედარებით უფრო მოზომილი და თავშეკავებული ხასიათი ჰქონდა. ქართველმა მხატვრებმა სულიერი თავშესაფარი ჰპოვეს სარწმუნოების ნიაღში. მათ მიმართეს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, როგორც ხსნის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას. ამავე დროს, სრულიად გაცნობიერებულად მზერა წარსულისაკენ მიაპყრეს და ეროვნულ, თუ საკაცობრიო ისტორიულ მემკვიდრეობას დაენაფნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ მხატვრების შემოქმედება, რომელნიც არც ფორმალურად და არც ორგანიზაციულად არცერთ გაერთიანებას არ ეკუთვნოდნენ, თუმცა პოსტმოდერნისტულ მიმართულებას თანაუგრძნობდნენ. ირაკლი ფარჯიანი, ლევან ჭოლოშვილი, გია ბულაძე, მოგვიანებით, მერაბ აბრამიშვილი, ლევან მარგიანი და სხვ., როდი უარყოფდნენ კულტურულ მემკვიდრეობას, საკუთარს, ან მსოფლიო ცივილიზაციათა დანატოვარს, არამედ დიდი რუდუნებით სწავლობდნენ მათგან. ამ ასპექტით, XX ს-ის 70–80-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ქართველ მხატვართა შემოქმედების მაგალითზე, ერთი საინტერესო ნიშანი შეიმჩნევა – ქართულ პოსტმოდერნიზმს გამოარჩევს არა დაპირისპირება გასული საუკუნის 20-იანი წლების ავანგარდულ მემკვიდრეობათან, არამედ მისი შემოქმედებითი ათვისება. ეს ხაზგასმით აღსანიშნავი თვისებაა, რადგან ევროპაში თითქმის ყველგან პოსტმოდერნიზმი მისი წინარე პერიოდის მოდერნიზმს აგრესიულად უპირისპირდებოდა. თუმცა, გარკვეული იდეური დაპირისპირება ქართველი პოსტმოდერნისტებისა უფრო უშუალო წინამორბედი თაობის მხატვარ-აბსტრაქციონისტთა ჯგუფის (ილია და გელა ზაუტაშვილები, ლუკა ლასარეიშვილი, სოსო წერეთელი) მიმართ შეინიშნება. თუ დასავლურ პოსტმოდერნისტულ ფერწერაში ზოგადად ხუთი მიმართულება გამოიყოფა (მეტაფიზიკური,

თხრობითი, ალგორითული, რეალისტური, სენტიმენტალური), როგორც უკვე აღვნიშნე, ქართული პოსტმოდერნიზმის სამივე ეტაპზე სახეზეა ჩვენი ეროვნული მხატვრობის ალგორითულ-რეალისტურისკენ გადახრის ტენდენცია. ქართული პოსტმოდერნიზმის პირველ ფაზაში, როდესაც ქართულ ფერწერას მეტაფიზიკურ-ირაციონალური ელფერი დაკრავს მოხვდა ირაკლი ფარჯიანის ქრისტიანულ თემატიკაზე სერიული პრინციპით შესრულებული ფერწერული ქმნილებები. მხატვრის იმპეცნიური მიღმისეული ნათებით გამორჩეული ვარიაციები „ხარების“ თემაზე იქმნებოდა იმ დროს, როდესაც პოსტმოდერნისტული მეტატექსტი ხელოვნების ყველა დარგში შებოჭილი იყო მკაცრი იდეოლოგიით. მიუხედავად ამისა, ირაკლი ფარჯიანმა შეძლო ბევრი ეთქვა თავისი დროისა და საკუთარი თავის შესახებ.

1972 წელს, ლევან ჭოლოშვილი ასრულებს მითოლოგიურ თემაზე „ვენერა და მარსი“ სერიულობის პრინციპით დამუშავებულ საინტერესო ფერწერულ ნიმუშებს, 1977 წელს კი – იმანენტური ბუნებით გამორჩეულ ნაწარმოებს „ხარება“. პოსტმოდერნიზმის მეორე ფაზაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მერაბ აბრამიშვილის ორიგინალურმა შემოქმედებამ. მხატვრის მიერ შემოთავაზებულ მხატვრულ სახეებში გამოჩნდა ინტერტექსტუალობა, ეკლექტიკურობა, ორმაგი კოდირება, როდესაც ნაწარმოების სემანტიკა საცნაურია როგორც ელიტისთვის, გაცნობიერებული მაცურებლისათვის, ისე მასის წარმომადგენელთათვის. სწორედ მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში აისახა ქართული ესთეტიკისთვის ნიშანდობლივი ორი თემა, რომელიც გამოვლენილია წარმართული მზის ღვთაებრივი მხურვალეობით ნაფერ მხატვრულ ფორმებსა და ქრისტიანულ ღვთაებრივი ნათლით განბანულ ეიკონურ სახეებში. მ. აბრამიშვილის შემოქმედებით მეთოდში გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეს კითხვას, როგორია მხატვრის მიერ სასურათე სიბრტყეზე შემოთავაზებული სიმართლე. პასუხი ერთია: მერაბ აბრამიშვილის მხატვრული სიმართლე ყოველთვის უშუალო და გულწრფელია. იგი იმ კანონზომიერებას ემყარება, ადამიანს ცვალებადი სამყაროს განუყრელ ნაწილად რომ წარმოიდგენს. დაუცველობის, არასტაბილურობის განცდით შეპყრობილ 21-ე საუკუნის მკვიდრს შეიძლება ანაქრონიზმადაც კი მოეჩვენოს ჩვენს გენეტიკურ მეხსიერებაში ჩაკირული სამყაროს გაჩენის იმ პირველი დღეების გახსენება, როდესაც მზის მხურვალე სხივებით გამთბარი მიწიდან ამოდერილი პირველი ბალახი, მასთან ახლოს მოფარფატე მწერი, თუ მიწაზე გართხმული ქვენარმავალი, დამბადებლის კალთას ამოფარებულნი თავს მყარად და იმედიანად გრძობენ („მესამე დღე სამყაროს შექმნისა“). ამ ჰარმონიის დამრღვევ პირველ ადამიანებს-ადამსა და ევას კი, ჩადენილი ცოდვის საზღაურად, სამაგიერო მიეზლოთ („სამოთხიდან განდევნა“). სრულიად განსხვავებული მიდგომით გამოირჩევა ქრისტიანული იკონოგრაფიული სქემების აბრამიშვილისეული ინტერპრეტაცია. საღვთისმეტყველო სცენების სერიულობის პრინციპით გადაწყვეტისას, მხატვარი სხვადასხვა ფორმატის სასურათე სიბრტყეზე, დამცხრალი თუ ჩამორეცხილი ფერთა პალიტრით, ნათელი კომპოზიციური ნახატი, თავმეკავებული დინამიზმით ეძებდა იკონოგრაფიულ სახეებში დაფარული იდუმალი აზრის უკეთ გადმოცემის გზებს („ხარება“, „საიდუმლო სერობა“, „ჯვართამაღლება“, „სამოთხე“, „ჯოჯოხეთი“). მხატვრის მიერ გარკვეულ სისტემაში მოქცეული გარეგნულად მშვიდი, განონასწორებული ეს ფერწერული ქმნილებები თითქოს იმავე ღვთაებრივი ენერგიით არიან დამუხტულნი, რომელსაც საქართველოს მთასა და ბარში მიმოზნეული ეკლესია-მონასტრების კედლებზე აღბეჭდილი მართლმადიდებლური ქრისტიანობის მოდარაჯე წმინდა მამები გამოსცემენ.

ქართულ პოსტმოდერნისტული მხატვრობის მესამე ფაზის დასახასიათებლად, რელიგიურ თემასთან დაკავშირებით უნდა შევეხო ლევან მარგიანის შემოქმედებას. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე საქართველოსთვის მეტად რთულ 90-იან წწ. გამოვიდა – მაშინ, როდესაც ყოფილ საბჭოთა სივრცეში საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლამ, ვითარების არასტაბილურობის განცდამ, მიუსაფრობის შეგრძნებამ ცხოვრების მიერ დასმული მრავალი კითხვა უპასუხოდ დატოვა. სირთულეთა მიუხედავად, ახალგაზრდა ხელოვანის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა თვითდამკვიდრების და იმ ინდივიდუალური ხელწერის პოვნის საკითხი, რომელიც მას დამოუკიდებელ შემოქმედებით ბილიკზე გაიყვანდა. მხატვრის შეუმცდარმა ალლომ სწორედ ქვემარტი ქრისტესმიერი რწმენის ფართო გზაზე გამავალი, სათნოებისა და მიმტევებლობის მარადიული ფასეულობებით გამყარებული გეზი აირჩია. ასე შემოვიდა ლევან მარგიანის შემოქმედებაში ის საღვთისმეტყველო თემატიკა, რომელიც მალე მხატვრის ხელოვნების განმსაზღვრელი გახდა. თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების, ქრისტიანული იკონოგრაფიის სამეტყველო ენის მდიდარ ტექნოლოგიურ არსენალში ჩაღრმავების შესაძლებლობა კი პირველად შუასაუკუნეების ქართული მონუმენტური ხელოვნების უბრწყინვალესი ქმნილების დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლის, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოებმა დასახა. ამას მოჰყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მხატვრად მუშაობის ხანმოკლე გამოცდილება, რამაც თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტური მხატვრობის რესტავრაციის ფაკულტეტზე სწავლისას, კიდევ უფრო სრულყო და გააფართოვა ლევან მარგიანის მიერ მიღებული საეკლესიო მხატვრობის ცოდნის არეალი.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც თვით მხატვარმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, საკუთარი ხელწერის პოვნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. პირველ ასეთ დამოუკიდებელ „სასინჯ ქვად“ მხატვრის შემოქმედებაში ბიბლიური სიუჟეტის მართასა და მარიამის ძმის-ლაზარეს აღდგომის სცენის მხატვრისეული ინტერპრეტაცია უნდა ჩაითვალოს.

ლევან მარგიანმა მაცხოვრის ნების აღსრულება, „ლაზარეს აღდგინების“ ეს გამოხატულება ზეთის საღებავებით შესრულებულ სხვადასხვა ფერწერული ვარიაციით წარმოადგინა. თუმცა აღნიშნული იკონოგრაფიული სქემის სხვადასხვა სამოსელით შემოსვის ცდამაც ვერ დაფარა დადგენილი კანონიკური ნორმებითა და შერჩეული მასალით გამოწვეული უკმარობის განცდა. ამიტომაც სულ მალე ლევან მარგიანი განსხვავებული ტექნიკით, შემცირებული ფორმატის სასურათე სიბრტყეზე, მინიატურულ ზომებში იწყებს მუშაობას. მეტი შემოქმედებითი თავისუფლებისათვის კი იგი ყურადღებას ამჯერად „ახალ აღთქმაში“ მიმოძებნილი იგავების დაქარაგმებულ მეტყველებაზე ამახვილებს. მხატვრის არჩევანი შეჩერდა მათესა და იოანეს სახარებაში ჩართულ მრავლისმეტყველ ალეგორიებზე: ცათა სასუფევლის, გონიერი და უგუნური მშენებლების, მთესველისა და მებადურთა შესახებ. ამას დაემატა სერიულობის პრინციპით გადანყვეტილი „ათორმეტი დღესასწაულის“ ციკლის რამდენიმე თემა. მხატვრის არაერთ პერსონალურ და ჯგუფურ გამოფენაზე გამოტანილმა აღნიშნულ ნაწარმოებთა მხატვრულ-სტრუქტურულმა გადანყვეტამ, არაჩვეულებრივად ფაქიზმა ხელწერამ, მოხიბლა ქართველი და უცხოელი მაყურებელი.

ლევან მარგიანის ეს მინიატურები, კომპოზიციათა სტრუქტურული ორგანიზების თვალსაზრისით, მონუმენტურობის ყველა ნიშნით ხასიათდება. მხატვრის მიერ სასურათე სიბრ-

ტყეზე წარმოდგენილ მიკროკოსმში, როგორც წყლის წვეთში, ისე ირეკლება მაკროკოსმის უსაზღვროება. ეს, გარკვეულწილად, იმ ლიტერატურული პირველწყაროთა გაპირობებული, რომლის მხატვრულ ინტერპრეტაციასაც ახდენს ხელოვანი. „ახალი აღთქმის“ იგავების სიუჟეტებზე შექმნილ ამ ნაწარმოებთა აღქმას თხრობისათვის ნიშანდობლივი დროში განგრძობის, ხანგრძლივობის შეგრძნება ახლავს, რაც გარკვეულწილად ემსგავსება ევროპული პოსტ-მოდერნისტული მხატვრობისთვის დამახასიათებელ ნარატივისკენ მიდრეკილ ტენდენციას. მხატვრის მახვილი თვალი მიმართულია დეტალების მიმოხილვიდან მთელის კონსტრუირებისკენ. შუასაუკუნეების მინიატურული მხატვრობის უსახელო ოსტატთა მსგავსად, ლევან მარგიანი უდიდესი გულისყურით, დინჯად, შეუპოვარი თანმიმდევრობით წყვეტს ყველა იმ მხატვრულ ამოცანას, რომელიც მთლიანი მხატვრული სახის შექმნისათვის დაუსახავს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მასალა, ნაწარმოების ტექნიკური მხარე. ლევან მარგიანის აღნიშნულ ნაწარმოებთა სერია შესრულებულია ძველი ბიზანტიელი თუ ქართველ მინიატურისტ მხატვართა მიერ აპრობირებული ტექნოლოგიის შემოქმედებითად ათვისებით. კვერცხის ემულსიაში გახსნილი ტემპერის საღებავებში გარეული ნატურალური პიგმენტებით მხატვარი მოოქროვილ (ტინცელ) ან მოვერცხლილ თითბერის ფირფიტებს მრავალშრიანი ლესირების ფერწერული ტექნიკით ფარავს. ასევე, დიდი ყურადღება ექცევა სასურათე სიბრტყეთა ჩარჩოებს. ნაწარმოების ესთეტიკის სრულყოფის მიზნით, მხატვარი თვითონ ამზადებს ნაწარმოების შესაფერის ჭედურ ჩარჩოს. რომელსაც ამშვენებს ფრაგმენტები ეროვნული ორნამენტული რეპერტუარიდან. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ სერიის კომპოზიციათა მთლიან აღქმაში ჩართულია არამარტო ნაწარმოებთა ძირითადი სემანტიკის მატარებელი გამოსახულებები, არამედ ემოციურად დამუხტული ე.წ. „სივრცობრივი პაუზები“ (ფიგურატულად შეუვსებელი ადგილი). მხატვარს, ხშირად, კომპოზიციის გარეთ გააქვს ერთი შეხედვით თითქოს მეორეხარისხოვანი დეტალები, რომლებიც თავის გარშემო ერთგვარ „დანადმულ ველს“ ქმნიან. ამ დაძაბულ ემოციურ განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებს ფერწერულ ქსოვილში ჩართული სახარების ტექსტის ცალკეული პასაჟები. ეს ნაცადი ხერხი მაყურებელს ეხმარება ამოხსნას მაცხოვრის თითოეულ გამოცხადებაში დაუნჯებული ღვთაებრივი კოდის, რომელიც 21-ე საუკუნის მკვიდრმა პოსტმოდერნისტმა მხატვარმა ლევან მარგიანმა „ცოდვილი სულის საოხად“ წარმოადგინა.

ამრიგად, ქართული პოსტმოდერნისტული მხატვრობის სამივე ეტაპზე გამორჩეული ქართველი მხატვრების მიერ შექმნილმა მართლმადიდებლურმა თემატიკამ ევროპული პოსტ-მოდერნისტული გამოცდილების ტრადიციულ ეროვნულ ნიაღში გადამუშავების საინტერესო მაგალითები გამოავლინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მერაბ აბრამიშვილის და ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა კვიპროსში, კატალოგი (ქართულ, ბერძნულ, ინგლისურ ენებზე. ტექსტი ირინე აბესაძის), ნიქოზია, 2001.
2. Hassan I. The Right Promethean Fire. Imagination, Science and Cultural Change, Chicago, London, 1980.
3. Горичева Т. Православие и Постмодернизм, Л., 1991.

**ქართული პოსტმოდერნიზმის განვითარების ტენდენციები
ევროპულპოსტმოდერნისტული კულტურის კონტექსტში
რეზიუმე**

ქართული პოსტმოდერნისტული მხატვრობის პირველი ჩანასახები ჯერ კიდევ XXს. 70-იანი წლებიდან იწყება და მან დღევანდლამდე განვითარების სამი ფაზა განვლო. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თითქმის იმავე პერიოდს განეკუთვნება ევროპულ ესთეტიკურ სააზროვნო სივრცეში აღნიშნული მიმართულების გაჩენა და განვითარება. აღსანიშნავია, თუ საბჭოთა იდეოლოგიურ მარწუხებში მოქცეულ ქართულ კულტურულ-სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებს 50-იანი წლებიდან დაწყებული დაგვიანებით უხდებოდათ აეთვისებინათ ის ტენდენციები, რომლებიც ევროპულმა და მასთან ნაზიარებმა ამერიკულმა მხატვრობამ თითქმის 20-30 წლის წინ განვლო, 70-იანი წლების ბოლოსთვის ეს პროცესი დაჩქარდა. ადგილი ჰქონდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის შემოქმედებითი ინტელიგენციის ინტერესების ერთგვარ თანხვედრას. აღნიშნული დაახლოვება, მისწრაფებათა თანხვედრა განაპირობა ელექტრონული მასობრივი საინფორმაციო ქსელების არსებობამ. თუ რეტროსპექციაში განვიხილავთ 70-იანი წლებიდან დღევანდელ დღემდე ქართულ პოსტმოდერნისტულ მხატვრობაში მიმდინარე პროცესებს, გამოიყოფა ევროპული პოსტმოდერნიზმის ადეკვატური შემდეგი ტენდენციები: 1) აბსტრაქტული მხატვრობის ნონფიგურატიულობის საპირისპიროდ, ნეოფიგურატივიზმის დამკვიდრება; 2) გროტესკის, ირონიის ძირითად მხატვრულ ხერხებად გამოყენება; 3) სტილური ეკლექტიზმის დამკვიდრება, ე.წ. ინტერტექსტუალობა; 4) რელიგიური და მითოლოგიური მოტივაციების არსებობა; 5) ისტორიული წარსულის ნოსტალგია; 6) ორმაგი კოდირების ტენდენცია. აღნიშნული ტენდენციებიდან ქართული მხატვრობისათვის განსაკუთრებულად ორგანული აღმოჩნდა რელიგიურ-მითოლოგიური მოტივების წინა პლანზე წამოწევა, რაც ირაკლი ფარჯიანის, მერაბ აბრამიშვილის, ლევან მარგიანის და სხვათა შემოქმედებით დასტურდება.

Irine Abesadze

**The Tendencies of Development of Postmodern Georgian Painting
in the Context of European Postmodern Culture
Summary**

90s of 20th century are acknowledged as the beginning of Georgian postmodern painting, whereas, first signals of its existence were already present in the 2nd half of 70s. It is important that, almost at the same period appeared mentioned style of art in Europe. It is noteworthy, that, since 50s of 20th century due to the ideological boundaries of Soviet Union, Georgian artists have been informed about the new tendencies of modern European art too late, approximately only after 20-30 years. But this tendency has undergone severe alterations after 70s, when Georgian art accelerated its development and took pace with global modern tendencies of art. There were present some sort of matching between the creative ideas of Eastern and Western artists. Mentioned matching was and still is determined by the existence of electronic social networks. This networking and development of modern media technologies are the driving force of postmodern world, which, although has a lot of advantages, but still its disadvantages cannot be undervalued. Nowadays, it is possible to mention some tendencies, which are:

1. Changing nonfigurative abstract painting with neofigurativism;
2. Applying grotesk as main artistic method;
3. Establishing stylistic eclecticism, a.k.a. Intertextuality;
4. Existence of religious and mythological motivations.
5. Nostalgia of historic background;
6. Tendency of double coding.

Georgian postmodern painting obtains its special self-sufficiency thanks to existence of religious factors. Perfect example of it is the art of Irakli Parjiani, Merab Abramishvili, Levan Margiani and others.

რეზო ბალანჩივაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

სოლომონ დოდაშვილი – ევროპეის უნივერსიტეტის საქართველოში

სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძის შეფასებით, ქართველი განმანათლებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი მედროვე და საქართველოში ევროპეიზმის ფუძემდებელი იყო. იგი ჩვენში ლოგიკის, როგორც ფილოსოფიური დისციპლინის, დამფუძნებელი და მსოფლიო დონის ფილოსოფოსი გახლდათ. მას აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე „ქართული აზროვნების საკვირველებას“ უწოდებდა.

მსჯელობს რა იონა ხელაშვილის შესახებ, აკად. შალვა ნუცუბიძე მის ერთ-ერთ სერიოზულ დამსახურებად, პირველ რიგში, იმას მიიჩნევს, რომ მან სოლომონ დოდაშვილს – ფილოსოფიური საკითხებით დაინტერესებულ მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნეს – გაუჩინა ინტერესი ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა ჩვენი ერის ისტორიული წარსული. ის ნუხს იმის გამო, რომ სოლომონ დოდაშვილის სააზროვნო დრო, მისი სიცოცხლის სავალალო სიმოკლის გამო, მეტად მცირე აღმოჩნდა მის **გრანდიოზულ ფილოსოფიურ ნამოწეებათა** მეტად თუ ნაკლებად დავირგვინებისათვის და იქვე დასძენს: სოლომონ დოდაშვილის ამგვარი შეფასება განდიდებად ნურავის მოეჩვენება, რადგან ახალგაზრდა ქართველი მოაზროვნე თავისი ხანმოკლე, მაგრამ საკვირველი სიძლიერის მქონე აზროვნების დასაწყისშივე თანამედროვე **ევროპელი აზროვნების სიმალლეზე** აღმოჩნდა და აქედან სცადა მან საკუთარი გზით წასვლა. მაგრამ სანამ იმას გავარკვევდეთ, თუ რამ აიყვანა სოლომონ დოდაშვილი ევროპული აზროვნების სიმალლემდე, მანამდე მინდა მოკლედ შევჩერდე სოლომონ დოდაშვილის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიაზე. მით უმეტეს, რომ ამ ისტორიას ან საერთოდ არ იცნობს, ან ძალიან ცუდად იცნობს ჩვენი საზოგადოება გავბედავ და ვიტყვი, თვით სამეცნიერო საზოგადოებაც კი, რასაც, თავისთავად ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

დავინწყოთ იმით, რომ სოლომონ დოდაშვილი იყო, პირველი ქართველი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თავისი მაღალი ნიჭიერებით, არნახული შრომისმოყვარეობით, ხასიათის სიმტკიცითა და ნებისყოფის სიძლიერით, მან იმთავითვე მიიპყრო უნივერსიტეტის პროფესორის ყურადღება. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ ბაკალავრიატში იწყებს სამეცნიერო მუშაობას და წერს წიგნს, რომელმაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. ეს იყო მისი „ლოგიკა“, რუსულ ენაზე დანერილი პირველი წიგნი, რომელიც ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა როგორც პირველი ნაწილი მისი ფილოსოფიური სისტემისა.

იმის შესახებ, თუ რა დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ წიგნს, როგორ გაითქვა სახელი 22 წლის ახალკურსდამთავრებულმა სოლომონ დოდაშვილმა, ქვემოთ გავაგრძელებთ მსჯელობას, აქ კი ვიტყვით, რომ 22 წლის ჭაბუკი პეტერბურგში კი არ დარჩა თავისი სამეცნიერო კარიერის ასამალლებლად (არადა, მას ასეთი შეთავაზება ნამდვილად ჰქონდა ფაკულტეტის დეკანატიდან), არამედ მაშინვე თავის მშობლიურ საქართველოს მოაშურა, რომ მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის მოეხმარა. აკი თავადაც ამბობდა: „უმეტესად ვიტყვი, არა თავისა თვისისათვის მხოლოდ გინა ბედნიერებისათვის

ვჭმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“.

1827 წელს სოლომონ დოდაშვილი საქართველოში დაბრუნდა. აქ მას მხოლოდ 5 წელია მოუწია მოღვაწეობა, მხოლოდ ხუთი წელი (ამიტომაც არ იცნობს მას ქართული საზოგადოება), ოღონდ განსაცვიფრებელი, წარმოუდგენელი ხუთი წელი. ხუთი წლის შემდეგ კი იგი სამუდამოდ გაასახლეს საქართველოდან. ჯერ საერთოდ სიკვდილი მიუსაჯეს, მერე კი „შეიწყალეს“ და 10 წლით შორეულ ვიატკაში გაამწესეს. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სოლომონ დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულების უბრალო მონაწილე კი არ იყო მარტო, არამედ მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი, შეიძლება ითქვას, მისი სული და გული.

ვიატკაში სოლომონ დოდაშვილი მარტო არ წასულა. იქ მას თან გაჰყვა მეუღლე, ელენე კობიაშვილი, თავის სამ შვილთან ერთად. გაჰყვა ისე, როგორც დეკაბრისტებს გაჰყვნენ მათი ცოლები და ბოლომდე უერთგულა ამ უმძიმესი სენით (ჭლექით) დასწეულბულ ქმარს. მაშინ სოლომონი სულ 29-30 წლის ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც უკვე არც ფიზიკური და არც გონებრივი შრომა არ შეეძლო. სოლომონ დოდაშვილი 31 წლის ასაკში გარდაიცვალა. ასე რომ, აქტიური საქმიანობისათვის მას მხოლოდ სტუდენტობა და საქართველოში დაბრუნებიდან 1832 წლის შეთქმულებამდე განვლილი ხუთი წელი ჰქონდა.

როგორც უკვე ითქვა, სტუდენტობა მან „ლოგიკის“ სახელმძღვანელოს დაწერით დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს რუსეთის იმპერიაში „ლოგიკის“ რამდენიმე სახელმძღვანელო უკვე არსებობდა, დოდაშვილის ეს წიგნი მთელი რუსეთის იმპერიის უპირველეს სახელმძღვანელოდ იქცა. წიგნზე დადებითი რეცენზიები დაბეჭდეს „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“, „მოსკოვსკი ვესტნიკმა“, „სევერნაია პჩელამ“ და მრავალმა სხვამ.

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა“ მტკიცედ შევიდა რუსული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში. ეს წიგნი დასახელებულია რუსული ფილოსოფიის პირველ ისტორიაში, რომელიც 1840 წელს დაწერა კიევის სასულიერო აკადემიის არქიმანდრიტმა გაბრიელმა (ვოსკრესენსკიმ) – ვკითხულობთ სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ 1949 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში. მას მიუთითებდა ი. კოლუბოვსკი თავის „სლავიანთა ფილოსოფიის ნარკვევში“. სოლომონ დოდაშვილი და მისი „ლოგიკა“ შეტანილია „ფილოსოფიურ ლოგიკაში“ – წერს ალექსანდრე ქუთელია.

„ახალი მოვლენა რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში“, „შესანიშნავი თხზულება“, „უდიდესი სიახლე“ მეცნიერებაში, – ასე უწოდეს მას ცნობილმა რუსმა რეცენზენტებმა.

სოლომონ დოდაშვილის ამ წიგნით აღფრთოვანებული იყო იონა ხელაშვილიც, რომელიც დიდი სიამაყით აცხადებდა: „უწყოდეს ევროპამ, რომ ძველისძველი ნათესავი ჩვენში ჰფხიზლობს და გაჰყურებს წინ“. ეჭვი არაა, რომ ეს „ძველისძველი ნათესავი“ ჩვენი ეროვნული ენერგიაა, ხოლო ის სივრცე, საითკენაც ის გაჰყურებს – ევროპა. ამას კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით თავად სოლომონ დოდაშვილი იტყვის.

მოკლედ შევეხოთ იმ საკითხებს, რომლებიც გაშუქებულია სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკაში“. წიგნი იწყება ზოგადი შესავლით ფილოსოფიაში, სადაც დახასიათებულია როგორც შემმეცნებელი სუბიექტი (ანუ ადამიანი) და შესამეცნებელი ობიექტი, ისე თავად შემეცნების პროცესი.

რაც შეეხება ძირითად ტექსტს, აქ ლოგიკის მოკლე ისტორიაა გადმოცემული, ჯერ არისტოტელედან შუა საუკუნეებამდე, მერე კი ბეკონიდან – ვოლფამდე. განხილულია აზროვნების ძირითადი კანონები, მსჯელობა და მისი სახეები (აპოდიქტიკური და ასერტორული); შემდეგ დახასიათებულია ცნება, ცნების მოცულობა და შინაარსი, დასკვნა და დასკვნის სახეები – ინდუქციური და დედუქციური; სილოგიზმი და მისი სახეები (კატეგორიული, პირობითი და გაყოფითი) და ყველაფერი ეს მთავრდება დასაბუთების რაობის განსაზღვრებითა და დასაბუთებათა სახეების დახასიათებით. როგორც ვხედავთ, აქ ლოგიკის მთელი პრობლემატიკაა მოკლედ თავმოყრილი.

როგორც უკვე აღინიშნა, 22 წლის სოლომონ დოდაშვილი ბრუნდება საქართველოში, სადაც იგი მხოლოდ ხუთი წელი ეწევა სამეცნიერო, ჟურნალისტურ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. პირდაპირ შეიძლება ითქვას, ეს იყო განსაცვიფრებლად ნაყოფიერი და შრომატევადი ხუთი წელი. პირველ რიგში, მან დაიწყო პედაგოგობა და ყოველდღიურად დაახლოებით რვა გაკვეთილს ატარებდა. ამას დავუმატოთ მისი ჟურნალისტური საქმიანობა, სადაც მან თავი გამოიჩინა როგორც რედაქტორ-გამომცემელმა. საკმარისია ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანის“ რედაქტორი. სამწუხაროდ, ამ ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა სოლომონ დოდაშვილის გადასახლების გამო, მაგრამ, როგორც აღექსანდრე ქუთელია წერს, ამ ჟურნალის ყოველი ნომრის ყველა მთავარი სტატია თვით სოლომონ დოდაშვილის მიერ იყო დაწერილი.

არაჩვეულებრივად დიდი იყო სოლომონ დოდაშვილის სამეცნიერო ინტერესი, საკმარისია ითქვას, რომ იმ ხუთ წელიწადში, რაც მან საქართველოში გაატარა ვიატკაში გადასახლებამდე, დაწერა წიგნები: „ლოგიკის მეთოდოლოგიისათვის“ და „რიტორიკა“ (ეს უკანასკნელი მან ჯერ ქართულად დაწერა და შემდეგ თარგმნა რუსულად). ორივე ეს ნაშრომი გვიან, 1954 წელს გამოქვეყნდა.

უაღრესად საინტერესო გამოკვლევები შექმნა სოლომონ დოდაშვილმა ქართული ენის გრამატიკაში. მანვე დაწერა ნაშრომი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელშიც სოლომონ დოდაშვილი ლაპარაკობს ქართველთა უძველეს კულტურულ-ლიტერატურულ და მხატვრულ ტრადიციებზე, რაც, მისი თქმით, „**აქამომდე წყვილადსა შინა სიბნელისა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა**“.

სწორედ ქართული ფილოსოფიური აზრის ღრმა შესწავლით, ქართული მხატვრული ძეგლების სერიოზული ანალიზით, სოლომონ დოდაშვილი აკეთებს დასკვნას, რომ, თუ ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების ისტორიას სერიოზულად ჩაფუძრმავდებით, დავრწმუნდებით, რომ იგი ყოველთვის იყო ევროპულ სიმაღლეზე, ოღონდ მაშინ ევროპულ სიმაღლედ ძველი ბერძნული და რომაული კულტურა, მეცნიერება, განათლება მიიჩნეოდა. ლაპარაკია IX-XI საუკუნეებზე, ლაპარაკია, ვთქვათ, იოანე პეტრინზე, ეფრემ მცირეზე, არსენ იყალთოელზე, შოთა რუსთაველზე, ლაპარაკია ჩახრუხაძის, მოსე ხონელისა და სარგის თმოგველის ნაწარმოებებზე. დასახელებულ ავტორთაგან ყველაზე ღრმად და სკუპულოზურად მან, როგორც „ჭემმარიტი ფილოსოფოსი“, იოანე პეტრინი შეისწავლა.

ცხადია, სოლომონ დოდაშვილს არც ის ავიწყდება, რომ მე-13 საუკუნიდან იწყება ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების დაღმასვლა, ამ პერიოდში იგი ჩამორჩა ევროპულ აზროვნებას და, საერთოდაც, აზიური მეცნიერებისაკენ, კერძოდ სპარსულისაკენ, გადაიხარა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო იმდენად, რამდენადაც, როგორც სოლომონ დოდაშვილი ბრძანებს, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდი არის ხანა „ეპოქის აღდგინებისა“. ლაპარაკია სულხან-საბასა და დავით გურამიშვილის მოღვაწეობაზე, კერძოდ სულხან-საბას მოგზაურობაზე საფრანგეთსა და იტალიაში. დოდაშვილს მიაჩნია, რომ სწორედ ამ პერიოდშიდან ისევ გრძელდება სწორება ევროპაზე (ოღონდ ამჯერად ევროპაში დასავლეთ ევროპა იგულისხმება).

სოლომონ დოდაშვილი ღრმად იყო იმაში დარწმუნებული, რომ გზას ევროპისაკენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხებოდა და შეევიწროებინა ეროვნული ღირებულებები. პირიქით, ეროვნულის წინ წამოწევით, ერის განათლების ამალგებით უნდა მომხდარიყო სწორება ევროპასთან. ასეთი იყო მისი პოზიცია.

„მამული ჩვენი განათლებისგან მოელის ბედნიერებას“, – ამბობდა სოლომონ დოდაშვილი. მისი აზრით, სწორედ განათლებას უნდა უზრუნველყო ყველა წოდების კეთილდღეობა. თუ ამ სიტყვებს ღრმად ჩაუფიქრებთ, მასში აშკარად დავინახავთ ილია ჭავჭავაძისეულ „საერთო ნიადაგის“ თეორიის ჩანასახს.

შემთხვევითი არაა, რომ ბევრი მკვლევარი ამ ორ დიდ მოაზროვნეს შორის ბევრ საერთოს პოულობს. საკმარისია ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობა, რომელიც შემდეგ ილია ჭავჭავაძემ გააგრძელა. ამ უკანასკნელმა მისი განმანათლებლური იდეების გაღრმავებაც იკისრა. ახალ დროში სწორედ სოლომონ დოდაშვილმა გაკვალა გზა ევროპისაკენ, რომელსაც შემდგომში მიჰყვნენ „თერგდალეულები“ დიდი ილიას მეთაურობით და ბოლოს, არც ის დიდი შეფასებაა შემთხვევითი, რომელსაც ილია აძლევდა სოლომონ დოდაშვილს, უწოდებდა რა მას პირველ განმანათლებელს და ევროპეიზმის ფუძემდებელს საქართველოში.

შეუძლებელია სოლომონ დოდაშვილის ევროპულ ორიენტაციაზე ილაპარაკო და არაფერი თქვა მის მონაწილეობაზე 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ, სანამ 1832 წლის შეთქმულების ამბებს შევხებოდეთ, მანამ მინდა მის კიდევ ერთ ნაშრომზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ეს არის მისი „შესხმა“. აქ იგი ქებით მოიხსენებს ქართველ ახალგაზრდებს, რომელთაც სოლომონი „სასობას საქართველოსას“ უწოდებს და მოძღვრავს მათ თავდადებით იშრომონ და იღვანონ მამულის კეთილდღეობისათვის.

„შესხმაში“ იდეალიზებულია ძველი საქართველო, თუმცა აქვე გაკრიტიკებულია უკანასკნელი ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკა, რომელმაც „მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესევეთარ ხარისხამდე დამდაბლებისა“. მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა, – მიმართავს სოლომონ დოდაშვილი ახალგაზრდებს, – „და ჩვენ ძალგვიძს მივალწით წარსულ დიდებასა და გავუთანასწორდეთ დღევანდელ ყველაზე განვითარებულ ევროპელ ხალხებს“.

ახლა კი ისევ 1832 წლის შეთქმულებას მივუბრუნდეთ. ფაქტია, რომ შეთქმულების მონაწილეებს შორის ყველაზე პროგრესული იდეები სწორედ სოლომონ დოდაშვილს ჰქონდა.

ასე მაგალითად, თუ ბატონიშვილები ძველი მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდნენ, სოლომონ დოდაშვილი (როგორც ვიკიპედიის ტექსტის ავტორი წერს) პარლამენტარული სახელმწიფოს შექმნის იდეას იცავდა.

სოლომონსავე ეკუთვნის ტექსტი იმ მოწოდებისა, რომლითაც აჯანყების ორგანიზატორებს უნდა მიემართათ ხალხისათვის. ტექსტი სავსეა გულმხურვალე პატრიოტული მოწოდებებით და იგი მიზნად ისახავდა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ამაღლებას. აი ეს ტექსტიც:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი რჯულნი, თავისნი სარწმუნოება, თავისი ენა და თავისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცაა აქ არს მამული ესე ჩვენი, და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეინროებასა ყოვლისა კაცისასა?! რაისათვის არს ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?! ნუ უკვე ჩვენ არ გვაქვს სიმხნე და ძალა ესოდენ, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშ, რაისთვის ვცოცხლობთ!“

ტექსტი ისეთი შემართებითაა დაწერილი, ისეთი ეროვნული მუხტითაა ანთებული, ვფიქრობ, მას არავითარი კომენტარი არ სჭირდება, გარდა დიდი დანაშაულისა, რომ ასეთი გულმხურვალე მამულიშვილი ასე ნაადრევად მოუკვდა საქართველოს. იგი 31 წლისა გარდაიცვალა. იდგა 1836 წელი. და მხოლოდ 158 წლის შემდეგ, კერძოდ 1994 წელს, მადლიერმა ქართველმა ხალხმა გადმოასვენა იგი შორეული ვიატიკიდან და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალა. რამდენადაც მე ვიცი, ამჯერად საპატრიარქოში მისი წმინდანად შერაცხვის საკითხი განიხილება, რაც, უნდა ვივარაუდოთ, დადებითად გადაწყდება. სოლომონ დოდაშვილი მთელი თავისი მოღვაწეობითა და ქვეყნისადმი თავდადებით ამას უეჭველად იმსახურებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დოდაშვილი ს. ლოგიკა, თბ., 1949.
2. ლომაშვილი ფ. ისტორიის ფილოსოფიის ისტორია, ტ.3. თბ., 2012.
3. ნაცვლიშვილი პ. ქართული ჟურნალისტიკის გენეზისისათვის, (სადოქტორო დისერტაცია), 2008.
4. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ.2, თბ., 1954.
5. ქართული მწერლობა, ნიგნი პირველი, თბ., 1984.
6. ქუთელია ალ. სოლომონ დოდაშვილი და მისი „ლოგიკა“. ნიგნი, ლოგიკა, თბ., 1949.

რეზო ბალანჩივაძე

სოლომონ დოდაშვილი – „ევროპეიზმის ფუძემდებელი საქართველოში“

რეზიუმე

სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძის შეფასებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი მედროვე და საქართველოში ევროპეიზმის ფუძემდებელი იყო. ის ლოგიკის ქართული მეცნიერული სკოლის შემქმნელია. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, 22 წლის ჭაბუკმა გამოაქვეყნა „ლოგიკის“ სახელმძღვანელო, რომელმაც იმთავითვე დიდი აღიარება ჰპოვა. სოლომონ დოდაშვილმა კიდევ ორი ნაშრომი შექმნა: „ლოგიკის მეთოდოლოგია“ და „რიტორიკა“. 22 წლის ასაკში, შეიძლება ითქვას უკვე ცნობილი მეცნიერი, სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ, როგორც 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, დააპატიმრეს და ვიატკაში გადაასახლეს.

აღსანიშნავია, რომ ის ხუთი წელი, რომელიც სოლომონ დოდაშვილმა საქართველოში გაატარა, საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც მან დაისახა და დროის მცირე მონაკვეთში წარმატებითაც განახორციელა, ევროპეიზმის პროპაგანდა და მისი პრაქტიკული დამკვიდრება იყო.

კერძოდ, სოლომონ დოდაშვილი ყველა საქმის უმაღლეს მიზნად ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შეხედულებების ევროპულ აზროვნებასთან დაახლოებას სახავდა, რამდენადაც თვლიდა, რომ იგი (ეს აზრი) „აქამომდე წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარული იყო მხედველობათა განათლებული ევროპისაითა“. კონკრეტულად აქ იგულისხმება ძველი ქართული ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების მონყვეტა ევროპული ცივილიზაციისაგან, რაც მას დიდ ნაკლად მიანჩნდა.

სოლომონ დოდაშვილს ღრმად სჯეროდა, რომ ქართული აზროვნების, კულტურისა და ცივილიზაციის დაახლოება ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციასთან იმ მშობლიურ წიაღში დაბრუნებას ნიშნავდა, სადაც იმთავითვე მისი ბუნებრივი ადგილი იყო.

Rezo Balanchivadze

Solomon Dodashvili – the Founder of Europeanization in Georgia

Summary

Solomon Dodashvili, in Ilia chavchavadze's estimation, was the first standard-bearer of national liberation movement and the founder of Europeanization in Georgia. He is a creator of a scientific school of logics. He was only 22 years old, just graduated from Philosophical Faculty of Saint Petersburg University when he published a manual of “logics” that was widely acknowledged immediately. Solomon Dodashvili wrote two more works: “Methodology of Logics” and “Rhetorics”. He has already been known as a scientist at the age of 22 when he arrived in his home country, though after a short-time activity he was arrested and exiled to Viatka- as one of the organizer and inspirer of a plot.

It is noteworthy that those five years that were spent by Solomon Dodashvili in Georgia appeared to be surprisingly fertile. One of the goals that he set and carried out successfully in a short period of time was propaganda of Europeanization and its practical inculcation.

In particular, Solomon Dodashvili made it his supreme aim to draw Georgian public life and economics close to European thinking as he considered that the ancient Georgian Philosophic and literal thinking was apart from European Civilization that was a great fault in his opinion.

Solomon Dodashvili deeply believed that bringing Georgian thinking, culture and civilization together with European culture and civilization meant coming back to native entrails where his natural place was.

ნანა გოგიჩაშვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიური ძალადობის მახასიათებლები

საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ძალადობა პიროვნებათშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, თუმცა ევროპასთან შედარებით, ქართული მენტალობის გამო, იგი ნაკლებად იქცევა განხილვის თემად.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნული გამოყენება მიმართული საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს სიკვდილს, სხეულის დაზიანებას, ფსიქოლოგიურ ტრავმას, ნორმალური განვითარებიდან გადახრას ან სხვადასხვა სახის ზარალს.

არსებობს ძალადობის რამდენიმე ფორმა. კერძოდ: ფიზიკური, სექსუალური და ემოციურ/ფსიქოლოგიური.

ფსიქოლოგიური ძალადობა გახლავთ ძალადობის ის ფორმა, რომელსაც ადამიანი მიჰყავს ფსიქოლოგიურ ტრავმამდე, იწვევს შფოთვის, დეპრესიას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას. ფსიქოლოგიური ძალადობის მიზანია მსხვერპლს დაუკარგოს საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვოს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადექვატურ აღქმაში, რაც შეიძლება გამოხატული იყოს შეურაცხყოფით, შანტაჟით, დამცირებით, მუქარით ან სხვა ისეთი მოქმედებით, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. ძალადობის ეს ფორმა დამახასიათებელია ძალაუფლების დისბალანსის სიტუაციებში. მაგ. ოჯახში ცოლზე, შვილებზე, სამსახურში თანამშრომლებზე და ა.შ.

კონფლიქტური ტაქტიკების შკალაში, რომელსაც მრავალ ფსიქოლოგიურ კვლევებში იყენებენ, გამოყოფილია ფსიქოლოგიური ძალადობის ოცამდე გამოვლინება, რომლებიც გაერთიანებულია სამ დიდ კატეგორიაში. ესენია:

- ❖ ვერბალური აგრესია (მაგ. გამონათქვამები, რომლებიც მიმართულია იმაზე, რომ მოსაუბრეში გამოიწვიოს წყენა, გაბრაზება ან გაღიზიანება);
- ❖ დომინანტური ქცევა (მაგ. ადამიანისათვის ურთიერთობის შეზღუდვა მის მეგობრებთან ან ნათესავებთან);
- ❖ ეჭვიანობის გამოვლენა (მაგ. ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში უნდობლობა).

ფსიქოლოგიურ ძალადობას მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი ქცევები, რომლებიც მიმართულია ადამიანის თვითშეფასების დაქვეითებაზე (მაგ. მუდმივი კრიტიკა. მისი უნარების დამცირება, შერაცხყოფა და სხვ), დაშინება, ფიზიკური ზიანის მიყენება, როგორც მისი ანუ კონკრეტული პირისთვის, ისე მისი ახლობლებისათვის, ძალადობრივი იზოლაცია და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური და სექსუალური ძალადობისაგან განსხვავებით, ფსიქოლოგიურ ძალადობად არ ითვლება ისეთი შემთხვევა, რომელსაც აქვს ერთჯერადი ხასიათი ანუ ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ სისტემატური, მრავალჯერადად განმეორებული ქცევითი აქტივობა.

ფსიქოლოგიურ ძალადობას შეიძლება შეეჯახოს სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვა ხარისხით. იგი შეიძლება გამოვლინდეს გულგრილობისა და უყურადღებობის სახითაც კი.

ფსიქოლოგიური ძალადობის ძირითად მიზეზად ითვლება ძალაუფლებისადმი მისწრაფება და სხვა ადამიანებზე კონტროლის სურვილი.

ადამიანებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან ფსიქოლოგიური ძალადობისაკენ, ახასიათებთ მომატებული ეჭვიანობა და უნდობლობა, ხასიათის მოულოდნელი და მკვეთრი ცვლილებები, თვითკონტროლის დაბალი დონე, ძალადობისა და აგრესიის გამართლების მცდელობები. მათ არცთუ იშვიათად აღენიშნებათ პიროვნული აშლილობები. ისინი ცდილობენ აკონტროლონ ოჯახური ბიუჯეტი და თითოეული წევრის ვალდებულებები. ამავე დროს ისინი არიან მანიპულატორები და შეუძლიათ საკუთარ პოზიციაზე გადაიბირონ მსხვერპლის ნათესავ-მეგობრები, ისე რომ თავად მსხვერპლს დააკისროს პასუხისმგებლობა მომხდარზე.

ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი ქცევითი აქტივობებით:

- ❖ დამცირება (დაბრალება, კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამამცირებელი სახელების შერქმევა);
- ❖ გულგრილობა, უპატივცემულო მოპყრობა (გულგრილობა იმ ადამიანის გრძნობებისადმი, რომელიც იყო ძალადობის მსხვერპლი; აგრეთვე ადამიანის უფლებების დარღვევა);
- ❖ დამორჩილების მცდელობა, ისეთი ფორმებით, როგორცაა მუქარა, შანტაჟი ან დაშინება (მაგ. ოჯახში მამა დედის იძულების მიზნით ახდენს ბავშვის დაშინებას და სხვ.);
- ❖ კონტროლი და ქცევების შეზღუდვა.

მაგალითად:

- ანგარიშის ჩაბარება მეუღლისთვის სად, ვისთან, რამდენი ხანი, რომელზე გახვედი, რომელზე მოხვედი, რითი იმგზავრე, რამდენი დახარჯე და სხვ. ამავე დროს, მათ არ აქვთ უფლება დამოუკიდებლად მიიღონ ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება კი.
- მოთხოვნა ან იძულება მოიქცე ისე, როგორც უნდა სხვას, მაგ. დაშინების ან მუქარის გამოყენებით.
- იზოლირება (ჩაკეტვა, სიტუაციისგან მონყვეტა, მკაცრი აკრძალვა და სხვ). მაგალითისთვის მოვიყვანთ ამონარიდს ერთ-ერთი მსხვერპლის ჩანაწერებიდან: ა) „ის მე მაბრალედა საკუთარ პრობლემებს, დამაჯერა, რომ მე ვიყავი პასუხისმგებელი და დამნაშავე იმ ყველაფერში, რაც ხდებოდა და იმას, რომ როცა კონფლიქტი გვექონდა, ჩემი ბრალი იყო. ის მემუქრებოდა, ჩამკეტა სახლში, ცალკე ოთახში და არ მომცა საშუალება დამერეკა მეგობართან ან მშობლებთან. მისთვის ასე ძალიან ადვილი იყო ჩემი კონტროლი. მე თავს ვგრძნობდი მარტოსულად და დაჩაგრულად“. ბ) „ცემა და დარტყმა კი არ მაყენებდა ტკივილს, არამედ ის რომ მუდმივად მესმოდა როგორი ცუდი და უვარგისი ვიყავი. დაღურჯებები მალე გამივიდა, ეს ტკივილი კი დღესაც მახსოვს“.

ზემოჩამოთვლილი ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები, როგორც არაფიზიკური ზეწოლა ფსიქიკაზე, ხორციელდება ოთხ დონეზე:

1. ქცევის კონტროლი (ტირანი აკონტროლებს მსხვერპლის გარემოცვას და მის ქცევებს, იბარებს ანგარიშს, სად, რატომ, რისთვის, და ა.შ.);

2. აზროვნების კონტროლი (მსხვერპლს ახვევს თავს საკუთარ შეხედულებებს და აზრებს).
3. ემოციების კონტროლი (ემოციური საქანელა, რაც ნიშნავს რადიკალურ ცვლილებებს ემოციური თვალსაზრისით).
4. ინფორმაციული კონტროლი (ტირანი აკონტროლებს რა წიგნებს კითხულობს, რა ფილმებს უყურებს, რა მუსიკას უსმენს და ა.შ.).

როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიური ძალადობის მთავარი მოქმედი გმირები არიან „მსხვერპლი და ტირანი“, რომელსაც კონფლიქტისთვის არ სჭირდება განსაკუთრებული მიზეზი, რადგან მისთვის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლის ჩაცმულობა (როგორც საკმაოდ შინაურული, ისე გადაპრანჭული), სადილი, ბავშვის სახლში ყოფნა-არყოფნა, ცოლის მუშაობა-არმუშაობა (სად დადიხარ? ჩემს კისერზე ზიხარ!), ჭურჭლის ან ავეჯის განლაგება და ა.შ. ჩვეულებრივი ოჯახური ჩხუბისაგან განსხვავებით, მსგავსი კონფლიქტი ანუ ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით. თუ კონფლიქტი გამონვეულია ობიექტური მიზეზების გამო, მისი მოგვარება ორივე მხრის ინტერესებში შედის, ამ შემთხვევაში კი, ტირანს არც კონფლიქტის მოგვარება სურს და არც ურთიერთობის დასრულება, ვინაიდან ფსიქოლოგიური ძალადობა, მისთვის ერთგვარი დამოკიდებულების ფორმა გახდა – მსხვერპლის გარეშე იგი ვერ ახდენს ძველი ტრავმების კომპენსაციას. მსხვერპლი კი, საკუთარი პიროვნულ/ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო არათუ ვერ ცვლის სიტუაციას, არამედ პირიქით, ადაპტაციას ახდენს მასთან. რაც უფრო მეტ ფსიქოლოგიურ დატვირთვას უძლებს მსხვერპლი, მით უფრო მეტად იზრდება ზენოლა ტირანისაგან, ვინაიდან იგი გარკვეული ემოციური პასუხის მოლოდინშია.

რამდენად ადვილია ფსიქოლოგიური ტირანის ამოცნობა?

ეს არცთუ მარტივი საქმეა. პირველ სიმპტომად ითვლება ზეყურადღება და ზემზრუნველობა, რომელიც ძალიან მალე გადაიზრდება კრიტიკულ გამონათქვამებში თქვენი, თქვენი მშობლების და გარემოცვის, სამსახურის და ა.შ. მიმართ. რეალურად სიყვარულის და მზრუნველობის ქვეშ მსხვერპლი ღებულობს ტოტალურ კონტროლს – ტირანი ცდილობს აკონტროლოს თქვენი წრე, თქვენი ქცევები, თქვენი აზრები და ა.შ. ეს შეიძლება გამოხატული იყოს გესლიანი დაცინვით ან პირიქით, გულწრფელი სინანულით, ისე რომ თქვენ ნამდვილად დაიდანაშაულოთ საკუთარი თავი იმიტომ, რომ ასეთი კარგი ადამიანი გაანაწყენეთ.

შედეგად, თქვენ მართლა იჯერებთ რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანია და თქვენ მას ვერ აფასებთ, რომ თქვენს ადგილზე მრავალი ქალი ოცნებობდა და მხოლოდ თქვენ გაგიმართლათ, ის კარგია, თქვენ ცუდზე ცუდი და ა.შ.

ფსიქოლოგიური ტირანები საკმაოდ მაღალ დონეზე ფლობენ ე. წ. გაზღაიტიინგის ტექნიკას, რომელიც არის ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი აგრესიული სტრატეგია, რომლის მიზანია ადამიანს გაუჩინოს რეალობის მიმართ არასწორი დამოკიდებულებები, დააეჭვოს საკუთარი ფსიქიკური სიჯანსაღის ხარისხში, გაუჩინოს საკუთარი თავის მიმართ უნდობლობა. შედეგად ვლბულობთ მსხვერპლის ღირებულებათა დეზორიენტაციას. მსგავს შემთხვევაში, მსხვერპლი:

- მუდმივად ამონმებს საკუთარ შეხედულებებს;
- მუდმივად იხდის ბოდიშებს, წვრილმანებზეც კი;

- დარწმუნებულია, რომ რალაცა ხდება ნამდვილად არასწორი, მაგრამ ვერაფრის შეცვლას ვერ ახერხებს;
- უჭირს უმარტივესი არჩევანის გაკეთებას კი.

არსებობს გარკვეული რეკომენდაციები, თუ როგორ მოვიქცეთ მსგავს სიტუაციებში.

- პატივი ეცით საკუთარ გრძნობებს და ემოციებს, დღევანდელი ფსიქოლოგიური დისკომფორტი ხვალ შეიძლება იქცეს ნერვულ აშლილობად, ხოლო ზეგ ფსიქოსომატურ დაავადებად.
- სცადეთ შეგნებულად და გაცნობიერებულად შეხედოთ სიტუაციას. იმ შემთხვევაში, თუ ტირანი გადანაშაულებთ თქვენ, დაფიქრდით, ნამდვილად არის ეს თქვენი ბრალი? რა პასუხისმგებლობის მატარებელია თავად ტირანი? თქვენი ოჯახური ცხოვრებისთვის ასეთი მნიშვნელოვანია ის, რაშიც ტირანი გადანაშაულებთ?
- არ იფიქროთ, რომ ტირანის ქცევა და დამოკიდებულება თქვენდამი, თავისთავად მოგვარდება. მისი აღშფოთების შემთხვევაში, ეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და არ კვებოთ იგი თქვენი ემოციებით. როდესაც იგი დამშვიდდება, ეცადეთ აუხსნათ, რომ თქვენ არ გრძნობთ დანაშაულის სიმძიმეს და თქვენ არაფერში არ ხართ დამნაშავე და რომ მისი ქცევა, თქვენთვის მიუღებელია.
- აიმაღლეთ თვითშეფასება: ხშირად გაახსენეთ საკუთარ თავს თუ რამდენი დადებითი თვისება გააჩნიათ, რა მიღწევები გქონდათ ცხოვრებაში, რამდენი ბედნიერი დღე და წუთი გქონიათ ცხოვრებაში, ვინაიდან ტირანებს ახასიათებთ უნარი, უმოწყალოდ დაამცირონ საკუთარი მსხვერპლი. საკუთარ თავს გაუცნობიერეთ, რომ თქვენ ხართ პიროვნება, რომელსაც გააჩნია ღირსება და პატივისცემის მოთხოვნილება.
- კატეგორიულად აღკვეთეთ ბავშვების მიმართ ტირანიის მცდელობა. ისინი, თქვენი ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად, იმსახურებენ პატივისცემას და არ არიან ვალდებული ანგარიში გაუწიონ მამის ძალადობრივ ქცევებს.
- შეძლებისდაგვარად ეცადეთ შეამციროთ ან მინიმუმადე დაიყვანოთ ტირანზე მატერიალური და ფინანსური დამოკიდებულების ხარისხი.
- ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ზენოლის შემთხვევაში, მიმართეთ დახმარებას (მშობლები, ფსიქოლოგი, პოლიცია, დახმარების ცენტრები და სხვ).

რაც შეეხება ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ძალადობას, იგი გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და ხშირ შემთხვევაში მოძალადის სტატუსს ირგებენ მშობლები, უფროსი დამეხები ან თანატოლები.

ბავშვთა მიმართ ძალდობის ერთ-ერთი კონკრეტული მიზეზის დასახელება, ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან ის შეიძლება განპირობებული იყოს, როგორც პიროვნული, ისე კულტურული და სოციალური ფაქტორებით. აქედან გამომდინარე, ბავშვებზე ძალადობის ფორმებიც შეიძლება დაჯგუფდეს 4 კატეგორიად:

1. თაობიდან თაობას გადაცემული ძალადობრივი ქცევა(მე თუ მცემდნენ, მეც ვცემ ჩემს შვილს, ასე უფრო კარგი გაიზრდება);
2. სოციალური მდგომარეობით გამოწვეული სტრესი;
3. სოციალური იზოლაცია;
4. ოჯახის სტრუქტურა.

ბავშვებზე ძალადობის რისკი, განსაკუთრებით მატულობს იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში არის დაბალი სოციალური კულტურა და განათლება (მაგ. არასაკმარისი ცოდნა ბავშვის განვითარებისა და მოვლის შესახებ, მშობლის სურვილი, რომ მისი შვილი იყოს განსაკუთრებული ანუ მაღალი მოლოდინები ბავშვის მიღწევებთან მიმართებაში და სხვ), მშობელთა მენტალური პრობლემები (მაგ. შიში, შფოთვა, აგრესიულობა და სხვ), ალოპოლიზმი და ნარკომანია, დაბალი ეკონომიური შემოსავალი და სიღარიბე, მშობელთა ფსიქიკური დაავადებები, ხშირი ოჯახური კონფლიქტები, მშობელთა ასოციალურობა, არასრული ოჯახები, ჩაკეტილი ცხოვრების წესი და ა.შ.

ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ძალადობად ითვლება შემდეგი ქცევითი აქტივობები:

- ❖ ბავშვის უარყოფა, მისი მუდმივი კრიტიკა და ღია ანთიპათია მის მიმართ;
- ❖ მისი ადამიანური ღირსებების დამცირება და შეურაცხყოფა;
- ❖ მუქარები ბავშვის მისამართით;
- ❖ ბავშვის წინასწარგანზრახული ფიზიკური ან სოციალური იზოლაცია;
- ❖ ბავშვისათვის წაყენებული მისი ასაკისათვის შეუფერებელი მოთხოვნები;
- ❖ უფროსების მიერ ტყუილი დაპირებები;
- ❖ ერთჯერადი მძიმე ფიზიკური ზემოქმედება, რომელმაც გამოიწვია ფსიქიკური ტრავმა;
- ❖ მისი ღირსებებისა და წარმატებების უგულვებლყოფა;
- ❖ მშობლების მხრიდან სიყვარულის, სიბოძის, მზრუნველობის და უსაფრთხოების არარსებობა;
- ❖ ბავშვის მოტაცება და მისთვის ამორალური საქციელის დაძალება;
- ❖ შინაური ცხოველებისათვის ზიანის მიყენება ბავშვის დაშინების მიზნით.

ბავშვებზე ფსიქიკაზე ძალადობა, ბუნებრივია უკვალოდ არ ჩაივლის და შედეგები შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს. კერძოდ: დაფიქსირდეს ბავშვის ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, დაირღვეს ადაპტაციური უნარები, ჩამოყალიბდეს დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის რწმენის არქონა, სოციალური უსუსურობის განცდა და მაღალი მგრძობელობა თუნდაც უმნიშვნელო ფაქტებთან მიმართებაში, კონფლიქტურობა, მავნე ჩვევები (ფრჩხილების კვნეტა, კბენა, თმების წინკვნა ან თმებით თამაში), სუიციდის მცდელობები, ღამის კოშმარები, ძილის დარღვევები, სხვადასხვა სახის ფობიები და ა.შ.

აღნიშნულ თემაში, ჩვენი მიზანი არ გახლავთ პიროვნების თეორიების მიმოხილვა, მაგრამ არ შეიძლება არ შევეხოთ პიროვნების სოციოკულტურული თეორიის ფუძემდებლის, ზ.ფროიდის მოსწავლის კარენ ჰორნის უაღრესად საინტერესო შეხედულებებს, რომლებიც ეხება ადამიანის ბავშვობის განცდებს პიროვნების სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. მიუხედავად ძირითადი პოზიციების ერთობისა, ზ.ფროიდსაც და კ.ჰორნსაც, განსხვავებულად ესმოდა პიროვნების ფორმირების თავისებურებები. ჰორნის თანახმად, პიროვნების განვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ბავშუსა და მშობლებს შორის სოციალური დამოკიდებულება. კ. ჰორნის მიხედვით, ბავშვობისათვის დამახასიათებელია ორი მოთხოვნილება: დაკმაყოფილება და უსაფრთხოება, დაკმაყოფილება მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ბიოლოგიურ საჭიროებას, ხოლო უსაფრთხოება გულისხმობს იმას, რომ ბავშვმა აუცილებლად უნდა იცოდეს რომ ის უყვართ, ის უნდათ და ის ნამდვილად არის დაცული საფრთხისა და მტრული სამყაროსაგან. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოთხოვნილება

მინიმალურ დონეზე მაინც არ არის დაკმაყოფილებული, ბავშვს უყალიბდება ცხოვრებისადმი ბაზალური მტრობის განწყობა ანუ ბაზალური შიშები, რომელიც აღმოცენდება პიროვნებათშორისურთიერთობებში, განსაკუთრებით, უსაფრთხოების გრძნობის არარსებობის შედეგად. შესაბამისად, ჰორნის მიხედვით, ბავშვობის ასაკში გამოხატული ბაზალური შიში მოზრდილობაში ხდება ნევროტული ქცევების წინაპირობა.

როგორ დავიცვათ საკუთარი შვილები ფსიქოლოგიური ძალადობისაგან? უპ. ყ. ვეცადოთ, შევამციროთ სტრესი ჩვენს ცხოვრებაში. როგორი წარუმატებელი პერიოდიც არ უნდა გვექონდეს ცხოვრებაში, ეს არ არის ბავშვის ბრალი. ნუ გადავებრალებთ საკუთარ წარუმატებლობას ბავშვს და თუ თავად ვერ ვუმკლავდებით პრობლემას, მივმართოთ სპეციალისტს, რომელიც დაგვიდგენს სტრესის მიზეზს; ბავშვმა აუცილებლად უნდა იცოდეს რომ ის უყვართ. ის ამაში ნამდვილად, 100%-ით უნდა იყოს დარწმუნებული, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მან რაღაც დააშავა და ის დაისაჯა. ვასწავლოთ მათ მარცხთან გამკლავება და პრობლემებთან ურთიერთობისას, ახალი შესაძლებლობების დანახვა; არ დაგვაავინყდეს, რომ ბავშვები ისევე იმსახურებენ პატივისცემას, სიყვარულს, პოზიტიურ დამოკიდებულებას, როგორც უფროსები. ვეცადოთ ყოველთვის გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და პატივი ვცეთ მათ გრძნობებს და ღირსებას!

და ბოლოს, რა არ უნდა გააკეთონ მშობლებმა არასოდეს:

1. არ გამოიყენოთ მუქარა და ტერორი და არასოდეს არ დაამციროთ ისინი არც მარტო და არც მეგობრების თანდასწრებით!
2. არასოდე არ მოსთხოვოთ ბრმა მორჩილება!
3. არ ნაუყენოთ ასაკისათვის შეუფერებელი მოთხოვნები, რამეთუ მაღალი მოლოდინები და მათი ვერ გამართლების შიში, დათრგუნავს მათ და შექმნის სტრესულ სიტუაციას!
4. არ გამოიყენოთ ისეთი მეთოდები, რითაც დაარწმუნებთ მათ საკუთარ „ცუდობაში“!
5. გახსოვდეთ – ბავშვი არ არის თქვენი მონა, ხოლო თქვენ არ ხართ მონათმფლობელი!
6. გამოძებნეთ ბავშვთან საურთიერთობო დრო, როგორი დაკავებულიც არ უნდა იყოთ!
7. მოარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს ოჯახში! ნუ აჩვენებთ მას, თუ მისთვის ორი ძვირფასი ადამიანი როგორ აყენებს ერთმანეთს შეურაცხყოფას! მას ეს არ დაუმსახურებია!
8. გახსოვდეთ, მშობლების სისასტიკე ბადებს შვილების სისასტიკეს.
9. და ბოლოს! გიყვარდეთ საკუთარი შვილები უპირობოდ, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე! მიიღეთ იგი ისეთი, როგორიც არის!

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, გაცილებით დიდი და სერიოზული ზიანის მომტანია როგორც მოზრდილებისათვის, ისე ბავშვებისათვის, რომლის შედეგადაც „მსხვერპლს“ ეკარგება საკუთარი თავის რწმენა, ეჭვი ეპარება საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადექვატურ აღქმაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Орлов А. Б. Психологическое насилие в семье – определение, аспекты, основные направления оказания психологической помощи/Психолог в детском саду. 2000, №2.
2. Стивен хассен Освобождение от психологического насилия издательства „ прайм-еврознак“(СПБ)
3. http://ru.wikipedia.org/wiki/Психологическое_насилие
4. <http://www.e-mielenterveys.fi/ru/vaikeat-elamantilanteet>

ნანა გოგიჩაშვილი

ფსიქოლოგიური ძალადობის მახასიათებლები რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ფსიქოლოგიური ძალადობის არსებითი მახასიათებლები, როგორც მოზრდილობის, ისე ბავშვობის ასაკში. კერძოდ, ფსიქოლოგიური ძალადობის მიზნები, მიზეზები, ფორმები, შედეგები და პრევენციული ღონისძიებები.

მოზრდილ ასაკში ფსიქოლოგიურ ძალადობას (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას) ადამიანი მიჰყავს ფსიქოლოგიურ ტრავმამდე და იწვევს შფოთვას, დეპრესიას და პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას. შედეგად, მსხვერპლს ეკარგება საკუთარი თავის რწმენა, ეჭვი შეაქვს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადექვატურად აღქმაში. ძალადობის ეს ფორმა დამახასიათებელია ძალაუფლების დისბალანსის სიტუაციებში.

რაც შეეხება ბავშვობის ასაკში ფსიქოლოგიურ ძალადობას, იგი გამოიხატება ბავშვისადმი მუდმივი კრიტიკით, ღია ანთიპათიით, მუქარით, მისი ადამიანური ღირსებების დამცირებითა და უარყოფით, ფიზიკური და სოციალური იზოლაციით და ა.შ.

Nana Gogichashvili

The Features of Psychological Violence Summary

The article deals with the essential features of violence in adults as well as at the age of childhood. The reasons, objects, forms, results and preventative measures of physiological violence. The psychological violence in adults (assault, blackmail, balling, threats and other actions which cause to the violations of human dignity) and leads one to the psychological injury, depression and post-traumatic stress disorder. As the result, the victim loses faith of himself, have suspicious in her own intellectual abilities and the addictive perception of the reality.

This form of violence is characteristic to power imbalance situations.

The psychological violence at the age of childhood is expressed by the constant criticism of the child, open antipathy, threat, human dignity violation and denial, physical and social isolation etc.

საქართველოს ევროპული ორიენტაცია XX საუკუნეში (ფიქრები და ფაქტები)

ჩვენ არ შეგვხვებით საქართველოს ევროპული ორიენტაციის უფრო შორეულ პერიოდს, რადგან მოგვწყვეტს ძირითად თემას. საკითხის წარმოჩენას დავინყებთ „საქართველოს თავისუფლების ლიგით“ – ანტირუსული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი სტუდენტური დაჯგუფების მოღვაწეობით, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა თავისი პოლიტიკურ მიზნად დაისახა (ბენდიაშვილი, 86). რა თქმა უნდა, ქართველი ახალგაზრდები კარგად აცნობიერებდნენ, რომ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მასზე უფრო ძლიერი სახელმწიფოს ან სახელმწიფო ჯგუფის საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი და პოლიტიკურ ორიენტაციას დასავლეთ ევროპაზე აკეთებდნენ. მეფის „ოხრანკამ“ ლიგის წევრები სწრაფად დააპატიმრა, მაგრამ ევროპასთან ასოცირების იდეა არ მომკვდარა და მან განაგრძო არსებობა.

XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერებული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია საქართველოს განვითარებას უკვე უკავშირებდა პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებას და საქართველოს ამ გაერთიანების წევრად მოიაზრებდა. სოციალ-დემოკრატები ვარაუდობდნენ, რომ პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობა დასავლეთს და აღმოსავლეთს გააერთიანებდა და შეიქმნებოდა ერთიანი მსოფლიო პროლეტარული რესპუბლიკა.

მაგრამ არსებობდა ჯგუფი ქართველი პატრიოტებისა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ XX საუკუნის დასაწყისში ევროპულ ქვეყნებს შორის ინტერესთა დაპირისპირება, კომფლიქტის შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობას რეალურს გახდიდა. ამ გარემოებაში მთავარ მნიშვნელობას იძენდა ქართველების მხრიდან სწორი პოლიტიკური ორიენტაცია, არსებულ დაპირისპირებაში შესაძლო გამარჯვებულის წინასწარ განჭვრეტა და მასზე გათვლილი პოლიტიკის შემუშავება.

ინტერესთა ერთობლიობამ XX საუკუნის დასაწყისში დაანყვილა დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და საფრანგეთი. აქედან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის მხარდაჭერა მხოლოდ გერმანიის იმპერიას და მის მოკავშირეებს შეეძლოთ. ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფის ორიენტაცია გერმანიასა და მის მოკავშირეებზე შეჩერდა. ანტირუსული აჯანყების მომხრეები მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი შეხვდნენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს და მიიღეს დაპირება. სამართლიანად არის შემჩნეული, რომ „ქართველი მოღვაწეების მიზანი იყო გერმანულენოვანი საყაროს და თურქეთის პოლიტიკურ წრეებში შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმის არსებობის სამართლებრივი საფუძვლებისა და მისი ნეიტრალიტეტის საჭიროების შესახებ“ (პაიჭაძე, 113).

ანტირუსული აჯანყების მომზადების იდეა და მისი ხორცშესხმა მეტად საშიში გზა იყო, რადგან მეფის მთავრობას შეეძლო შეთქმულების მონაწილენი და მათთან ერთად ქართველი ხალხიც კი. გერმანიის აგენტებად გამოეცხადებინა, დაებრალებინა ლალატი და მკაცრად დაესაჯა (მაგალითად, მსგავსი იმისა, რაც თურქებმა მოუწყვეს სომხებს 1915 წელს).

მეტად ყურადსაღებია ა. ბენდიანიშვილის სამართლიანი მითითება, რომ „პირველი მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო ცხადი გახდა საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა, ქართველი ერის გაორებული განწყობილება და მოქმედება. იმ დროს, როცა ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი, ათიათასობით ჯარისკაცი რუსების გვერდიგვერდ იბრძოდნენ დასავლეთსა და მცირე აზიის ფრონტებზე, ეროვნული მიმართულების პარტიებსა და განთავისუფლების კომიტეტში ორგანიზებული ინტელიგენცია, თანამგრძნობი საზოგადოება ანტირუსულ აჯანყებას ამზადებდა. ამ გაორების აღმოფხვრა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული“ (ბენდიანიშვილი, 162).

ანალოგიური ვითარება შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის წლებშიც. ვფიქრობთ, რომ ასეთ ვითარებაში ისტორიული ფაქტის შეფასებისას უნდა განისაზღვროს თუ რომელ მსოფლიო პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს პოლიტიკური დაჯგუფება, ვისთან დგას და რა მიზნები ამოძრავებს მას. თუ პირველი მსოფლიო ომის დროს კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარე იბრძოდა იმპერიალისტური მიზნების რეალიზებისათვის, ახალი ტერიტორიებისა და რესურსების ხელში ჩასაგდებად, მეორე მსოფლიო ომის მიზნები კიდევ უფრო დრამატული და ტრაგიკული იყო: ზემოთ აღნიშნულს დაემატა მსოფლიოზე ბატონობის რასისტული იდეოლოგია, რაც ნაცისტურ გერმანიას განსაკუთრებით ოდიოზურსა და საშიშს ხდიდა. თუ ამ მიზნის მიღწევაში სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ხალხები მას დაეხმარებოდნენ, გერმანია აშკარად და სიამოვნებით გამოიყენებდა მათ შესაძლებლობებს რუსეთის წინააღმდეგ და ამისათვის მათ დამოუკიდებლობის აღდგენასაც დაპირდებოდა.

ა. ბენდიანიშვილის მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის წლებში ქართველების ისტორიული ბედის ტრაგიკულ გაორებაზე კიდევ უფრო დრამატულ სახეს იღებს: 700 000 საქართველოს მოქალაქე წითელი არმიის რიგებში საბჭოთა სისტემისა და სტალინის რეჟიმის გადარჩენისათვის იბრძოდა, რამდენიმე ათეულ ათასი კი ჰიტლერის დროშის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მცდელობას არ აკლებდა. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა უკვე ისტორიის ლოგიკას და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პრიმატს ეკუთვნის. იმჟამად მსოფლიოს პროგრესული განვითარება სწორედ „დიდი სამეულის“ ქვეყნების – აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის – მონოლითურ ერთიანობაზე იყო დაფუძნებული, ამიტომ ყველაფერი ის, რაც ამ ერთობას დაასუსტებდა და დაარღვევდა, უნდა განიხილებოდა როგორც კაცობრიობის პროგრესის წინააღმდეგ მიმართულ ქმედება. სწორედ ამაშია XX ს. 40-იანი წლების ქართველი, პროგრესმანულად მოაზროვნე პოლიტიკოსების შეცდომის სათავე, რადგან დასავლეთში გადახვეწილი ქართველების დიდი ჯგუფი კვლავ გერმანიის საშუალებით ცდილობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ჰიტლერის სამხედრო წარმატებებზე ამყარებდა იმედს. მსგავსი მოსაზრებები ჰქონდათ საქართველოში სტუდენტი ახალგაზრდობის ერთ ჯგუფსაც (ბობლიანიშვილის გაერთიანება, უნივერსიტეტის ჯგუფი და ა.შ.). ისინი ძალიან მალე დააპატიმრეს და სასტიკად დასაჯეს.

ისტორიული პროცესის ლოგიკამ მაინც დაგვანახვა, რომ რასაც ადოლფ ჰიტლერი და ფაშისტური გერმანია ცეცხლითა და მახვილით 40-იან წლებში აპირებდა (გაენადგურებინა საბჭოთა კავშირი, დაეშალა და დაესუსტებინა რუსეთი, მთლიანად მოესპო „პან-სლავისტური“ იდეა და პრაქტიკა), ამ განზრახვის ასრულებას მსოფლიოს წამყვანმა დემოკრატიულმა ქვეყ-

ნებმა უზარმაზარი პოლიტიკური ძალისხმევა და მატერიალური რესურსი დაახარჯეს. უკვე XX საუკუნის დასასრულს, 90-იან წლებში, ჰიტლერის ჩანაფიქრი სხვა მიზეზებით და სხვა მიზნებით მაინც განხორციელდა. დღეს უკვე აღარ არსებობს საბჭოთა კავშირი, არც „პანსლავისტური“ ერთიანობიდან დარჩა რამე...

ქართველი ხალხის დასავლური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ეტაპია 1918-1920 წლები. გარემოებათა აუცილებლობით, საქართველო „დე ფაქტო“ დამოუკიდებელი აღმოჩნდა და ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების წინაშე კვლავ დადგა პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. რუსეთის რევოლუციის მადიდებელი პოლიტიკური მიმართულება, რომლის ლიდერები რუსეთის სათათბიროს, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა და დროებითი მთავრობის ხელმძღვანელები და ლიდერები იყვნენ (კ. ჩხეიძე, ნ. ჟორდანიას, ი. წერეთელი და სხვ.), უკვე საქართველოში დაბრუნებულები და ბოლშევიკების მიმართ გადაულახავი წინააღმდეგობში ჩავარდნილნი, კვლავ ევროპისკენ იყურებიან და მასზე ამყარებენ იმედს.

მაგრამ ევროპა კვლავ ორად იყო გაყოფილი და, როგორც ისტორიამ აჩვენა, მოკლე და გაურკვეველი პერსპექტივიდან გამომდინარე, ქართველმა პოლიტიკოსებმა კვლავ გერმანიის სამხედრო დაჯგუფებაზე აიღეს ორიენტაცია. ამის შესახებ ბოლშევიკური გაზეთები იმჟამად წერდნენ: „ყველაზე მკაცრი დარტყმა კავკასიის მშრომელი მასებისათვის იყო კავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან. ყველას კარგად ესმის, რომ რუსეთისაგან ჩამოცილება ნიშნავს გერმანია – თურქეთის მონობას“ (გაზ. „Правда“).

გერმანიის სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებას ეწინააღმდეგებოდა „ანტანტაც“. პირველ მსოფლიო ომში გერმანელების დამარცხების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსი, ლონდონის ხელისუფლება ბოლომდე მაინც არ ენდობოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს და მათგან ევროპული ორიენტაციის გამოხატვას მოითხოვდა. ეს ნიშნავდა „ანტანტის“ მცდელობისათვის (აკვანში გაენადგურებინა ბოლშევიზმის საფრთხე) მხარდაჭერას და გაერთიანებას დენიკინთან.

ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა ინგლისის მისიის წარმომადგენლებთან ევგენი გეგეჭკორისა და ნოე რამიშვილის შეხვედრის დროს 1919 წლის 23 მაისს. ამ შეხვედრაზე გენერალმა ბრიგსმა ქრთულ მხარეს არაორაზროვნად ურჩია: „ინგლისელები და იტალიელები ნავლენ, რუსეთი კი დარჩება. ამიტომაც მასთან უნდა იყოთ კარგ ურთიერთობაში და აი ჩემი რჩევა – დათმეთ თქვენი თავმოყვარეობა, გაუწოდეთ დენიკინს ხელი და უთხარით მას: „ჩვენ ვართ თქვენთან“. ხომ ცნობილია, რომ პატარა სახელმწიფოები ძალიან სუსტები არიან, მათ შორის მტრობა კი არ უნდა იყოს, არამედ ისინი უნდა გაერთიანდნენ“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი).

ინგლისის მისიის წარმომადგენლები: გენერალი ბრიგსი, გენერალი უოკერი, ცნობილი დიპლომატი ოლივერ უორდროპი ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს ხელისუფლების გადაყვანას დენიკინთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმზე. არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ მოკავშირეთა ინდიფერენტიზმი საქართველოსა და ქართული დელეგაციის მიმართ პარიზის საზავო კონფერენციაზე 1919 წელს, გარკვეულწილად, გამოწვეული იყო იმითაც, რომ ქართველები არ თანხმდებოდნენ დენიკინთან სამხედრო თანამშრომლობას, ანუ არ ეხმარებოდნენ „ანტანტის“ ქვეყნებს ბოლშევიკური საფრთხის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა ორიენტაცია და დენიკინთან საქმის მოგვარების ნაცვლად ხელშეკრულება გააფორმა (1920 წლის 7 მაისს) საბჭოთა რუსეთთან, რამაც დაასამარა კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ევროპას კი თითიც არ გაუნძრევია საქართველოს დასაცავად.

ევროპაში გადახვენილი ქართველი პოლიტიკოსები ბევრს ეცადნენ დაეინტერესებინათ ევროპა საქართველოს ბედით, მაგრამ იმჟამად ევროპას ნამდვილად არ ეცალა საქართველოსათვის. ევროპამ ამჯერადაც „გადაყლაპა“ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია.

ევროპამ არც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ შეინუხა თავი საქართველოსთვის ზრუნვით. პირიქით, სწორედ 1924 წლის ოქტომბერში საფრანგეთმა ოფიციალურად ცნო საბჭოთა კავშირი, ე.ი. აღიარა საქართველო მის შემადგენლობაში. ევროპის ლიდერებზე გულაცრუებულმა ზოგიერთმა ქართველმა გადასინჯა თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, ხოლო ცნობილ ქართველ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს ირაკლი წერეთელს შემდეგი სიტყვებიც კი ათქმევინა: „ქართველმა ხალხმა კარგად უნდა შეაფასოს თუ როგორ ეპყრობა მას ევროპა და ის როლიც, რასაც მის ცხოვრებაში ასრულებს რუსეთი... თუკი საქართველო ააშენებს თავის პოლიტიკას ასეთ კონფლიქტებზე, თუკი ის რუსეთს მისცემს საფუძველს, რომ რუსეთის ყოველ საგარეო პოლიტიკური გართულების შემთხვევაში საქართველოს მას დაუპირისპირებს ხრიკებს, ეს აამხედრებს საქართველოს წინააღმდეგ არა მარტო ბოლშევიკურ, არამედ ყოველგვარ რუსეთს და ვინ იცის რა ბედს გაუმზადებს საქართველოს ასეთი პოლიტიკა. ევროპა კი ასეთ პოლიტიკას ავანტურად ჩათვლის“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი. .).

დღეს, ამ სიტყვების წარმოთქმიდან თითქმის 90 წლის შემდეგ, აშკარაა გამოცდილი პოლიტიკოსის სიტყვების ცხოველყოფილობა და დღევანდელი საქართველოს სერიოზული საგარეო – პოლიტიკური პრობლემები, ბევრ შემთხვევაში, სწორედ ი. წერეთლის ანალიზში მოტანილი დასკვნების უგულვებელყოფამ გამოიწვია.

ევროპაში გადახვენილი ქართველი პოლიტიკოსები ბევრს მუშაობდნენ, ეძებდნენ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს, ეყრდნობოდნენ დასავლეთ ევროპის გამოცდილებას. ამ მხრივ საინტერესოა მიხაკო წერეთლის მოსაზრება საქართველოს კანტონალური მონყობის შესახებ, რაც მთლიანად შვეიცარულ გამოცდილებას ეფუძნება. მისი აზრით, კანტონალური მართვის სისტემა ოპტიმალურია მრავალეთნიკური ქვეყნისათვის და ის ჩინებული მოდელი შეიძლება გამხადარიყო საქართველოსათვის. იგი წერდა: „პოლიტიკური აგებულება საქართველოსი ავტონომიურ კანტონთა კავშირი უნდა იყოს, საქართველოს ყოველ კუთხეს უნდა მიეცეს საშუალება საკუთარი ცხოვრება თვით მოაწყოს“ (გაზ. „თეთრი გიორგი“ . .).

მ. წერეთლის ეს იდეა დღეს ბევრისთვის მიუღებელია საქართველოში. ეს ნათლად ცხადყო 2005 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა დისკუსიამ, როცა ქართველმა ისტორიკოსებმა, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოსთვის საუკეთესო მოდელად აღიარეს უნიტარული სახელმწიფო („ანალიზი“ . . , 5).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოში ლეგალურად პროდასავლური ორიენტაცია ამოიძირკვა და რუსეთთან ისტორიული ურთიერთობის მნიშვნელო-

ბის აქცენტირება გახდა პროპაგანდის ძირითადი საფუძველი. ამ პროპაგანდამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს ათქმევინა შემდეგი სიტყვები – „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდაო“. ამ სენტენციამ ქართველი ინტელიგენციის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია.

საბჭოთა სისტემის კრიზისის პირობებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები გამორჩეულ ყურადღებას, რა თქმა უნდა, დასავლეთის პოლიტიკურ მხარდაჭერას აქცევდნენ. ეს ბუნებრივიცაა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ევროპის დაახლოების სწრაფი პროცესი, ევროპა მაასტრიხტის გზით ერთიანობისაკენ მიდიოდა და რუსეთს შანს აღარ უტოვებდა ევროპის ტრადიციული გათიშულობა რაიმენაირად თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პირიქით, გათიშვის და შინაგანი დაპირისპირების გამო მთლიანად დაიშალა სოციალისტური ბანაკი და კომუნისტური იდეოლოგიაც.

ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აშკარად შეიმჩნეოდა ევროპის და ევროპულის კურსის ორგვარი აღქმა: ზვიადისტური მიმართულების მიერ „დემოკრატიული ევროპისა და დემოკრატიული ფასეულობების“ ფორმალური აღიარება და მაასტრიხტის პროცესის რადიკალურად მიუღებლობა, მისი გამოცხადება „მასონთა გამარჯვებად“ და აქედან გამომდინარე ამ პროცესის სასტიკი კრიტიკა და მისი უგულვებლყოფა; და მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის მეორე ფრთა, რომელიც ევროპასთან არა ფორმალურ-ფრაზეოლოგიური, არამედ ფაქტობრივ და მჭიდრო კავშირს, ნამდვილ დემოკრატიულ ორიენტაციას მოითხოვდა საქმით და არა ფრაზით (ი. ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სახალხო ფრონტი და ა.შ.).

სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში 1991 წელს სწორედ ამ პრობლემის გამოც მოხდა, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს ევროპული ღირებულებებისადმი დამოკიდებულების საკუთარი, რადიკალურად განსხვავებული კრიტერიუმები ჰქონდათ.

ვინ იყო მართალი ამ დაპირისპირებაში – ეს თვითონ ევროპას უნდა გადაეწყვიტა. ის რომ ევროპამ არ ცნო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება და ცნო ახალი, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით მოსული რეჟიმი, გარკვეულ კანონზომიერებაზე მიუთითებს. იმჟამად ე. შევარდნაძე და მისი პოლიტიკური გუნდი დასავლევთ ევროპასა და აშშ-ში დემოკრატიის მნიშვნელოვან დასაყრდენად მიაჩნდა.

აი რა განაცხადა საქართველოში ჩამოსულმა გერმანიის ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. გენშერმა: „საქართველო მუდამ იყო ორიენტირებული ევროპაზე, ორჯერ საქართველოს მწარედ გაუცრუვდა იმედი, როცა მხარადაჭერას ელოდა ევროპის ქვეყნებისაგან. მესამედ ასეთი რამ აღარ მოხდება.“ („საქართველოს რესპუბლიკა“. .). თითქოს მართლაც, დამოუკიდებლობის თითქმის ოცნლიანი მონაკვეთი საქართველომ ევროპასა და აშშ-თან ინტეგრაციის მიმართულებით გაიარა, უდიდესია დასავლეთის დახმარების მასშტაბები ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესში, ამის დავინყება არ შეიძლება. მაგრამ ე. შევარდნაძის პერიოდში ეს ურთიერთობა მაინც გარკვეულწილად დაბალასებული იყო – ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი შეხამებული იყო დსთ-ში თანამშრომლობასთან. ამ პოლიტიკას როგორც ტრადიციული ისტორიული საფუძველი, ისე რეგიონში შექმნილი ვითარების ობიექტური აღქმაც ედო საფუძვლად.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ დასავლეთისკენ პოლიტიკური ორიენტაცია თვითმიზნად გამოაცხადა და ამით უარი თქვა დაბალანსების ტრადიციულ პოლიტიკაზე. მის ამ სურვილებს თანაუგრძობდნენ დასავლეთის ცნობილი პოლიტიკოსებიც. მაგალითად, ჰავიერ სოლანამ 2004 წლის იანვარში განაცხადა: „საქართველოს ევროკავშირში განწევრიანება რეალურია“ („რეზონანსი“, 2004, 16 იანვარი).

საქართველოს გაზეთები მოსახლეობას ახალისებდნენ ანშლაგებით: „ახლო მომავალში ეროკავშირმა საქართველო შესაძლოა ე.წ. ფართო ევროპის სრულუფლებიან წევრად მიიღოს“., „საქართველო ნატოს წევრობის კანდიდატი ხდება“ და ა.შ. („რეზონანსი“, 2004, 23 იანვარი, 9 ივნისი).

რა თქმა უნდა, ასეთი ოპტიმიზმისათვის რეალური საფუძველი არ არსებობდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, რაც დრო გადიოდა და თავისი ანტიდემოკრატიული საქმიანობით სულ უფრო და უფრო შორდებოდა ნატოში მიღების შესაძლებლობებს, ბავშური სიჯიუტით სულ უფრო და უფრო აძლიერებდა ნატოში განწევრიანების სურვილის პროპაგანდას.

ახლა ვნახოთ, როგორი იყო დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რ. ასმუსი თავის გახმაურებულ წიგნში ამ საკითხსაც ეხება: „... მაგრამ დასავლეთი ამას (საქართველოს ინტერესებს – ა.დ.) ნაკლებად ითვალისწინებდა“, „დასავლეთის მხრიდან ამის აღმკვეთი (რუსეთის აგრესიის – ა.დ.) არანაირი სტრატეგია არ იხილებოდა და საქმე ფუჭსიტყვაობის იქით არ მიდიოდა“ „ამ დროს არ არსებობდა არანაირი დასავლური სტრატეგია, რაც საქართველოს ამ ქმედებათა თანმდევი საფრთხეებისაგან დაიცავდა“; „აშშ-მ და ევროკავშირმა, მოსკოვის მუქარა – კოსოვოს აღიარების შემთხვევაში საქართველოს სანინააღმდეგო ნაბიჯებს გადავდგამო, არად ჩააგდეს“; „დასავლეთს არანაირი სტრატეგია არ გააჩნდა საქართველოს დასაცავად...“; „ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისის იმედად და საყრდენად ევროკავშირი რჩებოდა, იქ კი აზრთა სხვადასხვაობა იყო და ყველა ერთნაირად არ მიესალმებოდა საქართველოს დასავლეთში დაუყოვნებლივ ინტეგრაციას“ (ასმუსი, 97 -209).

საინტერესოა ნატოს სამხედრო ორგანიზაციის შესახებ გამოთქმული იმავე ავტორის შეხედულებები: „...ატლანტის ოკეანის არც ერთ სანაპიროზე არ არსებობდა ის ძალა, რომელსაც ერთი დამაჯერებელი ხმით შეეძლო ელაპარაკა“; „როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ – ჰქონდათ ფორმალური კონსულტაცია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში, უთხრეს – ეს თემა საერთოდ არ წამოეწიათ წინ, რადგან ალიანსი ამგვარ საქმეებში (ე.ი. საქართველოს ინტერესების დასაცავად – ა. დ.) მონაწილეობას არ აპირებდა. აგვისტოს დასაწყისში, ომი რომ დაიწყო, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ სულ ერთი შეხვედრა მოიწვია და ერთადერთი განცხადებით შემოიფარგლა“ (ასმუსი, 160-172).

ანალოგიურად იქცეოდა ჩვენი უპირველესი სტრატეგიული მოკავშირე – ამერიკის შეერთებული შტატებიც. რ. ასმუსის ცნობით, საქართველოს ხელისუფალთა თხოვნაზე, რომ რუსეთის სავარაუდო საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად სტინგერის ტიპის რაკეტები მიეშველებინა, ვაშინგტონმა უარი განაცხადა. „ორშაბათს, 11 აგვისტოს, უახლოესი გარემოცვის შეხვედრაზე ჰედლიმ, ჩარევის გეგმის სამხედრო ვარიანტიც გააცნო პრეზიდენტს (ჯ. ბუშ უმცროსს – ა.დ.) და ვერავითარი დადებითი გამოცხადება ვერ შენიშნა...“ (ასმუსი, 205).

ამრიგად, ჩვენ დასავლეთისკენ მივისწრაფით – ისინი კი, დაპირების მიუხედავად, ფეხს ითრევენ, რუსეთს კვლავ ანგარიშს უწვენენ...

როცა საქართველოს დასავლურ ორიენტაციაზე ვფიქრობ, სულ ერთი ფაქტი მიტრიალებს თავში: ცნობილი და ძალიან წარმატებული ქართველი ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც სამშობლოში არც აღიარება აკლდა, არც კინო თუ თეატრალური როლები, ჰოლივუდში გადაიხვეწა და ცნობილი ამერიკელი მსახიობებით გაჯერებულ ფილმებში ეპიზოდურად ხან რუს ჯარისკაცს, ხან კი რუს მაფიოზს თუ განგსტერს ასახიერებს.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კვირაძალზე არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რითი მივდივართ დასავლეთში, რა მიგვაქვს, რითი უნდა გავაოცოთ ჩვენი ახალი მეგობრები და პარტნიორები: დღეს ხომ საქართველოში აღარც ეკონომიკაა, აღარ მეცნიერება და კულტურული მიღწევები, სამაგიეროდ გვყავს გაღიზიანებული და დაზაფრული მოსახლეობა, დაბინძურებული ეკოგარემო, მსოფლიოში დაფანტული ქართული დიასპორა... არ მასვენებს კითხვა: – ხომ არ ემუქრება საქართველოს ცნობილი ქართველი მსახიობის ბედი? რას ვაკეთებთ დღეს, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპის ხალხთა თანამეგობრობაში. ეს პრობლემები ახლო მომავალში თავის დადებით გადაწყვეტას ელის. მხოლოდ მაშინ იქნება ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა ორმხრივ ნაყოფიერი და სასარგებლო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასმუხი რ. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010.
2. ბენდიანიშვილი ა. საქართველოს თავისუფლების ლიგა, იხ. საქართველოს ისტორია, ტ. IV, თბ., 2012.
3. პაიჭაძე დ. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, „ანალები“, N1, 2000.
4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1863, აღ. 1. ს. 726, ფურც. 7
5. საქართველოს პრეზიდენტის არქივი,... ფ. 14, აღ. 2, ს.28, ფურც. 268.
6. გაზ. „თეთრი გიორგი“, 1930 წ. N32, სექტემბერი.
7. გაზ. „Правда“, 1928 წ. 28 ივნისი.
8. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 14 აპრილი.
9. გაზ. „რეზონანსი“, 2004 წ. 16 იანვარი.
10. გაზ. „რეზონანსი“, 2004 წ. 23 იანვარი; გაზ. „რეზონანსი“, 2004 წ. 9 ივნისი.
11. ჟურნალი „ანალები“, 2005 წ. N1.

ალექსანდრე დაუშვილი

საქართველოს ევროპული ორიენტაცია – XX საუკუნე

(ფიქრები და ფაქტები)

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია XX საუკუნის მანძილზე საქართველოს საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება საქართველოს ევროპული ორიენტაციის პრობლემისადმი – დანყებული სტუდენტური „საქართველოს თავისუფლების ლიგით“. საქართველოს სოციალ-დემოკრატიით, დამთავრებული ეროვნული სულისკვეთების პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან გამოთქმული მოსაზრებებით.

შემჩნეულია, რომ XX საუკუნის დასაწყისში ევროპის გათიშულობა სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკებად, მათი ინტერესთა დაპირისპირება გარკვეულწილად პრობლემებს უქმნიდა საქართველოს პოლიტიკურ ელიტას ევროპული ორიენტაციის დროს.

როცა მოხდა ევროპის ერთიანობის იდეის აღიარება და გაფორმდა მასტრიხტის ხელშეკრულება, ამ იდეის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა: ზვიად გამსახურდიას დაჯგუფება ამ გაერთიანებას „მასონთა გამარჯვებად“ მიიჩნევდა, ეროვნული-მოდრაობის მეორე მიმართულება (ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სახალხო ფრონტი და სხვ.) მიესალმებოდა მას და მასთან ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოს მომავალი განვითარების საფუძვლად მიაჩნდა. საქართველოში იყო ევროპასა და რუსეთს შორის „დაბალანსების“ პოლიტიკური მიმართულებაც (ე. შევარდნაძის პოლიტიკური დაჯგუფება). ამ პოლიტიკას აშკარად დაუპირისპირდა მ. სააკაშვილის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელმაც დასავლური ორიენტაცია სახელმწიფოს ძირითად საფუძვლად მიიჩნია, თუმცა მხოლოდ ფრაზით, რადგან მის მიერ განხორციელებული საშინაო პოლიტიკა საქართველოს არ უტოვებდა ევროპულ სტრუქტურებში დროულად განევრიანების არავითარ შანსს. ეს სათავესოდ გამოიყენა (ან შესაძლებლობა მისცეს გამოეყენებინა!) რუსეთმა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, რითაც გააძნელა საქართველოს სვლა დასავლეთისაკენ.

საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს დაბალანსების ტრადიციული პოლიტიკა, რაც სიძნელეებთან არის დაკავშირებული თანამედროვე პირობებში რუსეთის აგრესიულობის ზრდისა და დასავლეთ დემოკრატიული ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური უსუსურობის ფონზე.

Alexander Daushvili

European Orientation of Georgia – 20th Century (Ideas and Facts)

Summary

The attitude of the different groups of the Georgian society towards the problem of European Orientation of Georgia during the 20th century is revealed in the present work – starting with the students’ “League of Liberty of Georgia”, Georgian Social –Democracy and ending with the ideas expressed by the representatives of the nationally minded political parties. It is not a secret that at the beginning of the 20th century the split of Europe into the military and political camps and conflict of interests appeared to be a problem for the Georgian political elite during the European orientation course. The above mentioned is observed in the political emigration of Georgia during the World War II.

When the idea of the European integration was recognized and the Maastricht Treaty was made, Georgia developed mixed feelings on that matter: The grouping of Zviad Gamsakhurdia considered this Alliance a “victory of the Masons”, another political line of the national movement (Chavchavadze Society, National Democratic Party, People’s Front etc.) welcomed that Alliance and regarded cooperation with it a basis for the future progress of Georgia. The political orientation of balance was also presented in Georgia (Political grouping of E. Shevardnadze). Political grouping of M. Saakashvili openly opposed the balance policy and announced the western orientation of Georgia was the main foundation of the State, though only verbally, as the inner policy did not leave any chance of timely integration into the European structures. Russia turned all this to its personal advantage (or it was given such a possibility) and opposed to the European orientation of Georgia with military aggression and occupied territories of Georgia and hindered the course of Georgia towards the West.

New Government of Georgia tries to restore the traditional policy of balance. This naturally, is connected with certain difficulties in the modern situation due to the increased Russian aggression and military and political weakness of the Western Democratic countries.

ქართველი მეცნიერები ემიგრაციაში 1920-30-იან წლებში

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილთა შორის იყვნენ მეცნიერები. ემიგრაციაში აღმოჩნდა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე არაერთი სტუდენტი. მათი პატრონობა და მეცნიერული დაოსტატება დაკაშირებულია ექვთიმე თაყაიშვილის სახელთან. 1921 წლის 19 ივლისს მისი ინიციატივითა და თავმჯდომარეობით შეიქმნა „სტუდენტთა დამხმარე კომიტეტი“. შედგა სია, სადაც აღწერული იყო ყველა სტუდენტის მონაცემი. ირკვევა, რომ იმ დროს აგრონომიულ, იურიდიულ, სამედიცინო, ეკონომიკურ, კომერციულ, სავაჭრო, საფინანსო, კოოპერაციულ, ელექტროტექნიკურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ, ფილოლოგიურ, სატყეო, სატრანსპორტო, სამშენებლო ფაკულტეტებზე 97 სტუდენტი სწავლობდა (92 ვაჟი და 5 ქალი). სიებში მითითებული იყო სტუდენტის დაბადებისა და საშუალო სასწავლებლის დამთავრების წლები, ადგილი; სად და რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, რომელი წლიდან, როდის დაამთავრებდა, რა სახსრებით არსებობდა – სტიპენდიით, მშობლების დახმარებით თუ საკუთარი შრომითი შემოსავლით. თითოეულის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, შეიქმნა სტიპენდიაზე წარსადგენ და გაჭირვებულ სტუდენტთა სიები, გამოიყო თანხები (ლევლის. . . 531-535). სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, ხსენებულ პირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი კი ემიგრაციაში დარჩა. მათ შორის იყვნენ შემდგომში მეცნიერების და კულტურის ცნობილი მოღვაწეები: ვიკტორ ნოზაძე, კიტა ჩხენკელი, ძმები ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეები, ვახტანგ ღამბაშიძე, ისიდორე მანწკავა, კირილე ვეკუა, გიორგი გამყრელიძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, მიხეილ მუსხელიშვილი, სიმონ ბერეჟიანი, ნიკოლოზ ჭუმბურიძე, ბარნაბ გელაზანია, შოთა ნიკოლაძე, გიორგი ნაკაშიძე, კონსტანტინე კობახიძე, გიორგი ჯაყელი, დავით ბერეკაშვილი და სხვები.

ათ წელიწადში ემიგრაციაში ახალი თაობა წამოიზარდა. საჭირო იყო მათზე ზრუნვა. 1933 წელს „ლტოლვილთა ოფისის“ დირექტორის მოადგილემ, მდიდარმა ქართველმა და უმდიდრესი ქალის ბარბარა ჰატენის ქმარმა ალექს მდივანმა სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა გადაწყვიტა. კომიტეტმა მას წარუდგინა 72 სტუდენტის სია. სასტიპენდიო კომიტეტში მიიწვიეს ექვთიმე თაყაიშვილი. შეიმუშავეს რეგლამენტი, რომლის მიხედვით, პირველ სხდომაზე განხილვის შემდეგ, შეირჩა საფრანგეთში მოსწავლე 15 სტუდენტი (თაყაიშვილი, 95-96). სტიპენდია დაენიშნა გოგი ჭაჭიაშვილსაც, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა სორბონის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და პროფესორ პაპენისათვის სადოქტორო თემა უნდა ჩაებარებინა (ქართველები საფრანგეთში, 16). ალექს მდივანი შანხაიშიც ჩავიდა და სტიპენდიები იქ მოსწავლე ხარბინელ ქართველ სტუდენტებსაც დაუნიშნა (ალექს მდივანი, 58-59). 1935 წელს იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და სტიპენდიების დანიშვნა – გაცემის საქმე ჩაიშალა. კომიტეტს სტუდენტთა დასახმარებლად დიდი წვალეობა და ხვეწნა-მუდარა უხდებოდა. დაფინანსება კერძო პირებისა და მეცენატების საშუალებით ხდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ კომიტეტის არსებობა შეწყვიტა, ექვთიმე თაყაიშვილს კი ქართულ განძეულთან დაკავშირებით მრავალი თავსატეხი გამოუჩნდა.

1920-30-იან წლებში გერმანიაში მოღვაწეობდნენ ფიზიკოსები – ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები; ქიმიკოსები – კირილე ვეკუა, რაჟდენ რუსიშვილი; ფილოლოგები – გრიგოლ დიასამიძე, ნიკო ნაკაშიძე, კიტა ჩხენკელი; აღმოსავლეთმცოდნე – მიხაკო წერეთელი. საფრანგეთში ისტორია-ფილოლოგიის დარგში მუშაობდნენ ვიკტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, კალისტრატე სალია; იურისპრუდენციაში – მიხეილ მუსხელიშვილი; აგრონომიაში – ვახტანგ ციციშვილი. იტალიაში საქმიანობდნენ საეკლესიო ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი მიხეილ თარხნიშვილი; იურისტი და მთარგმნელი რაფიელ ივანიცკი-ინგილო; „სიმენსის“ ფირმის ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი მიხეილ ყაუხჩიშვილი; ისტორიკოსი შალვა ბერიძე; ინგლისში – ისტორიკოსი ანდრია გუგუშვილი; ბელგიაში – ისტორიკოსი მარკოზ ტულუმი; შვეიცარიაში – იურისტი ლეო კერესელიძე; პოლონეთში – თეოლოგი დეკანოზი გრიგოლ ფერაძე, ფილოლოგი – გიორგი ნაკაშიძე და სხვები.

ევროპის გარდა ქართველი მეცნიერები ამერიკის კონტინენტზეც მოღვაწეობდნენ: საქართველოს ყოფილი კონსული ჩინეთში (მანჯურიაში), ნერვული და ანემიური დაავადებების სამკურნალო ახალი პრეპარატის „ჰემოდინის“ შემქმნელი ექიმი ნიკოლოზ ჯიშკარიანი; ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ბიზანტოლოგი კირილე თუმანიშვილი, ითაკის კორნელის უნივერსიტეტში აგრიკულტურისა და მცენარეთა დაცვის სპეციალისტი პავლე კვარაცხელია, პენსილვანიის უნივერსიტეტში ანთროპოლოგი ალექსანდრე გრიგოლია, არგენტინაში მოღვაწე, ბუენოს-აირესის უნივერსიტეტის იურისტი არჩილ ხაჩიძე, ქიმიკოსი ლეო ჭეიშვილი და სხვა.

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ისტორია-ფილოლოგიისა და ქართველოლოგიის დარგში ევროპაში მოღვაწე 4 მეცნიერზე – მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ანდრია გუგუშვილი, შალვა ბერიძე. მათი ნაშრომების შესახებ სრული ინფორმაცია პირველად გ. შარაძემ შეაგროვა (შარაძე).

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა მოღვაწემ, საყოველთაოდ აღიარებულმა მკვლევარმა, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ფილოლოგმა, პუბლიცისტმა და სოციოლოგმა მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა ემიგრაციის პირველივე წლებიდან განაგრძო აქტიური პოლიტიკური და სამეცნიერო მუშაობა. ის იყო სტამბოლში შექმნილი სამთავრობო კომისიის წევრი, ზეპარტიული პატრიოტული გაერთიანების – „თეთრი გიორგის“ – ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორი და სხვა. რაც შეეხება სამეცნიერო საქმიანობას, მან უკვე 1922 წელს რომში ჟურნალ „ორიენტ მოდერნოში“ იტალიურ ენაზე დაბეჭდა სტატია „შუმერული და ქართული“, 1924 წელს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულ სტამბაში კი ორი წიგნი: ასურულ-ბაბილონური ეპოსის „გილგამეშიანის“ ქართული თარგმანი და „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“. 1928 წელს ჰაიდელბერგის აკადემიამ გერმანულ ენაზე გამოსცა მისი „ქალდეური ენები“. ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა და აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგემ მ. წერეთელმა 1933-35 წლებში ჟურნალში „რევიუ დე ასირიოლოჯი“ დაბეჭდა „ურარტული ეტიუდები“, თუმცა გამოუქვეყნებელი დარჩა რჩეული ურარტული ტექსტები სამეცნიერო აპარატით, ტრანსკრიფციითა და თარგმანებით. ინტენსიური იყო მისი საქმიანობა ქართველოლოგიის დარგშიც. 1933 წელს ბერლინში გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის წიგნის – „სიბრძნე-სიცრუისა“ –

მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანი. იმავე წელს ლონდონში, ჟურნალ „გეორგიკას“ პირველივე ნომერში, რომლის სარედაქციო საბჭოს უცვლელი წევრიც მიხაკო წერეთელი იყო, დაიბეჭდა ქართული წარმართობისადმი მიძღვნილი მისი გამოკვლევა. იმავე პერიოდშია შექმნილი მისი ნაშრომები „ქართლის ცხოვრებზე“, „ბალავარიანზე“, პეტრინისეულ თარგმანზე „ბუნებისათვის კაცისა“, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა.

ემიგრანტ მეცნიერთა შორის იყო თვალსაჩინო ფიგურა ზურაბ ავალიშვილი – იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. მას სახელი გაუთქვა 1901 წელს გამოცემულმა ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომმა „საქართველოს შეერთება რუსეთთან“.

1921 წლის თებერვალი-მარტში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს, ზურაბ ავალიშვილი პარიზში საქართველოს საელჩოს მრჩეველი იყო და ემიგრაციაში დარჩა. მან იქაც გააგრძელა აქტიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა. იგი საქართველოს წარმოადგენდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე, იყო პარიზის წმინდა ნინოს სახელობის პარიზის მართლმადიდებლურ ეკლესიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (ქართული ეკლესია პარიზში, 4), ქართული სათვისტომოს აქტიური წევრი, ქართული ორგანიზაციების „ქართველ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის“, „კავკასიის შემსწავლელი საზოგადოების“, „ქართული სამეცნიერო წრის“ წევრი, მონაწილეობდა მათ მუშაობაში და კითხულობდა ლექციებს. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოცემული აქვს რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე. საყურადღებოა, აგრეთვე, ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილები. ამ ნაშრომებიდან აღსანიშნავია 1921 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“, 1924 წელს – „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ (ინგლისური თარგმანი 1940 წელს დაიბეჭდა ლონდონში), 1929 წელს – „ჯვაროსანთა დროიდან“ (ოთხი საისტორიო ნარკვევი) და სხვა. 1933 წელს ზ. ავალიშვილმა გამოსცა გამოკვლევა დავით კურაპალატის შესახებ, მიხეილ წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ ნაუმძღვარა ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა. მეცნიერი თანამშრომლობდა ჟურნალებთან „რევია დე ლ'ორიენტი“, „აზიატიკ რევია“, „ბიზანტიონი“, „გეორგიკა“ და ა.შ. სწორედ ამ უკანასკნელში 1937 წელს ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ნაშრომი „თეიმურაზ I და მისი პოემა „ნამება ქეთევან დედოფლისა“, რომელიც ქართულად 1938 წელს გამოქვეყნდა.

„გეორგიკა“-ს მდივანი ანდრია გუგუშვილი გეოლოგიის შესასწავლად იყო გერმანიაში ჩასული, პირველი მსოფლიო ომის გამო სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა და ლონდონში დასახლდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის საქართველოს საელჩოს მდივანი იყო. საელჩოს გაუქმების შემდეგ, ა. გუგუშვილი ლონდონის უნივერსიტეტში ქართულ ენას ასწავლიდა, მეგობრობდა და თანამშრომლობდა გამოჩენილ ქართველოლოგებთან – ოლივერ უორდროპთან, უილიამ ალენთან, დევიდ ლენგთან, რობერტ სტივენსონთან. იგი გახდა უილიამ ალენის მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა“ და ჟურნალ „გეორგიკა“-ს მდივანი და ფაქტობრივი რედაქტორი, რადგან მის ზურგზე გადადიოდა ჟურნალის მასალების მოძიების, ავტორებთან ურთიერთობისა და გამოცემის მთელი სიმძიმე. სხვა ცნობილ ქართ-

ველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებთან ერთად, ჟურნალში მისი წერილებიც („ქართული ანბანი“, „საქართველოს ეთნოგრაფიული და ისტორიული დანაწილება“, „საქართველოს მეფეთა ქრონოლოგიურ-გენეალოგიური შტო“) იბეჭდებოდა. მისი ძალისხმევით 1937 წლის ნოემბერში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალის საგანგებო ნომერი. თავად ა. გუგუშვილი ნივთიერად და ფიზიკურად შეჭირვებული ექვთიმე თაყაიშვილზე ზრუნავდა, სამკურნალოდ, ზამთრისათვის ნახშირის, ფეხსაცმლის, თბილი ტანსაცმლის საყიდლად ავანსის გადაგზავნას ჩქარობდა; აგროვებდა ქართულ სიძველეებს და თაყაიშვილს ევროპაში გატანილი ქართული საგანძურის შევსებაში ეხმარებოდა (ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი).

მეორე მსოფლიო ომის დროს „გეორგიკას“ გამოცემა შეწყდა, მაგრამ ანდრია გუგუშვილი ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას განაგრძობდა. მისი ნაშრომები იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. მათი უმეტესობა ხელნაწერთა სახით დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონის უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებში.

შალვა ბერიძემ სამეცნიერო მუშაობა სტუდენტობისას დაიწყო. 1919 წელს, როგორც მოსკოვის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის თანამშრომელი, იგი ნიკო მარისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ინიციატივითა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით საქართველოში ჩამოვიდა. მან დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა შეკრიბა, რომლის გამოცემასაც 3 წიგნად აპირებდა, მაგრამ მხოლოდ I წიგნის ერთი, 220 გვერდიანი ნაკვეთის, გამოქვეყნება მოასწრო (ბერიძე, 1920). იმავდროულად, შ. ბერიძე ინტენსიურად იკვლევდა ქართულ და რუსულ ლიტერატურას.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, შ. ბერიძე ემიგრაციაში წავიდა. ის 1924 წელს გახდა ანტიბოლშევიკურ ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი (ბერიძე, 1933), აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთი „თეთრი გიორგისთან“, 1934 წელს, სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, სწავლობდა ბასკურ-ქართულ ურთიერთობებს, ქართულ-აღმოსავლურ კონტაქტებს, იტალიურად თარგმნიდა ქართველ მწერლებს. 1930-31 წლებში ფრანგულ-იტალიურ-ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებულ წერილებს შორის საყურადღებოა გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე – ანთოლოგია „ქართველი პოეტები“, „მედიცინა აღმოსავლეთში“, „აზია და ევროპა“, „მოგზაურები კავკასიაში“, „საქართველო და ფრანგული მწერლობა“, „ბაირონი და პუშკინი“, „პიეტრო დელა ვალე კავკასიაში“, „ლერმონტოვი საქართველოში“.

1935 წელს შ. ბერიძე მიიწვიეს ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენას. მან ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში საქართველოსა და კავკასიის შესახებ დაცული რამდენიმე ჩანაწერი აღმოაჩინა და გამოსცა. მათ შორის 1670-1680 წლებში საქართველოში ნამყოფი კაპუცინების ორდენის ბერის ბერნარდო დი ნაპოლის ორი ცნობა; შეხედულებები შამილზე და სხვა. აღსანიშნავია 1936 წელს რომში ბიზანტიოლოგთა კონგრესზე წაკითხული მოხსენება „ბიზანტია, რომი და კავკასია“.

დიდა შ. ბერიძის ღვაწლი რუსთაველოლოგიაში. პირველი ნაშრომი „რუსთაველი-ფილოსოფოსი“ მან ფრანგულ ენაზე 1926 წელს რომში გამოაქვეყნა. 1927 წელს შ. ბერიძის თაოსნობით პარიზში ჩატარდა რუსთაველის საღამო (შ. რუსთაველის საღამო, 4), 1936 წელს მისი ინიციატი-

ვით ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა „რუსთაველის კონკურსი“ გამოაცხადა და საუკეთესო ნაშრომისათვის ფულადი ჯილდო – 1000 ლირა დაანესა (ნეაპოლის ინსტიტუტის კონკურსი, 16), რომელიც გადაეცა ალექსანდრე მანველიშვილს (მანველიშვილი, 1-2). 1937 წელს შ. ბერიძემ ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება რუსთაველზე (ბერიძე, 1937, 15), მანვე იტალიურ ენაზე გამოსცა გამოკვლევები: „ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, „შოთა რუსთაველი – მისი ცხოვრება, პოემა, გამონათქვამები და ფილოსოფია“ და სხვა. შ. ბერიძემ 1939 წელს ნეაპოლში რუსთაველზე ვრცელი ნაშრომი, ხოლო 1945 წელს იტალიურ ენაზე შესრულებული პროზაული თარგმანი გამოაქვეყნა. ეს უკანასკნელი იტალიელი მხატვრის ფულვიო ბიანკონის მიერ ძველი მინიატურების სტილშია დასურათებული.

ქართველ ემიგრანტ მეცნიერთა გამოქვეყნებული ნაშრომების გარდა, ევროპაში ქართული კულტურის გაცნობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის კათედრების დაარსებას. 1932 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ბელგიაში ყოფნისას ბრიუსელის უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ისტორიის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის გახსნის საკითხი დასვა. იქ უკვე მუშაობდა სომხური ენის კათედრა და პროფესორი ნ. ადონცი. ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის საორგანიზაციო კომისია ცნობილი და გამოჩენილი პირებით დაკომპლექტდა: თავმჯდომარე – ბრიუსელის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჯორჯ სმეტსი, მოადგილე – ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ბიზანტიოლოგი ჰენრიხ გრეგუარი, მდივანი და ხაზინადარი – პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარკოზ ტულუმი და ინჟინერი დავით ბერეკაშვილი. პროფესორად დასახელდა მიხეილ წერეთელი, რომელიც ლექციებს ასირიოლოგიაშიც წაიკითხავდა (ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში, 13).

თანხის შესაგროვებლად კომისიამ მოწოდებით მიმართა საზოგადოებას. თანხა შეგროვდა და 29 სექტემბერს ბრიუსელის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა ოფიციალურად გაიხსნა. ჰ. გრეგუარმა შეკრებილთ ქართული და ასირიული ენების შესწავლის მნიშვნელობაზე ესაუბრა და მ. წერეთელი წარუდგინა. ამ უკანასკნელმა, თავის სიტყვაში ასირიოლოგიის ქართულ ფილოლოგიასთან მიმართებას გაუსვა ხაზი (ქრონიკა, 4). 1933 წელს, მ. წერეთლის ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში პროფესორად მიწვევის შემდეგ, მისი საქმე ბელგიაში მ. ტულუშმა გადაიბარა.

ბრიუსელის უნივერსიტეტის ინიციატივამ ბიძგი მისცა ევროპაში ქართული ენის სხვა კათედრების დაარსებას. გერმანიაში, ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა სემინარში ქართულ კულტურასა და ენას უძღვებოდა პროფესორი მეკელაინი. აქვე, საზოგადოების ინტერესის გამო, 1934 წელს გადაწყდა ქართული ენის კათედრის გახსნაც, რომელსაც სათავეში ნიკო ნაკაშიძე ჩაუდგა. ქართული ენის კერძო გაკვეთილებს მ. წერეთელთან იღებდნენ (ქართული ენის შესწავლის საქმე ბერლინში, 4).

აღმოსავლური ფაკულტეტი 1935 წელს ვარშავის უნივერსიტეტშიც დაარსდა, სადაც პროფესორად გრიგოლ ფერაძე, ქართული ენის ლექტორად კი გიორგი ნაკაშიძე მიიწვიეს (ქართველები ვარშავაში, 16).

1936 წლის ნოემბერში, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მისი დირექტორის დეპუტატ გრაფ ბარბიელინის ინიციატივით, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

დაარსდა, რომელსაც 1936-43 წლებში სათავეში პროფესორი შ. ბერიძე ედგა. მსმენელთა ფართო წრე კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ამუშავებდა (ქართული კულტურული მუშაობა ნეაპოლის ინსტიტუტში, 11-12).

ამრიგად, ემიგრაციაში ამ ოთხი ქართველი მეცნიერის საქმიანობა არა მარტო ნაშრომებით, არამედ ქართველოლოგიური ცენტრების დაარსებითაც იქცევდა ევროპული სამეცნიერო წრეების ყურადღებას. მეორე მსოფლიო ომამდე, ბრიუსელის, ბერლინის, ვარშავის უნივერსიტეტებში, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებისა და ლონდონში გამომავალი ჟურნალ „გეორგიკას“ წყალობით, ევროპაში ქართველოლოგია წარმატებით ვითარდებოდა.

მითითებული ლიტერატურა:

1. ბერიძე შ. მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები, ნ. I, ნაკ. I, თბ. 1920;
2. ბერიძე შ. მოგონება 1924-33 წლებში – გაზ. „თეთრი გიორგი“, NN69-71, 1933.
3. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-39 წლებში, თბ. 2007;
4. ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ფონდი, ა. გუგუშვილის წერილი ექ. თაყაიშვილისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, N1717.
5. თაყაიშვილის ე. წერილი გრ. დიასამიძისადმი ნიგნში: გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ. 1992.
6. ლევილის სამთავრობო არქივის კატალოგი ნიგნში: გ. შარაძე, ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, ქართველ სტუდენტთა დამხმარე საგანგებო კომიტეტი, თბ. 1997.
7. მანველიშვილი ალ. „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული ხასიათი – გაზ. „მომავალი“, NN10-11, პარიზი, 1938.
8. მდივანი ალ. – ჟურნ. „სამშობლო“, N17-18, პარიზი, 1935.
9. ნეაპოლის ინსტიტუტის კონკურსი „ვეფხისტყაოსნისათვის“ – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N126, 1936.
10. ქართველები ვარშავაში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N97, 1934.
11. ქართველები საფრანგეთში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N114, პარიზი, 1933.
12. ქართული ეკლესია პარიზში – გაზ. „თეთრი გიორგი“, N15, პარიზი, 1929.
13. ქართული ენის კათედრა ბელგიის უნივერსიტეტში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N78, პარიზი, 1932.
14. ქართული ენის შესწავლის საქმე ბერლინში – გაზ. „კლდე“, N2, ბერლინი, 1934.
15. ქართული კულტურული მუშაობა ნეაპოლის ინსტიტუტში – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, N140, 1937.
16. ქრონიკა – გაზ. „თეთრი გიორგი“, N64-71, 1933.
17. შალვა ბერიძის მოხსენება – ჟურნ. „ქართლოსი“, N1, პარიზი, 1937.
18. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I-III, თბ. 1991-1993;
19. შოთა რუსთაველის საღამო – „თეთრი გიორგი“, N9, 1927.

რუსუდან დაუშვილი

ქართველი მეცნიერები ემიგრაციაში 1920-30-იან წლებში რეზიუმე

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლტოლვილთა შორის იყვნენ მეცნიერები. ემიგრაციაში აღმოჩნდა ევროპაში მოსწავლე 200-მდე სტუდენტი. მათგან ბევრი ცნობილი მკვლევარი გახდა და წვლილი შეიტანა მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში.

1920-30-იან წლებში გერმანიაში მოღვაწეობდნენ: ფიზიკოსები – ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეები; ქიმიკოსები – კირილე ვეკუა, რაჟდენ რუსიშვილი; ფილოლოგები – გრიგოლ დიასამიძე, ნიკო ნაკაშიძე, კიტა ჩხენკელი; აღმოსავლეთმცოდნე – მიხაკო წერეთელი; ისტორია-ფილოლოგიის დარგში საფრანგეთში მოღვაწეობდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ვიკტორ ნოზაძე, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი; იურისპრუდენციაში – მიხეილ მუსხელიშვილი, აგრონომიაში – ვახტანგ ციციშვილი. იტალიაში მუშაობდნენ საეკლესიო ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარი მიხეილ თარხნიშვილი; იურისტი და მთარგმნელი – რაფიელ ივანიცკი-ინგილო, „სიმენის“ ფირმის ინჟინერ-ელექტროტექნიკოსი მიხეილ ყაუხჩიშვილი, ისტორიკოსი შალვა ბერიძე. ინგლისში - ისტორიკოსი ანდრია გუგუშვილი, ბელგიაში – ისტორიკოსი მარკოზ ტულუში, შვეიცარიაში – იურისტი ლეო კერესელიძე და სხვები.

ნაშრომში საუბარია ისტორია-ფილოლოგიის დარგში მოღვაწე 4 მეცნიერზე – მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, ანდრია გუგუშვილი, შალვა ბერიძე.

Rusudan Daushvili

Georgian Scientists in Emigration in 1920s and 30s

Summary

After the occupation of Georgia, some part of scientists and up to 20 students that were studying in Europe happened to be in emigration. Many of them became a famous explorer and did their bit in European Science.

In 1920s and 30s in Germany there were scientists: physicists – Alexander and Ivane Nikuradze, chemist – Kirile Vekua, Rajden Rusishvili, philologists – Grigol Diasamidze, Niko Nakashidze, Kita Chxenkeli, eastern studies specialist – Mikhako Tsereteli, In history – Philology in France – Eqvtime Takaishvili, Viktor Nozadze, Zurab Avalishvili, Alexander Manvelishvili, the lawyer – Mikleil Muskhelishvili, agronomist – Vakhtang Tsitsishvili, In Italy – church history and literature researcher Mikheil Tarknishvili, lawyer and interpreter Raphiel Ivancki-Ingilo, Ingeneer – Electro technician Mikheil Khaukchishvili, historian Shalva Beridze, In England – Historian Andria Gugushvili, In Belgium – historian Markoz Tughushi, In Switzerland – lawyer Leo Kereselidze and others.

The article tells about 4 scientists in the field of history and philology (Mikhako Tsereteli, Zurab Avalishvili, Andria Gugushvili, Shalva Beridze), about their activities and positions in European science circles.

მაყვალა (ბაია) კოლუაშვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ტომას სტერნზ ელიოტი და ევროპული კულტურა

ტომას სტერნზ ელიოტის, დიდი ანგლო-ამერიკელი პოეტის ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე უამრავმა ინტელექტუალმა თუ მხატვრულმა მოძრაობამ იქონია ზეგავლენა – როგორც მისმა თანადროულმა მოაზროვნეებმა, ასევე ისტორიულმა ფიგურებმაც. ამიტომ წინამდებარე წერილი ვერ იქნება ამომწურავი, ტომას სტერნზ ელიოტის შემოქმედების ევროპული ფონისა თუ ფესვების სრულყოფილად წარმომჩენი. მასში ყურადღება გამახვილებულია ევროპული კულტურის მხოლოდ იმ ასპექტებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ელიოტის ესთეტიკის, მისი მხატვრული სამყაროს გაგებისათვის.

ელიოტი ევროპას პირველად 1910 წელს, 22 წლის ასაკში ესტუმრა – 1910-1911 წლებში იგი პარიზში ცხოვრობდა, სადაც ფილოსოფიას სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში და ანრი ბერგსონის ლექციებს ესწრებოდა. 1914 წელს ელიოტი ისევ უბრუნდება ევროპას – იგი სტიპენდიას მოიპოვებს ოქსფორდის მერტონ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად, თუმცა იქ მხოლოდ ერთ წელიწადს დაჰყოფს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ პოეტი ბრუნდება ლონდონში, სადაც 1925 წლამდე ხან მასწავლებლობით ირჩენს თავს, ხანაც ბანკში მუშაობით, ზოგჯერ კი რეცენზიებს წერს და ლექციებს კითხულობს. 1925 წელს იგი მუშაობას იწყებს გამომცემლობაში „ფაბერი და ფაბერი“.

1927 წელს მნიშვნელოვანი ფაქტი ხდება ელიოტის ცხოვრებაში – პოეტი უარყოფს უნიტარობას და ანგლიკანიზმის მიმდევარი ხდება, იმავე წლის ნოემბერში კი, 39 წლის ასაკში, ბრიტანეთის მოქალაქეობას ღებულობს. თვით პოეტი თავის თავს ანგლო-კათოლიკეს უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ თავი მიაჩნდა „კლასიციკლად ლიტერატურაში, როიალისტად პოლიტიკაში და ანგლო-კათოლიკედ რელიგიაში“ (ჩხეიძე პ., ჩხეიძე რ. 2007, 13). თავისი ეროვნებისა და მისი როლის შესახებ შემოქმედებაში ელიოტი წერდა: „ჩემს პოეზიას აშკარად უფრო მეტი აქვს საერთო ჩემი თაობის გამორჩეულ წარმომადგენლებთან ამერიკაში, ვიდრე ჩემი თაობის მიერ ინგლისში დაწერილ ნებისმიერ ნაწარმოებთან. იგი არ იქნებოდა ის, რაც არის, ამერიკაში რომ დავრჩენილიყავი. ეს ერთგვარი კომბინაციაა. თუმცა მისი სათავე და ემოციური წყარო ამერიკიდან წარმოსდგება.“ ელიოტმა საბოლოოდ უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობაზე და განაცხადა: „შესაძლოა, ჩემი გონება ამერიკულია, მაგრამ ჩემი გული კი ბრიტანულია.“ ამავე დროს, ელიოტი ხედავდა, რომ ევროპაში დამკვიდრებულ ამერიკელს შესაძლებლობა ჰქონდა მთლიანად ზოგადევროპულ კულტურულ ტრადიციასთან ზიარებისა. სწორედ ევროპული კულტურული ტრადიციის სიღრმისეული ცოდნა აძლევს ელიოტს საშუალებას, რომ მის პოეზიაში წარმოსახული მეტნაკლებად „კონკრეტული“ კონფლიქტები გლობალურ, საყოველთაო, მარადიულ პლანში განაზოგადოს.

ელიოტი თავის პოეზიაში მხატვრულად გამოსახავს იმ ტრადიციულ ზნეობრივ-კულტურულ თუ რელიგიურ ფასეულობათა გადაფასების პროცესს მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში, რომლებსაც ოდითგანვე ეფუძნებოდა ევროპული ცივილიზაცია; წარმოაჩენს ევრო-

პული კულტურული მენტალობისა და გაუცხოებული ადამიანის ეგზისტენციალურ კრიზისს, ადამიანისა, რომელიც მარტო, ყოველგვარი ზნეობრივი ორიენტირებისა და სულიერ ღირებულებათა ტრადიციული იერარქიული სისტემის გარეშე დარჩენილი დესაკრალიზებული, დემითოლოგიზებული, აბსოლუტურად ინდიფერენტული სამყაროს წინაშე. ერთი სიტყვით, როგორც მართებულად მიუთითებს თემურ კობახიძე, იგი თავის პოეტიკური თვალსაზრისით მრავალნიშნად და რთულ ნაწარმოებებში იმ სკეპტიკურ და ნიჰილისტურ განწყობილებებსა თუ ტენდენციებს გამოხატავს, რომელთაც საოცარი სიზუსტით ახასიათებს ქრისტიანი ეგზისტენციალისტი პაულ ტილიხი ნაშრომში „პროტესტანტული ერა“ (1948): „დიდი ბრიტანეთიდან იტალიამდე მთელი ევროპა ..წარმოადგენდა სრული კულტურული მოშლილობისა და დეგრადაციის სურათს ... ეს იყო შიშის, ან უფრო – რაღაც გაურკვეველი ძრწოლების გაბატონებული განცდა, დაკავშირებული არა მხოლოდ პოლიტიკასთან ან ეკონომიკასთან, არამედ კულტურასთან და რელიგიასთან. გამქრალი იყო დაცულობის შეგრძნება, დანგრეული იყო ყველა საფუძველი, სიახლის ასაშენებლად არ არსებობდა არავითარი საყრდენი ... დაუცველობის განცდას ემატებოდა საერთო გაურკვეველობა, ხალხს აღარ შეეძლო ცხოვრება სამყაროში, სადაც ყველაფერი გაურკვეველი იყო ... კულტურული დეგრადაციის მთავარი სიმპტომი იყო სრული სიმარტოვის, არსებობის უაზრობის შეგრძნება და მისგან გამონეული ცინიზმი. ადრეულ ეპოქათა რელიგიური სიმბოლოები, ან თითქოსდა მათი შემცვლელი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური იდეები, ვეღარ გამოხატავდნენ ცხოვრების საზრისს“ (კობახიძე, 2010).

პაულ ტილიხი, ძირითადად, 30-იან წლებზე საუბრობს, მაგრამ ელიოტმა ეს განწყობილებები ბევრად უფრო ადრე გამოხატა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ევროპასა და ამერიკაში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ბოხოქრობდა „ჯაზის ეპოქის ზღაპრებისა“ და „ოქროს ოცინების“ ხანა. ამერიკიდან შემოსული მოულოდნელი თავისუფლების, ადრეული ჯაზით გატაცების, ბუტლეგერებისა და განგსტერული ისტორიების, გაუთავებელი სმისა და ეპატაჟური დროსტარების მიღმა პოეტი სულ სხვა სიღრმეებს აღიქვამდა, რასაც წარმოსახავდა კიდევ თავის შედეგებში. ცხადია, კრიზისული განწყობილება მის ტექსტებში თვით ევროპის კრიზისული რეალობით იყო ნაკარნახევი, მაგრამ კრიზისული სიტუაციის მხატვრული წარმოსახვა სულაც არ გულისხმობდა მისი წარმომსახველი ავტორის შემოქმედებით კრიზისს, არც წარმოსახვით პერსონაჟთა ზნეობრივი უუნარობა ნიშნავდა თვით პოეტის მხატვრულ უუნარობას. ყალბი და ნაძალადევი „ოპტიმიზმის“ სანინააღმდეგოდ, სწორედ დისონანსი, დისჰარმონია, დეფორმაცია, კრიზისული, გაორებული მსოფლალქმა აძლევდა ელიოტს ბიძგს მაღალი ესთეტიკური ფასეულობების შესაქმნელად.

• • •

ელიოტის პოეზიის მკვებავი ევროპული პოეტური წყაროებიდან თუ ფესვებიდან, როგორც მართებულად მიუთითებს ი. ცხვედიანი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანტეს შემოქმედებას, „მეტაფიზიკური“ სკოლის პოეზიას და ფრანგულ სიმბოლიზმს (ცხვედიანი, 2011, 587). რასაკვირველია, ამათგან უმნიშვნელოვანესი მაინც დანტეა.

დანტეს განუზომელ მნიშვნელობას ელიოტის პოეტური პერცეფციისათვის თუნდაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამ საკითხის კვლევას მთელი რიგი მონოგრაფიები, სამეცნიერო კრე-

ბულები თუ კონფერენციები¹ ეძღვნება. ასეთია, მაგალითად, დომინიკ მანგანიელოს ფუნდამენტური მონოგრაფია *T. S. Eliot and Dante* (Manganiello 1989), ოლგა უშაკოვას „ტ. ს. ელიოტი და ევროპული კულტურული ტრადიცია“ (უშაკოვა 2005), სადაც დანტეს როლს ელიოტის პოეზიაში მთელი თავი ეთმობა („ელიოტის პოეზიის დანტესეული კოდი“), ან თუნდაც 2011 წელს პოლ დაგლასის რედაქტორობით გამოცემული კრებული *T. S. Eliot, Dante and the Idea of Europe*. ამ კრებულის ავტორები წარმოაჩინენ, თუ როგორ გაძლიერდა ელიოტის წყალობით დანტეს გავლენა მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაზე, თუ როგორ მოახდინა მან იტალიელი პოეტის „განახლება“ თუ „გათანამედროვეება“. კრებულში შესულ ესეებში განხილულია დანტეს ცენტრალური როლი ელიოტის პოეზიასა და ესეისტიკაში, ელიოტის ესთეტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებები დანტესთან მიმართებაში; ნაჩვენებია ელიოტის ზეგავლენა ლიტერატურულ მოდერნიზმზე ფლორენციელი პოეტის მეოხებით, რომელიც მისთვის ევროპული კულტურის მთლიანობის განსხეულებას წარმოადგენდა – სწორედ დანტეს მოშველიებით ცდილობა ელიოტი დაემკვიდრებინა ევროპის მთლიანობის ძლიერი განცდა, რომელიც წარსულის საერთო კულტურას უნდა დაფუძნებოდა (Douglass, 2011, XVii).

დანტეს გავლენა ელიოტის მთელ შემოქმედებას გასდევს. მართალია, ზოგჯერ მისი დამოკიდებულება დიდი ფლორენციელის იდეებისადმი თუ მისი ნაწარმოებების ცალკეული პასაჟებისადმი ირონიულია, მაგრამ ირონიას არასოდეს შეუძენია ტოტალური მასშტაბები.

ელიოტის ტექსტები შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული კოლაჟები, „შეკონინებული“ სხვა ავტორების ტექსტების ფრაგმენტებიდან. ამ ფრაგმენტებიდან ზოგი მოდიფიკაციას განიცდის ახალ პოეტურ ქსოვილში, ზოგი კი უცვლელი სახით გადადის იქ. კრიტიკოსები ხშირად ვარაუდობენ, რომ ელიოტი ირჩევს იმ ფრაგმენტებს, რომლებიც მას „მოსწონს“, მაგრამ საქმე მოწონება-არმოწონებაში როდია. ელიოტის პოეზიაში ხშირად შევხვდებით თავისუფალ და კომიკურ იმპროვიზაციებს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ცალკეულ ეპიზოდებზე. ელიოტის პოეტურ ტექსტებში ჩვეულებრივ ჩაქსოვილია „ნასესხები“ პასაჟები როგორც „ღვთაებრივი კომედიიდან“, ასევე იმ მეორეხარისხოვანი ნაწარმოებებიდანაც, რომლებთანაც ასოციაციური ჯაჭვის საშუალებით დანტეს პოემას მივყავართ. უკიდურესად არაერთგვაროვანი წყაროების, არაჰომოგენური ასოციაციებისა და „ნასესხობათა“ კომბინირების ეს ტენდენცია, მონტაჟის ტექნიკის გამოყენებასთან ერთად, განაპირობებს მთელი ამ ნაირგვაროვანი ელემენტების მონესრიგებულ ესთეტიკურ მთლიანობად გარდაქმნის, სხვაგვარად, ქაოსიდან წესრიგის შექმნის საჭიროებას. ამ თვალსაზრისით, ელიოტი დანტეს მონაფეა, ფლორენციელი ოსტატისაგან სწავლობს იგი, თუ როგორ განათავსოს ხდომილებები და ცალკეული დეტალები რაციონალურად გათვლილი და მათემატიკური სიზუსტით გაანგარიშებული მხატვრული სისტემის ჩარჩოში, როგორ დაამყაროს ურთიერთკავშირი, ერთი მხრივ, ნაწილებსა და, მეორე მხრივ, ნაწილებსა და მთელს შორის. ელიოტისათვის დანტე, პირველ რიგში, უმაღლესი რანგის ოსტატია, რომელიც ყოველივეს, რასაც აღიქვამს, აღწერს და აფასებს როგორც უნიკალურს და მხოლოდ ამას განათავსებს წინასწარ გათვლილ სისტემაში. კონკრეტული დეტალი/ხდომილე-

¹ მაგალითად, 2008 წელს ფლორენციაშია გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი „დანტე, ელიოტი და ევროპული ტრადიცია“.

ბა და ზოგადი გეგმა წონასწორობაში მოდის. ტექნიკური თვალსაზრისით სწორედ ეს ისწავლა ელიოტმა დანტესაგან: ეს უკანასკნელი მისთვის უწინარესად სტრუქტურის აგების ოსტატია, რომლის მიერ „აგებული კონსტრუქციის“ ტოტალობაში ყველა ნაწილი/ელემენტი ერთმანეთსაც უკავშირდება და მთელსაც.

1929 წელს გამოქვეყნებულ ესეში „დანტე“ ელიოტი ამტკიცებს, რომ მკითხველი შეიძლება იზიარებდეს ან არ იზიარებდეს ავტორის შეხედულებებს. ამას ესთეტიკური ეფექტის თვალსაზრისით, ელიოტის აზრით, არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ერთი მხრივ, მკითხველი უნდა ჩანვდეს ავტორის კონცეფციებსა და იდეებს, ვინაიდან ისინი ემოციური სტრუქტურის განუყოფელ ელემენტებად იქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ელიოტის მიხედვით, შეუძლებელია „პოეტური ელემენტის“ და „ფილოსოფიური ელემენტის“ სრული გამიჯვნა/იზოლირება ერთმანეთისაგან, რადგან „ფილოსოფია არსებითია სტრუქტურისათვის, ხოლო სტრუქტურა არსებითია ნაწილების პოეტური მშვენიერებისათვის ...“ მართალია, ელიოტი ერთმანეთისაგან განასხვავებს „ფილოსოფოსის ძალისხმევას“ და „პოეტის ძალისხმევას“, მაგრამ იგი ბოლომდე არ უარყოფს, რომ გარკვეული აზრით პოეზია შეიძლება ფილოსოფიური იყოს. მისთვის დანტეს „პოეზია“ და დანტეს „სწავლება“/„მოძღვრება“ განუყოფელია, ვინაიდან ფილოსოფია დანტეს მხატვრულ სამყაროს შემადგენელი ნაწილია. „კარგი ფილოსოფია“ არ ქმნის კარგ პოეზიას, მაგრამ ფილოსოფიის გამოყენება შესაძლებელია წარუმატებელი ფილოსოფიური პოეზიისაგან განსხვავებული ფორმით. დანტე თავის „ფილოსოფიას“ არ ეპყრობა როგორც თეორიას, რომელიც უნდა გაიზიაროს ან უარყოს: მას არც სჯერა იმ იდეებისა, რომლებსაც გამოხატავს; იგი იყენებს მათ როგორც ერთგვარ ქვაკუთხედებს განწონასწორებული და მოწესრიგებული ინტელექტუალურ-ემოციური კომპლექსის ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკაცრად ორგანიზებული ესთეტიკური სისტემის ასაგებად, რომლის თითოეული ნაწილის (ფრაგმენტის, პასაჟის თუ ეპიზოდის) სრულყოფილი გაგება მხოლოდ სხვა ნაწილებთან და მთელთან მიმართებაშია შესაძლებელი. ეს სიტყვები ზედმინევით შეესაბამება თავად ელიოტის პოეზიასაც: მისი მხატვრული სამყარო სწორედ სტრუქტურის აგების დანტესეულ პრინციპებს ეფუძნება.

ელიოტის პოეზიას ერთდროულად ახასიათებს „მახვილგონიერება და უაღრესი სერიოზულობა“ (‘wit and high seriousness’), რითაც იგი მე-17 საუკუნის „მეტაფიზიკურ სკოლას“ უკავშირდება. ბაროკოს ამ ინგლისური ნაირსახეობის წარმომადგენლები იყვნენ: ჯონ დონი, ჯორჯ ჰერბერტი, ენდრიუ მარველი, რიჩარდ კრეშო და სხვ. ეს სკოლა საუკუნეების განმავლობაში მივიწყებული იყო და, ასე ვთქვათ, „ამოვარდნილი“ ინგლისური პოეტური ტრადიციიდან, სანამ იგი ელიოტმა ხელახლა არ „აღმოაჩინა“ და „გააცოცხლა“, თავის ესეში „მეტაფიზიკოსი პოეტები“ კი აჩვენა, რომ მათ პოეზიას ანტიკვარის სიყვარულით კი არ უნდა ელოლიავებოდნენ, არამედ უნდა განიხილავდნენ როგორც ინგლისური პოეტური ტრადიციის მნიშვნელოვან, ცოცხალ და აქტუალურ ნაწილს (ჩხეიძე, 2007, 121-134).

ელიოტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ე. წ. მეტაფიზიკურ კონსიტს: ესაა განვრცობილი მეტაფორა კომპლექსური ლოგიკით, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ პასაჟს ან მთელ პოეტურ ნაწარმოებს. კონსიტი ერთმანეთთან ახამებს ერთი შეხედვით შეუთავსებელ საგნებს და მოვლენებს. განასხვავებენ ორი ტიპის კონსიტს: მეტაფიზიკურს და პეტრარკასეულს. მეტაფიზიკური კონსიტი არის მეტაფორა, რომელშიც შედარებული საგნები

წმინდად კონცეპტუალურ ურთიერთმიმართებას ქმნიან; ფაქტობრივად, კონსიტი ისეთი შედარებაა, რომელიც გაუმართლებელია შედარებულ საგნებს შორის არსებული არსებითი განსხვავების გამო. მეტაფიზიკური პოეზისათვის ნიშანდობლივია პარადოქსული სახეები და ოქსიმორონების ხშირი გამოყენება. ეს ყოველივე ასევე დამახასიათებელია ელიოტის პოეტური მეტყველებისთვისაც. ასე მაგალითად, ოქსიმორონის თვალსაჩინო ნიმუშია შემდეგი სტრიქონები ელიოტის „ფუტურო კაცებიდან“:

Shape without form, shade without colour,
Paralysed force, gesture without motion;

სწორედ „კაცის ფიტულებით“ (1925) მთავრდება ელიოტის პოეზიაში „ინფერნალური“ ეტაპი – თანადროული სამყაროს, როგორც ჯოჯოხეთის პოეტური აღქმა. მართალია, ეს ტრადიცია შორეულ სათავეს დანტეს „ღვთაებრივ პოეზიაში“ იღებს, მაგრამ ელიოტის უშუალო წინამორბედთაგან მას ბოდლერმა და ფრანგმა სიმბოლისტებმა დაუდეს სათავე. სიმბოლიზმის ესთეტიკას ელიოტი პირველად 1908 წლის დეკემბერში ეზიარა, როცა ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წაიკითხა არტურ საიმონსის წიგნი *სიმბოლისტური მოძრაობა ლიტერატურაში*, სადაც სხვა სიმბოლისტ პოეტებთან ერთად ჟიულ ლაფორგის შემოქმედებასაც გაეცნო. სიმბოლისტებისაგან ელიოტმა იმემკვიდრა: სამყაროს, როგორც ნიშანთა და სიმბოლოთა წიგნის აღქმა; ინტერესი რთული, მრავალნიშნადი სიმბოლიკისადმი; გარესინამდვილეში, სამყაროში საგანთა შორის რეალურად არსებული ურთიერთკავშირების დემონტაჟი და მათი ხელახალი რეარანჟირება პოეტურ ქსოვილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობახიძე თ. „დანტე, კონრადი და იოანეს გამოცხადება ტომას ელიოტის „კაცის ფიტულებში“. წიგნში: ი. ცხვედიანი (რედ.), ამერიკისმცოდნეობის მე-5 სეარტაშორისო კონფერენციის მასალების კრებული. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
2. უშაკოვა ო. ტ. ს. *ელიოტი და ევროპული კულტურული ტრადიცია*. ტიუმენი: ტიუმენის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005 (რუსულ ენაზე).
3. ჩხეიძე რ., ჩხეიძე პ. „ტომას ელიოტის ბიოგრაფიული ქარგა (რონალდ ბუშის „ტ. ს. ელიოტის ცხოვრება და კარიერის“ მიხედვით). წიგნში: ო. ჩხეიძე (რედ.), *ტომას სტერნზ ელიოტის ათი ესეი*. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი, 2007.
4. ჩხეიძე ო. (რედ.), *ტომას სტერნზ ელიოტის ათი ესეი*. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი, 2007.
5. ცხვედიანი ი. „ტომას სტერნზ ელიოტი“. წიგნში: ნ. კაკაურიძე (რედ.), *XX საუკუნის I ნახევრის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
6. Douglass, Paul (ed.). *T. S. Eliot, Dante and the Idea of Europe*. Cambridge Scholars Publishing, 2011.
7. Manganiello, Dominic. *T. S. Eliot and Dante*. London: Macmillan: New York: St. Martin's Press, 1989.

მაყვალა (ბაია) კოლუაშვილი

ტომას სტერნზ ელიოტი და ევროპული კულტურა რეზიუმე

სტატიაში განხილულია მე-20 საუკუნის ანგლო-ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი წარმომადგენლის, მოდერნიზმის მეტრის, ტომას სტერნზ ელიოტის დამოკიდებულება როგორც ევროპული კულტურული ტრადიციის, ასევე მისი თანადროული ევროპული კულტურის ძირითადი ტენდენციებისადმი. ყურადღება გამახვილებულია ევროპული კულტურის იმ ასპექტებზე, რომლებიც ელიოტის პოეზიისა თუ ესთეტიკური შეხედულებების მკვებავ ფესვებად გვევლინება და განსაზღვრავს კიდევ დიდი ანგლო-ამერიკელი პოეტის შემოქმედების მხატვრულ თუ კონცეპტუალურ თავისებურებებს. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ელიოტისათვის, ფაქტობრივად, ევროპული კულტურა ერთიანი ფენომენია, რომელიც საერთო ღირებულებებსა და ტრადიციის შინაგან მთლიანობას ეფუძნება.

Makvala (Baia) Koguashvili

T. S. Eliot and European Culture Summary

The article examines the attitude of the one of the most influential representatives of the 20th-century Anglo - American poetry, Thomas Sterns Eliot towards European cultural tradition as well as his contemporary European culture. The focus is made on those aspects of European culture that are fountainheads of Eliot's poetry and feed his poetic perception and imagination, determining aesthetic and conceptual peculiarities of his poetic world. The article emphasizes that European culture is viewed by Eliot as a unified phenomenon, the unity of which is based on common values and internal integrity of European cultural tradition.

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიდი 60-იანელები ევროინტეგრაციის სათავეებთან

საქართველო თავისი ადგილმდებარეობით, ისტორიულად ერთ-ერთ განსაცდელით სავსე გზაჯვარედინის წარმოადგენს, რის გამოც ქართველობა თავის გადასარჩენად მუდამ ბრძოლისათვის იყო მზად და ეს მზადყოფნა თვისებადაც ექცა.

ევროპასა და აზიას შორის გადებული შარიანი გზა და ხიდი ყოველთვის გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკაზე, მის ეკონომიკაზე, კულტურასა თუ ყოფიერების ყველა სფეროზე. ჯერ კიდევ როდის იყო დემოკრატიული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუში „ვეფხისტყაოსანი“, ხოლო მისი ავტორი შოთა რუსთაველი ამ იდეებისათვის დევნილი! თუმცა დემოკრატიული შეხედულებების დამკვიდრებისათვის ბრძოლა საქართველოში XIX ს. 60-იანი წლებიდან იწყება. დიდ სამოციანელებს ილიას მეთაურობით ერთბაშად მოუხდათ ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის, ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის...

„ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა „ახალი გზა“, – წერდა გაზეთ „დროების“ რედაქტორი და ილიას თანამებრძოლი სერგეი მესხი. ამ „ახალ გზას“, სერგეი მესხი უწოდებდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის მიღწევათა ჩვენში გადმოტანას.

„ყოველგვარი ცოდნის, განათლების, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატებების წყარო, ამბობდა იგი, ჯერ-ჯერობით დასავლეთ ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ენაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება – კარგად და ჭეშმარიტად გაუცვნიან. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთ უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილდღეობის მომნიჭებელი სახსრები“ (მესხი, 1903, 109).

ს. მესხი 70-იანი წლების ევროპას ამავე პერიოდის რუსეთზე მაღლა აყენებდა. იგი, თავისი ქვეყნისათვის, ევროპაში უფრო მეტ საგულისხმოსა და სამაგალიტოს პოულობდა.

ევროპულ სამყაროსთან ქართველი ხალხის დაახლოების უმთავრეს ხელისშემშლელ პირობად ს. მესხი მართებულად თვლიდა იმ გარემოებას, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო, ფაქტობრივად, მთელ გარემოსამყაროსაგან აღმოჩნდა მოწყვეტილი და „ქართველი ხალხი, რუსეთის გარდა, არც ერთის განათლებულის ხალხის წარმატებასა, წინამსვლლობას არა ჰხედავდა, რომ იმათი მაგალიტისათვის მიებაძა“ (მესხი, 1963, 116).

ამ კარდახშულობის გარღვევის საქმეში ს. მესხი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულად მოაზროვნე შემოქმედებით ინტელიგენციასა და ამ იდეათა გამომზეურე-

ბის წყაროს, ქართულ პერიოდიკას, ანიჭებდა. მან უნდა „თვალი გამოაჭყეცინოს ხალხს, წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოაღვიძოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამლუპველია ხალხისათვის“ (მესხი, 1903, 110).

სამოციანელთა თაობის ევროპული ორიენტაციის მქონე და დემოკრატიულად მოაზროვნე მამულიშვილებს მძაფრად ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოელი დამპყრობლები და რუსოფილი ქართველები.

რუსეთის იმპერიას საგონებელში აგდებდა საქართველოში სამოციანელთა მიერ დაწყებული მოძრაობა, რადგან მათ კოლონიური ქვეყნის მართვისათვის სულ სხვა მიზნები და გეგმები ჰქონდათ. ეს იყო ქართველი ხალხის გადაგვარება – გარუსება.

ილიას და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია. ცოდნა – განათლებაა, განათლება კი თავისუფლება.

მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის აღიარებულ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული მეფის რუსეთის პოლიტიკისა და მისი ჩინოვნიკების, „თავადაზნაურთა ულტრა-არისტოკრატიული ფენების“ და სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ.

„თავადაზნაურული ულტრა – არისტოკრატიული ფენები (ასეთები ძალიან მცირე იყო) ილიას არ სწყალობდნენ, არ უყვარდათ იგი დემოკრატიული აზროვნების გამო... ამ დიდი ქართველის მსოფლმხედველობა, მისი მიმართულების გზა და გეზი ყოველ დარგში – ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური – იყო ფართო, პროგრესული, დემოკრატიული და რადიკალური. დღიდან მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა, ილია, უხვად აღჭურვილი დიდის კულტურით და მაღალის მორალით, ერთიანი და უდრეკი, უცვლელი და ურყევი იყო თვით სიკვდილამდე“ (შარაძე, 1986, 191).

ქართულმა საზოგადოებამ ილია მის სიცოცხლეშივე აღიარა ყველაზე დიდ პიროვნებად. ფრანგ მოგზაურს შეკითხვაზე „ვინა გყავთ ყველაზე დიდი პიროვნებაო?, ასეთი პასუხი გაცვა: „ეს არის ილია! **I/ya/lla**“. ამიტომაც იყო, რომ მარქსისტული იდეებით ნასაზრდოები სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ნოე-ჟორდანიას და ფილიპე მახარაძე გააფრთხილეს ებრძოდნენ ილიას. 1898 წლიდან, გახდა თუ არა გაზეთ „კვალის“ რედაქტორი, ნ. ჟორდანიამ მაშინვე იდეური ბრძოლა გამოუცხადა გაზეთ „ივერიას“ და მის რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს. მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩამორჩენილობად, ილია კი მემამულე-აზნაურთა ინტერესების გამომხატველად, ხოლო ბანკები „ბურჟუაზიულ-ფინანსურ დაწესებულებად“ მიაჩნდა.

ილიამ „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით ხუთი სტატიით უპასუხა მოწინააღმდეგეს. ესენი იყო: „უმეცრების ფართი-ფურთი“, „პატარა საუბარი“, „ახალი უმეცრებანი ბ-ნი ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფმუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცრებისა“ და „ისევე და ისევე ბ-ნი ჟორდანიას უმეცრებანი და მისი ნაჯეგ-უკუჯეგობანი“. პირველ პასუხში ილია აღნიშნავდა. „ამაზე უარესად გაბიაბრუება, ამაზედ მეტად გაუპატიურება და შეგინება, მერე ვისი? – მთელის ხალხისა, მთელის ერისა, განაღა იქნება! მაშინ, როცა ბ-ნი ჟორდანიას ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რიდაცისათვის საქართველოს ხალხს და თვითონ-კი, რომელმაც მთელი ხალხი, მთე-

ლი ერი უგუნურად ჩათვალა, დოინჯი შემოუყრია და მის მიერ გაუპატიურებელს საქართველოს ერსვე უბრძანებს ბატონსავით: იმედია, ამას არ შეარჩენთ „ახალ-მოსულსაო“...

თავად-აზნაურობამ დაარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში წილი არ ჩაიდო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ კი გამოსულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო. კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!“ (ჭავჭავაძე, 1956, 241-283).

სოციალ-დემოკრატები დაუნდობლად ებრძოდნენ ილიას, მათ ილიას ფენომენი მისავე სიცოცხლეში მოჰკლეს, როცა იგი სისხლისმსმელ-მემამულედ გამოაცხადეს. 1898 წელს, როცა ნ. ჟორდანიამ ჟურნალ „კვალში“ თავის სტატიით „ქართული პრესა – გუშინ და დღეს“ კვლავ აუგად მოიხსენია ილია, იოსებ იმედაშვილი, ხალხის სახელით, სახლში მივიდა მასთან.

ნოე, ილიას თუ შებედეთ, თქვენს თავს როგორღა აკადრეთ ქართველი ერის საამაყო შვილის ასე გაბიაბრუება, – განა ეს შესაწყნარებელია?! ილიას ასე აუგად ხსენება კარგ ნაყოფს არ მოიტანს, ეს იცოდეთ!

– შენ ვვინ გითხრა (ნოე ენას უკიდებდა), რომ ილიას, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატს, ბელეტრისტსა და პოეტს ვეხებოდე, – იის ამ მხრივ კვლასიკოსია და ჩვენში ძნელად თუ ვინმე შუედაროს!“, – მე ვებრძვი მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს... აი, რა-შია ჩვენი განსხვავება! ...დღეს ჩვენთვის ილიას დროშა აღარ გამოდგება.

მე კი მგონია, მოვა დრო და თქვენც ილიას დროშას შეეფარებით. ეს კარგად იცოდეთ, ვინაც საქართველო უნდა – ილიას დროშას ვერ გასცდება“ (ილია, 1987, 319-320).

მომავლის საქართველოსათვის საფუძვლის ჩასაყრელად ი. ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიასთან კონფლიქტს, პოლემიკასა და დაპირისპირებას არ მოერიდა, რაც საბოლოოდ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის...

ასკარად ჩანდა, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადად ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთმანეთს: ძველი თაობა – ილიას დასი, რომელიც ეროვნული იდეების ერთგული იყო და ახალი – სოციალ-დემოკრატები (მესამე დასელები), მარქსიზმის იდეოლოგიის მატარებელი. ამ ცხარე და მწვავე დაპირისპირებისას აუცილებელი გახდა ისეთი ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის დაარსება, რომელიც დემოკრატიზმსა და პატრიოტიზმს ერთმანეთს დაუკავშირებდა, ეროვნულ ნიადაგზე სოციალურ მოძრაობას გაშლიდა. ამ მიზნით, საქართველოში სოციალ-ფედერალისტმა სამსონ ფირცხალავამ 1902 წელს დაარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ხოლო პარიზში 1903 წელს სოციალ-ფედერალისტთა ლიდერის, არჩილ ჯორჯაძის, ხელმძღვანელობით დაარსდა პარტიის ბეჭდვითი ორგანო „საქართველო“, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა. საქართველოში „ცნობის ფურცელმა“ და ევროპაში „საქართველომ“ 1901-1903 წლებში იდეურად შეამზადა და მრავალი მომხრე გაუჩინა ქართველ სოციალ-ფედერალისტურ პარტიას, რომელიც შენევაში 1904 წლის აპრილში ოფიციალურად გაფორმდა. პარტიამ შენევაში დაარსა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. სოციალ-ფედერალისტები ძირითად დებულებებში დიდ სამოციანელთა პოზიციას აგრძელებდნენ და ეროვნულ-განმა-

თავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის იღწვოდნენ. მათ სოციალ-დემოკრატიები, განსაკუთრებით, სტალინი, მახარაძე და ჟორდანიას საქართველოს მშრომელი მასების მტრებად ნათლავდნენ. მაშინ, როცა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებულ იქნა, თავისუფალ სიტყვას, ქართულ სულიერებას, დიდი სამოციანელების ნასაზრდოებ დემოკრატიულ იდეებს, პრინციპებს, ღირებულებებს საბჭოთა საქართველოში რკინის ხუნდები დაედო. ქართული დემოკრატიის ხმა საქართველოში მხოლოდ ემიგრანტთა ძალისხმევით თუ აღწევდა.

რუსული პოლიტიკის პრობლემა ყოველთვის იყო თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი და საქართველო. 1921 წლის 7 მაისს კონსტანტინე გამსახურდია თავის „ღია წერილი ლენინს“ აღნიშნავდა: „ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებასა და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგრძნებას ვერავინ წაართმევს მას“.. ემიგრანტები გლობუსის მეორე მხრიდან და ევროპიდან კარგად ხედავდნენ ერის დაუცველობას, რუსული ჩექმით მის ფიზიკურ და სულიერ განადგურებას. ამიტომ ისინი ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ: „საბჭოთა მთავრობამ უკვე არა ერთხელ მიმართა ქართულ ემიგრაციას და 1945-46 წლებში ზოგიერთები შეაცდინა კიდეც. რა მოუვიდათ მაშინ დაბრუნებულებს?! სად არიან, მაგალითად სამსონ ფირცხალავა და სპირიდონ ჭავჭავაძე?... ფლიდ, ვერაგ და სისხლით გაუმადლარ მოსკოვს კიდეც სწყურია სისხლი და ახალ მსხვერპლს დაეძებს“ („ქართული აზრი“, 1955, 4).

ქართველი ემიგრანტები დაუნდობლად ამხედნენ ქართველი ხალხის უპირობო მტრებს, რომლებმაც მამულიშვილებს ქართული დროშა ხელიდან გამოგლიჯეს.

1921 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ბოლომდე სჯეროდა, რომ ვერც სტალინი და ვერც მისი მემკვიდრეები თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველების შეუდრეკელ სულს ვერაფერს დააკლებდნენ. „ამაო შრომაა, ათასი წლობით ნანართობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს“, – აცხადებდა პოლიტიკური ემიგრანტი ალექსანდრე ცომაია („ქართული აზრი“, 1955, 3).

ფარხმალდაუყრელი ქართველის რწმენა და იმედია ჩაქსოვილი პარიზში გამომავალ ჟურნალ „ახალი ივერიის“ რედაქტორის და პოლიტიკური მოღვაწის ელისე პატარაიძის წიგნში „დემოკრატიზმი“, რომელიც 1938 წელს გამოვიდა საფრანგეთში. ავტორი წინასიტყვაობაში წერდა: „ქართველ ერს დროებით წართმეული აქვს თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობა. ჩვენი აზროვნებისა, მოქმედებისა და ზრუნვის პირველ რიგში სდგას დაკარგული ეროვნული თავისუფლების კვლავ მოპოვება და საქართველოსი და ქართველი ერის სახელმწიფოებრივი არსებობის აღდგენა.

საქართველო დაეცა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი განთავისუფლებისა და აღდგენისათვის მზრუნველ და მოქმედ ინტელიგენტურ ძალთა ერთი ნაწილის აზრია მისი კვლავ დემოკრატიულ, რესპუბლიკურ-პარლამენტარულ ფორმებში აღდგენა.

აქედან ცხადია, რომ ქართველიც დიდი ინტერესით ადევნებდეს თვალყურს მსოფლიო მასშტაბით დასმულ დემოკრატიზმის საკითხს, სწავლობდეს მას მსოფლიოს მაგალითებზედ

საკუთარ ეროვნულ მეობასთან, სულთან და პიროვნებებთან შეფარდებით. ამ საკითხების წინასწარ გარკვეულობასა და მომზადებას შეუძლია ბევრი მოსალოდნელი ხიფათისაგან ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გადარჩენა“ (შარაძე, 1993, 398).

1959 წლის აშშ-ს უშიშროების რეზოლუციაში საქართველო ითვლებოდა „დატყვევებულ ერთა“ სიაში. რუსეთს, თავისი იმპერიის ექვსასწლოვანი ისტორიის მანძილზე, დაპყრობითი ომების წარმოების, ხალხთა დამონებისა და მათი ძარცვის მეტი არაფერი უკეთებია. იგი იბრძვის სრულიად გარკვეული მიზნებისათვის: „მოსკვა იესტ ტრეტი რომ, ა ჩეტვიორტომუ ნე ბივატ“. ფორმულაში აშკარად არის გამოთქმული მსოფლიოში გაბატონების იდეა და ამ იდეაზე რუსეთის სახელმწიფოს არასოდეს ხელი არ აუღლია“. („ქართული აზრი», 1955, 4).

თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეცდომებს ნაწილობრივ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, რომელიც თავის „რჩეულ ნაწერებში“ აღნიშნავდა: „... დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით ევროპის სავალი გზის ხაზზე, ჩავდექით მის ფერხულში. ეს არ არის რაღაც უცაბედი, თვითნებური მოვლენა. ის აუცილებელია, ფატალურია, მას ვერ აცდება ვერც ერთი ხალხი. ევროპის გზა მსოფლიო გზაა, ახალ ისტორიას სხვა გზა ჯერ არ გამოუგონია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა. ევროპა მიდიოდა ამ ხაზზე სტიქიურათ, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია – და სხვისი გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იკაფავდა წალდით ხელში ახალ ეკლიან გზას, მიდიოდა წინ, მუდამ წინ...“

ჩვენ, მაღლობა ღმერთს, არ ვიმყოფებით უდაბნოში, არ მივდივართ უგზო-უკლოთ. რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით რასაც ვაკეთებთ. საითკენ მივემართებით...“ (ჟორდანიას, 1990, 262).

ასე რომ, ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაკაფეს გზა დასავლეთისაკენ, და საქართველოს მომავალს ევროპასთან კავშირში ხედავდნენ. ცნობილია, რომ ილია უცხოელთა სტუმრობას საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ისინი, ქართული კულტურით მოხიბლულნი, თავიანთ ქვეყანაში აქვეყნებდნენ ნაშრომებს საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იჩენდნენ დაინტერესებას ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების მიმართ და ამ განძს თავიანთ თანამემამულეებს აცნობდნენ. 1895 წლიდან ილიასთან შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდი გადაეს ინგლისელმა და-ძმამ უორდროპებმა, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა (რომელმაც სამუდამო სასუფეველად საქართველო აირჩია), პროფესორებმა: ბერტელიონმა – პარიზიდან, ბოსკომ – რომიდან, კარლ ლემან-ჰაუპტმა – ბერლინიდან, გულიელმო პასილიმ – იტალიიდან და სხვებმა. ილია აღნიშნავდა, რომ ისინი „მოჰყენდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“...

ამ ჩვენ პატარა ქვეყანაშიაც საქმობს გონება და იძვრის გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთეს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოვებიან“ (ჭავჭავაძე, 1961, 138).

ათეული წლების განმავლობაში ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს

ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

დღეს, როცა ჩვენი დიდი სულიერი წინაპრებისა და ქართული პოლიტიკური ემიგრანტების ნატვრა და ოცნება განხორციელებულია, საქართველოს არჩევანი ევროინტეგრაცია სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

მითითებული ლიტერატურა:

1. „ილია – მოგონებები გარდასულ დღეთა“, თბილისი, 1987.
2. მესხი ს., „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. I, თბილისი, 1903.
3. მესხი ს., „ნაწერები სერგეი მესხისა“, ტ. II, თბილისი, 1963.
4. ჟორდანიანი ნ., „რჩეული ნაწერები“, თბილისი, 1990.
5. შარაძე გ., „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბილისი, 1986.
6. შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. III, თბილისი, 1993.
7. ჭავჭავაძე ი., ტ. X, თბილისი, 1961.
8. ჭავჭავაძე ი., „ცხოვრება და კანონი“, ტ. VI, თბილისი, 1956.
9. გაზეთი „ქართული აზრი“, №1, ნიუ-იორკი; 1955.

მარიამ მარჯანიშვილი

დიდი 60 -იანელები ევროინტეგრაციის სათავეებთან

XIX საუკუნის 60-იან წლებში დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ დიდ სამოციანელებს ილიას მეთაურობით ხმლისა და ომის გარეშე უხდებოდათ ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის და იმისათვის, რათა აერჩიათ განვითარების ახალი გზა, როგორც მათი თანამებრძოლი სერგეი მესხი აცხადებდა, „დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობა და მის მიღწევათა ჩვენში გადმოტანა“.

სამოციანელთა თაობის ევროპულ ორიენტაციას მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ კოლონიალური მმართველობა და რუსოფილი ქართველები.

ილიას და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია, რადგან ცოდნა განათლებაა, განათლება კი თავისუფლებაა. ეს გუნდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შემოქმედებითი ურთიერთობის ხიდის გადებას ევროპელ მწერლებთან და მეცნიერებთან, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებთან. როგორც ილია აღნიშნავდა, ისინი „მოჰფენდნენ მთელს განათლებულს ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადმე არის ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის...“

60-იანელთა იდეები კიდევ უფრო განავრცეს 1921 წლის ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა, რომელთა ძალისხმევით და ევროპაში ქართული კულტურის პოპულარიზაციით თანდათან მტკიცდებოდა იმის რწმენა, რომ ძველი და მაღალი ცივილიზაციის მქონე ქართველ ერს ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების უფლება და ხალხის ბრძოლა ამ მიმართულებით იყო სავსებით კანონზომიერი მოვლენა.

დღეს, როცა ჩვენი დიდი სულიერი წინაპრებისა და ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების მიზნები განხორციელებულია, ისტორიული გარდუვალობა საქართველოს ევროპის დიდ ოჯახში ინტეგრაცია.

Mariam Marjanishvili

Great Representatives of the 60s at the Origins of European Integration

Summary

Great representatives of the 1860s led by Ilia, penetrated by democratic ideas, had to fight without swords and war: against Tsarist colonial regime, to revive democratic state life and new ways, and, as their co-fighter Sergei Meskhi stated, ‘to get to know Western European life and science and introduce their achievements to our country’.

European orientation and democratic thinking of the generation of the 1860s were opposed by Northern invaders and the Georgians supporting Russia.

Ilia and his co-fighters were well aware that the expression of freedom lies in knowledge. Knowledge is education, and education is freedom.

Ilia and his co-fighters were the first who took direction to Europe, who gave great importance to creating a bridge of creative relations with European writers and scientists, representatives of art and culture. As Ilia remarked, they ‘would spread the news all over the educated world that far away, there is a small nation, whose big heart beats for success, kindness and happiness of mankind...’

The ideas of the representatives of the 1860s were further spread and developed by Georgian emigrants in 1921 who “promoted Georgian culture in Europe, which created a strong belief that Georgian nation with its old and high civilization had the right of independent state life and people’s struggle in this direction was a fully rightful event”.

And today, when the aims of our great spiritual ancestors and Georgian political emigration are realized, the historical inevitability of Georgia is integration into the European big family.

ჰილარი კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის ფონზე (შეღარებითი ანალიზი)

ჰილარი კლინტონმა სახელმწიფო მდივნის პოსტის მემკვიდრეობა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პოლიტიკოსი ქალბატონისაგან მიიღო. ამ სამი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის იმიჯის განსახილველად და შესადარებლად, პოლიტიკოსის იმიჯისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნების გამოყენებით, შევადგინეთ ვრცელი სქემა, რომელიც, ვფიქრობთ, მათი სახის მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენას გაგვიადვილებს.

წარსული

მედელინ ოლბრაიტი (ამერიკის შეერთებული შტატების 64-ე სახელმწიფო მდივანი, 1997-2001). მისი ბებია და ბაბუა, მრავალრიცხოვანი ახლო ნათესავები ნაციისტურ საკონცენტრაციო ბანაკში- აუშვიცში დაიღუპნენ. იგი წარმოშობით ჩეხი ებრაელია, გვარად კორბელი, მეორე თაობის ემიგრანტი. 1948 წელს მამამისი ჯოზეფ კორბელი დაინიშნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლად გაეროს კომისიაში, მან მოითხოვა აშშ-ს პოლიტიკური თავშესაფარი, რომელიც ოჯახთან ერთად მიიღო. ამ გარემოებებს ოლბრაიტი შეგნებულად „ვიწყებდა“, რადგანაც კარგად იცოდა, რომ ეს მისი, როგორც სახელმწიფო მდივნის, იმიჯისათვის, არც თუ პოზიტიური ასპექტი იყო (დენისოვა, 235-236). ოლბრაიტი ამერიკის მოქალაქე 1957 წელს გახდა.

კონდოლიზა რაისი (ამერიკის შეერთებული შტატების 66-ე სახელმწიფო მდივანი, 2005-2009). ალაბამას შტატის ქ. ბირმინგემის მკვიდრი, რასისტული დისკრიმინაციის მომსწრე. მამამისი, როგორც შავკანიანს, დემოკრატებმა არ მისცეს ხმის უფლება. იგი საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით გახდა რესპუბლიკელი.

ჰილარი კლინტონი (ამერიკის შეერთებული შტატების 67-ე სახელმწიფო მდივანი, 2009-2013). 1947 წელს დაიბადა ჩიკაგოში საშუალო კლასის ოჯახში. მამას – ჰიუ როდემს – უელსელი და ინგლისელი წინაპრები ჰყავდა. იგი დაკავებული იყო მცირე ტესტილის ინდუსტრიით. დედას – დოროტი ჰოუელს ინგლისელი, ფრანგი, კანადელი და შოტლანდიელი წინაპრები ჰყავდა. დედა იყო დიასახლისი. ჰილარი სკოლის წლებიდანვე საკმაოდ აქტიური გოგონა იყო და ის მასწავლებლების დიდ სიმპატიას იმსახურებდა. მას განსაკუთრებით უყვარდა სპორტი: ბეისბოლი, ცურვა და სხვ.

ოჯახი

მედელინ ოლბრაიტი – მეუღლეს, ჯოზეფ მედილ პატერსონ ოლბრაიტს, გამომცემელთა გავლენიანი ოჯახის მემკვიდრეს, გაეყარა 1983 წელს. მას ჰყავს სამი ქალიშვილი. ოჯახი ნაკლებად განიხილებოდა, როგორც მისი იმიჯის შემადგენელი ელემენტი (დენისოვა, 237).

კონდოლიზა რაისი – არ არის გათხოვილი; მას არ ჰყავს შვილები;

ჰილარი კლინტონს ჰყავს მეუღლე, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბ. კლინტონი და ერთი ქალიშვილი ჩელსი. ის მეუღლეს საპრეზიდენტო კამპანიაში მოიხსენებოდა როგორც ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ბილი ყოველთვის აღნიშნავდა ჰილარის უნარს და იმ ფაქტსაც, რომ ამ ქალ-

ბატონს ჭკუა ნამდვილად მოეკითხება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბილ კლინტონის პოლიტიკური კარიერა ჰილარი კლინტონის დიდი მონდომების და მოთმინების ხარჯზეა შექმნილი, მაშინ ნათელი ხდება, რომ ჰილარი ამ ოჯახის ერთ-ერთი ნამყვანი ფიგურა იყო, ხოლო პირველი ლედობის პერიოდში, როგორც ამბობენ, თანაპრეზიდენტი მეუღლეც.

განათლება და პროფესიული გამოცდილება

მედელინ ოლბრაიტი

- ჟურნალისტობა, გაზეთი *Denver Post*-ი;
- სადოქტორო დისერტაცია „პრესის როლი 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენებში“;
- სენატორ ედმუნდ მასკის (მენის შტატი) მრჩეველი იურიდიულ საკითხებში (1976 წ.);
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი (1978 - 1981 წწ.);
- სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკის მკვლევარი (1978 - 1981 წწ.);
- უნივერსიტეტის პროგრამის – „ქალები დიპლომატიურ სამსახურში“ – დირექტორი, ეროვნული პოლიტიკის ცენტრის პრეზიდენტი;
- ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის ჯერალდინ ფერაროს მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში (1984 წ.);
- პრეზიდენტობის კანდიდატის მაიკლ დუკაკისის მთავარი მრჩეველი (1988 წ.);
- ბ. კლინტონის მრჩეველი (1992 წ.);
- გაეროში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი (1993 წ.);
- აშშ-ს რიგით 64-ე სახელმწიფო მდივანი 1997- 2001 წწ.;

კონდოლიზა რაისი

პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრი; ნოტრდამის უნივერსიტეტის მაგისტრი;

- დოქტორის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (დენვერის უნივერსიტეტი, 1981 წ.);
- ეროვნული უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (1989 წ.);
- საბჭოთა რეჟიმის ექსპერტი, რაც დასტურდება მისი ნაშრომებით: „საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის არმია“, „გორბაჩოვის ერა“, „გერმანიის გაერთიანება და ევროკავშირის გარდაქმნა“ და სხვა;
- რამდენიმე საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელი და წევრი;
- ამერიკის უშიშროების მე-20 მრჩეველი პირველი ქალი;

თანამშრომლობა: კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ცენტრი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემსწავლელი ეროვნული საბჭო;

ჰილარი კლინტონი

- 1969 წ. საუკეთესო აკადემიური მოსწრებით დაამთავრა უელსის უნივერსიტეტის, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- 1969 წ. ყურადღება მიიპყრო კრიტიკული გამოსვლით უელსის კოლეჯში წლის დასაწყისის მიმართვაში;

- კარიერა დაიწყო, როგორც ადვოკატმა 1973 წელს, იელის იურიდიული სკოლის დასრულების შემდეგ;
- 1975 წელს არკანზასში გადავიდა, სადაც ბილ კლინტონს გაყვა ცოლად და კარიერა კონგრესის იურიდიული კონსულტანტის რანგში განაგრძო;
- 1979 წელს ის პირველი ქალი პარტნიორი გახდა როუზის ადვოკატთა ფირმაში, ხოლო 1988-1991 წლებში ქვეყნის ას ყველაზე გავლენიან იურისტთა სიაში მოხვდა. 1979-81 და 1983-92 წლებში არკანზასის პირველი ლედი იყო, აქტიურობდა რამდენიმე ორგანიზაციაში, რომელთა მიზანი ბავშვების კეთილდღეობის ამაღლება იყო, ასევე იყო უოლ-მარტისა და სხვა კორპორაციული საბჭოების წევრი;
- აშშ-ის პირველი ლედობის პერიოდში ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკის საკითხებში. მისი მთავარი ინიციატივა, კლინტონის ჯანდაცვის გეგმა, 1994 წელს კონგრესის მიერ არ დამტკიცდა, თუმცა 1997 წელს მისი დახმარებით დაფუძნდა სახელმწიფო ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა და შვილად აყვანისა და უსაფრთხო ოჯახის აქტი. 1998 წელს, ლევისის სკანდალის შემდეგ, მისი ქორწინების სტატუსი ბილ კლინტონთან საზოგადოების განხილვის საგანი გახდა;
- ნიუ-იორკში გადასვლის შემდეგ, 2000 წ. კლინტონი აირჩიეს აშშ-ის სენატში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელი პირველი ლედი საზოგადოებრივ სამსახურში ჩადგა და პირველი სენატორი ქალი გახდა ამ შტატიდან. 2006 წელს იგი ხელახლა აირჩიეს სენატორად;
- ჰილარი კლინტონი პირველი ქალია აშშ-ის ისტორიაში, რომელსაც პრეზიდენტად არჩევის დიდი შანსი ჰქონდა. 2007 წლის განმავლობაში სამოქალაქო გამოკითხვებში ის მუდამ წინ იყო დემოკრატ ნომინანტთა შორის, მაგრამ 2008 წლის პრაიმერებში დამარცხდა ბარაკ ობამასთან. 2009-2013 წლებში იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივანი.

პოლიტიკური კარიერის შექმნის სტრატეგია

მედელინ ოლბრაიტი

- მშობლებისა და დემოკრატიისადმი საკუთარი სიყვარულის გამო ჩამოვიდა ამერიკაში;
- „ამერიკული სუპერპატრიოტიზმი“ (მიმზიდველი პოზიციაა რიგითი ამერიკელისათვის);
- ხელმძღვანელისადმი ლოიალობა. ამის ნათელი მაგალითია მისი პასუხი ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელიც ეხებოდა აშშ-ს პოლიტიკას აღმოსავლეთ ტიმორში. მ. ოლბრაიტის პასუხი: „პრეზიდენტი კლინტონი გრძნობდა, რომ ის, რაც აღმოსავლეთ ტიმორში ხდებოდა, დანაშაული იყო. ის ამის შესახებ რეგიონში ჩასვლამდე საუბრობდა. მან ეს ახალ ზელანდიაშიც განაცხადა, სადაც აღნიშნა, რომ ამერიკამ მათ დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე ძლიერია- ტექნიკური და სამხედრო სტრატეგიული მხარდაჭერა, კომუნიკაციები, აი, რაში მდგომარეობს ჩვენი როლი“ (დენისოვა, 238).

კონდოლიზა რაისი

შავკანიანთა უკეთესი ცხოვრებისა და მომავლისათვის, საკუთარი თავის დასამკვიდრებლად განსაზღვრა სტრატეგია: ცოდნა, თავდაჯერებულობა და ღვთისადმი უდიდესი რწმენა, რაც მისი იმიჯისათვის საუკეთესო ასპექტი აღმოჩნდა (მაისაშვილი, 259).

ჰილარი კლინტონი

- ჰილარი კლინტონის სტრატეგია მდგომარეობს მოთმინების უნარში, რომელიც მას საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული;
- დემოკრატი სტრატეგის, პიტერ ფენის, აზრით, ჰილარი 6 თვით იმიტომ განემორა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ ძალა მოიკრიბოს და ახალი ძალებით ჩაებას 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს თამაშამდელ სტრატეგიად მიიჩნევა. (http://www.goodreads.com/author/quotes/2778471.Hillary_Rodham_Clinton).
- ბევრის აზრით, იმისათვის, რომ ხელახლა მოვიდეს, ჰილარი ხანდახან წასვლის სტრატეგიას ირჩევს;
- „თუ კი ქალბატონებს და ქალიშვილებს, როგორც მამაკაცებს ისე მოვეპყრობით უფლებებში, ღირსების საკითხში და შესაძლებლობებში, მაშინ ყველგან დავანიხავთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს. ასე, რომ ეს არ გახლავთ, მხოლოდ მორალური საკითხი, თუმცა უდავოდ მორალურია. ეს არის ეკონომიკური საკითხი და უსაფრთხოების საკითხი და ეს გახლავთ 21-ე საუკუნის დაუმთავრებელი საქმე“ (<http://www.ktvu.com/news/news/protesters-disrupt-condoleezza-rice-appearance/nKzFm/>)
- “მოეკიდე კრიტიკას სერიოზულად, მაგრამ არ აღიქვა ის პირადად შენკენ მომართულად. თუ კი ეს კრიტიკა სიმართლეს შეიცავს, გაიზიარე ის, ხოლო თუ კი არა, მაშინ მოიშორე“ (<https://www.mtholyoke.edu/acad/intrel/bush/wolf.htm>).

გარეგნული მხარე

მედელინ ოლბრაიტი

ჩაცმის სტილი მკაცრად განსაზღვრული: გრძელი მკვეთრი ფერის პიჯაკები, მოკლე ქვედა ბოლოკაბა, კლასიკური სტილის ფეხსაცმელი; აქსესუარებიდან სამკაულები, სამშვენისები (ე. წ ბროში), რომლებიც ოქროთი და ძვირფასი ქვებით არის დამზადებული.

კონდოლიზა რაისი

ატარებს გრძელმკლავიან სხვადასხვა ფერის კლასიკურ პიჯაკებს, მათ შორის, მწვანეს, წითელს, ყვითელს და სხვ. სამკაულების მხრივ მეტად მოკრძალებულია, ძირითადად უყვარს ყელსაბამი და საყურეები; რაც შეეხება მაკიაჟს, ხშირ შემთხვევაში, სარგებლობს წითელი ტუჩსაცხით. ახალგაზრდებიდან დღემდე ატარებს ერთსა და იმავე ვარცხნილობას (მოგრძო კარე).

ჰილარი კლინტონი

სამოსის შერჩევასა ჰილარი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს კლასიკას. ყველაზე ხშირად ჩვენ მას ვხედავთ საჯარო გამოსვლებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე, ამიტომაც ჰილარის ჩვეულებრივი „უნიფორმა“ არის – კლასიკური პიჯაკი, პრიალა ქსოვილი, ტანზე მოყვანილი, სწორი თარგი. მასზე საკმაოდ ხშირად ვხედავთ ნაცრისფერ გამას (ყველაზე ღია მარგალიტისფერიდან დაწყებული გრაფიტის ფერით ჰილარი არ სარგებლობს ყავისფერი, ქვიშისფერი და რძისფერი შოკოლადის თბილ ფერთა გამით, პირიქით ის ირჩევს ისეთ ცივ ფერებს, როგორცა კაკაოსფერი და მუქი შოკოლადისფერი. მას უყვარს სამშვენისები და საყურეები.

პრიორიტეტები

მედელინ ოლბრაიტი

საიმიჯო სლოგანი: „ყველაფერი ამერიკისა და ამერიკელი ხალხის ინტერესებში“. „ამერიკა დაინტერესებულია, რომ მსოფლიოში, რაც შეიძლება მეტი დემოკრატიული ქვეყანა იყოს, რადგანაც „დემოკრატები ერთმანეთს თავს არ ესხმიან“ (დენისოვა, 241).

კონდოლიზა რაისი

- კონდოლიზა რაისის ცხოვრებაში განათლებას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს: „განათლება თილისმას მსგავსია; ის ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენება. შეიძლება ადამიანებს არ უყვარდეთ, მაგრამ ისინი აუცილებლად გცემენ პატივს“ (<http://www.politico.com/news/stories/0111/48433.html#ixzz2XV7SrPQB>)
- მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია ანტიტერორისტული კამპანია, რომელსაც ის აქტიურად ეწეოდა. იგი აბობდა: „ჩვენ ვიმყოფებით ახალ სამყაროში, ჩვენ ვიმყოფებით სამყაროში, რომელშიც ტერორიზმის შესაძლებლობები გადაიხლართა ტექნიკის ახალ შესაძლებლობებთან და რომელიც გვანანებს, რომ არაფერი მოვიმოქმედეთ“ (http://www.huffingtonpost.com/2012/06/06/hillary-clinton-overweight-ed-klein-fox-news_n_1574195.html)

ჰილარი კლინტონი

მისი პრიორიტეტები:

- ეკონომიკის მნიშვნელობა;
- ამერიკის კრედიტუნარიანობის აღდგენა;
- დიპლომატია ეროვნული უსაფრთხოებაა;
- ადამიანებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- ჯანდაცვის პროგრამა, ქალთა, ბავშვთა და გეების უფლებების დაცვა;
- რეალური სტაბილურობა, რომელიც, მისი განცხადებით „მოდის დემოკრატიული ჩარევის შედეგად, რაც დაანახებს ხალხს, რომ მათი ესმით“;
- „ყველა ბავშვს სჭირდება ჩემპიონი“ .

ჰობი

მედელინ ოლბრაიტი

საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მედელინ ოლბრაიტი სამშვენისების (ე.წ ბროშების) კოლექციონერი იყო.

კონდოლიზა რაისი

კითხვაზე, რა თანამდებობას დაიკავებდა მომავალში, იგი პასუხობდა, რომ მისი ოცნება იყო ეროვნული ფეხბურთის ლიგის წევრობა.

ჰილარი კლინტონი

ქალთა საკითხები და ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც ჰილარი კლინტონი პირველი ლედობიდან მოყოლებული ძალიან ბევრ დროს უთმობდა.

გასათვალისწინებელია, რომ მედელინ ოლბრაიტის სახელმწიფო მდივნობის დროს, ჰილარი კლინტონი პირველი ლედი იყო. მას შეეძლო მუდმივად ედევნებინა თვალყური მისი საქმიანობისათვის, გაეანალიზებინა აშშ-ს პირველი ქალი სახელმწიფო მდივნის მოღვაწეობის შინაარსი და სტილი. იგი გონიერი მოსწავლე აღმოჩნდა.

მედელინ ოლბრაიტთან ჰილარი კლინტონს საერთო აქვს წარმატებული კარიერის გაკეთების წყურვილი. ორივე ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ საკუთარი ოცნებებისაკენ და დიდი სიმშვიდით და მოთმინებით გადიოდნენ ცხოვრების არც თუ ისე მარტივ გზას. პრეზიდენტობაზე, ხომ მე ვოცნებობდი, ბავშვობიდან ვოცნებობდი! პრეზიდენტი კი ჩემი მეუღლე გახდა. მეც ბედნიერი ვარ -აცხადებდა ჰილარი (თევზაძე, 48). ორივე საკმაოდ განათლებული ქალბატონია და ორივეს საკმოდ მდიდარი პროფესიულ გამოცდილება აქვს. კლინტონს და ოლბრაიტს ჩაცმის მოზომილი სტილიც საერთო აქვთ. არცერთს არ უყვარს ბევრი აქსესუარის ტარება და ორივე კლასიკური ჩაცმულობით გამოირჩევა.

პირველი, რითაც ისინი განირჩევიან ისაა, რომ მედელინი, ჰილარისგან განსხვავებით, მკვიდრი ამერიკელი არ არის. მათ სხვადასხვა წარსული აქვთ. ორივესათვის, ჰილარისათვისაც და მედელინისათვისაც, ოჯახი ერთსა და იმავე ღირებულებას არ წარმოადგენდა. მედელინი დაშორდა მეუღლეს, მაშინ როდესაც ჰილარისათვის ეს წარმოუდგენელი ამბავი იყო. ჰილარის ბევრი რამის მოთმენამ მოუწია, იმისათვის, რომ არ გაყოფილიყო ბილ კლინტონს. მას მკაფიოდ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ის ამას არასოდეს გააკეთებდა.

ჰილარის საკუთარი წარსულიდან არაფერი აქვს ისეთი, რაც დისკომფორტს შეუქმნიდა ან რისი „დავინწყება“ მოუწოდებოდა. პირიქით, ის საკუთარ მემუარებში, „ცოცხალი ისტორია“ თამამად საუბრობს წარსულზე და ბავშვობის საკმაოდ პირადულ დეტალებსაც ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ქალბატონი გენეტიკური ამერიკელია, ხოლო მეორე – ჩამოსული ემიგრანტი, მათი სიყვარული, თავდადება და ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა ამით ნამდვილად არ განისაზღვრებოდა, რასაც მათი საქმიანობა ნათლად მიუთითებს.

საკმაოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი თეთრკანიანი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოღვაწეობდა, ხოლო ჰილარი კლინტონი, პირიქით, აფროამერიკელი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ეს სულაც არ არის შემთხვევითი ფაქტი, რადგან ამით ამერიკა გამუდმებით წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას რასიზმისადმი. სახელმწიფო მდივანი ქალბატონები ამით ხაზს უსვამენ, რომ კანის ფერთაც განსხვავებულ ადამიანებს ქვეყნისათვის არაჩვეულებრივი ამინდის შექმნა შეუძლიათ.

რასაკვირველია, რაისსა და კლინტონს მსგავსი წარსული არ ჰქონიათ. ორივე პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრია, ხოლო შემდეგ სხვადასხვა დარგი აირჩიეს. ოჯახის ფენომენი ამ შემთხვევაშიც არავითარ როლს არ თამაშობს, რადგან კონდიმ, როგორც მას ახლო წრეში ეძახიან და როგორც თავად პრეზიდენტი ბუში უმცროსი მიმართავდა, ოჯახის შექმნაზე უარი განაცხადა. მისთვის გაცილებით პრიორიტეტული კარიერა აღმოჩნდა.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინა ორი სახელმწიფო მდივნისაგან განსხვავებით, ჰილარი კლინტონის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ბავშვებია, მაშინ როცა კონდოლიზა რაისი ბევრ დროს უთმობდა ანტიტერორისტულ კამპანიას და ძალიან დიდ საფრთხეს ხედავდა როგორც ტერორიზმში, ისე კიბერტერორიზმში.

სამივე ქალბატონს დოქტორის ხარისხი აქვს მინიჭებული. ოლბრაიტი და რაისი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ატარებენ, ხოლო კლინტონი იურისპრუდენციის დოქტორია. აკადემიური ხარისხი სამივეს იმიჯის შექმნაში გარკვეულ როლს ასრულებს.

აუცილებლად უნდა გამოვყოთ მათი მემუარები, რომლებიც საიმეფო წიგნებად იქცა, რომლის საშუალებითაც საზოგადოებაზე ირიბი ზემოქმედება ხორციელდება. წიგნის წაკითხვის

შემდეგ აუცილებლად ვიცვლით აზრს და ხშირ შემთხვევაში ავტორის სასიკეთოდ. საიმიჯო ნიგნზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ მედელინ ოლბრაიტი და კონდოლიზა რაისმა მემუარები სახელმწიფო მდივნის პოზიციიდან წასვლის შემდეგ დაწერეს, ხოლო ჰილარი კლინტონმა - პირველი ლედობის ვადის დასრულების შემდეგ.

მედელინ ოლბრაიტის საიმიჯო ნიგნად შეგვიძლია დავასახელოთ მისი ცნობილი თხზულება „ნაიკითხეთ ჩემი სამშვენისები“ (2009წ), რომელშიც დეტალურად აღწერს, რომელი სამშვენისი რა დატვირთვის მატარებელი იყო. ის მათ იმისდა მიხედვით არჩევდა, სად მიდიოდა და ვის ხვდებოდა. სამშვენისი იყო მისი არავერბალური კომუნიკაციის მთავარი ატრიბუტი. ოლბრაიტი საკმაოდ ორიგინალური ე. წ. ბროშით გვიმზერს ნიგნის გარეკანიდან – სამშვენისში, თვალეზის ნაცვლად, ორი საათია ჩადგმული. ერთ საათზე სწორი დრო თავად მფლობელისთვის არის გამოსახული, ხოლო მეორეზე – მაყურებლისათვის. ანუ ადამიანები ერთსა და იმავე დროს სხვადასხვაგვარად უყურებენ და, ამავდროულად, აკონტროლებენ კიდეც. ოლბრაიტის მესიჯის შინაარსი ასეთი იყო: „შეხვედრა დროზე უნდა დასრულდეს“.

ოლბრაიტის მეორე საიმიჯო ნიგნის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მისი მემუარები – „ქალბატონი სახელმწიფო მდივანი“ (2003 წ.), რომლის გარეკანი ასევე გამოირჩევა ცნობილი სამშვენისით. სამშვენისზე გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი. მედელინ ოლბრაიტი მსოფლიოს უგზავნის მესიჯს ამერიკის შეერთებული შტატების ძლევამოსილების შესახებ და ხაზგასმით მიუთითებს მის ზესახელმწიფოებრიობაზე.

ასევე საინტერესოდ გამოიყურება კონდოლიზა რაისის საიმიჯო ნიგნის – „არ არსებობს უფრო დიდი პატივი“ (2011 წ.) – გარეკანი, საიდანაც რაისი, როგორც ყოველთვის, წითელი ტურნსაცხითა და ქათქათა მარგალიტის ყელსაბამით გვიღიმის. კონდოლიზას სიყვარული მარგალიტის ყელსაბამისადმი სულაც არაა ახალი საზოგადოებისათვის, რადგან ის ხაზგასმით გამოყოფს მის დამოკიდებულებას კლასიკური სტილისადმი. შეუძლებელია, ეს სტილი შემთხვევით იყოს შერჩეული, რადგან მარგალიტის ყელსაბამი პირდაპირ ასოციაციას იწვევს დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ მინისტრთან მარგარეტ ტეტჩერთან, რომელიც ბევრი პოლიტიკოსი ქალბატონისათვის მისაბაძი მაგალითი იყო. ყველაფრის მიუხედავად, შავი და თეთრი ფერების კომბინაცია შეუძლებელია მხოლოდ კლასიკას მიაწერო. ქალბატონი რაისი აგზავნის მესიჯს კანის ფერისადმი ჰარმონიული დამოკიდებულების შესახებ.

ჰილარი კლინტონის „ცოცხალ ისტორიაში“ (2003 წ.) ძირითადი აქცენტები გამახვილებულია პირველი ლედობის პერიოდზე. ნიგნის გარეკანი საკმაოდ სადაა და არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული დეტალებით. ჰილარი გაბრწყინებული თვალებით და ნიკაპქვეშამოდებული ხელით გულწრფელი ღიმილით გვიღიმის.

უნდა აღინიშნოს ის, რომ სამ სახელმწიფო მდივან ქალბატონს შორის მედელინ ოლბრაიტი ყველაზე მეტად გამოირჩეოდა არავერბალური კომუნიკაციის უნარით, რაზეც მისი ნიგნები მეტყველებს.

საკმაოდ საინტერესოა ამ სამი ქალბატონის მსგავსება – განსხვავებების გამოვლენა. სამივე მათგანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის ისტორიაში. იმ დროს, როცა ჰილარის ქალთა, გეების და ბავშთა უფლებების დაცვა იზიდავს, ხოლო ოლბრაიტი სამშვენისებს აგროვებს, კონდი ერთი გოლის გატანაზე ოცნებობს. აი, ასეთი ერთნაირები და მეტად განსხვავებულები არიან თავის დროის ყველაზე გავლენიანი ქალბატონები – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დენისოვა, ტ. „მედელინ ოლბრაიტის ფენომენი“, ამერიკის შესწავლის საკითხები II, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემოლა, თბილისი.
2. თევზაძე, ნ. „ჰილარი კლინტონის სიყვარულის ისტორია“, გულახდილი საუბრები, №8, 2012.
3. მაისაშვილი, თ. „კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ“, ამერიკის შესწავლის საკითხები, 2. თბილისი უნივერსიტეტის გამომცემოლა, თბილისი, 2003.
4. Frumin, A. Hillary Clinton's pre-game strategy? Be cool, tread carefully, <http://tv.msnbc.com/2013/06/23/hillary-clintons-pre-game-strategy-be-cool-tread-carefully/>
5. <http://www.democraticunderground.com/1107277;>
6. http://www.goodreads.com/author/quotes/2778471.Hillary_Rodham_Clinton;
7. Protesters Disrupt Condoleezza Rice Appearance, [http://www.ktvu.com/news/news/protesters-disrupt-condoleezza-rice-appearance/nKzFm/;](http://www.ktvu.com/news/news/protesters-disrupt-condoleezza-rice-appearance/nKzFm/)
8. Interview with Condoleezza Rice conducted by Wolf Blitzer, CNN Late Edition, <https://www.mtholyoke.edu/acad/intrel/bush/wolf.htm>;
9. Hillary Clinton calls for 'real democracy' in Egypt, <http://www.politico.com/news/stories/0111/48433.html#ixzz2XV7SrPQB>;
10. Kelly, T. Hillary Clinton 'Overweight, http://www.huffingtonpost.com/2012/06/06/hillary-clinton-overweight-ed-klein-fox-news_n_1574195.html; <http://www.youtube.com/watch?v=5X-Xj5UdoT4>

ნანა პარინოს

ჰილარი კლინტონი ორი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის ფონზე (შედარებითი ანალიზი) რეზიუმე

ჰილარი კლინტონმა სახელმწიფო მდივნის პოსტს მემკვიდრეობით ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული იმიჯის მქონე პოლიტიკოსი ქალბატონისაგან მიიღო. ამ სამი სახელმწიფო მდივანი ქალბატონის იმიჯის განსახილველად და შესადარებლად, პოლიტიკოსის იმიჯისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნების გამოყენებით, შემუშავებულია ვრცელი სქემა, რომელიც მათი მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენას აადვილებს.

Nana Parinos

Hillary Clinton against the Background of Two Secretaries of State (Comparative Analysis) Summary

Hillary Clinton inherited the position of Secretary of State from two women-politicians whose images have absolutely nothing in common. In order, these three images, to be considered and compared, we composed a full scheme using the main features of image which makes it easy to find out similarities and differences in their images.

ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ საინტერესო პოლიტიკური და მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ბევრი მათგანი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეების სათავეებთან იდგა. ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ გაერთიანებულ ევროპაში დამოუკიდებელი საქართველო თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერდა. მათი ნაშრომები ემიგრაციაში, საბჭოთა საქართველოსგან შორს იქმნებოდა და ყოველგვარი კომუნისტური დოგმებისგან თავისუფალი იყო. ევროპის გაერთიანების იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში წარმოიშვა. 1952 წლის ნოემბერში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა, პარიზში, „ქართულ-ევროპული მოძრაობა“ დააფუძნეს. აღნიშნული მოძრაობის შექმნას მაღალი შეფასება მისცა ქართველოლოგიური ჟურნალის – „ბედი ქართლისა“ – რედაქტორ-გამომცემელმა კალისტრატე სალიამ. იგი წერდა: „...როდესაც ევროპის მთლიანობის იდეა ხორცს იხამს და მისთვის მებრძოლი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი დასავლეთი, ჩვენი მოვალეობა იყო თავისუფლება ართმეულ საქართველოს მაგიერ, მისი ევროპიული სიტყვა გვეთქვა. ეს იკისრეს ჩვენმა წარჩინებულმა მეცნიერებმა და მათი ინიციატივით და დახმარებით დაფუძნდა ქართულ-ევროპიული მოძრაობა. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკური აზროვნება ისე დაბნეული არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს. არც ის გვახსოვს, რომ საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე რაიმე სერიოზული უთანხმოება მოგვსვლოდეს ამ 30 წლის განმავლობაში, რაც გადმოხვეწილობაში ვართ. საქართველოს სუვერენულ უფლებათა დაცვის საკითხში, ჩვენი ემიგრაცია მუდამ შეურყეველი კალოსავით იდგა და ამ მხრით, მისი მთლიანობა არავის არ დაურღვევია; ხოლო დღეს მსოფლიოს რთული პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით, იგიც კრიზისს განიცდის, მისი ეროვნული ერთობა დაიშალა და ბევრი რამ უჩვეულო ხდება. ამ დროს გვევლინება ახალი ქართული მოძრაობა თავისი გარკვეული სახით, რომელიც ნათლად გვისახავს სწორ ეროვნულ გზას. მისი აზრით, ერთად-ერთი მისაღები ჩვენთვის არის ევროპის ორიენტაცია, ევროპის ფედერაციაში უშუალოდ შესვლა, ამისთვის მუშაობა და ნიადაგის მომზადება“ („ბედი ქართლისა“, 1952, 2).

„ქართულ-ევროპული მოძრაობის“ საინიციატივო წრემ დააარსა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: კ. სალია, მ. ალშიბაია, ვ. ცხომელიძე. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარედ მიხეილ წერეთელი აირჩიეს, ხოლო საპატიო წევრად – გრიგოლ რობაქიძე. მოძრაობას საფუძვლად დაედო, 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესდება. მასში აღნიშნულია, რომ საჭიროა: 1) ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება; 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად, იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევ-

როპულ მოძრაობებს. წესდებაში, ასევე, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქართულ-ევროპულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყოველ ქართველს, განურჩევლად მრწამსისა და მიმართულებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას („ბედი ქართლისა“, 1953).

1952 წელს „ქართულ-ევროპული მოძრაობამ“, პარიზში, გამოსცა ბროშურა სახელწოდებით: „საქართველო - ევროპა“, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული მოძრაობის სამომავლო გეგმები. მასში აღნიშნულია: „საქართველო მუდამ იყო დიდი ევროპული ოჯახის წევრი, ამ ოჯახის შემძენი და ამ ოჯახით მოსარგებლე, ჩვენ გვწამს, რომ დამოუკიდებელი საქართველო, თავის ადგილს დაიკავებს გაერთიანებულ ევროპაში. ეს ადგილი მას დამსახურებული აქვს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი ქართველი ერი ძველებურად გაშლის თავის ბუნებას და ნიჭს თავმოყრილ და მთლიან ევროპაში... ჩვენი მიზანი იგივეა, რაც ყოველი ევროპული ერისა: ვიყოთ უფალი ჩვენი თავისა, მოვანესრიგოთ და გავშალოთ ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც ეს ჩვენს ბუნებას შეეფერება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თავისუფალი ვართ, თუ საქართველო დამოუკიდებელია. ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღებად მას სჭირდება ევროპა, როგორც მცველი მისი თავისუფლებისა, როგორც მომცემი ახალ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ შესაძლებლობათა. საქართველო არ მოისურვებს იყოს მხოლოდ მოსარგებლე, ის თავის მოვალეობად თვლის, ისე როგორც წარსულ საუკუნეებში, იყოს, აგრეთვე, შემძენი ევროპისა, დამცველი მისი მთლიანობისა და მისთვის მებრძოლი. ევროპა მრავალფეროვანი ერთეულია. ყველა ევროპელ ერში ცოცხლობს ევროპელობა და ევროპელობაში კი ყოველი მისი ერი. ევროპა უფრო დიდია, ვიდრე მისი რომელიმე სახელმწიფო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უფრო მალა უნდა იდგეს, ვიდრე ერი, რომლის კეთილდღეობა, ანმყოსა და მომავლის უზრუნველყოფა მოითხოვს, სწორედ ევროპის შექმნას. პირველი მნიშვნელობისა თვით ერია, ევროპა კი მისი მფარველი. პირველს, მეორის გარეშე სიცოცხლის უნარი ერთმევა, არც ერს არ შეუძლია სიცოცხლე, თუ მას ნიადაგი გამოეცალა და ამ ნიადაგს შეადგენს ის უფრო „დიდი ევროპა“. ასეთი უნდა იყოს დამოუკიდებულება ერსა და ევროპას შორის („საქართველო - ევროპა“, 8).

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსებს გაცნობიერებული ჰქონდათ ერთიანი ევროპის მნიშვნელობა, რომელიც დაიცავდა მასში შემავალი თითოეული ქვეყნის თვითმოყოფადობას და მათ კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. სამწუხაროდ, საქართველო მაშინ რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული და საბჭოთა ხელისუფლებამ რკინის ფარდა აღმართა დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოსთან. ემიგრანტი პოლიტიკოსების სწრაფვა ევროგაერთიანებისკენ ნათლად მოწმობს, რომ საქართველო თავის მომავალს ევროპაში ხედავდა, რასაც იმჟამად ხელს უშლიდა საბჭოთა რეჟიმი, რომელიც ქართველ ხალხს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოახვია თავს. „ქართულ-ევროპული მოძრაობის“ მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „უდიდესი აზრი, რომელიც მე-20 საუკუნეში იქნა წამოყენებული, არის ევროპის გაერთიანების იდეა, იდეა ზოგ საკითხებში უკვე სინამდვილედ ქცეული: ვის შეუძლია განჭვრიტოს მთელი საამისოდ საჭირო სიღრმით, თუ რა ისტორიულ-პოლიტიკური შესაძლებლობანი აქვს თანდართული მარშლის ევროპულ გეგმას, შუმანის გეგმას, ევროპული ჯარის შექმნას, ევროპის საბჭოს სტრასბურგში? ეს მხოლოდ მკრთალი დასაწყისია, მხოლოდ პირველი ნაბიჯი. მას მეტი და უფრო დიდი ამბები მოყვება“ („საქართველო-ევროპა“, 4).

პოლიტიკური ემიგრაციის მიერ შემუშავებულ „ქართულ-ევროპული მოძრაობის“ წესდებაში ჩამოყალიბებული იყო ევროპული ინტეგრაციის დებულებები. მოძრაობა უყურადღებოდ არ ტოვებდა რუსეთთან და თურქეთთან დამოკიდებულების საკითხს. მოძრაობის წევრთა აზრით, ევროპის მთლიანობის იდეის განხორციელება, საქართველოს საშუალებას მისცემდა, აღნიშნულ ქვეყნებთან ისტორიული დავა მოეგვარებინა. როგორც ერთი და იმავე ევროპის დიდი ორგანიზაციის წევრები, ეს ქვეყნები ვალდებულნი იქნებოდნენ დაეცვათ საერთოდ გამომუშავებული წესრიგი, რომელიც ერთა შორის დამოკიდებულების საზომი გახდებოდა. მათი აზრით, დიდი ერის წინაშე შიში ჰკარგავს ძალას, რადგან უდიდესი ერიც კი სუსტია მთლიან ევროპასთან შედარებით. ასეთ პირობებში, მხოლოდ ერთიანი ევროპის პირობებში შეეძლო ქართველ ერს მისი ფიზიკური არსებობის, კულტურული განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

„ქართულ-ევროპული მოძრაობაში“ გაერთიანებული ქართველი პოლიტიკოსების მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდა კალისტრატე სალია. იგი აღნიშნავდა: „ვინც გულდასმით გაეცნობა ამ მოძრაობის მიზანს, დაგვეთანხმება, რომ საქმე გვაქვს უეჭველად ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელსაც შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის წარმართვასა და მის ნამდვილ ეროვნულ ხაზზე დაყენების საქმეში. როგორც ამ მოძრაობის ინიციატორთა მონოდებაშია აღნიშნული, ეს ახალი ორგანიზაცია დგას პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა გარეშე, მსგავსად ევროპის ფედერაციის მოძრაობათა, სადაც შედიან ყველანი, განურჩევლად სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსისა“ („ბედი ქართლისა“, 1952, 31).

ევროპული იდეების დამუშავების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა. ერთ-ერთი მათგანია მიხეილ მუსხელიშვილი (1903-1964). იგი იყო სტრასბურგის, უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და საერთაშორისო საჯარო სამართლის კათედრის გამგე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კვლევის ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, რომელიც სტრასბურგში დღესაც არსებობს და „მუსხელის ცენტრად“ იწოდება. მან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციას დაუდო საფუძველი და ორჯერ გახდა ამ გაერთიანების არჩეული გენერალური მდივანი, ამასთანავე „აკადემიური პალმის“ ჯილდოს კავალერი. მან გაუსწრო დროს და ევროკავშირისა და ევროგაერთიანების იდეით შეპყრობილმა, მრავალი ნაშრომი უძღვნა ევროპული ფედერალიზმის, ფედერალისტური მოძრაობის, ახალი ევროპის კონსტრუქციის საკითხებს. მისი ბოლო მონოგრაფიის სახელწოდება იყო „ფედერალური სტრუქტურები“. მან წარმოადგინა ევროპის გაერთიანების, მისი ფედერაციის იდეა. საზღვრების მოშლის საკითხსაც ასაბუთებდა. მ. მუსხელიშვილს, ლექციების ნასაკითხად, ხშირად ინვეგდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ქართველმა პროფესორმა ლექციები წაიკითხა ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მოხსენების ძირითადი თემები იყო: 1) კონფლიქტი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის; 2) საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა; 3) ევროპის სახელმწიფოთა ფედერაცია. მ. მუსხელიშვილის გამოსვლებს ყველგან დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა. ვაშინგტონში მისი ლექციის მოსასმენად მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობის კულტურულ სექცია-

თა ხელმძღვანელები მივიდნენ. იგი მიწვეული იყო, ასევე, სკანდინავიაში, ოსლოსა და უბსალას უნივერსიტეტებში, სადაც წაიკითხა მოხსენება ევროპის ცივილიზაციის კრიზისზე და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობაზე („ბედი ქართლისა“, 1954). მისი სტატიები იბეჭდებოდა კრებულებში: „Monde nouveau“ და „Travaux enquetes“, ხოლო ფრანგულ და ქართულ ენებზე ქვეყნდებოდა ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (სარალიძე, 151–168). იგი ემიგრაციაში ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. ნაშრომში „საქართველოს ისტორიაში ცნობილი ტრაქტატის შესახებ“, მან იურიდიული შეფასება მისცა 1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის ტრაქტატს და მას საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა (სარალიძე, 22–26).

მ. მუსხელიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა ქართველი მკვლევარებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. მის შრომებს საბჭოთა რეჟიმი კრძალავდა, ვინაიდან იგი სასტიკად აკრიტიკებდა საბჭოთა სისტემას (Saralidze, 244). სტატიაში: „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“ იგი აღნიშნავს: „ეჭვი არ არის, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება, დღესაც საერთაშორისო სამართლის გარეშე იმყოფება. მწარედ მოტყუვდებიან ის ერნი, რომელნიც მათ იმედს – დამოუკიდებლობის მოპოვებისა, თვითგამორკვევის უფლებაზედ დაამყარებენ. კიდევ უფრო დიდ უგუნურობათ ჩაითვლება, მიტოვება მათ მიერ დამოუკიდებლობის სტატუსისა და მისი გაცვლა თვითგამორკვევის უფლების აღსარებაზედ. ეს ნიშნავს ნანადირევის ხელიდან გაშვებას, მისი აჩრდილისათვის. მართალია, ერს საზიზღარი ბატონობისაგან გასათავისუფლებლად, გარდა აჯანყებისა, დღესაც არა აქვს სხვა საშუალება, როგორც გუმინ არ ჰქონდა, მაგრამ აჯანყება და ძალით მოქმედება კანონიერი ხდება მაშინ, როდესაც საქმე წარმოებს იმ იურიდიული უფლების აღსადგენად, რომელიც ერს უკანონოდ ახადეს, ხოლო იგი არ იქნება აუცილებლად კანონიერი, თუ საქმე წარმოებს, პირიქით, ახალი იურიდიული უფლების მოსაპოვებლად“ (მუსხელიშვილი, 16). მ. მუსხელიშვილის მოღვაწეობა შესწავლილია, რაც შესაძლებელი გახდება სტრასბურგის არქივებში დაცული დოკუმენტების დამუშავების შემდეგ, რითაც ნათელი მოეფინება მის ძალისხმევას ევროპული იდეების შესწავლის საქმეში. იგი 61 წლის ასაკში, იტალიის ალპებში, მწვერვალ სერვინიდან დაშვებისას ტრაგიკულად დაიღუპა. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე ორმა რომაელმა სტუდენტმა დალაშქრა მონბლანი, მწვერვალზე ააფრიალა ერთიანი ევროპის დროშა და ეს ქმედება საყვარელი სტრასბურგელი პროფესორის ხსოვნას მიუძღვნა.

ევროპული იდეების დამუშავების საქმეში, ასევე, დიდი წვლილი შეიტანა ალექსანდრე ნიკურაძემ (1900-1981 წწ.). 1952 წლის 22-24 სექტემბერს, საფრანგეთში, ქ. კომპიენტან, „ლა ბრევიერის“ სასახლეში, ევროპელ სწავლულთა ყრილობა შედგა, რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, თურქეთიდან და სხვა. კონგრესის მიზანი იყო ევროპული საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება. სხვა წინადადებათა შორის, ყრილობამ მიიღო პროფესორ ალ. ნიკურაძის აზრი ცნება – „ევროპოლოგიის“ შემოღების შესახებ. ქართველი მეცნიერი ითვალისწინებდა ევროპის სხვადასხვა მეცნიერული დარგების თავმოყრას და ერთ სწავლებად ჩამოყალიბებას. კონგრესის მუშაობაში და მის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა მ. მუსხელიშვილიც. ალ. ნიკურაძე, ძირითადად, გერმანიაში მოღვაწეობდა. იგი იყო კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტის დირექტორი, სადაც მან გერმანულ ენაზე ხუთი წიგნი გამოსცა, მათ შორის: „აღმოსავლეთ ევროპა“ და „კავკასია“, რომელშიც ავტორი დიდ ადგილს უთმობს საქართველოს

ისტორიას. ნაშრომში „ოცნებიდან ვიდრე საქმემდე“, გადმოცემულია ქართველი მეცნიერის დებულებები ევროპის იდეის შესახებ. იგი თავის ნაშრომებს **Al. Sanders**-ის ფსევდონიმით ბეჭდავდა.

1947 წლის 24 აპრილს, მოსკოვის კონფერენციის წარუმატებლობამ, რომელიც გერმანიის საკითხებს ეხებოდა, დასავლეთი დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირი, ერთ-ერთი მოკავშირე ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სულ მალე დასავლეთის დემოკრატიისთვის საფრთხის წყარო გახდებოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სულ მალე წარმოიშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ახალი მსოფლიო ომის საშიშროება. 1949 წლის 4 აპრილს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ატლანტიკური პაქტის ხელმოწერით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა საფუძველი ჩაუყარეს თავიანთ კოლექტიურ უსაფრთხოებას. კრემლის ლიდერების მხრიდან მუქარის სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო დაძაბულობისა და საყოველთაო შიშის გავრცელებას, რაც „ცივი ომის“ სახელით არის ცნობილი. მოსალოდნელ საფრთხეს ევროპა ერთიანობით უნდა დაპირისპირებოდა. 1951 წლის 18 აპრილს, ხელი მოეწერა პარიზის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ევროპული თანამეგობრობა დაარსდა; ასევე, მოხდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ექვსი ხელმომწერი ქვეყნის მიერ და 1952 წლის 10 აგვისტოს, ორგანიზაციის უმაღლესმა ორგანომ ჟან მონეს ხელმძღვანელობით, ბინა ლუქსემბურგში დაიდო. ჟან მონემ და რობერტ შუმანმა თავიანთი გეგმით დასაბამი მისცეს ევროპული ინტეგრაციის იდეის განხორციელებას. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ევროპაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, მხარს უჭერდა ევროპის გაერთიანების იდეას და იმედით შეჰყურებდა იმ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენდა. სამწუხაროდ, მაშინდელი ევროპა ვერ აღმოჩნდა მზად დაეცვა საქართველო, რომლის დამოუკიდებლობა „დეიურე“ ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა სახელმწიფომ ცნო. მიუხედავად ამისა, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსებს არ დაუკარგავთ ევროპასთან კავშირის იმედი.

1991 წელს საქართველომ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ-დემოკრატიულ ღირებულებებს. აქტუალური გახდა კითხვა: რითი შევდივართ, ჩვენ ქართველები ამ დიდ ევროპულ ოჯახში. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ემიგრანტების ნაშრომების შესწავლას და მათი ღვაწლის წარმოჩენას ერთიანი ევროპის იდეის შემუშავების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მუსხელიშვილი მ. „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, ჟურნალში: „ბედი ქართლისა“, 1954, N18.
2. სარალიძე ლ. „დასავლურ-დემოკრატიული ღირებულებები და ქართული ემიგრაცია“, კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, 1(3), 2008.
3. ფონტენი პ. ევროპის გაერთიანების იდეა, შუმანის დეკლარაცია – 1950-2000, საიტზე: www.europa.eu
4. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, წიგნი პირველი, „მერანი“, 1991.
5. „ბედი ქართლისა“ (ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალი), 1952, N13. „ბედი ქართლისა“, 1953, N15.

6. „საქართველო-ევროპა“, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, პარიზი, 1952. „ბედი ქართლისა“, 1954, N17.
7. Mouskheli M. professeur de Droit international public a l'Université de Strasbourg, „A propos d'un Traité célèbre dans l'histoire de la Géorgie“, „Bedi Kartlissa“, #23, janvier, Paris, 1957.
8. Saralidze L. Georgian Emigrant scientists and the Idea of the European Union, Caucasus Journal of Social Sciences, volume IV, Issue; The University of Georgia Press, Tbilisi, 2011.

ლელა სარალიძე

ევროინტეგრაციის საკითხი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია რეზიუმე

1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ბევრი ქართველი პოლიტიკოსი საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ბევრი მათგანი გაერთიანებული ევროპის შექმნის იდეების სათავესთან იდგა. ქართველი ემიგრანტი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ გაერთიანებულ ევროპაში დამოუკიდებელი საქართველო თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერდა. მათი ნაშრომები ემიგრაციაში, საბჭოთა საქართველოსგან შორს იქმნებოდა და ყოველგვარი კომუნისტური დოგმებისგან თავისუფალი იყო. ევროპის გაერთიანების იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში წარმოიშვა. 1952 წლის ნოემბერში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა და პოლიტიკოსებმა, პარიზში `ქართულ-ევროპული მოძრაობა` ჩამოაყალიბეს, რომლის საქმიანობას საფუძვლად დაედო 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში, შეკრებილი ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული წესდება. ევროპის ერთიანობის იდეის დასაბუთების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ემიგრაციაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა – მიხეილ მუსხელიშვილმა და ალექსანდრე ნიკურაძემ. 1991 წელს საქართველომ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ ღირებულებებს. აქტუალური გახდა კითხვა: „რითი შევდივართ ჩვენ ქართველები ამ დიდ ევროპულ ოჯახში“. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ემიგრანტების ნაშრომების შესწავლას.

Lela Saralidze

The Issue of European Integration and Georgian Political Emigration

Summary

In February-March 1921, after the occupation of Georgia by Russia many Georgian politicians left Georgia. Many of them were standing at the starting point of the idea of uniting Europe. They believed that in the united Europe Georgia should have gained the place due to it. Their works in emigration were written far from Soviet Georgia and were completely free from the Communist dogmas. The idea of uniting Europe arose after the World War II. In November 1952 Georgian scientists, who were working in emigration and emigrant politicians in Paris founded `Georgian-European Movement`. Plural regulations that were received in Munich by the Constituent Assembly of `Georgian-European Movement` in April 7, 1953 became the starting point of its activity. In justification of the idea of European unity important contributors Georgian emigrant Scientist such as Mikheil Mouskhelishvili and Alexandre Nikuradze.

Since the 1990s, when Georgia regained its independence as a result of the fall of the Soviet Empire, Georgia has again returned to the history of establishing democratic values motivated by the wish to regain its place in the European. Georgia is revealed in the integration with the European Union and NATO. The importance of the problem at present is manifested in the intensive integration links with Europe in all fields. What can we the Georgians contribute to this huge commonwealth? This question is becoming more and more acute at present. Therefore, it is of great importance to study the works by Georgian immigrants.

ევროპული დრამატურგია ქართული თეატრალური მხატვრების შემოქმედებაში (1920-30-იანი წლები)

ქართული ხელოვნება საუკუნეების განმავლობაში ევროპული კულტურის თანამგზავრი იყო, რომელშიც იქ მიმდინარე პროცესები თავისებური სახით აისახებოდა და ვითარდებოდა. თეატრალური ხელოვნება უშუალოდ დაკავშირებული იყო მრავალფეროვან ლიტერატურულ ნაწარმოებთან და მისი განვითარების დონეს ამაღლებდა. ევროპელი მწერლების ლიტერატურული ნაწარმოებები და შემდგომ დრამატურგია ქართული პროფესიონალური თეატრის ჩამოყალიბებისთანავე რეჟისორების და თეატრალური მხატვრების მიერ სცენაზე საინტერესო ხედვით ჰპოულობდნენ თავის მხატვრულ სახეს, რამაც ქართული სცენოგრაფიის განვითარება და მისი სახის თვისობრივად ჩამოყალიბება განაპირობა. ქართულ თეატრში დაიწყო შემოქმედებითი ძიებების პერიოდი. პიესები, რომელიც ამ პერიოდში ქართულ სცენაზე იდგმებოდა, თემატურად მრავალფეროვანი იყო. შესაბამისად მათი გაფორმების ხერხებიც მხატვრულ მრავალფეროვნებას მოითხოვდა. მნიშვნელოვანი და ნოვატორული აღმოჩნდა კოტე მარჯანიშვილის მიერ თეატრში ქართველ მხატვართა მოწვევა. ამან, სამომავლოდ, ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარება განაპირობა. ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებაში ახალი ეტაპის საწყისად კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული და ვალერიან სიდამონ-ერისთავის მიერ გაფორმებული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო-ს“ დადგმა ითვლება. ვ. სიდამონ-ერისთავი ამ დადგმაში სრულიად ახალი ხელწერით იყო წარმოდგენილი. სპექტაკლის დეკორაცია გეომეტრიზირებული არქიტექტურული ფორმებისაგან იყო შექმნილი. მრგვალი ფორმის კოშკები, მრგვალი და სწორკუთხა კიბეები, კარებებისა და ფანჯრების შეისრული თაღები სპექტაკლის მოქმედების ადგილის პირობითობას მავრიტანული არქიტექტურის ელფერს ანიჭებდა. სპექტაკლის გაფორმების ფერადოვანი გამა ლურჯის (ულტრამარინი) და ყვითლის შეხამებით იყო გადანყვეტილი; უკანა დეკორაცია განყენებულ ფონს წარმოადგენდა. ამით ის ხელს უწყობდა ძირითადი დეკორაციული სისტემის გამძაფრებას და პლასტიკური ფორმების გამოვლენას. მართალია, დეკორაციული სისტემა ცალკეული ელემენტებისაგან გაერთიანებულ, უცვლელ კონსტრუქციულ დანადგარს წარმოადგენდა, მთლიანობაში ის განსაზღვრავდა სპექტაკლის საერთო მხატვრულ-პლასტიკურ გადანყვეტას და თან დრამატურგიული პიესის არსის გამოვლენას ემსახურებოდა. ქართულ სცენაზე მხატვრის როლი თანდათან ქმედითი ხდებოდა. ამ პერიოდში, მთელ რიგ სპექტაკლში მხატვრის საფუძვლიანად დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობდა.

ევროპაში პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროცესები ხელოვნების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდნენ. ექსპრესიონიზმი ამ პერიოდის საზოგადოების კრიზისს ასახავდა და ვითარდებოდა როგორც ლიტერატურის ერთერთი მიმართულება. ექსპრესიონისტულ დრამატურგიაში ასახული თანამედროვე პრობლემატიკა მრავალი ევროპული თეატრისათვის საინტერესო გახდა და თავისებური რეჟისორული და მხატვრული

გაფორმების ინტერპრეტაციით სცენაზე აქტიურად იდგმებოდა. ჯერ კიდევ 1923 წელს კონსტანტინე გამსახურდია თავისი ჟურნალის „ილიონის“ N4-ში გამოქვეყნებულ წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ აღნიშნავდა: ექსპრესიონიზმი შეიჭრა ევროპის თეატრში“ (გამსახურდია, 12). ამ შემთხვევაში ქართული სცენაც გამონაკლისს არ წარმოადგენდა. შ. რუსთაველის სახ. თეატრში- 1923წ. ე. ტოლერის „ადამიანი-მასა“(კ. მარჯანიშვილი, კ. ზდანევიჩი); 1925წ. – ფ. ვერფელი „ადამიანი სარკეში“ (ს. ახმეტელი – ირ. გამრეკელი); 1925წ. – ვ. გეზენკლევერი „საქმიანი ადამიანი“ (ს. ახმეტელი, ირ. გამრეკელი); 1928წ. – ე. ტოლერი „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“ (კ. მარჯანიშვილი, დ. კაკაბაძე). საუკუნის დასაწყისში ექსპრესიონისტული დრამატურგიული ნაწარმოებების გამოჩენას და მის დამკვიდრებას ქართული თეატრის რეპერტუარში მნიშვნელოვანი მოვლენები წინ უძღოდა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და კერძოდ თეატრში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობებისა, თეატრალურ ხელოვნებაში, რომლის განვითარება ახალ პირობებში მნიშვნელოვანი იყო, მიმდინარეობდა რეჟისურის განახლებისა და განმტკიცების პროცესი. ეს მოვლენა უშუალოდ კ. მარჯანიშვილის სახელს უკავშირდება. შემდგომ ამ პროცესში აქტიურად ს. ახმეტელი ჩაერთო. მათ დადგმებში სპექტაკლის მხატვრული სახე განსხვავებულ მასშტაბებს და პრინციპებს იძენს. მათი შემოქმედება დრამატურგიული მასალის ფართო დიაპაზონს მოიცავდა. პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რეჟისორები თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებებს აქტიურად იყენებდნენ და სცენაზე მნიშვნელოვან საკითხებს წარადგენდნენ. ქართულ თეატრში რეჟისურის განმტკიცებამ, მრავალფეროვანი დრამატურგიული მასალის გამოყენებამ ხელი შეუწყო მხატვრობის დამკვიდრებას, გააძლიერა მისი როლი პიესის რეჟისორულ კონცეფციაში. აღსანიშნავია, რომ თვით თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნების განვითარების პროცესში სერიოზული გარდაქმნები მიმდინარეობდა. სცენოგრაფია ავანგარდისტული მიმდინარეობების ძლიერ გავლენას განიცდიდა. ავანგარდისტულმა მიმდინარეობებმა მხატვარ-სცენოგრაფებს საშუალება მისცა სცენაზე მოქმედების მრავალფეროვანი, კონკრეტული, თუ განზოგადოებული ადგილები შეექმნათ. ამ წლებში მხატვრებმა სცენაზე სრულიად ახლებური კონცეპტუალური სამყაროს მოდელები წარმოადგინეს, და რაც მთავარია, ყველაფერი ეს პლასტიკური ხელოვნების კანონებით და სცენოგრაფიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით განახორციელეს.

ნამდვილი გადატრიალება თეატრში მაინც XX საუკუნის 20-30 წლებზე მოდის, როდესაც სცენაზე კონსტრუქტივიზმი გაბატონდა. სწორედ კონსტრუქტივიზმი ხდება წამყვანი 1920-30 წლების სცენოგრაფიაში. კონსტრუქტივიზმმა თეატრში გაფორმების ფუნქციონალიზმი შემოიტანა. დეკორაცია ფუნქციონალურად ერთვებოდა სპექტაკლის მოქმედებაში და უკავშირდებოდა სცენურ მოქმედებას, მიმდინარეობდა ასევე ცალკეული ელემენტების მოქმედებაში ჩართვა. კონსტრუქტივიზმის ფუნქციონალობა ყველაზე მიზანშეწონილი და აუცილებელი აღმოჩნდა სპექტაკლის მხატვრული სახის გადანყვეტაში, რამაც, დროთა განმავლობაში, ქმედითი სცენოგრაფიის განვითარებას შეუწყო ხელი. ამ მიმდინარეობამ სცენოგრაფიაში კონკრეტული სიახლეები შემოიტანა. მან სასცენო სივრცე დეკორაციისაგან გაათავისუფლა და გა-

ფორმების სრულიად ახალი ხერხები შემოიტანა. თეატრალური კონსტრუქტივიზმის მთავარი ამოცანა იყო, ერთის მხრივ, მსახიობის ემოციურ-ფსიქოლოგიური განწყობის გააქტიურება და მეორეს მხრივ, მისი გადაქცევა მხატვრულ ფორმად, რომელშიც სამყაროს ახალი ხედვის მატერიალიზაცია იყო შესაძლებელი.

ქართულ სცენაზე ნოვატორული ძიებების მესვეური კ. მარჯანიშვილი იყო. სიახლეები დრამატურგიულ ნაწარმოებებში და სცენოგრაფიაში ქართული თეატრის სასცენო ლექსიკის განახლებას ემსახურებოდა. თავის დროზე კ. გამსახურდია თავის ჟურნალში აღნიშნავდა: „კოტე მარჯანიშვილი მოდერნიზმის ლოზუნგით ავიდა სცენაზე“ (გამსახურდია, 12). ამ კუთხით, კ. მარჯანიშვილის ღვაწლი უაღრესად მნიშვნელოვანია, ხოლო ექსპრესიონისტული დრამატურგია ამ ეტაპზე აღმოჩნდა ის მასალა, რომელიც იტევდა ნოვატორული ხერხების მრავალფეროვნებას. 1923 წელს დაიდგა ე. ტოლერის „ადამიანი-მასა“, (მხატვარი კ. ზდანევიჩი). პიესა თავისი ხასიათით მისტიკურ-სიმბოლისტურია. თვითმხილველების აღწერით, კ. მარჯანიშვილი ოდნავ უცვლის ხასიათს და ამდიდრებს მას. მხატვარი კ. ზდანევიჩი აბსტრაგირებული ფორმების ელემენტებიდან სასცენო სივრცის მთელ სივრცეზე ისეთ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომელზეც მსახიობებს ეძლევათ საშუალება სწრაფად გადაადგილდნენ. კონსტრუქცია მოქმედების ადგილს და დროს თითქმის არ აკონკრეტებს, მაგრამ სივრცეში მიმოფანტული საგნები სიმბოლურად გარკვეულ მინიშნებას გვაძლევენ. ფერთანყოფა არ იყო ჟღერადი და გარკვეულ ფონს ქმნიდა. სამაგიეროდ, მსახიობების კოსტუმების ხაზოვანი სტრუქტურა კონსტრუქციის ფორმებს ეხმიანებოდა და მათი ფერადოვანი გამა მთლიან სასცენო სივრცეში სახასიათო წერტილებს ქმნიდა. ე. ტოლერის პიესის სცენოგრაფია გადაწყვეტილი იყო ფუტურისტულ მანერაში. როგორც ჩანს, მხატვარი კარგად იცნობდა იტალიელი ფუტურისტების მანიფესტებსა და ფუტურისტულ ფილოსოფიას. იგი ქართული ფუტურიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლად, კოლორიტის უბადლო ოსტატად გვევლინება. მხატვარი კარგად აცნობიერებს, რომ ფორმათა აბსტრაგირება, მათი ჰიპერბოლიზმი და რღვევა უფრო მეტ მხატვრულ ზემოქმედებას ახდენს, მაშინ, როცა სწორადაა შერჩეული ფერი და შუქ-ჩრდილის ნახნაგოვანი მოდელირება. ამოტომაც მხატვარ კ. ზდანევიჩის მიერ დეკორაციული გაფორმება თვით პიესისათვის სწორად მოძებნილი სახვითი ფორმების შედეგი აღმოჩნდა.

1925 წელს ახალგაზრდა რეჟისორი და კ. მარჯანიშვილის მოწაფე ს. ახმეტელი დგამს ფ. ვერფელის ნაწარმოებს – „ადამიანი სარკეში“. მისი სცენოგრაფიული გადაწყვეტა, სხვა სპექტაკლებისაგან განსხვავებით, დრამატურგიული მასალიდან გამომდინარე, გაცილებით რთული იყო. პიესის მოქმედება ერთგვარ ფანტასმაგორიულ სამყაროში ხდებოდა. გაფორმება ეკუთვნოდა ახალგაზრდა მხატვარს ირ. გამრეკელს. „ქართულ თეატრში შემოჭრილ ექსპრესიონისტულ ტალღას ირაკლი გამრეკელის სახით საინტერესო და მდიდარი ფანტაზიის ოსტატი შეხვდა“ (კუხიანიძე, 17). ირ. გამრეკელის ოდნავ მანერული თეატრალური ექსპრესიონიზმი ზუსტად მოერგო ქართული ექსპრესიონისტული თეატრის სტილისტიკას, რომელიც, საბოლოოდ, მაინც ირ. გამრეკელის ინდივიდუალურმა მხატვრულმა ხელწერამ განაპირობა. ამ დადგმაში სასცენო სივრცეში მთავარ ელემენტად კიბის კონსტრუქციაა წარმოდგენილი. მხატვარი ხელუხლებელს ტოვებს სცენის პლანშეტს, სამაგიეროდ სხვადასხვა სიმაღლისა და

კონფიგურაციის საფეხურებიან ფიცარნაგებს უცვლის ფორმებს. თითოეულ სცენაში დეკორაცია განსხვავებულ ფერში იყო გადანყვეტილი, რითაც გარკვეული განწყობა იქმნებოდა. ესკიზების მიხედვით თითქმის ყველგან ფონი შავი ფერისაა, რაც სცენაზე დეკორაციას სიღრმეს ანიჭებდა, სცენის პლასტიკას ამძაფრებდა. ცალკეულ სცენებში დამსხვრეული სარკის ნატეხები თითქოს ზემოდან დაჰყურებდნენ ადამიანებს. კუბები, პრიზმები, სვეტები, სარკის ნამსხვრევები-ფორმათა გეომეტრიზაციით აღქმულ სამყაროს მოგვაგონებს. კუბო-ფუტურისტული ფორმები, ზოგადად, პლასტიკურ ავანგარდში გადანყვეტილი მხატვრობა, მხატვრის ინდივიდუალურ ხელნერასაც ავლენდა. როგორც გ. ალიბეგაშვილი აღნიშნავდა: ქართული დეკორაციული ხელოვნება ახლა იწყებდა თავის განვითარებას. თეატრში მოსულმა რეჟისორმა თამამად დაიწყო ახალი ძალების შემოკრება. მან გარკვეული თავისუფლებაც კი მისცა მათ შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლენად (Алибегашвили, 23). ირ. გამრეკელი მომდევნო ნამუშევრებშიც ექსპრესიონისტულ და კუბო-ფუტურისტულ მისწრაფებებს ავლენს.

1925 წელს ს. ახმეტელმა დადგა ვ. გეზენკლევერის „საქმიანი ადამიანი“ (მხატვარი ირ. გამრეკელი). ამ დადგმაში (ესკიზის მიხედვით) თითოეული სათამაშო სივრცე, რომელიც დეკორაციის დიდ ტილოზე ფორმათა რიტმულ მონაცვლეობაშია ჩასმული და სტილისტურად ერთიანი ნახატის შემადგენელი ნაწილია, ვერ არღვევს საერთო განწყობას და ფორმის პლასტიკას. მრავალრიცხოვანი დეტალები თუ საგნები, რომელიც, სავარაუდოდ, „საგანგებოდ“ შექმნილი ეკლექტიზმით იყო ჩართული დეკორაციაში, სცენოგრაფიული კონფლიქტის წინაპირობას ქმნიდნენ. დეკორაცია ისე იყო აგებული, რომ იგი სცენის მიღმაც ვითარდებოდა. ამით ფუტურისტებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეა (სამყაროსა და ტექნიკური პროგრესის უსასრულობა) იყო მიღწეული. სცენაზე დარღვეული ხაზობრივი პერსპექტივის პრინციპი ფერისა და ფორმათა მონაცვლეობით მდიდრდებოდა და სამგანზომილებიანი სამყაროს მოდელს ქმნიდა.

1928 წელს, კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, ახალი თეატრი დაარსდა. პირველი სეზონი ე. ტოლერის პიესით „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ იხსნებოდა. რეჟისორის კონცეფციიდან გამომდინარე, მხატვარმა დ. კაკაბაძემ მაყურებელს უჩვეულო გარემო წარუდგინა. მან ცარიელ სასცენო სივრცეში, ნეიტრალურ ფონზე, გრძელი სწორკუთხა ორსართულიანი ორიგინალური კონსტრუქცია განათავსა. ეს კონსტრუქცია 30-38 სურათისათვის იყო გათვალისწინებული. გადატიხრული სივრცე თითოეულ სართულზე სხვადასხვა გარემოს ქმნიდა. ზევით და ქვევით მოთავსებულ მცირე ზომის კონსტრუქციებს მხატვარი არცერთი ზედმეტი ხაზით და ნივით არ ტვირთავს. სხვადასხვა ელემენტის არსებობა დეკორაციის ზოგადი დანიშნულებით განისაზღვრებოდა, ხოლო თვით დეკორაცია ორმაგ ამოცანას ასრულებდა. ის ერთის მხრივ, დროებით-სივრცობრივი მოძრაობისათვის ფონის და ინდუსტრიული ქალაქის ილუზიას ქმნიდა, მეორეს მხრივ, რეჟისორს აქტების დანაწევრებაში ეხმარებოდა. სპექტაკლის მოქმედებაში კინოს შეტანა ავტორის რემარკით იყო გათვალისწინებული, ვინაიდან კინოს ჩართვა თვით ექსპრესიონისტული პიესის ფაქტურამ, დინამიკამ, რითმამ განაპირობა. კინო სპექტაკლის ორგანულ ნაწილად იქცა. რეჟისორმა და მხატვარმა ამ მთლიანობას ერთი მნიშვნელოვანი შტრიხით – შუქის სხივის – შეტანით მიაღწიეს, რომელიც ერთი სადგურიდან მეორე-

ზე მოუსვენრად მოძრაობდა, რათა თითოეული მათგანი გამოეკვეთა. სპექტაკლის დახვეწილ რითმში სარკეების ჩართვით, შუქ-ჩრდილის საოცარი შეხამება იქმნებოდა და სასცენო სიუჟეტს სივრცობრივი ილუზიის შთაბეჭდილებას უქმნიდა. მხატვარმა დ. კაკაბაძემ თავიდანვე მიიღო რეჟისორ კ. მარჯანიშვილის მიერ აღქმული ე. ტოლერის ტიპური ექსპრესიონისტული პიესის არსი, რომელიც არ იმეორებდა ექსპრესიონისტთა დრამატურგიის ხერხებს და სასცენო სივრცის თავისებური მხატვრული გადაწყვეტით დადგმის სრულყოფილებას უწყობდა ხელს.

ქართულ სცენაზე ევროპული დრამატურგია ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და რეჟისორების თუ თეატრალურ მხატვრებს შემოქმედებითი ძიებისათვის უსასრულო გასაქანს აძლევდა. ავანგარდისტული ხელოვნების ხერხების გამოყენებით და სცენაზე სამგანზომილებიან მოცულობით-პლასტიკურ საინტერესო ფორმაში გადაწყვეტით, მხატვრისა და რეჟისორის შემოქმედებითი თანაავტორობის საფუძველზე, რეჟისორების მიერ პიესების ქართულ სცენაზე მნიშვნელოვანი საეცაპო სპექტაკლები დაიდგა.

მითითებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ. ჟურნალი „ილიონი“, 1923, N4.
2. კუხიანიძე ც. ირაკლი გამრეკელი, თბილისი, 1981.
3. Алибегашвили Г. Оформление постановок театров им.Руставели и К.Марджанишвили (1922-1966гг.), Тбилиси, 1968.

თეა ურუშაძე

ევროპული დრამატურგია ქართველი თეატრალური მხატვრების შემოქმედებაში (1920-30-იანი წლები)

რეზიუმე

ევროპულ კულტურაში მიმდინარე პროცესები ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში თავისებური სახით აისახებოდა და ვითარდებოდა. ევროპული მწერლების ლიტერატურული ნაწარმოებების, დრამატურგის ინსცენირება ქართველი რეჟისორების და თეატრალური მხატვრების მიერ საინტერესო ხედვით ხორციელდებოდა. ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში ახალი ეტაპის საწყისად კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული და ვ. სიდამონ-ერისთავის მიერ გაფორმებული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ ითვლება. ამ პერიოდში ქართულ სცენაზე ზედიზედ მრავალი საეცაპო სპექტაკლი შეიქმნა, რომლებიც რეჟისორული ხედვითა და სცენოგრაფიული გადაწყვეტის, მათ შორის ექსპრესიონისტული დრამატურგიის, თვალსაზრისით ნოვატორული ძიებებით გამოირჩეოდა.

ექსპრესიონისტულ დრამატურგიაში ასახული თანამედროვე პრობლემატიკა, რომელიც მრავალი ევროპული თეატრისათვის საინტერესო გახდა, თავისებური რეჟისორული კონცეფციით და მხატვრული გაფორმების ინტერპრეტაციით ქართულ სცენაზეც იდგმებოდა. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს სცენოგრაფია ავანგარდისტული მიმდინარეობების ძლიერი გავლენით ვითარდებოდა. სცენაზე მოქმედების მრავალფეროვანი, კონკრეტული თუ განზოგადოებული ადგილები იქმნებოდა და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს პლასტიკური ხელოვნების კანონებით და სცენოგრაფიისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით ხორციელდებოდა.

ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარების პროცესში ევროპულმა დრამატურგიამ, ავანგარდისტულ მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნების პირობებში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია და გარკვეული საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ განვითარებას.

Tea Urushadze

**European Drama in Georgian Theatric Painters' Creation
(1920-30 Y)**

Summary

Georgian art was a favorite companion of European culture during the centuries. The current processes of different branches of the Georgian art were developing and reflecting in the European culture peculiarly.

The European literary, and afterwards the dramatists' works, were finding their artistic appearance on the Georgian stage by an interesting view of Georgian producers and the theatric painters.

The performance of Lope de Vega "The Source of Sheep", performed by K. Marjanishvili and designed by V. Sidamon-Eristavi, was considered as a beginning of the new Stage in the Georgian theatric decorative art. In this period there were performed many theatre performances on the Georgian stage. In Secession which were distinguished by the producers' vision and innovatory research of standing decision, according to the expressionistic drama among them.

Modern problems, reflected in the expressionistic drama had become interesting for many European theatres, and they were actually performed on the stages of Sh. Rustaveli and K. M. Marjanishvili theatres particularly, with original producer's conception and artistically designed interpretation.

In this period, the staging was developing with a strong influence of the leading current. The diverse, concrete on generalized acting places were created. There was carried out entirely new conceptual world by the theatric painters, and what is the main, everything had been carried out with the plastic arts rules and with the characterizing marks of research.

In time of the process of development of Georgian theatric decorative art, the European drama had achieved important progress under the conditions of leading artistic styles and laid down the foundations to its following development.

რეალისტური ანტიკომუნისტური რომანის დისკურსი (ოთარ ჩხეიძის „ცთომილნი“)

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის საქართველოს მატრიანედ მიჩნეულ 24 რომანს ითვლის. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იმ დანაშაულებრივ რეჟიმს ამხელს, რომელმაც XX საუკუნეში ეროვნული თუ პიროვნების ტრაგედია განაპირობა.

მწერლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა უცნაურად დაიწყო – მის პირველ ნოველებზე კრიტიკული სტატია (1939 წელს) ისე დაიწერა, რომ არცერთი მოთხრობა არ გამოექვეყნებინა. თავისუფლების ძიებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინი და მისწრაფება ტრაგიკულად აღსრულებული მამა-ბიძებიდან გადმოსულა ოთარ ჩხეიძის არსებაში.

1955 წელს გამოქვეყნებული რომანი „ბურუსი“ დიმიტრი უზნაძის მსოფლიოში აღიარებული განწყობის თეორიისა და მისი ფსიქოლოგიური სკოლის წინააღმდეგ სასტიკად მეზობლი ოფიციალისაგან დასაცავად შეიქმნა. ოთარ ჩხეიძე ამ თეორიასაც გამოექომაგა და ინსტიტუტსაც, რის გამოც მძაფრად დაუპირისპირდა მარქსისტულ იდეოლოგიასა და საბჭოურ სისტემას. ხელისუფლების რისხვამ მისკენ გადმოინაცვლა და დიმიტრი უზნაძის მოწაფეები და მიმდევრები ცეცხლის შუაგულიდან განზე აღმოჩნდნენ. „მეჩენის“ (1956 წელი) გამოქვეყნება იმდენად განსაცვიფრებელი აღმოჩნდა ქართული ემიგრაციისათვის, რომ ალექსანდრე მანველიშვილმა ეს ჰეროიკული აქტი ახსნა არა თავგანწირვის უნარით, არამედ მწერლის მიაშიტობით, რომელიც ვერ ითვალისწინებს ხელისუფლებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს.

არადა, ოთარ ჩხეიძეს რეპრესიები უკვე ეწვნია „ბურუსის“, მანამდე კი „ჯებირის“ გამო, სტალინის სიცოცხლეშივე რომ დაიწერა საკოლმეურნეო პოლიტიკის მარცხსა და სავალალო შედეგზე. უფრო ადრე ის ცალკეული ნოველებისთვისაც შერისხეს. 1947 წელს, მაისში, მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, ნიკოლაი ტიხონოვმა მძაფრად გააკრიტიკა მისი ორი ეტიუდი და ახალგაზრდა მწერალი, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან ერთად, ნაციონალისტად მოიხსენია, რაც იმხანად მეტად სახიფათო იარაღს წარმოადგენდა. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ოთარ ჩხეიძის არცერთი სტრიქონი არ იყო რუსულად თარგმნილი.

როგორც ცნობილია, 1934 წელს მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ საერთაშორისო ყრილობაზე, ერთადერთ მხატვრულ მეთოდად სოციალისტური რეალიზმი გამოცხადდა. განისაზღვრა მისი იდეურ-ესთეტიკური პრინციპები, რომლის მთავარ პოსტულატად პარტიულობა და სოციალისტური იდეურობა იქცა. ამიერიდან, მარქსიზმის საფუძველზე შექმნილმა სოციალისტურმა რეალიზმმა ხელოვნება და ლიტერატურა მთლიანად იდეოლოგიასა და პოლიტიკას დაუქვემდებარა. მან მოიცვა საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერებაც კი. ამაზე მეტყველებს გენეტიკისა და კიბერნეტიკის ტრაგიკული ბედი საბჭოთა კავშირში. შუა საუკუნეების ეპოქის მსგავსად, კომუნისტურ ხანა-

შიც მეცნიერების ფუნქცია ერთმნიშვნელოვანია. იგი ვალდებულია, დაადასტუროს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების „ღვთიური გამოვლინებები“. ღვთიურ ნიშნებს იძენენ სტალინი, მათ ძედუნი და სხვები. ისინი ახალი ტიპის ღმერთებად ყალიბდებიან. ხელოვნებისა და მეცნიერების ერთგულებას მარქსისტული იდეოლოგიისადმი აკონტროლებენ „ახალი ტიპის ღვთისმსახურები“, პარტიული აპარატის მუშაკები. პარტიულმა დანებებულებებმა რაღაც „ახალი ეკლესიის“ მსგავსი ფუნქციები იკისრეს (გაფრინდაშვილი, 2010, 19).

რომანი „ცთომილნი“ 1958 წელს დაინერა. ნაწარმოების კონცეფცია რეალისტური ლიტერატურის ტენდენციებს მიჰყვება, სატირის ჟანრისათვის ორგანული კრიტიციზმით ამხელს ტირანის დამყარებასა და უღირსობისა თუ ბოროტების გამმართლებელ ადამიანთა სიჭარბეს. პროტაგონისტის დაპირისპირება სისტემასთან ამ რომანში არ დასრულებულა. მთავარი პერსონაჟი, ავტორთან ერთად, აგრძელებდა ბრძოლას ეროვნული იდენტობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

ნაწარმოების მთავარი გმირი შუახნის მეცნიერი, ასტრონომი ნიკო თულაშვილია, იგი ულუმბოს ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილეა და დროებით დირექტორის მოვალეობას ასრულებს. ნიკო თულაშვილს კაბინეტი მძიმედ აწვება, გარეთ კი უფრო თავისუფლად სუნთქავს. მეცნიერს ყველაფერზე გული აცრუებია. ირკვევა, რომ ობსერვატორია 40 წლის წინათ დაარსებულა, ნიკოს მისი დაარსების დღიდან აქ უმუშავია. მას სამეცნიერო კონფერენციის მომზადებას ავალბენ, სადაც დოქტორმა ფერაძემ უნდა წაიკითხოს მოხსენება სამყაროს წარმოშობის ახალი კონცეფციის დასასაბუთებლად. კონფერენციაზე, სადაც ფერაძისათვის სათანადო ფონის შესაქმნელად სხვა მომხსენებლებსაც უწევთ გამოსვლა, წარადგინეს ახალი, თანმიმდევრული, მატერიალისტური თეორია, რომელიც სრულსა და ჭეშმარიტ წარმოდგენას იძლეოდა გალაქტიკის წარმოშობის შესახებ. ეს თეორია შეუმუშავებია აკადემიკოს კუტცის. სწორედ კუტცის მოწაფეა დოქტორი ფერაძე, რომელიც საზოგადოებას ამ თეორიის არსსა და ძირითად პრინციპებზე მოუთხრობს და არწმუნებს, მან გააბათილა ჯონსის ძველი, იდეალისტური ბოდვაო.

ამ ახალი თეორიით „კერპადექცეულ იდეალისტთა დამსხვრევა მოხერხდა“. თურმე: „სამყაროში უხვად გაბნეულან მეტეორიტული ნივთიერებანი. ასეთ მეტეორიტულ ნაწილაკთა ნისლებად ბრუნავდა ჩვენი გალაქტიკა და თანდათან მზის სახე ამოცურდა, რომელიც ბრუნავდა და ბრტყელდებოდა, სიბრტყეზე წრიული სიხშირენი ინაკვებოდნენ, ნაწილაკები ერთიმეორეს ეზიდებოდა, ერთიმეორეს ეტმასნებოდა, დიდი და ძლიერი იზიდავდა მცირეთა, ბრუნავდა, ბრუნავდა თავის გარშემო და გულის ირგვლივა, ასე გამოინაკვთნენ მზე და ცთომილნი თავთავიანთი თანამგზავრებითა...“ (ჩხეიძე, 1997, 15).

„ცთომილნი“ მხოლოდ ასტრონომიულ ტერმინად არ უნდა მოვიაზროთ, იგი უთუოდ თხრობის საერთო პათოსს, რომანის მხატვრულ კონცეფციას ათვალსაჩინოებს, რაც ცთომილთა გაბატონებაში, სიყალბის ზეიმის მხილებაში გამოიხატება როგორც პიროვნულად, ასევე იდეოლოგიურადაც.

ნიგნში ორი მაგისტრალური ხაზი იკვეთება: ავტორი, ტოტალიტარული რეჟიმის მხილებასთან ერთად, ცდილობს იმ სისტემის რეკონსტრუქციას, რომელიც ყველა ეპოქაში შეიძლება

განმეორდეს. კონკრეტული ეპოქის მაგალითით, ოთარ ჩხეიძე ახერხებს პრობლემათა განზოგადებას, ამიტომაც „ცთომილნი“ საოცრად თანამედროვე რომანია. იგი პერსონაჟთა სიმრავლით არ გამოირჩევა. ნიკო თულაშვილის გარდა, ვხვდებით ბიძინა ხმალაძეს, ვინც ავტორის განწყობის გამომხატველი, სიმართლის მცოდნე სწეული საზოგადოების სწეული შვილია. მისი ორიგინალური ტიპი რომანს გამორჩეულობას მატებს. მის „ახალ ხედვას“ არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა. ნაწარმოებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ნიკო თულაშვილის ძმისწულს, ეთერს და სხვა პერსონაჟებს: ბიძინა ხმალაძის დას – თამარს, ობესერვატორიის თანამშრომლებს, ოფიცოზის წარმომადგენლებს, მედროვეებსა და კომფორმისტ ადამიანებს, რომელთა სიჭარბეა ყველა უბედურების თავიდათავი. სიმართლის უკომპრომისო ასახვით, მოქმედ პირთა შეცდომების მაგალითზე უნდა მოხდეს საზოგადოების გამოღვიძება, კათარზისი. ვინაიდან უნარი, შევცვალოთ საკუთარი თავი სხვების გავლენით, ანტიკური დროიდან მრავალგზისაა გამოცდილი. პლუტარქეს მიხედვით, „თუ კოჭლთან ცხოვრობ, კოჭლობით სიარულს ისწავლი“.

1960 წელს, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი, სიმონ ჩიქოვანი რომანის ფრაგმენტებს ანეყობინებს. ცენზურისაგან დამუშავებული ანეყობილი თავები უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ალექსი ინაურს ჩაუვარდება ხელში. 1960 წლის ოქტომბრის მიწურულს, ცენტრალურ კომიტეტში ბიურო შეიკრიბება; გაცეცხლებული თავმჯდომარე რომანიდან რამდენიმე ფრაზას წაიკითხავს იმის ნიმუშად, თუ როგორ არ შეესაბამება ეს აზრები საბჭოთა იდეოლოგიას და დასძენს: ეს „ექიმ ჟივავოზე“ უარესიაო. საექვო და სავარაუდო აღარაფერი რჩებოდა, კვლავ ოთარ ჩხეიძე იყო მიზანში ამოღებული. სიმონ ჩიქოვანი ძალიან ეცდება ამ აზრის გაქარწყლებასა და ალექსი ინაურის დარწმუნებას: მწერალს ნიჭიერების გამო გადაეკიდა ბევრი და სწორედ ისინი ანებებენ ანტისაბჭოთა იარლიყს, თორემ მიუკერძოებელი მკითხველი ვერაფერს იპოვის ამ რომანში აღმაშფოთებელსო. ინაური სიტყვას გაანევეტინებს რედაქტორს და ოთარ ჩხეიძეს ასე დაახასიათებს: „ეს ის მწერალი არ არის, არავის რჩევას ყურს რომ არ უგდებს?“ (ჩხეიძე, 2008, 594). ამაოუდ ჩაიარა რედაქტორის მონდომებამ და ორატორული ხელოვნების გამოყენებამ, რომანი აიკრძალა. არც სიმონ ჩიქოვანი დატოვეს რედაქტორის სავარძელზე.

რომანის დამუშავებული დედნიდან ირკვევა ცენზურის მოშაობის სტილი: გახაზულია ის ეპიზოდები, რომელსაც შეიძლება რაიმე პოლიტიკური ქვეტექსტი ჰქონოდა. საკმაოდ მრავლადაა ამოღებული პასაჟები, ზოგან კალმითაა მითითებული – აღდგესო. როგორც ჩანს, „მნათობის“ იმუამინდელ რედაქტორს, სიმონ ჩიქოვანს, დაურწმუნებია ცენზორ(ებ)ი, თუმცა საბოლოოდ გამოსაცემად გამზადებული, ანეყობილი თავები მაინც დაშალეს, ვინაიდან რომანს თვით ალექსი ინაური ადებდა ხელს.

ცენზურისაგან დაჩეხილი ხელნაწერის პირველსავე გვერდზე ამგვარ სტრიქონებს ვაწყდებით: „ძალაც შესწევდათ ქადილისა, მათი ალება ადვილი იყო, შემოვარდნილიყვნენ, შემოსეულიყვნენ, ფიცი შეეკრათ, დამკვიდრებულიყვნენ“ (ჩხეიძე, 1958, 1). მკითხველი ადვილად დარწმუნდებოდა, რომ აქ გზავნილებსა და დეპეშებზე არ საუბრობდა მწერალი. ცენზორსაც არ დაუყოვნებია და „საექვო ფრაზა“ დასაბეჭდი ვარიანტიდან ამოუგდია. იგივე ბედი გაუზიარებია სხვა ეპიზოდს, სადაც პროტაგონისტი სისტემის მანკიერ ბუნებაზე მიანიშნებს: „ფა-

რისეველობითა, სიმდაბლითა რომ ვიხილო თუ როგორ შეჭხარინ იმას, ვინცა სძულთ, როგორ უკრავენ ტაშს, რაც არა სწამთ, როგორ ეფერებიან იმას, ვის ჩასაქოლადაც ხელი არ აუკანკალდებათ“ (ჩხეიძე, 1958, 160).

მწერალს რომანის დედანი დიდი წვალეებით დაუბრუნებია. ის რედაქციიდან ცეკას კულტურის განყოფილებაში თენგიზ ბუაჩიძესთან გადაუმისამართებიათ, მაგრამ იქ არ მოხვედრია, რადგან „ზევიდან“ არ იყო გაგზავნილი. სამი კვირის შემდეგ, გურამ გვერნითელმა, რომელიც ცეკაში მუშაობდა ინსტრუქტორად, თუმცა ოთარ ჩხეიძის მიმართ ცუდად არ ყოფილა განწყობილი, დედანი ავტორს გადასცა.

მწერალი წუხდა, რაკი „ცთომილნი“ წინამორბედი რომანის – „ბურუსის“ – სტრუქტურას იმეორებდა, იქაც ხომ სამეცნიერო დისკუსია ექცევა თხრობის შუაგულში. სხვამხრივ ნაწარმოებ სარც შთამბეჭდაობა და ექსპრესია აკლდა და არც დინამიზმი, მაგრამ „ბურუსის“ გვერდით მწერლის თვალში ფერმკრთალდება, მწერალს მხოლოდ ბიძინა ხმალადის პერსონაჟი უკეთებდა გუნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ „ცთომილნი“ „მხატვრულ კონცეფციას გამოთქვამდა უაღრესი ლაკონიზმით და ამ მხრივაც უშუალოდ აგრძელებდა წინა ორი რომანის ტრადიციას“ (ჩხეიძე, 2008, 593).

ქართული ანდერგრაუნდის ლიტერატურის სიას, ოთარ ჩხეიძის სხვა რომანებთან – „გამოცხადებაი“ და „ბორიაცი“ - ერთად, „ცთომილნი“ ავსებს. ის დღის სინათლეს მხოლოდ 37-წლიანი დაგვიანებით 1997 წლის „ცისკრის“ II – V ნომრებში იხილავს. როსტომ ჩხეიძე მამისისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „ავვისტოს შვილები“ ამ ფაქტს გულისტკივილით ასეთ კომენტარს ურთავს: „რუსი მწერლისა რომ ყოფილიყო „ცთომილნი“, ჰოი რა გნიასი ატყდებოდა ქართულ სნობურ წრეებში: აი, რა გაბედულებას იჩენდნენ, როგორ არ ემორჩილებოდნენ საბჭოთა რეჟიმს, ჩვენ ვინ მოგცვა ამისთანა მწერლებიო“ (ჩხეიძე, 2008, 596).

1967 წლის 27 მაისს მწერალთა კავშირს ხელისუფლება ლენინის ორდენს ანიჭებს. ოთარ ჩხეიძე ამ „ჯილდოს“ კავშირის წევრთა ხელისუფლების სამსახურში ყოფნის გამოძახილად მიიჩნევს და ამგვარ ჩანაწერს აკეთებს: „ორმოცდაათი წელია მხარში უდგანან ხელისუფალთა, ამართლებენ მკვლელობასა, მტარვალობასა, ადამიანის სულიერ გაღატაკებასა, თავისუფლების ჩახშობასა, პატარა ერების დამცირებასა და გაჩანაგებასა, ამართლებენ ყველასა და ყველაფერს, რისი გამართლებაც არ შეიძლება, ვისი გამართლებაც არ შეიძლება, ამართლებენ და ადიდებენ, ადიდებენ დანაშაულსა, უღირსობასა, ბოროტებასა“ (ჩხეიძე, 2010, 39-40) ყველას დაჯილდოებაც ვერაგული ჩანაფიქრი გახლდათ, ცდილობდნენ ყველასთვის გაეტეხათ სახელი, თითქოს ყველა პარტიის დავალების შემსრულებელი იყო.

ოთარ ჩხეიძე გულისტკივილით წერს, რომ ტოტალიტარიზმის პირობებში ლიტერატურამ დაკარგა „თავისი მიზანი და დანიშნულება. დაუპირისპირდა ხალხსა. ხელისუფლების დანამატად იქცა. კრიტიკა იქცა პირველყოფლისა დანამატადა... და ჩამოყალიბდა – როგორც იქნა – სოცრეალიზმი. სოციალისტური რეალიზმი მთელი თავისი სრულყოფილებითა. დანაშაულებრივი სრულყოფილებითა“ (ჩხეიძე, 2006, 37).

საბჭოთა კავშირში სოცრეალიზმის განვითარებამ მეტად მახინჯი ფორმები მიიღო. მაგალითად, ჩამოყალიბდა მწერალთა პრივილეგირებული კასტა, რომელიც სოცრეალიზმის პრინ-

ციპებისა და კომუნისტური პარტიის იდეების განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა. ამ მწერლებს ხელისუფლება ზღაპრული ტირაჟებით, პრემიებითა და ნოდებებით ანებივრებდა. სამაგიეროდ, „...პარტია კრძალავდა სატირასა და კომიზმსა საბჭოთა ლიტერატურაში. თუმცა მოუწოდებდა გოგოლები და სალტიკოვ-შჩედრინები გვინდაო. მაგრამ ტყუილად მოუწოდებდა. თვით „რევიზორის“ დადგმა აკრძალულიყო და „მკვდარი სულებიც“ აღარ გამოდიოდა“ (ჩხეიძე, 2006, 38).

ოთარ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ რეალიზმი დროში, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, უწყვეტი დინებაა და რეალისტი, რა რკინის ფარდაც უნდა ჩამოაფარონ, ვერ დარჩება ყურადღების გარეშე. „არცა ვფიქრობდი მე ამაზე და ასეთ რამეზე. ვაკეთებდი რასაც მოითხოვდა ჩემი შეხედულებანი და როგორც შემეძლო. ჩემს წინაშე იდგა ჩემი მკითხველი და მამოქმედებდა სრული პასუხისმგებლობა იმისადმი. არ შემეძლო მომეტყუებინა. კარგად ვერკვეოდი სიმართლესა და სიმრუდეში თავიდანვე და სწორი გზით უნდა წამეყვანა ის საცოდავი. მკითხველი, რა თქმა უნდა, დაბნეული, გზაარეული და გაშმაგებული საბჭოთა პროპაგანდის შედეგადა“ (ჩხეიძე, 2006, 39).

იმჟამად, რაკი უარყოფამ მეტი სახელი მოუხვეჭა მწერალს, ვიდრე ქება-დიდება, პარტიამ სხვა ტაქტიკას მიმართა. „მე აღარავინ აღარ მახსენებდა აღარც ავადა აღარც კარგადა“. მაშ რამ შეაქმნევინა ოთარ ჩხეიძეს 24 რომანი. მწერალი ამაზეც გვპასუხობს, ამ სასწაულის მიღმა იმის რწმენა უნდა ვიგულისხმოთ, რომ, ადრე თუ გვიან, კომუნიზმი თავისი სოცრეალიზმით დაემხოვდა.

ოთარ ჩხეიძეს სწამდა, რომ ტოტალიტარიზმი დროებითი მოვლენა იყო და სიმართლე და მხატვრული სიტყვა გზას გაიკაფავდა. „მინც დროა შემფასებელი შემოქმედებისა. დრო და პოლიტიკა. პოლიტიკა და ხელისუფლება. წინარე ხელისუფლების კრიტიკა დანიშნულებაა ახალი ხელისუფლებისა, ახალი პოლიტიკისა და უთუოდ წამოსწევს დევნილ მიმდინარეობასა ლიტერატურაში. დევნილ მწერლობას წინ წამოსწევს“ (ჩხეიძე, 2006, 40).

რომ არა ამ ყაიდის მწერალთა ღვაწლი, ნამდვილ ისტორიას, სიმართლეს ძნელად მიაკვლევდა ადამიანი. ისტორიის უცდომლად ცოდნას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, სიმართლე ხომ სულიერად მრთელ ადამიანთა საუკეთესო იარაღია. ადრინდელ მოვლენათა მართებული ანალიზიც ამგვარ მოვლენათა კვლევაზეა დამოკიდებული. მეზრძოლი სულის გაღვიძებაცა და ნონკომფორმისტი საზოგადოების ხასიათის გამოკვეთაც ოთარ ჩხეიძის რანგის შემოქმედთა უკომპრომისო ცხოვრების წესმა, მათმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ უნდა გაადვილოს. ცხადია, დღემდე მზის სინათლის მომლოდინე რომანი სრული სახით აღდგენას ამ მიზეზითაც იმსახურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მარიამ, ნერეთელი ნინო, სოცრეალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია (ქართული ლიტერატურის მაგალითზე), თბილისი, 2010.
2. ჩხეიძე ე. გზაგასაყარზე, დიალოგი ნონა კუპრეიშვილთან, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, N2, 2006.
3. ჩხეიძე ო. დროდადრო. თბილისი, 2010.
4. ჩხეიძე ო. ცთომილნი. ჟურნალი „ცისკარი“, N2-5, 1997.
5. ჩხეიძე ო. ცთომილნი. ყელქცეული, 1958 წელი. ოთარ ჩხეიძის კვლევის ცენტრის საარქივო ხელნაწერი N14.
6. ჩხეიძე რ. აგვისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე). თბილისი, 2008.

თამარ ყალიჩავა

რეალისტური ანტიტოტალიტარული რომანის დისკურსი (ოთარ ჩხეიძის „ცთომილნი“) რეზიუმე

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეოცე საუკუნის საქართველოს მატრიანედ მიჩნეულ 24 რომანს ითვლის. თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმი მადგენელი ამხელს იმ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელმაც XX საუკუნეში ეროვნული თუ პიროვნების ტრაგედია განაპირობა.

რომანი „ცთომილნი“ 1960 წელს დაიწერა. ნაწარმოების კონცეფცია რეალისტური ლიტერატურის ტენდენციებს მიჰყვება – სატირის ჟანრისათვის ორგანული კრიტიციზმით ამხელს ტირანიის დამყარებასა და უღირსობისა თუ ბოროტების გამმართლებელ ადამიანთა სიჭარბეს. პროტაგონისტის დაპირისპირება სისტემასთან ამ რომანში არ დასრულებულა. მთავარი პერსონაჟი, ავტორთან ერთად, აგრძელებდა ბრძოლას ეროვნული იდენტობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, რასაც უნდა გამოეწვია „ექიმ ჟივაგოზე“ უარესად შეარაცხული რომანის 1997 წლამდე იატაკვეშეთში დარჩენა. ნაწარმოები არასრული სახით, მხოლოდ „ცისკარის“ 1997 წლის II-V ნომრებში გამოქვეყნდა. „ცთომილნი“ სრული სახით დღემდე ელის გამოცემასა და თავისუფლებისთვის ბრძოლის აუცილებლობის რწმენასაც ამძაფრებს.

Tamar Kalichava

The Discourse of Anti-totalitarian Realistic Novel (‘Wandering Stars’ by Otar Chkheidze)

Summary

The creative legacy of Otar Chkheidze considered being the chronicles of the twentieth century Georgia counts 24 novels. One of the outstanding representatives of the contemporary Georgian literature exposes the criminal regime which led to national and personal tragedy in the twentieth century.

The novel ‘Wandering Stars’ was written in 1960. The concept of the work follows the trends of the realistic fiction. With criticism organic to the genre of satire, he exposes the establishment of tyranny and overabundance of people justifying unworthiness and wickedness. The confrontation of the protagonist with the system is not finished in this novel. The main character, together with the author, continues his struggle for obtaining freedom and national identity, which must have caused the novel’s (which was considered to be worse than ‘Doctor Zhivago’) being in the underground till 1997. The incomplete version of the novel was published in the second – fifth issues of a magazine ‘Tsiskari’ in 1997. ‘Wandering Stars’ is still waiting to be published in its full version and it enhances the belief of the necessity of struggle for independence.

ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტაგან უმთავრესი ქართული სახელმწიფოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხია. ეს სტრუქტურები დასავლური ღირებულებების ერთგულებაზე დაფუძნებული გაერთიანებებია და მათთან დამაკავშირებელი გზა სწორედ ამ ფასეულობების გაზიარებასა და დამკვიდრებაზე გადის. დასახული მიზნის მიღწევაში გარკვეული წვლილი საისტორიო მეცნიერებასაც შეუძლია შეიტანოს. ამ მხრივ საგულისხმო იქნება ობიექტურად აღინეროს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილე, უფრო სრულად წარმოჩინდეს და გაანალიზდეს მაშინდელი ქართული გამოცდილება.

ევროპის ცივილზებულ ერთა ოჯახში შესვლა და დამკვიდრება დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის 1918-1921 წლებშიც. დღეს ამ დიდ თანამეგობრობაში გაერთიანების ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებდეს დემოკრატიული განვითარების მოთხოვნებს. ცხრა ათეული წლის წინ ამგვარი მოთხოვნები მკაფიოდ ფორმულირებული არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში აღიარებული და დაცული იყო მრავალი ის ღირებულება, რომელიც დასავლური დემოკრატიის საფუძვლად მიიჩნევა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა საპარლამენტო წარმომადგენლობით დემოკრატიად უნდა განვიხილოთ, რადგან „ერის ხელმწიფებას“ პარლამენტი ახორციელებდა. სახელმწიფოს მეთაური იყო მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო ერთი წლის ვადით ირჩევდა და მას რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სტატუსსაც ანიჭებდა. ჩამოყალიბების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კოალიციური პრინციპით შედგა, მაგრამ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - დამფუძნებელი კრების - არჩევნების შემდეგ (1919 წლის თებერვალი), ეს პრინციპი უკუგდებულ იქნა. არჩევნები სოციალ-დემოკრატებმა დიდი უპირატესობით მოიგეს და 130 მანდატიდან 109-ს დაეუფლნენ. გამარჯვებულმა ძალამ აღარ ჩათვალა საჭიროდ მინისტრთა პორტფელების ოპოზიციის წარმომადგენლებისათვის დათმობა და აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად თავისი პარტიის წევრებით დააკომპლექტა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები დემოკრატიულ საფუძველზე ჩატარდა. დეპუტატები პროპორციული სიტემით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით აირჩიეს. საარჩევნო ხმით ოცი წლის ასაკს მიღწეული ორივე სქესის მოსახლეობა თანაბრად სარგებლობდა. ეს იმ ფონზე, როდესაც არჩევნების საყოველთაობა, მათ შორის, ქალებისათვის როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, ბევრ დანიშნურებულ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ ყოფილა დამკვიდრებული. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში 4 ქალი იყო არჩეული. საგულისხმოა ისიც, რომ საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გაითვალისწინეს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა და არჩევნე-

ბის პროცედურასთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალა, მათ შორის, დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიები და საარჩევნო ბიულეტენები ეროვნულ უმცირესობათა – სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ ენებზეც თარგმნეს და დაარიგეს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში პოლიტიკური პარტიების, კულტურულ, საგანმანათლებლო, კომერციულ და სხვა დანესებულებათა წარგზავნილებისაგან დაკომპლექტდა, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს 26 ადგილი ჰქონდათ დათმობილი (სომხებს – 10, თათრებს – 4, აფხაზებს – 3, რუსებს – 2, ოსებს – 2, ქართველ ისრაელებს – 2, ებრაელებს – 1, ბერძნებს – 1 და გერმანელებს – 1 (საქართველოს ..., 1990, 62).

1919 წელს არჩეულ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით დეპუტატები გახდნენ ებრაელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, ბერძენი, გერმანელი, აისორი, აფხაზი და ოსი ეროვნების მოქალაქეებიც (ჯანელიძე, ო. 2009, 85-86).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ უმცირესობას ეროვნულ საქმეთა გასაძღოლად შექმნილი ჰქონდა საკუთარი ეროვნული საბჭო. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოღვაწეობდნენ ეთნიკური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური ორგანიზაციები თუ გაერთიანებებიც კი (მაგალითად, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტებად გამოდიოდნენ სომხური დაშნაკცუთიუნი, მუსულმანთა ჯგუფი, ელინთა დემოკრატიული ჯგუფი და სხვ.).

რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა არაქართველი ეროვნების მოქალაქენი მრავლად იყვნენ დასაქმებულნი ცენტრალურ სახელმწიფო აპარატსა თუ თვითმმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებში. ეთნიკურ უმცირესობათა არაერთ წარმომადგენელს მინდობილი ჰქონდა მაღალი საპასუხისმგებლო თანამდებობა როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უწყებების ხაზით, რაც მმართველობაში მათ ჩართულობასა და მონაწილეობაზე მეტყველებს.

საქართველოს პოლიტიკური ელიტა დემოკრატიულ პრინციპებს ერთგულებდა. ძირითადი პოლიტიკური სპექტრის (სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკები), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია) დემოკრატიულმა მისწრაფებებმა შესაძლებელი გახადა ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმის - მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. მმართველი ძალის გარდა, სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოპოზიციაც. პოლიტიკური ოპოზიცია, უმთავრესად, პარლამენტში (ჯერ ეროვნულ საბჭოში, 1919 წლის მარტიდან - დამფუძნებელი კრებაში) იყო წარმოდგენილი და ლოიალურ ხასიათს ატარებდა. ხელისუფლებასა და ოპოზიციას იდეური ნაირგვარობის მიუხედავად, საერთო სტრატეგიული მიზანი ჰქონდა, თუმცა მათ განასხვავებდა მისი მიღწევის გზები, საშუალებები და მეთოდები. გამონაკლისი იყვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები. ისინი არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, უპირისპირდებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ სუვერენულ ქართულ სახელმწიფოს და მის დამხობას ეშურებოდნენ. კრემლის ამ მეხუთე კოლონას ოპოზიციად არ განიხილავდნენ, მაგრამ 1920 წლის მაისში, საბჭოთა რუსეთთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით, დაშვებულ იქნა ბოლშევიკების ლეგალური საქმიანობა.

ხელისუფლების შტოები გამიჯნული იყო. საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის – საქმიანობაზე საერთო კონტროლს ახორციელებდა. მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის. კონსტიტუციის თანახმად, ის „ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი“ (საქართველოს დემოკრატიული ..., 1921, მუხლ. 73).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დროის მოკლე მონაკვეთში, მით უფრო თვითმპყრობელობის რეჟიმიდან ახლად თავდაღწეულ ქართულ სახელმწიფოში, რომელსაც დემოკრატიული განვითარების არც ტრადიცია ჰქონია და არც გამოცდილება, ცხოვრება ვერ მოეწყობოდა კანონების სრული შესაბამისობით. იყო ობიექტური სიძნელები და აღინიშნებოდა სუბიექტური ხასიათის დარღვევებიც. ოპოზიცია სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ამხელდა დამფუძნებელი კრების იგნორირებაში და მოითხოვდა მისგან, დაეცვა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების „უფლებრივი წონასწორობით განპირობებული სახელმწიფოებრივი სიმტკიცე“. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია მიუთითებდა: „მთავრობას არა აქვს დამფუძნებელი კრების რიდი, იგი ბატონობს ანგარიშმიუცემლად“, და რომ: „მმართველი პარტია ისე უყურებს საკითხს, თითქოს მას უფლება არ ჰქონდეს თავის წიაღიდან გამოსულ მთავრობას ანგარიში მკაცრად მოსთხოვოს, საფუძვლიანად გააკრიტიკოს და პასუხი აგებოს“ (საქართველოს დამფუძნებელი კრება ..., 1919, 17 X, 4-5).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარგად აცნობიერებდნენ მიუკერძოებელი სასამართლოს (თამამედროვე ტერმინოლოგიით – „სამართლიანი სასამართლოს“) როლს სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში. ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, იქ, სადაც სასამართლო და მისი განაჩენი ხალხის ნდობით სარგებლობს, მართლმსაჯულება მშვიდი ცხოვრების საფუძვლად იქცევა (ნიკოლაძე, 2003, 444-445). ცნობილი იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი გვაზავა შენიშნავდა: „თუ ქვეყანაში სამართალი არ არის, – მაშინ სახელმწიფოც არ არის“ (ჯანელიძე, 2002, 354).

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში იმთავითვე მიექცა ყურადღება მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემას. დაწესდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევითობა. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას – სენატს – დამფუძნებელი კრება ირჩევდა და ამტკიცებდა. სენატმა თავისი ფუნქციით უნდა: „თვალყური ადევნოს კანონის დაცვასა და განაგოს სასამართლოს ნაწილი, როგორც საკასაციო სასამართლომ“ (საქართველოს დემოკრატიული ..., 1921, მუხლ. 76). კონსტიტუციით არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ და არც ადმინისტრაციულ სტრუქტურებს უფლება არ ჰქონდათ გაეუქმებინათ, შეეცვალათ ან შეეჩერებინათ სასამართლოს განაჩენი.

ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად ფუნქციონირებდა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც მმართველობის უფლებითაც იყო აღჭურვილი. დემოკრატიული არჩევნების გზით შეიქმნა საერობო თვითმმართველობის ორგანოები – მრავალპარტიული საერობო კრებები და მათი გამგეობები. ჩამოყალიბდა ქალაქთა სათათბიროები, რომელთა საქმიანობას გამგეობები და ქალაქების თავები უძღვებოდნენ. ერობებისა და სათათბიროების გადაწყვეტილებათა გაუქმება მხოლოდ სასამართლოს შეეძლო.

ცივილიზებული საზოგადოების საფუძველთა საფუძვლად სიტყვის თავისუფლება მიიჩნევა, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის შეფასების კრიტერიუმად განიხილება. თავისუფალი პრესა იმავდროულად ინფორმაციითა და ალტერნატიული შეხედულებებით საზოგადოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტიცაა (თანამედროვე, ... 2000).

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში?

1918-1921 წლების საქართველოში ბეჭდვითი სიტყვა მრავლაფეროვნებით გამოიჩინა. გამოდიოდა: პარტიული, სასულიერო, სამხედრო, სახელოვნებო, ლიტერატურული, სამედიცინო, სპორტული, იუმორისტული, პედაგოგიური, უწყებრივი ჟურნალ-გაზეთები და სხვა. პერიოდული პრესა ქართულის გარდა რუსულ, სომხურ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც იბეჭდებოდა. საკუთარი პერიოდული გამოცემები ჰქონდათ ქალაქებს ბათუმს („ბათუმის ცხოვრება“), ქუთაისს („ჩვენი ქვეყანა“), რეგიონებს („რაჭის ხმა“, „რაჭა-ლეჩხუმის ხმა“, „სვანეთის ხმა“, „განახლებული მესხეთი“), დარგობრივ პროფკავშირებს („თავისუფალი გზა“, „რკინიგზელი“), ცალკეულ კოოპერატულ კავშირებს („კავშირი“). არსებობდა ასევე თვითმმართველობის ორგანოთა გამოცემები – ე. წ. საერობო პრესა („Кавказский город“, „ერობა და ქალაქი“, „ჩვენი ქალაქი“, „ერობა“) და სხვ.

ხელისუფლების ოფიციალური ორგანო იყო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოსცემდა გაზეთებს „ერთობა“ და „Борьба“. საზოგადოების ნაწილში მოწონებით სარგებლობდა ოპოზიციური პრესა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავდათ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთს „სახალხო საქმე“ და ეროვნულ-დემოკრატთა გაზეთს „საქართველო“. ისინი დაუბრკოლებლად ავრცელებდნენ როგორც ინფორმაციას, ისე განსხვავებულ აზრს. ყოფილა შემთხვევა, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეული ვადით აუკრძალავს ესა თუ ის პერიოდული გამოცემა (მაგალითად, სომხური გაზეთები „აშხატავორი“ და „ნორ ორიზონი“, ასევე რუსული „კავკაზსკოე სლოვო“, რომლებიც 1918 წლის დეკემბერის სომხეთ-საქართველოს ომის დღეებში თბილისში მცხოვრებ სომხებს ქართველების წინააღმდეგ მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ, დროებით დახურეს. მცირე ხნით შეჩერებულ იქნა აგრეთვე „ბათუმის ფურცელისა“ და გაზეთ „სალი კლდის“ გამოცემა (ჯანელიძე, 2002, 394-395) და სხვ. მაგრამ, მთლიანობაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის სამი წლის განმავლობაში მედიის თავისუფლება შენარჩუნებული იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სეკულარული სახელმწიფოს წარმოადგენდა, ეკლესია გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, ხოლო სკოლა ეკლესიისაგან. ხელისუფლება არ ერეოდა კულტის საკითხებში და იცავდა რელიგიათა თანასწორობის პრინციპს. კონსტიტუცია განსაზღვრავდა, რომ: „არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა; ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საქმეებისათვის აკრძალულია (საქართველოს დემოკრატიული ..., მუხლ. 143, 144). შეუზღუდავი იყო რელიგიური კონფესიების, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. საქართველოში 80 სომხური, 60 რუსული, 31 თათრული სკოლა ფუნქციონირებდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და სხვ.

ისეთი ევროპული ღირებულებანი, როგორცაა თავისუფლების იდეალი, ტოლერანტობა, ინდივიდუალიზმი, საქართველოს მოსახლეობას ისტორიულად ჰქონდა გათავისებული. დემოკრატიულ სახელმწიფოში მათ მეტი გასაქანი მიეცა. ზოგიერთი დასავლური ღირებულება ქართულ სინამდვილეში ახლად შემოდიოდა, ობიექტურ წინააღმდეგობებსაც აწყდებოდა, მაგრამ გზას მაინც იკვლევდა. ქვეყანაში იქმნებოდა პირობები სამოქალაქო სექტორის ფორმირებისათვის, წარმოიშვა მრავალი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი დაწესებულება, გაერთიანება, კავშირი, ამხანაგობა თუ ორგანიზაცია, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ. ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკივნეულად, მაგრამ მაინც მკვიდრდებოდა კანონის უზენაესობა და სხვ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებობა მძიმე პერიოდში მოუწია. პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის იმპერიასთან კავშირების განწყვეტამ მოშალა მეურნეობის მრავალი დარგი. ახლადშექმნილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში ცხოვრობდა. ღარიბი ეკონომიკა ვერ იძლეოდა ლიბერალური ბაზრის წარმატებით ჩამოყალიბების საფუძველს. ქვეყნის მესვეურები სოციალიზმის „თანდათანობით მოახლოების“ ამოცანებს ისახავდნენ, მაგრამ რადგან „ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში“ რჩებოდნენ, (მაცაბერიძე, 2008), არ უარყოფდნენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. დაშვებული იყო თავისუფალი მენარმეობა, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნება და სხვა, თუმცა ზოგიერთი ნედლეულის (მარგანეცი, თამბაქო, აბრეშუმი, მატყლი, ...) ექსპორტზე დაწესებული ჰქონდათ სახელმწიფო მონოპოლია (ათანელიშვილი, 2006, 33 - 41).

საშინაო და საგარეო სიძნელების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო, შედგა. ის იყო „ახალგაზრდა დემოკრატია, ...რომელმაც თავის პოლიტიკურ ნცობაში გვიჩვენა დემოკრატიის წრფელი ერთგულება და საღი აზროვნების შესაძლებლობა“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ... 1919).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ათანელიშვილი, თ. (2006), ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., (ხელნაწერი).
2. თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები, თბ., 2000, #6. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/samoqalaqi%20sazogadoebis%20funqciebi.htm>
3. მაცაბერიძე, მ. (2008), დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე. ჟურნ. „ააფი“, 2008, #1(17). <http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=17&rubr=0&mas=632>
4. ნიკოლაძე, ნ. თხზულებანი, ტ. VIII, ქუთაისი, 2003.
5. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 1919 წლის 17 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.
6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 1921.
7. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე, პარიზი, 1919 წლის ივლისი.
8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990.

9. ჯანელიძე ო. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, ჟურნ. „ანალები“, 2009, #4.
10. ჯანელიძე, ო. (2002) ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

ოთარ ჯანელიძე

ევროპული ღირებულებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რეზიუმე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიარებული და დაცული იყო მრავალი ის ღირებულება, რომელიც დასავლური დემოკრატიის საფუძვლად მიიჩნევა (მმართველობის დემოკრატიული ფორმა, პოლიტიკური პლურალიზმი, არჩევნების საყოველთაობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი და სხვ.).

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბდა. მმართველი ძალის გარდა, სახელმწიფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოპოზიციური სპექტრიც; ხელისუფლების შტოები გამიჯნული იყო; ცენტრალური ხელისუფლების პარალელურად ფუნქციონირებდა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც მმართველობის უფლებებიც ჰქონდა.

საარჩევნო უფლებით ოცი წლის ასაკს მიღწეულ ორივე სქესის მოსახლეობა თანაბრად სარგებლობდა. ქვეყანაში იქმნებოდა პირობები სამოქალაქო სექტორის ფორმირებისათვის, შეუზღუდავი იყო რელიგიური კონფესიების, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა, თავისუფლებით სარგებლობდა ბეჭდვითი სიტყვა.

ევროპულ ღირებულებათა ნაწილი საქართველოს მოსახლეობას ისტორიულად ჰქონდა გათავისებული (თავისუფლების იდეალი, ტოლერანტობა, ინდივიდუალიზმი ...), ზოგიერთი კი სიახლე იყო და, ობიექტური წინააღმდეგობების მიუხედავად, ქართულ სინამდვილეში გზას ნარმატებით იკვალავდა.

Otar Janelidze

European Values in the Democratic Republic of Georgia

Summary

In the Democratic Republic of Georgia, there were recognized and protected many of those values, which are considered the foundation of Western democracy (democratic form of governance, political pluralism, universal elections, rule of law, human rights and freedoms, etc).

The first multi-party political system was established in the Republic of Georgia. In addition to the ruling party whole specter of opposition played a significant role in the life of the State. Government branches were separated. Along with the central government, there was functioning local government, which was equipped with the right to rule.

20-year-old people of both sexes were given equal voting rights. There were created conditions for the formation of a civil society, activities of religious groups, cultural and educational institutions were unlimited, mass media was free.

Population of Georgia historically understood European values in the larger part (the ideal of freedom, tolerance, individualism ...), though some of them were new and despite the objections were successfully implemented.

THE PROCESS OF EURO INTEGRATION AND CONTEMPORARY GEORGIAN CINEMA

In the process of choosing the landscapes for the movie, film director, director of photography and film designer often try to search the places, where the heroes, if they are our contemporaries, really live and act. This methodology makes the film closer to documentary style and the cinema due to be natural. The unity of the creative collective choice, mostly determine not only real place, also as the aesthetic and beautiful shot will be in the film. The choosing of landscape is the most important way to express the emotional situation of the episode. The definitely chosen landscape helps the actor to reach the goal, which director and producer aim in their work. After, when filming is finished, the aesthetic of it determines the sympathy of the audience, popularity and success of the film and in the end, the film's income. This process is continued existence of the entire cinema.

The Georgian cinema of 20th century was well-known and successful. One of the reasons of that of course were definitely searched landscapes which made Georgian production interesting not only as aesthetic, as the nature in Georgia is very beautiful, and also exotic. At the end of 20th century, after the collapse of the Soviet Union, in postcolonial Georgian cinema was a period of crisis. "The Other Bank" /"Gagma Napiri"/ by Giorgi Ovashvili, which was released in 2009, was the first successful film production after the crisis. This film was the participation of various international film festivals and received 42 awards. "The Other Bank" received awards in Italy, in Rome and Rowena and Italian audience could see this film.

Twelve-year-old Tedo lives with his young mother Keto in an isolated hut on the outskirts of Tbilisi. Tedo and Keto are refugees from Abkhazia. The civil war has claimed everything they ever owned, including their hopes for a bright future as an intact family unit. Tedo has been just four years of age when they were obliged to flee from Abkhazia. At the time, they had to leave behind Tedo's father – his weak heart made it impossible for him to take on such a strenuous journey. Tedo is now an apprentice at a car repair shop and Keto works as a sales assistant. Tedo gives little money that he earns to his mother so that she no longer has to be nice to strange, unfriendly men. It pains the young boy a great deal that he cannot earn more of a living for them; moreover, his mother's moral conduct begins to weigh heavily on him. One day, when he discovers that she has a lover it becomes all too much for him and he decides to go to his father in Abkhazia and ask him to return to his mother. Perhaps he will find the solution to all his problems. Tedo meets many people on his journey – and suffers many a blow. He is by no means welcome everywhere. As his journey comes to the end he has acquired many an insight – such as the realization that the grass is not necessarily greener on the other side. At the end of the film, after all suffers, the hunters, whom are relaxing-singing and dancing in the forest, catch Tedo and forced to dance. This dance is really tragically final of the journey. Ted closes his eyes and imagines his dream - the giraffes in Africa.

Due to the film content the places and landscapes are various. Abkhazia is still occupied and because of that to shot film there was impossible. Giorgi Ovashvili and production design Merab Jokhadze searched the filming sites in other parts of Georgia, where the landscape is similar to Abkhazian landscapes. In the first part of film the action takes place in the capital of Georgia, Tbilisi. The city views from selected places

that are appropriate for one-hand operation of marginal characters, on the other hand, sites wears a kind of aesthetics, which is consistent with the psychological situation of these heroes. After living city, Tedo fills himself even more single, than in the city. He is lonely on the long and non-welcome way. Mostly the authors show leading role Tedo Bekhuri, in the long shot. In an episode near the railway the boy's body is in medium close-up shot. There is a long way behind the boy. The poles form a rhythm in this episode. The empty space behind of Tedo creates a sense of hopelessness.

Julie Christensen from George Mason University wrote about "The Other Bank": "Ovashvili's film bridges the individual and the universal. For international viewers, the film adds to the global discourse on children caught in ethnic war and violence, orphans and refugees, children robbed of childhood. For "local viewers," *The Other Bank*, with its concrete geography and interplay of Abkhazian, Georgian, and Russian speech, highlights the multiple identities of the inhabitants of these regions, while the story of a young boy looking for his father brings into the foreground the ongoing ethnic pain, suspiciousness, uncertainty, and fear of war-torn Georgia. Suspense mounts as young Tedo crosses into Abkhazia, where he is, in fact, "the enemy," in a zone where every father has lost a son and every son, a father, and every Russian border guard and every glass of vodka increases the potential for violence. Ovashvili's approach, subtle, understated, and balanced, is therefore all the more impressive."

"The Other Bank" includes many episodes, various landscapes, and all of them really express the internal state of the protagonist. The episode, when Tedo reaches the place, where his father is living: Tedo is talking with the old woman, the neighbor, who informs the boy, that his father married the Abkhazian woman. In the film it means, that this terrible journey is purposeless and father will never return to Tedo's mother. In the long shot, everything is covered with snow. The environment of this episode is calm and frightful. There's no one walks on the streets, there is simultaneously both in the shot -physical and spiritual coldness and emptiness. And the end of the film – the dream of Tedo – giraffe in Africa, the environment, which is the best, what can the boy imagine.

As film critic Gulnara Abikieva talked about "The Other Bank" – "In reality, a good film has a special appealing quality: the film is taking your breath away; it is full of charm, embraces you and then lets you go only after the very last shot. Those types of films are very few even in a grand film festival such as the Berlinale. The Georgian film *The Other Bank* (Gagma Napiri) belongs to this type of exceptional film. George Ovashvili has an artistic taste for making films. What are the rhythm and editing, the right actors, landscapes, emotions and thoughts that this full-length feature debut gives birth to? It is hard to say... Overall, it is obvious that it is a special world which you start to believe in and it touches your soul."

In recent European policies for culture, the problem, which is actual and important for the public, can be represented as a successful movie, as "The Other Bank" is. It should be noted that there are several films about the occupied territories. Obviously this kind of art is extremely important for the future of Georgia as well as for European values. Georgian film critic Lela Ochiauri wrote about films about Abkhazia: "The films contain important messages to Abkhazia, which hopefully will reach not simply the addressees, but first of all, they will reach the hearts and cognition of Abkhazians. The films are to be shown to Abkhazians as well to understand what Georgians think about the events which developed in Abkhazia - the paradise for all of us – during and after the war. They should understand how the things are estimated by Georgians, by those who stayed on the other bank; what do Georgians feel about the loss and suffer from pains which they

carry during the years not only for their own, but for Abkhazia's sake as well, for the past (before and during the war) and future's sake which was and even now is common for both."

What will be more important for our world than a piece is and what is the way of representation better than the movie is? "The Other Bank" in the example, when creative energy transformed in the creative industry, as film production is industry, and the goal of producing was reached.

"Landscape involves isolation of a spatial extend and a certain temporal length. That is, all notions of landscape are produced by human interpretation which, simply due to human physiology or due to political or cultural bias, is selective. Subsequent aesthetic treatments of landscape, whether in painting, photography or film, involve further selection, interpretation and omission, whether by an individual group. Landscapes can be comforting or daunting, challenging or reassuring."

A Film by Tinatin Gurchiani "The Machine Which Makes Everything Disappear"/"Manqana, romelic kvelapers gaakrobs" is a very good example of Graeme Harper and Jonathan Rayner ideas in the creative documentary. The landscape takes great part in a film not only as aesthetic of the production; also the location determines the biography and the actions of the personages of the documentary.

A filmmaker puts out a casting call for young adults, aged from 15 to 23. The director wants to make a film about growing up in her home country, Georgia, and to find commonalities across social and ethnic lines. She travels through cities and villages interviewing the candidates who responded and filming their daily lives.

The boys and girls who responded to the call are radically different from one another, as are their personal reasons for auditioning. Some won't be movie stars and see the film as a means to that end; the others want to tell their personal story. One girl wants to call to account the mother who abandoned her; one boy wants to share the experience of caring for his handicapped family members; another wants to clear the name of a brother, currently serving a jail sentence.

Together their tales weave a kaleidoscopic tapestry of war and love, wealth and poverty, creating an extraordinarily complex vision of a modern society that still echoes with its Soviet past.

Various characters in various locations and various landscapes make the film very impressive. The cinematographer is Andreas Bergman. Also music by Marian Mentrup and Mahan Mobashery contributes to emotional perception.

"The Machine Which Makes Everything Disappear" was a participant of 16 international film festivals and was awarded at Sundance Film Festival as the best documentary.

"Mixing meta-narrative with heightened visual aesthetics, THE MACHINE WHICH MAKES EVERYTHING DISAPPEAR intuitively penetrates individual lives to conjure a richly layered, indelible portrait of a society, brilliancy becoming more than the sum of its parts." – **The Sundance Film Festival**. *"Director Tinatin Gurchiani opens a window into the lives of common folk in her native Georgia, where the post-Soviet era has been plagued by strife, using the premise of a casting call to pull confessions of hopes and dreams from her subjects."* – **Steve Dollar, the Wall Street Journal**.

The fact, that Tinatin Gurchiani's film was successful not only in Europe, also in the United States means, that national theme was transformed as transnational and became the part of global culture.

This paper analyzes film and creative documentary -both of them are part of audiovisual art, where the creative environment determines the degree of a visual part, which is the main for the audience.

ლელა წიფურია

ევროინტეგრაციის პროცესი და თანამედროვე ქართული კინო რეზიუმე

თანამედროვე ქართული კინოს ევროინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეროვნული კინოცენტრის პოლიტიკა – ევროპულ ფონდებში პროექტების წარდგენა და ფილმის გადასაღები თანხის ნაწილის მოპოვება ევროპულ კინოფორუმებზე, ხოლო შემდგომში გადაღებული ფილმების ევროპულ ფესტივალებზე წარდგენა. ეს ფილმები თანამედროვე ქართულ რეალობას ასახავს. ფილმებში გადაღებული სამოქმედო გარემო აუდიოვიზუალური ხელოვნების ესთეტიკას ქმნის. ლანდშაფტის შერჩევა უმნიშვნელოვანესია ეპიზოდის ემოციური ვითარების ასახვისთვის. ზუსტად შერჩეული ნატურა ეხმარება მსახიობს იმ მიზნის შესატყვისად გადმოცემაში, რომელსაც მას რეჟისორი და პროდიუსერი უსახავენ.

თანამედროვე ქართული კინორეჟისორების და მხატვრების ნამუშევრებში მშობლიური ქვეყნის ლანდშაფტი ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს აუდიოვიზუალური პროდუქტის ეროვნული მახასიათებლების შექმნაში.

ნაშრომში ქართული კინოხელოვნების ევროინტეგრაციის პროცესის ანალიზისთვის შერჩეულია ორი თანამედროვე ქართული კინოხელოვნების ნიმუში: მრავალი პრიზით აღნიშნული გიორგი ოვაშვილის მხატვრული ფილმი „გალმა ნაპირი“ და თინათინ გურჩიანის ასევე წარმატებული დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“

Lela Tsiphuria

The Process of Euro Integration and Contemporary Georgian Cinema

Summary

The policy of the National Film Center takes great part in Euro integration of Georgian cinema. Georgian projects are presented on European forums and part of the budget of contemporary films, is obtained in the European film founts. After, the films are presented and awarded at European film festivals. In contemporary Georgian films is reflected Georgian reality. The environment of Films is composing aesthetics of audiovisual arts. The choosing of landscape is the most important way to express the emotional situation of the episode. The definitely chosen landscape helps the actor or the TV anchor to reach the goal, which director and producer aims in their work.

The directors and designers or contemporary Georgian audiovisual arts are definitely making films, in which the landscapes of native country take one of the main roles of creation of the national character of audiovisual product.

In the paper analyzes the process of Euro integration on the example of two Georgian films – a movie, the successful Georgian film “The Other Bank” by Giorgi Ovashvili, and **creative documentary** by Tinatin Gurchiani “**The Machine Which Makes Everything Disappear**”.

Kristina Bockova

Matej Bel University in Banská Bystrica, Slovakia

EUROPEAN UNION AND CONFLICT RESOLUTION IN GEORGIA

The questionnaire

During the doctoral research of the author of this article, the sociological survey was conducted through the questionnaire. The survey was conducted in May 2014 and its main objective was to identify the perceptions and attitudes prevalent in Georgian society on the prospects for conflict resolution in Georgia and the role of the European Union in this process. Survey used online data collection method through Google Chrome Documents which allowed to the respondents the flexibility to fill the form in any time they wished and also to change the response if necessary. Moreover, the questions were not compulsory, so the respondents could even skip the question they did not like. The format of the questions differs. Several questions were open ended, some were closed ended, but the majority of the questions had scale response format where the respondents could choose the response on the 5 points scale. The questionnaire was done in English language. Total number of the respondents participated on the questionnaire until May 31 was 117.


This section aims to evaluate the most important results and conclusions from the questionnaire, while the list of the complete summary of the responses accompanied by the comprehensive graphs and tables can be found online. Still existing link of the research is following: <https://docs.google.com/forms/d/1qqY1c9jkmEvGXQzYcxRkcaoOty61mtr8r9BLT-kyZbQ/viewform>

General information about the respondents

The author carried out the survey through the internet by asking the respondents from different social groups (friends, university colleagues, activists, members of the different NGOs, press and TV journalists, students, ordinary citizens and also the representatives of the government and others) to fill the online form and to diffuse the link of the questionnaire further within Georgian population. The respondents also represented different age groups and were from different Georgian regions, although the question about the place of residence was not included in the research. However, the survey was supposed to address to all three ethnic groups represented in internal conflicts of Georgia, main attention was finally focused on the Georgian ethnic group.

Evaluating the information about the respondents participated on the research questionnaire, we can observe that the young generation until 35 years constituted more than 60% of the respondents. This could be partially explained by the fact, that the survey was distributed mainly online and in English language. However, the respondents over 45 years constituted 15% of the people participated on the research which still can give us the appropriate information about this age group. According the question about education level, the majority of respondents have completed Higher education which means they had already finished the University studies and they are likely to be employed.

What concerns the ethnicity, as already mentioned, the majority of the respondents were Georgians, although also Russians, Armenians and other ethnic groups participated on the survey. There were only one Ossetian and two Abkhaz respondents. Similar results are then acquired about the language spoken at home.



Prospects for conflict resolution in Abkhazia and South Ossetia

This section of the questionnaire covered the following themes: general interest about the conflicts in Georgia, main source of the information about the conflicts, current public perception and assessment of the conflicts in Georgia and the potential solutions to the conflicts. The survey was focused on both conflicts in Georgia equally. By asking different kind of questions concerning the possible conflict resolution, the survey also looked into how important the principle of territorial integrity is for Georgian public.

The general interest about the conflict is surprisingly high, over 60% of respondents is very interested in current affairs in Abkhazia and South Ossetia, while 32% is quite interested, and their main source of the information is Internet, Georgian TV and Radio, but also the information from friends and relatives living in the breakaway regions plays significant role.

The important question from this part of the survey was the question whether the prospects of Abkhazia and South Ossetia becoming the integral part of Georgia increased, stayed the same or decreased since August 2008 conflict. Pessimistic opinions prevailed and almost half of the respondents is persuaded that these prospects were decreased. Interestingly, the prospects of South Ossetia to become an integral part of Georgia is considered even more unrealistic than Abkhazian case. The pessimistic opinions persist also in the question about the time frame of the conflict resolution. Only 12% of the respondents think that the conflict would be resolved earlier than in 5 years, while 37% (Abkhazia case) and 28% of the respondents believe in the resolution in more than 10 years.

When asked what conflict resolution options were available to Georgia, the overwhelming majority of the respondents in all focused groups confirmed that the conflicts must be resolved only by peaceful means. Only 3% of the respondents strongly agree with the resolution by force. The explanation of such stance could be found in recent opened violence during 2008 war and also in still very 'live' memories from the bloody events in 90's. Moreover, the respondents could also realise that Georgia does not have sufficient military resources to regain the breakaway territories by force against the military strength of Russia.

The ethnic composition of the respondents also explains the strongly 'No' answer on the question whether the independent South Ossetia and Abkhazia is an option for the settlement of the conflict. They rather prefer the status of autonomy for both regions. What is important and at the same very interesting is that more than 60% of the respondents, although mostly ethnic Georgians, agree that it is necessary to cooperate with *de facto* authorities in Tskhinvali and Sukhumi. This stance confirmed the author's conclusions that in order to resolve the conflicts, the dialogue with the local authorities is essential. However, neither Georgia,

nor EU officially do not recognise them and thus do not support the opening of the official mutual discussion and cooperation.

The role of the European Union in the conflict resolution in Georgia and the EU –Georgia relations

The third part of the questionnaire covered these issues: the role of the EU in the conflict resolution process in Georgia, the evaluation of the EUMM operation in Georgia and the role of the Russia in the conflict resolution process. Furthermore, the research examined what Georgian citizens think of Georgia's relations with the European Union and the importance of this relationship. The respondents were also asked to answer questions about their support of the Georgian accession to the EU and NATO.

In general, the evaluation of the EU's position as an actor in the process of conflict resolution is regarded as conducive. Only 30% of the respondents disagreed that the EU was able to stop the 2008 Russo-Georgian war in 2008, almost 60% believe that the EU has the capacity to resolve the conflict in Georgia and more than 90% of participants on the questionnaire evaluate the role of the EU in conflict resolution in Georgia as necessary. The question concerning the role of the EUMM (European Union Monitoring Mission) in increasing the stability on the borders with breakaway regions is in some respect surprising. In spite of great international criticism of this civilian mission in Georgia, the Georgians themselves evaluate the EUMM activities as necessary and appreciate its role in stabilizing the situation.

However, when the option of the EU membership compared to Georgian territorial integrity is posed, the responses are not so clear. The defenders of the territorial integrity are slightly winning. Anyhow, the deeper Georgian integration into the EU is demanding for more than 74% of the respondents, while almost 90% of participants on the questionnaire evaluate the EU- Georgia cooperation as the important factor in the democratization processes in the country. Georgian EU membership is supported by 91% of the respondents and its NATO membership by 83% of the participants. This part of the questionnaire confirmed the author's conclusions, that the Georgians are generally pro-European orientated which also explains their high commitment to political change according the EU's standards and their easier adaptation of the EU's *aquis communautaire*.

What concerns the Russian role in the conflict resolution in Georgia, it is estimated as essential. Almost 80% of the respondents agree that the resolution of the conflicts in Georgia depends on Georgia- Russia relations and around 67% add also the necessity of the comprehensive EU- Russia relations. The role of the Russia in solving the protracted conflicts in Georgia is inevitable for almost 72% of the respondents.

The EU membership of Georgia is more important than the resolution of the status of unrecognized regions of South Ossetia and Abkhazia.

PROPOSED RECOMMENDATIONS

Following the conclusions of the questionnaire and research, this section focuses on how the EU could use its existing tools and policies in order to be successful in its East neighbourhood, especially in solving the protracted conflicts in Georgia. The study offers several policy recommendations:

A, In order to play a more active role in South Caucasus and generally in resolution of the conflicts in its neighbourhood, the EU needs a **coherent strategy** of the Eastern Neighbourhood Conflict Prevention and Resolution. This should define its interests, a common strategy and concrete road maps for implementation.

The strategy should be based on the principles of the international law and its commitment to the territorial integrity, but simultaneously offer the guidelines for an increased dialogue and cooperation with the separatist entities.

B, The most discussed weak point in the EU's foreign policy, particularly in its efforts in conflict resolution, is the EU's inability **to act rapidly and united**, as well as limited capabilities in the security field. The problem of reaching the unanimity in important issues of foreign policy between the member states limits the EU to react promptly on raised conflict. The unwillingness to devolve sovereignty in the foreign policy field and transfer it to the higher institutional level such as the EU Minister of Foreign Affairs causes the disunity in the Union. The EU is effective in its long-term conflict resolution strategy, in other words in conflict transformation. What concerns the quick decision this seems to be more problematic.

C, Another limit of the EU in conflict resolution is its lack of credibility which depends on third state's perception of the EU capability and capacity to solve the conflict. The foreign interest and inclinations of member state are not the same, but at least in the important issue they should be able to find a consensus. The EU policy towards Georgia and now also Ukraine fails on its non-unified **position on Russia**, based on geopolitical as well as energy security reasons. With regards to Georgian conflicts, the EU could combine its economic leverage with diplomatic initiatives to set a new comprehensive peace plan that also takes into account Russian interests.

D, Following the research conclusions and the questionnaire's results, the EU should realise that **the cooperation with de facto authorities** in Abkhazia and South Ossetia is necessary to proceed in conflict resolution. Without the official contacts, the EU does not give them another option than the cooperation with Russia and their increasing economic and political dependence on this geo-political bear. Offering the compromise on the status of both breakaway regions would raise the trust of Abkhaz and South Ossetia authorities and at the same time, it would increase the EU's influence in both regions. Furthermore, the official terminology of the EU and Georgia should be revised. The terms as 'occupation', 'separatist' and other similar terminology should be substituted by more neutral terminology.

E, The conclusions of the questionnaire showed that the prevalent view in Georgian society is that the conflict should be **resolved by peaceful means**. The EU should avoid supporting one party against another, as this would lead to deeper distrust between the communities. It is important the EU builds trust and confidence between conflicting parties.

F, The **status quo it is not an option** for Georgia. The EU should work more for finding the solution to these territories and also should further deepen its dialogue with Georgia and the *de facto* entities on alternative ways of use of force. Conflict prevention remains a priority in this volatile region. One of the options of changing the position of the EU would be the acceptance of the independence of Abkhazia and South Ossetia and starting an open economic and political dialogues with the authorities of these *de facto* states. Another, perhaps more acceptable option, would be the rule of these territories under the mandate of the international organisation such as the UN or EU.

G, The EU will never able to solve the conflicts in its neighbourhood alone. In order to become an important international actor and framework in conflict resolution, the EU should re-evaluate and adapt its

multilateral conflict resolution policy to the changing global order. Establishing and maintaining the peace requires **the cooperation of the countries and people in the conflict themselves**. Yet the EU has various range of the tools for stabilization and conflict resolution at its disposal which gives to the EU its greatest strength. The latest initiative of the EEAS¹ offers the opportunity for the EU to examine the particular needs and shortages in the EU's foreign policy towards the East. The EEAS gives to the EU foreign policy another dimension and the EU could now take a full advantage of its unique range of social, political, economic and security tools.

CONCLUSION

The EU impact of solving ethno-territorial conflicts in the area of South Caucasus could have different kinds of outcomes. At a maximum, it may help resolve the conflicts, however, we can see that the European Union plays a marginal role in all three protracted conflicts in South Caucasus, especially if compared to the role played by Russia. The EU is excluded from negotiations on the Nagorno-Karabakh conflict and have no access to Abkhazia and South Ossetia. The EU actions in the region aim to prevent a potential conflict rather than solving the actual one, nevertheless, the 2008 war in Georgia and recent events on Ukraine could be perceived as a visible EU's failure of its conflict prevention policy. However, following the Europeanization concept, even if the parties fail to solve the conflict, they still may change their attitudes and behaviour towards the other party in the conflict. This phase is called the *conflict transformation* and it is connected with soft security policy, typical for the European Union. Soft security mechanisms are about creating social and institutional frameworks and preventing conflicts from reaching the stage of military confrontation. From long term perspective this is the area where the European Union should win over Russian aggressive approach.

Moreover, the existence of domestic facilitating factors such as pro-European government, general secret public hopes of entering the Euro-Atlantic structures and the absence of the domestic veto players in the political structures of Georgia, seem to advance the Georgian commitment to pursue the implementation of the EU political reform agenda. Georgia decided to Europeanize itself in order to convince the EU to change its attitudes and recognise their European vocation and the signature of the Association Agreement could be partially considered as success of this policy. In this case, despite the criticism and uncertainty surrounding the European Neighbourhood Policy (ENP) and its initiative Eastern Partnership, the overall assessment of nearly eight years of work of the ENP policy in Georgia, it can be concluded that Georgia has been a 'success story'. Georgia has made significant progress towards strengthening democracy and modernizing its institutions, not only according the EU Progress Reports but also when compared with the independent data of the international Non-Governmental Organizations such as Transparency International, Freedom House, Fund for Peace, Reporters without borders etc.

As Brussels has a great interest in the regions where the separatist entities are located, not only in terms of security and stability but also in terms of energy transport and resources, more EU proactive policy is necessary. Russia showed its power on Ukraine, so the EU has to stand up from its passive position and its proactive role is necessary. To conclude, the EU approach toward the region of South Caucasus must

¹ EEAS – European External Action Service

take into consideration the heterogeneity of the three states, their different levels of economic development, transformation and interest of the integration with the EU. There should be one strategy towards whole region, the common position of all the EU member states, but it shouldn't be forgotten that each country in this region has its own demands and needs.

Russia has accepted the EU's role in monitoring the situation. However, it expects the EU to recognize the current status quo of the *de facto* separation of South Ossetia and Abkhazia from Georgia. This is a challenge that the EU has to manage and will determine the future of Europe's role in the region. The EU needs an approach not only concentrated to Georgia, but to whole region with the attention to each country of South Caucasus. It needs more balanced strategy towards Russia and also it should begin the dialogue with *de-facto* authorities. What is still missing is a long-term EU strategy for the region and a willingness to take on the responsibility for conflict resolution and development in the South Caucasus.

BIBLIOGRAPHY

1. *ENP Country Progress Report- Georgia*, data from 2008-2013, [online]. 2008-2013. [eeas.europa.eu: official side of the European External Action Service](http://eeas.europa.eu/official-side-of-the-European-External-Action-Service/), [cit. 2014-04-13]. Available: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/political_framework/enp_georgia_news/index_en.htm
2. FREEDOM HOUSE, 2003 and 2013. *Index of Freedom in the World* [online]. Freedom House, data from 2003 and 2013. [cit.2014-05-17]. Available: <http://www.freedomhouse.org/report/freedom-world/>
3. FUND FOR PEACE, 2005 and 2013. *The Failed States Index* [online]. Fund for Peace, data from 2005 and 2013 [cit.2014-05-17]. Available: <http://ffp.statesindex.org/rankings-2006-sortable>
4. REPORTERS WITHOUT BORDERS, *Press Freedom Index* [online]. Reporters without borders, data from 2003 and 2013. [cit.2014-05-17]. Available: <http://en.rsf.org/press-freedom-index-2003,551.html>
5. TRANSPARENCY INTERNATIONAL, 2003 and 2013. *Corruption Perception Index 2003 and 2013* [online]. 2003 and 2013. Transparency International [cit. 2014-05-10]. Available: <http://cpi.transparency.org/cpi2013/results>

კრისტინა ბოჩკოვა

ევროკავშირი და კონფლიქტების გადაწყვეტა საქართველოში რეზიუმე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 23 წლის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შეძლო 4 სეპარატისტული კონფლიქტის გადაწყვეტა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ტრანსნისტრიის თვითგამოცხადებული რესპუბლიკები, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი დე ფაქტო დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ, დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუციებითა და სისტემებით. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს წვლილი შეიტანოს კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში, ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მოლაპარაკების პროცესის ჩიხიდან გამოყვანას. საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა და უკრაინის კრიზისმა ყირიმის ნახევარკუნძულზე ნათლად დაგვანახა, რომ ე.წ. „გაყინული კონფლიქტი“ შეიძლება ნებისმერ დროს ხელახლა გაღვივდეს და ომში გადაიზარდოს. მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელი დიდ ინტერესს იჩენს

ისეთი რეგიონების მიმართ, სადაც სეპარატისტული ერთეულებია განლაგებული, არამარტო უსაფრთხოების და სტაბილურობის, არამედ ენერგორესურსების ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც, ვფიქრობთ, ევროკავშირმა უფრო მეტად მიზანმიმართული პოლიტიკა უნდა აწარმოოს. რუსეთმა დაგვანახა თავისი ძალაუფლება უკრაინაში, ამიტომაც ევროკავშირმა აუცილებელია, შეცვალოს თავისი პასიური პოზიცია და აქტიურად ჩაებას კონფლიქტების გადაწყვეტაში.

სტატიაში გაანალიზებულია ევროკავშირის პოზიცია მისი მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ. ეს ის რეგიონია, რომელიც თავისი ეკონომიკური პრობლემებით, პოლიტიკური არასტაბილურობით და კონფლიქტის რამოდენიმე ზონით საშუალებას აძლევს ევროკავშირს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები სტაბილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესში. ავტორი ეყრდნობა იმ კითხვარების შედეგებს, რომლის მიზანი იყო, გაეანალიზებინა ევროკავშირის როლი ასეთ ქვეყნებში კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში, კერძოდ, საქართველოში, რადგანაც 2007 წლიდან, როცა რუმინეთი და ბულგარეთი გახდნენ ევროკავშირის წევრი სახელწიფოები, საქართველო ევროკავშირის უშუალო მეზობელი გახდა.

და ბოლოს, მოცემულ კვლევაში ავტორი გვთავაზობს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოს ევროკავშირმა მუშაობა ქვეყანაში და ზოგადად მთელ რეგიონში გარკვეული წარმატების მისაწვდომად არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში.

Kristina Bockova

European Union And Conflict Resolution In Georgia

Summary

Twenty-three years after the collapse of Soviet Union, the international community has not been yet able to solve four separatist conflicts in post-Soviet space. The self-declared republics of Transnistria, Abkhazia, South Ossetia and Nagorno Karabakh have become *de facto* independent states with separate political institutions and systems. However, the EU contributed to the conflict resolution by different means it still has not been able to break the stalemate in the negotiation processes and contribute to the resolving at least of one of the conflicts. The 2008 war in Georgia and now the Ukrainian crisis over the peninsula of Crimea showed that the conflicts can ‘unfreeze’ and escalate in regional wars. However, Brussels has a great interest in the regions where the separatist entities are located, not only in terms of security and stability but also in terms of energy transport and resources, more EU proactive policy is necessary. Russia showed its power on Ukraine, so the EU has to stand up from its passive position and its proactive role is necessary.

The article deals with the position of the European Union in its neighbourhood, especially in the region of South Caucasus that seems to be an opportunity for the European Union to show its strength in the stabilization and democratization processes in this area with economic problems, political instability and several conflict areas. The article is based on the results of the questionnaire analysing the role of the European Union in conflict resolution, particularly in Georgia that became after 2007 enlargement of Romania and Bulgaria the EU’s direct neighbourhood. In its final part, the proposed study gives the recommendations how the EU can better work in the country and whole region to advance the resolution of the existing internal conflicts.

როზეტა დანელია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

გლობალიზაცია და მედია

მოულოდნელობებით აღსავსე თანამედროვე სამყაროში, სადაც ელვის სისწრაფით იცვლება ყველაფერი, განვითარების დინამიკა იმდენად დიდია, რომ თვალის მიდევნებაც ჭირს. შეიცვალა კი რამ სასიკეთოდ ცივი ომის დამთავრების შემდეგ? არადა რა იმედებით შეჰყურებდა ცივილიზებული მსოფლიო კაცობრიობის განვითარების ახალ ფაზაში გადასვლას.

ერთიანი საკაცობრიო განვითარების იდეას თანაბარი შესაძლებლობები უნდა შეექმნა და ამ იდეის მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებს დახმარების ხელი უნდა გაეწოდებინა ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, რათა წინ წამოენია ისინი და საერთო ფერხულში ჩაება სამყაროს მთლიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ვნახეთ, სადამდე მიგვიყვანა ამ „საერთო-საკაცობრიო იდეის პროპაგანდამ“. დიხაბაც, მხოლოდ პროპაგანდა თუ შეიძლება ვუნოდოთ ამ ვითარებას, რამაც არათუ შეარბილა სიტუაციები მსოფლიოში, არათუ მოანესრიგა საერთაშორისო მდგომარეობა ახალი საერთაშორისო პრინციპების შემუშავებითა და დაწესებით, არამედ კიდევ უფრო დაძაბა და გააღრმავა წინააღმდეგობები. ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ვითარების ძირეულად შეცვლის მთავარი ტენდენცია გამოიხატა დასავლური სამყაროს სრული უპირატესობის მიღწევაში. გლობალიზაციამ სახე უცვალა მსოფლიო პოლიტიკას და დღესაც განაგრძობს ამ ცვლილების განხორციელებას.

აქამდე დადებით მომენტად ითვლებოდა ევროპის გაერთიანების იდეა, ევროპის კავშირი, რომლისკენაც უდიდესი მონდომებით მიიღტვოდა მთელი რიგი ქვეყნები, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მალე ისიც კრიზისმა მოიცვა. საქართველოს გზა კი ოდითგანვე ევროპისკენ იყო მიმართული. ევროპის ჰუმანისტური კულტურა და ტრადიციები მუდამ მიმზიდველი და მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ დრომ დაგვანახვა მსოფლიო პოლიტიკის სიბეცეც, რისთვისაც საქართველო-უკრაინის მაგალითიც კმარა. დიდი გამჭრიახობა არ ჭირდებოდა იმის დანახვას, რომ რუსეთი ასე იოლად ვერ შეეგუებოდა საუკუნეების მანძილზე მოპოვებული „სიკეთების“ მოშლასა და დაკარგვას.

ზოგჯერ ადამიანმა შეიძლება საკუთარი დასკვნებიც გამოიტანოს, რადგან ვერც გლობალიზაციამ და ვერც პოლიტიკურმა კავშირებმა ვერ შეძლეს მსოფლიოში არსებული კონფლიქტებისა და დაპირისპირების დარეგულირება. მაშინ, როცა კატასტროფისაკენ მიმავალი სამყაროს, ატმოსფერული ცვლილებების, გარემოს დაბინძურების შედეგად მიღებულ შედეგებს უხვად ვიმკით. სამყარო თავზე გვენგრევა, ყოველგვარი ატომური და წყალბადის იარაღის გარეშეც გვემუქრება საშიშროება: გლობალური დათბობა, ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, რომლებიც ხან ქარბორბალას, ხან ცუნამის, ხან მიწისძვრის სახით გვატყდება თავს. სად არის მსოფლიო გონი, სად არის გონიერება, სიბრძნე ადამიანური ყოფისა?

თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში იმდენად დიდია მასმედიის გავლენა საზოგადოების ცხოვრებაზე, რომ სახელმწიფოს ხელისუფალნი

სერიოზულ ანგარიშს უწევენ ჟურნალისტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შესწევთ ძალა, მოიცვან თანამედროვე კულტურის თითქმის ყველა სფერო და იქცნენ კულტურის, ხელოვნების და მეცნიერების არა მხოლოდ პროპაგანდისტებად, არამედ მემპტიანებადაც.

რეგიონულმა ინტეგრაციულმა პროცესებმა, ინფორმაციული ბაზრის ზრდამ, კერძო რადიო და ტელეკომპანიათა ქსელის გაფართოებამ, ახალი სააგენტოებისა და ქსელების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო პროფესიული კადრების მოთხოვნილების ზრდას. გაიზარდა ჟურნალისტიკის პრაქტიკული როლი ისეთ სფეროებში, როგორცაა საზოგადოებრივი ურთიერთობები, საინფორმაციო სააგენტოები, ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალებების რედაქციები.

გლობალიზაციის ეპოქა, ანუ, როგორც მას აგრეთვე უწოდებენ – ინფორმაციული საუკუნე, უშუალოდაა დაკავშირებული უახლესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასთან. ციფრულმა ტექნოლოგიებმა, სატელეფონო კავშირმა, ელექტრონულმა მასმედიამ და სხვა საშუალებებმა შეუწყო ხელი გლობალიზაციის კომუნიკაციის სფეროში. ინოვაციების, სრულიად ახალი ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი საერთაშორისო სისტემის, სტრუქტურის შექმნა. ინტერნეტის შექმნამ, ინფორმაციული გავრცელების სიჩქარის მატებამ უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების კულტურის, ისტორიის, ყოფა-ცხოვრების გაცნობაში, არამედ სხვადასხვა დარგში მათი ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდაახლოების საქმეშიც.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის რადიოს უდიდესი ძალა აქვს. ცივი ომის პერიოდში, რადიოს ძალა და როლი ყველას კარგად ახსოვს, რომელიც „რადიო-ომის“ სახელითაა ცნობილი. რადიოს უდიდესი მისია ჰქონდა, მისი გავლენით არაერთი გადატრიალება მომხდარა მსმენელის ცნობიერებაში. რადიო დღესაც ყველაზე გლობალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე გლობალიზაციის პროცესს მიჰყვება ტელევიზია. ის დღეს მასობრივი ინფორმაციის ყველაზე პოპულარული საშუალებაა. განუზომელია მისი ზემოქმედება და გავლენა მასებზე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ისე აღიქვამენ სინამდვილეს, როგორც ის ტელევიზორიდან მოჩანს.

განსაკუთრებით, ჩვენთან – საქართველოში, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ტელევიზორი ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებული მედიასაშუალებაა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მასმედია უდიდეს გავლენას ახდენს მოქალაქეთა გემოვნების ჩამოყალიბებაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ქართულ ტელემედიაში ბალანსი მთლიანად დარღვეულია. ეროვნული და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ნაცვლად, სატელევიზიო პროგრამები გადატვირთულია ამერიკული ფორმატის გადაცემებით, დასავლურის ანალოგიური ტოქშოუებით, ლათინოამერიკული თუ აშშ-ს სერიალებით და უფრო მეტიც, ქართულ სერიალებსა და ფილმებსაც მათი მიბაძვით, მათ მიხედვით იღებენ. სატელევიზიო არხებზე ჰოლივუდური ფილმები ჭარბობს და ქართულ კინოინდუსტრიაშიც იგრძნობა ჰოლივუდური ფილმების დიდი გავლენა. სრულიად გაუგებარია ის, რომ საკუთარი, ეროვნული პროდუქციის შექმნაზე ზრუნვის ნაცვლად, ამერიკულის ან რომელიმე სხვა დომინანტი კულტურის პოპულარიზაციასა და მის გავრცელებას ვუნყობთ ხელს.

სწორედ, იმასთან დაკავშირებით, რომ მედიას უდიდესი ფუნქცია აკისრია საზოგადოების ფორმირებისათვის და უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ჩვენთან კი ამისათვის არაფერი კეთდება და მხოლოდ უცხოური პროდუქციით ვიკვებებით, გადავწყვიტე გამეანალიზებინა სხვა ქვეყნებში არსებული მასმედიის მდგომარეობა, რომელიც კარდინალურად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის მედიაპოლიტიკისაგან. ჩვენი ქვეყნისაგან განსხვავებით, თურმე არიან ქვეყნები, რომლებიც იმთავითვე მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, თუ როგორ დაეღწიათ თავი მედიაიმპორტისაგან და თავიდან აეცდინათ, გარედან შემოსული ზემოქმედება. ისინი დღენიადაგ იღწვოდნენ და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ გლობალიზებულ სამყაროსთან მიმართებით ახალი საინფორმაციო პოლიტიკისა და პრინციპების შესამუშავებლად, რათა თვითონ ენარმოებინათ მედიაექსპორტისათვის განკუთვნილი პროდუქცია. საქმე ისაა, რომ მათ მინიმუმამდე დაიყვანეს სხვა ქვეყნიდან მედიაშემოდინების პროცენტულობა და თავიანთი ეთერი ეროვნულ ნიადაგზე შექმნილი, ეროვნული ხასიათით და ეროვნული ცნობიერებით გაჯერებული პროგრამებითა და მასალებით გაამდიდრეს.

ამ კუთხით საკმარისია განვიხილოთ იაპონიის, შვედეთისა და გერმანიის მაგალითი, ქვეყნებისა, რომლებიც გამოირჩევიან ეროვნული სიმტკიცით, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უზომო სიყვარულით, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნვით. ეს ის ქვეყნებია, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მედიას და, სადაც შესაბამისად უაღრესად მაღალია მედიის ნდობის მანდატი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაპონიის მედია და არა იმიტომ, რომ ეს ქვეყანა სიძლიერით მსოფლიოში მეორეა ეკონომიკური განვითარებით. ცხადია, მძლავრი ტექნოლოგია სანინდარია იმისა, რომ იაპონიამ თვითონ შექმნა საექსპორტო მედია-პროდუქტი. ამით მან თავი დაიზღვია იმპორტული შემოდინებებისაგან. გარდა ამისა, გავრცელებულ ამერიკულ თუ ბრაზილიურ სერიალებში იაპონელებმა თავიანთი ეროვნული სული, ხასიათი, განწყობა, თავიანთი თვითმყოფადობა ჩადეს და ასე მოარგეს ეს ჟანრი ქვეყნის თანამედროვეობას. ამით სხვა სემანტიკური დატვირთვაც მისცეს და არა ის, რომ უშუალოდ დასავლეთის დიქტატს დაექვემდებარენ.

იაპონიის სახელმწიფო ხელმძღვანელობს პლურალიზმის პრინციპით და „სიტყვის თავისუფლების“ კანონის შესაბამისად ანაწილებს სამაუწყებლო სიხშირეებს. ამ კანონის მიხედვით ხდება ლიცენზირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ, რადიოსა და ტელევიზიის; კანონი არეგულირებს საზოგადოებრივი და კომერციული საეთერო ტელევიზიის სფეროებს, საკაბელო ტელევიზიას და ადგილობრივ რადიომაუწყებლობას, კანონით განისაზღვრება მოცემულ მედიასაშუალებებში რეკლამის განთავსების საკითხი.

სახელმწიფო მედიის მონოპოლიზაციის წინააღმდეგია. თუმცა საბაზრო კონკურენციას მხარს უჭერს. მისი საზრუნავია აზრთა თავისუფალი გაცვლა და მისთვის მთავარი და მნიშვნელოვანია არ დაზარალებს მოქალაქეთა თავისუფალი და ყოველმხრივი ინფორმირება. ეს არის ქვეყანა, სადაც საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზია სერიოზულ მეტოქეობას უწევს კომერციულ მაუწყებლობას აუდიტორიის დასაპყრობად. იაპონელები ტელევიზიას ლამის აღმერთებენ და ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან აქ, არა მარტო ტელევიზია, რეკლამაც კი უდი-

დესი სანდოობის ნიშნით გამოირჩევა. იაპონიის სარეკლამო წარმოების პრინციპი ასე უღერს – „მყიდველი – ღვთისაა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლისადმი ამაღლებული მოკრძალება იქ მიმართვის ტიპიური ფორმაა.

ყურადღებას იპყრობს ენ–ეიჩ–კეის სატელევიზიო არხებზე პროგრამების დანაწილება. ამ არხებზე საეთერო დროის უმეტესობა საინფორმაციო, ახალი ამბების გადაცემასა და კულტურულ–საგანმანათლებლო პროგრამებს ეთმობა, გასართობი პროგრამები კი ყოველდღიური ეთერის 20, 1%-ს შეადგენს. დიდი ხანია, რაც 19.00-22.00 საათამდე – „ოქროს დროს“ არა გასართობი, არამედ ახალი ამბების საინფორმაციო ბლოკები ავსებენ.

და ბოლოს, შვედეთთან შედარებით, რომელსაც 450 ათასი კვადრატული კმ უკავია, ხოლო მაცხოვრებლების საერთო რაოდენობა – 10 მლნ-ს შეადგენს, იაპონიაში მოსახლეობის რიცხვი 127 მლნ-ს აღემატება, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა (378 ათასი კვადრატული კმ.). ამიტომაც არ შეიძლება ხაზი არ გაესვას, კიდევ ერთხელ ამ ხალხის განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას და იმ ფაქტს, რომ ტერიტორიის სიმცირის გამო, იაპონიაში უკვე ათეული წელია, რაც ხელოვნური კუნძულები შენდება. ალბათ, იშვიათია ქვეყანა, სადაც ხელოვნურ კუნძულებზეა გაშენებული – სტადიონი, მუზეუმი, პარკი – ერთზე; მეორეზე – მეტალურგიული კომბინატი, ხოლო მესამეზე – საერთაშორისო აეროპორტი და ა.შ.

რაც შეეხება შვედეთს, ეს არის განსაკუთრებული ქვეყანა რომელიც გამოირჩევა ინდივიდის დაუოკებელი ბუნებით, ხასიათით, შრომისმოყვარეობით, ცნობიერების სიღრმით, გამჭრიახობით, ქვეყნისა და ერთმანეთისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით. ეს ის იშვიათი თვისებებია, რომლებმაც ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანა თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, უძლიერეს, მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყნად აქცია. რის გარეშეც ქვეყნის წინსვლისათვის ვერც შვედეთის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული ტყის უდიდესი მარაგი, რკინა და ჰიდროენერჯია იკმარებდა და ვერც გამომგონებლობასა და მენარმეობაში არსებული უდიდესი ტრადიცია და პოტენციალი. შვედეთის ინდუსტრია, ისევე როგორც ათეული წლების წინ, ახლაც უკავშირებს მომავლის იდეებსა და გეგმებს ახალ იდეებსა და მენარმეობას და უნარიანად განჭვრეტს ახალი რეალობის პირობებში ახალი გზების დასახვის ამოცანებს.

თანამედროვე ეპოქასთან, გლობალიზაციასთან მიმართებით მომავლის ინდუსტრიის ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი – ინფორმაციული ტექნოლოგიებია, კერძოდ კი, ტელეკომუნიკაციური წარმოება, ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგია, რომელთა ლიდერად ძველებურად ერიქსონი რჩება. პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ შვედეთს შეუძლია სხვა ქვეყნის საინფორმაციო პოლიტიკისაგან თავის დაღწევა, რომელთა ექსპორტი დაბალხარისხიანი პროდუქციითაა გაჯერებული, რაც უპირველესად აუდიტორიის კულტურული დონის დაცემას, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაქვეითებას ემსახურება. შვედეთმა, ისევე როგორც სხვა წარმატებულმა ქვეყანამ – იაპონიამ ამ პროცესებისაგან იხსნა თავისი ქვეყნის მედიასივრცე, თვითონ შექმნა მედიაექსპორტი და ამ პროცესებს დაუპირისპირდა თავისი მაღალგანვითარებული ეკონომიკითა და ინდუსტრიული ბაზით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით, რაც დღეს, ინფორმაციულ საუკუნეში თანამედროვე განვითარების ერთ–ერთი, მამოძრავებელი ძალაა.

ორივე ქვეყანაში უდიდესი პატივით სარგებლობს მედია. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში ისევე მუშაობს ბიზნესის ანტიმონოპოლური კანონები, რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობებს არეგულირებენ მედიაბაზარზე. ამ კანონების მიხედვით იკრძალება მედიაბაზრის მონოპოლიზაცია.

ზოგადად, დასავლეთის სამყაროს საზოგადოებრივი კომუნიკაციის ისტორია – ეს არის ინფორმაციის საშუალებათა განთავისუფლება სახელმწიფო კონტროლისაგან და მედიის გავლენის ზრდა, როგორც „მეოთხე ხელისუფლებისა“. რომელსაც დემოკრატიის ფარგლებში უნდა ჩამოეყალიბებინა კრიტიკული საზოგადოებრიობა. სამივე ქვეყანაში – როგორც იაპონიასა და შვედეთში, ასევე გერმანიაში, როგორც წესი, კონსტიტუციურადაა გარანტირებული პრესის თავისუფლება. გარდა ამისა, ეს ის ქვეყნებია, სადაც მედია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოირჩევა. თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევა, როცა ჟურნალისტური საქმიანობა ფერხდება პოლიტიკისა და პრესის მჭიდრო კავშირის გამო. პოლიტიკოსები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მედიის მასალებზე, საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო თურადიოს გადაცემებზე. შეიძლება ინტერვიუები მხოლოდ გადამონმებისა თუ გადამუშავების შემდეგ იბეჭდება ან სულაც თავიდან იწერება. რის შედეგადაც გაზეთის მკითხველი ორიგინალთან მიმართებით სრულიად შეუსაბამო ტექსტს ეცნობა.

როცა ჯერი გერმანიაზე მიდგება, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნის შესახებ ჩემს მიერ არაერთი სტატია, ნაშრომი თუ გამოკვლევა გამოქვეყნებულა. ამჯერად მინდა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი გერმანელი ერის გონიერებას, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებას და კანონმორჩილებას. გერმანიის ერთ-ერთი გაზეთის ინციდენტზე ყურადღების გამახვილებით, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი: თუნდაც იმას, რომ ამ ქვეყანაში არათუ დაუშვებელია მედიაზე ზეგავლენის მოხდენა, მისი აღიკვეთის ზომებიც განსხვავებულია. საილუსტრაციოდ საკმარისია გერმანიის პრეზიდენტ ქრისტიან ვულფის პრესის თავისუფლებაზე უხეში ჩარევის მაგალითის მოყვანა. 2011 წლის დეკემბრის თვეში იგი შეეცადა ბულვარულ გაზეთ „ბილდის“ მთავარ რედაქტორზე, კაი დიკმანზე გავლენის მოხდენას და მკაცრად დაემუქრა კიდევ. ცხადია, პრეზიდენტს არ აწყობდა მასზე მასალის გამოქვეყნება. საქმე ეხებოდა „ბილდის“ საგაზეთო მასალას, რომელიც პრეზიდენტის მიერ ბანკიდან საეჭვო კრედიტის აღებას უკავშირდებოდა, ჯერ კიდევ მისი „ნიედერსაქსენში“ (ჩრდილოეთ გერმანიის ერთ-ერთი მხარე) პრემიერ-მინისტრობის დროს. მსგავსი ქმედება შოკის მომგვრელად იქნა აღქმული თავიდან ჟურნალ „შტერნი“-სათვის და შემდეგ დანარჩენი პრესის ორგანოებისათვის. რეპორტიორი ჯენს კიონიგი სკანდალურს უწოდებს ამ საქციელს, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰგონია, რომ ტელეფონის ერთი ზარით შეუძლია რამე შეცვალოს (Angriff auf die Pressefreiheit. 2012).

მართალია, ერთი მხრივ, მსგავსი შემთხვევები ეწინააღმდეგება დასავლურ ანუ ევროპულ მედიაპრინციპებს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. საქმე ის არის, თუ როგორ აღიქმება ეს ქმედება და რა შედეგი მოსდევს მას. ამის შემდეგ პრეზიდენტი რომ ტოვებს თავის პოსტს, ეს ამ ვეყანაში სრულიად გასაგებია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი კიდევ ის არის, რომ როცა პრესის ერთი ორგანო აშავებს, პრესის დანარჩენი ორგანოები მას გვერდით კი არ უდგებიან, არამედ მის წი-

ნააღმდეგ ერთიანდებიან. განსაკუთრებული კი ის არის, რომ საზოგადოება და ჟურნალისტები ერთად გამობენ ამგვარ საქციელს და მკაფიოდ ილაშქრებენ ასეთი გამოვლინების წინააღმდეგ. შესაშურია, რომ ეს ყველაფერი ცივილურად ხდება და, რომ ეს ერთსულოვნად, დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული დაპირისპირებით გვარდება. ბარბარა ტომასი, მედიის ექსპერტი გერმანიაში, მსგავს დარღვევას მკაცრად აკრიტიკებს და „მედიაზე თავდასხმას“ უწოდებს (Die Presse ist frei. 2012), საზოგადოების აღშფოთებას კი, რაც ამ გარემოებას მოსდევს, ბუნებრივია, დადებითად აფასებს.

ყოველივე განხილული იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენ თვითონ უნდა დავიცვათ ჩვენი თვითმყოფადობა და ვიფიქროთ მომავალზე. უსათუოდ მართებულია ჩვენი სწრაფვა ევროპისაკენ – ევროგაერთიანებისაკენ, ვინაიდან ევროგაერთიანება, ეს არის ევროპულ ჰუმანისტურ ტრადიციებზე დამყარებული ერთიანობა. ევროპელობა ევროპულ ხედვას ნიშნავს – ხასიათის ძლიერებასა და თვისებების, თავისებურებების, განსაკუთრებულობის ერთმანეთთან ინტეგრირებას და ერთმანეთით შევსებას. ევროპის გაერთიანება ყოველთვის გულისხმობდა ძალების გაერთიანებას, ცალკეული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თვისებების შეთავსებადობას და არა კულტურულ თავისებურებებს შორის არსებული განსხვავებულობის ნიველირებას, რაც განსაკუთრებით პატარა ერებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი და ფრიად განმსაზღვრელი ფაქტორია.

რაც შეეხება იაპონიას, რომელიც წარმატებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, მიმაჩნია, რომ ის ფასეულობები, რაც ამ ერს გააჩნია მხოლოდამხოლოდ თუ შეამკობს და გააძლიერებს ევროპულ ხედვას და არამც და არამც არ დააკნინებს მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია რ. ადამიანი და თანამედროვეობა. თსუ-ს სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ.; 2010.
2. Энциклопедия мировой индустрии СМИ. М. 2006, ст.330, 356.
3. Blick in die Presse.in: Süddeutsche Zeitung, N59,8./9.Mrz, 2014.
4. Gerstin Gammelin. Getrennte Wege, in: Süddeutsche Zeitung, N164,Mittwoch,18 Juli 2012.
5. Kulturchronik.Герфрид Монклер. Как функционируют империи. 2003-2.
6. www.dw.de - Die Presse ist frei. 2012.
7. www.dw.de -Angriff auf die Pressefreiheit. 2012

როზეტა დანელია

გლობალიზაცია და მედია რეჟიუმე

ცნობილია, მედიის ზემოქმედების ძალა და მისი გავლენა მსოფლიოს მედიასივრცეში. გლობალიზაციის ეპოქაში მედიის ფუნქცია ძირითადად გამოიხატება დომინანტი კულტურების პოპულარიზაციაში, მათი იმიჯის ამაღლებისათვის ხელის შეწყობაში.

რიგ ქვეყნებმა თავი დააღწიეს მედია-იმპორტს და საკუთარი ქვეყანა გარედან შემოსული ზემოქმედებისაგან საექსპორტო პროდუქციის შექმნით იხსნეს.

პრესის თავისუფლებაზე ზრუნვა ეტალონ-ქვეყნებში (იაპონია, შვედეთი, გერმანია) ჟურნალისტებისა და საზოგადოების წმიდათაწმიდა მოვალეობაა. დარღვევის შემთხვევები საზოგადოებაში დიდ აღშფოთებას იწვევს და ისინი ჟურნალისტებთან ერთად ილაშქრებენ ამ დარღვევის წინააღმდეგ.

საქართველო ყოველთვის ისწრაფვოდა ევროპისაკენ. მისთვის უფრო მახლობელი, მიმზიდველი და ძვირფასი იყო ევროპული აზროვნება, ევროპული გონი. დღეს, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა ევროპულმა ჰუმანისტურმა კულტურამ და ტრადიციებმა და ამ ტრადიციებზე დამყარებულმა ევროპულმა ხედვამ და აზროვნების სტილმა.

Rozeta Danelia

Globalization and Media

Resume

The impact force of media and its influence on Media World is known all around the world. In the era of globalization the main function of media is to promote dominant cultures. It also supports these cultures to raise their image.

Some of the countries escaped media-import and saved their countries from importing influence by creating output for export.

In paragon countries (Japan, Sweden and Germany) one of the foremost duties of society and journalists is to take care of the Freedom of the Press. Society always has negative attitudes in case of violations of principles of the media and they generally fight against these violations with journalists.

Georgia has always been oriented on Europe. European thoughts were always relevant for Georgia. Nowadays European humanistic culture and traditions have acquired even more significance. European vision and way of thinking, based on these traditions are precious for our country.

**მასმედიაზე ზემოქმედების გარკვევა
და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება
(ზოგადი ტენდენცია)**

ბექდვითი სიტყვა წარმოშობის დღიდანვე ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება იყო. გაზეთების შემდეგ რადიოს, კინემატოგრაფიისა და ტელევიზიის გაჩენასთან ერთად, ზემოქმედების ხარისხი გამუდმებით იზრდებოდა. ბევრი მკვლევარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებდა, მაგრამ ეს მოსაზრება გარკვეულ შემთხვევაში საკამათო ხდება. ერთის მხრივ, იმისათვის, რომ არსებობდეს „მეოთხე ხელისუფლება“, აუცილებელია მისი დანარჩენი სახეობების – საკანონმდებლოს, აღმასრულებელისა და სასამართლოს დამოუკიდებლად არსებობაც, რაც მხოლოდ მმართველობის დემოკრატიული ფორმისთვის არის დამახასიათებელი. დიქტატურის პირობებში ხელისუფლების ყველა ფორმა ერთ ინსტანციაშია თავმოყრილი. მეორეს მხრივ კი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის იყო და დღესაც არის ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების იარაღი იმ პირობაში, რომლებიც მათ ფლობენ და აკონტროლებენ. ამავე დროს უდავოა, რომ მასმედიის ზემოქმედება მსმენელის, მაყურებლის, მკითხველის განწყობაზე და ცნობიერებაზე იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც თავად ეს ადამიანები შესაძლოა მოექცნენ ამა თუ იმ ზემოქმედების ქვეშ. ამ თეზისის დეტალების გარკვევა კი სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროა; მაგრამ თუ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს სხვანაირად ჩამოვაცალიბებთ, იმ აზრამდე მივალთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველთვის, ყველა დროსა და ქვეყანაში მათი მფლობელებისა და დამფინანსებლების იდეების გამტარებლები იყვნენ და შესაბამისად, მათ მოსაზრებებსა და სურვილებს გამოხატავდნენ. ერთპარტიული სისტემის პირობებში კი მასმედია პარტიული დიქტატურის რუპორი იყო, რის ნათელ მაგალითსაც უახლოეს წარსულში კომუნისტური რეჟიმი წარმოადგენდა.

სახელმწიფო აპარატის, ხელისუფლების შესაზღუდად, კორუფციის აღმოსაფხვრელად და მფლობელებზე მედიის დამოკიდებულების შესასუტებლად, კანონმდებლებმა რეკომენდაციები შეიმუშავეს, რაც მართვის უფლების შეზღუდვასა და განაწილებას გულისხმობს და რასაც ასევე მედიამენეჯმენტის სფეროს განვითარებაც ემატება. აქედან გამომდინარე, ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დემოკრატიზაციისთვის, აუცილებელია სახელმწიფო კონტროლის შესუსტება. მკვლევარი იური ამოსოვის აზრით, ამ მიზნის განსახორციელებლად რამდენიმე საშუალება არსებობს, რაც შესაძლოა, ასევე გასათვალისწინებელია მფლობელებზე მასმედიის დამოკიდებულების დასაბალანსებლადაც:

- აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სტრუქტურის რადიკალური შეცვლა: სახელმწიფო უნდა ფლობდეს მხოლოდ ერთ ტელე, რადიოარხს და ერთ ბექდვით ორგანოს. რეგიონალურ ხელისუფლებას ასევე მხოლოდ ერთი ტელეარხი,

რადიოსადგური და ბექდვითი ორგანო უნდა ჰქონდეს, მაგრამ მათ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელების უფლება უნდა მიანიჭონ;

- მთელი კომერციული რეკლამა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის არასახელმწიფო საშუალებებში უნდა განთავსდეს. რაც შეეხება სახელმწიფო რეკლამას, ის კონკურენციის პირობების მკაცრი დაცვით, მასობრივი ინფორმაციის არასახელმწიფო საშუალებებში უნდა გამოაქვეყნონ;
- ხელისუფლებას უნდა ჩამოერთვას სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების საშუალებით კომერციული, ტელე, რადიოარხებისა და ჟურნალ-გაზეთების შესყიდვის საშუალება;
- აუცილებელია სახელმწიფოს მიერ მედიის დამოუკიდებელი საშუალებების დაფინანსების აკრძალვა.

ამ რეკომენდაციებში შესაძლოა საკამათო იყოს ის მოსაზრება, – სახელმწიფო უნდა ფლობდეს თუ არა თუნდაც ერთ მედიასაშუალებას, მაგრამ ეს რეკომენდაციები ბუნებრივად ასახავენ მედიის დამოკიდებულებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე.

რეალურად კი როგორია პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციები მედია და სახელმწიფოს ურთიერთობებში? ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის აუცილებელია, რომ ტენდენციად არ იქცეს სახელმწიფოსა და თანამდებობის პირთა ჩარევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირებაში. ეს არ უნდა იყოს ქვეყნის განვითარების რეალურ ფაქტებზე დამყარებული მიმართულება. პოსტსაბჭოთა სივრცის ტენდენციებიდან გამომდინარე კი რეალობა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება არათუ იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, გამოხატვის უფლებას, არამედ საკუთარი ინტერესების დასაცავად, მასმედიაზე ზემოქმედების უამრავ საშუალებასაც იყენებს.

რა არის ამ ტენდენციების პირველი მახასიათებელი, რაც უმეტესწილად რუსეთის ფედერაციაში შეინიშნება? უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლება საზოგადოებისთვის მაქსიმალურად მიუწვდომელია. სახელმწიფო სტრუქტურები ინფორმაციულობის თვალსაზრისით დახურულია და გამჭვირვალე არ არის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მცდელობა ინფორმაციის მოსაპოვებლად ან მოვლენის ირგვლივ საკუთარი ვერსიის შესამუშავებლად და გასაანალიზებლად, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების უარყოფით რეაქციას იწვევს. ასეთ შემთხვევებში მედია ინფორმაციის მოპოვებას სახელისუფლებო ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეარხების საშუალებით ცდილობს, ან სამართლიანობის აღსადგენად სასამართლოს მიმართავს. საკამაოდ ეფექტიანი და შედეგიანია მასმედიაზე ეკონომიკური ზეწოლა, რაც გავლენას ახდენს გამოცემების, ტელე და რადიოარხების პოზიციაზე, პუბლიკაციებისა და გადაცემების შინაარსზე. ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული ხერხებია:

- შეღავათების დაწესება, ან პირიქით, მათი ჩამორთმევა;
- ფინანსური ზეწოლა (გადასახადები, ტარიფები, ფინანსური შემოწმებები და ა.შ.), ქონებრივი ურთიერთობების გამოყენება და იჯარა;
- იურიდიული ზემოქმედების ხერხები, რაც სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტის, აგ-

რეთვე სასამართლო დევნის საშუალებით ხორციელდება და თანაც იმ საფუძველზე, რასაც მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მედიის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი სიტყვის თავისუფლებას ლახავს და ცენზურის არსებობას კიდევ ერთხელ ადასტურებს. მედიასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება არსებობს:

- მასმედია ვერ იმუშავებს ეფექტიანად და გარკვეულ პროფესიულ წარმატებას ვერ მი-აღწევს, თუ ხელისუფლების მხრიდან მის ფუნქციონირებაზე შეზღუდვები არ მოიხს-ნება;
- მეორე მოსაზრება კი იმას გულისხმობს, რომ სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციების დაბალი განვითარების გამო, ხელისუფლება გარკვეულ პრიორიტე-ტებს აწესებს, რასაც ანგარიშს საზოგადოების ყოველი წევრი უნდა უწევდეს.

მეორე მოსაზრების გაბატონება მასმედიაზე ხელისუფლების ზეწოლის გაძლიერებას იწვევს და შესაბამისად მწვავედ ურთიერთობები მედიასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა, ხელისუფლება მედიაზე კონტროლს მაინც ახორციელებს. ოფიციალური პირები ხშირად ჟურნალისტებს გამოსაქვეყნებელი და გასაშუქებელი მასალის შინაარსზე არაოფიციალურად რეკომენდაციებს აძლევენ.

ხელისუფლება ყოველთვის დაინტერესებულია, რომ საერთაშორისო საზოგადოებისა და მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი განათლებული ნაწილის თვალში ცივილიზებულად გამოიყურებოდეს. აქედან გამომდინარეობს თვითცენზურის იდეა, რომელსაც ხშირად პა-სუხისმგებლობასაც უწოდებენ. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგ ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ: გააკონტროლეთ საკუთარი თავი და ყველაფერი რიგზე იქნება. აქვს თუ არა მომა-ვალი ქვეყანას, სადაც უზარმაზარი დისბალანსია თავისუფლებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობას, ლიბერალიზმს, დემოკრატიასა და ხელისუფლებას შორის? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ თვითცენზურა და პასუხისმგებლობა მასმედიას რომელიმე პოლი-ტიკურ პლატფორმაზე მდგომმა არ უნდა მოსთხოვოს. ეს, უპირველეს ყოვლისა, მასმედიის სა-მყაროში ახალი წესრიგის დამყარებას უნდა ნიშნავდეს და არა სახელისუფლებო პოლიტიკის ულაპარაკო გაზიარებას. საერთოდ, რამდენად მიზანშეწონილია, როცა პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე რომელიმე პოლიტიკურ პოზიციას ირჩევენ? ამ შემთხვევაში სადავო ხდება მათი ობიექტურობის საკითხი და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების დიდ მომხრენიც რომ იყვნენ, ტენდენციურობას თავს მაინც ვერ დააღწევენ.

გარდამავალი დემოკრატის ქვეყნებში რეალური ცვლილების განხორციელება და ევ-როინტეგრაციისაკენ სვლა მაშინ დაიწყება, როდესაც მედიის პასუხისმგებლობა საზოგა-დოებისადმი ანგარიშვალდებულებითა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, თვითრეგულირების ხარისხით გაიზომება და არა ხელისუფლების სამსახურით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოკერია გ., თარგამაძე გ., რამიშვილი ლ. (1997). „90-იანი წლების ქართული მედია: ნაბიჯი თავისუფლებისკენ“. სადისკუსიო წერილების სერია. თბილისი: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა – საქართველო.
2. დუმბაძე მ., გუნაშვილი თ. (2003). „ინფორმაციის ეპოქაში ვცხოვრობთ“, სადისკუსიო წერილების სერია. თბილისი: საქართველოში მოღვაწე გაეროს ორგანიზაციათა ჯგუფი.
3. შევარდნაძე ე. (2002. 3 თებერვალი). „პრესის თავისუფლება და პასუხისმგებლობა საზოგადოების კულტურის ანარეკლია“//გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 28.Robertson J., Jasinski A. (2006. June 11 - 28). *BBC monitoring media environment assessment*. Tbilisi. Unpublished manuscript.
4. International Center of Professional Journalists (ICPJ). (2001). Pro media II Georgia: Final Report. Retrieved from: http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PDABX513.pdf
5. Амосов Ю., (2001). *Свобода СМИ – залог гражданского общества. Общество, политика, власть. Доклады на 44-ой конференции ПОСЕВА//ПОСЕВ. #3.* <http://webcenter.ru/~posevu/nomer/ne01/ne103/ne1036.htm>

მარინე დარსაველიძე

მასმედიაზე ზემოქმედების ბერკეტები და თავად, როგორც ზემოქმედების საშუალება (ზოგადი ტენდენციების მიმოხილვა) რეზიუმე

ნაშრომი შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგად ტენდენციებს მედიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში და ერთპარტიული დიქტატისგან გათავისუფლებული მედიის მდგომარეობას და თავისუფლების ხარისხს ახალ რეალობაში. სტატიაში ასევე საუბარია იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომელსაც სახელმწიფო საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მედიაზე ზემოქმედების მოსახდენად იყენებს; მოცემულია იმ რეკომენდაციათა ნუსხა, რომელიც ექსპერტებმა სახელმწიფო კონტროლის შესასუსტებლად შეიმუშავეს, რაც მართვის უფლების შეზღუდვასა და განაწილებას გულისხმობს; დასმულია პრობლემატური საკითხი – როგორია სახელმწიფოს/ოფიციალის მხრიდან გამოთქმული თვითცენზურის იდეის რეალური კონტექსტი და აქვს თუ არა მას საერთო თვითრეგულირებისა და საზოგადოების წინაშე ჟურნალისტთა ანგარიშვალდებულების პროფესიული სტანდარტთან.

Marine Darsavelidze

Levers of Influencing Media and as a Means of Influence itself (Common Trends)

Summary

The article is about the common trend in the relationship between the Media and State in the post-Soviet countries and also about the recent condition of Media freed from one-party dictatorship and level of the freedom of the expression in a new reality. The article stresses the means and methods used by the State to put pressure on the Media for its own interests. It also gives recommendations worked out by the experts to reduce State control which means to limit and distribute the management right. The article underlines the challenging issue – what is the real context of an idea of self-censorship expressed by the officials and if it has something in common with professional standards of self-regulation and journalists' accountability to the society.

ეროვნული იდენტობა და ეროვნული პრობლემატი

XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დასაწყისში ტრადიციული მედიის გვერდით გამოჩნდა ახალი მედია, რომელიც სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს თანამედროვე ცხოვრებაში. ის ძალიან სწრაფად ვითარდება და იცვლება. დღეს საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება სწორედ ახალი მედიისკენ არის მიმართული. საზოგადოება არა მარტო იღებს ინფორმაციას მედიის საშუალებით, არამედ თავადაც ქმნის ბლოგებს.

ახალმა მედიამ ჩამოაყალიბა ახალი პრინციპები და საბოლოოდ შეცვალა ტრადიციული მედიის სახე. რასაკვირველია, თვისობრივად ახალი მედია სხვა ტიპის მედიაა. მისი საშუალებით მომხმარებელს ოპერატიულად შეუძლია გაავრცელოს და მიიღოს ინფორმაცია.

ყველასათვის ცნობილია, რომ მედიის ძირითადი თავისებურება რეალობის ასახვაა. რეალური ფაქტის გადმოსაცემად კი აუცილებელია სიმართლისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვა. საინტერესოა, რამდენად ობიექტური და სამართლიან ინფორმაციას გვანვდის ახალი მედია. მომხმარებელი იღებს უამრავ ინფორმაციას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ძნელი განსაზღვროთ რამდენად სამართლიანია ის. რადგან ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მედიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, ამიტომ, მან, ვინც ახალი მედიის საშუალებით მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას აუცილებლად უნდა დაიცვას ეს პრინციპი. იმის დასადგენად, თუ რამდენად იცავენ ამ პრინციპს ახალი მედიის საშუალებები, გადავწყვიტეთ გაგვეშუქებინა რამდენიმე მათგანის საქმიანობა. ამჯერად გვინდა ვისაუბროთ, თუ რა როლს აკისრებს ახალი მედია იდენტობას.

იდენტობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ცალკეული ადამიანების მიერ ამა თუ იმ კატეგორიასთან საკუთარი თავის გაიგივება. იდენტობა სხვადასხვა სახის არსებობს: ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და სხვა. იდენტობის გამყარებას ხელს უწყობს საინფორმაციო საშუალებები. რას წარმოადგენს ეროვნული იდენტობა, რა ფუნქციებს ასრულებს და რა არის მისი მიზანი?...

ეროვნული...იდენტობა ახალი მედიის ერთ-ერთ ძირითად თემად და პრობლემურ საკითხად განიხილება....მედია ცდილობს ეროვნული იდენტობისადმი საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების არა მხოლოდ გაძლიერებას, არამედ შეცვლასაც. იგი აცხადებს, ეროვნული იდენტობის შექმნა, არ ნიშნავს ეთნიკური იდენტობის აღმოფხვრას, ვინაიდან ადამიანს შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული იდენტობა ჰქონდეს.

ახალი მედია საუბრობს რა ეროვნული იდენტობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეროვნული იდენტობა ერის, სახელმწიფოს განსაზღვრებაა და ყურადღებას ამახვილებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შესახებ. საქართველო სამშობლო ტერიტორიის გარდა ისტორიული მესხიერების საცავს წარმოადგენს, რომელსაც ქართველთა ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სააგენტო „პირველში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინტერვიუში საუბარია საქართველოს ისტორიის შესახებ. „ქართველი ერი, ასევე ქართველთა სახელმწიფო – ქართლი – ერთიანია სულ მცირე, ძვ.წ. IV საუკუნიდან მოყოლებული“ – წერს ინტერვიუირებული და იმ

დასკვნამდე მიდის რომ ერისა და სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია ეროვნულ იდენტობაზე საუბარი (http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid).

ახალი მედია იუწყება, რომ ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას IV საუკუნეში ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბებას და V საუკუნეში ქართული ენის გამოჩენას და ანბანის შექმნას უკავშირებს, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოში არსებული ყოველგვარი ცვლილებების დროს ეროვნული იდენტობა უფრო და უფრო აქტიური ხდება და ამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითი მოჰყავს.

„წარსული ქმედებები მომავალი ქმედებების პროგნოზირების საუკეთესო საშუალებაა“ – ასეთია ახალი მედიის ლაიტმოტივი. პუბლიცისტები იხსენებენ ეროვნული იდენტობის გააქტიურების ყოველ ფაზას და განსაკუთრებული აქტიურობით 9 აპრილს გამოჰყოფენ, როდესაც „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მონყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისას, რუსმა ჯალათებმა ათობით ადამიანი დაჩეხეს, ასობით კი მონამლეს და დაასახინრეს“ (<http://droni.ge/?m=1&AID=324>) იდენტობის განსაზღვრისას ცხრა აპრილი ქართველთა მესხიერებაში კარგად აისახება. ეს დღე ქართველი ერის გაერთიანების დღეა. ახალ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები ინფორმაციას გვანვდიან იმის შესახებ, თუ რა მოხდა 9 აპრილს. პუბლიცისტები ცდილობენ დაგვიხატონ ამ მოვლენის სრული სურათი. ყურადღება გაამახვილონ ამ ფაქტის არაადამიანურ მხარეზე. ეს პუბლიკაციები იმით არის საინტერესო, რომ თვითმხილველები მოგვითხრობენ 9 აპრილის შესახებ და გვანვდიან საინტერესო ინფორმაციებს: პირველი – 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და ამ დღეს „ცრემლნადევი სიხარულის დღე“ უწოდა; მეორე – ამ მიტინგზე ბევრად უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე აცხადებდნენ; მესამე – 9 აპრილს საქართველომ მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა. ამ ინფორმაციებში თითქოს არაფერია ახალი. ეს ყველასათვის ცნობილია, მაგრამ კარგია, რომ ახალი მედია ცდილობს არავინ დაივიწყოს ეს ფაქტი და მომავალმა თაობებმა იცოდნენ, თუ რა ადგილი უკავია 9 აპრილს საქართველოს ისტორიაში. სრულიად ვეთანხმებით პუბლიცისტების მოსაზრებას 9 აპრილის შესახებ და მიგვაჩნია, რომ ეს მართლაც ეროვნულობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სისხლში ჩახშობის მცდელობა იყო. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ცდილობდნენ, მაგრამ ვერ ჩაახშეს. ეროვნული იდენტობა კი უფრო და უფრო აქტიურდებოდა (<http://www.presage.tv/?m=digest&AID=4256>)

ეროვნული იდენტობა ემყარება ერთიანობას, ერთიან ტერიტორიას. ზუსტად ტერიტორიული სივრცის ფარგლებში, რომელიც ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედაა... არსებობს ორი სეპარატისტული რეგიონი: ოსეთი და აფხაზეთი. სწორედ ტერიტორიულმა კონტროლმა გამოიწვია ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტი. ახალი მედია ხშირად აჟღერებდა ამ კონფლიქტის შესახებ სხვადასხვა ჟანრის მასალებს და აცხადებდა, როგორც ქართველები, ასევე ოსები ოსეთის ტერიტორიას თავიანთ ისტორიულ მიწა-წყლად მიიჩნევენ და მასზე საკუთარი ხელისუფლების განხორციელებას ცდილობენ. არადა ეთნიკური ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაა. 2008 წლის აგვისტოში ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა საგანგაშო ხასიათი მიიღო. კონფლიქტი გასცდა ოსეთის საზღვრებს და ქართულ-რუსული ომის სახე მიიღო. ქართული მედია სხვადასხვა ჟანრის მასალების გამოყენებით სისტემატურად გვესაუბრებოდა ომის შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პუბლიკაციები ცალმხრი-

ვი იყო, მარტო ქართველების შესახებ მოგვითხრობდნენ. არა და კარგი იქნებოდა ყურადღება გაემახვილებინა როგორც ქართველების, ასევე ოსების მდგომარეობის შესახებ. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ ომში მესამე ძალის ჩარევის შედეგად ორივე მხარე დაზარალდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ახალი მედია ქართველებსა და ოსებს შერიგებისკენ მოუწოდებდა. მას მიაჩნდა, რომ ეს პრობლემა მათ მესამე ძალის ჩაურევლად უნდა მოეგვარებინათ, რის საშუალებასაც კავკასიური იდენტობა აძლევდა. ომიდან სამი წლის შემდეგ ცხინვალის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ სააგენტო „ინტერფაქსთან“ ინტერვიუში განაცხადა „არაერთი აგრესიის მიუხედავად ოსი ხალხი ქართველების მიმართ აგრესიულად არ არიან განწყობილნი“. რა აგრესიაზე საუბრობს კოკოითი ამას არ ახმაურებს. ეტყობა ომის დაწყებას ქართველებს აბრალებს, მაგრამ კარგი იქნებოდა აღენიშნა, რატომ მოხდა ეს ფაქტი, ვინ არის დამნაშავე და ვისი მიზეზებით მოხდა ყველაფერი ეს. მაგრამ ამ ფაქტების ანალიზისაგან იგი თავს იკავებს და მხოლოდ ცალმხრივი ბრალდებებით იფარგლება (<http://www.ambebi.ge/conflicts/39853-eduard-kokoithi-osi-khalkhi-qarthvelebis-mimarth-agresiulad-ar-aris-gantsyobili.html>).

ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტიც ტერიტორიულმა კონტროლმა გამოიწვია. „სისხლიანი დაპირისპირების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, – ვკითხულობთ „პირველში“, – აფხაზეთში ომი დაიწყო, რომელიც აფხაზი სეპარატისტებისა და რუსული არმიის გამარჯვებით დამთავრდა“ (http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=76190&Itemid=1).

ახალი მედია საშუალებებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში როგორც პუბლიცისტები, ასევე თვითმხილველები იგონებენ სოხუმის დაცემის დღესა და ქართველთა გენოციდს. ქართული მედიისაგან გავსხვავებით რუსული მედია ყველაფერს ქართველებს აბრალებს და ცდილობს მტრის ხატად წარმოაჩინოს ისინი. ინტერნეტ გამოცემა „კავკაზსკი უზელი“ 2009 წლის 12 აგვისტოს სოხუმში მომხდარი აფეთქების ორგანიზებაში ქართველებს ადანაშაულებს: „უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ქართული სპეცსამსახურების ნახელავია, რომლებიც დღემდე ვერ ურიგდებიან აფხაზეთის დამოუკიდებლობას და აფხაზეთში რუსეთის პრემიერის ჩამოსვლას“ (<http://www.kavkaz-uzel.ru/> 13.VIII.09).

ახალ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები რეალურ სურათს გვიქმნიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ქართველებთან ურთიერთობაზე. ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ მათი მიზანი არაქართველთა ეთნიკური იდენტობის აღმოფხვრა კი არ იყოს, არამედ მათთვის ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა. შეიძლება თუ არა ადამიანის ეთნიკური იდენტობის განსაზღვრა მხოლოდ მისი წარმომომის მიხედვით? – კითხულობენ პუბლიცისტები და თვითონვე პასუხობენ, შეიძლება და მაგალითისთვის მოჰყავთ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელი, რომლის ეთნიკური იდენტობა არაქართულია, ხოლო ეროვნული იდენტობა ქართული. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეთნიკური იდენტობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება ეთნიკურ ენას, ხოლო ეროვნული იდენტობა, ასევე სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება სახელმწიფო ეროვნულ ენას. რადგანაც ეროვნულ იდენტობას ენაც განსაზღვრავს, ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენას. ახალი მედია ხაზს უსვამს იმას, რომ დიდი საქართველო ზოგჯერ იმლებოდა პატარ-პატარა საქართველოებად, მაგრამ თავისი ენისა და კულტურის სამეფოებად არა. „ამ „საქართველოებში“ კანცელარიის ენა ისევ ქართული იყო. ეკლესიის ენაც – ქართული,

მშობლიური ისტორიაც და ლიტერატურის ისტორიაც ქართული იყო,“ – ვკითხულობთ ერთ-ერთ პუბლიკაციაში (<http://pia.ge/>) ახალი მედია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართული ენა ცხინვალის მხარეშიც და სამეგრელო-აფხაზეთსა თუ სვანეთშიც ქართველების მრავალსაუკუნოვანი დედაენაა. ახლა გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეტად საინტერესო და საყურადღებო წერილზე „ქართული ენა – ჩვენი სახელმწიფოს ყოფიერების სახლი“, რომელიც განთავსებულია ზურაბ კიკნაძის ბლოგში. წერილში საუბარია იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ენას XIX საუკუნეში. ქართულ ენას სხვა პასუხისმგებლობა დაეკისრა. წერილის ავტორი გვანწვდის რამდენიმე ინფორმაციას ქართული ენის პასუხისმგებლობის შესახებ: პირველი – საქართველოში მოსახლე სხვა ხალხები ქართულად მეტყველებდნენ; მეორე – ქართულად ფიქრობდნენ; მესამე – ქართული თვალთ შეყურებდნენ; მეოთხე – ქართულად აღიქვამდნენ ამ ქვეყანას. იგი პარალელს ავლებს დღევანდელობასთან და პარლამენტს მოუწოდებს, რომ ქართულად აალაპარაკოს სრულიად საქართველო (<http://7days.ge/index2.php?newsid=555>).

როგორც ვხედავთ ახალი მედია გარკვეულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ იდენტობას. ამ მიმართულებით უკანასკნელ პერიოდში... დადებითი ძვრები შეიმჩნევა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მედიაში უფრო მეტი მასალა უნდა იბეჭდებოდეს, სისტემატურად უნდა შეუქდებოდეს საზოგადოებაში არსებული ეროვნული პრობლემები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნიკურ იდენტობას, ეთნიკური უმცირესობისათვის აქტუალურ საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=36778&Itemid
2. <http://droni.ge/?m=1&AID=324>
3. <http://www.presage.tv/?m=digest&AID=4256>
4. <http://www.ambebi.ge/conflicts/39853-eduard-kokoithi-osi-khalkhi-qarthvelebis-mimarth-agresiulad-ar-aris-gantsyobili.html>
5. http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=76190&Itemid=1
6. <http://www.kavkaz-uzel.ru/13.VIII.09>
7. <http://pia.ge/>
8. <http://7days.ge/index2.php?newsid=555>

მაკა დოლიძე

ეროვნული იდენტობა და ეროვნული პრობლემები რეზიუმე

XX ს-ის ბოლოსა და XXI ს-ის დასაწყისში ტრადიციული მედიის გვერდით გამოჩნდა ახალი მედია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ცხოვრებაში. დღეს საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება სწორედ ახალი მედიისკენ არის მიმართული. საზოგადოება არამარტო იღებს ინფორმაციას მედიის საშუალებით, არამედ თავადაც ქმნის ბლოგებს. ახალმა მედიამ ჩამოაყალიბა ახალი პრინციპები და საბოლოოდ შეცვალა ტრადიციული მედიის სახე. რასაკვირველია, ახალი მედია თვისობრივად სხვა ტიპის მედიაა. მისი საშუალებით მომხმარებელს ოპერატიულად შეუძლია გაავრცელოს და მიიღოს ინფორმაცია.

საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მედიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ნაშრომში მოცემულია ცდა, წარმოაჩინოს ის როლი, რასაც ახალი მედია აკისრებს ეროვნულ იდენტობას.

ეროვნული იდენტობა ახალი მედიის ერთ-ერთ ძირითად თემად და პრობლემად განიხილება. მედია ცდილობს ეროვნული იდენტობისადმი საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების არამხოლოდ განმტკიცებას, არამედ შეცვლასაც. იგი აცხადებს, ეროვნული იდენტობის შექმნა არ ნიშნავს ეთნიკური იდენტობის აღმოფხვრას, ვინაიდან ადამიანს შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული იდენტობა ჰქონდეს.

ახალი მედია აღნიშნავს, რომ ეროვნული იდენტობა ერის, სახელმწიფოს განსაზღვრებაა. ეთნიკური იდენტობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება ეთნიკურ ენას, ხოლო ეროვნული იდენტობა, ასევე სხვა ფაქტორებთან ერთად, ემყარება სახელმწიფო ეროვნულ ენას. რადგანაც ეროვნულ იდენტობას ენაც განსაზღვრავს, ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ენას.

ამდენად, უკანასკნელ პერიოდში ახალი მედია გარკვეულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ იდენტობას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სისტემატურად უნდა შექდებოდეს საზოგადოებაში არსებული ეროვნული პრობლემები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეთნიკურ იდენტობას, ეთნიკური უმცირესობისათვის აქტუალურ საკითხებს.

Maka Dolidze

National Identity and National Problems

Summary

At the end of the XX and the beginning of the XXI centuries alongside the traditional media new media was originated, which nowadays occupies the great place in modern life. It develops rapidly and changes. The majority of the public's attention is directed to new media. They not only receive the information through the media, but they also create blogs. New media has developed new principles and ultimately changed the face of traditional media. Of course, new media is a different type of media. The user is able to efficiently distribute and receive information.

It is well known, that reporting of objective information is one of the key principles of media. In order to determine, whether the new media follows this principle, we decided to highlight its work. This time, we would like to talk about the role which new media imposes on national identity. National identity is considered as one of the main topics and functions of new media. Media tries to strengthen and to change the identity of the current attitudes in society. It declares that the creation of national identity does not mean the elimination of ethnic identity, because a person may simultaneously have different ethnic and national identities.

Talking about national identity, new media remarks that the national identity is a definition of nation and state. Ethnic identity, with other factors, is based on the ethnic language, and national identity, with other factors, is based on the national language. As national identity is defined by the language, Georgian language is essential for establishing the identity of the language.

Finally, according to the publications, we may conclude, that new media pays great attention to national identity. Lately, changes for the better have been observed in this direction. But it is not enough. More material should be printed in the media and it should systematically cover current national problems. More attention should be paid to ethnic identity, ethnic minorities' issues.

ნარგიზა კანკია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ტრეფიკინგი და ქართული მადია

ადამიანის უფლების უხეში დარღვევა ადამიანით ვაჭრობაა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია გვამცნობს, რომ: „(მუხლი 3.) ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. (მუხლი 4.) არავინ უნდა იმყოფებოდეს მონობაში, ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია. (მუხლი 5.) არავის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული ნამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსებების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი“ (<http://www.ungeorgia.ge>).

ადამიანით ვაჭრობის პრობლემა აქტუალურია საქართველოშიც. ჩვენი ქვეყანა ძირითადად წარმოშობისა და ტრანზიტის სახელმწიფოა, ამიტომ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლნი უმეტესად გადაჰყავთ თურქეთსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც საქართველოს მოქალაქე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ხდება საკუთარ ქვეყანაში.

ტრეფიკინგის მოვლენა საქართველოში უკავშირდება ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სწორედ ამან გამოიწვია მოსახლეობის ხშირი გადაადგილება, უფრო უსაფრთხო და უზრუნველყოფილი ცხოვრების საძებნელად, სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 (<http://www.ungeorgia.ge>) მუხლის მიხედვით, ტრეფიკინგი განიმარტებულია შემდეგნაირად: „ადამიანის ყიდვა, ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით“ (<https://matsne.gov.ge>). ძირითადად, ადამიანებით მოვაჭრეები ემორჩილებიან მოთხოვნილების კანონს. თურქეთში, ან დასავლეთ ევროპაში მოთხოვნა არის მეძავეებზე, ან იაფფასიან მუშახელზე, ამიტომაც ადამიანით მოვაჭრეები ცდილობენ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნა და აცდუნებენ მსხვერპლს კანონიერი დასაქმების შეპირებებით. ის ადამიანები, რომლებიც მათი მსხვერპლნი ხდებიან, ხშირად სარგებლობენ იმ კომპანიის მომსახურებით, რომელიც ჰპირდება მათ უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წასასვლელ ვიზას. როგორც წესი, ამ ქვეყნების ვიზის კანონიერი გზით მოპოვება რთულია, ან პრაქტიკულად შეუძლებელი. რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვარი, ხშირ შემთხვევაში არის ის ადგილი, სადაც ხდება ადამიანით მოვაჭრეთა საქართველოში შემოსვლა და გასვლა.

სხვადასხვა წყაროებით ტრეფიკინგის მსხვერპლ ქართველ ქალებს ადგილზე ჩაყვანისთანავე ართმევენ პასპორტებს და აიძულებენ არა მარტო პროსტიტუციას, არამედ უფრო მეტიც - 21-ე საუკუნეში ისინი ხდებიან მონები. მათზე ახორციელებენ ძალადობას, ამყოფებენ არაადამიანურ პირობებში, აკნინებენ ფიზიკურად, სულიერად, მორალურად.

2013 წელს საქართველოს სხვადასხვა ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემები იტყობინებოდნენ, რომ 22 კაციანი ჯგუფი თურქეთში მოტყუებით ჩაიყვანეს და იარაღის მუქარით პასპორტები ჩამოართვეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, მათ ამუშავებდნენ როგორც მონებს და ანაზღაურებას არ უხდიდნენ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის მიხედვით უმძიმესი დანაშაულია.

სწორედ ტრეფიკინგის თემის აქტუალურობამ განაპირობა ის, რომ საქართველოს ტელევიზორცეში გამოჩნდა რეკლამები, რომლებიც მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. მაგალითად, ერთ-ერთ რეკლამაში მოთხრობილია, რომ ქალს, რომელიც სამუშაოს ეძებდა, სთავაზობდნენ თავიანთ მომსახურებას საზღვარგარეთ ნასასვლელად. არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ არა გოგონა, რომელმაც დედას შეატყობინა, რომ პასპორტის სხვისთვის გადაცემა ძალიან საშიშია (მას ეს სკოლაში ასწავლეს). ჩვენი აზრით, ამ ვიდეორგოლში სათქმელი ძალიან მარტივად და გასაგებად არის გადმოცემული და სლოგანიც შესაფერისია – იგი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „სანამ თქვენს ბედს სხვას ანდობთ, კარგად დაფიქრდით!“

ამავე თემაზე შექმნილ მეორე რეკლამაში ადამიანებს (რომლებიც გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ან ფლობენ ინფორმაციას ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ) მოუწოდებდნენ, დაერეკათ: 1) უფასო ცხელ ხაზზე; 2) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის; 3) ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელ ხაზებზე.

რამდენიმე წლის წინ ტრეფიკინგის თემა მიჩქმალული იყო, თანამედროვე პერიოდში ეს საკითხი ქართულ მედიასივრცეში მეტად აქტუალურია. ამასთან მჟღავნდება ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობის შემთხვევები, რაზეც ქართული მედია არ საუბრობს და დღემდე ტაბუდადებულ თემად მიიჩნევა.

“News.ge“-ის ერთ-ერთ ინფორმაციაში გვამცნობდნენ, რომ თურქეთში, ქალაქ ანტალიაში ოპერატიული შეტყობინების საფუძველზე მოწყობილი რეიდის დროს, სამართალდამცველებმა ერთ-ერთ ბინაში 16 წლის ქართველი გოგონა იპოვეს, რომელსაც პროსტიტუციის აიძულებდნენ. პოლიციელებთან საუბრის დროს გოგონამ დაადასტურა, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მასზე რამდენიმე ასეულმა მამაკაცმა იძალადა, რისთვისაც ისინი ფულს იხდიდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით თურქულმა პოლიციამ უკვე დააკავა თურქეთის 27-დან 35-წლამდე. სამი მოქალაქე. საქმე აღიძრა არასრულწლოვნის ტრეფიკინგში ჩაბმასთან დაკავშირებით.

პროფესიონალმა ჟურნალისტებმა კარგად იციან, რომ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა საჭირო დაზარალებულთან ინტერვიუს დროს. ია მახარაძის წიგნში – „თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა“ – ვკითხულობთ: „ინტერვიუს დაზარალებულებსა და მათს ოჯახებთან განსხვავებული სპეციფიკა აქვს. გამომძიებელი-ჟურნალისტი ამ შემთხვევაში ცდილობს საინფორმაციო წყარო გამოიწვიოს გულახდილ საუბარში. მაქსიმალურად მისცეს საშუალება რესპონდენტს აჩვენოს უარყოფითი პერსონაჟის მიერ მიყენებული მორალური თუ ფიზიკური ტკივილი“ (ი. მახარაძე, „თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა“; გვ.27). გარდა ამისა, საგამომძიებო ჟურნალისტიკაში მომუშავე ადამიანებისთვის ცნობილია ისიც, რომ კორესპონდენტი ვალდებულია დაიცვას დაზარალებულის კონფიდენციალურობა. ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის ფაქტთან გვექონდა

საქმე, როცა ტრეფიკინგის დანაშაულზე იტყობინებოდა ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანია (“TV 9” -2013 წლის 26 მარტი). კერძოდ, ის ეხებოდა ტრეფიკინგის შემთხვევას ბათუმში. საქმის მასალების მიხედვით, შუა აზიიდან ჩამოყვანილ გოგონებს თურქეთში მიმტანებად მუშაობას ჰპირდებოდნენ, თუმცა შეთანხმება დაირღვა, გოგონებს პასპორტები ჩამოერთვათ და ბათუმში, ღამის კლუბ „სტარში“ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. ქართველ სამართალდამცავებთან ერთად, საქმეში ჩაერთო უზბეკეთის პოლიციაც. დაზარალებულებს ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭათ. ცხადია, მათ გაენიათ ფსიქოლოგიური დახმარებაც. თვით ფსიქოლოგი კი აღნიშნავდა, რომ მათი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ამ ინფორმაციის გადმოცემის დროს კადრში ნაჩვენები ერთ-ერთი დაზარალებულის სახის ამოცნობა ნებისმიერ მის ახლობელს, ან ნათესავს თავისუფლად შეეძლო – ისინი თითქოს ზურგიდან იყვნენ გადაღებული, მაგრამ პროფილი მაინც ჩანდა. გარდა ამისა, დაზარალებულების ხმაც არ იყო შეცვლილი.

Fm 102.4 –ზე (16/04/13-ში) ტრეფიკინგზე საუბრობდა სტუმარი – მარკ ჰულსტი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამის კოორდინატორი. ნამყვანი გვამცნობდა, რომ 2013 წლის მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის სამსახურის მიერ, ნათქვამია, რომ საქართველო არის როგორც მიმღები, ასევე სატრანზიტო ქვეყანა და ტრეფიკინგი დღესაც წარმოადგენს პრობლემას. სტუმრის თქმით, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ქართველი დაზარალებულები ამ თემაზე საუბარს ერიდებიან და მალავენ. ამ ბოლო პერიოდში საქართველო გახდა მიმღები, ასე ვთქვათ ექსპლუატატორი, ამის ცხადი მაგალითია შემთხვევები აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბათუმში.

2013 წლის 20 ივნისს კი სხვადასხვა ტელეკომპანია და მათ შორის „მანსტროს“ საინფორმაციო პროგრამა იტყობინებოდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა – ჯონ კერიმ – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული ადამიანთა ტრეფიკინგის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, რომ საქართველო ქალებისა და გოგონების სექსუალური ტრეფიკინგის, ასევე ქალების და მამაკაცების იძულებითი შრომის ტრანზიტს, წყაროს და მიმართულებას წარმოადგენს. ამ სიუჟეტში საუბარი იყო იმაზე, თუ რომელი ტურისტული ზონა მოხვდა (ბათუმი და გონიო) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღების ცენტრში და რა სტრატეგია აქვს არჩეული ტრეფიკინგთან საბრძოლველად საქართველოს ხელისუფლებას. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა დაამატა ისიც, რომ ანგარიშში არ მოხვედრილა 2013 წლის აპრილიდან დაწყებული ღონისძიებები და ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმით.

დღევანდელ საზოგადოებაში მიიჩნევა, რომ ტრეფიკინგის შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც მსხვერპლს პასპორტს ართმევენ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დამნაშავეები გარკვეული გეგმით მოქმედებენ. მაგალითად, კრიმინალები სპეციალურად ეძებენ ისეთ ადამიანებს (ძირითადად ქალბატონებს), რომლებმაც არ იციან არც ერთი უცხო ენა, არიან ღარიბი ოჯახებიდან, ან საერთოდ არა ჰყავთ მშობლები და ახლობლები.

სპეციალისტების მტკიცებით, არსებობს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროცესის სამი ფაზა: 1) ადამიანის გადაბირება – პროცესი მიმდინარეობს წარმოშობის ქვეყანაში. 2) ადამიანის ტრანსპორტირება – სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთით ან მშობლიურ ქვეყანაში. 3) ადამიანის ექსპლუატაცია სარგებლის ნახვის მიზნით – ხდება დანიშნულების ადგილზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2003 წელს შევიდა დამატებები, რომელთა მიხედვით ადამიანთა ვაჭრობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია მიენიჭა. ამჟამად კოდექსში გათვალისწინებულია სამი სხვადასხვა მუხლი ადამიანთა ვაჭრობასთან დაკავშირებით. მათ შორის, 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სასჯელს ზრდასრული ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ, 143 მუხლის მე-2 ნაწილით – არასრულწლოვანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ხოლო 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით განისაზღვრება სასჯელი ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ზომები, რომლებსაც ეს მუხლები ითვალისწინებს, სხვადასხვაა. ძალზედ მკაცრია კანონი უშუალოდ ადამიანთა მოვაჭრეების მიმართ: 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მინიმალური ზომაა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, მაქსიმალური 20 წლით. 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასჯელის მინიმალური ზომაა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მაქსიმალურით გათვალისწინებულია სამუდამო პატიმრობა.

ტრეფიკინგის გაშუქება დღეს ქართულ ტელევიზორცეში ხდება არა მარტო საინფორმაციო და ანალიტიკურ გადაცემებში, არამედ მათზე ყურადღება მახვილდება ტელეფილმებშიც (ეს, ცხადია, შემთხვევითი არ არის). წელს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იმედზე“ (გადის ყოველ შაბათს 23 სთ 40 წთ.) გამოჩნდა რეალურ ფაქტებზე აგებული ტელესერია „იდენტიფიკაცია“, სადაც სხვადასხვა დანაშაულებების გვერდით, ერთ-ერთი სერია მიეძღვნა ტრეფიკინგის საკითხს.

ეს საგამოძიებო ფილმი მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ხელშეწყობით (ფილმის ქრონომეტრაჟი 20 წუთს შეადგენს). მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოაკვლევინა უზბეკეთის მოქალაქე ქალბატონმა გოგონა, რომელიც მოტყუებით ჩამოიყვანა აჭარაში და რომელზეც ხორციელდებოდა სექსუალური ძალადობა. ტრეფიკინგისადმი მიძღვნილ სერიაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენებში, ხდება ფაქტების რეკონსტრუქცია და ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულის დაფიქსირება მისი ჩადენის პერიოდში, ცხადია, ვერ მოხდებოდა, მაგრამ იმაზე, თუ რა და როგორ მოხდა, ყველა პიროვნება, რომელიც ამ საქმეში უშუალოდ იყო ჩართული – აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი ვალერიან თელია. კონკრეტულად ამ ფაქტთან დაკავშირებული საკითხების გარდა – როგორ შეიტყვეს ტრეფიკინგის ფაქტის შესახებ და როგორ მოხდა ამ საქმის გახსნა, ფილმიდან მაყურებელმა გაიგო იმის შესახებაც, რომ 2013 წელს აჭარაში 5 ტრეფიკინგის ფაქტი დაფიქსირდა და ხუთივე გახსნილია, მაშინ როდესაც, წინა წლებში აჭარაში ტრეფიკინგის მუხლით არც ერთი საქმე არ აღძრულა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მახარაძე ი. „თანამედროვე ჟურნალისტური გამოძიების თეორია და პრაქტიკა“, 2010.
2. <http://www.ungeorgia.ge>
3. <https://matsne.gov.ge>

ნარგიზა კანკია

ტრეფიკინგი და ქართული მედია რეზიუმე

ადამიანთა ვაჭრობის პრობლემა საქართველოშიც აქტუალურია. ტრეფიკინგი ჩვენში მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რამაც გამოიწვია მოსახლეობის დიდი რაოდენობით გასვლა სხდასახვა ქვეყანაში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა – ჯონ კერიმ – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებული ტრეფიკინგის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას (2013) განაცხადა, რომ საქართველო ქალებისა და გოგონების სექსუალური ტრეფიკინგის, ასევე ქალების და მამაკაცების იძულებითი შრომის ტრანზიტის წყაროს წარმოადგენს.

ადამიანთა მოვაჭრეები ძირითადად ექვემდებარებიან მოთხოვნა - მიწოდების კანონს. მაგ., თუ მოთხოვნა არის მეძავეებზე, ან იაფფასიან მუშახელზე, ადამიანთა მოვაჭრეები ცდილობენ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნა.

საქართველოდან მსხვერპლი უმეტესად გადაჰყავთ თურქეთსა და არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში. თუმცა არის შემთხვევებიც, როდესაც საქართველოს მოქალაქე საკუთარ ქვეყანაშივე ხდება ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი.

თანამედროვე პერიოდში ტრეფიკინგის თემა ქართულ მედიაში საკმაოდ აქტუალურია, მაგრამ საკითხის გაშუქებისას ხშირია ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევა.

პროფესიონალი ჟურნალისტი განსაკუთრებულ სიფრთხილეს უნდა იჩინდეს ტრეფიკინგის მსხვერპლთან ინტერვიუს დროს. ის ვალდებულია, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ამ ადამიანის მდგომარეობა, უფრო მეტიც, საკუთარი თავი წარმოიდგინოს მის ადგილზე და მკაცრად დაიცვას დაზარალებულის კონფიდენციალობა.

Nargiza Kankia

Trafficking and Georgian Media Summary

The problem of human trafficking is quite urgent in Georgia as well. Trafficking in Georgia is connected with the social and economic problems, which result in migration of a great number of the Georgian population to other countries.

Presenting the annual report (2013), prepared by the US Department of State on human trafficking, John Carry, Secretary of US State, has announced that Georgia is transit, source and direction of sexual trafficking of women and girls, also of forced labor of women and men.

Human traders mostly obey the law of demands and supplies. In Turkey and West Europe the demand is on whores, or cheap labor force. Therefore, the human traders try to satisfy just these demands.

The victims are mostly transferred from Georgia to Turkey and United Arab Emirates. However, there are cases, when a citizen of Georgia becomes a victim of human trade in his/her own country.

In the present-day Georgia the issue of trafficking in media is quite topical. And the norms of journalistic ethics are often violated.

The professional journalists are well aware of the need for expressing special caution in the interview with the victim.

A journalist should observe confidentiality of a victim, share his/her state and, even more, should image to be in his/her place.

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი

გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი მედიის პრიზმაში

სახელმწიფოს იმიჯი ისეთივე მარკეტინგული პროდუქტია, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური თუ კომერციული პროდუქტი და მის ჩამოყალიბებასა და პოზიციონირებაში მედია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამასთან, სახელმწიფო PR-ი (პოლიტიკური PR-ის მიმართულება) იმდენადვე განსხვავდება ბიზნეს PR-ისგან, რამდენადაც პოლიტიკური სივრცე ბიზნესგარემოსგან.

თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცეში, სადაც მედიალური კონსტრუქცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ისევე სჭირდება თავისი სამოქმედო არეალის ცოდნასა და საჭიროების, მოთხოვნებისა და მოთხოვნის შესაბამისობაზე დამყარებული სწორი და ეფექტური კომუნიკაცია, როგორც ნებისმიერ მარკეტინგულ პროდუქტს ბაზარზე დამკვიდრებისა და შენარჩუნების ზედმინეწით გათვლილი სტრატეგია; ისევე სჭირდება ცნობადობა და სათანადო იმიჯი, როგორც ნებისმიერ სამომხმარებლო პროდუქტს ბრენდად ქცევისთვის.

ამ ათასწლეულის დამდეგს საქართველოში მარკეტინგისა და PR-ის (საზოგადოებასთან ურთიერთობის) ცნებებიც კი ახალი დამკვიდრებული იყო, მედია კი დესტრუქციულ, დამანგრეველ ძალას წარმოადგენდა ტრანსფორმირებადი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო იმიჯისთვის.

2000 წლისთვის ქართულ მეინსტრიმულ მედიაში საქართველო ფიგურირებდა, როგორც „არშემდგარი ქვეყანა“, „საშიში ქვეყანა“, „ვითომ ქვეყანა“; ქვეყანა, რომელიც „გასულია მომსახურების ზონიდან“; ცნება „სახელმწიფო“ კი „არშემდგარის“ კონტექსტშიც იშვიათად ხსენდებოდა.

მოკლედ შევაჩერებთ ყურადღებას რამდენიმე ფაქტორზე, რაც არსებითად განსაზღვრავდა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ საქართველოს ამგვარი იმიჯის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება გასული საუკუნის 90-იანი წლების პრესაში ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მაგრამ ისტორიული სახელმწიფოებრიობისაგან ხანგრძლივი დროისმიერი დისტანცირების გამო ეს ცნება რეალობას არ შეესაბამებოდა.

1994 წელს აკაკი ბაქრაძე წერდა, რომ ქართველი ხალხი „სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებისათვის“, რადგანაც „ჩვენ დამოუკიდებლობა ორი საუკუნის წინათ კი არ დავკარგეთ..., არამედ ბევრად უფრო ადრე... საქართველო კოლონიურ მდგომარეობაში სულ ცოტა 1555 წლიდან მაინც იმყოფება.“ აკაკი ბაქრაძე გვაფრთხილებდა, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენებას ხანგრძლივი და სისტემატური მომზადება სჭირდება, უპირველესად კი – „ერის სულიერ სამყაროში საკუთარი თავისადმი რწმენის აღზრდა“, „საკუთარი სახელმწიფოებრივი ენერჯის“ რწმენა (ბაქრაძე, 391).

მართლაც, სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების თანმდევემა კატაკლიზმებმა ამ პროცესისთვის მოუმზადებელი ქვეყნის საზოგადოება საკუთარ შესაძლებლობებში დააეჭვა, მასმედიის ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ კი, თავის მხრივ, საამისოდ სათანადო ფონი შექმნა.

ჩვენი აზრით, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ეს განაპირობა ყველაზე არსებითმა „წარსულის გადმონაშთმა“ – საბჭოთა იდეოლოგიის ინერციამ, რომ ყოფიერება არის ბაზისი, ცნობიერება კი – ზედნაშენი; ამ ლოგიკით, სახელმწიფო ცნობიერება შესაძლოა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ინსტიტუციონალური, ეკონომიკური და ა.შ. გაძლიერების კვალობაზე. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს სიძლიერე სახელმწიფოებრივ აზროვნებასაც მყარ საფუძველს უქმნის; მაგრამ, მეორეს მხრივ, უიმედობით, ნიჰილიზმითა და არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ხალხი სახელმწიფოს ვერ ჩამოაყალიბებს. ახალი „მეცნიერებათა მეცნიერების“ – ინფორმაციოლოგიის შემქმნელთა თვალსაზრისით, არა იმდენად ყოფა განსაზღვრავს ცნობიერებას, რამდენადაც ცნობიერება, ინფორმაციის ფორმით, განსაზღვრავს სამყაროს (კუტუბიძე, 33-34).

XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული პრესის ერთ-ერთი აქტუალური თემა - დისკუსია ეროვნული იდეოლოგიის თაობაზე, ახალი ათასწლეულის პრესაშიც იჩენს თავს, ოღონდაც ამჯერად უკვე მარგინალიზებული; თანდათან ცნება „ეროვნულობამ“ პრესაში დევალვაცია განიცადა.

„თუ თვალს გადავაგვლებთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო ოცი წლის ისტორიას, ძნელი არაა დავრწმუნდეთ, ისტორიულ იდეათა როგორი დეფიციტის პირობებში გვინევს არსებობაც და ქართული სახელმწიფოებრიობის შენებაც. ეს ძირეული საქმე თითქოს რაღაც ისტორიული მომენტიდან ვიღაც სხვას გადავებარეთ და ფუნდამენტურ იდეათა მხოლოდ იმპორტირებასლა ვჯერდებით,“ – წერდა ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი (ფირალიშვილი, 101). მართლაც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული მედიის ფლაგმანები, განსაკუთრებით 2000-2001 წლების პერიოდში, ერთგვარად ნიადაგს ამზადებენ „იმპორტირებულ იდეათა“ აღქმისთვის. მაგალითად, გაზეთების „რეზონანსისა“ და „ალიას“ პუბლიკაციებში ცნებები „სახელმწიფო“, „ეროვნული“ შეგნებულადაა იგნორირებული და თუ გამოკრთება აქა-იქ, ისიც უსათუოდ უარყოფით კონტექსტში. საქართველო განიხილება ქვეყნად, რომელსაც, თითქოსდა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა, არც უკან – წარსულში, არც წინ – მომავალში და, მით უფრო, ანმყოში, საიმედო, ხელჩასაჭიდი და სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი სხვა პერსპექტივა არ ჰქონდეს. ეს ტენდენცია ყველგან იგრძნობა – პოლიტიკაზე, რელიგიაზე, ეროვნულ რეკვიზიტებსა თუ კულტურაზე მსჯელობისას და ავითარებს არსებით აზრს, რომ ეროვნულობა ჩამორჩენილობის, ვიწროკუთხურობის მაჩვენებელია და ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას. სახელმწიფოსადმი მასმედიის ამგვარ დამოკიდებულებას უკვე ბუნებრივად მივყავართ იმ კონდიციამდე, როცა ცნება „არშემდგარი ქვეყანა“ შეჩვეული სიტყვა ხდება მკითხველისა თუ მაყურებლისთვის და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, განსაზღვრავს მის ადეკვატურ რეაქციას.

ეროვნული და სახელმწიფო ცნობიერების მოშლის შორსგამიზნული პროცესი უწინარესად ახალგაზრდობისკენ იყო მიმართული. პირველ რიგში სწორედ მათზე იყო გათვლილი „დარდუბალას“ სერიალი (ტ/კ „რუსთავი 2“), „რეზონანსის“ „მორიგე რედაქტორის ჩანაწერები“, „ალიას“ პუბლიკაციები, რომლებიც ერთდროულად აღვივებდა რელიგიურ ნიჰილიზმსაც და რელიგიურ ექსტრემიზმსაც; საინფორმაციო ამინდის შემქმნელი მასმედიის მთავარი თემები - დესტაბილიზაციის პერმანენტული საფრთხე, ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მხოლოდ უარყოფითის ძიება, უფროსი და საშუალო თაობის მუდმივი დადანაშაულება კომუნისტურ დროში ცხოვრებისათვის (იმ ფაქტორის იგნორირებით, რომ მათ დროისა და ქვეყნის

არჩევა არ შეეძლოთ), სახელმწიფოს დისკრედიტაციისაკენ მიმართული საინფორმაციო კამპანია და ა.შ.

თუ ამ თვალსაზრისით თუნდაც „რეზონანსის“ „მორიგე რედაქტორის ჩანაწერებს“ განვიხილავთ, დავრწმუნდებით რომ გაზეთის ამ მინიატურულ „სავიზიტო ბარათში“ აკუმულირებულია უდიდესი საბრძოლო მუხტი და შეურიგებლობა სისტემის, მმართველობის, ტრადიციების, უფროსი თაობისადმი და ა.შ. ამასთან, მისი ენობრივი ქსოვილი – შავ იუმორს შერწყმული სლენგი, „დარდუბალასაც“ ეხმაურება და კარგად ესადაგება თინეიჯერულ გემოვნებასა და განწყობასაც. „ჩანაწერების“ პოზიცია გამყარებულია ანშლაგებად გაშლილი საპირველგვერდო სათაურებითა და კარიკატურებით:

- „საქართველო საკონცენტრაციო ბანაკია“ („რეზონანსი“, 26 თებერვალი, 2001);
- „ოროსნების ქვეყანა“ („რეზონანსი“, 6 აპრილი, 2001);
- „აქ ოდესღაც საქართველო იყო...“ („რეზონანსი“, 18 აპრილი, 2001) და ა.შ. (კუტუბიძე, 36)

ვერ ვიტყვით, რომ ამაში ბრალი მასმედიასა და ჟურნალისტებს მიუძღვოდათ. ეს იყო კანონზომიერი შედეგი – წარმატებული საინფორმაციო ომების შედეგად დაშლილი სსრკ-ის შემადგენლობიდან გამოთავისუფლებული პოსტსაბჭოთა ქვეყანა და იდეოლოგიური დიქტატისა და ცენზურისაგან ახალგამოხსნილი მასმედია მზად არ იყო თანამედროვე საინფორმაციო სივრცის ზემოქმედებაზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

2002 წელს საქართველოში „წრთენისა და აღჭურვის“ პროგრამის დაწყებამ მასმედიის განწყობა საგრძნობად გადახარა ოპტიმიზმისაკენ და, შესაბამისად, იკლო აგრესიამ, საინფორმაციო აჟიოტაჟებმა, შერბილდა სახელმწიფოს იმიჯისაკენ მიმართული უარყოფითი აქცენტები. ამ პერიოდში, მაგალითად, გაზეთ „რეზონანსის“ პირველ გვერდებზე აღარ ჩნდება სარკასტული კარიკატურები, შეიცვალა და პოზიტივისკენ გადაიხარა „მორიგე რედაქტორის ჩანაწერების“ პათოსიც. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით „რეზონანსი“ ერთგვარი ინდიკატორია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ სახელმწიფოს იმიჯის თვისობრივ ცვლილებაზე.

„წრთენისა და აღჭურვის პროგრამა არ უნდა ჩაიშალოს“, – ასე ასათაურებს „რეზონანსის“ ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე პუბლიკაციას, რომელშიც მკაფიოდ გამოხატავს თავის ჟურნალისტურ პოზიციას და, ფაქტობრივად, არა მხოლოდ მკითხველს, კოლეგებსაც მოუნოდებს სახელმწიფოებრივი ერთსულოვნებისკენ: „... დღეს საქართველოში არსებული სიტუაცია არავის, არც ჯარისკაცს, არც ერს და არც ბერს იმის უფლებას არ აძლევს სპონტანური და ემოციური გადანყვეტილებები მიიღოს. ერთი დიდი მწერლის თქმისა არ იყოს, სამშობლო ხაჭაპური არ არის და ყველანაირი უნდა გიყვარდეს. უნდა გიყვარდეს განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დაძაბუნებულია და უჭირს. ჩვენ კი ხანდახან წინდაუხედაობითა თუ სიჩქარით, ზოგჯერ მიზანმიმართულად, ისეთ ფრაზას და ბრალდებას ვისვრით, რაც საქართველოს დახმარების სურვილს ნებისმიერ ქვეყანას გაუქრობდა“ (ჩაფიძე).

ზემოთ, „არშემდგარ სახელმწიფოსთან“ მიმართებაში, შეგნებულად არ შევეხეთ რუსეთის ფაქტორს, რადგან ეს, ობიექტური ფაქტორის გარდა, ერთგვარი კლიშეა, რომელსაც მაშინდელი თუ ამჟამინდელი ქართული პრესა მუდმივად იშველიებს და ლამის ყოველგვარი უბედურების სათავედ სახავს. მაგრამ აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დასავლეთისაკენ სწრაფვისა და რუსეთისაგან დისტანცირების ტენდენციის გამოკვეთის ფონზე

რუსეთის საინფორმაციო აგრესია განსაკუთრებით აქტიურდება გამოკვეთილი სტრატეგიით – არ დაუშვას საქართველოს სახელმწიფოს იმიჯის პოზიტიური კორექტირება.

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რუსეთის „საგარეო პოლიტიკის ნაციონალური ლაბორატორიის“ ინტერნეტ-საიტზე 2002 წლის აგვისტოში განთავსებულ ანალიტიკურ მასალას „პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში“. მის ერთ-ერთ ქვეთავში – „საქართველოს დახასიათება და რუსეთის ინტერესები“, საქართველო ასეა წარმოდგენილი: „ამერიკულ და რუსულ მასმედიაში საქართველოს ახასიათებენ, როგორც „არშემდგარ სახელმწიფოს“. საქართველოს სახელმწიფოს არ ძალუძს თავად უზრუნველყოს თავისი მთლიანობა და უსაფრთხოება და მუდმივად სჭირდება გარეშე დახმარება... საქართველოს სახელმწიფოებრივი სისუსტის შედეგად, რუსეთისათვის ისეთი რუტინული პროცედურაც კი, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველოში ინვესტ ხელჩართულ ბრძოლას, ქუჩის შეტაკებებს, სროლებს და ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის“ (**Политическая ситуация в Грузии**). ამ ქვეთავში განმარტებული არ არის, რაში მდგომარეობს “რუსეთის ინტერესი”, მაგრამ, როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ იგი ისედაც გასაგებია.

რუსი ექსპერტების პოზიციისგან დიამეტრალურად განსხვავებულია ნატო-ში აშშ-ის ყოფილი ელჩის, რობერტ ჰანტიერის მოსაზრება საქართველოზე. მისი აზრით, “საქართველო არავითარ შემთხვევაში არ არის არშემდგარი ქვეყანა და არც იქცევა ასეთად“. იგი საქართველოს, წინსვლის მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეულში ან ოთხეულში მოიაზრებს (ინტერვიუ რობერტ ჰანტიერთან).

დაახლოებით ასეთი საინფორმაციო განწყობითაა წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი პრესაში „ვარდების რევოლუციამდე“.

„ვარდების რევოლუცია“ რომ სტრატეგიული ტექნოლოგიების თანამედროვე სტანდარტებით განხორციელებული პროცესი იყო, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი საავტორო მოსაზრება არ არის. მართალია, იგი წარიმართა ქართველი ხალხის არნახული მობილიზებით, შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის გარდაუვალი სურვილითა და კორუფციის აღმოფხვრის ამალგებული სულისკვეთებით; მაგრამ თანდათან, იგივე პრესის მეშვეობით, მკაფიოდ გამოიკვეთა სურათი, რომ ეს იყო თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პროცესების კანონზომიერი განვითარების შესაბამისად დასახული მოდელი, რომლის განსახორციელებლად საქართველოს შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა.

„ჩვენ აღმოვჩნდით პროცესების ავანგარდში... რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არა უბრალოდ პასიური, არამედ უროლო მონაწილე ვიქნებოდით განვითარების გლობალური პროცესებისა... ჩვენ არ გვექნებოდა ის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც ბევრად აღემატება იმ შესაძლებლობებს, რასაც ჩვენი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს. ჩვენ არ გვექნებოდა საერთაშორისო ფუნქცია, რომლის ქონის შანსი მცირე ერებს ადვილად არ ეძლევათ“, - წერს აპოლონ სილაგაძე გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში (სილაგაძე).

სწორედ ამ როლმა განაპირობა „არშემდგარიდან“ „სანიმუშომდე“ საქართველოს სახელმწიფოს იმიჯის ტრანსფორმირება და პოზიციონირება ქვეყნის გარეთ (უპირველესად და წარმატებულად) და საკუთრივ საქართველოში (ნაკლები წარმატებით).

„ვარდების რევოლუციამ“ მასმედიას დაუკარგა წამყვანი პოზიცია, მაგრამ დაეხმარა ახალი ფუნქციის შექმნაში – მედიის მეშვეობით ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ახალმა იმიჯმა. საქართველო, პირველ რიგში, ასოცირდება ცნობად სახელმწიფოსთან; ქვეყანა, რომელსაც დიდი ძალისხმევა უხდებოდა თავისი არსებობის დასაფიქსირებლად, საერთაშორისო ყურადღების ობიექტი გახდა.

2004 წლის ივნისში, ბრიუსელში, ევროკავშირის ეგიდით გამართული საქართველოს დონორთა საერთაშორისო კონფერენციის გაშუქების ფონზე, საქართველო პრესაში ფიგურირებს როგორც სახელმწიფო, რომელსაც ევროპა უკვე აღიქვამს არა მხოლოდ გეოგრაფიულ, არამედ მსოფლმხედველობრივ და კულტურულ მეზობლად; როგორც ქვეყანა, რომლის მიმართაც უცხოელი პარტნიორები, დაინტერესებასთან ერთად, კომპეტენტურობასა და ინფორმირებულობასაც ამჟღავნებენ (კუტუბიძე-ზუბაშვილი, 2005).

2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში, უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ რეზონანსით, არა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ პარალელი ჩნდება, პრესა არგუმენტირებულად მსჯელობს, რას გულისხმობდა „ქართული რევოლუციის ექსპორტი“, რა ნიშნით უნდა იქცეს საქართველო, ჯერ კიდევ სუსტი და კონფლიქტური რეგიონების მქონე სახელმწიფო, დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის მისაბაძ მაგალითად მთელი რეგიონისა და პოსტსაბჭოთა სივრცისათვის.

„ვარდების რევოლუციამ“ არა მხოლოდ საქართველოს საგარეო იმიჯზე მოახდინა პოზიტიური ზეგავლენა, ქვეყნის შიგნითაც არსებითად შეიცვალა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება ნიჰილიზმიდან ოპტიმიზმისაკენ. აღსანიშნავია, რომ „გორბი“ – „გელაპ ინტერნეიშენალის“ მიერ 2004 წლის მიწურულს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგით, საქართველო, ოპტიმიზმის მიხედვით, მსოფლიოს 65 ქვეყანას შორის მეორე ადგილზე აღმოჩნდა. (მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის „გელაპის“ ინსტიტუტები, ყოველი წლის ბოლოს ადგენენ მოსახლეობის ოპტიმიზმის მაჩვენებელს, ანუ საზოგადოების დამოკიდებულებას მომავლის მიმართ. 2004 წლის ოპტიმიზმს ქვეყანათა ათეული ასეთია: ტუნისი, ვიეტნამი – 72%, საქართველო – 71%, ჩინეთი, ჰონგ კონგი, ქუვეითი – 70%, კოსოვო – 67%, პანამა – 66%, აშშ – 65%, ავსტრალია – 61%.) (სილაგაძე).

2005 წლის მაისში, აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტი თბილისში, მომგებიანი საინფორმაციო საბაბი იყო პრესაში საქართველოს იმიჯის პოზიტიური პოზიციონირებისთვის. „მთავარ გაზეთთან“ ინტერვიუში, „გარდამავალი დემოკრატიების“ პროექტის ხელმძღვანელი ბრიუს ჯექსონი აცხადებდა, რომ „საქართველო ნამდვილად ლიდერია კავკასიაში, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში, ევროპის ერთ ნაწილში და ცენტრალურ აზიაშიც. უკრაინა თანალიდერია“ (ინტერვიუ ბრიუს ჯექსონთან).

ამ დისკურსს ასახავს თბილისში, თავისუფლების მოედანზე და პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე, პრეზიდენტ ბუშის მიერ წარმოთქმული სიტყვების ძირითადი მესიჯები:

- **თქვენ ლიდერები ხართ!**
- **საქართველო სანიმუშო მაგალითია რეგიონში**
- **„ვარდების რევოლუცია“ ძლიერი მომენტი იყო თანამედროვე ისტორიაში**
- **საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა**

- *თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი თქვენივე მაგალითია*
- *თქვენი ქვეყანა აშშ-ის ერთ-ერთი სერიოზული მოკავშირეა*
- *თქვენ დემოკრატიულ საზოგადოებას აშენებთ*
- *თავისუფლება შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ, სპარსეთის ყურეში და უფრო შორსაც მიიწევს; ეს თქვენით არის გამოწვეული და თქვენი წარმატების მაგალითზე მათაც დიდი იმედი ეძლევათ*
- *ქართულ მინაზე დანთებული ცეცხლი მთელ მსოფლიოში ღვივდება* (გაზეთი „24 საათი“)

საქართველო რეგიონში „სანიმუშო მაგალითად“ იქცა არა მხოლოდ „ვარდების რევოლუციით“; უცხოურ პრესაში (განსაკუთრებით აშშ-ის) საქართველო ფიგურირებს როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმატებული ქვეყანა, ეკონომიკური რეფორმებისა და კორუფციასთან ბრძოლის ნიშნით. „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ძალისხმევას და ფინანსებს არ იშურებდა, რომ როგორც ქვეყანას, ასევე მის მმართველ ძალას მომგებიანი იმიჯი ჰქონოდა. მათი მმართველობის პერიოდში საქართველოს ტელემედია ხელისუფლების კრიტიკით არ გამოირჩეოდა, მაგრამ პრესაში ხშირად კეთდებოდა აქცენტი, რომ ქვეყანა პიარ-აქციებით იმართება (კუტუბიძე-ზუბაშვილი, 2006).

სადისერტაციო ნაშრომში – „მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში“ ბექა ჭედია აღნიშნავს: „საქართველოს შეიძლება პირობითად უკვე „ტელესახელმწიფოც“ კი ვუწოდოთ, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის წარმატებული მხარის ტრანსლირება ხდება. ხელისუფლება ცდილობს საზოგადოებასთან ურთიერთობის ვირტუალური ფორმა დაწეროს და სამომავლო გეგმების პრეზენტაციით საზოგადოებაში პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალური განწყობილებების ფორმირებას შეუწყოს ხელი... 2007-2008 წლებში კი ტელემედიაში ფარულმა თუ ღია რეკლამამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. ხელისუფლება სოლიდურ თანხებს ხარჯავს სატელევიზიო სარეკლამო პროდუქციის შესაქმნელად და ეს წინასაარჩევნო პერიოდს კი არ ეხება, არამედ მთლიანი პოლიტიკური პროცესის ციკლს არჩევნებიდან-არჩევნებამდე. ხელისუფლების რეკლამირებაზე, როგორც პოლიტიკურ „პროდუქტზე“, ექსკლუზიურად მუშაობს სარეკლამო სააგენტო „სარკე“, რომლის საქმიანობაც მჭიდროდ ასოცირდება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან“ (ჩაფიძე, 14,128).

ნაციონალური ხელისუფლება აქტიურად იყენებდა საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR-ის) ისეთ მძლავრ ინსტრუმენტს, როგორიცაა ლობირება. არსებული მონაცემებით, ლობისტებს საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად თითქმის ნახევარ მილიონს ურიცხავდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ გამოკვლევით, 2004 წლიდან მოყოლებული საქართველოს ლობისტური საქმიანობისთვის აშშ-ში დახარჯული აქვს 3.220.650 აშშ დოლარი. ერთ-ერთი მაგალითი, რაშიც საქართველომ ლობისტურ კომპანიას მსუყე თანხა გადაუხადა, ეს არის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქვეყნის და მმართველი ძალის პოლიტიკური იმიჯის გამოსწორება (კუტუბიძე).

საზოგადოებას ბევრი კითხვა უჩნდება ლობისტურ მომსახურებაში დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში ამ საკითხით საქართველოს პროკურატურაც დაინტერესდა. ლობირების გამოყენება ქვეყნის იმიჯისთვის (და არა მხოლოდ!) ძალიან აქტუალური თემაა, მაგრამ ამ პუბლიკაციის ფორმატში მისი გაშლა ვერ მოხერხდება. დავძენთ მხოლოდ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი საინფორმაციო სურათით თუ ვიმსჯელებთ, ის თანხა და

ძალისხმევა, რაც საქართველოს პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად დაიხარჯა, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ფაქტობრივად, „წყალში გადაყარა“.

ამ ეტაპზე, ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების კონტექსტში, ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ეს აისახა კიდევ „საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის“ (საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე, ა., დანუნებული გზა, თბილისი: სარანგი, 1995
2. გაზეთი „24 საათი“, 11 მაისი, 2005; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 მაისი, 2005
3. ინტერვიუ ბრიუს ჯექსონთან, გაზეთი „მთელი კვირა“, 27 ივნისი, 2005
4. ინტერვიუ რობერტ ჰანტერთან, გაზეთი „24 საათი“, 2 ივლისი, 2002
5. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლ., მასმედია და სახელმწიფოს იმიჯი, პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ები-2004“, „საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ების“ ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2005
6. კუტუბიძე-ზუბაშვილი, ლ., არის თუ არა პოლიტიკური ბრენდი „მარკეტინგული პროდუქტი?“, პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ები-2005“, „საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ების“ ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2006
7. კუტუბიძე, ლ., 2000-2005 წლების ქართული პრესის ძირითადი საზოგადოებრივ პოლიტიკური ასპექტები, დისერტაცია ჟურნალისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2009
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000379/KUTUBIDZE%20%20L..pdf> (მოძიებულია 10.05.2014)
8. საქართველოს მიერ ლობირების მცდელობები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“
<http://www.transparency.ge/blog/psakartvelos-mier-lobirebis-mtsdelobebip> (მოძიებულია 01.05.2014)
9. საქართველოს მთავრობის სტრატეგია ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ 2014-2017 წლებისთვის
http://www.government.gov.ge/files/275_38230_373340_1237-1.pdf (მოძიებულია 10.05.2014)
10. სილაგაძე, ა., რეკლუცია რომ არ ყოფილიყო, გაზეთი „24 საათი“, 13 აპრილი, 2005
11. ფაჩულია, მ., საქართველო ოპტიმიზმის მიხედვით მსოფლიოში მეორეა, გაზეთი „რეზონანსი“, 17 იანვარი, 2005
12. ფირალიშვილი, ზ., ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა, თბილისი, 2007
13. ჩაფიძე, ე., წრთენისა და აღჭურვის პროგრამა არ უნდა ჩაიშალოს, „რეზონანსი“, 20 ივლისი, 2002
14. ჭედია, ბ., მასმედიის როლი ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში, დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის (პოლიტიკურ მეცნიერებაში) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2009
<http://www.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/BEKA%20CHEDIA%20-%20DISERTACIA.pdf>
15. Политическая ситуация в Грузии, “Национальная лаборатория внешней политики”, 16.08.2002
<http://www.nlvp.ru/laboratory> (მოძიებულია 15.03.2009)

ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი

საქართველოს სახელმწიფოს იმიჯი მედიის პრიზმაში რეზიუმე

ახალი ათასწლეულის დამდეგს ქართულ მეინსტრიმულ მედიაში საქართველო ფიგურირებდა, როგორც „არშემდგარი ქვეყანა“, „საშიში ქვეყანა“, „ვითომ ქვეყანა“, ქვეყანა, რომელიც „გასულია მომსახურეობის ზონიდან“, „სახელმწიფო“ კი „არშემდგარის“ კონტექსტშიც იშვიათად ხსენდებოდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩამოყალიბება დაიწყო საქართველოს ახალმა იმიჯმა. საქართველო, პირველ რიგში, ცნობადი სახელმწიფო გახდა. ქვეყანა, რომელსაც დიდი ძალისხმევა უხდებოდა თავისი არსებობის დასაფიქსირებლად, საერთაშორისო ყურადღების ობიექტად იქცა.

ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალური მოძრაობა“ აქტიურად მიმართავდა ლობირებას აშშ-სა და ევროპაში საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლებისათვის პროდასავლური იმიჯის შესაქმნელად, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, ყოფილი მმართველი პარტიის მცდელობამ, რომ მათი უცხოელი ლობისტების გავლენა საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის გამოეყენებინათ, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ქვეყნის იმიჯს.

Laura Kutubidze-Zubashvili

Image of the Country in a Prism of Media Resume

In the beginning of the millennium, Georgia was highlighted in Georgian mainstream media as “not formed country”, “dangerous country”, “as though country”, country which “is out of the service area”. The term “state” was rarely mentioned even in the context of “not formed”.

After the “Rose Revolution” new image of Georgia started to be formed. Georgia, first of all, became a recognizable country. Country, which needed a lot of constraint to fix its existence, became an object of international attention.

“National Movement” then in government actively lobbied in US and Europe to form pro-European image for Georgia and its government. But after the defeat of “National Movement” in 2012 parliament elections, the attempts of former ruling party to use the influence of their foreign lobbyists for lobbying their own interests, put country’s image into serious danger.

**ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები:
პრობრესი და ზნეობრივი რისკები**

თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში ვირტუალური რეალობა არ არსებობს როგორც ერთხელ და სამუდამოდ, სამარადისოდ მოცემული ერთმნიშვნელოვანი რამ. ვირტუალური რეალობა მრავალსახაა. მას უამრავი სხვადასხვა ფორმა აქვს, რაც პირველ რიგში ადამიანის ეზოთერულ, ფსიქიკურ, ესთეტიკურ მდგომარეობებში ვლინდება. ვირტუალური რეალობა სხვადასხვა კულტუროლოგიურ, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ, სემიოტურ და სხვა პროცესებს მოიცავს. ამ სიტყვას ლათინური ფესვები აქვს და სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმის „შესაძლებლობებს“, რაც შეიძლება იყოს, ან უფრო სწორედ, რასაც შეიძლება ვირტუალურად წარმოადგენდეს ობიექტი ან მდგომარეობა, რომლებიც რეალურად რომ არ არსებობენ, მაგრამ გარკვეულ პირობებშიმათი გაჩენა შესაძლებელია. ვირტუალობას ზოგიერთი მოვლენების ან მდგომარეობების აღმოვენებისადმი მიდრეკილება გააჩნია...

ვირტუალური რეალობა და მისი ორგანიზაციის ხერხი ყველაზე თვალსაჩინოდ საინფორმაციო ქსელების მაგალითზე ჩანს. მისი მატერიალური მატარებლების („რკინა“) გარდა ინტერნეტ-ის გლობალური ქსელი შეიძლება ისეც განვიხილოთ, როგორც ნიშნების, ტექსტების კომპლექსი. ეს ყოველივე ვირტუალური რეალობის გაგებასთან გვაახლოებს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ცნობილმა საბჭოთა ესტონელმა ლიტერატურათმცოდნემ, კულტუროლოგმა და სემიოტიკოსმა იური ლოტმანმა აღნიშნა: „სულიერების გაგებით ჩვენ ვცხოვრობთ პანტექსტუალურობის ეპოქაში, რომელიც... სინამდვილის სემიოტურ განსაზღვრას წარმოადგენს“ (Лотман, 95) ტექსტი ზოგადი მნიშვნელობის „დიდი სიტყვასავითა“, _ ამბობდა ლოტმანი. აქ, ადამიანური კულტურის ყველა მოვლენა აღინერება და დიალოგებად, სიტყვებად გადაიქცევა. ტექსტი და მხოლოდ ტექსტი, სხვა არაფერი. ამრიგად, ნიგნის „ამერიკული ანბანი“ ავტორის, ალექსანდრ გენისის კვალდაკვალ, შეგვიძლია ისიც ვამტკიცოთ, რომ „ტექსტი რეალობის მწარმოებელი მანქანაა“ (Лотман, 95)

ეს იმას ნიშნავს, რომ ვირტუალურ რეალობაში ტექსტი ერთგვარად სხვანაირია. ჩვეულებრივი ტექსტისგან ის მრავალზომიანობით განსხვავდება. ეს ის არის, რასაც მეცნიერებაში ელექტრონულ ჰიპერტექსტად მიიჩნევენ, სადაც მიმდინარეობს ახალი კავშირების დამყარება ელექტრონული გადამმუშავებებით, ინტერპრეტაციებითა და რეინტერპრეტაციებით. ამგვარი კავშირები ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აუდიტორიას საშუალებას აძლევს ადამიანის მიერ არჩეული ნებისმიერი მიმართულებით განახორციელოს კომუნიკაციური აქტი. და ინფორმაციის მომხმარებელი ხდება თვითმხილველი იმისა, თუ როგორ ფართოვდება მისი ვირტუალური რეალობა, როგორ იზრდება „ტექსტუალური“ კავშირების რაოდენობა, როგორ ზრდიან საკუთარ სიმძლავრეს კომუნიკაციური აქტები, როცა ერთი მეორეს მიყოლებით ამოაქვთ ტექსტები და ტექსტური მთლიანობის მოზაიკად გადაიქცევიან.

დღეს უკვე ჩვეული ხდება იმის გაგება, რომ „ჭეშმარიტი რეალობა ვირტუალური რეალო-

ბის “უმცროს ძმას“ წარმოადგენს, რომელსაც ციფრულ სამყაროში კი არ გადაჰყავს ადამიანი, არამედ ვირტუალურ სამყაროს რეალურთან აერთიანებს“ (Baudrillard, 85).

ჩვენი დროის დევიზად იქცა სიტყვათა შეთანხმება “Rectum realitatem” (ვირტუალური რეალურია). როგორც ოდესღაც, XVII-XVIII საუკუნეებში სამყაროს მეტაფორულ მოდელად საათი განიხილებოდა და ფრენსის ბეკონის ეპოქის ადამიანები ცხოვრობდნენ იმ რწმენით, რომ “Mundus est horologium” (სამყარო საათია). 1577 წელი წუთების ისრიანი ყველაზე პირველი საათის წელი იყო, არადა, ამ სიბრძნით აღსავსე მოწყობილობის სახელი, რომელიც ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში გაჩნდა, ლათინურად „ზარს“ ნიშნავდა. საათი გარდასული რენესანსის ეპოქის არანაკლებ გამაოგნებელი სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონება იყო, ვიდრე თანამედროვე ელექტრონული ტექნიკა. არადა, მათ გარდაქმნას ხომ ძიების, ცდებისა და შეცდომების ასწლელულები უძღოდა წინ.

ვუბრუნდებით რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტექსტური ველის სივრცეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც წესი, თანამედროვეთა ცნობიერებაში მოცემული ტერმინი კომპიუტერულ სფეროს უკავშირდება. მაგრამ დამატებითი შენიშვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო და უფრო ხშირად გვეხმის, როგორ იხმარება მცნება „ვირტუალური“ ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის სფეროს ჩარჩოებს გაცდენილ კონტექსტში. ასე შემოვიდა ხმარებაში ბოლო დრომდე „არარეალური“ ისეთ სიტყვათა შეხამებები, როგორიცაა, ვთქვათ, „ვირტუალური კორპორაცია“, „ვირტუალური ფული“, „ვირტუალური დემოკრატია“, „ვირტუალური სწავლება“, „ვირტუალური სათამაშო“, „ვირტუალური სტუდია“ და ა.შ., მსგავსი ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ვირტუალური ტექნოლოგიების გავრცელებასთან დაკავშირებული პრობლემა სცდება სპეციალური მეცნიერებების ჩარჩოებს და გადაიქცევა პრობლემად, რომელიც ფილოსოფიურ განზოგადებას საჭიროებს. ვირტუალურობის სოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებაში შეღწევის სიღრმე უფლებას გვაძლევს საზოგადოების „ვირტუალიზაციაზე“ ვისაუბროთ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დღევანდელ ეტაპზე პოსტინდუსტრიული საზოგადოების საინფორმაციო ტექნოლოგიები თავის „ვირტუალურ იპოსტასში“ იწყებენ გამოსვლას, მაგრამ არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ თავად ტერმინი „ვირტუალური“ შუა საუკუნეების წარმომავლობის განახლებული მცნებაა მხოლოდ.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ლათინური სიტყვა „ვირტუს“ დასავლურ კულტურაში მნიშვნელობათა მთელ წყებაში იხმარება (მორალური ფასეულობა, კეთილდღეობა, სათნოება, გარკვეული არტეფაქტი, აქტუალურად არსებული და მოქმედი რეალობა), მაგრამ უფრო ხშირად „ვირტუს“-ში გულისხმობენ პოტენციურ, ზღვარსმიღმურ, არასაგნობრივ ყოფა-რეალობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც პოტენციურ, შესაძლო მდგომარეობაში, ისე აქტუალურად არსებულ, მოქმედ მდგომარეობაში.

თუ ლათინური ცნებების „virtus“ და „veritas“ ეტიმოლოგიების მსგავსებას ჩავუღრმავდებით, ძნელი არ იქნება იმის დადგენა, რომ ამ მცნებებში არის ის, რაც ისე იკითხება, როგორც პოტენციები, ძალები, სათნოებები და ჭეშმარიტებები. ვირტუალობა არის „უხილავის სიღრმისეული უნარი ზეგავლენა იქონიოს ხილულზე, აღუქმელის უნარი ზეგავლენა იქონიოს აღქმადზე, მოჩვენებითის უნარი ზეგავლენა იქონიოს ხორცშესხმულზე“ (Ночов, 185-188).

აზრები, რომლებიც ახლა იდება მცნებაში „ვირტუალური“, იმაზე მიუთითებს, რაც არსებობს „შესაძლებლობაში“ და შეიძლება ან უნდა გამოიყვანდეს გარკვეულ პირობებში:

- იდეალური ძალა, რომელიც რეალიზებას ესწრაფვის;
- ეფემერული, მოჩვენებითი, ირეალური, მითიური, გამოგონილი, ზემგრძნობიარე, ზე-ბუნებრივი, პირობითი, იმიტირებული.

ჩვენ მიერ მოყვანილი განსაზღვრებები მჭიდროდ უკავშირდება უძველეს მისტიკოსთა მოძღვრებებს, მათ მიაჩნდათ, რომ ხილული უხილავის შედეგია და მისტერიებს იყენებდნენ, როგორც იდეალური ცოდნის აღმოჩენისთვის ცნობიერების უმაღლესი ბუნების გაღვიძების უნარის მქონე საშუალებას. ელევსინური მისტერიები, რომლებიც ათენის სიახლოვეს, ელევსინის ტაძარში ტარდებოდა ორიათას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად ვირტუალური (უხილავ, დაფარული) სამყაროებს იყენებდნენ ნეოფიტთა გასანათლებლად, ზღვარს მიღმისეულთან ან ციურთან შეერთების შედეგად მათი შინაგანი სამყაროს გარდასაქმნელად.

შუა საუკუნეებში „virtualis“ განიხილებოდა არა როგორც ადამიანის ბუნებრივი თვისება, არამედ როგორც სული წმინდა, ან ღვთიური ძალა, რომელიც მის სულში სახლობდა. აღორძინების ეპოქამდე „virtus“-ს ან „virtu“-ს თეოზისს, ღმერთის შეცნობას უკავშირებდნენ. მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით გაჩნდა მცნება „virtuoso“ – ვირტუოზულობა, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი „ვირტუ“-ს, ღმერთთან სიახლოვის შემოქმედებითი რეალიზაციის უნარი.

შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ცნება „virtus“ უმთავრესად აქტუალური მოქმედი ძალის, მოქმედი მიზეზის ან უნივერსუმისა და მისი ნაწილებისთვის დამახასიათებელი ფარული აქტიური იდეალური საწყისის აღსანიშნავად, რომელიც ვირტუალურიდან რეალურის აღმოცენებისკენ უბიძგებდა. ამ შემთხვევაში რეალობა როგორც ასეთი ვირტუალურია, მაგრამ „virtus“-ის ზემოქმედებით „მატერიალიზდება“. „virtus“-ის მეშვეობით აბსოლუტური არსნი საგანთა სამყაროდ განსახიერდებიან.

სქოლასტების შემთხვევაში „virtus“ აბსოლუტური არსის ერთეული საგნების აქტიურობასთან კავშირის როლში გამოდიოდა ან აღნიშნავდა ღვთიურ არსს, რომელიც სულს ღვთიური ქვემარტების ქვრეტისთვის, ღმერთთან ასვლის საფეხურისთვის ამზადებდა. IV საუკუნის ბიზანტიელი ღვთისმეტყველი ბასილი დიდი წერდა უზენაესი (დამბადებელი) რეალობის უნარზე მოახდინოს სხვა მახასიათებლების მქონე უმდაბლესის გენერირება. სქოლასტები „virtus“-ს პოტენციურისა და აქტუალურის შეფარდების სახით განიხილავდნენ.

თომა აკვიტანელის აზრით, „ვირტუალობა“ სულის არსებობას და სულთა იერარქიების თანაარსებობას ნიშნავდა. ნიკოლოზ კუზანსკისთვის „virtus“ აბსოლუტური ძალა, ყველაფერზე აღმატებული მიზეზია, ყოველივე არსებულს სიცოცხლეს რომ სძენს, ანუ საბოლოო ჯამში ღმერთი არს: „და შენშია ქვემარტება და სიცოცხლის პირველსახე“ (Корсунцев, 52).

სხვათა შორის, მეცნიერების განვითარება მის მიერ „ღვთიური ძალის“ „ბუნების კანონებით“ შეცვლა ნაკლებად აისახა „virtus“-ის, როგორც განსაკუთრებული, ყველგან შემღწევი, ბუნებრივი პროცესების განმსაზღვრელი მცნების გაგებასა და სტატუსზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა იმ მეტამორფოზის მიუხედავად, რომლებიც „virtus“-ის მცნებამ თავისი ევოლუციის მანძილზე განიცადა, მან შეინარჩუნა სამყაროს

შემქმნელი რეალობის მნიშვნელობა. ღვთიურ ვირტუალურ რეალობაში „ვირტუს“-ის როლს ასრულებენ რწმენა, იმედი, სიყვარული, სიკეთე, ბედნიერება და ა.შ. ეთიკურ ვირტუალურ რეალობაში „virtus“-ის როლს „ცხოვრების აზრის „მცნება ასრულებს. კულტურის ვირტუალურ რეალობაში „virtus“-ი ღვთიური შემოქმედების ძალაა.

მოდით, ნუ მოვყვებით ღრმა ფილოსოფიურ მსჯელობას და არჩევანი შევაჩეროთ ბოლო პოსტულატზე, რომელიც ღვთიური შემოქმედების ძალაზე მიუთითებს, ვირტუალური ფენომენის თანამედროვე მიღწევებმა რომ გადაგვიშალა, რამეთუ მხოლოდ „virtus“-ის მეშვეობით ხორციელდება ძალზე ღრმა კავშირები სხვადასხვა რეალობებს შორის და მეტიც, ეს კავშირები „virtus“-ის საშუალებით გამოვლინდება. რეალიზაციისკენ „მიდრეკილება“ უბრალოდ პოტენციური, დაფარული ან ლოგიკური შესაძლებლობა კი არ არის, არამედ ტექნიკურად განხორციელებადი რამ, მაგალითად, კომპიუტერული ვირტუალური რეალობა. ვირტუალურობის პრობლემათა მკვლევარები ორ ძირითად „განზომილებად“ ყოფენ მას: ზოგს საკითხის სამეცნიერო-ბუნებრივი ასპექტის პრობლემები აინტერესებს, სხვები კულტურულ-ფსიქოლოგიურ ხასიათს ანიჭებენ უპირატესობას. პირველი აქტუალურ ყოფიერებას განეკუთვნება, მეორე – ადამიანის შემოქმედებას და ცნობიერებას.

ვირტუალისტიკა შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც რეალობისადმი მიდგომა, – ამასთან ეს რეალობა მრავალსამყაროებაზეა დაფუძნებული, – ან როგორც რეალობების წარმოქმნის შესაბამისი ტექნოლოგია, ხერხი, მეთოდიკა, რომელიც მნიშვნელოვნად უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ვიდრე ფიზიკური სამყარო. ვირტუალურობა-რეალობის წყვილში მრავალი მკვლევარი არა მარტო რეალობისადმი ვირტუალური მიდგომების გასაოცარ სიმდიდრესა და ნაყოფიერებას, არამედ ვირტუალურობის წამყვან, პრიორიტეტულ როლსაც ხედავს. ამჟამად შესაბამის, ტექნოლოგიებს ბევრად უფრო დიდი ზეგავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე ფიზიკურ სამყაროს. მთელი პარადოქსი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ვირტუალურობა მატერიალურ რეალობაზე უფრო ფუნდამენტური და ღრმაა, რადგან ის „ცხადზე“ უფრო სრული, მდიდარი, ღრმა და ფანტასტიკურია. ვირტუალური ნათელს ჰფენს რეალურს, ვირტუალურშია რეალურის ფესვები და მიზეზები.

არსებული მიდგომები თავად ვირტუალური რეალობისადმი „სხვა სამყაროების“, სხვა ტიპის რეალობებისა და მათი პარალელური, ალტერნატიული აღწერების შესაძლებლობიდან გამომდინარეობს. ამ იერარქიაში „პირველად“ ან „უმალღეს“ ვირტუალურ რეალობას შეუძლია შემდეგი ვირტუალური რეალობა შვას და ასე „უსასრულოდ“: რეალობათა იერარქიის დონეთა რაოდენობაზე შეზღუდვები არ არსებობს.

იაკობის ბიბლიური კიბე „ზეცასა“ და „დედამინას“ შორის შესაძლო მდგომარეობათა თანმიმდევრობის, ზეცასთან მიახლოების სხვადასხვა დონეების ვირტუალური მდგომარეობების იერარქიის განჭვრეტის პირველი მოდელია. მსგავსი წარმოდგენები პრაქტიკულად ყველა რელიგიასა და კულტურაში არსებობს. ყველაზე მეტად ისინი ებრაულ კაბალაში, იუდაიზმისა და ალექსანდრიული გნოსტიციზმის სხვა ეზოთერულ მოძღვრებებშია განვითარებული.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ საკუთარ თავს ვკითხოთ: რას ეძებენ ადამიანები ვირტუალურ სამყაროებში?

ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ყველაფერი ელემენტალური და ცხადია. თუ ნარკოტიკებთან ანალოგიას გავავლებთ, შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალურობას მოაქვს „ნეტარი თავდავინყება“ - აქტუალურ რეალურ პრობლემებზე თვალის დახუჭვის და საკუთარი ფანტაზიების სამყაროში განზავების შესაძლებლობა. ისევე, როგორც ნარკოტიკები, ვირტუალური რეალობისაგან, მისი უბედურებებისგან, და საფიქრალ-სანუხარისგან გაქცევაა.

თამაშობათა სამყარო ამ მხრივ უნიკალური სულაც არ არის. იგივე ეფექტს იძლევა ნიგნები, ფილმები, კარიერა და ა.შ. ფსიქიკა შინაგანი უთანხმოებისგან იმით იცავს თავს, რომ ყურადღების ფოკუსი მტკივნეული თემიდან რაღაც სხვაზე, განყენებულზე გადააქვს. ამაში სამარცხვინო არაფერია – ეს ფსიქიკის თვითგადარჩენის ერთ-ერთი მექანიზმია. ამგვარი დაცვითი სისტემები რომ არ არსებობდეს, უკლებლივ ყველას შიზოფრენია შეიპყრობდა. თავის დროზე ვირტუალურმა სამყარომ “Second Life”-მა ჩაატარა კონკურსი საუკეთესო ფირზე, რომელიც „მეორე რეალობის“ არსსა და შესაძლებლობებს წარმოაჩინდა. გამარჯვებული (ანუ ერთ-ერთი პირველთაგანი) გახდა ძალზე დამახასიათებელი სიუჟეტის ფირი. ამ სიუჟეტში ინვალიდი, რომელიც რეალურ სამყაროში ვერ დადის, ვირტუალურ სამყაროში გადადის, სადაც დაკარგულ უნარს იძენს და ბოლოსდაბოლოს თავს სრულყოფილ ადამიანად გრძნობს. გულისამაჩუყებელია, არა? მაგრამ ნებისმიერი ფსიქოლოგი გვეტყვის, რომ ეს რეალობიდან გაქცევის ძალზე საშიში პროპაგანდაა, თავის გამანადგურებელი მოტყუებაა.

მაგრამ არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ვინაიდან ვირტუალურობის ბინადარნი ცოცხალი ადამიანები არიან, მათთან ურთიერთობაც იმავე ფსიქოლოგიურ კანონებს ემორჩილება, რომლებსაც რეალობაში.

შევვხოთ XXI საუკუნის ყველაზე საშინელ ქირს – გემბლინგს ანუ ლუდომანიას (ლუდომანია ლათ. ლუდო - „მე“ ვთამაშობ + სხვ. – ბერძნ. μάνα - ვნება, სიგიჟე, გატაცება), თამაშობამანია, თამაშდამოკიდებულობა, გემბლინგ-დამოკიდებულობა (ინგლ. gambling – ფულზე თამაში). ლაპარაკია თამაშდამოკიდებულობაზე. გაეროსთან არსებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში დამოკიდებულობის ამ სახეობამ ფსიქიკური დაავადების სტატუსი მიიღო. ფსიქიატრიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბოლო ხანებში „თამაშმანების“ მიმართვიანობა უფრო მეტია, ვიდრე ნარკოტიკებზე დამოკიდებულებებისა! სტატისტიკის თანახმად, დიდი ქალაქების უფროსი ასაკის მოსახლეობის დაახლოებით 8-10 პროცენტი თამაშდამოკიდებულია. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ თამაშები ავტომატით, ან კომპიუტერთი დაუოკებელი გატაცება ორ კვირაში, ის კი არა, ორ დღეშიც კი შეიძლება. პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან ცნობილი გახდა 10 წლის ბიჭუნას ამბავი, რომელიც 2005 წლის გაზაფხულზე ინსულტით გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ბიჭუნა „ვირტუალურ კაზინოში“ ათ საათზე მეტხანს მჯდარა ეკრანთან. „ბავშვის ტვინის დაზიანების ხარისხმა შოკი მოგვგვარა, – ყვებოდა ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი, – ბიჭი კვდებოდა და კომპიუტერს მაინც ვერ სწყდებოდა“. კომპიუტერთან თამაში თავის თავად ინსულტის მიზეზი ვერ გახდება, მაგრამ მრავალსაათიანი აზარტული “gambling“-ი „სტრესის პირობებში მიმდინარეობს და ამიტომ ზიანდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა“. (Седова;07.2006 журнал Оракул) „ნადგურდება“ იმუნიტეტი, უარესდება მხედველობა. სურათების უსასრულო ცვლამ თვალების წინ შეიძლება ეპილეფსიური გულყრა გა-

მოიწვიოს. როგორც წესი, თამაშდამოკიდებულება ბავშვობაში ყალიბდება. ამასთან თამაშის მოთხოვნილება ბავშვს გაუცნობიერებლად გადაექცევა, რათა დიდობაში მთელი სისრულით გამოჟღავნდეს.

საზოგადოდ, ვირტუალურ სამყაროში გადასვლა კაცობრიობას მას შემდეგ ახასიათებს, რაც გამოქვაბულის ბინადარმა მხატვარმა კედელზე პირველი ბიზონი გამოსახა. ალბათ, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, სინამდვილეში ყველაფერი უფრო ადრე დაიწყო - პირველი ვირტუალობა ცხოველურ ფსიქიკასთან ერთად გაჩნდა, როცა პირველმა ცოცხალმა არსებამ თვალთ შეხედა მწვანე გარემოს. ცნობიერება ხომ უკვე ერთგვარი ვირტუალურობაა, რომელიც კი არ ემთხვევა სამყაროს, არამედ მხოლოდ ირეკლავს მას თავის წარმოდგენებში. სამყაროს ვირტუალური მოდელი. ასე რომ ინტერნეტი უბრალოდ ადამიანური და ტექნიკური ევოლუციის კალაპოტში კი არ ძევს, არამედ ზოგადად ევოლუციის კალაპოტში. ჩვენ სულ უფრო ღრმად ვეშვებით გამოგონილ სამყაროთა უფსკრულში - ნიგნების, ფილმების, თამაშების, ვირტუალურობის საშუალებით და ბოლოსდაბოლოს გადავიჩეხებით მასში და მთელ ჩვენს ცივილიზაციას „ზღაპრებში“ გადავიტანთ. მაშინ ქსელებში იცხოვრებენ პიროვნებათა ელექტრონული ასლები, რომლებიც შესაძლოა არანაირ კონკრეტულ სხეულთან არ იქნებიან მიბმულები.

შეიძლება მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნდეს ვირტუალური ქსელებიდან უკან, მშობლიურ რეალობაში გაქცევის მოთხოვნილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Адуксандр Г. Американская азбука. Нью-Йорк. «Эрмитаж». 1994
2. Аквинский Ф. Сумма теологии // Антология мировой философии. 1969.
3. Бьюкетмен С. Конечная тождественность // Комментарии, №11. М., 1997.
4. Гараджа А.В. Бодрийяр // Современная западная философия. М., 1991.
5. Генис А.. Гипертекст – машина реальности // Иностранная литература/ - 1994 - № 55.
6. Гиренюк Ф.И. Симуляция и символ: вокруг Ж. Делеза. // Социо-логос постмодернизма. М., 1996.
7. Корсунцев И.Г. Философия виртуальной реальности // Виртуальная реальность: Философские и психологические аспекты. – М., 1997.
8. Лотман Ю М. Статьи по семиотике культуры и искусства / Предисл. С. М. Даниэля, сост. Р. Г. Григорьева. Спб.: Академический проект, 2002.
9. Носов Н.А. Фома Аквинский и категория виртуальности // Виртуальная реальность: философские и психологические аспекты. М., 1997.
10. Носов Н.А. Психологические виртуальные реальности. М, 1994.
11. Орехов С.И. Гипертекстовый способ организации виртуальной реальности. Электронный научный журнал Омского
12. Седова Т. Игра на поражение. 07.2006 журнал Оракул.
13. Вспомним Делеза: «Наблюдатель становится частью самого симулякра, а его точка зрения трансформирует и деформирует последний». Делез. Симулякр и античная философия.

14. См: Хейзинга Й. Homo ludens. М., 1992; Берн Э. Игры, в которые играют люди. Люди, которые играют в игры. М., 1992. Демин М.В. Игра как специфический вид человеческой деятельности // Ф.Н. М., 1983. № 2.
15. История создания часов. www.istoriz.ru
16. Baudrillard J. Simulacra and Simulation, University of Michigan Press, 1994.

ელზა ლომიძე

ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: პროგრესი და ზნეობრივი რისკები რეზიუმე

ვირტუალური რეალობა ძალზედ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს და ასახავს კულტუროლოგიურ, ინფორმაციულ, ტერქნოლოგიურ, სემიოტიკურ და სხვა სფეროებსა და მათში მიმდინარე პროცესებს. გლობალური ქსელი internet-ი (გარდა მატერიალური მატარებლებისა, როგორცაა „რკინა“) შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ჰიპერტექსტების, ნიშნებისა და სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც ქმნის „ვირტუალური რეალობის“ წარმოდგენებს. ამავე დროს საინტერესოა, რომ ძალზედ თანამედროვე სიტყვა „ვირტუალურის“ განმარტება არის შუასაუკუნეანი წარმომავლობის.

ვირტუალურ რეალობასთან მიმართებაში არსებული ზოგიერთი მიდგომა გამომდინარეობს „უცხო სამყაროს“ შესაძლებლობებიდან, სხვა ტიპის რეალობებიდან. ვირტუალურ სამყაროს გააჩნია მეცნიერულად დადგენილი სხვადასხვა კატეგორიის რისკები, მათ შორის ზნეობრივი, რასაც უწოდებენ მე-20 საუკუნის „შავ ჭირს“.

Elza Lomidze

Virtual mass media: progress and moral risks

Resume

Communication in the humankind history was one of the most important components of an individual's socialization process. But became the object of scientific interest only in the 20th century. There are many interpretation, definition and vision of communication theory. Communication theory by K. Shanon and U. Iveri is the most general and simple (1949), and suggests three types of codes. Moving from the reality to image, from reality to language and from image to language. Itself communication and its theory have made comprehensive and exciting development in the second half of the 20th century and was reflected in the theories of Craig, Berezini, Melville, Carnegie, Mironov, Maklueni and Debra. Different concepts demonstrate new species of communicative activities as a complex process, which requires a variety of knowledge and creative skills. Analytical philosophy passed the way up to "society~.

At the same time, he was admitting principles of any agreement in fundamental thesis of conventionalism. Communication as the trend within the primacy of philosophical dialogue is really the most important feature. On the number of concepts such as cybernetic, , informational, cognitive is revealed new face of the communiative work (activities), which creates a variety of knowledge and creative skills.

ნატო ონიანი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი

„სანავარდოს“ მითოსური პლანტაჟი

მოდერნისტულ რომანში მითოსური სიუჟეტების შემოტანამ სამყაროს ინდივიდუალური ასახვის ახალი საზრისული თუ გამომსახველობითი შესაძლებლობები გააჩინა. მითოსმა რომანი მრავალპლანიანი გახადა, მეტი სიციცხალე, მისტიურობა და საკრალურობა შემატა, ახლებურად გადაიაზრა მხატვრული ნაწარმოების დრო-სივრცული არეალი: ისტორიული და ისტორიის მიღმა არსებული, დროული და ზედროული. მითი განსაზღვრავს ნაწარმოების სტრუქტურას, ფილოსოფიას, პერსონაჟთა ხასიათს, სიმბოლოებსა და არქეტიპებს, მან შეიძლება შეცვალოს ან სულაც განსაზღვროს რომანის მხატვრული მოდელი- მეორეული პლანი, ან მოახდინოს განწყობის რეკონსტრუირება, შექმნას ეპოქის სული და სუნთქვა.

მითოსმა ახალი სუნთქვა შემატა ევროპული პირველწყაროდან ნაკვებ ქართულ მოდერნისტულ რომანსაც: მოდერნისტულმა მწერლობამ გაანათა ხალხოსნებსა და სოციალისტურ რეალიზმს შორის მოქცეული პერიოდი და შექმნა ლიტერატურული სტანდარტი, რომელიც ანგარიშგასაწევი გახდა შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურისთვისაც. ქართულ მოდერნისტულ რომანში მითი იქცა ნაწარმოების ღერძად, რომელზეც აიკინდა რომანის მთელი მხატვრული სისტემა; როგორც თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს: „ქრისტიანულ სამყაროში იშვიათია სხვა ქვეყანა, რომელსაც მითოსის ისეთი მდიდარი და არქაული დოკუმენტაციის მქონე მარაგი გააჩნდეს, როგორც საქართველოს. ქართული მითოსი ფესვეულად უკავშირდება შუამდინარეთის უძველეს თქმულებებს და, ამავე დროს, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ბერძნულ მითოლოგიასთან, რომლის ბევრი ელემენტი აგრეთვე წინააზიური წარმომავლობისაა“ (ჩხენკელი, 15-16). თამაზ ჩხენკელის მოსაზრება ქართული მითოსის შუამდინარულთან ნათესაობის თაობაზე მახლობელი იყო ქართველი მოდერნისტებისათვის: 1913 წელს გამოიცა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, რომელშიც გამოითქვა ჰიპოთეზა ქართველთა წინააზიურ წარმოშობასა და შემდგომ კავკასიაში მოსვლაზე, რამაც იმდროინდელ საზოგადოებაზე მართლაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. დემნა შენგელაიას რომანის პროტოგონისტისთვის კი შუამდინარეთი პროტოქართველთა ისტორიულ სამშობლოდ აღიქმება.

„სანავარდოს“ მითოსურ პლანს ბიბლიური და შუამდინარული მითოსური შრეები ქმნიან. რომანის მითოსური პლანის მხატვრული სიმბოლიკის ძირითად სქემას ბაბილონური სიყვარულის, ნაყოფიერებისა და ომის ქაღალმერთ იშთარის (შუმერული ინანა) მითი, უფრო სწორად, მისი დემნა შენგელაიასეული, მოდერნისტული ვარიანტი ქმნის. მითოსური პლანის სააზროვნო სივრცე გაჯერებულია იშთარის მრავალასპექტოვნებით, მისი მეტაფორული ვარიაციებით. თუმცა, თავად იშთარისა და თამუზის მითი სრული სახით „სანავარდოში“ მხოლოდ ერთხელ ჩნდება- რომანის მითოპოეტური სახისმეტყველება, რეალური ნარატივის პერსონაჟ ქალთა მითოსური პირველსახეები იშთარის მითში იღებს სათავეს და ორგანულად უკავშირდება ნაწარმოების მთავარ სათქმელს- ნაყოფიერების თემას.

იშთარისა და თამუზის მითი გარკვეულწილად, „სანავარდოს“ გასაღებს წარმოადგენს; სწორედ ამ მითთან შესაბამისობაში ვლინდება და დგინდება რომანის ზოგიერთი, ერთის შე-

ხედვით, აუხსნელი და ალოგიკური ეპიზოდი. რომანის უმთავრესი სათქმელის დემონსტრირებისთვის დემნა შენგელაია ახალ სიცოცხლეს ანიჭებს აქადური (ასურულ-ბაბილონური) ხანის ქალღმერთ იშთარისა და მისი ქმრის, ვეგეტაციის ღვთაების, მწყემს თამუზის მითს. მწერლის არჩევანი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო: ჯერ ერთი, იშთარი ნაყოფიერებისა და სიყვარულის ღვთაებაა, ბონდოს მთავარი პრობლემა კი უნაყოფობა და სიბერნეა, როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს: „ტრაგედია კაცისა, ვისაც შვილიერება, მოდგმის გაგრძელება, ნაყოფიერება ოცნებად გადაჰქცევია. ვისთვისაც ეს ოცნება განუზომელ სულიერ ტანჯვად გამხდარა“ (ბაქრაძე, 97). მეორეც, ბონდო ხშირად იხსენებს წინარექართველურ ტომთა ისტორიას, რომელიც წინააზიას, კერძოდ, შუამდინარეთს უკავშირდება და ამდენად, იშთარ-თამუზის მითის გამოყენება რომანის მითოსურ პლანად სრულიად ლოგიკურია, და ბოლოს: ინანა-იშთარი ყველაზე მასშტაბური და მოქმედების ფართო დიაპაზონის მქონე ქალღმერთია, რომელიც, როგორც „სანავარდოს“ მითოსური პლანი, საკუთარ თავში მოიცავს და აერთიანებს რომანის პერსონაჟ ყველა ქალს.

იშთარის ქმარი მითში თამუზია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბონდოს მითოსური პირველსახე ვეგეტაციის მუდმივად განახლებადი ღვთაება თამუზია, ღვთის ძეა, რომლის სახელიც ზოგიერთი ხალხის კალენდარში ახალმთავრობას, ივლისის თვეს ჰქვია და განახლებას, ხელახლა შევსებას უკავშირდება. მოდერნისტული რომანის სიუჟეტი თუ პერსონაჟთა მეტაფიზიკური არსი მითოსურ ქარგას უმეტესწილად, ბოლომდე არ მიჰყვება, თუმცა პირველსახის მოხმობა მისგან, როგორც ნორმიდან, გადახვევის მასშტაბებს ავლენს და ამ სახითაც მონაწილეობს მხატვრული სახე-სიმბოლოს კონსტრუირებაში. „სანავარდო“ ამ მხრივ ფართო მსჯელობის საშუალებას იძლევა.

ჭილაძეთა მახინჯი მოახლე ლიზიკია გუჯუ ლაბახუასთან სქესობრივ კავშირს ამყარებს. „გილგამემის ეპოსში“ ველური ენქიდუს განკაცებაში, მის ბუნებაში ჯერ კიდევ გაუღვიძებელი „კაცობის“ (შუმერულად ამალუთუ) გამოღვიძებაში ქალღმერთი იშთარი მონაწილეობს. იშთარი მისი კულტის მსახური ქალის, შამხათის მეშვეობით შეიყვარებს ენქიდუს და მასში, როგორც პირველკაცში, კაცთა მოდგმა გადის ფალოგენეზს. ამის შემდეგ ეზიარება იგი თანდათან ისეთ ცნებებს, როგორიცაა მტრობა, მეგობრობა, გულის სიხარული, გმირობა, სხვადასხვა ნიჭები, დაღლილობა, ტანჯული გული, შიში, სამართალი და განაჩენი: როცა ღმერთებმა „სიკვდილი მიუსაჯეს, აღმოხდა გოდება საკუთარ თავზე და... ქვესკნელში ჩასვლაც კაცთა ხვედრისამებრ წილად ერგო ენქიდუს, როგორც სავალალო პრივილეგია კაცად ყოფნისა, როცა წართმეულია ერთ-ერთი მე მრავალთაგან- ქვესკნელიდან ამოსვლა“ (კიკნაძე, 172).

თუკი იშთარისა და თამუზის მითს „სანავარდოს“ მეორეულ პლანად განვიხილავთ, ენქიდუ-გუჯუსა და ლიზიკია-შამხათის ანალოგიაც თავისთავად ჩნდება, თუმცა, განსხვავებით ენქიდუსგან, რომელიც ფალოგენეზის გზით კაცობას ეზიარა, გუჯუ საპირისპირო პროცესს გადის: იგი არაა სამყაროს პირველკაცი, პირიქით, უძველესი არისტოკრატიული გვარის უკანონო შთამომავალია, რომელიც თავისი პირუტყვული ვნებებითა და განუვითარებელი გონებით ესადაგება „სიცოცხლის ფილოსოფიისა“ და ნიცშეანობის უმთავრეს ლოზუნგს – მიბრუნებას უკან, პირველყოფილობისკენ: „გუჯუს შეაჟრჟოლა. ვნებაანთებულმა დაალო პირი, იზმუვლა ატე-

ხილი მოზვერვით, მკერდზე მუშტი დაიკრა, უცნაურად გაიპრანჭა და წინსაფარი აიწია... და იდგა სატანასავით ვნებაყეფებული, ბლაოდა და ეძახდა დედალს“ (შენგელაია, 1968, 103-104) – ასეა გუჯუს სახეში სიმბოლიზებული მიბრუნება უკან, ფესვებისკენ, პირველყოფილი სექსუალობისკენ. რომანის ფინალშიც (პირველი ვარიანტი) გუჯუ გადარჩება, როგორც ჯანსაღი ძალის სიმბოლო. ასე რომ, ლიზიკია შამხათი-იშთარია, თუმცა დემნა შენგელაია ამ შემთხვევაში „გილგამეშის“ მითიდან ნასესხები სახის ტრანსფორმირებას ახდენს: ლიზიკია შამხათის ფუნქციას ვერ ასრულებს და არც ასრულებს, რადგან მოდერნიზმის ესთეტიკა მითის პერსონაჟს განსხვავებულ ამოცანას უყენებს – დაბრუნებას უკან. მეტიც, ინტუიტურად ბონდო ილტვის გუჯუსაკენ, როგორც გადარჩენის შანსისკენ: „ბონდო... გაიქცა და მუხლებში ჩაუვარდა გუჯუს. – გუჯუ!...შენ შეგვენიე, გუჯუ, შენ დაგვიფარე!... ბლაოდა იგი ხელაპყრობილი და ფეხებს უკოცნიდა, თაყვანს სცემდა გუჯუ ლაბახუას“ (შენგელაია, 1968, 104). გუჯუ ენქიდუს სახეს უარყოფითი ნიშნით ავითარებს, თუმცა მათი კულტურულ-ასოციაციური კავშირები აშკარაა.

რომანის მითოსური პლანის გათვალისწინებით, ხათუნა-მზეთუნახავის ტანდემიც იშთარს უკავშირდება. წერილში „მზეთუნახავი“ დემნა შენგელაია აღნიშნავს, რომ მზეთუნახავი ბაბილონური ქალღმერთის, იშთარის ქართული ვარიანტია. ნაყოფიერების ქალღმერთის ორგვარ ბუნებას (სინმინდე და ბინიერება ერთდროულად) მიუთითებს ზურაბ კიკნაძეც, როცა აღნიშნავს, რომ გილგამეშის ეპოსში „დიდებული იშთარი“ თავად ეძალევა ვინმე მეზალე იშულანუს; ამდენად, მზეთუნახავი, რომელიც ყოველ ღამე მოდიოდა ბონდოსთან, „კდემამოსილი გადმოვიდოდა ოქროს ქოშებით და შეგებებულ ბონდოს ფარლულივით ჩამოეკიდებოდა მაღალ კისერზე. მთელი ღამე იყო ალერსი მინანქრის სასახლეში“ (შენგელაია, 1968, 14-15) – იშთარია, კდემამოსილი და ბინიერი ერთდროულად, რომელიც ბონდოს ცხოვრებაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც რეალურ ქალთან, ხათუნასთან მოუხდა დაშორება. პატარა ბონდო ქვეცნობიერად აკავშირებს კიდევაც ხათუნას მზეთუნახავთან, როცა მას ბროლის სასახლეში გამომწყვდეული მზეთუნახავის ამბავს უყვება, დევები და გველეშაპები რომ სდარაჯობენ, მისი განთავისუფლება კი მხოლოდ ბონდოს ძალუძს, რადგან მათი ბატონია და ღვთიურ ნიშანს ატარებს. ბროლის სასახლის- ბროლის კოშკის სიმბოლო დედის ზღაპრებიდან იღებს სათავეს და ასოციაციურ დონეზე რომანში უძველეს ქართულ, მითოსურ ამირანს აცოცხლებს- ჭილაძეთა შთამომავლის ზნეობრივ იდეალს, რომელიც ახალ დრო-სივრცულ არეალში ვერ რეალიზდა და ესაა სწორედ ბონდოს ტრაგედიის მიზეზი: იგი იმ ფუნქციას ვერ ასრულებს, წინაპრებმა და დედამ რომ

რომანში არის მაღალი ოსტატობით შესრულებული მხატვრული ეპიზოდი, როცა ბონდო ხედავს, როგორ უცნაურად იფურცლება კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ და შუა წიგნიდან უზარმაზარი ლირნი გომბემო ხტება, რომელიც ნიღბებს მყისიერად იცვლის: ხან ადგილის დედაა, ხან იშთარია, ხან დოდო ბაყაყი, ხან მზეთუნახავი, ხან ლიზიკია, საბოლოოდ კი „ბონდომ შეხედა- ხათუნა იყო. ბაყაყის ტყავი შრიალით გადიკეცა ქალის ზურგზე“ (შენგელაია, 1968, 118). რომანის პირველ ვერსიაში გომბემო ბონდოს მეუღლეს უწოდებს და პაემანზე წისქვილთან იბარებს. აკაკი ბაქრაძე ბაყაყის ტყავში გახვეულ მზეთუნახავის სიმბოლოს უკავშირებს ბონდოს ოცნებას ნაყოფიერებაზე. ბაყაყის ქალად... გადაქცევა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის ქართულ ზღაპრებშიც გვხვდება. ბაყაყი – იშთარის ზოომორფული სახეა, „წყლის

ბინადარია, წყალი კი მოიაზრება მდაბალ, ანუ ქალურ სტიქიად. ბაყაყი... ქვენა სამყაროს ატრიბუტია“ (ინწკირველი, 137).

რომანში კნიაჟნა ტრუბანოვას მითოსური ხატი ალი ფაინაა, რომელიც წვივმაგარ გლეხის ბიჭს შეიყვარებს და ყოველ ღამე მასთან მიდის, თუმცა როცა გლეხის ცოლი საქონლის პატივით დასვრილ მის ოქროს თმას ხელს შეახებს (თბილი წყლით გაბანს), შეყვარებულს ტოვებს და თავს ინამლავს. წერილში „ამირანის გარშემო“ დემნა შენგელაია თქმულების განსხვავებულ, ფოლკლორში დადასტურებულ ფინალს გვაცნობს: ალმა „ერთი შეჰკვივლა და იმ ოჯახიდან სამუდამოდ გადაიკარგა“ (შენგელაია, 1972, 301). შესაბამისად, ალი ფაინას თვითმკვლელობა მხატვრული გამონაგონია, რითაც ავტორი საკრალური სივრცის დესაკრალიზების შედეგებს კიდევ უფრო ამძაფრებს: ახალ რეალობაში ალი – მითოსური სამყაროს ბინადარი კი არ გარბის, არამედ თავს იკლავს, იღუპება. მწერალი ალის თვითმკვლელობის მიზეზსაც ხსნის: ბინიერების მიუხედავად, მზეთუნახავი მაინც „ღვთაებრივად წმინდაა და მინიერი ქალი... თავის შეხებით მას მუდამ ბილწავს, რის შემდეგაც ის გარდუვლად იღუპება“ (შენგელაია, 1972, 264).

ხსენებულ წერილში („მზეთუნახავი“) დემნა შენგელაია ქართულ ღვთაება დალს, უმცროს-ღვთაება ალსა და წმინდანთან იშთარს უკავშირებს: „ღვთაება, ანუ იგივე დალი სახელად იშთარ-ულამახესი, ე.ი. მზეთუნახავი ქალღმერთი იყო... იშთარი თავისი აღნაგობით სამივე სკნელს განაგებდა, რის მანიშნებელიც, ერთი მხრივ, ფრთები, მეორე მხრივ, თევზის ტანი და მესამე მხრივ კი მისი ძაღლის პირიანობა იყო... ის რომ ასტრალური ღვთაება იყო, ისიც ადასტურებს, რომ ის მაღალ ხეზე ბუდობდა და ღამეს დღესავით ანათებდა. ეს ხომ ჩვენი „წმინდანია“, სამეგრელოში ასწლოვან ხეზე ღამით რომ ჯდებოდა და ვარსკვლავივით ქათქათებდა!“ (შენგელაია, 1972, 266-267). ასე რომ, ალი-იშთარია, ტრუბანოვა კი მითოსური ხატი-ალი ფაინათი უკავშირდება ქალღმერთ იშთარს. ამ შემთხვევაშიც ბონდო ვერ გახდა ფრეილინა-ფაინა-იშთარის თამუზი, ანუ მისი ქმარი.

„მ-ლლე ჭიჭი“ და სკოპციის ქალი იშთარს სასიყვარულო ვნებებით უკავშირდებიან, მით უფრო სკოპცი, ვინაიდან მისი ურთიერთობა ბონდოსთან, მისი ვნება ერთგვარად რიტუალურ ხასიათსაც ატარებს. ამ კუთხით ორივე ქალი ქალღმერთის საკულტო მსახურებს-ღვთიურ როსკიპებს უკავშირდება, რომლებიც საკულტო მსახურებაში იშთარის ადგილს იკავებდნენ, თუმცა მათი „იშთარობა“ საკულტო მსახურების დროით საზღვრებს ვერ სცილდებოდა: იმდენი ხნით განასახიერებდნენ ქალღმერთს, რამდენსაც რიტუალი ითვალისწინებდა. მ-ლლე ჭიჭი-სა და სკოპცი ქალის შემთხვევაშიც ზუსტად ასეა: ორივე მათგანი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არიან ბონდო-თამუზთან. ამითვე უნდა აიხსნას სკოპცი ქალის თვითმკვლელობაც: იშთარის კულტში საკრალური ქორწინება ნაყოფიერებით არ სრულდებოდა: რიტუალურ სარეცელზე დათხეული თესლი მხოლოდ სხვათა გამრავლებისთვის საჭირო ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო. სკოპციის ქალმა ამ სქემას გადაუხვია და დაიღუპა კიდევ.

იშთარის მითოსურ პირველსახეს ბონდოსთვის ყველაზე ძვირფასი ქალი – დედა, ციციინო ხეციძეც უკავშირდება: ზურაბ კიკნაძეს მოჰყავს ფრაგმენტი იშთარის მითზე ერთ-ერთი ტექსტიდან, სადაც ინანა გოდებს არა მხოლოდ თავის დანაკარგზე, არამედ ქეყნის ბედზეც; ტექსტში ინანა ერთდროულად უწოდებს ბონდოს ქმარსაც და შვილსაც: „დედოფალი ქმარს ცხარედ

დასტირის,/ ვაი მის ქმარს, ვაი მის შვილს!... მის ქმარს დატყვევებულს, მის შვილს დატყვევებულს!... წამივიდა ქმარი, ჩემი ტკბილი ქმარი,/ წამივიდა შვილი, ჩემი ტკბილი შვილი“ (კიკნაძე, 244). ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ტექსტში არ იგულისხმება დედა- ამ სიტყვის ყოფითი მნიშვნელობით: იშთარის დედობა თამუზის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის, ქალური მფარველობის ნიშანია. „თამუზის მითოსში იშთარ-ინანას წვლილი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორცაა ოსირისის მითოსში ისიდასი, ატისის მითოსში- კვიბელესი, დიონისეს მითოსში – აპოლონისა, პერსეფონეს მითოსში- დემეტრასი და ა.შ. განწილული ღმერთის კვალად აღდგომის მისტიერიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მარადქალურ არსებას, რომელიც ზოგჯერ სატრფოა, ზოგჯერ და, ზოგჯერ დედა, ხოლო ზოგჯერ – სულყველა ერთად“ – აღნიშნავს მაკო ჯანჯიბუხაშვილი (ჯანჯიბუხაშვილი, გვ. 133) ასე რომ, თამუზის მითის ამგვარი წაკითხვა ტექსტის ლოგიკიდან გამომდინარეობს, თუმცა, გამომდინარე ტექსტის ხასიათიდან, ძნელია ზუსტად განსაზღვრო რომელიმე სიმბოლოს ანდა ხატის კონკრეტული მნიშვნელობა – მითოსური ხატები სწორედაც იმით არიან უნიკალურნი, რომ მათი რაიმე ტიპის არტახებში მოქცევა შეუძლებელია.

ქალღმერთი იშთარი (ინანა), როგორც ღვთაება, მრავალფეროვანი და მრავალასპექტოვანია, მისი მოქმედების დიაპაზონი კი მეტისმეტად ფართო: ცის დედოფალი, ქვესკნელთა ტყვე, ნაყოფიერების სიმბოლო და ომის ქალღმერთი, ამორძალი და ქალწული (სი-ქილ), მწუხრისა და ცისკრის ვარსკვლავი, სასიყვარულო ვნებათა დედა-უფალი და თავადაც სასიყვარულო ვნებით ანთებული, დუმუზის ქვესკნელად გამსტუმრებელი და მასზე მგლოვიარე. რაც შეეხება დუმუზი-თამუზის, როგორც ბონდოს მითოსურ პრასახეს: თამუზი იშთარის პირველი მითოსური ქმარი, წარმოშობით მეფე და შუმერის გაღვთებულ მეფეთა წინასახეა, ჭეშმარიტი მწყემსი, რომლის სამკვიდრებელი უდაბნოა და მასში გაშენებული ფარეხი, რომელსაც დროდადრო დახედავს ხოლმე იმის გასაგებად, ხომ არ დაუდგა ფარას განაყოფიერების ანდა დოლის პერიოდი. შუამდინარულ მითოსში დუმუზი-თამუზის ხატი ნაყოფიერების სიმბოლოა, „პარადოქსული არსება- ცის დედოფალს შეუღლებული მოკვდავი, მისგან გაყიდული საშავეთოდ და მისგანვე ცხარე ცრემლით დატირებული; ღვთაება უკვდავების გარეშე, თუმცა ღმერთების წრეში მიღებული, მაგრამ მავნეთაგან დევნილი და ქვესკნელში გატაცებული, საყვარელი სიძე მთვარის ძლევამოსილი ღმერთისა... და მზის ღმერთის, ენლილის მეგობარი,... რომელთაც ვერაფერი უშველეს, როცა უჭირდა, ან არ სურდათ შველა, თუმცა თავად ჩაისიძეს თავიანთ ბრწყინვალე ოჯახში უკაცრიელ ველებზე მოხეტიალე მწყემსი, ალაზევეს, რათა მერე თავისი ჯოგითურთ დასალუპად გაენირათ“ (კიკნაძე, 221). ამ მხრივაც ჰგავს ბონდო თამუზს, ისიც ასევე აღმოჩნდა გარემოების მსხვერპლი, რომელიც ისტორიამ და ბედისწერამ ჯერ ალაზევა, შემდეგ კი დასალუპად განირა, მისი ბედისწერა ფატალურია.

კიდევ ერთი ანალოგი ბონდოსთან – თამუზის ბედის წინასწარგანსაზღვრულობა: შუმერულ მითოსში მწყემსი უნდა დაიღუპოს, რადგან ხანმოკლეა თავად პირუტყვის ნაყოფიერების პერიოდი, ხოლო „როცა გამრავლების შეწყვეტას ემატება რძის გაშრობა... დუმუზი – „რძის ცხოველმყოფელი ძალა“... იღუპება, რის მითოსურ ნიშნადაც იგი ან უდაბნოში გდია თავგატეხილი, ან „შეკრულ-შებორკილი“ ქვესკნელის მავნეებს მიჰყავთ“ (კიკნაძე, 228). ასე იკვეთება

ბონდოს უნაყოფობა მის მითოსურ პრასახესთან, თამუზთან: ბონდო უნაყოფოა, იმთავითვე განწირულია და უნდა დაიღუპოს.

გარდა მოდერნიზმის ესთეტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ქართველი მწერლებისთვის მითის როლს საუკუნეთა გზა-გასაყარზე მომხდარი კატაკლიზმებიც განსაზღვრავდა. ქვეყანაში მიმდინარე რადიკალურმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და კულტურულ-იდეოლოგიურმა ცვლილებებმა ეპოქის კორექტივები ეროვნული მენტალიტეტის განსაზღვრაშიც შეიტანა: ეროვნული ცნობიერების ძირითადი კონცეპტების ხელახალი გადააზრების, ეროვნული თვითშეგნების გააქტიურების პროცესში მენინავე როლი კვლავ ლიტერატურამ იკისრა და ეპოქის სულისკვეთება არა მხოლოდ გამოხატა (ისტორიულ დროში მხატვრულად დააფიქსირა), არამედ თავადვე იქცა ფასეულობითი სისტემის ჩამოყალიბების ინიციატორად და ბიძგის მიმცემად. ამდენად, შემთხვევითი არაა „სანავარდოში“ სწორედ, შუამდინარული იმთარი-თამუზის მითის გაცოცხლება-რესტავრაცია: იგი ქართველთა წინააზიური წარმომშობის შესახებ თეორიების მწერლისეულ გააზრებას უკავშირდება: დემნა შენგელაია იმთარის მითის იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ პუნქტებს აცოცხლებს, ქართველთა უძველეს წინა აზიურ ცივილიზაციასთან ბმას რომ ადასტურებენ.

იმთარი-თამუზის აქადური მითის დემნა შენგელაიასეულ ინტერპრეტაციაში ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთი იმთარიც უნაყოფო რჩება და მისი ქმარი, ღვთაებრივი მწყემსი თამუზიც. ორივე მათგანი დაშრეტილი და უსიცოცხლოა, ღვთაებრიობისგან დაცლილი და პროფანული. ისინი ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ პატივაყრილ წარმართულ ღვთაებებს ჰგვანან, რომელთა გაცოცხლებას მოდერნიზმი შეეცადა, თუმცა, სასიცოცხლო ძალებისგან დაცლილთ და სიცოცხლის უწყვეტ ციკლს მონყვეტილთ მხოლოდ სიმბოლოების მნიშვნელობადა შემორჩათ. ბონდოც სიმბოლოდ აქცია უნდობარმა ხანმა, რადგან სწორედ მას არგუნა ბედისწერამ საკუთარ თავზე ეწვინა ეპოქათა ცვლილების სიმძიმე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. მითოლოგიური ენგადი, ნეკერი, თბ. 2000.
2. ინწკირველი 2004: ინწკირველი ე. ბიბლიური სიუჟეტების ხალხური ვარიანტები, დისერტაცია, თბ. 2004.
3. კიკნაძე 1979: კიკნაძე ზ. შუამდინარული მითოლოგია, საბჭოთა საქართველო, თბ. 1979.
4. შენგელაია 1968: შენგელაია დ. სანავარდო, თხზულებანი, ტ. I. თბ. საბჭოთა საქართველო, 1968.
5. შენგელაია 1972: შენგელაია დ. თხზულებანი, ტ. IV, თბ. საბჭოთა საქართველო, 1972.
6. Леви-Строс 2001: Леви-Строс К. Структурная антропология, ЭКСМО-Пресс, М. 2001.
7. ჩხაიძე 2000: ჩხაიძე თ. მიბრუნება წარმართობისაკენ. თბ. 2000.
8. ჩხენკელი 2009: ჩხენკელი თ. ტრაგიკული ნიღბები, მემკვიდრეობა, თბ. 2009.
9. ჯანჯიბუხაშვილი 2003: ჯანჯიბუხაშვილი მ. მარადქალური (გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულის“ მიხედვით, „თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით“ (კრებული ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის ხსოვნას). თბ. 2003.
10. თამუზის სიზმარი 1969: თამუზის სიზმარი, ძველი შუამდინარული პოეზია, თბ. 1969.
11. „მნათობი“ 1924: მნათობი“ 2.

ნატო ონიანი

**„სანავარდოს“ მითოსური პლასტები
რეზიუმე**

ნატო ონიანის წერილში განხილულია დემნა შენგელაიას მოდერნისტული რომანის „სანავარდოს“ მითოსური პლანი, რომლის მხატვრული სიმბოლიკის ძირითად სქემას ბაბილონური სიყვარულის, ნაყოფიერებისა და ომის ქალღმერთ იშთარის მითის ავტორისტული ვარიანტი ქმნის. რომანის მითოპოეტური სახისმეტყველება, რეალური ნარატივის პერსონაჟ ქალთა მითოსური პირველსახეები იშთარის მითში იღებენ სათავეს, ბონდო ჭილაძე კი იშთარის ქმრის, ვეგეტაციის ღვთაების, მწყემს თამუზის სახეში, რაც თავისთავად, განსაზღვრავს რომანის პერსონაჟების ხასიათსა და ბედისწერას და ორგანულად უკავშირდება ნაწარმოების მთავარ სათქმელს – უნაყოფობის თემას.

Nato Oniani

**The Use of Mythical Method in “Sanavardo”
Summary**

Nato Oniani's thesis discusses the mythic layers and methods in Demna Shengelaia's modernist novel “Sanavardo”, the main symbolic scheme of which is constructed and based on the author's interpretation of the myth of Ishtar, the Babylonian goddess of war, love and fertility. Mythic and poetic images in the novel, as well as the mythical parallels for the women characters originate in the myth of Ishtar, while Bondo Chiladze represents Ishtar's husband, the god of vegetation and the muse of shepherds. This scheme partly characterizes the main heroes in the novel and is internally connected to the main idea of the book – the theme of sterility.

Gilles Rouet

Université de Reims Champagne-Ardenne, France

Matej Bel University, Banská Bystrica, Slovakia

THE EURO AND THE EUROPEAN PROJECT

The euro area (Economic and Monetary Union, EMU) includes 18 countries of the European Union that have adopted the euro as their single currency. In total, over 324 million people use the euro in this scope (1 January 2014). 25 countries currently use this currency. The integration into the Eurozone is an obligation for all member countries of the European Union (except the UK and Denmark), and is linked to the respect of several criteria: less than 3% of GDP deficit, a debt service not exceeding 60% of GDP, an inflation control, the independence of the Central bank and the stability of the national currency for at least two years in the European Exchange Rate Mechanism II (ERM II), an agreement of the Council for economic and Financial Affairs (ECOFIN), which brings together the Finance Ministers of the Member States, created after the introduction of the euro on the 1st of January 1999.

The European Central Bank sets the key rate (*repo*) of the Eurozone (1% since December 8, 2011). Since the beginning of the global financial and economic crisis in 2008 and of the crisis of the Greek public debt in early 2010, then the Irish crisis, the Eurozone came into turmoil and undergoes significant structural changes.

It is not, in this paper, to develop economic and financial aspects, but to offer some thoughts on the single currency, at the centre of many debates in each country of the EU. For Jacques Sapir, “*from Greece to Italy, via Ireland, Portugal and Spain, the euro area is now on fire. The euro is dying today*” (2012; p. 9). But this death does not seem to come now as the members States of the Eurozone seem to have managed to avoid both that a zone countries could exit and to accept the idea of a necessary solidarity. The debates in Slovakia, for example, are characteristic of this situation: the crisis in some countries, especially Greece, has been the pretext to address (finally) in the public spaces this question of solidarity. The new member States, acceding since 2004, and among them, those who have entered the Eurozone, cannot become true partners only if they practice solidarity. This active solidarity overcomes the step of an accepted but insufficient assistance for full participation in the European building.

The question of the Euro goes beyond the economic and financial framework. Money is a symbol, a factor and a proof of belonging to Europe. The issues relating to the Euro (leave the Eurozone or not? Remove the single currency?) are not only related to economic and financial aspects, but also to the permanence, to the resurgence of stereotypes and prejudices. The crises exacerbate behaviours and editorialists have then some good opportunities to make fun from the Greeks and from their lack of efficiency, denouncing corruption and embezzlement of EU funds, to berate the lack of rigour of some governments (or of some people) while denying the supposed German authoritarianism.

But who can make the lesson to others? Who bears responsibility for the crisis, for the falling incomes, for the increase of unemployment, the declining of social benefits?

The Euro has become an easy scapegoat for some nationalist policies that seek to implode the EU from the inside and to install protectionist policies and full national sovereignties.

The European Union is not an irreversible federation and even if the attitudes have changed, if the free circulation, in particular, have fundamentally changed the representations like behaviours, the boundaries are always present and can be activated again physically. In addition, new borders have been installed (Come & Rouet; 2013).

The crisis is not really that of the Euro, but of the Union, because economic and financial crises affect all Member States, and not just those in the Eurozone: A crisis of the project, perhaps, of confidence, certainly. In the Spain, Greece, Bulgaria, France and Belgium or Italy, a sense of injustice grew, disenchantment has won numerous populations (Rouet; 2013) and it is important to accept some analysis to develop solutions. The Euro was at the centre of debates because of the origin of the crisis, but rather it is a developer whose symbolic character precisely reinforces the relevance.

The Euro, European symbol

Element charged with a meaning beyond its appearance, culturally and politically determined, the symbol has different functions, in particular to represent a state, an entity, a feeling or a concept or paradigm.

For Carole Lager, *“with the Euro, the European citizens have the concrete symbol of their belonging to a community. But the Europe still belongs to the order of means, to serve a purpose that, for most of the political authorities, is still the national interest. [...] May the Euro contribute, as a symbol, to the construction of a ‘European identity’? The answer is far from simple...”* (Lager, 2005; p. 61). The symbol corresponds then to a value, since it embodies an ideal, while being social because it is an object of communication and of socializing, with a collective function of gathering around an idea, a project, a concept or a policy (Lager, 1995; p. 31). *“The symbol is a mediator and a unifier. It specifically represents the community, it maintains and reinforces the membership and the adherence to a common system of values and actions, it mobilizes and brings people together, and facilitates consensus”* (Lager, 2005; p. 69).

Any State, federation or political organization needs symbols and every citizen within the EU recognizes the national symbols associated with its own sense of belonging. It should be the same for the EU, a young political organization that does not have a huge symbolic: a flag, an anthem without words, a public holiday that articulates with the commemoration of the end of World War II (May 8, generally within the European Union, May 9 in Russia). A Pantheon of Great Men, a collection of dates and Treaties: these are the elements of a History that remains to build and share.

The symbols are fundamental and the European Union needs a symbolic linked to its legitimacy, to the affirmation of a sense of belonging and expressed in good conscience, in European public spaces. It is to clearly articulate the positions of each in relation to the European, transnational project, and to populate everyday of objects, of symbols such ideas and representations. Then the EU could become an identification space, an reference political object. The symbols, in this approach, contribute to the safety of citizens, an essential prerequisite for legitimizing a protective political system (Lacroix & Magnette, 2008; p. 15).

While the symbols may be imposed from above, a flag can be proposed and adopted, but also from below, by a widespread use. The European Parliament, in 1985, had highlighted the need for symbols. It *“believes that symbols are an important way to make Europe closer to its citizens: a) in this context [it] invites the national postal administrations to issue stamps bearing all European symbols and to uniform the postage rates for postcards and for common letters to other Member States; b) request the removal of customs panels installed at internal borders, because they ignore the existence of the common market and*

undermine the credibility of the Community; c) request the establishment of uniform boundary signs at the external borders of the Community to announce the existence of the European Community; d) considers it necessary to create an anthem and a flag of the Community” (European Parliament, 1985).

It is necessary then to find a legitimation in the symbolic: boundary signs, postage stamps, anthem and flag... But it is obviously not easy to impose a symbol: alone it is not capable to incite the legitimation. The process is more complex. It is obviously not enough to impose a flag to found a State.

The EU should have a meaning for the symbol to function as such. It is necessary to take into account its use, in sharing, in this differentiation between self and other. No symbol in the whole sense without identification, without any sense of belonging. The object that became symbol reveals, by its use, more than it creates. In contrast, his assertion in public areas participates in the creation of an environment, of a favourable context.

So is it conceivable that the Euro become, de facto, a symbol of the EU, shared not only by the citizens of the Eurozone, but also by others who have to know the situation of their neighbours in particular within the Schengen area? Thus, the use of a single currency participates really in the identification of the European project.

Money is not a symbol like any other. The object, coin or banknote, includes signs, often portraits (but not in the case of Euro banknotes). Each finger can touch some national or European hallmarks on coins and caress a Marianne or a King, mountains or other symbols. The currency, form of social relationship, is both a medium of exchange, a sign of property, by itself, and a social link by its uses.

The money is an essential element of identity, because it is a materiality of belonging to a group, a nation, a country, as part of a personal connection. For several centuries, the currency is also the link between a political entity, a State, and a citizen. The legitimation of a currency is also that of the State.

This symbol is particularly effective because it connects every citizen to his daily life as to a reference group. It is therefore not surprising that the introduction of the Euro has sparked much debate with respect to iconographic choices for notes and coins. It was necessary to ensure European legitimacy without neglect the national level, and offer the possibilities to member States to choose the figure of the obverse while the reverse of coins is standardized. For the banknotes, the project was to illustrate a general and European concept, unidentifiable nationally (bridges, windows and gates) to develop a logic of opening. The notes are then easily interpretable as a summary of the European cultures through successive architectural styles, from the Classic through the Gothic or the Baroque (Alleron 1999; p. 99-100).

The uses of the single currency, as in the case of the European anthem or the flag, are beyond mere economic use. The Euro is a realization of the European Union, in the countries that have adopted it. This symbolic membership becomes commonplace and transparent. Great European project, the single currency has obviously an impact on the perception of the reality of the EU by embodying both a loss of sovereignty of the Member States for the benefit of the EU and a common economic identity. And, conversely, this perception also exists within the Member States of the EU that have not adopted the euro, in particular, and despite the crisis, in the sense of an adhesion to this project for several new countries members of 2004 or of an increase of the distance between citizens and the European project, in other countries.

It seems that the Euro, identification factor, promotes the emergence or the maintenance of a sense of belonging to the EU, even some European identities. The spread of the Euro installs an economic zone, certainly, but also a social zone, a coherent region. It is not only a facilitator of trade or holidays, but also

an everyday object whose uniqueness reveals the reality of a common destiny among the citizens. Thus, the adoption of the Euro by some other countries, enclosed or seeking a rapprochement with the EU is not only a monetary strategy.

The Euro and the Europeans


The evolution of the statistics provided by the Eurobarometer shows that, overall, from 2002 to 2008, since the launch of Euro banknotes and coins until the beginning of the economic crisis; the Euro has contributed much to strengthen the feeling of belonging the EU. But, since 2008, the public debates give a large place to the Euro crisis. However, have the Europeans distanced themselves from their single currency?

Since 2009, the standard Eurobarometer surveys provide the answers, State by State, to the question “do you agree or disagree to say that the Euro has mitigated the effects of the crisis?”. For example, 30% of French respondents tend to agree with this statement in 2009 (29% are somewhat disagree). But in 2010, they are 34% to “strongly disagree.” This score is certainly linked to a more comprehensive assessment of the confidence in the EU. Between 2002 and 2007, the French seem hesitant between trust and rejection and their opinion becomes more settled from 2007, and a majority of French people, since the crisis, lost confidence in the European Union. Only a third of respondents said that they always trust in 2011.

However, the rejection did not become a norm. The French are well aware of the economic crisis as of the situation in their country or of the present difficulties, but the EU, if it inspires less confidence, is not rejected by a majority.

As in other countries, it appears that the Euro, with its symbolic and its realisations, constitutes a key element in explaining the attachment of many Europeans to the project, otherwise to the institutions.

In the Standard Eurobarometer No 80.1, released in December 2013 and based on a survey conducted in November 2013, several questions will go further on these aspects and are useful to draw a map of the perception of the euro in the EU.




Maps n° 1 & 2: “The Euro represents the EU for you personally” and “You are for an economic and monetary union with a single currency, the Euro”. Sources: QA12 and QA17.1, Standard Eurobarometer 80.1, December 2013

First, the question QA12, “What is for you personally the European Union?” has 7 items, and the respondents could choose more than only one. The Euro is one of the possible choices (with unemployment, bureaucracy, waste of money, loss of cultural identity, increased crime and the lack of border control). It should be noted that if the Euro can be considered either positively or negatively, it is not the same for the other six criteria which have a negative connotation.

The first map draws a rather different Europe: in only three countries the majority of respondents considered that the Euro represents the EU (Belgium, Austrian, and Slovakia). In most countries, between 30 and 50% of people share this opinion, the others indicate rather putting forward bureaucracy and waste of money. These countries form a fairly coherent region, geographically, including Greece (46% of Greeks surveyed cite the Euro as the representation of the EU), Finland and Estonia.

In ten countries the score is less than 5%. If the rate is not surprising for the United Kingdom, Denmark or even potential or official candidate countries, it may worry for Lithuania (that should join the Eurozone on the 1st of January 2015), Hungary and Croatia. In Bulgaria, the Euro is not a concern; the currency is pegged at a fixed exchange rate. In contrast, Poland, Czech Republic and Romania, fluctuations in recent years of exchange rates partly explain the relatively good scores or the answer “Euro” to this question (between 20 and 30%).




Maps n° 3 & 4: “The euro is the most positive outcome of the EU” (first response) & “The euro is the most positive outcome of the EU” (second response). Sources: QD6a QD6b, Standard Eurobarometer 80.1, December 2013

Overall, despite the crisis and its effects, a third of respondents are in favour of an answer with rather positive connotation (Euro) to other rather negative items.

The second map draws a rather different Europe. It is this time of political opinion on economic and monetary integration with the Euro. In only 9 countries, less than 50% of respondents agree with this policy

(the United Kingdom, Denmark, Sweden, but also Poland, the Czech Republic, Lithuania, Cyprus, Serbia and Turkey). The distrust of Poles and Czechs vis-à-vis economic policy is therefore clearly evident and joined the Northern countries. It is clear that the European project in share is not unified, at least in this area of economic institutions.



Maps n° 5 & 6: “The Euro is the most positive outcome of the EU” (third response) & “A more responsible governance of the Euro is an effective or very effective measure to combat the financial and economic crisis”.
Sources: QD6c QC5.6, Standard Eurobarometer 80.1, December 2013

The maps 3, 4 and 5 project the scores of citation of the Euro as the most positive result of the EU, at first, second or third place. The Slovaks, Finns and Belgians (between 15 and 21%) are more supporters of the Euro as first positive result. These three maps show a very strong coherence between the Eurozone and the response rate in favour of the Euro, especially if the three scores are added together. This finding indicates a link between the use and the acceptance of the single currency.

The last map (n° 6) can be observed in comparison with the card n° 2 (“You are in favour of an economic and monetary union with a single currency, the Euro”), but it is no longer only to endorse an economic and monetary union, but to consider a change in the governance of the Euro as a solution to the financial and economic crisis. The vast majority of respondents agree to this idea that is, so, almost obvious. But the Greeks are still more sceptical than others (with a score similar to that of British). The Slovaks, Austrians, Belgians and Luxembourgers have the highest scores, but also Romanian, Portuguese and Spanish, this two last countries was faced a major crisis.




Figure n° 1: Mapping of Principal Component Analysis on the variables of the previous maps. Sources: QA12, QA17.1, QC5.6, QD6a, b & c, Standard Eurobarometer 80.1, December 2013

The previous mapping concludes these observations. It is a projection of the different countries of UE with respect to a Principal Component Analysis performed on six variables previously mapped. The mapping also shows the date of introduction of the Euro in cash, in each country.

The observation is clear: the countries of the Eurozone are almost all located to the left of the graph, mainly with respect to the horizontal axis, the most representative of the projection. We find there Belgium, Slovakia, Austria, Finland and Luxembourg on the left and United Kingdom, Czech Republic, Denmark, Sweden and Lithuania to the right, which confirms the previous observations.

However, if the opinions seem trenches in the countries mentioned above, the Eurozone includes a portion rather in the centre-left of the mapping and therefore with less radical views, while countries outside the Eurozone, such as Bulgaria, Poland, Croatia and Hungary are located in the down-right of the mapping.

The location of Greece (top of the graph) and of Spain (bottom of the graph) are, indeed, linked to the crisis and its management. But we must also address the case of Latvia and Cyprus, two countries of the Eurozone, but relatively recently integrated, which may explain the difference of opinion.

The Euro and the European integration

As explained above, the Euro, monetary instrument and attribute of European integration, is a symbol of European identity and a key to creating a sense of belonging. But the situation is not homogeneous either within the Eurozone, or within the part of EU without Euro or within the candidate countries.

If the uses and common norms related to the spread of the Euro are key to creating a sense of unity, and, then, of a political legitimacy (if not of adhesion or solidarity), we must take into account the date of

the introduction of the Euro. The situation is quite different between countries that joined the Eurozone in 2008, 2011 or 2014 and those who joined in 2002, except, most certainly, of Slovakia. If we except Romanians (outside the Eurozone), Cypriots and Latvians (inside the Eurozone), the consistency of views with the belonging or not to the Eurozone is clear: people are much more likely to be critics about the Euro when they do not use this currency directly.

Thus, this unifying element in itself, the Euro, seems to be an identifying factor to the European Union. For the third of the EU citizens, it is the Euro that best represents EU and an exit of the Eurozone is claimed only by a very small minority (2% in 2013).

However, the Euro is not the first most positive outcome of the EU. It is indicated at the first place only in the third position, only by 8% of respondents (19% at first in second place, 25% at first in third place). The citizens cite more often the peace between the Member States and the free movement of people, goods and services. But it is difficult to put on the same level the Euro and these results, especially because of the transparency and the banality of the use of the Euro in the everyday life. If the Euro represents the EU in many countries, more than the European flag or the passport with European mention, it is not for that an expected result, but an institutional element.

The symbolic function of the Euro, in fact, as we explain, is a factor of identification beyond the monetary function. It appears that it is difficult to clearly link the economic aspects to the attachment to Euro. Even in times of economic crisis, people are still attached to their currency, as show the previous observations.

But the question of the robustness of the symbol arises and it is always possible to consider the possible exits of the Eurozone, which would only contribute to a weakening of the European project. However, the time of currencies and of their use is not necessarily the same than the time of politics!

References:

1. Alleron, M. (et al.), 1999, *Les enjeux de l'euro*, Paris : Economica.
2. Barthalon, O. (et al.), 2009, *L'euro dix ans après, Un premier bilan à l'heure de la crise financière*, Paris: L'Harmattan.
3. Côme, T., & Rouet, G., 2013, «Erasmus et la mobilité en Europe, anciennes et nouvelles frontières », *Journal of International Mobility*, « Moving for education, training and research », Peter Lang ed., Berne, vol. (1).
4. Eurobaromètre, 2014, sur <http://ec.europa.eu/public_opinion/archives/eb_arch_fr.htm> (15.6.2014).
5. Koenig, G. (dir), 2002, *L'euro, vecteur d'identité européenne*, Strasbourg : Presses universitaires de Strasbourg.
6. Lacroix, J., Magnette, P., 2008, «Théorie politique », in Belot, C., Magnette, P., & Saurugger, S., *Science politique de l'Union européenne*, Paris : Economica.
7. Lager, C., 1995, *L'Europe en quête de ses symboles*, Berne : Euroclio, Études et documents.
8. Lager, C., 2005, «L'euro, symbole d'identité européenne?», Nathalie Tousignant et Martin Pâquet (dir), «Les transformations du système européen : de la construction identitaire aux nouvelles formes de gouvernance », *Études internationales*, vol. 36, n° 1.
9. Parlement européen, 1958, «Résolution sur l'Europe des citoyens », Journal officiel des Communautés européennes, C 345/27, 13 novembre, sur <<http://ec.europa.eu/dorie/fileDownload.do;jsessionid=QTj2P>

JXR5dvJq2yNwb2GkLVw9Tc88DwKJpHY3HSGDhHX2GGNy5Zl!-572674064?docId=186851&cardId=186851> (15.6.2014).

10. Rouet, G. (dir.), 2013, *Mobilisations citoyennes dans l'espace public*, Paris : **Éditions** L'Harmattan.
11. Saint-Etienne, C., 2011, *La fin de l'euro*, Paris : François Bourin.
12. Sapir, J., 2012, *Faut-il sortir de l'euro ?*, Paris : Éditions du Seuil.
13. Wiener, A., & Diez, T., 2009, *European Integration Theory*, Oxford : Oxford University Press.

ჟილ რუე

ევრო და ევროპული პროექტი რეზიუმე

ევრო, როგორც ერთიანი ვალუტა, ინტეგრაციის ეკონომიკური ინსტრუმენტი, მაგრამ ასევე, ის წარმოადგენს ევროკავშირის სიმბლოს.

2008 წლიდან მომდინარე ეკონომიკურ კრიზისს და საჯარო დებატებს ევროზონის რამოდენიმე ქვეყანაში არსებული სიტუაციის თაობაზე, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, მათ შორის გამოწვევის წინაშე დადგა ევროპული პროექტიც. გარკვეული პოლიტიკური ძალების მოლოდინი, რომ ევროს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გამო, არ გამართლდა: ერთიანი ვალუტისაკენ ორიენტაცია ისევ ძლერი რჩება, მათ შორის ისეთ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ევროზონის წევრები. უფრო მეტიც, სიმბოლური ვალუტა და მისი გამოყენების ტრივიალიზაცია, ფაქტიურად, აძლიერებს ევროპული ზონის წევრობის შეგრძნებას.

Gilles Rouet

The Euro and the European project Summary

The Euro, single currency, is an economic instrument of integration, but also a symbol of belonging to the European Union. The economic crisis since 2008 and the public debates about the situation in several countries in the Eurozone have important political consequences, with a challenge to the European project, but the thesis of a Euro responsible for the crisis was not as successful as expected by some political people and the commitment to the single currency remains strong, including among some countries that are not members of the Eurozone. The symbolic currency and the trivialization of its uses contribute de facto to strengthen the feeling of belonging to the European Union.

ხათუნა ჩარკვიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

PR როგორც პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი

პოლიტიკა წმინდა ადამიანური ფენომენია. იგი ადამიანთა თანაცხოვრების პრაქტიკის საკითხია. ვებერის აზრით, „პოლიტიკა არის მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ“. პოლიტიკა არის საშუალება საზოგადოებრივი საკითხების გადასაჭრელად. პოლიტიკური საკითხი წარმოსდგება სოციალური პრობლემიდან. პოლიტიკა არის ძალაუფლებრივ ურთიერთობათა წესრიგი, რომელიც გარკვეულ კანონებს ემორჩილება. პლატონი და არისტოტელე პოლიტიკას მიიჩნევენ ადამიანის უმაღლეს საქმიანობად, რომელიც არის ცოდნაც და ხელოვნებაც ერთდროულად. პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს იდეალი, რაც პოლიტიკის, პროგრესის საფუძველია. მისი მიზანია სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფა. პოლიტიკა არის სიკეთის განხორციელების მცდელობა ამ ქვეყნად, იმისა, რაც ყველასათვის სიკეთეა ეს არის მარადიული სიკეთის ანარეკლი. მაკიაველიმ პოლიტიკა განიხილა როგორც საშუალება ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. თუმცა, მასთანაც საბოლოოდ პოლიტიკის მიზანია სიკეთე. დღევანდელი რეალობის ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, თანამედროვე პოლიტიკის მიზანია არა საზოგადოების გარდაქმნა, სრულყოფა საზოგადო სიკეთის იდეების მიხედვით, არამედ პოლიტიკა გახდა მმართველობა.

ამ შემთხვევაში როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკის მმართველობით ფუნქციაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკა, როგორც მართვა მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებიც განსხვავებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს გამოსახავენ, კონსესუსის ან კომპრომისის მიღწევას. საუკუნეების მანძილზე პოლიტიკის მიზანი ისტორიულად იცვლებოდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში პოლიტიკის მიზანი იყო:

- სიკეთის სამსახური,
- საზოგადოების გარდაქმნა,
- საზოგადოების მართვა,
- საზოგადოებაში კომპრომისი და კონსესუსის უზრუნველყოფა,

პოლიტიკის სფეროთი დაინტერესებულ მკვლევართა შორის პოლიტიკური ყოფიერების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს რჩეულის საკითხი, თუ ვინ უნდა მართავდეს სახელმწიფოს. ეს საკითხი აქტუალური იყო პლატონისთვისაც და ასევე რჩება აქტუალურად თანამედროვეობისთვისაც წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში.

პლატონის აზრით, პოლიტიკის მიზანია სიქველე, მმართველი უნდა იყოს ბრძენი, მე-ფე ფილოსოფოსი, რადგან მათ იციან მარადიული სიკეთე, რაც ყველასათვის, ყველგან, ყოველ დროს სიკეთეა. ამ სიკეთის განხორციელება ამ ქვეყნად საზოგადოებას დაიცავს ცვლილებებისგან, ე.ი. დაშლისა და დარღვევისაგან (რამიშვილი, 431). ვებერის აზრით, მონოდებით პოლიტიკოსს, რამდენიმე ნიშანი ახასიათებს: მას გული ყოველთვის შეუძლებელის სამყაროსკენ უნდა მიუწევდეს. მისი ვნებაა სწრაფვა სრულყოფილებისაკენ, მაგრამ ეს რომ შეძლო უნდა

იყო ბელადი და გმირი. იგი ემსახურება სკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებას ამქვეყნად. იგი კარგად ხედავს ამქვეყნიურობის მანკიერებასა და წარმავლობას, საკუთარი მცდელობის უსარგებლობასა და ამაოებას, მაგრამ მიუხედავად ამისა შესწევს ძალა თქვას: „და მაინც“ ვემსახურები სიკეთესა და სამართლიანობას. (რამიშვილი, 435). პლატონმა და არისტოტელემ სახელმწიფო აღიარეს ადამიანის სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზად და საშუალებად. სახელმწიფოს არსებობის საფუძველია ადამიანში არსებული მისწრაფება სიკეთისაკენ, რაც ემყარება ადამიანის მიერ სიკეთის თანშობილ ცოდნას. სახელმწიფოს მიზნის გაგება იცვლებოდა ისტორიულად. სახელმწიფოს თანამედროვე თეორიები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა თვით ადამიანის მოვალეობის სფეროა. თუმცა თანამედროვე სახელმწიფო ცდილობს შეითავსოს ყველა ეს ფუნქციები, რათა უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობა. ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს გონიერი ლიდერის, პასუხისმგებლობით აღჭურვილი მმართველის გარეშე. პოლიტიკოსობა არის რისკის სფერო მოვალეობასა და ცდუნებას შორის. პრობლემა იმაშია თუ რისთვის ეძლევა ადამიანს ძალაუფლება. რა არის ძალაუფლების მიზანი? აქვს კი ადამიანს სათანადო უნარი, პიროვნული თვისებები რომ თავი გაართვას ძალაუფლების რისკს? ძალაუფლება არის ცდუნება ძალაუფლების გადაჭარბებისა და ბოროტად გამოყენებისა. რისკი, რომ ვერ განახორციელო შენი მიზანი, რისთვისაც მოიპოვე ძალაუფლება. აქედან გამომდინარეობს პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის თავისებურება. იგი პასუხისმგებელია ერის, კაცობრიობის, საზოგადოების, ცალკეული ადამიანისა და მომავლის წინაშე. შეუძლია მას იკისროს ისეთი პასუხისმგებლობა, როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი რომ გაუძლოს პასუხისმგებლობის ამ ტვირთს. „რათა ისტორიის ბორბლის ტრიალში ჩართვის უფლება მოიპოვოს?“ (ვებერი), თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად მტკიცენიული გამონეგების წინაშე დგას, განსაკუთრებული აქტუალობით დგება ისეთი ლიდერის არსებობის საკითხი, რომლის მმართველობასაც საზოგადოება თავის უსაფრთხოებასა და სტაბილური განვითარების პერსპექტივას დაუკავშირებს, თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში, ფართოდ აღიარებული წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებშიც კი საზოგადოება სულ უფრო ხშირად განიცდის მისთვის სასურველი ლიდერის დეფიციტს, რაც რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოებებში სერიოზული მღელვარებების საფუძველი ხდება. მეცნიერთა აზრით, უნდა განსხვავებული იქნეს არა მარტო პოლიტიკოსი და მოხელე, არამედ „მონოდებით“ პოლიტიკოსი და „ხელობით“ პოლიტიკოსი. ვებერის მიხედვით, პოლიტიკოსის პიროვნული ნიშნები უნდა იყოს: ვნება, (ძალაუფლების ინსტიქტი), პასუხისმგებლობის გრძნობა და გონების თვალის. მონოდებით პოლიტიკოსი თავის თავსა და ძალაუფლებასაც მიიჩნევს საშუალებად იმ მიზნის მისაღწევად, რაც მის ცხოვრების საზრისს შეადგენს. პოლიტიკოსი ახდენს დისტანცირებას საკუთარი პიროვნებისაგან. იგი საკუთარ თავსა და ძალაუფლებასაც აყენებს საერო, საკაცობრიო, სოციალური, ეთიკურ თუ რელიგიური მიზნების სამსახურში. მაგრამ როცა პოლიტიკოსისთვის ძალაუფლება საშუალებიდან თვითმიზნად, „ძალაუფლების ინსტიქტი“ კი „ძალაუფლებისაკენ ლტოლვად“ გადაიქცევა, მაშინ მონოდებით პოლიტიკოსი უდიდესი და უპრინციპო კარიერი-

სტად გადაიქცევა, ეს არის პოლიტიკოსის გადაგვარება ძალაუფლების მოყვარულ მსახიობად. პოლიტიკოსის ზნეობრივი სიმალლის მაჩვენებელია ის, რომ იგი არის ეთიკური და სამართლებრივი რისკის სფეროში. იგი ვალდებულია იკისროს ლიდერისა და ზნეობრივი გმირის ფუნქცია და პასუხისმგებლობა, იგი უნდა ეცადოს მიუხედავად ყველაფრისა, საზოგადოების გარდაქმნას იმ იდეალების მიხედვით, რომელიც მიუწვდომელადაა მიჩნეული. პოლიტიკოსისათვის მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობის შედეგი. ამიტომ პოლიტიკოსის მთავარი ზნეობრივი ღირსება პასუხისმგებლობის გრძნობაა. იგი პასუხს აგებს თავისი მოქმედების შედეგებზე და არ მოტივებზე და განზრახვაზე. ამიტომ სწორედ შენიშნავს ვებერი, რომ პოლიტიკაში მართებულია არა მრწამსის, არამედ პასუხისმგებლობის ეთიკის მიდგომა. პოლიტიკოსობა, როგორც ისტორიული შემოქმედება პასუხისმგებელია ერის, კაცობრიობის, ისტორიისა და მომავლის წინაშე. მრწამსის ეთიკოსისათვის მთავარია არა მოქმედების შედეგი, არამედ პოლიტიკოსის მრწამსის სინმინდე. მრწამსის ეთიკა არის რევოლუციონერის ეთიკა, ხოლო პასუხისმგებლობის ეთიკა არის რეფორმატორის ეთიკა. თანამედროვე მკვლევარების აზრით პოლიტიკა უნდა იყოს მორალურად გამართლებული და უნდა ეფუძნებოდეს, ერის, საზოგადოების სულიერ და კულტურულ ტრადიციებს. ეს ზრდის ადამიანის მოტივაციას მხარი დაუჭიროს განხორციელებულ პოლიტიკას. სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მორალური გაუცხოების წარმოშობა. ხელისუფლების მორალური ავტორიტეტის განმტკიცება არის საზოგადოების მდგრადი განვითარების გარანტია და მათ შორის ზნეობრივი წინააღმდეგობის გადალახვისა. ხელისუფლების სიმტკიცე განპირობებულია საზოგადოების მზაობით აღიაროს ხელისუფლების მორალური და სამართლებრივი სიმართლე და ავტორიტეტი. სწორედ ეს განაპირობებს ხელისუფლების მიერ თავისი პოლიტიკური ფუნქციის წარმატებით განხორციელებას.

დღეს ყველა განვითარებული ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურების აპარატში და არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებში, პრესსამსახური ანუ სტრუქტურა, რომელსაც პრესასთან ურთიერთობა ევალება, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა, რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უფრო ფართო მცნებაა, იგი საკმაოდ სცილდება მხოლოდ პრესასთან ანუ მასმედიასთან ურთიერთობის სფეროს და მოიცავს ურთიერთობას, როგორც საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებთან, ასევე საქმიანობას, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურის, ორგანიზაციისა და კომპანიის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლებას და მისი დადებითი იმიჯის ფორმირებასაც ემსახურება.

მარკეტინგისა და მენეჯმენტის ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსის ფილიპ კოტლერის განმარტებით, მსხვილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები ასრულებენ ხუთ ძირითად ფუნქციას:

- პრესასთან ურთიერთობის დამყარება (დაწესებულების ან ფირმის პოზიტიური იმიჯის შექმნა – საიმიჯო ძალისხმევა)
- პაბლისიტის ფორმირება (დაწესებულების და მისი საქმიანობის ცნობადობა)
- კორპორატიული კომუნიკაციის განხორციელება (დაწესებულების ან ორგანიზაციის

პოლიტიკის პოპულარიზაცია გარე და შიდა კომუნიკაციის მეშვეობით, მათი ურთიერთშემხვედრი ინტერესების კავშირი);

- ლობირება (თანამშრომლობა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან განსაზღვრული საკანონმდებლო აქტების მიღების ხელშეწყობის ან წინააღმდეგობის განხრის მიზნით).
- კონსულტირება (ხელმძღვანელების კონსულტირება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტაქტიკაში, ცალკეული დანესებულების ან ორგანიზაციის პოზიციის შესახებ ან ისეთ სიტუაციებში მოქმედების პოლიტიკის გამოუმუშავებაში, რომელთაც შეუძლიათ ნეგატიურად იმოქმედონ ორგანიზაციის იმიჯზე) (კოტლერი, 77).

თუმცა პრესსამსახური არის ის პირველადი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძრაობას სახელმწიფო ორგანიზაციას, მასმედიასა და საზოგადოებას შორის, განაპირობებს სტრუქტურის გამჭვირვალობას, ღიაობას, რაც ხორციელდება უპირველეს ყოვლისა, მასმედიის ინტერესისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებით და პრესსამსახური ამ პრინციპის დაცვით, რა თქმა უნდა, დემოკრატიზაციის პროცესის განმტკიცებას უწყობს ხელს.

თემის სახელწოდება და მიზანიც კონკრეტულ სტრუქტურას PR-ს უკავშირდება, რომელიც დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუცვლელ როლს თამაშობს და ხშირ შემთხვევაში განაპირობებს სახელმწიფო სისტემის გამართულობის ხარისხს ქვეყანაში, რადგან პირდაპირპროპორციულად უკავშირდება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების მთავარ ქვაკუთხედს – საზოგადოებას და უზრუნველყოფს მის პირდაპირ და უწყვეტ კავშირს ამავე საზოგადოების მიერ დელეგირებულ ხელისუფლებასთან, უზრუნველყოფს ხელისუფლების ინფორმირებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე, მეორე მხრივ კი ხელს უწყობს საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლებას, უზრუნველყოფს მის გათვითცნობიერებას სახელმწიფოში მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში, ამაღლებს მოსახლეობის სამოქალაქო განათლების დონეს, საზოგადოებრივი ურთიერთობის კულტურას, ხელს უწყობს მოსახლეობის ფართო ფენების მომზადებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვისათვის, უზრუნველყოფს მოსახლეობაში და საზოგადოებაში ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მოთხოვნის გაჩენას. მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში PR – კულტურის დაბალი დონე ამ სფეროს დანიშნულებისა და ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ მისი მნიშვნელობის გაუცნობიერებლობა, განაპირობებს ამ ორ სუბიექტს შორის არსებული დაპირისპირებისა და უნდობლობის კიდევ უფრო გაღრმავებას, გამჭვირვალობის პრინციპის მკვეთრ ხელყოფას და ზოგადად, სამოქალაქო კულტურისა და სამოქალაქო ურთიერთობების ხარისხის მკვეთრ ვარდნას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს ხელისუფლებაში ავტოკრატიული განწყობილებების გაღვივებას, ავტოკრატი ლიდერების მომრავლებას ქვეყანაში და დღეს არსებული ჯერ კიდევ სუსტი, დემოკრატიული სისტემის კიდევ უფრო დასუსტებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები, მსოფლიოში არსებული განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მაგალითზე, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ღირსეულად მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და ამავე დროს წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა სოციალუ-

რი ჯგუფების ლობისტებსა და მხარდამჭერებს ამ პროცესებში (პრესა, სოციალური ჯგუფები, მოქალაქეები და ა.შ.). საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ PR-მა განვითარების საინტერესო გზა განვლო, ჯერ კიდევ არ არის ეს სფერო განვითარებული, დამკვიდრებული და აღიარებული მისი მნიშვნელობის შესაბამისად, არც მეცნიერების მხრიდან, როგორც კვლევის საგანი და არც პრაქტიკოსი პროფესიონალების მხრიდან, მიზეზები რა თქმა უნდა, მრავალგვარია და სწორედ ამ საკითხებს შევხებით ჩვენი კვლევის პროცესში.

დღეს მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია) PR-ის ბუმი. მხოლოდ აშშ-ს მაგალითზე მოვიყვანთ სტატისტიკას. ამერიკაში PR-ის სფეროში 1950 წელს 19 ათასი ადამიანი იყო დაკავებული, 2000 წელს კი 200 000-მდე ადამიანი საქმიანობდა ამ სფეროში, რაც კიდევ უფრო გაიზარდებოდა ამ ათწლეულის მანძილზე, PR-ზე მზარდი მოთხოვნისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. მკვლევარების ვარაუდით პროგნოზი ძალიან შთამბეჭდავია – PR-ის როლი და ფუნქცია წარმოდგენელ მასშტაბებს მიაღწევს უახლოეს მომავალში, რადგან ეს სფერო მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის განუყოფელ ნაწილს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა საზოგადოებასთან“. საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, 2001.
2. ვეკუა მ. „ჟურნალისტიკის პრინციპები“. თბილისი, 2008.
3. თევზაძე გ. „საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება“, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003.
4. ნოდია გ. „დემოკრატიის შექმნის ორი მცდელობა საქართველოში: თხუთმეტწლიანი გზის შეჯამება“, „დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში“. 1, თბილისი, 2003.
5. რამიშვილი ვ. ფილოსოფია. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009.
6. კაპანაძე ლ., სახუტაშვილი ე. „საზოგადოებასთან ურთიერთობა“. თბილისი, 2003.
7. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ. „მასმედია და სახელმწიფოს იმიჯი“, „სახე(ლ)ები-2004“, თბილისი: „საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ების“ ყოველწლიური გამოცემა, 2005.

ხათუნა ჩარკვიანი

PR როგორც პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი რეზიუმე

როდესაც იწყება საუბარი დემოკრატიული მმართველობის შესახებ, რაც ითვალისწინებს საზოგადოების გარკვეული ჯგუფისათვის ხალხის მიერ მმართველობის გადაცემას ანუ ხელისუფლების დელეგირებას თავისუფალი არჩევნების გზით, ბუნებრივია საზოგადოებაში ჩნდება მოთხოვნები მთავრობასთან პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, სამართლიანობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპზე და ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობაზე. სწორედ ამ ურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ანუ „ფაბლიქ რილეიშენზის“ ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ლაკმუსს და ბარომეტრს დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის. დღეს საქართველოში PR-ის მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებრივი

განწყობილების თვალსაზრისით. მიზეზი მეტად სერიოზულია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან PR-ის როგორც მხოლოდ საკუთარი თავის წარმოჩენის, საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის გამოყენება, საზოგადოების ინტერესების სრული იგნორირებისა და მისი ცნობიერების მანიპულირების ხარჯზე.

Khatuna Ckarkviani

PR as important elements of political process

Resume

When the talk starts on democratic rule, which foresees delegating of the administration or powers to definite group of the society by people through free elections, naturally the demand arises in the society to establish partnership relations with the government, for the relations based on the principle of justice, openness, transparency, accountability and on the trustworthy relations. Just for guarantee of such relations in the western developed democracies there is being formed the institute of relations with the society, i.e. of “Public Relations”, which is some kind of litmus and barometer for determining the degree of democracy. In the present-day Georgia extremely negative attitude exists towards PR from the viewpoint of public disposition. The reason is too serious – within the long period the state institutes use PR only for presentation of their own selves, for lobbying their own interests at the expense of full ignorance of the public interests and manipulation of its consciousness.

დალი ჩიკვილაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ზომიერთი რამ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკიდან

არისტოტელეს შეგონებით, „საკმარისი როდია იცოდე, რა უნდა თქვა, მთავარია, ისე თქვა, – როგორც საჭიროა“; არადა, როგორც საჭიროა იმის თქმა – ძნელია, ძნელზე ძნელი და თუ ვინმე ამ სიბრძნეს მიუახლოვდა, ერთი იმათგანი გრიგოლ რობაქიძე იყო. მას მტკიცედ სწამდა, რომ „პოლიტიკა ბედისწერაა“, ხოლო გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკა საკუთარი ქვეყნის მომავლის დაუღალავი ძიება და უკიდევანო სიყვარული გახლდათ. კარდუს ბედის და უბედობის მოჭირნახულე, სადაც უნდა ყოფილიყო, – სამშობლოში თუ სამშობლოს გარეთ, კარდუს მომავლით სულდგმულობდა, და მკითხველსაც ამ საფიქრალით მუხტავდა... იგი ხშირად მისანიც იყო და ჭირისუფალიც, კარდუს (საქართველოს – დ.ჩ.) ბედზე დარდს წამალი არ ეძებებოდა, ტკივილად გროვდებოდა, არ ყურდებოდა, უიმედობით მოსვენებადაკარგულს მითოსური ხილვებია უმშვიდებდა სულს.

გრ. რობაქიძე გზებით სავსე პიროვნება იყო, შეუდარებელი ერუდიტი, უჩვეულო მოაზროვნე, არნახული ორატორი, რომელიც სამი ქვეყნის ბინადარი გახლდათ (ქართული, რუსული და გერმანული სამყაროსი), მან ქართველ მწერალთაგან პირველმა „კავკასიონის ქედი გადალახა და დაძლია ნაციონალური ბარიერი“ (სიგუა, 172).

გრიგოლ რობაქიძე მთელი ცხოვრება ბედისწერის ბორბლის ნაღმა დატრიალებას ცდილობდა მტკიცე ნერვებით, ქორული მზერით, ნაპოლეონის პროფილითა და განუყრელი შავი პარიკით. მას ღრმად სწამდა: „მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს, რადგან პოლიტიკას ვერაფერს შეჰმატებს და სულ ტყუილად დაზარალდება“ (ზომბარტი, 328).

თავისი პოტენციით, გრ. რობაქიძე ერის ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „უდროობის გმირად“ დატოვა წუთისოფელიო, აღნიშნავს პროფ. ს. სიგუა (სიგუა, 174).

გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობა ქართული სიტყვიერების უწონავ საგანძურს წარმოადგენს, რისი დასტურიც გახლავთ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის მიერ გამოცემული მისი ხუთტომეული, განუზომელ აღფრთოვანებას რომ იწვევს.

ამ მხრივ საინტერესოა მოაზროვნის პუბლიცისტური ნაფიქრალიდან ჩვენ მხოლოდ ერთ მოკლე პერიოდზე შევჩერდებით: 1917 წელი, გაზეთი „საქართველო“, ამ გაზეთში გამოქვეყნებული გრ. რობაქიძის პუბლიცისტური წერილები. რით გამოირჩევა ეს წერილები და რა თამამ პოზიციას სთავაზობდა გრიგოლ რობაქიძე იმჟამინდელ მკითხველს:

დღეს ჩვენ ვეროპაში ინტეგრაციის პრობლემები გვაღელვებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენი სახელოვანი წინაპარი პუბლიცისტებიც თამამად მსჯელობდნენ ევროპული ცხოვრებისა და აზროვნების პროგრესზე. 1917 წლის ოქტომბერში გაზეთ „საქართველოს“ ორ ნომერში (N 232, 233) გამოქვეყნდა გრ. რობაქიძის წერილი – „რუსეთის ტრაგედია“, რომელიც უფრო ადრე თბილისში გამომავალ რუსულ გაზეთ „Кавказ“-ში საკმაოდ შემცირებული, სათაურით „Война и культура“ (გაზ. «Кавказ», 1885 г. №255) დაიბეჭდა.

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ რუსეთი იმჟამად საშინელ უცნაურობას წარმოადგენდა. ადრე იგი რჩეულთათვის იყო ჩრდილოეთის სფინქსი, „დღეს ასეთი იგი ყველასათვისაა. რუსეთის ისტორიის ტრაგედია სწორედ ამ საშინელ უცნაურობაშია“ (რობაქიძე, 835).

ნ. ბერდიაევის მიერ რუსეთის დახასიათების სამი წინააღმდეგობის გამოკვეთის ფონზე, გრ. რობაქიძეს წინასწარმეტყველური დასკვნა გამოაქვს: „რუსის ხალხს თითქოს სახელმწიფოსაგან განთავისუფლება უფრო სურს, ვიდრე თავისუფალი სახელმწიფო... რუსეთის ისტორიამ არ იცის რაინდობა, საცა პირველ ყოვლისა, თავსა ჰყოფს ვაჟური დასაწყისი“ (რობაქიძე, 835). რუსეთი ბიუროკრატიული დიდი იმპერიაა, უზარმაზარი საზღვრებით, ბიუროკრატია იზრდებოდა და მკვიდრდებოდა თათრებთან ბრძოლაში, უცხოელთა შემოსევებისას, მათი წინააღმდეგობის დაძლევაზე იხარჯებოდა ერის მთელი ენერჯია. რუსეთი ყველაზე ნაციონალისტური ქვეყანაა, „იგი უარყოფს ევროპას როგორც სიდამპლეს და ჯოჯოხეთის ნაყოფს... რუსული თავმდაბლობა მეორე ბოლოში პირდაპირ ამპარტავნობაში გადადის... რუსეთი ცოდვილია, მაგრამ ცოდვებშიაც იგი წმინდას უწოდებს თავის თავს“. (რობაქიძე, 836). დედამიწაზე რუსისთვის მხოლოდ რუსეთია, მან დასავლეთის „ბურჟუაზობა“ და „მემჩანობა“ როდი იცის. რუსი ადამიანი მოგზაურია, იგი დადის მინაზე, მაგრამ არ ჩაზრდილა მასში, ამასთან რუსეთი საშინელი მორჩილების მხარეც არის: გლეხები, ვაჭრები, ჩარჩები, მოხელენი, სამღვდელოება, ინტელიგენცია – შინაგანი თავისუფლებით არ გამოირჩევიან, სიზანტესა და სიზარმაცეს ადვილად ეგუებიან . „რუსეთი უპიროვნო კოლექტივის ქვეყანაა“ (რობაქიძე, 837).

რით აიხსნება რუსეთის ასეთი უცნაურობა? ამ კითხვაზე ნ. ბერდიაევის პასუხი შემდეგია: რუსეთი არსებითად “მუდამ ეძებს საქმროს... რუსეთის წიაღში უთუოდ უნდა მოინახოს ვაჟური ელემენტი“ (რობაქიძე, 837).

ნ. ბერდიაევის ეს აზრები მაშინ გამოითქვა, როცა 1917 წლის რევოლუციის ლანდი ჯერ არსად ჩანდაო, აღნიშნავს გრ. რობაქიძე. „რუსეთის სულს სწყურია მხოლოდ უთუო რამ, სათუოს კი გვერდს უხვევს ყოველთვისო“ (რობაქიძე, 837) – ასკვნის იგი და რუსეთის ტრაგედიის სათავედაც გვერდის ეს ახვევა მიაჩნია, რადგან თვლის, რომ „რუსის ხალხი დაბადებით“ მაქსიმალისტია“ და თვალ-ყური მხოლოდ უთუოსკენ აქვს მიპყრობილი“ (რობაქიძე, 838). ცხოვრებას გააჩნია ტრადიციები, ხალხი ამ ტრადიციებით არსებობს. რუსეთს ტრადიცია არა აქვს, – ირწმუნება გრ. რობაქიძე, – ამის მაგალითად ნიკოლოზ მეორის „გადაგდებას“ ასახელებს, თითქოს სამასი წლის „რომანოვობა“ რუსეთში არც ყოფილიყოს, „რუსეთი საშინელს ანარქიაში გადავარდა: მისი სული ეხლა მხოლოდ ქაოსის ფრთებზე ქანაობსო“ (რობაქიძე; გვ.838), რასაც გრ. რობაქიძე რუსეთის უცნაურობისა და ტრაგედიის სათავედ თვლის.

სარკასტულია გრ. რობაქიძის შემდეგი დასკვნა: „რუსი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც ავტომობილი უარჰყო მხოლოდ მისთვის, რომ ჰაეროპლანი არ შესთავაზეს და ახლა ურმით მიხობავსო“ (რობაქიძე, 838) . სტატიის დასასრულს გრ. რობაქიძე უიმედობით განაწყობს მკითხველს, – ქაოსის ფრთებით უფსკრულის პირას მყოფი ანარქიული რუსეთი გამარჯვებული ვერ გამოვა ამ განსაცდელიდანო.

პეტრე დიდის მცდელობით ჭაობის ნისლისაგან შობილი პეტერბურგი კოსმიური ქაოსის მქონე რუსეთისათვის კომმარული ანარქიით შეეგება 1917 წლის თებერვლის რევოლუციას და

ფანტასმების ნამდვილ ქალაქად იქცაო, – წერს გრ. რობაქიძე, 1917 წ. 29 ოქტომბერს სტატიაში – „ფანტასმების ქალაქი“ – გრ. რობაქიძე განმარტავს, რომ რევოლუციის შემდეგ პეტერბურგმა დაკარგა სინამდვილის გრძნობა, შეეყარა სოციალური ფანტაზიის ციებ-ცხელება და ფანტასმების ნამდვილ ქალაქად იქცა „ამ ზმანებით უნდათ არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი სამყაროს გარდქმნა“ (რობაქიძე, 212). თუ რევოლუციამდე პეტერბურგი ბიუროკრატიის ქალაქი იყო, რევოლუციის შემდეგ იგი ფანტასმების მბრძანებელია, რასაც ეს ფანტასმების ქალაქი იტყვის, მთელი რუსეთი იმეორებს, და ამ ახალი ზმანებით სურთ მთელი სამყაროს გარდქმნა, ყოველივეს კი ერთგვარი ფსიქოზით აკეთებს რუსეთი. სოციალური ფანტაზიის ციებ-ცხელებამ დღეს პეტერბურგს თავისუფლების გაგება დააკარგინა. თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, თავისთავადობაა, ხოლო მონობაა მისი ზერელედ აყოლა, ეს მონობა ჩვენთვის, ქართველებისთვის თავისუფლების დამარხვაა, ამიტომ „ნაკლები ცქერა პეტერბურგისკენ, – მეტი ყურადღებაა თავის თავისა, – აი, სადღეისო დევიზი“ (რობაქიძე, 213). საკუთარი ჭკუით და საკუთარი ძალით მოქმედება – აი, როგორ ფიქრობს 1917 წელს გრ. რობაქიძე, ხოლო სტატიაში „ბოლშევიკების აჯანყება“ იგი მკითხველს გადაჭრით მოუწოდებს: „კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის ერთი რამ არის საჭირო: ნუ, ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაც პეტროგრადის ნისლში მოელანდებათ. „ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს, – და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ“ (რობაქიძე, 211). ეს სიტყვები თითქმის ასი წლის წინ იწერება, როცა დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობას რეალობად ვერ აღიქვამდნენ და ეძიებდნენ გზებს მის მისაღწევად. ევროპისკენ ხედვა, ევროპის ცხოვრების გათვალისწინებით საკუთარი დამოუკიდებელი გზის პოვნა რუსეთისაგან თავისუფლების მოპოვების საფუძველზე – ეს არ გახლავთ პარტიული ხედვა, ეს სამშობლოს ბედზე დაფიქსირებული მამულიშვილის ფიქრია, გრ. რობაქიძე ხომ არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა!

უფსკრულის პირას მიყენებული ქართველი განუზომლად ძლიერიაო, – აღნიშნავს გრ. რობაქიძე სტატიაში „ისტორიული წამები“, – ქართველი როცა პირღია უფსკრულს მიადგება, გადაჩეხის წინაშე აღმოჩნდება, შმაგი ვეფხვივით სასტიკ ძალებს იკრებს, უტეხი ძლევამოსილებით აღმართავს მახვილს. „დაჭრილი ქართველი დაჭრილი ვეფხვის ნახტომით თვითნებობს. ასეთია ჩვენი ეროვნული ტემპერამენტი“ (რობაქიძე, 249). და როცა 1917 წლის ნოემბერში საქართველოში ჩატარდა ეროვნული ყრილობა, „აქ იყო ერის ხელმწიფებითი თავის-თავადობა, აქ იყო პოლიტიკური გამოცდილება“ (რობაქიძე, 249). მაშინ ბევრი ქართველი ერთგვარ შიშს გამოთქვამდა, ყრილობა „პროვინციალი“ არ გამოსულიყო... არც გამოვიდა, რადგანაც „ალარსად სჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, ალარსად ისმოდა საშინელი „შენჩემობა“. ალარ იყო: შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა“ (რობაქიძე, 250).

ყრილობამ გამოააშკარავა ჩვენში არსებული შეუცნობელი სიყვარული საქართველოსი, რომელიც თითოეულში მიყუყუებულ ცეცხლივით ყოფილა მიმალული, – აღნიშნავს გრ. რობაქიძე. ყრილობაზე არავის ახსოვდა პოლიტიკური „დოგმა“, პარტიული „პროგრამა“, ვინრო ჯგუფური „ლოზუნგი“. ამ ყრილობაზე ყველამ შეიცნო, რომ „საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე რომელიმე „დოგმა“, „პროგრამა“, „ლოზუნგი“... ვიგრძენით მთელი ქართველობა ვით ეროვნული ტანი მრავალ საუკუნოთა შორის ხორციელებული“ (რობაქიძე, 19).

ქართველი რევოლუციონერია თავისი ნების ტემპერამენტით, – წერს გრ. რობაქიძე, – ამ ყრილობაზე დაემხო ლოზუნგი – „საქართველო ეს მე ვარ“, და გაჟღერდა – „ჯერ საქართველო – და მერე მე“. ვინატრებდი, ასე ყოფილიყოს დღესაც, თითქმის ასი წლის შემდეგ, ერთად ეფიქრა ხელისუფლებას და ოპოზიციას – საქართველო უწინარეს ყოვლისა!

გრიგოლ რობაქიძეს „ხელოვნების ქურუმს“ უწოდებდნენ, არც შემთხვევით. მაგრამ მის სახელოვნებო მოღვაწეობას არ შეეცხებით. 1917 წლის ოქტომბერში დაბეჭდილ სტატიაში „ქართველ მწერლებს“, აღნიშნავს, რომ ქართველი ერისთვის მწერლობა მხოლოდ სიტყვიერებითი სფერო როდია, იგი უფრო მეტია, ერი ცოცხლობდა მწერლობით: „ქართველი ერი მგოსანია ბუნებით... იგი არა მარტო სტკება ლექსით, იგი ავადმყოფებსაც არჩენს მით“ (რობაქიძე, 2010, 119). ქართველს აქვს შესანიშნავი არქიტექტურა, რომელშიც ძველი ქართველის ნებისყოფაა გამოვლენილი, თვალის-მომჭრელ ფრესკებში მზიური ხაზებით ქართველის თვალღია სიზმრება ასახული, ქართველი მუნჯი ქვების ლოცვით შეკრული ტაძრების მფლობელია, აგრეთვე მრავალხმიანი დიდებული სიმღერის შემქმნელია, მაგრამ ყველაფრისაგან განსხვავებული რაც მას გააჩნია, არის ქართული სიტყვა „პლასტიური დაბადებით რომ იკვეთება“ (რობაქიძე, 2010, 119).. ქართული სიტყვა ჯერ უკანასკნელად როდი თქმულა, დეგბა ჟამი, როცა ქართულად მთელს მსოფლიოს უნდა ვუთხრათ ნამდვილი სიტყვა – „საქართველო დადგინდება“.

გრიგოლ რობაქიძეს სწამს, რომ საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის აღმართული, ჩვენ ვინვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადლით, როცა პანი იბადება, „ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს, საცა თვალღია ფანტას-მაგორიებში „მეობა“ იკვეთება ძღვეამოსილი“ (რობაქიძე, 2010, 119).

საქართველო ის ქვეყანაა, გრ. რობაქიძის აზრით, ვინაც ქართული ნადიმით იხდის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს, ხოლო ეს ნადიმი მთავარი ჰანგია ჩვენი ნაჭედი ქართული სიტყვისა, „ჯერ არ დათავებულან „სადღეგრძელონი“ იმა ნადიმისა, – რადგან ხშირად და ხშირად შეგვიშალეს უდარდო ლხინი“, მაგრამ ქართული სიტყვით, დასავლური ცხოვრების გაზიარებით, საქართველო თავს დააღწევს რუსეთს და განათლებული დასავლეთის მხარდამხარ ახალი ცხოვრების გზას შეუდგება, – ასე სწამდა გრიგოლ რობაქიძეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა. კარდუ, 1999.
2. ზომბარტი ნ. ქართული სიტყვიერება, 2012.
3. სიგუა ს. მოდერნიზმი, გამ. „მწერლის გაზეთი“, 2008.
4. რობაქიძე გრ. ნაწერები, წიგნი III, 2012.
5. რობაქიძე გრ. „ქართველ მწერლებს“, ქრესტომათია, XX ს., თსუ, 2010.

დალი ჩიკვილაძე

ზოგიერთი რამ გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკიდან რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძე სამი ქვეყნის ბინადარი გახლდათ (ქართული, რუსული და გერმანული სამყაროსი), მან ქართველ მწერალთაგან პირველმა „კავკასიონის ქედი გადალახა და დაძლია ნაციონალური ბარიერი“. მისი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ერთი მოკლე პერიოდია განხილული: 1917 წელი, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. წერილში „რუსეთის ტრაგედია“ გრიგოლ რობაქიძის მიერ აღნიშნულია, რომ რუსეთი იმჟამად „საშინელ უცნაურობას წარმოადგენდა“. ადრე იგი რჩეულთათვის იყო ჩრდილოეთის სფინქსი, დღეს ასეთია იგი ყველასათვის, ამაში მდგომარეობს რუსეთის ტრაგედია. რუსეთის ისტორიამ არ იცის რაინდობა, „იგი უარყოფს ევროპას, როგორც სიდამპლეს და ჯოჯოხეთის ნაყოფს“. დედამიწა რუსისათვის მხოლოდ რუსეთია, თუმცა რუსი მოგზაურია თავისი ბუნებით, იგი „უპიროვნო კოლექტივის ქვეყანა“.

ცხოვრებას გააჩნია ტრადიცია, ხალხი ამ ტრადიციებით არსებობს, რუსეთს ტრადიცია არა აქვს. „რუსეთი საშინელს ანარქიაში გადავარდა, მისი სული ეხლა მხოლოდ ქაოსის ფრთებზე ქანაობს“. გრ. რობაქიძის აზრით, რუსი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელმაც ავტომობილი უარყო მხოლოდ იმისთვის, რომ ჰაეროპლანი არ შესთავაზეს და ახლა ურმით მიხობხავსო.

პეტროგრადი იმჟამად ფანტასმების ნამდვილ ქალაქად ქცეულიყო და ცდილობდა მთელი სამყაროს გარდაქმნას. ქართველებისთვის მთავარია „ნაკლები ცქერა პეტერბურგისკენ, მეტი ყურადღება თავის თავისა“, რაც იმჟამინდელ დევიზად მიაჩნდა გრიგოლ რობაქიძეს. ნუ ვიქნებით პეტროგრადის მიმდევარნი, ჩვენ ქართველებს ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს.

ევროპისაკენ ხედვა, ევროპის ცხოვრების გათვალისწინებით დამოუკიდებელი გზის პოვნა, რუსეთისაგან თავისუფლების მოპოვება – ეს გახლავთ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მამულიშვილის მტკიცე თვალსაზრისი.

Dali Chikviladze

From Niko Nikoladze's Epistolary Heritage Summary

Personal card written on August 23, 1921 by Niko Nikoladze is sent from London to Constantinople to his elder daughter Nino Nikoladze-Zurabishvili. From letter is seen the most difficult period, when Russia made an annexation of Georgian Democratic Republic. It is the time when fell down democratic Republic and “unidentified red plague” absorbed freedom of Georgian people. At this time Niko Nikoladze is the chairman of London society of Chiatura manganese “Chemo~ in England.

There are speculations about misunderstandings and disagreement which were characteristic features of people working in London office “Chemo~. It also presents Niko Nikoladze's prophetic thoughts about the future of his motherland.

ჟურნალისტური კომპეტენციების ტრანსფორმირება ფლამანდური კურიკულუმების მაგალითზე

მედიის დიგიტალიზაციის პროცესმა ათეულ წელზე მეტია რაც ევროპულ ჟურნალისტურ განათლებაში კორექტივები შეიტანა. ტექნიკურმა პროგრესმა რადიკალურად შეცვალა ახალი ამბების ორგანიზების ფორმები და საინფორმაციო ნაკადები. შეიცვალა ჟურნალისტთა მიდგომა ინფორმაციის მოძიებიდან დაწყებული მისი საბოლოო პროდუქტად ქცევის მთელი ციკლის მანზილზე. ინტერნეტის წყალობით, ახალი ამბების მოძიების პროცესი და წყაროების შემოწმების ინსტრუმენტები გაცილებით მრავალფეროვანი გახდა. ინტერნეტმა, როგორც ახალმა მედია პლატფორმამ, ახალი ამბების მოძიებისა და გავრცელებისათვის გააჩინა უსაზღვრო სივრცე, უფრო იაფი და მყისიერი (Scot, 2005). მარკეტინგმა ხელი შეუწყო ისეთი ახალი მოთამაშების გამოჩენას ონლაინ პლატფორმაზე, როგორცაა Google და ახალი ამბების სხვა აგრეგატორები (Edmonds...).

ონლაინ სარეკლამო ბაზარმა მასშტაბური კონკურენცია გაუწია ბეჭდურ მედიას. ახალი ამბების სპეციალიზებულმა ბეჭდვითმა გამოცემებმა, რომლებიც ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, თვითგადარჩენისათვის სხვადასხვა ბიზნეს სტრატეგია დასახა. რის შედეგადაც პატარა, უფრო მოქნილ საინფორმაციო მონომედიას ჩაუყარა საფუძველი. ნიუსრუმები გადაიქცა მულტიმედიური ცენტრებად და ჟურნალისტებმა გადაინაცვლეს მულტიმედიურ ჟურნალისტიკაში. საჭირო და აუცილებელი გახდა ჟურნალისტური სწავლების მოდელების გადახედვა. მედიაბაზრმა აკადემიურ სფეროს წინაშე ახალი მოთხოვნები დააყენა, რამაც მულტიმედიური უნარები და კომპეტენციები წამოწია წინა პლანზე (Deuze, Fortunati, 111-120).

ჟურნალისტიკაში მიმდინარე ფუნდამენტურმა პროცესებმა შეცვალა როგორც ახალი ამბების წარმოების პროცესი, ასევე კვლევის პრაქტიკა (Machill, Beiler, 178-203), რაც მომავალი ჟურნალისტიკისაგან მოითხოვს ინსტრუმენტალურ, ინტერპერსონალურ და სისტემასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს. ამ მიმართულებით გადაეწყო ფლამანდური ჟურნალისტური საგანმანათლებლო პროგრამებიც.

ინტერნეტი და სოციალური მედია, როგორც ინტერაქტიული პლატფორმა, ინფორმაციის მოძიება-გავრცელების სიჩქარესა და მასშტაბებს ცვლის. ხოლო ახალი ამბებისა და ინფორმაციის შეგროვება ჟურნალისტიკაში ერთ-ერთ მთავარ ათვლის წერტილს წარმოადგენს. ახალი ამბის მოძიებისა და ორგანიზების პროცესი, ძირითადად, ინსტრუმენტალური და დარგობრივი კომპეტენციებით მიიღწევა. ციფრული ტექნიკის დახმარებით იცვლება ინფორმაციის კვლევა, ინფორმაციაზე მუშაობის პროცესი და პრინციპი, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ძებნის სტრატეგიის უნარებსა და მოძიებული ინფორმაციის შემოწმებას დამატებითი წყაროების ხარჯზე, მეორე მხრივ, ანალიტიკურ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა ანალიზსა და ინფორმაციაზე მუშაობის კონკრეტულ სტრატეგიებს. ამის გარეშეც რთულდება საჭირო ინფორმაციის მიღება, მისი საიმედოობისა და უტყუარობის შემოწმება.

ონლაინ ძიების უნარების გასავითარებლად ფლამანდიაში შესაბამის ტრენინგებს სთავაზობენ როგორც მოქმედ ჟურნალისტებს, ისე დამწყებებს. მათ შორის, როგორც გამოიყენონ

ელექტრონული ფოსტა, საიტები და საძიებო სისტემები, განსაკუთრებით Google, ფორუმი, ჩეთი, ონლაინ პლატფორმები და ინსტრუმენტები (Hermans, Vergeer, D'Haenens, Joniaux, 99-117). ამის სწავლება არის ერთი გზა ინფორმაციის მოძიებისათვის, ხოლო მეორე, ეს არის სოციალური მედიის ეფექტური გამოყენება (Dersjant...), რაც ჟურნალისტს მონაცემთა დიდი მასიდან ინფორმაციის ანალიზისა და ვიზუალიზაციის საშუალებას აძლევს. მულტიმედიური უნარები ჟურნალისტს ეხმარება ეფექტურად გამოიყენოს სოციალური ქსელებიც, მაგ. Facebook-ი და Twitter-ი. ჟურნალისტს შეუძლია ონლაინ სივრციდან მოიპოვოს მნიშვნელოვანი წყაროები და საზოგადოებრივად საინტერესო ინფორმაცია. სოციალური მედიის ეფექტური გამოყენება მოითხოვს „მედიის სოციალურ აზროვნებას“ (Greeg, Ferguson, 198-214.). ამ უნარების გამოუმუშავებას საუნივერსიტეტო სწავლების დროს უნდა ჩაეყაროს საფუძველი. ახალ ამბებს თავისი ნიშა აქვს მონახული სოციალურ მედიაში, თუმცა, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა მოახდინოს ჟურნალისტმა ინფორმაციის შეგროვება, დახარისხება, გადამოწმება და აუდიტორიასთან კონტაქტი. ფლამანდიაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ახალი ამბების გამოშვებები სოციალურ მედიას იყენებენ, როგორც რეკლამის სტრატეგიულ და ტაქტიკურ მედია-პლატფორმას, მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ არ იყენებენ ტვიტერის ინტერაქტიულ პოტენციალს (Greeg, Ferguson, 198-214.). თუმცა, უნდა ითქვას, რომ სოციალური მედია და ინტერნეტი ყოველთვის არ არის საიმედოობის გარანტი. „ინფორმაციის უფსკრულში“ ნავიგაცია სირთულეებს აჩენს შემოქმედებით პროცესში. საიტებზე, ვიკიპლატფორმასა და ბლოგებზე განთავსებულ არასწორ და არასანდო ინფორმაციას, ჭორებსა და დეზინფორმაციას ადვილად შეუძლია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. რთულია ონლაინ სიმართლისა და წყაროს გარკვევა. პროფესიონალი ჟურნალისტისთვის კი მსჯელობა საიმედო წყაროებზე დაყრდნობით, გადამწყვეტი პროფესიული მოვალეობაა. დადასტურებული ფაქტებისა და წყაროების გამოყენებით მასალების მომზადება მოითხოვს სპეციფიკურ უნარებს, რაც საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში ყალიბდებო და მტკიცდება. ჟურნალისტური საქმიანობა, მედიაკონვერგენციის პირობებში ჟურნალისტისაგან მოითხოვს მულტიმედიურ უნარებს, სხვადასხვა მედიასაშუალებათა საფუძვლიან ცოდნას, ბეჭდური, აუდიო თუ ვიდეო ტექსტის ელემენტებში გარკვევას (Thurman, Ben Lupton 439-455), ინტერაქტიული ინსტრუმენტების ფლობასა და მის წარმატებით გამოყენებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც ფლამანდიაში, 2013 წლის სექტემბერ-დეკემბერში მიმდინარეობდა, ითვალისწინებდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მომუშავე აკადემიური პერსონალის გამოკითხვას სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდით. კვლევის პროცესმა საშუალება მოგვცა გავცნობოდით ფლამანდურ ჟურნალისტურ განათლებაში არსებულ ვითარებას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ფლამანდური მხარის ექვსმა ექსპერტმა. რეგიონში არსებული ჟურნალისტური საგანმანათლებლო პროგრამებიდან. ჩვენთვის საინტერესო იყო, თუ რომელი კომპეტენციების შეძენას ანიჭებენ უპირატესობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ექსპერტები და რომელი კომპეტენციები მიაჩნიათ მთავარი ჟურნალისტებისათვის უფრო მნიშვნელოვნად.

ფლამანდური ჟურნალისტური განათლება ეფუძნება ევროპულ საკრედიტო სატრანსფერო სისტემას (ECTS). მოქმედი ექვსი საბაკალავრო და სამი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის და 60 კრედიტიან პროგრამას მაგისტრატურის საფეხურისთვის.

დამწყები ჟურნალისტიკისთვის მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური, პიროვნული უნარების განვითარება: ცნობისმოყვარეობა; მონესრიგებულობა; აკურატულობა; კრიტიკული აზროვნება; სტრესის დაძლევა; საერთო განათლების კარგი დონე; სოციალური უნარები; სხვა კულტურების ცოდნა; მედიაგარემოს ცოდნა; საინფორმაციო ტექნიკის ფლობა; პიარტექნოლოგიების, კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ცოდნა; მედიის კომერციული ასპექტების ცოდნა; გუნდური მუშაობის უნარები და სხვა.

სწავლების პროცესი ითვალისწინებს ისეთ პრაქტიკულ აქტივობებს, როგორცაა სატელევიზიო გადაცემის მომზადება; ახალი ამბების ბლოკის მომზადება; მედიასაშუალებებში სტაჟირებასა და პროექტს, რომელიც თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმაზეა ორიენტირებული; საერთო განათლების მომცველი კურსების ფართო არჩევანი სტუდენტს საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის დონეზე პროფესიული კურსების პარალელურად მიიღოს ჟურნალისტიკისათვის აუცილებელი ინტელექტუალური კაპიტალი.

ფლამანდური ჟურნალისტური განათლების „სასტარტო კომპეტენციად“ ციფრული უნარები და ამ უნარებზე დაყრდნობით ახალი ამბის მოძიება, ორგანიზება და გავრცელება სახელდება. ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი, პირველ რიგში, უნდა ფლობდეს ცოდნას, თუ როგორ გამოიყენონ კვლევის პროცესში ახალი ინსტრუმენტები; როგორ მოიპოვონ სანდო და უტყუარი ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებითა და მონაცემთა ბაზებით. ამასთან, როგორ ისარგებლონ სოციალური მედიით ინფორმაციის ძიების პროცესში ისე, რომ მიღებული ინფორმაცია რელევანტური იყოს. რეგიონში არსებული ჟურნალისტიკის კურიკულუმები ითვალისწინებს ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, რაც ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ენის ათვისებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ფლამანდურ ჟურნალისტურ კურიკულუმებში.

პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შედეგად, ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი; ფლობს ქსელში მუშაობის ნებსებს; აქვს ონლაინში ინფორმაციის წარმატებით მოძიების უნარი; იცის ინტერვიუების ტექნიკა; აქვს სიახლეების ძებნის უნარი; ინფორმაციის სანდოობის შემოწმების უნარი; ინფორმაციის გადამოწმება წყაროებთან თუ ინტერნეტის საშუალებით; სტატისტიკური მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი; იცის, როგორ გამოიყენოს სოციალური ქსელები პროფესიული დანიშნულებით (Facebook, Twitter და ა.შ.); ფლობს ცოდნას მედიარეგულაციებისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესახებ.

ტექნიკური კომპეტენციებისა და უნარების გამომუშავება პროფესიულ ჭრილში განიხილება. სწავლების პროცესი დაფუძნებულია ინტეგრირებულ მულტიმედიურ მიდგომაზე. სხვადასხვა მედიაპლატფორმისთვის შემუშავებულია მულტიმედიური კურსები, რომელიც კონკრეტული მედიასაშუალებების ინტერესებზეა მორგებული. სწავლების პროცესში სტუდენტს უვითარდება პროფესიული უნარები; იძენს საკუთარ სტილს; შეუძლია სხვადასხვა ხასიათის ტექსტის წერა; წერისას იყენებს არგუმენტირებას; შეუძლია აუდიტორიასთან უშუალო კონტაქტის დამყარება, საუბარი; უმუშავდება ლოგიკური აზროვნება; შეუძლია სხვადასხვა მედია პლატფორმებისათვის წერა; აუდიო ჩანაწერის მომზადება; ფონისა და ხმაურის დადება; რედაქტირება; ფლობს HTML-ში მუშაობის ტექნიკას, იცის ფოტოსა და ფილმის გადაღება; იძენს Photoshop-ში მუშაობის გამოცდილებასა და სხვა.

ფლამანდური ჟურნალისტური განათლების საბაკალავრო საფეხურისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც მშობლიური ენის, ასევე რეგიონის სამეზობლო პოლიტიკისათვის პრიორიტეტული ენების საფუძვლიან შესწავლას. არანაკლებ მნიშვნელოვანია დეონტოლოგიის და ახალი ამბების კურსი, რომელიც სწავლების ორივე საფეხურზე (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) გრძელდება და ინფორმაციის მოძრაობის ყველა ტრანსპარენტის შესწავლას ემსახურება.

სტაჟირება სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. მასკომუნიკაციის კურსები ძირითადად სამაგისტრო პროგრამის ნაწილია და მთელი სწავლების მანძილზე გრძელდება, თუმცა, საბაკალავრო დონეზე სტუდენტები ამ კურსისათვის საჭირო გარკვეულ კომპეტენციებს იძენენ. ტექნიკური კომპეტენციების ათვისება მთლიანად საბაკალავრო დონეზე ხორციელდება. შედეგების მიხედვით ასეთი სურათი იკვეთება: ბაკალავრიატის დონე უზრუნველყოფს სტუდენტთა აღჭურვას საერთო განათლების მომცველი კურსებით, რომელიც მაგისტრატურის დონეზე თითქმის არ გვხვდება. სამაგისტრო პროგრამა კი დაფუძნებულია კვლევის კომპონენტებზე და სხვადასხვა მედიის სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს. იგი უფრო აკადემიურია, განსხვავებით ბაკალავრიატისაგან, რომელიც პრაქტიკულ ხასიათს ატარებს.

ფლამანდიაში ჟურნალისტურ განათლებაზე მოთხოვნა ყოველწლიურად მატულობს. სტუდენტები, სწავლების პირველ წელს, საბაკალავრო დონეზე იძენენ ზოგად ცოდნას მედიის შესახებ, მეორე წელი ხმარდება სხვადასხვა მედიაპლატფორმის ფუნქციონირების შესწავლას, ხოლო მესამე წელს ხდება ერთ-ერთი მედიასაშუალებების შერჩევა და მასში დაოსტატება მულტიმედიური უნარების გათვალისწინებით. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ონლაინ კურსებსა და ონლაინ პრაქტიკაში, რაც მათ საშუალებას აძლევს მულტიმედიური განათლების ბაზაზე მოახდინონ შემდგომი კარიერული წინსვლა. რამდენადაც რეგიონში იგრძნობა მონომედიის, საავტორო ონლაინ მედიასაშუალებათა განვითარების ტენდენცია, ფლამანდური ჟურნალისტური განათლების მთელი პროცესი კონვერგენციის პრინციპის გათვალისწინებით მიმდინარეობს.

მედია პროდუქტის მწარმოებელთა და აკადემიურ გარემოს შორის არსებული მუდმივი დიალოგი, სადაც აქტიურად თანამშრომლობენ კურსდამთავრებულები, ქმნის გარემოს, რომ არსებული პროგრამები მაქსიმალურად მოქნილი და მედიასექტორთან დაახლოებული იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dersjant, Theo. 2010. “Richtlijnen voor de omgang met sociale media.” <http://www.denieuwereporter.nl/2010/03/richtlijnen-reuters-voor-omgang-met-sociale-media/>
2. Deuze, M., and Fortunati, L. (2011). “Atypical newswork, atypical media management”, Mark Deuze (Ed.), *Managing Media Work*, Thousand Oaks: Sage.
3. Edmonds, R. (2009). “FTC Testimony Explains 3 Trends for Newspapers in 2010” <http://www.poynter.org/column.asp?id=123&aid=174173>
4. Greeg, C. and Ferguson, D. (2011). “Using Twitter for Promotion and Branding: A Content Analysis of Local Television Twitter Sites” *Journal of Broadcasting & Electronic Media*, 55(2).
5. Grimm, Joe. (2010). “The Social Media Skills You Need to Qualify for Journalism Jobs.” <http://www.poynter.org/column.asp?id=77&aid=177611>

6. Hermans, L., and Vergeer, M. and D’Haenens, L. and Joniaux, K. (2009). “Journalistiek en internet in de lage landen. Een vergelijkende studie naar het internetgebruik van Nederlandse en Vlaamse journalisten” *Tijdschrift voor Communicatiewetenschap*, 37(2).
7. Machill, M., and Beiler, M. (2009). “The importance of the internet for journalistic research” *Journalism Studies*, 10(2).
8. Scott, B. (2005). “A Contemporary History of Digital Journalism”. *Television and New Media* 6 (1).
9. Thurman, N., and Ben Lupton. 2008. “Convergence Calls: Multimedia Storytelling at British News Websites”. *Convergence* 14 (4).

ლალი ძამუკაშვილი

ჟურნალისტური კომპეტენციების ტრანსფორმირება ფლამანდური კურიკულუმების მაგალითზე რეზიუმე

ციფრული და ქსელური ჟურნალისტიკის განვითარებამ მედიასაშუალებების ფუნქციონირება მთელ მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიების შესაბამისად შეცვალა და ჟურნალისტური განათლების ტრანსფორმირებაც გამოიწვია.

მოთხოვნა გაჩნდა ახალი ტიპის ისეთი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მქონე ჟურნალისტზე, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა ბაზრის დაკვეთას. ფლამანდური ჟურნალისტური განათლების რეორგანიზებაც ეპოქალურ ცვლილებებს დაუკავშირდა.

ფლამანდიაში არსებული ჟურნალისტიკის ექვსი პროფესიული საბაკალავრო და სამი აკადემიური სამაგისტრო პროგრამა, აკადემიური და პროფესიული სფეროს წარმომადგენლების ერთობლივი მცდელობით, საერთაშორისოდ აღიარებული ჟურნალისტური სტანდარტების გათვალისწინებით იგეგმება და დგება. პროგრამები ყოველწლიურ შიდა მონიტორინგს ჯერ უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ, განათლების სამინისტროს ექსპერტიზას გადას. ფლამანდური ჟურნალისტური პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული გარემოსა და აკადემიური სივრცის დაახლოება უმნიშვნელოვანეს წინაპირობად რჩება. აღნიშნული პროგრამების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ, რა კომპეტენციებზეა მოთხოვნა დასავლეთ ევროპის ამ რეგიონში და რამდენად შეიძლება ის მისაღები აღმოჩნდეს ქართული ჟურნალისტური განათლებისთვისაც.

Lali Dzamukashvili

Journalistic Competency Transformation Based on Flemish Curricula Summary

The development of digital and networked media in the world changed the terms of media functioning in accordance with new technologies: this modification significantly influenced media educational programs, impacting transformation of journalism education. Demand has arisen on a new type of skills and competencies of a journalist in order to satisfy the market. The reorganization of Flemish Journalism Education is linked to these epochal changes.

In Flanders, with the joint efforts of academicians and representatives of the professional field, existing six professional BA and three academic MA programs are planned and drawn up according to the internationally acknowledged journalistic standards. Annually university experts monitor internally the programs before the external examination is done by the Ministry of Education.

The major prerequisite for the Flemish journalism education is bringing together the professional and academic environments. The analysis of these programs allow us to reveal what competencies are in demand in this region of Western Europe, and how they can be acceptable to Georgian journalism education.

დიანა ჭანკოტაძე

რეიმსის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

საქართველოს 2014 წლის განსაკვლელი გზა ევროინტეგრაციისაკენ

ჟურნალისტიკის როლი დამნიშვნელობა მსოფლიოში არსებულმა ტექნიკურმა ცვლილებებმა მეტისმეტადაქტუალური გახდა. საჭირო შეიქმნა ინფორმაციის სწრაფი, ხარისხიანი და ეფექტური მიწოდება. პროფესიაში არსებულმა კონკურენციამ კი მედიის მომხმარებელი კიდევ უფრო ცნობისმოყვარე და მომთხოვნად აქცია. სიტყვის თავისფლება მედიის ერთადერთ უპირობო მოთხოვნად გადაიქცა, მაგრამ მიუხედავად ამ პროფესიის საერთო მამოძრავებელი ღერძისა, რასაც ჩვენ „ჟურნალისტიკის ეთიკის ნორმებს“ ვუწოდებთ, მსოფლიოს ყველა ქვეყანა თავისებურად, საკუთარი ქვეყნის ინტერესების, რესურსებისა და ფინანსების გათვალისწინებით ქმნის თავის შეუცვლელ დარგს – ჟურნალისტიკას.

ევროინტეგრაციის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად, მრავალ სხვათაგან თავისუფალი, არატენდენციური და თანამედროვე მედიის არსებობაა ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის. რა მთავარი და განმასხვავებელი ნიშან-თვისება გააჩნია ევროპულ მედიას? ამ კითხვაზე პასუხი მრავალმხრივია, თუმცა იდეა ერთია დემოკრატიული ფუნქციონირება, საკუთარი ინდივიდუალიზმის შენარჩუნებით. ევროპული მედიის პრინციპები და ტრადიციები წინა საუკუნეებში იღებენ სათავეს. ზოგერთი ევროპული ქვეყნისთვის კი სწორედ ეს ტრადიციები ქმნიან მედიანდივიდუალიზმს ინტერნეტისა და ციფრული ტექნიკის ხანაშიც კი. ტრადიციებსა და პრინციპებს საუკეთესოდ ინარჩუნებენ ის სასწავლებლები, სადაც პროფესია ჟურნალისტიკა ისწავლება, რადგან ამ სფეროში მიღებული განათლება ერთადერთი იარაღია ევროპული მედიისათვის. საკითხის ჩაღრმავებისთვის ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა – საფრანგეთი განვიხილოთ.

1631 წელს საფრანგეთის მეფე ლუი მერვის კარზე წარმატებული ფილოსოფოსი და ლიტერატორი თეოფასტ რენოდო მოღვაწეობდა. სწორედ მას გაუჩნდა იდეა პირველი ხელნაწერი გაზეთის შექმნისა, რომელსაც მან „ლა გაზეტ“ უწოდა.

გაზეთმა გამოცემისთანავე უდიდესი პოპულარობა მოიპოვა და გაჩნდნენ უამრავი სხვა ხელნაწერი გაზეთებიც. მოგვიანებით კი პირველი ფრანგული ყოველდღიური გაზეთი „ჟურნალ დე პალი“. თავისთავად ცხადია, საფრანგეთის იმდროინდელი მეფეები გაზეთებს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით იყენებდნენ. ინერებოდა მათ მიერ სასახლეში გამართულ წვეულებებზე, ნადირობებსა თუ უცხოელი დესპანების მიღებებზე, რაც მოსახლეობაში თანდათან უკმაყოფილებას იწვევდა. მოსახლეობას სიმართლის წყურვილი ამოძრავებდა და 1789 წელს საფრანგეთში სიტყვის თავისუფლების მოთხოვნით პირველი რევოლუცია მოეწყო. რევოლუციები დროდადრო მეორდებოდა იქამდე, სანამ 1881 წელს საფრანგეთის მესამე რესპუბლიკამ არ შეიმუშავა კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ. კანონი ითვალისწინებდა შემდეგს, ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლოთ დაენერა და დაებეჭდა ის, რაც სურდა.

სიტყვის თავისუფლების კანონმა ქვეყანაში უამრავი ახალი გამოცემა შეიქმნა, 1920 წელს რადიო სადგურები დაარსდა, 1949 წელს კი ტელევიზიების აღმოცენება, რამაც პროფესია ჟურნალის-

ტიკა დააფუძნა. ეს პროფესია თანდათან უფრო პოპულარული გახდა ახალგაზრდებში. 1899 წელს დაარსდა პირველი ჟურნალისტური სასწავლებელი, რომელსაც „პარიზის ჟურნალისტის უმაღლესი სკოლა“ ეწოდა. (Ginies M.-L. et Thivard E) **ჟურნალისტის ფრანგული სკოლები.**

დღეს საფრანგეთში 13 „ჟურნალისტის სკოლა“ არსებობს, უმრავლესობა კერძო დაწესებულებაა. საკმარისია თუ არა ევროპის ამ 66 მილიონიან ქვეყანაში 13 სასწავლებლის არსებობა? პასუხი შემდეგია - ამ ქვეყანაში სიმრავლე არ ქმნის ხარისხს, პროფესია ჟურნალისტიკა კი დღეს სწორედ ხარისხის ევოლუციაში იმყოფება. სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი გრძელდება. ამათგან პირველი წელი თეორიულ სწავლებას ეძღვნება, სავალდებულო სტაჟირებებთან ერთად, მეორე წელს მთლიანად პრაქტიკულ საქმიანობას ახმარენ.

სასწავლებლების ამოცანაა, გამოძერწონ ე.წ. „ხვალის ჟურნალისტები“, რომლებიც უსწრებენ დროს.

სწორედ ამიტომ სტუდენტები დღეში 12 საათს მუშაობენ პრესის, ტელევიზიის, რადიოს თუ ინტერნეტ მედიის სრულფასოვნად დასაუფლებლად.

მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ გადაიღონ, დაამონტაჟონ და მიაწოდონ მოპოვებული მასალა ამა თუ იმ მედიის მომხმარებელს. ამასთანავე ქმნიან “Iphon and Ipad“ მედია ნაწარმს დროის უწყვეტ მონაკვეთში. ამ ორი წლის განმავლობაში სტუდენტები სრულფასოვან და დეტალურ კურსებს გადიან ჟურნალისტური ეთიკის ნორმების შესახებ. პროფესორები, რომელთა ნაწილი პროფესიონალ ჟურნალისტებს შეადგენს, ყოველდღიური დავალებების საფუძველზე ასწავლიან, თუ როგორ უნდა დაიცვან ავტორის, კადრისა და ფოტოს უფლება, ან თუნდაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საკუთარ სტატიებსა თუ სიუჟეტებში. ისინი ასევე ისმენენ პროფესიონალი ინფორმატიკოსების ლექციებს, რათა ზედმინევენით კარგად შეისწავლონ ჟურნალისტის ტექნიკური მხარე და უამრავი საჭირო ინფორმატიკული პროგრამა. მეორე კრუსზე სწავლის პარალელურად გადიან მრავალთვიან სტაჟირებას. ყველა სტუდენტი დირექციის მიერ არის სტაჟირებაზე გაგზავნილი, ზოგიერთ საუკეთესოს კი ესა თუ ის მედია კომპანია ნახევარ განაკვეთიან სამსახურსაც სთავაზობს. სწავლის პარალელურად. სტუდენტები ერთნაირად შეისწავლიან პოლიტიკის, ეკონომიკის, სპორტისა თუ კულტურის საკითხების დამუშავებას, ასევე ისინი ასევე ეუფლებიან ფოტოგრაფიასა და დოკუმენტალისტიკას. სწავლის ფარგლებში უშვებენ ჟურნალ-გაზეთებს, ამზადებენ შიდა სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებს. ყოველი სემესტრის ბოლოს კი მიემგზავრებიან რომელიმე ქვეყანაში ერთთვიანი მედია პრაქტიკის განსახორციელებლად. მთელი კურსის მოგზაურობას სასწავლებელი აფინანსებს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ 13 სასწავლებლის რეპუტაცია უტყუარი პირობაა მომავალში დასაქმებისთვის. მედია საშუალებები ყველა პირობას აძლევენ სტუდენტებს რომ დახელოვნდნენ მათთან, ხოლო ამ „გამოზრდილ“ კადრს კი თავისთავად მომავალში ასაქმებენ. სასწავლებლებისა და მედია საშუალებების კავშირები მეტისმეტად მჭიდროა ახალგაზრდა დიპლომირებულების დასაქმებლად. მათ შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, ყველა სტუდენტი საქმდება იმის მიხედვით, თუ ვის სად სურს პროფესიული საქმიანობის გაგრძელება. სწავლის საფასური 400-იდან 5000 ევრომდე მერყეობს, ეს კი შემდეგზეა დამოკიდებული: რაც დიდია სასწავლებლის რეპუტაცია შრომისა და დასაქმების ბაზარზე, მით მაღალია გადასახადიც. (Côme T.)

ფრანგული მედია.

ფრანგული მედია სამ მნიშვნელოვან ფაქტორს ემყარება :

1. პროდუქტი
2. შესრულებული სამუშაო
3. კაპიტალი

პროდუქტში ინფორმაცია იგულისხმება, ინფორმაცია, რომელსაც ყიდულობენ და ასევე ყიდიან, შესრულებული სამუშაო მედიის შემქმნელებს, ჟურნალისტებსა თუ ტექნიკოსებს მოიაზრებს, ხოლო კაპიტალი – მედიის ფინანსური შემოსავლები გახლავთ. ფრანგული მედია, ისევე როგორც მსოფლიო მედია, რამდენიმე კატეგორიად იყოფა, პრესა, ტელევიზია, რადიო და ინტერნეტ მედია

ფრანგული მედიის. რადგანაც მაგალითად პრესა, რომელიც, თავის მხრივ, დაყოფილია: ყოველდღიურ, პერიოდულ და ეროვნულ გამოცემებად უკვე დიდი ხანია ფინანსურ კრიზისს განიცდის, მკითხველის დაკარგვის გამო. რადიო და ტელევიზია კვლავ ინარჩუნებენ საჭირო მსმენელსა თუ მაყურებელს. ისინი სახელმწიფო ან კერძო მედია საშუალებები გახლავთ. ყველა მათგანის ერთი საერთო დევიზია: საინტერესოს დამატებული სასარგებლო.

ინფორმაცია, როგორც მედიის მთავარი მამოძრავებელი ძალა, ცხადია, მისი ფინანსური ბერკეტიცაა, ამიტომაც კონკურენცია ამ ინფორმაციის პირველობისთვის მედია საშუალებებს შორის დიდია.

ფრანგული მედიის ზემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე განშტოებაში გავლენის თვალსაზრისით პირველი ადგილი მაინც ტელევიზიას უკავია, ამიტომაც ტელევიზია ყველაზე მეტადაა რეგულირებული საფრანგეთის სახელმწიფოსაგან 1989 წელს შექმნილი ორგანიზაცია : „აუდიო მედიის მარეგულირებელი საბჭოს CSA“ -ის მიერ. (Pierre Mory.)

ეს ორგანიზაცია სპეციალურად იმისთვის დაარსდა, რომ აუდიო მედიას ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვისაკენ მოუწოდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ტელევიზიებს მაღალი ფულადი ჯარიმები ენიშნებათ, ამის არაერთი მაგალითი უკვე არსებობს.

სწორედ ამიტომაც ფრანგული კერძო თუ სახელმწიფო სატელევიზიო არხები, მართლაც რომ ზუსტად იცავენ ეთიკის ნორმებს. გარდა ამისა, ინფორმაციულობას უთავსებენ შემეცნებით და სოციალურ თემებზე აგებულ გადაცემებს, რომლებსაც მოსახლეობისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. გასართობი და როგორც თავად უწოდებენ „გადმოკოპირებული“ ამერიკული გადაცემების რაოდენობა ფრანგულ ტელევიზიებში მინიმუმამდეა დაყვანილი. დახვეწილი მარკეტინგი, კომერციული სტრატეგიულობა, მაღალი ხარისხის ტექნიკური, ადმინისტრაციული თუ პროფესიული კადრები, ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, გავრცელების აპრობირებული მეთოდი და ხშირად განახლებული უახლესი დროის თანამედროვე აპარატურა ფრანგულ მედიას საშუალებას აძლევს კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს ,ნებისმიერი ქვეყნის მედიას ტრადიციული ჟურნალისტური ეთიკის გათვალისწინებით.

ობიექტურობის და არატენდენციურობის შენარჩუნება, თავისთავად ცხადია, ყოველთვის ადვილი არ არის და ამისთვის ბრძოლა დღემდე გრძელდება ფრანგულ მედიაში, მაგრამ წინა საუკუნეებში მიღებულ კანონს სიტყვის თავისუფლების შესახებ ფრანგები დღესაც იცავენ.

ის ფაქტორი, აფინანსებს თუ არა სახელმწიფო რომელიმე მედია საშუალებას, არანაირ დაბრკოლებას და ცენზურას არ წარმოადგენს ფრანგული მედიისთვის და ისინი არასდროს

არ ერიდებიან სახელმწიფოს ამა თუ იმ საკითხში მხილებას, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიან. სწორედ ეს სიტყვის თავისუფლება, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების სრული დაცვა და კადრების მაღალ პროფესიულად გამოზრდა-დასაქმება გახლავთ მთავარი ფრანგული მედიის წარმატების იარაღი.

დასკვნა: ევროგაერთიანების დამაარსებელ ქვეყნებს შორის საფრანგეთი ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს ბელგიასთან, გერმანიასა, ჰოლანდიასა თუ იტალიასთან ერთად. ამ გაერთიანების პრინციპებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული და გამჭვირვალე სახელმწიფოს შენება გახლავთ. სახელმწიფოსი რომლის განვითარებაშიც ამ სახელმწიფოს მედიას დიდი როლი აკისრია. მედია რომელსაც შეუძლია მოახდინოს სახელისუფლებო რეჟიმის შეცვლა ქვეყანაში, თავისთავად ცხადია, დიდ შედეგს მოიტანს ქვეყნის ევროინტეგრაციაში კიდევ უფრო მეტად ჩაბმაში. ევროპული ქვეყნების, ტრადიციების, ფასეულობების, პრობლემებისა და მიზნების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, კიდევ უფრო გააღრმავებს მათ ევროპულ ცნობიერებას და ხელს შეუწყობს მოსახლეობის მენტალიტეტის ამ გაერთიანებაში შეღწევის სიმნიშვნელობას. მსოფლიოში გავრცელებული მედია პრინციპი : „მე ვუყურებ, ვუსმენ, ვკითხულობ – შენ კი ამ დროს მდიდრდები“, საბედნიეროდ არ ვრცელდება ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მედიაზე. განსაკუთრებით კი საფრანგეთის, რომელიც მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, ახალგაზრდების განვითარებით და მათი პრობლემების მოგვარებითაა დაკავებული. იმისათვის რომ დავაჩქაროთ ევროინტეგრაცია, პირველ რიგში საჭიროა გადავხედოთ ქვეყანაში არსებულ მედიას და განსაკუთრებით იმას, თუ რამდენად გავს იგი ევროპულს. დღეს იმ ქვეყნებში რომლებსაც გეზი ევროკავშირისკენ აქვს აღებული, ხშირად ამერიკული მედიის მაგალითებს და პრინციპებს უფრო ნერგავენ, ფინანსური სარგებლის თვალსაზრისით. ეს კი ევროინტეგრაციის დაჩქარებისთვის მისაბაძი ნამდვილად არ გახლავთ. ამერიკული მედია, მაგალითად საფრანგეთში „ზღვარგადასულად“ მოიაზრება და მას ნაკლები გულშემმატკივარი ჰყავს. კიდევ ერთი, რაც ევროპულ მედიას ახასიათებს, გახლავთ ის რომ, პროფესია ჟურნალისტიკაში საკუთარი ჟურნალისტური „მე“ არ არსებობს და აქცენტი მხოლოდ იმ ინფორმაციაზე კეთდება რასაც ზოგადად ჟურნალისტები ავრცელებენ. მორიგ კითხვაზე ვისთან უფრო მეტი საერთო შეუძლია ქონდეს ქართველ ხალხს, უძველესი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ფრანგებსა თუ საკმაოდ „ახალგაზრდა“ ამერიკელებს შორის, ვფიქრობ პასუხი ცალსახაა. მაშ, რატომ ვუვლით გვერდს ევროპის მედიას და ვესესხებით იმ ქვეყანას, რომელთანაც არც მენტალურად, არც ისტორიულად და არც მედია ღირებულებებით არავითარი საერთო არ გავაჩნია.

მაღალი დონის პროფესიონალიზმი, ინდივიდუალიზმი, ამ პროფესიის ევროპული ევოლუციის ფერხულში ჩაბმა და ჟურნალისტიკის მთავარი, ტრადიციული და უცვლელი ღერძის, ეთიკის ნორმების დაცვა, ხელს შეუწყობს ევროპულ მედიასთან გათანაბრებას და შესაბამისად, საქართველოს 2014 წლის გასავლელი გზის ევროინტეგრაციისაკენ სწრაფვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ginies M.-L. et Thivard E., *Les métiers du journalisme*, EFJ (Ecole Française de Journalisme), 4^{ème} édition, Paris, 2011.
2. Côme T., *Quelles innovations dans la formation aux métiers du journalisme ? L'exemple du master « Journalisme Européen » de l'Université de Reims Champagne-Ardenne*, in Tvorivost' a Inovácia v Europ-skom Vysokoškolskom Priestore, 3 juin 2009, publié par Studio 22, Zvolen, juin 2009.
3. Pierre Mory. Hugh Stephenson et l'association européenne de formation au journalisme (AEFJ) – *La formation au journalisme en Europe*, Editions de CFPJ en avril 1991.

დიანა ჭანკოტაძე

საქართველოს 2014 წლის გასავლელი გზა ევროინტეგრაციისაკენ რეზიუმე

ევროინტეგრაციისკენ მიმავალი გზა 2014 წელს სწორედ ქართული მედიის გავლით უნდა მიდ-
ოდეს. ევროპის გაერთიანებაში საფრანგეთს დიდი ადგილი უჭირავს და თავის დროზე მის დაარსე-
ბაშიც დიდი წვლილი მიუძღვის. ფრანგული მედია ევროპულ მედიას შორის ერთ-ერთი მაგალითია
იმისა თუ როგორ უნდა დავიცვათ ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და ამავე დროს დავრჩეთ ობი-
ექტურები და არაკონტროლირებადი დამფინანსებელი ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოს მხრი-
დან. ფრანგული მედიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი იარაღი ასევე ჟურნალისტიკაში მიღებული
მაღალი პროფესიული განათლებაა. ქვეყანაში არსებული 13 ჟურნალისტიკის სასწავლებლიდან,
ყველა მათგანი ორიენტირებულია „ხვალის ჟურნალისტების“ გამოზრდასა და მათ დასაქმებაზე. ამ
13 სასწავლებლის დირექციას მნიშვნელოვანი კავშირები აქვს გაბმული მედია საშუალებებთან, სა-
დაც ახალგაზრდა დიპლომირებულებს ასაქმებს. სტაჟირებების შედეგად ხშირად სტუდენტთა ნახ-
ევარგანაკვეთზე სამსახურში აყვანაც ხდება სწავლის პარალელურად. ფრანგული მედია გამოირჩევა
იმ პრინციპების დაცვით, რომელსაც მხოლოდ საზოგადოების ინფორმირება არ კი შეუძლია, არამედ
მათ განვითარებაზე და სოციალური პრობლემების მოგვარებასაზეც ზრუნავს. საქართველოს ნამ-
დვილად შეუძლია ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდეს, ამისათვის საჭიროა მედიას დააკისროს
მნიშვნელოვანი როლი, მოსახლეობის ინფორმირებისა და მისი მენტალიტეტისა მომნიჭებაში. ევრო-
პა წარმოუჩინოს თავისი ფასეულებებით და ამავე დროულად პრობლემებით. ქართული მედიის ევრო-
პულთან გათანაბრებან ეს ნამდვილად გახლავთ ერთ-ერთი გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ. საქა-
რთველო, ისევე როგორც ბევრი მასავით ევროკავშირისკენ ორიენტირებული ქვეყანა, რატომღაც
ამერიკული მედიის პრინციპებს ნერგავს საკუთარ ქვეყანაში. ფრანგულ ჟურნალისტიკაში ნაკლებად
შეხვდებით მსგავს მაგალითებს, არც სწავლების პროცესში იყენებენ ამერიკული სასწავლო სისტე-
მის მეთოდოლოგიებს. მათ სიტყვის თავისუფლების კაკონი ჯერ კიდევ 1989 წელს მიიღეს და დღემდე
მკაცრად იცავენ ამ კანონს. ობიექტურობა და ჟურნალისტური ეტიკის ნორმების დაცვა ეს ის მედია
რირებულებებია, როლმებიც ვერც სიტყვის თავისუფლებამ შეარყია.

Georgia's Road towards the European Integration 2014

Summary

The road towards the European integration 2014, must exactly pass through Georgian media. France has occupied a great place in uniting Europe and once it owned a large share in its formation. French media is one of the examples among European media, how to reserve the norms of the ethics of journalistic and at the same time it is essential to remain objective and uncontrolled from the state. One of the main principles of success of the French media is obtaining high professional education in journalism. Of the existing 13 institutes of journalism in the country, each of them are concentrated on the development of growth of education and the providing the jobs to 'future journalists'. Directorate of these institutions of journalism has the important connections with the means of the media, so they have providing jobs for young graduates. As a result of training, students are hired at the part-time jobs. The main difference of the French media is the preserving of its own principles. It has not only informed the society but also has cared about the education and has solved the social problems of the society. For Georgia, it is necessary to assign a major role to media, for informing and maturing the mentality of the society, it is really essential for becoming a member country of the European Union. At the same time it must present its values and concerns to Europe. One of the ways of the integration of the Georgian media is equalization to European principles. Georgia, for some reason has been introducing American principles, like many other countries which are oriented towards the European Union. Based on the principles of the French media such examples are rare, as well as American teaching methods are not used in the educational process. In 1989 a law on "freedom of speech" was adopted and till now they have strictly been complying the law. And finally, objectivity and compliance with the ethical standards of journalism are the values which even have not affected the "freedom of speech".

ნათია ჯიქია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ს ჟურნალისტიკა ორი მსოფლიო ომის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომისათვის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო. მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა ბევრ რამეს მოითხოვდა – მათ შორის, რესურსების მობილიზებას, სამხედრო ბლოკების შეკონინებას, არმიის გადაყვანას სამშვიდობოდან საომარ მდგომარეობაში. გასაგებია, რომ საამისოდ საჭირო იყო არა მხოლოდ თვეები და წლები, არამედ ათეული წლები. მთელი სვლა ისტორიული განვითარებისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამტკიცებს დიდი სახელმწიფოების მისწრაფებას საომარი მზადებისაკენ.

იმპერიალიზმის ეპოქის პირველმა ომებმა აჩვენა არა მარტო მნიშვნელობა ეკონომიკური და სახელმწიფო პოტენციალისა, არამედ მომნიშვნელო „მასების მორალური სულისკვეთებისა, რომელმაც ამ ომებში საკუთარი სისხლი დაღვარა“. პულიტცერმა და ჰერსტმა აჩვენეს ძლევამოსილება საზოგადოებრივი აზრისა, რომელიც მხარს უჭერდა აშშ-ს ხელისუფლებას სამხედრო მოქმედებების მომზადებასა და განხორციელებაში სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ამასთანავე, ამერიკული ჟურნალისტიკის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ პრესაზე პირდაპირ მოსყიდვას ან წნეხს ყოველთვის არ მოაქვს სასურველი შედეგი. საჭირო იყო ინფორმაციული ნაკადის მართვის ისეთი ფარული ბერკეტების გამოყენება, რომლის ნათელი მაგალითია პრეზიდენტი თეოდორ რუზველტის დამოკიდებულება პრესასთან. უხეში მეთოდები და ფორმები თუ საშუალებები ინფორმაციული ნაკადების მართვისას სულ უფრო და უფრო იცვლებოდნენ ხელისუფლებისათვის მომგებიანი პუბლიკაციების ბეჭდვით.

სულ სხვა საქმეა – ომი. აქ შეიძლება გადაისროლო სრულიად არაფრისმთქმელი და უსარგებლო სიტყვები პრესის თავისუფლებაზე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე და, იმავდროულად, „ნაციონალური ინტერესების“ შეფარვით ანარმოდ პირდაპირი ცენზურა.

ამის მაჩვენებელია პირველი და მეორე მსოფლიო ომი, ასევე ომებს შუა პერიოდიც. ეს ოცდაათწლოვანი მონაკვეთი ამერიკული ისტორიისა მოიცავს თავის შიგნით ორ მსოფლიო ომსა და მშვიდობიან ომებს შუა ოცწლიან პერიოდს, რომელიც აგროვებს უზარმაზარ და მრავალსახეობრივ ფაქტოგრაფიულ და კონცეპტუალურ მასალას, მოვლენებითა და ისტორიული პერიპეტეებით დაძაბულს.

შიდაპოლიტიკური პროპაგანდის ნარმოების მეთოდების შემუშავებასა და ქვეყნის შიგნით ინფორმაციული ნაკადის მართვის სფეროში გარდამტეხი პერიოდი იყო პირველი მსოფლიო ომი. პირველად ნაპოლეონის შემდეგ ამ საქმიანობამ მიიღო ცენტრალიზებული ხასიათი, რამეთუ „მთავარი ვიოლინოს“ პარტიას აქ თამაშობდა სახელმწიფო და არამონოპოლისტიური კაპიტალი. როდესაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. საკითხმა ომში ქვეყნის მონაწილეობის შესახებ გამოიწვია პოზიციათა ყველაზე მკვეთრი შეჯახება ამერიკულ საზოგადოებრივ აზრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში 240 ყოველდღიურ გაზეთს აშშ-ში ეჭირა ნეიტრალური პოზიცია მეომარი მხარეების მიმართ და მხოლოდ 20 გამოხატავდა პროგერმანულ პოზიციას. იზოლაციონალურ პოზიციას ავლენდნენ: „ვაშინგტონ პოსტი“, „ჩიკაგო ტრიბუნი“, „ლოს ანჯელეს ტაიმსი“, „სან ფრანცისკო ქრონიკელი“. ღიად პროგერმანული ორიენტაციისა იყო უილიამ ჰერსტის „ნიუ იორკ ჯერნელი“, რომელიც დაკავებული იყო გერმანიის მხარდასაჭერი პროპაგანდით.

ომის მსვლელობამ მისი დანყების პირველივე დღეებში მეომარი ქვეყნების მთავრობები დააყენა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ შეენყვიტათ ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ძალისხმევა შინაგანი სახელმწიფო რესურსების გამოყენებით და ენარმოებინათ საკუთარი საომარი პროპაგანდა. უკვე 1914 წ. აგვისტოში ინგლისმა შენყვიტა სატელეგრაფო საკაბელო კავშირი გერმანიასთან, ხოლო ბექდვითი სიტყვა აშშ-ის უნდა დაკმაყოფილებულიყო ინგლისის მიერ მოწოდებული ისტორიული წყაროებითა და ინფორმაციებით ომის შესახებ. აქ ის, თუ საკუთარ საინფორმაციო საშუალებებს არ ვიგულისხმებთ, რასაკვირველია, უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ ინგლისური მასალების ინტერპრეტაციით.

მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ს შესვლით ანტანტაში (1917 წლის აპრილი) მკვეთრად გაძლიერდა ამერიკული ხელისუფლების ანტიგერმანული პროპაგანდა. შეიქმნა პრესის მართვის სპეციალური სამთავრობო ორგანოები, რომელთა შორისაა საზოგადოებრივი ინფორმაციის კომიტეტი (სი-პი-აი), რომელსაც თავმჯდომარეობდა პრეზიდენტის ვილსონის პირადი მეგობარი ჯ.კრილი, რაც, თავის მხრივ, ბევრ რამეზე მეტყველებდა. 1917 წლიდან იბეჭდებოდა სამთავრობო საინფორმაციო ორგანო „ოფიშიელ ბიულეტენი“, რომლის ტირაჟი ომის ბოლოს 11 8000 ეგზ. შეადგენდა. კრილმა მოახერხა ის, რომ თავის უწყებაში სამუშაოდ მიიზიდა ძლიერი პროფესიონალები, რომლებიც გამწესებული იყვნენ სპეციალიზირებულ სექციებში. ინფორმაციულ, უცხოურ პრესაში, კინოსა და სამოქალაქო განათლებაში, სამრეწველო საკითხებსა, სამხედრო გამოფენებსა და საბაზრო ექსპოზიციებში, ვინრო სალექციო პროპაგანდაში, რეკლამასა და კარიკატურაში.

თავად კრილი წერდა იმ დროისათვის: 3000 ისტორიკოსი არის ჩვენს განკარგულებაში, რომლებიც მზად არიან პირველივე მოწოდებისთანავე დაწერონ საჭირო ბროშურები; არსებითად, თითოეული მწერალი უთმობს დროს კომიტეტის მუშაობას; რეკლამის სექცია სარგებლობს ძლიერი ექსპერტების სამსახურით; ოთხნუთიან სპიკერებს შორის დაახლოებით 50 000 კაცი ირიცხება...აშშ-ს ცნობილი მხატვრები გაერთიანდნენ ლოზუნგების შესაქმნელად; არ ზრუნავს რა ფინანსურ კომპენსაციაზე, მობილიზებულია კინოინდუსტრია, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს მათ მოთხოვნებს.

აშშ-ს ხელისუფლება პირდაპირ გავლენას ახდენდა მისთვის სასურველი მიმართულებით ქვეყნისშიდა ჟურნალისტიკაზე. თუმცაღა პრინციპი და იდეა ცენზურისა ძალიან მიუღებელი იყო ამერიკული ჟურნალისტური ტრადიციისათვის, ხოლო ძირითადი ამერიკული კანონები არც კი ცნობენ ამ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით. ამერიკული ხელისუფლება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გადავიდა პირდაპირი ოფიციალური ცენზურის შეტანაზე. განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდებოდა ნებისმიერი სახის ინფორმაცია და ყველა მისი წყაროები, მათ შორის, სამხედრო წერილები. სამხედრო სამინისტრო არეგულირებდა ყველა საკითხს, რომელიც უკავშირდებოდა სამხედრო კორესპონდენტების საქმიანობას, თუმცა, მის მიღმა იმალებოდა, ინიღბებოდა უფლება ხალხის „სამართლიანად“ ინფორმირებისა ფაქტების შესახებ, რომელიც ეხებოდა ჯარის ოპერაციას, თუმცა კატეგორიულად იკრძალებოდა მტრისთვის ინფორმაციის გადაცემა.

1917 წ.15 ივნისიდან აშშ-ში მსოფლიო ომის პერიოდში ამოქმედდა „კანონი შპონინაჟზე“, რომელიც ითვალისწინებდა სამართლებრივ პასუხისმგებლობას „სამთავრობო კამპანიის ჩაშლისათვის“. ასევე, 1918წ. – „კანონი ამბოხის მოწოდებისაკენ“. მაშინვე იქნა მიღებული ცენზურა უცხოურ ფოსტაზე. 1917წ. შემოდგომაზე საფოსტო პრივილეგიიდან გათავისუფლდა და დაიხურა მემარცხენე სახალხო ლიტერატურული ჟურნალი „მესიზ“ („მასები“).

გამოცდილება, რომელიც შეიძინა აშშ-მ პირველი მსოფლიო ომის დროს, ამერიკულმა ხელისულებამ გამოიყენა მომდევნო ომებსა და კონფლიქტებში. ის ყოველმხრივი შესწავლისა და განზოგადების საგანი გახდა და უჩვენა პლუსები და მინუსები სახელისუფლებო პროპაგანდის ორგანიზაციისა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, საბოლოო ჯამში, ჟურნალისტიკა განვითარდა იმ გზებით, რომელიც განვლილი იქნა მის მიერ 1914 წელს. საერთო საცალო ტირაჟი აშშ-ს ყოველდღიური გაზეთებისა აიწია 24,2 მილიონ ეგზემპლარამდე. 1910 წელს 27,8 მლმ-ით, 1920წ. -39,5მლნ. კრიზისმა 1929-1932წ. შეანელა ტემპი ამ ზრდისა და შემდგომ ათწლეულში ტირაჟის ნამატმა შეადგინა მხოლოდ 1,6 მლნ. ეგზემპლარი. რაც შეეხება საკვირაო გაზეთებს, მისი ტირაჟი ამ ყოველდღიურ გაზეთებს დიდი რაოდენობით აჭარბებს. მოიცავს რა 250 გვერდს, იზრდება მოცულობით ამ ათწლეულში 17-დან 32,4 მილიონამდე. თუკი 1930 წელს ამერიკული ქალაქების 25,5% ჰყავდათ კონკურენტი გაზეთები, მაშინ 1940 წელს მათი რიცხვი შემცირდა 12,7%-მდე. ყოველდღიური გაზეთების რაოდენობამ შეადგინა 2430 1930 წელს და 1848 – 1940 წელს. ეს მიუთითებდა პრესის სამომავლო მონოპოლიზაციაზე.

საგაზეთო პრესა, რომლის რეფორმატორებად ბენეტის შემდგომ გამოვიდნენ პულიტცერი და ჰერსტი, დროულად შემოიჭრა, რადგან იგი, როგორც არაფერი სხვა, ისე ადაპტირდებოდა ამერიკული ცხოვრების რიტმთან. ანკეტირებამ, რომელიც ჩატარდა ჩიკაგოში 1930 წელს, აჩვენა, რომ ამერიკელების ნახევარს შეუძლია მიუძღვნას გაზეთების კითხვას არაუმეტეს 15 წუთისა დღეში. დილით ამერიკელები კითხულობენ სტატიის სათაურებს, ამინდის პროგნოზს, ხოლო საღამოს, როდესაც მათ უფრო თავისუფალი დრო აქვთ, დაძაბული სამუშაო დღის შემდგომ, სრულებით არ არიან იმ განწყობაზე, რომ ზედმეტი გონებრივი მუშაობით თავი გადაიღალონ. გაზეთმა მსუბუქად უნდა მიაწოდოს მათ ინფორმაცია და გაართოს ისინი ამოკრეფილი ინფორმაციული მასალით.

1929 წელს ეროვნული საჟურნალო და საგაზეთო გამოცემათა შორის მოიაზრებოდა 2133 ყოველდღიური გაზეთი საცალო ტირაჟით 35, 5მლნ. ეგზემპლარი და თუმცა აშკარა უმრავლესობა ამ ტიპის გაზეთებისა გამოდიოდა ინგლისურ ენაზე, საერთო რიცხვი უცხოენოვანი გაზეთებისა შეადგენდა 1118-ს, რომელთაგან გერმანული იყო – 200, ებრაული – 44, რუსული – 4 და ჩინურიც – 4.

ტირაჟის მიხედვით, პირველი ადგილი აშშ-ს გაზეთებს შორის ეჭირა „ნიუ იორკ დეილი ნიუსს“ (1, 224მლნეგზ.), „ჩიკაგო ტრიბუნს“ (810 ათასი ეგზ.), „ჩიკაგო ამერიქენს“ (540 ათასი ეგზ.), საკვირაო გამოცემებს: „ნიუ იორკ დეილი ნიუსს“ „ჩიკაგო ტრიბუნსა“ და „ჩიკაგო ამერიქენს“ ჰქონდათ ტირაჟი 1,1-1,5მლნ. ეგზემპლარი. მხოლოდ 27 ამერიკულ გაზეთს ჰქონდა გაზეთები 100 000 ეგზ. (სულ 75 დასახელებისა). 194 გაზეთი იბეჭდებოდა 50 000-ზე მეტი ტირაჟით. სამაგიეროდ, თითქმის ნახევარი ყოველდღიური გაზეთებისა აშშ-ში (იბეჭდებოდა ტირაჟით 50000 ეგზ მეტი. სამაგიეროდ, თითქმის ნახევარი ყოველდღიური გაზეთებისა აშშ-ში (იბეჭდებოდა ტირაჟით 5000ეგზ.მცირე რაოდენობით) სხვაგვარად რომ ვთქვათ, 3/4 მთელი ყოველდღიური გაზეთებისა წარმოადგენდნენ მცირეტირაჟიან გამოცემებს მხოლოდ რამდენიმე 1000 ეგზემპლარით.

თუკი მოთხოვნილება ასობით ამერიკულ გაზეთზე საგაზეთო ქალაქის მხრივ შეადგენს 100 ტონას თითოეული მათგანისათვის, 20 მათგანი იყენებდა 20 000 ტონას ყოველწლიურად. საშუალო მოცულობა თითოეული ნიუ-იორკული გაზეთისა 1925 წელს შეადგენდა 42 გვერდს

ყოველდღიურად. „ნიუ იორკ ტაიმსი“ მოიცავს 90 გვერდს. წამყვანი ამერიკული გაზეთების დასახასიათებლად საკმარისია მოვიტანოთ ასეთი ფაქტი: სალამოს გაზეთი „ფილადელფია ივინგ ბიულეტენი“ („ფილადელფიის სალამოს ბიულეტენი“) გამოვიდა 1925 წელს, ჩვეულებრივი წიგნის ფორმატის სახით, რომლის მოცულობა 20 ნაბეჭდი ფურცელი იყო, თანაც არსებობდა მკვეთრი განსხვავება ხარისხში ტიპოგრაფიული აღჭურვილობის კუთხით. ზოგიერთ ტიპოგრაფიაში ერთი გაზეთისთვის 3 ნაბეჭდი მანქანა მუშაობდა, მაშინ როდესაც 300-ზე მეტი საგაზეთო ტიპოგრაფიის განკარგულებაში 10-2-ნაბეჭდი მანქანა მოიპოვებოდა სხვადასხვა სიმძლავრისა. „იმისათვის, რომ მსხვილი გაზეთების ქალაქებს ჰქონოდათ საშუალება გამოემვათ დიდი ტირაჟები და დიდი მოცულობით, ისინი, ბუნებრივია, ფლობდნენ პირველი კლასის ძღვევამოსილ ტიპოგრაფიებს. ეს უზარმაზარი ფაბრიკები („ნიუ იორკ ტაიმსის“ ტიპოგრაფიაში 1800 მუშა იყო, ხოლო რედაქციაში – 616 თანამშრომელი, კანტორაში- 953 ადამიანი, მმართველობაში- 84 წევრი, საერთო ჯამში კი – 3453 ადამიანი)- აღჭურვილი იყვნენ ყველაზე თანამედროვე მანქანებით, სადაც მანქანები ყოველწლიურად იცვლებოდნენ.

იზრდება კონცენტრაცია და მონოპოლიზაცია პერიოდული პრესისა უკვე 1910წ, ქვეყანაში იყო 13 საგაზეთო „ჯაჭვი“, რომელიც 62 ყოველდღიურ გაზეთს აკონტროლებდა, 1930 წლიდან კი მან 55-ს მიაღწია და მათ კონტროლქვეშ 382 გაზეთი არსებობდა. 1930 წლის დასაწყისიდან მსხვილი გაზეთები თავისი უმრავლესობით ეკუთვნოდნენ „ტრესტებს“.

გაზეთების დიდი რაოდენობა შეისყიდა ჯგუფმა სკრიპს-ჰოვარდმა, რომელიც იმ დროისათვის 60 ყოველდღიურ და 10 საკვირაო გაზეთს ფლობდა, რომელთა საერთო ტირაჟი დაახლოებით 2 მლნ. ეგზემპლარს შეადგენდა. დაიწყეს რა პროვინციული გაზეთების შესყიდვით, ერთ დროს გაზეთის ქუჩის გამყიდველები, სკრიფსი და ჰოვარდი 1920 წლის მინურულს ფლობდნენ გაზეთებს მსხვილ ცენტრებში – ვაშინგტონში, ბალტიმორში, სან-ფრანცისკოსა და საბოლოოდ, ნიუ-იორკში („ნიუ-იორკ ტელეგრამ ენდ სან“).

ერთ-ერთ ნათელ ფიგურად და გავლენიან პირად აშშ-ს საგაზეთო-საგამომცემლო სამყაროში რჩებოდა ჰერსტი, რომლის ტრესტი იყო მეორე ადგილზე ყოველდღიური გაზეთების რაოდენობის მიხედვით სულ მისი ჯამობრივი ტირაჟით – თვით პირველ ადგილზე იყო (იგი ფლობდა 15% მთელი ამერიკული საგაზეთო პრესისა) დაახლოებით 30% მთელი სარეკლამო შემოსავლებისა აშშ-ში ჰერსტის გაზეთში შემოდიოდა, ამ გზით ორგზის გადააჭარბა ტირაჟის პროცენტულ მაჩვენებელს.

წამყვანი ადგილი ამერიკულ საგაზეთო ჯგუფებს შორის ომის შუა ათწლეულებში ეჭირა ტრესტს „ბიძაშვილ მაკკორმიკ-პატერსონებს“ – ორი გიგანტური ამერიკული პრესის წარმომადგენლის სახით – „ნიუ-იორკ დეილი ნიუსს“ და „ჩიკაგო ტრიბუნს“, რომელთა საცალო ტირაჟი 2 მილიონ ეგზემპლარს აღწევდა, ხოლო საკვირაო, უფრო მეტს – 20%-ს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Михайлов С.А. Журналистика стран Северной ЕвропыИзд-во Михайлова В.А., 2003.
2. Михайлов С.А. Журналистика СШАИзд-во Михайлова В.А., 2003.
3. Михайлов С.А. Современная зарубежная журналистика: правила и парадоксы СПб.: Изд-во Михайлова В.А., 2002.
4. Колесниченко А.В. Зарубежные исследования аудитории прессы . Под редакцией И.Д.Фомичевой. www.evartist.narod.ru (მოძიებულია 2014 წ.)

5. Жилавская И.В. Медиаповедение личности. Обретение смысла. www.evartist.narod.ru (მოძიებულია 2014 წ.)
6. Жилавская И.В. О современной концепции медиаинформационной грамотности и медиаобразования. www.evartist.narod.ru (მოძიებულია 2014 წ.)

ნათია ჯიქია

აშშ-ს ჟურნალისტიკა ორი მსოფლიო ომის პერიოდში რეზიუმე

ეს ეს ოცდაათწლიანი მონაკვეთი ამერიკული ისტორიისა მოიცავს თავის შიგნით 2 მსოფლიო ომსა და მშვიდობიან ომებს შუა ოცწლიან პერიოდს, რომელიც აგროვებს უზარმაზარ და მრავალსახეობრივ ფაქტოგრაფიულ და კონცეპტუალურ მასალას, დაძაბული მოვლენებითა და ისტორიული პერიპეტეიებით.

შიდაპოლიტიკური პროპაგანდის წარმოების მეთოდების შემუშავებასა და ქვეყნის შიგნით ინფორმაციული ნაკადის მართვის სფეროში გარდამტეხი პერიოდი იყო პირველი მსოფლიო ომი. პირველად ნაპოლეონის შემდეგ ამ საქმიანობამ მიიღო ცენტრალიზებული ხასიათი, რამეთუ „მთავარი ვიოლინოს“ პარტიას თამაშობდა სახელმწიფო და არამონოპოლისტური კაპიტალი. როდესაც დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა. საკითხმა ომში ქვეყნის მონაწილეობის შესახებ გამოიწვია პოზიციათა ყველაზე მკვეთრი შეჯახება ამერიკულ საზოგადოებრივ აზრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში 240 ყოველდღიურ გაზეთს აშშ-ში ეჭირა ნეიტრალური პოზიცია მეომარი მხარეების მიმართ და მხოლოდ 20 გამოხატავდა პროგერმანულ პოზიციას. იზოლაციონალურ პოზიციას ავლენდნენ: „ვაშინგტონ პოსტი“, „ჩიკაგო ტრიბუნი“, „ლოს ანჯელეს ტაიმსი“, „სან ფრანცისკო ქრონიკელი“. ღიად პროგერმანული ორიენტაციისა იყო უილიამ ჰერსტის „ნიუ იორკ ჯერნელი“, რომელიც დაკავებული იყო გერმანიის პროპაგანდით მის მხარდასაჭერად.

Natia Jikia

A Middle Period between the First and the Second World Wars and the USA Journalism

Summary

The period between the First and the Second World Wars, the interval of 30 years from American History covers both wars and peace periods/It contains huge and varied factographic and conceptual materials about tense events and historical episodes of the USA.

The World War I is considered to be a turning point in the spare of innerpolitical propaganda and conducting informational stream within the country was well-managed. When the World War I started the US declared neutral policy. The issue of its participating in the war caused sharp contrast in American public opinion.

At the beginning of the First World War about 240 daily newspapers took neutral position towards fighting sides. Only 20 papers supported the Germans, The newspapers such as ‘The Washington Post’, ‘Chicago Tribune’, ‘Los Angeles Times’, ‘San Francisco Chronicle’ showed isolating position while ‘New York Journal’ by William Hurst was engaged to support German propaganda.

During the First World War the situation got more tensed as the Committee of Public Information (CPI) was established. With the help of this organization the authority of the US had a strong impact on the journalists of the state. The officials made them write on their desirable information.

So the USA authority carried out straight official censorship in media of that time.

ერთოვლიანი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი გუნება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით

1. შესავალი

ყველა განვითარებული სამართლებრივი სისტემა ანიჭებს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას არა მხოლოდ ცალკეულ ფიზიკურ პირს, არამედ, ასევე, პირთა გაერთიანებას. მათი უმრავლესობა ითვლება იურიდიულ პირად და მონაწილეობს ურთიერთობაში, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. ბევრი გაერთიანება კი, მართალია, არ ითვლება იურიდიულ პირად, თუმცა, მასაც გააჩნია უფლება, მიიღოს მონაწილეობა სამართალურ-ურთობაში. მაშასადამე, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის არ არის აუცილებელი იურიდიული პირის სტატუსის ქონა (Нурьев, 180).

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის საზოგადოება და არარეგისტრირებული კავშირი (Нурьев, 180). სამოქალაქო სამართლის საზოგადოება (*Gesellschaft bürgerlichen Rechts (Gbr)*) 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მონესრიგების საგანს წარმოადგენს. სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული საზოგადოება შესაძლებელია იყოს ჩვეულებრივი „გაერთიანება“, რომელიც რაიმე ერთიან ქონებას საკუთრების უფლებით ფლობს, ან, მაგალითად, სახეზეა რამდენიმე პირის საერთო საკუთრება მიწის ნაკვეთზე და სხვა (ბურდული, 2008, 75).

პირთა გაერთიანების ეს სამართლებრივი ფორმა ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ამხანაგობის მომნესრიგებელ ნორმებს, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ სწორედ სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მარეგულირებელ დებულებებთან (ბეთანელი, 300). შესაბამისად, საინტერესოა მათი შედარებითი ანალიზი. ნაშრომში, ასევე, განხილული იქნება სამეწარმეო ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელსაც, 2008 წლიდან 2010 წლამდე იცნობდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და, შეძლებისდაგვარად, პასუხი გაეცემა შეკითხვას, რამდენად იყო მიზანშეწონილი მისი შემოღება ქართულ კანონმდებლობაში. ეს ყოველივე კი, საბოლოო ჯამში, შესაძლებელს გახდის, გაანალიზებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული ამხანაგობის არსი და გაირკვეს, რამდენად შესაბამისობაშია იგი ევროპულ სამართალთან.

2. ამხანაგობის, როგორც არაიურიდიული პირის, საპროცესოუნარიანობა

მიუხედავად იმისა, რომ პირთა გაერთიანებას შეიძლება არ ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი, მიიჩნევა, რომ ასეთ „წარმონაქმნს“ აქვს „ნაწილობრივი“ უფლებაუნარიანობა და მიზანშეწონილია მისი სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად განხილვა (კერესელიძე, 178).

მართალია, პოსტსაბჭოთა ქვეყნის ბევრი სამართალი აღიარებს ამხანაგობას, როგორც ფიზიკურ პირთა გაერთიანების ფორმას, თუმცა, ბრუნვაში მონაწილეობა მისთვის, მეტის-

მეტად, გართულებულია. მას არ აქვს უფლება, გახსნას საბანკო ანგარიში, დადოს ხელშეკრულება და ა.შ. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ამ საკითხში სამოქალაქო სამართლის დებულებათა რეფორმირების აუცილებლობა აშკარაა. ამ გაერთიანებას უნდა მიეცეს დიდი თავისუფლება ქონებრივ ურთიერთობაში ((*Нурыев*, 182).

ამ პრობლემაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1517-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა საბანკო ანგარიშის გახსნა და შეუფერხებელი ანგარიშსწორება იმ ორგანიზაციული წარმონაქმნისათვის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მათ შორის, ამხნაგობისათვის. როგორც მიუთითებენ, ამით, სამოქალაქო კოდექსმა, საბოლოოდ, გადაწყვიტა ის პრობლემა, რომელიც მრავალ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში დღემდე გადაუწყვეტელია და რაც ამგვარ ორგანიზაციულ წარმონაქმნს მრავალ ბარიერს უქმნის ბრუნვაში მონაწილეობისას (ჭანტურია, 278).

რაც შეეხება ამ ორგანიზაციული წარმონაქმნის საპროცესოუნარიანობას, ზოგადად, ისეთი ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი, წარმოადგენს პასიური საპროცესო უნარიანობით აღჭურვილ საზოგადოებას, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება აღიძვრას სარჩელი, მაგრამ ასეთ საზოგადოებას თავად არ შეუძლია სარჩელის აღძვრა (ბურდული, 2010, 429).

მიუხედავად ამ დებულებისა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თუ მოხდება იმის დაშვება, რომ ამხნაგობას აქვს მხოლოდ პასიური და არა აქტიური საპროცესოუნარიანობა, ანუ, იგი ვერ წარდგება სასამართლოში მოსარჩელედ, მას მოესპობა უფლება, დაიცვას თავისი უფლება, სასამართლოსთვის მიმართვის გზით (ბურდული, 2008, 85).

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლის საზოგადოების საპროცესოუნარიანობის საკითხში მიდგომა შეიცვალა 2002 წელს, როდესაც გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო სამართლის საზოგადოებას გააჩნია სამართალსუბიექტობა (*Шюнеманн*, 60).

3. სამენარმეო ამხნაგობის შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში

ამხნაგობის შესახებ საუბრისას, არ შეიძლება ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის გვერდის ავლა, როგორიცაა სამენარმეო ამხნაგობა. მას საკმაოდ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ედო ბინა «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმათა *numerus clausus* ჩამონათვალში.

სამენარმეო ამხნაგობის, როგორც კომერციული საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, მიუთითებდა მხოლოდ საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ (14.03.2008 წ. რედაქციით), რაც მოკლე დროში (3.11.2009 წ. ცვლილებებით) ძალადაკარგულად გამოცხადდა, რითაც რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის სამენარმეო კანონმდებლობას დაემსგავსა, რომლებშიც არაფერია ნათქვამი ამ ფორმის შესახებ (ნინუა, 18).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამენარმეო ამხნაგობა წარმოიშობოდა მხოლოდ სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მო-

მენტიდან. იგი არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს (პ. მე-3); მისი მონაწილეები, სამენარმეო ამხანაგობის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრებოდა მონაწილეთა შეთანხმებით (მუხლი მე-3, პ. მე-2); მას უნდა ემოქმედა საფირმო სახელწოდების ქვეშ (მუხლი მე-5⁷, პ. მე-3); მასში ხელმძღვანელობის უფლება ჰქონდა ყველა მონაწილეს და პირები წარმოადგენდნენ მენარმე სუბიექტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუკი მონაწილეთა ხელშეკრულებით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული (მუხლი მე-9, პ. 1-ლი, მე-2); თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი ამხანაგობა გადაწყვეტდა რეგისტრაციას, ის რეგისტრირდებოდა სამენარმეო ამხანაგობის სახით (მუხლი მე-19, პ. 1-ლი); სამენარმეო ამხანაგობაში წილი არ შეიძლებოდა გადაცემოდა მესამე პირს, სამენარმეო ამხანაგობის სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული (მუხლი მე-19¹).

როგორც სამართლიანად მიუთითებენ, სამენარმეო კანონმდებლობაში დამატებით ამგვარი სამართლებრივი ფორმის შემოღება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან ამხანაგობა, როგორც მცირე მენარმეთა გაერთიანების ფორმა, აქტიურად გამოიყენება და მას საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ სჭირდება. რეგისტრაციის შემთხვევაში, ის უკვე იქნება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ჭანტურია, 278).

იმის კიდევ ერთ მიზეზად, რომ სამენარმეო ამხანაგობამ, როგორც ახალმა ორგანიზაციულსამართლებრივმა ფორმამ, დიდხანს ვერ იარსება, შეიძლება დასახელდეს ის გარემოება, რომ მართალია, იგი რეგისტრირდებოდა სამენარმეო ამხანაგობის სახით, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა შენატანის, წილის გადაცემა, შეწყვეტა და სხვა, მოითხოვდა სამენარმეო ამხანაგობის მონაწილეთა მიმართ სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებას. შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო ამხანაგობის ხელშეკრულების სამოქალაქო კოდექსში არსებული დეტალური მონესრიგებით, რასაც ადგილი არ ჰქონდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (ნინუა, 17).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება იქმნება ისეთი ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც, თავისთავად, არ არის მენარმეობა იმ გაგებით, რაც მასშია ჩადებული გერმანიის სავაჭრო სამართლით. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, საზოგადოებათა მიზანი (სამენარმეო, არასამენარმეო) როგორც საქართველოს, ისე გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა, განსხვავებულია ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. კერძოდ, 2010 წლის 1 იანვრამდე, «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონით რეგულირდებოდა სამენარმეო მიზნით შექმნილი სამენარმეო ამხანაგობის საქმიანობა, დღეს კი, სამენარმეო ამხანაგობა, როგორც მენარმე სუბიექტი, აღარ არსებობს, თუმცა, მიჩნეულია, რომ, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ამხანაგობას შეუძლია, კანონით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება (ნინუა, 33).

ამხანაგობის გამოყენების სფერო არ არის ამომწურავი და მისი გამოყენების შესაძლებლობა ძალზე მრავალფეროვანია (ჭანტურია, 279). ამხანაგობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო მიზანი, რომლის მისაღწევადაც იგი იქმნება, შეიძლება იყოს სამეურნეო, პროფესიული და ა.შ., მაგრამ ზოგიერთი მიზნით ამხანაგობის დაფუძნება შეიძლება არ იყოს ნებადართული. მაგალითად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, მენარმე სუბიექტები უნდა ჩამოყალიბდნენ ამავე კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმით, ამიტომ ამ მიზნით ამხანაგობის გამოყენება დაუშვებელია (ჭანტურია, 281). კიდევ ერთ არგუმენტად, თუ რატომ არ შეიძლება ამხანაგობის გამოყენება სამენარმეო საქმიანობისათვის, მოყვანილია ის, რომ სამენარმეო სუბიექტის რეგისტრაცია სავალდებულოა, ხოლო ამხანაგობას ასეთი რეგისტრაცია, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, არ სჭირდება. თუმცა ეს არ ართმევს მენარმე სუბიექტს ამხანაგობის შექმნის უფლებას, ოღონდ, როგორც მიუთითებენ, ამ შემთხვევაში, ამხანაგობა სამენარმეო საქმიანობას კი არ განახორციელებს, არამედ მოემსახურება მას (ჭანტურია, 281). მაგალითად, განსხვავებული პროფილის ავტოსარემონტო სანარმოები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს გაუგზავნიან მომსახურების შესაბამისი პროფილის კლიენტებს, ან სათადარიგო ნაწილების მიმწოდებლებს. ამ გზით, ამხანაგობის შექმნის შესაძლებლობას ითვალისწინებს გერმანული სამართალიც (ჭანტურია, 280).

4. ამხანაგობისათვის დამახასიათებელი რამდენიმე არსებითი ნიშანი

ამხანაგობის დაფუძნებას, სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მსგავსად, სრული სახელშეკრულებო ავტონომია უდევს საფუძვლად, რაც ვრცელდება, ასევე, ხელშეკრულების ფორმაზეც, თუ, რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება უძრავი ქონების გადაცემას, რაც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი ფორმით. მსგავსება ვლინდება ნორმათა დისპოზიციურობის თვალსაზრისითაც, კერძოდ, ისინი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ამხანაგობის მონაწილეებს, ხელშეკრულების დადებისას, გამორჩათ ამ საკითხებზე სპეციალური შეთანხმების მიღწევა (ჭანტურია, 281).

ხელშეკრულების დადებით მონაწილეებს, სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მსგავსად, წარმოეშობათ ამხანაგობის ქონებაში შესატანის განხორციელების ვალდებულება. შესატანის სახეობა და ვადა ხელშეკრულებით განისაზღვრება და იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ქონებით, ისე მომსახურების განევით. მონაწილეებს, თუ ისინი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, შესატანი შეაქვს თანაბრად (ჭანტურია, 283).

ორივე ქვეყნის კანონმდებლობით, გარკვეულწილად, იდენტურად წესრიგდება ასევე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხიც. მართალია, ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაგრამ მას, როგორც ორგანიზებულ წარმონაქმნს, ბუნებრივად სჭირდება ხელმძღვანელობითი საქმიანობა და მესამე პირებთან ურთიერთობის აუცილებლობა. შესაბამისად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ მონაწილეები ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და ერთობლივად წარმოადგენენ ამხანაგობას. განსხვავება შეინიშნება ხელმძღვანელად მესამე პირთა (გარეშე პირთა) მოწვევისა და დანიშვნის საკითხში. განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისა, ქართული კანონმდებლობა ამას არ კრძალავს,

ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამხანაგობის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს მესამე პირი (ჭანტურია, 284).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, ერთობლივად წარმოადგინონ ამხანაგობა, ხოლო 933-ე მუხლის თანახმად, წილი არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს, ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას. მითითებული ნორმები, გარკვეულწილად, ემსგავსებიან გერმანულ კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც, მესამე პირებისთვის წილის გადაცემა დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (ბეთანელი, 300).

შემოსავლის განაწილებისა და შიდა პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც, ორივე ქვეყნის კანონმდებლობაში მსგავსი სიტუაციაა. კერძოდ, თუ მონაწილეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, შემოსავალი და ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება წილის შესაბამისად (ჭანტურია, 284).

არსებობს ზრუნვის ვალდებულება, რომელიც მოითხოვს ყველა მონაწილისაგან, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე, მოვალეობის კეთილსინდისიერ შესრულებას (ამირანაშვილი, 36). ეს იმას ნიშნავს, რომ წევრების მიმართ ამხანაგობის მოთხოვნის გამოყენება ამხანაგობის ნებისმიერ წევრს შეუძლია. ეს დამახასიათებელია გერმანული სამართლისთვისაც და ამ ინსტიტუტს სამოქალაქო სამართალში *Actio pro socio* ეწოდება (ჭანტურია, 286).

დაბოლოს, მონაწილის უარი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე შესაძლებელია ნებისმიერ დროს, რაც ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას იწვევს, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. ამხანაგობის შეწყვეტის ეს წესი, სხვა საფუძვლებს შორის, გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის საზოგადოების გაუქმებასთან მიმართებითაც. ამხანაგობის დაშლის შემდეგ, იწყება ლიკვიდაციის პროცედურა, რომელიც სრულდება ქონების განაწილებით (ბეთანელი, 302).

4. დასკვნა

სტატია ეთმობოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ამხანაგობის განხილვას, რომელიც გერმანულ სამართალში არსებული სამოქალაქო სამართლის საზოგადოების ანალოგს წარმოადგენს. კერძოდ, წინ იყო წამოწეული გაერთიანების ამ სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ორი ქვეყნის კანონმდებლობის მსგავსება-განსხვავების ფონზე იქნა წარმოჩენილი.

ნაშრომში ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ისეთი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმა, როგორცაა სამენარმეო ამხანაგობა, რომელიც “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში თავისი არსებობის საკმაოდ მცირე პერიოდს ითვლის. შესაბამისად, გაანალიზებულ იქნა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ქართველი კანონმდებლის მხრიდან მისი შემოღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი გ., შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში – მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013;
2. ბეთანელი ქ., მასბაუმი მ.ს., საკორპორაციო სამართალი საქართველოში, ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-2/3;
3. ბურდული ი., ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში) ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008;
4. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), ტ. I, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010;
5. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009;
6. ნინუა ე., ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 2010;
7. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. გამომც. „სამართალი“, თბ., 2011;
8. Нурыев Я., Чантурия Л. (изд.), Право. Экономика. Благополучие. Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, Ashgabat, 2010;
9. Шюнеманн В.Б., Частное экономическое право. Правовые основы для экономистов, Изд. „Мисанта“, Минск, 2007;
10. Leyens P.C., German Company Law: Recent Developments and Future Challenges, GERMAN LAW JOURNAL, [Vol. 06 No. 10 2005];
11. Werner F. Ebke, Matthew W. Finkin (Eds.), Introduction to German Law, Kluwer Law International, The Hague, 1996.

გიორგი ამირანაშვილი

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი ბუნება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით რეზიუმე

ყველა განვითარებული სამართლებრივი სისტემა ანიჭებს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას არა მხოლოდ ცალკეულ ფიზიკურ პირს, არამედ, ასევე, პირთა გაერთიანებას. მათი უმრავლესობა ითვლება იურიდიულ პირად და მონაწილეობს ურთიერთობაში, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. ბევრი გაერთიანება კი, მართალია, არ ითვლება იურიდიულ პირად, თუმცა, მასაც გააჩნია უფლება, მიიღოს მონაწილეობა სამართალურ ურთიერთობაში.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიულ პირს არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, რომელიც 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მონესრიგების საგანს წარმოადგენს.

პირთა გაერთიანების ეს სამართლებრივი ფორმა ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ამხანაგობის მომწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ სწორედ სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მარეგულირებელ დებულებებთან. ეს გარემოება საინტერესოს ხდის მათ შედარებით ანალიზს. ნაშრომში, ასევე, განხილულია სამეწარმეო ამხანაგობის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა, რომელსაც „მეწარმეთა

შესახებ“ საქართველოს კანონი საკმაოდ მცირე ხნის განმავლობაში იცნობდა. შესაბამისად, სტატი-
აში საუბარია, რამდენად იყო მიზანშეწონილი მისი შემოღება ქართულ კანონმდებლობაში. ეს ყოვე-
ლივე, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული ამხანაგობის
არსის გაანალიზებას და იმის დადგენას, რამდენად შესაბამისობაშია იგი ევროპულ სამართალთან.

Giorgi Amiranashvili

Legal Essence of Joint Activity (Partnership) According to the Georgian and German Law

Summary

All the developed legal systems grant the right to participate in civil activities not only to a particular natural person, but also to the union of persons. Their majority is considered a legal entity and participates in the relationship as an independent subject of law. Many unions, however, are not regarded to be a legal entity, but they also have their rights to take part in legal relationships.

According to the German legislation, a Civil Law Partnership is not a legal entity, which is the subject regulated by the German Civil Code of 1896.

Such a legal form of the union of persons deserves attention as far as the Civil Code of Georgia contains the norms regulating the Partnership, which reveals much similarity with the provisions that regulate a Civil Law partnership. This is what makes their comparative analysis interesting. The paper also discusses the organizational-legal form of the Entrepreneurial Partnership, which the Law of Georgia on Entrepreneurs was familiar with for quite a little time. Correspondingly, the article speaks about how reasonable it was to introduce it in the Georgian legislation. Eventually, all the abovementioned supports to analyze the rationale of the Partnership given in the Civil Law of Georgia, and to establish the extent of its relevance with the European Law.

ირმა ბაგრატიონი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კობა ჯაბუა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ორგანოთა ტრანსპლანტაციის ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების მსოფლმხედველობრივი გააზრება

უეჭველია, რომ ორგანოთა ტრანსპლანტაცია თანამედროვე მედიცინის უმნიშვნელოვანესი წარმატებაა. ორგანოთა ტრანსპლანტაცია წარმოადგენს როგორც სამეცნიერო-ბიოლოგიურ, ასევე სამართლებრივ-ეთიკურ ღონისძიებათა კომპლექსს და მისი მსოფლმხედველობრივი პრობლემები დაკავშირებულია ეთიკისა და სამართლის მრავალრიცხოვან საკითხებთან. ამ შემთხვევაში სპეციფიკურს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დასმული და განხილული საკითხები მუდმივად ეხება ორ სუბიექტს – დონორსა და რეციპიენტს. საგულისხმოა, რომ ორგანოთა ტრანსპლანტაციის როგორც თერაპიული ექსპერიმენტის გამართლების ან გაუმართლებლობის საკითხის პარალელურად წარმოიშობა სხვა პრობლემებიც – დაკავშირებული ცოცხალი დონორის ორგანოს გამოყენების გამართლებასთან, აგრეთვე მიცვალებულის სხეულის ორგანოთა გადანერგვასთან, რასაც, თავის მხრივ, უკავშირდება როგორც სამედიცინო, ისე ეთიკურ-სამართლებრივი საკითხების მთელი რიგი.

ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული უპირველესი ეთიკურ-სამართლებრივი საკითხი ეხება კლინიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოთა ტრანსპლანტაციის გამართლება-გაუმართლებლობას. ორგანოთა ტრანსპლანტაციის პრობლემატიკის ძირითად მახასიათებელს, კლინიკური თვალსაზრისით, წარმოადგენს განსაკუთრებული დიფერენციაცია. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ თირკმლის გადანერგვას კლინიკაში აფასებდნენ როგორც ბიოლოგიურ ექსპერიმენტს, რამეთუ ამ მიმართებით ჭარბობდა წმინდა სამეცნიერო კვლევის ინტერესები. მოგვიანებით შესაძლებელი გახდა საუბარი თერაპიულ ექსპერიმენტზე. თანამედროვე მდგომარეობა გვაძლევს იმის საშუალებასა და უფლებას, რომ ორგანოთა ტრანსპლანტაციაში დავინახოთ არა სამკურნალო ექსპერიმენტი, არამედ სამკურნალო მეთოდი. როგორც ცნობილია, ბიოლოგიური ექსპერიმენტის პერიოდში გაჩნდა ეჭვი მისი გამართლებულობის შესახებ, რომელიც იმთავითვე უარყოფილი იქნა, რამდენადაც, მაგალითად, ადამიანის იმუნოდეპრესიის უდიდესი ქმედითობა საცდელი ცხოველებისგან მიღებულ შედეგებთან შედარებით, სხვა არაფრით არ შეგვიძლია გამოვავლინოთ, თუ არა კლინიკაში შემონმება-გასინჯვით; ანუ, ეს სინდრომი რომ ექვემდებარება მკურნალობას, შესაძლოა მივიღოთ მხოლოდ ადამიანურ ტრანსპლანტატთა შესწავლისას. თირკმლის ტრანსპლანტაციის გამართლებაში ეჭვის შეტანა, რასაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა ასეთი ოპერაციები წარმოადგენდნენ თერაპიულ ექსპერიმენტს, თანდათან ქარწყლდებოდა იმ ზომით, რა დოზითაც უმჯობესდებოდა შედეგები. თანამედროვე პირობებში ეს პრობლემა გადაიქცა აუცილებლობად – დაინერგოს ტრანსპლანტაცია ფართო პრაქტიკაში, ორგანოთა გადანერგვის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მიუხედავად სხვადასხვა სახის სიძნელებებისა, განსაკუთრებით საორგანიზაციო კუთხით.

რაც შეეხება სხვა ორგანოებს, მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, აქ მდგომარეობა სრულიად სხვაა. ამ ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხასიათი მდებარეობს სა-
დღაც ბიოლოგიურსა და თერაპიულ ექსპერიმენტებს შორის. შეგვიძლია დავეთანხმოთ ზო-
გიერთ ავტორს, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მსგავსი ექსპერიმენტების გამართლებულობას
მხოლოდ იმ სამედიცინო დანესებულებებში, სადაც არსებობს ამის „დიდი გამოცდილება არა
მხოლოდ ორგანოთა ტრანსპლანტაციის კუთხით, არამედ თირკმლის კლინიკური გადანერგ-
ვის მიხედვითაც“ (ხელაძე ზ., ხელაძე ზე). მხოლოდ ამ შემთხვევაში არსებობს იმის გარანტია,
რომ ჩარეულობა განხორციელდება ზოგადი ტრანსპლანტაციური პრობლემატიკის (ე. ი. იმუ-
ნოდეპრესიის და მისთნ.) საკმარისი ცოდნით. ამ პრობლემისადმი სხვაგვარმა მიდგომამ შეი-
ძლება მხოლოდ დააზარალოს ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდგომი განვითარება. სანი-
მუშოდ შეიძლება გამოგვადგეს გულის კლინიკური ტრანსპლანტაციის ისტორია. არაჯანსაღი
კამპანიის აჟიოტაჟის (რასაც ადგილი ჰქონდა ამ ჩარეულობის ირგვლივ) გავლენით, გულის
კლინიკური ტრანსპლანტაცია დაიწყო ისეთ სამედიცინო დანესებულებებში, რომელთაც არ
ჰქონდათ არანაირი გამოცდილება ტრანსპლანტაციურ პრობლემატიკაში. მსოფლიო სტატის-
ტიკა კანონზომიერად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „გულის ტრანსპლანტაციასთან დაკავშირე-
ბული მცდელობები უნდა შეწყდეს“ (Чайович), თუმცა ზოგიერთ კლინიკაში მიღებულია ისეთი
რეზულტატები, რომლებიც ეფექტურობით უახლოვდებოდა ასეთს თირკმლის გადანერგვისას.

თუკი განვაზოგადებთ ორგანოთა ტრანსპლანტაციის სამართლებრივი პრობლემატი-
კის თანამედროვე მდგომარეობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ კლინიკაში თირკმლის ტრანს-
პლანტაციის შეყვანის მოთხოვნა, ფართო მოცულობით, წარმოადგენს ეთიკურს, მაგრამ,
მეორე მხრივ, ეთიკურია მოთხოვნა კლინიკაში სხვა ორგანოთა ტრანსპლანტაციის უდიდესი
სიფრთხილით შეყვანის შესახებაც... რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ეთი-
კური პოზიცია ტრანსპლანტაციასთან მიმართებაში დროთა განმავლობაში შეიცვლება და გან-
ვითარდება იმ მიმართების ანალოგიურად, რომელსაც ადგილი აქვს თირკმლის ტრანსპლანტა-
ციის პრობლემასთან, ანუ ასეთი თანმიმდევრობის სქემით:

ბიოლოგიური ექსპერიმენტი – თერაპიული ექსპერიმენტი – კლინიკური მეთოდი.

ეთიკური თვალსაზრისით, შემდეგი საკითხი ეხება თირკმლის აღებას ცოცხალი დო-
ნორებისგან. თირკმლის დონორობის უფლებამოსილების შესახებ აზრი საყოველთაოდ არის
აღიარებული. ითვლება, რომ „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება გაიღოს მსხვერპლი თავის
ახლობელთა სასარგებლოდ, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში განწირულია სასიკვდილოდ“
(Борзенков). საქციელი, რომელიც მიმართულია ადამიანის გადასარჩენად, უნდა ჩაითვალოს
უმალღესი ზნეობრიობის გამოვლენად. თუმცა ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ორი
ძირითადი პირობა: დონორობა უნდა იყოს უვნებელი, ხოლო გადანაცვლებების მიღება – ნე-
ბაყოფლობითი.

ის გარემოება, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა ჩვენს დროში განსაკუთრებულ
მნიშვნელობას იძენს, გამომწვეულია გარკვეული გარემოებებით:

1. მსოფლიო ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებით, რაც გარდაუვალად ცუდ ზეგავლე-
ნას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე;

2. სამართლებრივი დაცვის პრიორიტეტებად პიროვნების/მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დადგენით;

3. პრაქტიკულ მოღვაწეობაში, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროში, დიდი რაოდენობით სოციალური პროგრამების შეტანითა და აქტიური განხორციელებით.

აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს შემდეგს:

- ა) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მნიშვნელობის შესწავლას ჯანდაცვის სფეროში;
- ბ) დაავადებათა მკურნალობის საშუალებებისა და მეთოდების განუწყვეტილ სრულყოფას;
- გ) სათანადო სამართლებრივი რეგულირების დანერგვის აუცილებლობას.

ერთ-ერთ აღნიშნულ სიახლეს წარმოადგენს სწორედ შესაძლებლობა – გამოვიყენოთ ერთი ადამიანის ორგანო ან ქსოვილი მეორის ჯანმრთელობის აღდგენისა ან, კიდევ, სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. ტრანსპლანტაცია, როგორც მკურნალობის მეთოდი, წარმოადგენს ორმხრივ ოპერაციას: ავადმყოფი-რეციპიენტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უნდა გადარჩეს ჯანმრთელი ადამიანი-დონორისთვის ზიანის მიყენებით. როგორც ცნობილია, ტრანსპლანტაციის ობიექტთა სია/ნუსხა განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ. ეს უკანასკნელი ანხორციელებს სახელმწიფო პოლიტიკისა და ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების შემუშავების ფუნქციას სოციალური განვითარებისა და ჯანდაცვის სფეროში. ტრანსპლანტოლოგიის პრობლემები თანდათან იმდენად აქტუალური ხდება, რამდენადაც ორგანოთა გადანერგვის მსურველთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, ხოლო დონორული ორგანოების დეფიციტის შევსება სულ უფრო მეტად არ ხდება. გარდა ამისა, „მედიცინის განვითარება მიმართულია იქითკენ, რომ მისი ახალი მიღწევები გახდეს მკურნალობის ჩვეულებრივი მეთოდები, რომლებიც ფართოდ იქნება დანერგილი/გამოყენებული პრაქტიკაში“. დიახ, თანამედროვე ტრანსპლანტოლოგია საშუალებას იძლევა ქმედითი დახმარება გაუწიოს უამრავ ავადმყოფს, რომლებიც განწირულია ინვალიდობის ან სიკვდილისათვის. თუმცა, ორგანოთა ტრანსპლანტაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის სრული დაცვით, იმ უმაღლეს ჰუმანურ პრინციპებთან შესაბამისობაში, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამასთან, ამ შემთხვევაში, ადამიანის ინტერესები უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე საზოგადოების მოთხოვნები, ან თუნდაც მეცნიერების ამბიციები.

ჩვენი აზრით, ქართულ სამედიცინო სივრცეში ტრანსპლანტაციის დაბალი მაჩვენებლები მართლაც შეიძლება აიხსნას დასახელებული მიზეზებით. მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთ სუსტ რგოლს, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს აგრეთვე ის ხარვეზები და კოლიზია, რომელსაც ადგილი აქვს ორგანოთა გადანერგვის სამართლებრივი რეგულირების სფეროში, და რომლის უშუალო რეზულტატია შემდეგი გარემოება: სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისთვის გართულებულია ამ ტიპის ნორმატიული დებულებების გარკვევა/ნათელყოფა, შედეგის სახით კი - პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ერთგვაროვნად გამოყენება. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ რუსულ სამედიცინო სამყაროში არც თუ ისე დიდი ხნის წინ მომხდარი და საკმაოდ გახმაურებული შემთხვევა. საუბარია მოსკოვის ორგანოთა დონორობის საკოორდინაციო ცენტრის №20 კლინიკის ექიმთა ბრალდების საქმის შესახებ:

აღნიშნულ კლინიკაში 2003 წლის 11 აპრილს დაზარალებული ავადმყოფის სახით შეიყვანეს ვინმე ორეხოვი. მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც უკიდურესად მძიმე: უბედური საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად აღენიშნებოდა თავის ტრამვა შიდაქალის ჰემატომის გართულებული ფორმა, რაც იწვევდა ტვინის ნივთიერებათა კომპლექსის გადანაცვლებას ხერხემლის ღეროში. კონსტატირებული იქნა ტვინის სიკვდილის დიაგნოზი. ექიმებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ორეხოვისთვის თირკმლის ამოღების ოპერაციის მომზადების პარალელურად კლინიკაში მიმდინარეობდა სხვა ოპერაციაც, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის ყველა საუბარი ისმინებოდა და ინერებოდა. მილიციის თანამშრომლებმა, რომლებიც კლინიკას ეწვივნენ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალის ექიმ-რეანიმატოლოგებთან ერთად, ავადმყოფი თირკმლის ამოღების პროცესში აღმოაჩინეს რეანიმაციული მდგომარეობის გარეშე... ოთხი ექიმი პასუხისგებაში მიეცა განზრახ სიკვდილის გამოწვევის და მიღწევის გამო... რადიოში, ტელევიზიასა და გაზეთებში მათ მკვლევებს უწოდებდნენ (Брусиловский). ორ წელზე მეტხანს გრძელდებოდა აღნიშნული საქმის წინასწარი გამოძიება და სასამართლო გარჩევები, რაც დასრულდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანით. თუმცა ისტორია ამით არ დასრულებულა. მოსამართლეთა მიერ გაანალიზებული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დებულებათა არაერთგვაროვანი გაგება იქამდე მივიდა, რომ რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ორჯერ შეცვალა გამამართლებელი განაჩენი და საქმე მიმართა ახალი სასამართლო განხილვისათვის. 2005 წლის 1 მარტს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს მიერ და გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე ხელახლა გადაიგზავნა ახალი განხილვისათვის. 2005 წლის ნოემბრის დასაწყისში მოსკოვის საქალაქო სასამართლომ კვლავ გაამართლა ექიმები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი მათ ისევ მკვლევებად მოიხსენიებდნენ. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 2006 წლის 11 ოქტომბერს კვლავ გააუქმა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2006 წლის 29 მარტის განჩინება ექიმებთან მიმართებაში და საქმე გადასცა ახალ საკასაციო განხილვას. 2006 წლის 21 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს საკასაციო განჩინებით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა, სახელმწიფო ბრალმდებელთა საკასაციო წარმომადგენელთა მოთხოვნა კი დაკმაყოფილების გარეშე დარჩა (Брусиловский).

ზემოთაღნიშნული გარემოების გარდა, ორგანოთა ტრანსპლანტაციის სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარდაუვალ აუცილებლობას განაპირობებს ამ სფეროში კრიმინალური აქტიურობის ზრდა. მსგავს ოპერაციათა განხორციელების შესაძლებლობა, ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებების არსებობა აძლიერებს დანაშაულის ჩადენის მოტივაციას დაზარალებულის ორგანოთა გამოყენების მიზნით, რის გამოც, მიგვაჩნია, რომ ორგანოთა ტრანსპლანტაცია საჭიროებს სამართლებრივი რეგლამენტაციის სრულყოფას. ამ თვალსაზრისით, ნაწილობრივ ვეთანხმებით თანამედროვე სამართლის თეორეტიკოსის ნ. ა. კოლჩინის აზრს იმის შესახებ, რომ „მთავარი სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც იმთავითვე მოითხოვს გადაწყვეტას, ძირითადად, ეხება ტრანსპლანტოლოგიის სისხლის სამართლებრივ

ასპექტებს, კერძოდ: ორგანოთა გადანერგვის მართლზომიერებას, დონორისთვის ორგანოს ამოკვეთის შესაძლებლობას, ასეთი ჩარევის წარმოებისას დონორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთთანხმობას, იმ მომენტის განსაზღვრას, თუ როდისაა შესაძლებელი გარდაცვლილი დონორისთვის ორგანოების ამოკვეთა, ცალკეული სახის ორგანოთა გადანერგვის ოპერაციისთვის უკუჩვენების გათვალისწინებას, მედიკოსთა მხრიდან თავიანთი თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლო იურიდიულ კვალიფიკაციას“ (Горелик).

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სამართლებრივი ნორმების ფართო სპექტრისა, მოქმედი ნორმატიული ბაზა ტრანსპლანტაციის საკითხებს არეგულირებს მეტ-ნაკლები ეფექტურობით და რელევანტურობით. ასე, მაგალითად, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონში“ (მუხლი 18, პუნქტი „დ“) ნათქვამია, რომ „გადანერგვის მიზნით ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია შემდეგი პირობები: მედიცინის განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოპერაციის მესესეული ან შორეული, უშუალო ან გაშუალებული შედეგები არ წარმოადგენს დონორის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან რისკს და არ გამოიწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას“ (საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ).

საგულისხმოა, რომ „მნიშვნელოვანი რისკის“ ცნება კანონში რატომღაც არ არის მოცემული. როგორც სამედიცინო ლიტერატურაში აღნიშნავენ, „ათასობით ადამიანი მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობს გადანერგილი თირკმლით“ (Дроговец). ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ცოცხალი დონორისთვის გადანერგვის მიზნით თირკმლის ამოღების ნებისმიერი ოპერაცია სერიოზულად პრობლემატურია, რამეთუ თუნდაც უაღრესად კვალიფიციური ქირურგის მიერ სიფრთხილის ყველა აუცილებელი ზომის აბსოლუტური დაცვით ჩატარების შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია უზრუნველყოფილი იყოს ასპროცენტიანი გარანტიით – რომ ამას არ მოჰყვება შესაძლო მძიმე გართულებები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრანსპლანტაციის სფეროში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს იმის აუცილებლობა – სამართლებრივ რეგულირებაში შეივსოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხარვეზები და დადგინდეს პასუხისმგებლობის უმკაცრესი ფორმები ყოველგვარი არა მხოლოდ უკანონო, არამედ ასევე არაეთიკური ქმედებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, გამოქვეყნებული: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №8, თბილისი, 2000;
2. ხელაძე ზ., ხელაძე ზვ., სიცოცხლის გახანგრძლივების ალტერნატიული საშუალებების შექმნა // „კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა“, №1, თბილისი, 2005;
3. Борзенков, Г., Квалификация преступлений против жизни и здоровья: учебно-практическое пособие, Москва, ИКД «Зерцало-М», 2005;
4. Брусилловский, А., Медицинские ошибки по судебным материалам, Харьков, «Юрайт», 2007;
5. Горелик, И., Преступления, посягающие на жизнь и здоровье, Москва, «Наука», 1999;

6. Горелик, И. И., Правовые аспекты пересадки органов и тканей, Москва, «Мир», 1995;
7. Дрговец Я., Современная медицина и право, Москва, «Юридическая литература», 2004;
8. Чайович, Б., Уголовно-правовые проблемы трансплантации органов человека. Общественные науки за рубежом // «Государство и право», Серия 4, 1997, №1.

ირმა ბაგრატიონი, კობა ჯაბუა

**ორგანოთა ტრანსპლანტაციის ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების
მსოფლმხედველობრივი გააზრება
რ ე ზ ი უ მ ე**

წარმოდგენილი მოხსენება განიხილავს ორგანოთა ტრანსპლანტაციას როგორც სამეცნიერო-ბიოლოგიურ, ასევე სამართლებრივ-ეთიკურ ღონისძიებათა კომპლექსს და მის მსოფლმხედველობრივ პრობლემებს ეთიკისა და სამართლის მრავალრიცხოვან საკითხებს უკავშირებს. საგულისხმოა, რომ ორგანოთა ტრანსპლანტაციის, როგორც თერაპიული ექსპერიმენტის გამართლების ან გაუმართლებლობის საკითხის, პარალელურად წარმოიშობა სხვა პრობლემებიც – დაკავშირებული ცოცხალი დონორის ორგანოს გამოყენების გამართლებასთან, აგრეთვე მიცვალებულის სხეულის ორგანოთა გადანერგვასთან, რასაც, თავის მხრივ, უკავშირდება როგორც სამედიცინო, ისე ეთიკურ-სამართლებრივი საკითხების მთელი რიგი.

ავტორთა დასკვნით, მიუხედავად სამართლებრივი ნორმების ფართო სპექტრისა, მოქმედი ნორმატიული ბაზა (საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“) ტრანსპლანტაციის საკითხებს მეტ-ნაკლები ეფექტურობით არეგულირებს, რაც ქმნის იმის აუცილებლობას, რომ სამართლებრივ რეგულირებაში აღმოიფხვრას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხარვეზები და დადგინდეს პასუხისმგებლობის უმკაცრესი ფორმები ყოველგვარი არამხოლოდ უკანონო, არამედ არაეთიკური ქმედებისათვისაც.

Irma Bagrationi, Koba Jabua

**The Worldview Understanding of
Ethical and Law Aspects of Transplantation of Bodies
Summary**

The present report outlines scientific researches about complex and to poorly investigated problems of the ethical and criminal liability for crime against a life and health of citizens are actually always. It is caused by that the life and health of citizens are the maximum value in the state and consequently their legal protection is necessary. To preserve life and health – the highest blessings of the person – gets now special value. It is caused by deterioration of a universal ecological situation, that inevitably affects a state of health of all population; an establishment of the rights and personal freedoms as a priority of a right protection; and also introduction in practice of the big number of social programs, including in the field of public health services.

Conducted analysis of the law «About transplantation of bodies and-or fabrics of the person» and the international certificates in the field of transplantation have allowed the authors of the report to come to the following conclusion: It is necessary for legislature to reconsider, first, some items, concerning presumptions of the consent to withdrawal of bodies and fabrics of the person. Secondly, that system «asked consent» has started to work, active introduction of the policy which is carried out by mass media is necessary, that is it is necessary to spend propagation among the population with the purpose of reception of the voluntary consent to withdrawal of bodies at the donor during lifetime of and their donations after death.

Краснояров Федор Федорович

Государственный научно-исследовательский институт МВД Украины

ФОРМЫ УПРАВЛЕНИЯ ОРГАНАМИ ВНУТРЕННИХ ДЕЛ УКРАИНЫ И НАПРАВЛЕНИЯ ИХ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ

На сегодняшний день вопрос эффективности управления органами внутренних дел является довольно актуальным, учитывая особую роль данной сферы в государственной системе в целом. Как известно, согласно Положения о Министерстве внутренних дел Украины, данную сферу составляют, правоотношения касательно защиты прав и свобод человека и гражданина, собственности, интересов общества и государства от преступных посягательств, борьбы с преступностью, раскрытия и расследования преступлений, охраны общественного порядка, обеспечения общественной безопасности, безопасности дорожного движения, а также по другим вопросам (Адміністративне право України. Том 1). В то же время эффективность и результативность форм управления органами внутренних дел остаются на недостаточно высоком уровне.

В разработанном Национальной академией внутренних дел (при Министерстве внутренних дел Украины) проекте Концепции реформирования правоохранительных органов Украины (система уголовной юстиции) (**Адміністративне право України**) четко указывается курс на евроинтеграцию, детерминирующий потребность в реформировании системы правоохранительных органов, адаптации ее к общественным потребностям и возможностям государства.

Указанная тенденция была и ранее зафиксирована в концептуальных нормативно-правовых актах. Так, например, согласно положениям проекта Комплексного Плана мероприятий по формированию позитивного имиджа органов внутренних дел Украины на 2013-2014 годы в Украине предполагается активизация усилий по «повышению эффективности деятельности системы МВД Украины», что свою очередь, предполагается через «налаживание партнерских отношений между ее работниками и населением» (**Колпаков**). Ситуация в Украине в сфере внутренних дел на данный момент абсолютно противоречит задекларированным принципам функционирования системы ОВД. Для того, чтобы провести параллель задекларированных принципов функционирования системы ОВД с реальным состоянием правоприменительной практики, предлагаем обратиться в первую очередь к теоретической сущности указанной категории.

Прежде всего отметим, что практическое значение форм управления заключается в том, что посредством их использования в управленческой практике осуществляются полномочия государственных органов и органов местного самоуправления, создается и обеспечивается порядок управления, права и свободы граждан, законность совершения управленческих процедур, гласность и учет общественного мнения. По этой причине требуется четкого урегулирования определение форм управления ОВД на общегосударственном уровне.

Следует отметить, что среди ученых-административистов существуют различные подходы к определению форм государственного управления. Аверьянов В. Б., например, предлагает следующую дефиницию – отличные по своему характеру и последствиям способы внешнего выражения деятельности органов исполнительной власти (*Стариков, 273*). **В. К. Колпаков**, в свою очередь,

предлагает несколько другой подход к определению данной категории, коррелируя ее на соотношение с такой правовой категорией, как «законность». Таким образом, под формой государственного управления автор предлагает понимать внешне выраженное действие – волеизъявление субъекта управления, которое осуществлено в рамках режима законности и его компетенции для достижения управленческой цели (Положение о Министерстве внутренних дел Украины, 202).

Похожим является подход Ю. П. Битяка, который определяет форму управления, как внешнее проявление конкретных действий, которые осуществляют органы исполнительной власти для реализации поставленных перед ними задач, при этом отмечая, что формы управленческой деятельности прямо или косвенно обусловлены теми юридическими предписаниями, с помощью которых государство регулирует деятельность исполнительной власти. Одновременно автор отмечает, что они (формы) закрепляются в Конституции Украины (ст. 117), законах, положениях, стандартах, других нормативно – правовых актах (Проект Концепции реформирования правоохранительных органов Украины, 132).

К правовым формам управления относятся: 1) издание правовых актов управления (нормативного и индивидуального характера), 2) заключение административных договоров (соглашений). К ненормативным – такие формы управленческой деятельности, как совершение (осуществление) других юридически значимых действий [Старилов, 278], в которых, в частности относятся: 1) проведение организационных мероприятий; 2) осуществление материально – технических операций (Проект Концепции реформирования правоохранительных органов Украины, 119).

Как верно замечает Ю. Н. Старилов, *выбор формы управленческих действий подчинен определенным правилам: она должна соответствовать компетенции данного органа (и соответствующих должностных лиц), назначению, функциям, правовым методам управленческой деятельности, характеру разрешаемых вопросов, целям управляющего воздействия, особенностям конкретного объекта; она может распространяться лишь на те объекты, которые находятся в пределах ведения соответствующего управляющего органа (должностного лица)* (Проект Комплексного Плана ..., 365).

Таким образом, осуществляя свои полномочия, органы внутренних дел могут использовать только те формы управленческой деятельности, которые соответствуют содержанию управленческой деятельности, т. е., во-первых, процесс управления сферой внутренних дел должен сопровождаться только допустимыми формами (т.е. теми, которые закрепляются в соответствующих нормативно-правовых актах и соответствуют национальным и международным правовым принципам), во-вторых, использование конкретной формы должно быть целесообразным в каждой конкретной ситуации, в-третьих, обеспечивать качественное выполнение поставленных задач, при этом, с наименьшей затратой ресурсов.

Поэтому, коррелируя данную классификацию на особенность объекта регулирования, а именно – управленческие отношения в сфере внутренних дел, предлагаем следующую дефиницию. Формами управления органами внутренних дел необходимо считать внешне выраженное действие ответственного субъекта власти, осуществленное в рамках действующего законодательства и его компетенции, с целью достижения поставленных задач.

Необходимо отметить, что особенность характера использования управленческих форм зависит от степени административно-правовой регламентации. Значит, от того, насколько

жестко и подробно государство регламентирует применение той или иной формы, зависит их разнообразие. В. К. Колпаков подчеркивает, что важное значение с позиций обеспечения режима законности в государственном управлении имеют именно формы, связанные с реализацией правоприменительных, правоустанавливающих и правоохранительных функций исполнительной власти [5, с. 203]. Конкретными примерами таких действий могут быть: издание акта управления, назначения ревизии, выдача разрешения, осуществление контроля, запрет чего-либо и т.д. Ведь они являются максимально регламентированными и, соответственно, вызывают существенные юридические последствия по сравнению, например, с такими формами, как проведения совещаний и консультаций, при использовании которых соответствующим органам предоставляется широкая возможность для самостоятельного выбора.

Однако, указанный выше тезис не исключает существования дискреционных полномочий в соответствующих работников правоохранительных органов. Ведь именно эффективная реализация поставленных задач, используя гибкие подходы к их решению, должна быть основой деятельности системы ОВД.

Издание органами государственного управления нормативных актов, имеющих подзаконный характер, и является основой их исполнительно – властной деятельности, что дает возможность регулировать подведомственные сферы. В нашем случае – к таким формам управления можно отнести акты МВД Украины.

При этом, как справедливо отмечают некоторые ученые, нормотворческую деятельность органов государственного управления можно считать опосредованным в отличие от непосредственного установления норм права, которое осуществляют органы законодательной власти. Эта опосредованность определяется подзаконность нормативных актов органов управления, выдаваемых на основе и во исполнение законов. Такие нормативные акты зачастую устанавливают конкретные права, обязанности, ответственность участников общественных отношений. В них часто содержатся ограничения и запреты, обусловленные спецификой сферы управления. Они формируют основы взаимодействия различных субъектов управления, осуществляют правоохранительные функции управленческого характера (например, установление определенного правового режима), предусматривают юридические гарантии обеспечения законности и дисциплины в управлении.

Однако, в большинстве случаев, такие формы управления, как показывает практика, являются недостаточно эффективными. Ведь, например, большинство положений нормативных актов МВД Украины не соответствует положениям законов, имеют свойство содержать устаревшие нормы, или же надлежащее не зарегистрированы.

Учитывая попытку Украины построить систему государственного управления, основываясь на демократических принципах, предлагаем, привести в соответствие с европейскими принципами, стратегическими планами развития системы управления органами внутренних дел, положения основных нормативно-правовых актов, таких, в частности, как: Положение о министерстве, соответствующие нормативно-правовые акты, регламентирующие деятельность структурных подразделений МВД, Правила применения специальных средств при охране общественного порядка и др. Причем, положения определенных законодательных актов должны быть согласованы с соответствующими подзаконными нормативно – правовыми актами.

Список использованной литературы:

1. Адміністративне право України. Академічний курс. Підручник у двох томах: Том 1. Загальна частина / Ред. кол. В. Б. Авер'янов (голова) та ін. – К.: Видавництво «Юридична думка», 2007;
2. **Адміністративне право України:** Підручник / Ю. П. Битяк, В. М. Гарашук, О. В. Дьяченко та ін.; За ред. Ю. П. Битяка. – К.: Юрінком Інтер, 2007;
3. **Колпаков В.К. Адміністративне право України / В. К. Колпаков: Навчальний посібник / К.: Юрінком Інтер, 2004;**
4. *Старилов Ю.Н.* Курс общего административного права. В 3 т. Т. I: История. Наука. Предмет. Нормы. Субъекты / Ю.Н. Старилов. – М.: Издательство НОРМА (Издательская группа НОРМА-ИНФРА-М), 2002;.
5. Положение о Министерстве внутренних дел Украины : утвержд. Указом Президента Украины от 6 апреля 2011 года N 383/2011 [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://zakon2.rada.gov.ua/laws/show/383/2011>;
6. Проект Концепции реформирования правоохранительных органов Украины (система уголовной юстиции) [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://ukrprison.org.ua/news/1285058160>;
7. Проект Комплексного Плана мероприятий по формированию позитивного имиджа органов внутренних дел Украины на 2013-2014 годы в Украине [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://mvs.gov.ua/mvs/control/main/uk/publish/article/839714>.

ფიოდორ კრასნოიაროვი

უკრაინის შინაგან საქმეთა ორგანოების მართვის ფორმები და მათი სრულყოფის მიმართულება რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში განხილულია “შინაგან საქმეთა სამთავრობო ორგანოების ფორმების“ სამართლებრივი კატეგორია; მოცემულია ამ ფორმათა კლასიფიკაცია; განსაზღვრულია მათ სამართლებრივი პრინციპები და აპლიკაციის ფორმათა პროცედურები, რომლებიც ეკუთვნის უკრაინის შინაგან საქმეთა სამთავრობო ორგანოებს თანამედროვე პირობებში მათი ეფექტიანობის დონის გათვალისწინებით. ამ კვლევის შესწავლის ფონზე განსაზღვრულია მთავარი სამართლებრივი აქტების სია, რომლის გაუმჯობესება-სრულყოფა ხელს შეუწყობს უკრაინის საშინაო საქმეების სამთავრობო ორგანოების მართვას.

Fiodor Krasnoiarov

Ruling Forms Of The Internal Affairs Of Ukraine And Their Improvement Direction

Summary

The article defines the essence of the legal category of “forms of governance bodies of internal affairs; the classification of these forms is made; defining their respective to the enshrined in law principles and procedures of application forms of governance bodies of internal affairs of Ukraine, and also the level of effectiveness of their use in modern conditions. On the base of this study the list of basic legal acts is defined, the improvement of which will contribute to improving of management of governance bodies of internal affairs of Ukraine.

ბაკურ ლილუაშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქორწინება საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალში (სკს), ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართალში, მოქალაქეობის პრინციპზე დაფუძნებული საკოლიზიო ნორმებით წყდება ისეთი საკითხები, როგორცაა მაგ. ფიზიკური პირის უფლება-ქმედუნარიანობა, სახელის უფლება, საოჯახო და მამკვიდრეობის ურთიერთობები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იგი ასევე საქართველოს სასამართლოების გასჯადობის განსაზღვრისას.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო საოჯახო ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, როდესაც ამ ურთიერთობებში მონაწილეობს „უცხოური ელემენტი“. კერძოდ:

- ა) მონაწილეთაგან ერთ-ერთი მაინც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- ბ) ერთ-ერთ მონაწილეთაგანს არ გააჩნია არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა;
- გ) მხარეთა საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს სხვა სახელმწიფო;
- დ) ობიექტი, (მაგ. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარეობს უცხო ქვეყანაში);
- ე) იურიდიულ ფაქტს ადგილი ჰქონდა საზღვარგარეთ (მაგ. დაქორწინება).

როგორც ცნობილია, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყანაში წესრიგდება განსხვავებულად, რაც პირველ რიგში განპირობებულია რელიგიური, წესჩვეულებითი, არსებული ტრადიციებისა თუ სხვა ფაქტორებით. გამომდინარე აქედან, საერთაშორისო საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების საკოლიზიო ნორმებით დარეგულირებას, შეიძლება ითქვას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო კერძო სამართალში.

საქართველოში საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს კონსტიტუცია, რომლის 36-ე მუხლი ადგენს ქორწინებისათვის მეუღლეთა როგორც „ნებაყოფლობას“, ასევე „უფლებრივ თანასწორობას“, ე. ი. ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს შორის თანასწორობას.

საერთაშორისო საოჯახო ურთიერთობების რეგულირება საქართველოში.

საქართველოში დაქორწინების მიზნით უცხოელებისთვის არ არსებობს რაიმე სახის აკრძალვა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებთან ან სხვა პირებთან, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებისა. კერძოდ, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლიდან გამომდინარე:

1. „საქართველოში უცხოელებს შეუძლიათ დაქორწინდნენ და განქორწინდნენ საქართველოს მოქალაქეებთან და სხვა პირებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. საქართველოში მყოფი უცხოელები საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებში სარგებლობენ ისეთივე უფლებებით და აკისრიათ ისეთივე მოვალეობანი, როგორებიც საქართველოს მოქალაქეებს.“

აღნიშნულ ნორმაში ორი მთავარი პრინციპი უნდა გამოვყოთ, ერთი – დაქორწინების და განქორწინების უფლება „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“, რაც თავის მხრივ

მოიცავს ჩვენი ქვეყნის "საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" კანონს და მეორე – საოჯახო ურთიერთობებში ისეთივე უფლება-მოვალეობების არსებობა, როგორც გააჩნია საქართველოს მოქალაქეებს.

უცხოელებთან დაქორწინების პირობებს, ქორწინების შედეგებს, განქორწინებას, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებს, ბავშვის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, შვილად აყვანის წესსა და მეურვეობა-მზრუნველობის ურთიერთობებს ანესრიგებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარ პრინციპს წარმოადგენს მოქალაქეობა. კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „1. ქორწინების პირობები, თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.“ ქორწინების პირობები ორ ჯგუფად იყოფა: „პოზიტიური პირობები, რომელთა არსებობის დროს დასაშვებია ქორწინების რეგისტრაცია და ნეგატიური პირობები, რომელთა არსებობა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს.“ უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიურ პრინციპს – პირად კანონს - ითვალისწინებს უცხო ქვეყნების დიდი უმრავლესობა. ე. ი. ქორწინების პოზიტიური და ნეგატიური (დამაბრკოლებელი გარემოებები), უნდა განისაზღვროს იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. მაგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად: „ქორწინების პირობები თითოეული პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს.“ ავსტრიის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ფედერალური კანონის მე-17 მუხლის თანახმად: „ქორწინების პირობები, ისევე როგორც ქორწინების ბათილობა და შეწყვეტა, განისაზღვრება თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის მისი პირადი კანონით.“ ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში.

იგივე შეიძლება ითქვას, ქორწინების ფორმის შესახებ. საკმარისია დაქორწინების ფორმის მიმართ დაცული იყოს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც იგი განხორციელდა. ე. ი. არა აქვს მნიშვნელობა დაცული იყოს სამოქალაქო ქორწინების ფორმა, რასაც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სამართალი, იმისათვის, რომ საქართველოში აღიარებული იქნეს სამართლებრივად უცხოეთში ოჯახის შექმნის ფაქტი.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ჩვენს შემთხვევაში, იძენს ქორწინების შედეგები. იგი განსაზღვრულია „საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლით:

„1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

- ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;
- ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;
- გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, თუ მათ სხვა ქვეყნის სამართალი არ აურჩევიათ. სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე:

- ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება;
- ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;
- გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.“

მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ალტერნატიულ საკოლიზიო ნორმას. როგორც ცნობილია არსებობს ორი სახის ალტერნატიული საკოლიზიო ნორმა – ტოლფასოვანი და არატოლფასოვანი ალტერნატივებით. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ტოლფასოვან ალტერნატივებთან, ანუ სამართლის გამოყენებისათვის ნებისმიერი მათგანი შეიძლება იქნეს გამოყენებული. ვფიქროთ, გამართლებული იქნება, თუ საკოლიზიო ნორმას ჩამოვაცალიბებთ, როგორც არატოლფასოვან ალტერნატიულ ნორმად.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ტერმინი „ცალ-ცალკე“ გარკვეულ კითხვებს ბადებს. კერძოდ, პირველი – ნიშნავს, რომ მოსამართლის ნებაზეა დამოკიდებული, რომელ სამართალს გამოიყენებს; და მეორე – როგორ გადაწყდეს საკითხი, როდესაც მეუღლეები ერთობლივად განეკუთვნებიან რომელიმე სახელმწიფოს. რაც შეეხება „ბ“ ქვეპუნქტს, იგი ისევე როგორც „გ“ ქვეპუნქტი, წარმოადგენს ალტერნატიულ, მაგრამ ტოლფასოვან საკოლიზიო საბამს. ამავე დროს, „ბ“ ქვეპუნქტშიც სიტყვამ „ცალ-ცალკე“ შეიძლება გარკვეული გაუგებრობები გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 45-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ერთობლივად განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ერთობლივად აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებულნი.“

რა თქმა უნდა, სიტყვაში „განეკუთვნება“ იგულისხმება მოქალაქეობა, ანუ იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეებსაც წარმოადგენენ მეუღლეები.

შემდეგი საკითხი, რომელსაც გვინდა მოკლედ შევეხოთ, არის საერთაშორისო განსჯადობა და მის თაობაზე მხარეთა შეთანხმება. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ქორწინებასთან და განქორწინების შედეგებზე საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს კანონის მე-12 მუხლი. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საერთაშორისო განსჯადობა, თუ:

„ა) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;

ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.“

ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებში, კანონის თანახმად უნდა ვიგულისხმოთ განქორწინება, აგრეთვე ქორწინების შეწყვეტა და ბათილად ცნობა, ქორწინების ან მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენა.

რაც შეეხება მხარეთა შეთანხმებას სასამართლოების განსჯადობის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ არსებობს შეზღუდვა მე-18 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, რომლის თანახმად შეთანხმებები კანონის მე-10-16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. დღევანდელ პირობებში, როდესაც სულ უფრო ფართოვდება მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპის მნიშვნელობა, ვფიქრობთ გამართლებული იქნება მხარეებს გააჩნდეთ არა მარტო მატერიალური სამართლის არჩევის უფლება (45-ე მუხლის მეორე პუნქტი), არამედ დავის შემთხვევაში სასამართლოს არჩევის უფლებაც; იმ შეზღუდვებით, რომლებიც მოცემულია კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში.

ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განსაზღვრისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ სკს-ის შესახებ კანონის 68-ე მუხლით. აღნიშნული ნორმით დადგენილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლო უარს იტყვის გადაწყვეტილების აღიარებაზე და აქედან გამომდინარე მის აღსრულებაზე. მაგრამ შეიძლება თუ არა მოხდეს ისე, რომ საჭირო გახდეს სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილობრივი ცნობა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე; მაგ. გამოტანილია გადაწყვეტილება მეუღლეთა განქორწინების თაობაზე და ამავე დროს გადაწყვეტილია მათ თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკითხიც, რომელიც მდებარეობს საქართველოში. უძრავი ქონების თაობაზე დავის გადაწყვეტა მე-10 მუხლის თანახმად შედის საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციაში. ამავე დროს, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: „ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.“

ვფიქრობთ, ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გამომდინარე იქიდან, რომ მას სრული უფლება აქვს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულების თაობაზე მიღებულ დადგენილებაში მიუთითოს, რა ნაწილში შეიძლება იქნეს აღიარებული და აღსრულებული გადაწყვეტილება და რა ნაწილის ცნობაზე რა საფუძვლით ეთქვას უარი დაინტერესებულ პირს.

ბაკურ ლილუაშვილი

ქორწინება საერთაშორისო კერძო სამართალში რეზიუმე

საერთაშორისო კერძო სამართალში მეუღლეთა შორის ქონებრივი და არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღევანდელ პირობებში, როდესაც ევროპის სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პერსპექტივა სულ უფრო რეალური ხდება. აქედან გამომდინარე, თანდათანობით გაიზრდება საერთაშორისო საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობებიც. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს საკოლიზიო სამართლებრივი რეგულირების საგანს. საკოლიზიო სამართლის რეგულირების საკითხებია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინების პირობები, ქორწინების ფორმა, ასევე, რაც მნიშვნელოვანია, ქორწინების (განქორწინების) შედეგები და მასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა და მისი ქართულ კანონმდებლობასთან შედარება.

Bakur Liluashvili

Marriage in International Private Law of Georgia Summary

Regulation of property and non-property legal relationships between spouses takes one of the important places in international private law of Georgia. In today's conditions, when the perspective of our country's integration in European space is becoming more and more real, this issue acquires a special importance. Thus, in our opinion, the international family legal relationships will increase gradually. For its part, this is the subject of regulation of conflict law. The conditions of marriage among citizens from different states, the form of marriage, results of marriage (divorce), the recognition and execution of court decisions related to them, these also are issues of the regulation of conflict law. In this regard, a brief overview of the legislations of EU countries and their comparison with the legislation of Georgia will be interesting.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის სამართლებრივი ბუნება და პრინციპები

ადგილობრივი მმართველობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის პრობლემა მრავალ ქვეყანაში დღემდე გადაწყვეტილი არ არის. ამ მხრივ აღსანიშნავია განვითარებადი ქვეყნები და პოსტსაბჭოური სივრცე, სადაც ახლახანს მკვიდრდება დემოკრატიული მმართველობის ფორმები და შესაბამისად ჩამოყალიბების პროცესშია ადგილობრივი თვითმმართველობა. იგი, მართალია, საჯარო მმართველობის ფორმაა და ცენტრალურ ადმინისტრირებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეს ინსტიტუციური სტრუქტურა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ეს გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: სამართლის სისტემა, ტრადიციები, ისტორია, კულტურა, ტერიტორიული სივრცე, სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი და ა.შ. აღნიშნულის და სხვა მიზეზების გამო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის პრობლემა მწვავედ დადგა თანამეგობრობის სახელმწიფოთა წინაშე. საკითხის აქტუალობამ დღის წესრიგში დააყენა იმ ზოგადი პრინციპებისა და ნიშნების განსაზღვრა, რომლებიც მისაღები იქნებოდა სხვადასხვა ტიპის მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის სახელმწიფოსათვის. ამ ფონზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1985 წლის ივნისში განხილვა დაიწყო და 1985 წლის 15 ოქტომბერს მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, რომელიც პრეამბულის, სამი ნაწილისა და 18 მუხლისაგან შედგება.

ევროპის საბჭომ მიზნად დაისახა წევრებს შორის ურთიერთობების დალაგება, იმ იდეალებისა და პრინციპების განხორციელება, რომელიც სახელმწიფოებმა საერთო ძალისხმევით მოიპოვეს, იმის გათვალისწინებით, რომ მიზნის მიღწევის ერთადერთ რეალურ საშუალებად ადმინისტრაციულ სფეროში მათი შეთანხმება მიიჩნია. ევროპის საბჭომ გაითვალისწინა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიული წყობის ერთადერთი საფუძველია მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რითაც წვლილს შეიტანენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოწესრიგებაში. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის რეალიზაცია, რომლის მიხედვით, თვითმმართველობის დედააზრი ისაა, რომ ადგილობრივ საქმეებს თვით ადგილობრივი მოსახლეობა განაგებდეს.

„ამგვარი მმართველობა მეტად უწყობს ხელს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკვასა და გონებას უხსნის. რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს. ამგვარი მმართველობა ისეთის თვისებაა, რომ საცა კი სურს ადამიანს, ყველგან და ყოველთვის ხალხში იხეირებს და ჩვეულებრივს ნაყოფს მოიტანს. იქ, საცა მაგას გზა და ადგილი ჰქონდა, ყველგან ცხოვრება ადამიანისა აუყვავებია, ...“ (ჭავჭავაძე, VI, 16) – წერს ი. ჭავჭავაძე.

ევროპის საბჭომ ქარტიის მიღებით დაამკვიდრა რწმენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა განაპირობებს მოქალაქისათვის სასარგებლო და მისაწვდომ მიმართულებას, ასევე, ადგილობრივი მმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიის პრინციპებზე და დეცენტრალიზაციაზე და-

ფუძნებული ევროპის მშენებლობაში. ადგილობრივ თვითმმართველობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ერთგან ილია აღნიშნავს: „თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეულებრივი ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმცყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავინყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უში სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება, ვიდრე სახრავი“ (ჭავჭავაძე, VI, 42).

დოკუმენტის ხელმოწერმა ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ძირითადი პრინციპების რეალიზაცია გამოიწვევს ადგილობრივი ხელისუფლების შექმნას. მათ ეყოლებათ გადანყვეტილების მიღების უფლებისა და დემოკრატიული შემადგენლობის მქონე ორგანიზაციები და აღჭურვილი იქნება ავტონომიურობის მაღალი დონით. რაც შეეხება თვითონ მოვალეობებს, მათი შესრულების გზებსა და საშუალებებს, საჭირო რესურსებს, ქარტიის მუხლებშია დაფიქსირებული. მკვლევართა ნაწილი ევროპული ქარტიის პრინციპებს ორ ჯგუფად ჰყოფს. ასე მაგ., ა. დემენტიევი თვლის, რომ პირველ ჯგუფში შედის მდგომარეობის დამდგენი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის ადგილს საჯარო ხელისუფლებისა და სახელმწიფოს სისტემაში. მეორე ჯგუფი პრინციპებისა აკონკრეტებს დემოკრატიულ მმართველობასა და საჯარო ხელისუფლების ფუნქციებს (Дементьев, 110).

პროფ. რ. მუხაევის აზრით, ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივ ბუნებას ორ ნაწილად: საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებად ჰყოფს. ასეთი მიდგომებით განიხილავს სახელმწიფოთა უმრავლესობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს (Мухаев, 215).

ქარტიის პირველ ნაწილში ვხვდებით ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი შინაარსის განმსაზღვრელ სარეკომენდაციო ნორმებს, რომლებშიც ასახულია თვითმმართველობის ძირითადი პრინციპების იურიდიულ ხასიათი: თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი ბაზის შექმნა, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების არეალი და მათი რეალიზაციის პირობები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპების დაცვის აუცილებლობა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციული სტრუქტურების ავტონომიურობის უზრუნველყოფა, არჩევითი თანამდებობების დაკავების სამართლებრივი საფუძვლები, ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების, ფინანსების დანიშნულებისამებრ ხარჯვის აუცილებლობა, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის დონის სამართლებრივი გამიჯვნა და ა.შ.

ქარტიის მეორე მუხლში განმტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს ქვეყნის კანონმდებლობით და შესაძლებლობის ფარგლებში - კონსტიტუციით. მესამე მუხლში განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობაში გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებას და რეალურ შესაძლებლობას, კანონით დადგენილ ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მოაწესრიგოს სახელმწიფოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი. ქარტიის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ეხება თვითმმართველობის უფლების განსაზღვრას, რომლის თანახმად, თვითმმართველობის უფლება დგინდება საბჭოების ან კრებების მიერ. იგი შედგება თავისუფ-

ფალი, ფარული, თანასწორი და საყოველთაო კენჭისყრით არჩეული პირებისაგან. საბჭოებს ან კრებებს შეიძლება ჰყავდეთ მათდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არ გამორიცხავს მოქალაქეთა მიმართვის უფლებას კრებისადმი და რეფერენდუმის გამოყენების ან მოქალაქეთა პირდაპირი მონაწილეობის ნებისმიერი სხვა ფორმისადმი იქ, სადაც ეს დაშვებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით. ადგილობრივი თვითმმართველობის კონპეტენციები განმტკიცებულია ქარტიის მე-4 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებები განისაზღვრება კონსტიტუციით ან კანონით. ამასთან, ეს დებულება არ გამორიცხავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საკუთარი კომპეტენციების გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ფარგლებში ფლობენ მოქმედების სრულ თავისუფლებას.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, როგორც წესი, უპირატესად უნდა დაეკისროს მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მყოფ ხელისუფლების ორგანოებს. უფლებამოსილება ხელისუფლების რომელიმე ორგანოს უნდა მიენიჭოს დასმული ამოცანის მოცულობისა და ხასიათის, აგრეთვე, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის გათვალისწინებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, როგორც წესი, უნდა იყოს სრული და ექსკლუზიური. ის შეიძლება შეზღუდული იქნეს ცენტრალური ან რეგიონალური ხელისუფლების ორგანოთა მიერ მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში.

ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, თვითმმართველობის ორგანოებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავისუფლად უნდა შეეძლოთ ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა.

ნებისმიერი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღებისას, რომლებიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, ამ ორგანოებთან დროული, წინასწარი და შესაბამისი ფორმის კონსულტაცია.

ქარტიის ეს მოთხოვნა მომდინარეობს თვითმმართველობის სპეციფიკისა და თვითმმართველობის უფლებამოსილებათა დაცვიდან. უფლებამოსილების თვალსაზრისით, თვითმმართველობის სპეციფიკის არსი ისაა, რომ თვითმმართველობის საქმიანობის უაღრესად ფართო სპექტრის გამო მისი კომპეტენციები შეუძლებელია სრული მოცულობით იქნეს კანონში ასახული, საჭირო და აუცილებელია კანონით გარანტირებული იქნეს თვითმმართველობათა ძირითადი უფლებამოსილებები.

მე-5 მუხლი ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ტერიტორიული საზღვრის დაცვას, ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოსაზრებათა გათვალისწინებით, მათ შორის, რეფერენდუმი ჩატარდეს იქ, სადაც ეს დაშვებულია კანონით.

ქარტიის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოებისა და სტრუქტურების ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებთან შესაბამისობას, რაც ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, საერთო საკანონმ-

დებლო წესების დაურღვევლად თვითონ განსაზღვრონ შიდაადმინისტრაციული სტრუქტურა, რათა პასუხობდეს ადგილობრივ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფდეს ეფექტიან მმართველობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების სამუშაო პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ შესაძლებელი გახდეს მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა. პროფესიონალური მომზადების შესაბამისი პირობები, ანაზღაურება და სამსახურებრივი წინსვლის გარანტიები.

ქარტია ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე უფლებამოსილებათა განხორციელების პირობებს მე-7 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე არჩეულ პირთა სტატუსი გულისხმობს მათი ფუნქციების შესრულებას.

გარდა ამისა, ადგილობრივ დონეზე არჩეული პირების სტატუსი უნდა უზრუნველყოფდეს დანახარჯის კომპენსაციას. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ხელიდან გაშვებული მოგების ან ხელფასისა და შესაბამისი სოციალური დაზღვევის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ნებისმიერი მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადმინისტრაციულ კონტროლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე, სწორედ ქარტიის მე-8 მუხლი აყალიბებს იმ ძირითად პოსტულატებს, რომლებიც კონტროლს ეხება, ანუ ნებისმიერი ადმინისტრაციული კონტროლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, გამიზნული უნდა იყოს მხოლოდ კანონიერებისა და კონსტიტუციური პრინციპებს დაცვისთვის. ამასთან, ადმინისტრაციული კონტროლი შეიძლება მოიცავდეს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების მიზანშეწონილობასაც.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაკონტროლება უნდა ხდებოდეს ისე, რომ ორგანოს ჩარევის ხარისხი შეესაბამებოდეს იმ ინტერესების მნიშვნელობას, რომლის დაცვასაც ეს ჩარევა ითვალისწინებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფუნქციების შესრულების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ რესურსებს. ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობა კარგად ესმოდა ი. ჭავჭავაძეს. მისი აზრით, „თვითმმართველობა თავის ადგილას ყოვლის შინაურის საქმის გამგებელია და მეოხე; ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განმანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისის ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია“ (ჭავჭავაძე, VI, 41). ილიას პოზიციას პასუხობს ქარტიის მე-9 მუხლი. აქ ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით შეუძლიათ შეადგინონ საკუთარი ფინანსური სისტემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრების მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მათთვის კონსტიტუციით ან კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრების ნაწილი უნდა შემოდიოდეს ადგილობრივი გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან, რომელთა განაკვეთს ადგენენ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები კანონით დადგენილ ფარგლებში.

ფინანსური სისტემები, რომლებზეც დაფუძნებულია თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების სახსრები, უნდა იყოს საკმარისად მრავალფეროვანი და მოქნილი, რამდენადაც

ეს რეალურად შესაძლებელია, ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციის განხორციელებისას წარმოქმნილი ხარჯების ცვლილებისა და რაოდენობის გათვალისწინებით.

ფინანსური თვალსაზრისით, შედარებით სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაცვა მოითხოვს ფინანსური გათანაბრების შემოღებას ან სხვა ექვივალენტურ ზომებს. იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი ორგანოების შესაძლებელი ფინანსური წყაროებისა და მათზე დაკისრებული ხარჯების განაწილების შედეგის კორექტირებას. ასეთმა პროცედურებმა ან ზომებმა არ უნდა შეზღუდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევანის თავისუფლება მათი კომპეტენციის ფარგლებში.

გადანაწილებული სახსრების გადაცემის წესი აუცილებელია, იყოს შეთანხმებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გაცემული სუბსიდიებით, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა ფინანსდებოდეს გარკვეული პროექტები. ეს სუბსიდიები არ უნდა ზღუდავდეს თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკის განსაზღვრის თავისუფლებას მათი საკუთარი კომპეტენციის სფეროში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ინვესტიციათა დასაფინანსებლად კანონმდებლობის დაცვით, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ეროვნულ ბანკის სასესხო კაპიტალზე.

ქარტიას უყურადღებოდ არ დარჩენია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლება, გაერთიანდეს შესაბამის სტრუქტურებში და იგი გაშლილია მე-10 მუხლში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავიანთი ფუნქციების შესრულების დროს უფლება აქვთ ითანამშრომლონ და პარტნიორობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებთან, იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც წარმოადგენს საერთო ინტერესის საგანს.

თითოეულ სახელმწიფოში უნდა აღიარონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება, გაერთიანდნენ საერთო ინტერესების დაცვისა და წინსვლისათვის, აგრეთვე, შეუძლიათ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების საერთაშორისო გაერთიანებებში განევრიანება.

თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ უფლება, კანონით დადგენილი პირობებით, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებთან. მსგავსი თანამშრომლობის აუცილებლობაზე თავის დროზე აზრი გამოთქვა ი. ჭავჭავაძემ: „თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად, ამავე დროს იგი ერთის მხრით ადგილობრივ საქმეთა დამწყობია და გამრიგებელი, მეორეს მხრით უმაღლესის მთავრობის ხელისუფალი ორგანოა. თვითმმართველობა ხელქვეითია ... უმაღლესის მთავრობისა და საერთო კანონის ადგილობრივი მცველია და აღმასრულებელი. თვითმმართველობა ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული“ (ჭავჭავაძე, V, 42).

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივ დაცვას ეხება ქარტიის მე-11 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებს უნდა ჰქონდეს სასამართლო წესით საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება, უფლებამოსილების განხორციელების, ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განმტკიცებული ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების შესრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

ქარტიის დანარჩენი მუხლები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ვალდებულებები, ხელისუფლების დამოკიდებულება ქარტიის პრინციპებთან, ინფორმაციის მიწოდების ორგა-

ნიზაცია, ხელმონერის რატიფიკაცია, ძალაში შესვლა, დენონსირება და შეტყობინების პროცედურები.

მკვლევართა ნაწილი ქარტიის შინაარსს სამი მიმართულებით განიხილავს:

ა) ევროპული ქარტია, როგორც საერთაშორისო კონვენცია, რომლის ადგილობრივი თვითმმართველობის იდეას ამ რანგში აღიარებს;

ბ) ევროპული ქარტიის სამართლებრივი მხარე;

გ) ევროპული ქარტიის შინაარსით განპირობებული მისი პრაქტიკაში რეალიზაციის გარანტიები (ლობჟანიძე, 244). ფრანგი იურისტის და ცნობილი სამართალმცოდნის ჟან პრადელის აზრით, დედამიწაზე არ არსებობს ორი სახელმწიფო, რომელთაც ერთი და იგივე სამართალი აქვთ, კერძოდ, ერთი და იგივე მუნიციპალური სამართალი (ზოგჯერ ერთი ქვეყნის წიაღში რამდენიმე სამართალი).

შედარების საშუალებას იძლევა ოჯახების ანუ მოდელების, ასევე ქვემოდელების არსებობა: სახელმწიფოთა გარკვეული რიცხვი, გეოგრაფიულად ახლომდებარე ფლობს ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავებულ სამართალს. მეორე ფაქტორის შესახებ, წერს ჟან პრადელი, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიუთითებდა ორტოლანი: სამართლებრივი სისტემები და მოდელები არ არის არც უცვლელი, არც იზოლირებული, მათ შორის მიმდენარეობს გაცვლა. ყოველი მოდელი და ქვემოდელი შედეგია არა მხოლოდ ხალხის შეგნების ლოკალური ტრადიციისა, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად იდეათა იმპორტის, ზოგჯერ კი ამ იდეათა დეფორმირების (პრადელი, 86). ასე რომ არ მოხდეს, ქარტია გვთავაზობს ზოგად პრინციპებს, რომელთა დაცვა აგვაცილებს სერიოზულ შეცდომებს კანონმდებლობაში.

და ბოლოს, ამ პრინციპების დამკვიდრება ემსახურება საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს, რომლებიც ეხება მონაწილე ქვეყნებს და სარეკომენდაციო მნიშვნელობა აქვს დანარჩენი სხვა სახელმწიფოსათვის. გარდა ქარტიისა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრების საქმეს ემსახურება, ასევე, „ქალაქების უფლებათა ევროპული დეკლარაცია“, რომელიც მიიღო ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების მუდმივმოქმედმა კონფერენციამ 1992 წელს, რადგან, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად სჭირდება და ქალაქი ელოდება მკაფიოდ გაირკვეს მისი, როგორც ავტონომიურ-ადმინისტრაციულ მუნიციპალური ერთეულის დანიშნულება, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ახლად მიღებული კოდექსი ამის ნათელი დადასტურებაა, რომლის სამართლებრივ ანალიზს და შეფასებას სხვა დროს გავაკეთებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლობჟანიძე გ., საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2011;
2. პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ. 1999;
3. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. V;
4. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. VI;
5. Дементьев А.Н. – Местное самоуправление как один из уровней осуществления публичной власти // Центр – регионы – местное самоуправление/ Под ред. Г.М. Люхтерхандр-Михалевой и С.Ию Рыженкова. М.; СПб.: ИГПИ; Летний сад, 2001;
6. Мухаев, Р. – Система Государственного и Муниципального Управления, М. 2010.

გივი ლობჯანიძე

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის სამართლებრივი ბუნება და პრინციპები რეზიუმე

ადგილობრივი მმართველობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის პრობლემა მრავალ ქვეყანაში დღემდე გადაწყვეტილი არ არის. ამ მხრივ აღსანიშნავია განვითარებადი ქვეყნები და პოსტსაბჭოური სივრცე, სადაც ახლა მკვიდრდება დემოკრატიული მმართველობის ფორმები და, შესაბამისად, ჩამოყალიბების პროცესშია ადგილობრივი თვითმმართველობა. იგი, მართალია, საჯარო მმართველობის ფორმაა და ცენტრალურ ადმინისტრირებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეს ინსტიტუციური სტრუქტურა ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ეს გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: სამართლის სისტემა, ტრადიციები, ისტორია, კულტურა, ტერიტორიული სივრცე, პოლიტიკური რეჟიმი და ა.შ. აღნიშნულის და სხვა მიზეზების გამო გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის პრობლემა მწვავედ დადგა თანამეგობრობის სახელმწიფოთა წინაშე. საკითხის აქტუალობამ დღის წესრიგში დააყენა იმ ზოგადი პრინციპებისა და ნიშნების განსაზღვრა, რომლებიც მისაღები იქნებოდა სხვადასხვა ტიპის მმართველობისა და ტერიტორიული მონეობის სახელმწიფოსათვის. ამ ფონზე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1985 წლის ივნისში განხილვა დაიწყო და 1985 წლის 15 ოქტომბერს მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, რომელიც პრეამბულის, სამი ნაწილისა და 18 მუხლისაგან შედგება.

ევროპის საბჭომ ქარტიის მიღებით დაამკვიდრა რწმენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა მოქალაქისათვის სასარგებლო და ხელმისაწვდომია და მისი, ისევე როგორც ადგილობრივი მმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიის პრინციპებზე და დეცენტრალიზაციაზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის.

Givi Lobzhanidze

Legal Nature and Principles of the Local Self-Administration's European Charter

Summary

The problem of the local administration and municipal self-administration has not been solved yet. From this standpoint we must point out developing countries and post-soviet space where we come across the newly established democratic government forms and therefore, the local self-administration is in the stage of its formation. Though it is a public administrative form and is connected with the central administration. It is still different from the other countries' institutional structure. This is based on such factors as the legal system, traditions, history, culture, territorial space, the state political regime, etc. Based on other reasons mentioned above since the 80s of the last century the problem of the administration and self-administration has been occurring in the concord states. Urgency of the issue demanded the determination of those general principles and signs that would be acceptable for the different types of administration and territorially organized states. Based on this the committee of the European Union Ministers started discussions in 1985 of June and in 1985, October 15 adopted the European charter of the local self-administration consisting of the preamble, three parts and 18 articles.

The European Union adopting the charter made a belief of the local self-administration's useful direction for the citizen. Besides defense and strengthening of the local administration in different European countries are important steps in establishing Europe based on the democratic principles and decentralization.

მალხაზ ლომსაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაუპატიურების ობიექტური მხარე ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში ტექსტში სსკ) 137-ე მუხლის შესაბამისად გაუპატიურება არის სქესობრივი კავშირი ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, გაუპატიურებად ითვლება დაზარალებულთან სუბიექტის სქესობრივი კავშირი დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ, რა დროსაც სუბიექტი დაზარალებულის ფიზიკური წინააღმდეგობის ან შესაძლო წინააღმდეგობის დასაძლევად იყენებს ფიზიკურ ძალადობას ან მუქარას, ანდა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობას.

სსკ-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ე.ი. ამავე კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.“ როგორც კანონის დეფინიციიდან ჩანს, დანაშაულის სტრუქტურა მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ ნიშანს: 1.) ქმედების შემადგენლობას; 2.) ქმედების მართლწინააღმდეგობას და 3.) ბრალს. სამივე ნიშნის ერთობლიობა ქმნის დანაშაულს, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია. მოცემული სამი ელემენტის დადგენას მ. სტროგოვიჩი უწოდებს მთავარ ფაქტს“ (Строгович, 83). ამ ელემენტების დადგენას, სასამართლოს მხრიდან, მოითხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ განაჩენის დადგენისას სასამართლო თანმიმდევრობით ნყვეტს შემდეგ საკითხებს: ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო; გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ჩადენილი ქმედება ბრალად; უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, როგორც ამას საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს. ქმედების შემადგენლობა ორი მხარისაგან შედგება. ესენია ქმედების ობიექტური მხარის შემადგენლობა და ქმედების სუბიექტური მხარის შემადგენლობა. ჯერ განვიხილოთ ქმედების ობიექტური მხარის შემადგენლობა, რომლებიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ა.) ქმედების ობიექტი; ბ.) ქმედება და შედეგი; გ.) მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის და დ.) ობიექტური მხარის შემადგენლობის სხვა ელემენტები.

გაუპატიურებით ზიანს განიცდის სქესობრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება. ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია სქესობრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება. გაუპატიურებით ზიანს განიცდის მხოლოდ ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება. ე.ი. ამ დანაშაულში დაზარალებულად გვევლინება ქალი.

ქალის სქესობრივ თავისუფლებაში იგულისხმება სრულწლოვანი ქალის უფლება თვითონ გადაწყვიტოს, თუ ვინ აირჩიოს სქესობრივ პარტნიორად, ხოლო სქესობრივი ხელშეუხებლობა ხელყოფას განიცდის არასრულწლოვანის გაუპატიურებისას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: სრულწლოვანი ქალის გაუპატიურებისას უშუალო ობიექტია სქესობრივი თავისუფლება, ხოლო არასრულწლოვანი ქალის გაუპატიურებისას – როგორც სქესობრივი თავისუფლება, ასევე ხელშეუხებლობა.

გაუპატიურებისას დაზარალებულად არ შეიძლება მოგვევლინოს მამაკაცი. “მამაკაცის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფა უნდა იქნეს კვალიფიცირებული არა როგორც გაუპატიურება,” (მაყაშვილი, 92) არამედ როგორც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება.

გაუპატიურება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ქალის, მიუხედავად იმისა – თუ როგორია მისი მორალური სახე, დამოკიდებულება სუბიექტთან, მაპროვოცირებელი ქცევა და სხვა. გაუპატიურება სახეზეა მაშინაც, როცა სუბიექტს წინათ ნებაყოფლობითი ჰქონდა სქესობრივი კავშირი ქალთან. კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა დრო გავიდა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირიდან გაუპატიურებამდე.

მაგალითად, თუ ან-ს ჰქონდა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ბან-თან ხოლო შემდეგ კიდევ მოინდომა ამგვარი კავშირი, მაგრამ ბან-მა უარი განუცხადა და ან-მა გამოიყენა ძალადობა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურებად.

გაუპატიურებისას მთავარი ის არის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტი ქალთან სქესობრივი კავშირის დასაჭერად მიმართავს ძალადობას, მუქარას ან იყენებს მის უმწეო მდგომარეობას.

ჩვენი აზრით, გაუპატიურების ობიექტის ზემოთ მოყვანილი დახასიათება სრულყოფილი არ არის. გაუპატიურება ხშირად ზიანს აყენებს დაზარალებულის პატივს და ღირსებას, ჯანმრთელობას და სხვა. ლ. გაუხმანი მიუთითებს, რომ “გაუპატიურება ორობიექტიანი დანაშაულია, რომლის ძირითად და უშუალო ობიექტს წარმოადგენს ქალის სქესობრივი თავისუფლება ან სქესობრივი ხელშეუხებლობა, ხოლო ფაკულტატურ უშუალო ობიექტს – ქალის ჯანმრთელობა” (Гаухман, 23). გაუპატიურებისას ფაკულტეტურ უშუალო ობიექტს ქალის არა მარტო ჯანმრთელობა, არამედ პატივი და ღირსებაც წარმოადგენს. ამგვარი ობიექტებიც განიცდიან ზიანს, ვინაიდან შეუძლებელია დავასახელოთ სქესობრივი ხასიათის დანაშაულები, რომლებიც არ სრულყოფენ დაზარალებულის პატივს და ღირსებას.

გაუპატიურების ობიექტი არ შეიძლება იყოს ადამიანი. ადამიანი არის დაზარალებული და არა ობიექტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის შინაარსის მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

ამრიგად, ქმედების ობიექტია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც განიცდის ზიანს ან დგას ზიანის მიყენების საფრთხის წინაშე დანაშაულის ან სისხლისსამართლებრივი უმართლობის შედეგად და ეკუთვნის ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ხასიათის სფეროს.

იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი იმის თაობაზე, თუ რა ჩაითვლება სქესობრივ კავშირად.

ა. იგნატოვი სქესობრივ კავშირად მიიჩნევს მამაკაცის მიერ ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მხოლოდ ბუნებრივი ფორმით (Игнатов, 30). ამ პოზიციაზე დგას ვ. შანიძე და მიუთითებს, რომ ბიოლოგიური თვალსაზრისით, სქესობრივი შეუღლება არის სასქესო ასოს მოთავსება საშოში და სპერმის დანთხევა იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად ღრმად იქნება მოთავსებული იგი მასში (შანიძე, 362). ზ. გოთუას აზრით, სქესობრივი კავშირის ცნება არა მარტო ბუნებრივი, არამედ გაუკულმართებული ფორმით დამყარებულ კავშირსაც მოიცავს (გოთუა, 362). სასამართლო პრაქტიკის მიხედვით გაუპატიურებად ითვლებოდა „ქალთან იძულებითი სქესობრივი კავშირის დაჭერა არა მარტო ნორმალური ფორმით, არამედ გაუკულმართებული ფორმითაც“ (მაყაშვილი, 93). ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის

რუსული ლიტერატურა, რომლის თანახმად, „სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ძალმომრეობითი მოქმედება, თუ იგი დაკავშირებული არაა სასქესო ასოს ქალის სასქესო ორგანოში შეღწევასთან, გაუპატიურებად არ გვევლინება. მაგალითად, ფიზიკური ძალადობით სექსუალური ჟინის დაკმაყოფილება ქალთან სწორი ნაწილიდან ან პირის ღრუდან სექსის გზით, გაუპატიურების შემადგენლობას არ გვაძლევს და იგი უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 138-ე მუხლით როგორც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება“ (Komm. y.k. PΦ., 28.)

სქესობრივი კავშირი შესაძლებელია მხოლოდ ორი სანინალმდეგო სქესის მქონე ადამიანთა სასქესო ორგანოების მეშვეობით. სხვაგვარ კონტაქტს, რომელიც ბუნებრივი ფორმით არ არის ჩადენილი – გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტი ეწოდება კოდექსის 138-ე მუხლის მიხედვით.

ამრიგად, სქესობრივი კავშირის დროს ურთიერთობა მყარდება მამაკაცსა და ქალს შორის, სასქესო ასოს მოთავსებით საშოში.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: სქესობრივი კავშირი ყოველთვის გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, ვინაიდან მოქმედების გარეშე შეუძლებელია მამაკაცის მიერ ქალთან სქესობრივი კავშირის დამყარება.

სქესობრივი კავშირი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გაუპატიურებად თუ იგი ჩადენილია დაზარალებულის ნების სანინალმდეგოდ ისეთი ხერხის გამოყენებით, როგორცაა ძალადობა, ძალადობის მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა. თუ ასეთი ქმედება ატარებს ნებელობით ხასიათს, იგი არ მიიჩნევა დანაშაულად.

განვიხილოთ ის ხერხები, რომელთა გამოყენებითაც ხდება დაზარალებულის რეალური ან შესაძლო წინააღმდეგობის გადალახვა.

გაუპატიურებისას დაზარალებულის წინააღმდეგობის გადალახვა უნდა მოხდეს მასზე ფიზიკური ძალადობის ან ძალადობის მუქარის მეშვეობით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.

ფიზიკური ძალადობა, როგორც გაუპატიურების ხერხი, გამოიყენება იმ მიზნით, რომ სუბიექტმა დაზარალებულთან მისი ნების სანინალმდეგოდ ჩაიდინოს სქესობრივი კავშირი და გადალახოს ამ უკანასკნელის მიერ განეული ან შესაძლო წინააღმდეგობა. ამიტომ თუ სუბიექტი დაზარალებულთან ამყარებს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს და ამავე დროს მას მიაყენებს ჯანმრთელობის დაზიანებას, იგი პასუხს აგებს ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მიყენებული სიმძიმის ხასიათის გათვალისწინებით.

ძალადობის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, ხდება დაზარალებულის მიმართ.

გ.შ.-მ დაზარალებული ე.კ. შეიყვანა ოთახში და „მუქარით“ უთხრა, გაეხადა ტანსაცმელი. უარის მიღების შემდეგ, განაწყენებულმა ჩასჭიდა ხელი, გაათრია მეორე ოთახში და ძლიერად მიარტყა ხელი გულმკერდის არეში, რის შედეგადაც ე.კ.-ს სუნთქვა შეეკრა და გულადმა დაეცა სანოლზე. გ.შ.-მ მას ერთი ხელით გაუკავა ხელები, მეორეთი კი ტანსაცმელი გახადა და ძალადობით დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი (სსსპკ, 11).

თუ ძალადობა გამოიყენება ახლობლის მიმართ, რათა სუბიექტმა შეძლოს დაზარალებულის მიერ განეული ან შესაძლო წინააღმდეგობის გადალახვა სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით, მაშინ საქმე გვექნება ფიზიკურ ძალადობასთან ანუ მუქარასთან.

„ძალადობა ქალის მიმართ, – აღნიშნავს მ. მაჭავარიანი, – უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ე.ი. ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი წინააღმდეგობის ფი-

ზიკურად დაძლევიტ – ჭიდილის, ცემის, ჯანმრთელობის დაზიანების, შეკვრის და სხვა საშუალებით“ (მაყაშვილი, 93).

თუ გაუპატიურებისას გამოყენებულ ფიზიკურ ძალადობას შედეგად მოჰყვება დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, მაშინ სუბიექტის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით. ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 117-ე მუხლით დამატებითი კვალიფიკაცია საჭირო არ არის.

თუ სუბიექტი დაზარალებულს მიაყენებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, რომ იგი მიიყვანოს უმწეო მდგომარეობამდე და დაამყაროს მასთან სქესობრივი კავშირი, მაშინ, სუბიექტის მოქმედება შეიცავს დანაშაულთა რეალურ ერთობლიობას, სახელდობრ, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას (117-ე მუხლი) და გაუპატიურებას (137-ე მუხლი).

მაგალითად, თუ ან-მა ბან-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რომ მოესპო წინააღმდეგობის განწევის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებდა მის მიმართ სქესობრივი კავშირის აღსაკვეთად, ან-ის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ჩვენი აზრით, გაუპატიურებისას ძალადობის შინაარსში იგულისხმება მხოლოდ ისეთი ფიზიკური ზემოქმედება დაზარალებულზე, რომელიც დათრგუნავს მის წინააღმდეგობას არ განახორციელონ მის მიმართ სქესობრივი კავშირი.

ამრიგად, გაუპატიურებისას ძალადობის შინაარსში იგულისხმება ისეთი ფიზიკური ძალადობა, რომელიც, თრგუნავს, დაზარალებულის წინააღმდეგობას, აყენებს მას უმწეო მდგომარეობაში და აადვილებს მასთან სქესობრივ კავშირს.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულება, რომ არსებობს ორი სახის ფიზიკური ძალადობა: 1) ზემოქმედება ადამიანის სხეულზე ან 2) ზემოქმედება ადამიანის შინაგან ორგანოებზე გარეგანი ქსოვილების დაუზიანებლად (მონამვლა, დათრობა და ა.შ.).

ჩვენი აზრით, მოცემული შეხედულება სამართლიანია. ამის თაობაზე საუბარი გვექნება ქვემოთ, როდესაც განვიხილავთ გაუპატიურების ჩადენის ხერხს – დაზარალებულის უმწეობას.

ძალადობის მუქარა გაუპატიურების ერთ-ერთ ხერხადაა გათვალისწინებული. სსკ-ის 151-ე მუხლი ითვალისწინებს მუქარის აღწერას, როგორც: „სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. თუ ასეთი ძალადობის მუქარას სუბიექტი მიმართავს უშუალოდ დაზარალებულის მიმართ ისე, რომ მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზანი არ გააჩნია, ქმედება კვალიფიცირდება კოდექსის 151-ე მუხლით.

ძალადობის მუქარა წარმოადგენს დაზარალებულის ფსიქიკაზე ისეთ აქტიურ ზემოქმედებას, რომლის მეშვეობითაც სუბიექტი თრგუნავს დაზარალებულის არსებული ან შესაძლო წინააღმდეგობის უნარს და სრულიად მორჩილი ხდება სუბიექტის ნება-სურვილისა.

ძალადობის მუქარაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დაზარალებულზე ფიზიკური ძალადობის გამოყენების დაპირება, თუ იგი უარს იტყვის დაემორჩილოს სუბიექტის მოთხოვნას.

იურიდიულ ლიტერატურაში მიდის დავა იმის თაობაზე, თუ როგორია სქესობრივი კავშირის დროს გამოყენებული მუქარის ფარგლები. ბ. ბლინდერის აზრით მუქარაში იგულისხმება ნებისმიერი ხასიათის მუქარა (Блиндер, 8). ამ პოზიციას იზიარებენ აგრეთვე სხვა მეცნიერებიც.

ამასთან, არ შეიძლება არ მივუთითოთ, რომ თუ სუბიექტი დაემუქრება დაზარალებულს, რომ თუ მასთან არ დაიჭერს სქესობრივ კავშირს, გაამჟღავნებს მის მიერ შევიღად აყვანის საიდუმლოებას, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 137-ე მუხლით. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული დაზარალებულმა შესწიროს საკუთარი სქესობრივი თავისუფლება არასრულწლოვნის ინტერესებს. ამიტომ არ მიგვაჩნია სწორად ის აზრი, რომ ქალს, რომელიც დათანხმდება მამაკაცთან სქესობრივ კავშირს გამანზილებელი ცნობების გახმაურების მუქარის გამო, დიდად არ უღირს საკუთარი სქესობრივი თავისუფლება“ (ИГНАТОВ, 20).

ძალადობის მუქარა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, იარაღის დემონსტრირებით და ა.შ.

დაზარალებულის არსებული ან შესაძლო წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებაა ისეთი ობიექტურად საკმაოდ შთამაგონებელი და რეალური მუქარა, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ განხორციელდეს ან შეიძლება ნამდვილად განხორციელდეს დროის მცირე მონაკვეთში.

მუქარის დროს დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს სხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობა, გარდა სუბიექტთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა.

„არის თუ არა მუქარა საკმაოდ რეალური – ეს ფაქტის საკითხია, – აღნიშნავდა ვ. მაყაშვილი, – და სასამართლომ იგი საქმის ყველა გარემოების შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს. სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუქარის გამოთქმის ფორმას, ვითარებას, რომელშიც იგი იყო გამოთქმული (მაგალითად, არ შეიძლება სერიოზულად ჩავთვალოთ მუქარა, მიმართული მთვრალი ადამიანისადმი მთვრალი ადამიანის მიერ, ან ხუმრობის ტონით გამოთქმული მუქარა და სხვა). სხვაგვარად უნდა შეფასდეს მუქარა, – აგრძელებს ვ. მაყაშვილი, – რომელიც გამოთქმული იყო შემთხვევით ნაკინკლავების შედეგად, და მუქარა, დაკავშირებული დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ხანგრძლივ მტრულ დამოკიდებულებასთან“ (მაყაშვილი, 165).

ამრიგად, ძალადობის გამოყენების მუქარა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გაუპატიურების ხერხად, როდესაც მისი მეშვეობით ხდება ქალის არსებული ან შესაძლო წინააღმდეგობის დაძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიყვანება სისრულეში დაუყოვნებლივ.

გაუპატიურებისას სქესობრივი კავშირის დაჭერის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს დაზარალებულის უმწეობის გამოყენება. ქალის უმწეობა შეიძლება გამოწვეული იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობით.

ფიზიკური მდგომარეობით უმწეობა გვაქვს მაშინ, როდესაც დაზარალებულს ან არ გააჩნია, ან შემცირებული აქვს ფიზიკური შესაძლებლობა გაუწიოს წინააღმდეგობა სუბიექტს. ფიზიკური უმწეობის მაგალითებია: დაზარალებულის დაღლილობა, ფიზიკური ნაკლი, ფიზიკური სისუსტე და სხვა.

ფსიქიკური მდგომარეობით უმწეობა გვაქვს მაშინ, როდესაც დაზარალებული ვერ აცნობიერებს, თუ რას სჩადის სუბიექტი მასთან და არ ძალუძს გაუწიოს მას წინააღმდეგობა.

კანონი მიუთითებს „დაზარალებულის უმწეობის გამოყენებაზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში იყო მანამ, სანამ მის მიმართ სუბიექტი დაიწყებდა გაუპატიურებას. „სიტყვები – გაუპატიურება უმწეობის გამოყენებით“ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, – წერს ო. გამყრელიძე, – როცა ეს უმწეობა დამნაშავეს კი არ გამოუწვევია, არამედ ქალი დამნაშავესაგან დამოუკიდებლად აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში და ეს დამნაშავემ გამოიყენა“ (სსსპკ, 16). ცხადია, მართალია ო. გამყრელიძე მოცემული საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ არ არის გამორიცხული სუბიექტმა ჩააყენოს უმწეო მდგომარეობაში დაზარალებული

და მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდეს სურვილი და განზრახვა გაუპატიურებისა. მაგალითად, ან-მა და ბან-მა ერთად დალიეს არაყი. ან-ი აძალებდა ბან-ს, რაც შეიძლება მეტი ალკოჰოლი მიე-ლო. როდესაც ბან-ს ჩაეძინა ძლიერი სიმთვრალის გამო, ან-მა სანოლზე დაანვინა იგი. რამოდენიმე ხანში მოუნდა მასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. განზრახვა მართლაც მოიყვანა სისრულეში.

ამრიგად, უმწეო მდგომარეობა არის დაზარალებულის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებისას მას არ შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს სუბიექტს ან გააცნობიეროს, რა ხდება მის მიმართ.

რაც შეეხება გაუპატიურების დამთავრებულად ცნობის მომენტის საკითხის დადგენას, მეცნიერები ამ საკითხს წყვეტენ სხვადასხვაგვარად. სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედება შეიძლება იყოს შედეგიანი ან შედეგგარეშე შემადგენლობის (წერეთელი, 56). შედეგიანი ქმედების შემადგენლობას მატერიალურს უწოდებენ, ხოლო შედეგგარეშეს – ფორმალურს. ქმედების მატერიალური შემადგენლობა გულისხმობს, რომ უნდა დადგეს კანონში აღნიშნული შედეგი. ფორმალური შემადგენლობისას რაიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის.

ზ. წულაია მიუთითებს, რომ ჩვენს მიერ განსახილველი ქმედების შემადგენლობა ფორმალურია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება თვით მოქმედების ჩადენისათვის (წულაია, 184). ნ. თოდუას აზრით, გაუპატიურება დამთავრებულად ჩაითვლება მაშინ, როცა დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას დაზარალებულთან. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიყვანს თუ არა ბოლომდე სქესობრივ აქტს (სსკნ, 137). ს. ნიკულინი დანაშაულს დამთავრებულად მიიჩნევს სქესობრივი კავშირის დაწყების მომენტიდან (P. y. II., 97). ო. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „გაუპატიურება რომ დამთავრებული იყოს, ქალთან დამყარებული უნდა იყოს „სქესობრივი კავშირი“ (სსსპკ, 33).

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენც გვაქვს მკვეთრად განსხვავებული შეხედულება. გაუპატიურების დისპოზიცია რაიმე შედეგის დადგომას არ მოითხოვს. სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ „...სქესობრივი შეუღლება არის სასქესო ასოს მოთავსება საშოში და სპერმის დანთხევა იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად ღრმად იქნება მოთავსებული იგი მასში“ (შანიძე, 360). აქედან გამომდინარე, სქესობრივი კავშირი დამთავრებულად ითვლება სქესობრივი კონტაქტის მომენტიდან, ე.ი. იმ მომენტიდან, როცა მამაკაცი სასქესო ასოს მოთავსებს ქალის საშოში. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად ღრმად არის იგი მოთავსებული მასში და ბიოლოგიური თვალსაზრისით იგი დამთავრდა თუ არა. არ არის გამორიცხული, რომ მამაკაცმა საერთოდ ვერ დაასრულოს ბიოლოგიური თვალსაზრისით სქესობრივი აქტი. გაუპატიურებისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ მომენტს, როდის შეწყვეტს სუბიექტი სქესობრივ კონტაქტს დაზარალებულთან.

ძალადობას, ძალადობის მუქარას ან უმწეო მდგომარეობას და სქესობრივ კავშირს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, ე.ი. ქალთან სქესობრივი კავშირი შეუძლებელი იქნებოდა ძალადობის, ძალადობის მუქარის ან უმწეო მდგომარეობის გამოყენების გარეშე.

გამოყენებული ლიტარეტურა:

1. გოთუა ზ., პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, თბილისი, 1994;
2. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბილისი, 1980;
3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2005;
4. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბილისი 2008;
5. შანიძე ვ., სასამართლო მედიცინა, თბილისი, 1970;
6. წულაია ზ., სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი), ტომი I, თბილისი, 2000;
7. Блиндер Б. Ответственность за изнасилование по советскому уголовному праву, Ташкент, 1966;
8. Гаухман А., Насилие, как средство совершения преступления, Москва, 1974;
9. Игнатов А. Квалификация половых преступлений, Москва, 1974;
10. Строгович М. С., избранные труды, Т. 3. Теория судебных доказательств, Москва, 1991;
11. Комментарий к уголовному кодексу РФ., Москва, 1998;
12. Российское уголовное право, особенная часть, Москва, 1998.

მალხაზ ლომსაძე

გაუპატიურების ობიექტური მხარე ევროპულ და ქართული კანონმდებლობის მიხედვით რეზიუმე

შედარებითი მეთოდის გამოყენებით ნაშრომში განხილულია გაუპატიურების შემადგენლობის ობიექტური მხარის ელემენტები, ევროპულ და ქართულ კანონმდებლობაში ასევე დასმულია მთელი რიგი საკითხები და დებულებები, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის დახვეწასა და ამ დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას.

ნაშრომი განკუთვნილია სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისათვის, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის სტუდენტებისათვის და ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია ამ დანაშაულის პრობლემებით.

Malkhaz Lomsadze

Objective Side of the Rape in the European and Georgian Legislation

Summary

The objective elements of the composition of rape is discussed in this article, a number of issues and provisions are raised, which contribute to the improvement of court practice and right qualification of this crime.

The work is foreseen for the scientists who work in the field of criminal justice, also for students of law faculty and for those who are interested in the problems of crime.

კვალიფიციური გაუპატიურების სახეები ეპროკულ და ქართულ კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში გადმოცემულია გაუპატიურების მარტივი სახე. ასეთ შემთხვევაში გაუპატიურების ჩადენა სრულად შეერაცხება სუბიექტს. ხოლო 137-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები ითვალისწინებენ გაუპატიურების კვალიფიციურ შემადგენლობას, რომლის ჩადენის დროსაც გაუპატიურება გაძლიერებულად შეერაცხება მის ჩამდენ პირს.

კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი, თუ გაუპატიურება ჩადენილია „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.“ „სამსახურებრივი მდგომარეობის“ ცნებაში იგულისმება სუბიექტის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, დანესებულებაში ან სანარმოში ასრულებს მოვალეობებს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების აქტების, ანუ განმკარგულებელი, ორგანიზაციურ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან. ასეთი სუბიექტი სჩადის რა გაუპატიურებას, ამით ზიანს აყენებს დაზარალებულის სქესობრივ თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას. თუ გავითვალისწინებთ „სამსახურებრივი მდგომარეობის“ სპეციფიკის თავისებურებებს, გაუპატიურება შესაძლოა სახეზე იყოს სხვადასხვა შემთხვევებში. მაგალითად, „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას“ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პატიმრობის ან მსჯავრდებულის ყოფნის ადგილას მყოფი პატიმრის ან მსჯავრდებულის მიმართ სქესობრივი კავშირის დამყარებაში ძალადობით, ძალადობის მუქარით ან უმწეობის გამოყენებით.

„სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“ გაუპატიურებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საავადმყოფოში, სახელდობრ, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისას. მაგალითად, მძიმე ავადმყოფი ყოველთვის იმყოფება უმწეო მდგომარეობაში. ეს ფაქტი შეიძლება გამოიყენოს ექიმმა და მასთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი. შესაძლებელია, რომ „...ექიმმა მასთან დახმარებისთვის მისული პაციენტის სხეულში შეიყვანოს ძლიერი დამაძინებელი წამალი და შემდეგ უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მასთან დაამყაროს სქესობრივი კავშირი“ (ავტ. კოლ., 2005, 150.).

კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იზრდება უმართლობის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერებული პასუხისმგებლობა გვექნება სახეზე, თუ გაუპატიურებას მოჰყვება „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი.“

როგორც ვიცით, ქმედების შემადგენლობის ნიშნები იყოფა აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად. აღწერილობითია ისეთი ნიშნები, რომლებიც ქმედების ფაქტობრივ მხარეს აღწერენ და შეიძლება აღქმულ იქნეს ადამიანის გრძნობების მეშვეობით. შეფასებითია ისეთი ნიშნები, რომლებიც „არ შეიძლება აღქმულ იქნენ ჩვენი გრძნობების მეშვეობით და რომელთა არსებობა

ბის დადგენა შეიძლება მხოლოდ ნორმის შემფარდებლის შეფასებითი მსჯელობის მეშვეობით“ (ნერეთელი, 113). აღწერილობით ნიშნებს ფაქტობრივ ნიშნებსაც უწოდებენ. შეფასებითი ნიშნები აღიქმება გონების თვალთ, ე.ი. აზროვნების გარკვეული ოპერაციის მეშვეობით.

გაუპატიურების შედეგად გამონვეული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აღწერილობით ნიშნებს მიეკუთვნება, ხოლო სხვა მძიმე შედეგი – შეფასებითს (ნორმატიულს). 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის არსებობის შემთხვევაში საქმე გვაქვს თანამდევით შედეგით კვალიფიცირებულ განზრახ დანაშაულთან. გაუპატიურებისას მძიმე დაზიანება უნდა მოჰყვეს სუბიექტის გაუფრთხილებელ მოქმედებას, ე.ი. განუზრახველ მოქმედებას. თუ რა ითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად ეს ნათლადაა ასახული კოდექსის 117-ე მუხლში. იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, გაუპატიურებას უნდა მოჰყვეს ერთ-ერთი შემდეგი შედეგი: ა.) მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა; ბ.) ფსიქიკური ავადმყოფობა; გ.) ორსულობის შეწყვეტა; დ.) სახის წარუშლელი დამახინჯება; ე.) საერთო შრომისუნარიანობის მყარი, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვა; ვ.) პროფესიული შრომისუნარიანობის სრული დაკარგვა.

გაუპატიურების სხვა მძიმე შედეგები შეფასებით ანუ ნორმატიულ ნიშანთა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან 137-ე მუხლი ზუსტად არ განსაზღვრავს, თუ როგორი შედეგი უნდა იქნეს მიჩნეული მძიმედ. ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შემფარდებელი ორგანოს კომპეტენციაში შედის. გ. ტყეშელიაძე წერს: „შემადგენლობის შეფასებითი ნიშნები ნაკლებად ზუსტნი, ნაკლებად განსაზღვრულნი არიან... ამ ნიშნების დადგენისას მოსამართლის თავისუფალ შეხედულებას ერთგვარი გასაქანი ეძლევა. ამიტომ კანონმდებელს ასეთი ნიშნები მხოლოდ მაშინ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში, როცა შემადგენლობის დახასიათება წმინდა აღწერილობითი ნიშნებით შეუძლებელია ან მეტად ძნელია“ (ნერეთელი, 114).

კანონმდებელი მაკვალიფიცირებულ გარემოებად მიიჩნევს „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას ან სხვა მძიმე შედეგს.“ ეს იმას ნიშნავს, რომ „სხვა მძიმე შედეგის“ შინაარსში არ შედის „ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების“ ცნების შინაარსში შემავალი შედეგები, ე.ი. ის შედეგები, რომელიც ჩამოთვლილია კოდექსის 117-ე მუხლის ნაწილში.

ი. იაკოვლევს მიაჩნია, რომ მძიმე შედეგები სუბიექტის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გაუპატიურების შემდეგაც (გოთუა, 81).

აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება ზ. გოთუა და წერს „გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამონვეული უნდა იქნეს ამ დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენლობაში შემავალი მოქმედებებით, ე.ი. დაზარალებულის წინააღმდეგობის დასათრგუნად გამოყენებული ძალადობით, ძალადობის მუქარით ანდა სქესობრივი აქტით; თუ განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა გაუპატიურების (ან მცდელობის) დამთავრების შემდეგ ჩადენილ მოქმედებებს, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა რეალური ერთობლიობის წესით: 137-ე მუხლის იმ ნაწილით, რომლითაც ფაქტიურად არის მოცული დამნაშავის მოქმედება და კოდექსის შესაბამისი მუხლით“ (გოთუა, 81).

ამ საკითხის გადაწყვეტაში ვერ დავეთანხმებით ზ. გოთუას. ჩვენი აზრით, “მძიმე შედეგი“ შეიძლება გამონვეული იყოს როგორც გაუპატიურების ობიექტური მხარის შემადგენლობაში შემავალი მოქმედებით, ისე სქესობრივი კავშირის დამთავრების შემდეგაც. ამ საკითხზე უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის ვ. მაყაშვილი. მისი აზრით, „მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქ-

ტი დანაშაულის რთულ შემადგენლობას წარმოადგენს. იგი გულისხმობს დანაშაულის ძირითად შემადგენლობას და დამატებით – მძიმე შედეგს, რომელიც შესაბამის კანონში კონკრეტულად განსაზღვრულია (მაგალითად, ადამიანის სიკვდილი), ან განსაზღვრულია (მძიმე შედეგი).

ძირითად დელიქტსა და მძიმე შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს. მაგალითად, ქალის თვითმკვლელობა გამონვეული უნდა იყოს მისი გაუპატიურებით“... (სსსკკ, 78).

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც გაუპატიურება წარმოადგენს სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ეს შედეგი არ განხორციელდებოდა.

ამიტომ, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, საჭიროა დადგინდეს, რომ სწორედ გაუპატიურება იყო მიზეზი დაზარალებულის თვითმკვლელობისა და არა სხვა რამ.

კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი და შესაბამისად გაძლიერდება პასუხისმგებლობა, თუ გაუპატიურება ჩადენილია არაერთგზის.

არაერთგზისი დანაშაული გულისხმობს წინათ გაუპატიურებისათვის ნასამართლევ პირის მიერ გაუპატიურების ჩადენას.

გაუპატიურებისას არაერთგზისობა მხოლოდ მაშინაა მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როცა სუბიექტს მანამდე აქვს ჩადენილი ერთი ან რამდენიმე გაუპატიურება და ნასამართლევ იყო მათი ჩადენისათვის. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს სუბიექტს წინათ ჩადენილი დანაშაულის გამო რა სახის სასჯელი ჰქონდა დანიშნული ან იხდის თუ არა იგი სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

კოდექსის 137-ე მუხლში არ არის საუბარი ისეთ შემთხვევებზე, როცა პირს განმეორებით აქვს ჩადენილი გაუპატიურება და წინათ ჩადენილი გაუპატიურებისათვის ნასამართლევ არ ყოფილა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ო. გამყრელიძის მსჯელობა. „ამ ახალი რედაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, - აღნიშნავს ო. გამყრელიძე, - როცა წინა გაუპატიურებისათვის ქმედების ჩამდენი ნასამართლევ არ არის, მეორე გაუპატიურება 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უნდა დაკვალიფიცირდეს. ხოლო ის გარემოება, რომ მან განმეორებით ჩაიდინა გაუპატიურება, ნასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის დროს და დაამძიმოს პასუხისმგებლობა“ (ავტ. კოლ., 21).

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენც გვაქვს გარკვეული მოსაზრება, რომელზეც კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული დამამძიმებელი გარემოების განვიხილვისას ვისაუბრებთ.

კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იზრდება ბრალის ხარისხი და გაძლიერებულ შერაცხვასთან გვაქვს საქმე, თუ პირს გაუპატიურების ჩადენამდე ადრე ჩადენილი ჰქონდა კოდექსის 138-ე – 141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. სახელდობრ, სექსუალურ ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი 138), სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (მუხლი 139), სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (მუხლი 140) და გარყვნილი ქმედება (მუხლი 141).

Алгоритм профессионального действия является логическим завершением дидактической модели подготовки специалиста на основе единого дидактического алгоритма. Предполагается, что практические профессиональные действия выпускника по этому алгоритму будут отрабатываться систематически в специально определенной последовательности, а именно:

- в процессе изучения каждой учебной дисциплины;
- на каждом курсе в соответствии с задачами формирования уровней профессиональной (профессиональной) готовности в зависимости от занимаемой должности;
- при прохождении практик и стажировок;

Конечной целью применения алгоритма профессионального действия является получение практического результата и его дальнейшее внедрение на практике. Алгоритм профессионального действия является логическим продолжением алгоритма ее проектирования.


Научить специалиста профессионально действовать – задача первостепенной важности, особенно, когда это касается правоохранительной деятельности, то есть конкретной работы с конкретным лицом как субъектом права. Поэтому важно, чтобы в течение всего процесса специалист удерживал в поле своего профессионального внимания предмет своего действия, наблюдал за изменениями, которые будут происходить с предметом, удерживал его в правовом поле, не предполагал прецедента возникновения критического состояния, что может угрожать получением негативных и даже деструктивных результатов.

Предметом профессиональной деятельности является сама уголовно-исполнительная служба как система с целым комплексом логично и закономерно связанных и взаимообусловленных задач. Если курсант будет формировать проект конкретного профессионального действия, тогда будет совершенно и закономерно мотивированной потребность в овладении необходимой и достаточной информацией. То есть, становится вполне понятным, что нужно учить и в какой последовательности. Не будет возникать тривиального вопроса «А для чего мы это все учим?».


Важным фактором в формировании профессиональной модели является соблюдение принципа дидактической и профессиональной адекватности результатов обучения на каждом его этапе. Рассматриваемая в данной статье единая дидактическая модель должна обеспечивать формирование основных учебных продуктов на таком уровне их профессиональной пригодности, на котором требования к профессионализму специалиста на каждом этапе его подготовки будут полностью сформированными, четко определенными и понятными.

Предполагаем, что результатом внедрения в учебный процесс этого дидактического алгоритма будет новая дидактическая модель подготовки пенитенциария, с помощью которой мы получим специалиста, способного продуктивно выполнять свои служебные обязанности на основе уверенного владения алгоритмом профессионального мышления, алгоритмом проектирования профессиональной деятельности и алгоритмом ее практического осуществления.


СТРУКТУРА ДИДАКТИЧЕСКОГО АЛГОРИТМА



СТРУКТУРА АЛГОРИТМА ПРОЕКТИРОВАНИЯ ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ДЕЙСТВИЯ



СТРУКТУРА АЛГОРИТМА РЕАЛИЗАЦИИ ПРОЕКТА ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ДЕЙСТВИЯ



Литература:

1. Концепция государственной политики в сфере реформирования Государственной уголовно-исполнительной службы Украины [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://zakon4.rada.gov.ua/laws/show/631/201#n9>.
2. Государственная целевая программа реформирования Государственной уголовно-исполнительной службы на 2013-2017 год [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://zakon4.rada.gov.ua/laws/show/631/201#n9>.
3. Сотниченко В.М. Оновлення парадигми професійної освіти у правоохоронній діяльності/В.М. Сотниченко//Інноваційні технології підготовки правоохоронців: матеріали наук.-метод. Конф. (Київ, 22 квіт. 2011 р.) – К.: Нац.акад.внутр.справ, 2011.

ვლადიმერ სოტნიჩენკო

პროფესიონალური მოდელის ფორმირება უკრაინის სახელმწიფო პენიტენციური სამსახურისათვის სასწავლო პროცესში დიდაქტიკური ალგორითმების დანერგვის საფუძველზე რეზიუმე

თანამედროვე უკრაინა სამართლის სისტემის სრულყოფის პროცესშია, რაც გაართულა უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, როგორც ცნობილია ქვეყნის ტერიტორიული მონყობის სფეროში მომხდარი მოვლენები მთლიანად ცვლის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სამართლებრივ სივრცესაც.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის იურიდიულ აზროვნებას დიდი ძალისხმევა სჭირდება შეინარჩუნოს ტრადიციები და სამართლის ცალკეული ინსტიტუტები ჩადგეს ქვეყნის რეალურ სამსახურში, მათ შორის პენიტენციური სისტემა. ამ პროცესში დიდია კადრების მომზადება და მათი სწავლება.

Vladimer Sotnichenko

Formation Of The Professional Model For The Ukraine Penitential Service On The Base Of The Didactic Algorithms' Implementation

Summary

The contemporary Ukraine is in the process of the legal system improvement that is complicated by the latest events of the country. As far as we know, the events having taken place in the sphere of the country's territorial arrangement completely change not only the political but also the legal space as well.

Based on it the juridical thinking needs enormous effort to maintain and strengthen the traditions and make the particular institutions to serve the country, including the penitential system. In this process the personnel preparation and its training actively takes place.

ფილოსოფიური და ზოგადი მეცნიერული მეთოდების გამოყენების თავისებურებანი ევროპულ კრიმინალისტიკაში

ევროპული კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია არა მხოლოდ განაპირობებს კრიმინალისტიკური კვლევის მიდგომას და მსოფლმხედველურ პრინციპებს, არამედ განსაზღვრავს კვლევის საერთო მიმართულებას, კრიმინალისტიკურ საშუალებათა არჩევანის კრიტერიუმებს და მათი გამოყენების შედეგების შეფასებას. ფილოსოფიური დეტერმინიზმი საიმედოდ იცავს კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიურ სისტემას ფსევდომეცნიერული ხერხებისაგან, რომლებიც დაფუძნებულია ცრურწმენაზე, მისტიკაზე და ა.შ., რასაც წარმატებით იყენებენ ევროპული ქვეყნების კრიმინალისტიკური სკოლების წამყვანი მეცნიერები, მათი აზრით, ნებისმიერი მეცნიერება, იქნება ის საზოგადოებრივი თუ საბუნებისმეტყველო, აყალიბებს კვლევის საკუთარ მეთოდებს. ამ მხრივ არც კრიმინალისტიკაა გამონაკლისი, იგი აქტიურად იყენებს ზოგადმეცნიერულ და ზოგადფილოსოფიურ მეთოდებსაც. ფილოსოფიაში გნოსეოლოგია ათავისუფლებს კრიმინალისტს სუბიექტივიზმისგან ფაქტების კვლევისა და შეფასების დროს, ავალდებულებს მკვლევარს გამოავლინოს სინამდვილის ობიექტური კავშირები და გადაწყვეტილების მიღებისას დაემყაროს მხოლოდ უტყუარ, მეცნიერულად დადგენილ ფაქტებს (ციპელიუსი, 19). რადგანაც კრიმინალისტიკური პრობლემების მეთოდოლოგიური განსჯა ბადებს კითხვას, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტა, ამისათვის უნდა ვეძიოთ ფართო ინტერსუბიექტური საფუძველი, კერძოდ უმრავლესობის სამართლიანობის შეგრძნებაში (ლობჟანიძე, 12).

დიალექტიკა წარმოადგენს შინაარსობრივი კრიმინალისტიკური აზროვნების რეალურ ლოგიკას, აყალიბებს შემეცნებითი პროცესის ზოგად კანონებს, რომლებიც ასახავენ თვით სინამდვილის ობიექტურ შინაარსს, რაც ავალდებულებს დაინტერესებულ პირთ, განიხილონ კრიმინალისტიკური შემეცნების ობიექტები მისი სტრუქტურის ელემენტების ურთიერთქმედების განვითარების ჭრილში. მისი ძირითადი ამოცანაა ერთიანობის დადგენა წინააღმდეგობრივ მოვლენებში. ამასთან ეს ურთიერთობა უნდა ატარებდეს რეალურად გენეტიკურ ხასიოს (ლობჟანიძე, 322). იურისტისათვის ასეთი მიდგომა სასურველია, ხოლო კრიმინალისტიკაში კი აუცილებელი.

კრიმინალისტიკის საინფორმაციო შემეცნებითი საქმიანობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ზოგადმეცნიერულ მეთოდებს, ანუ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ლოგიკაში, ფსიქოლოგიაში, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური ჰუმანიტარული ციკლების სხვა მეცნიერებებში. ამასთან კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური ამოცანები და ობიექტები მოითხოვენ მათ შეწყობას და განაპირობებენ რეალიზაციის სპეციფიკას და ფორმებს კრიმინალისტიკურ კვლევებში, რაც კარგადაა დამუშავებული ევროპულ კრიმინალისტიკაში.

რადგანაც კრიმინალისტიკის ძირითად ობიექტებს წარმოადგენს ადამიანის საქმიანობა, მეთოდოლოგიაში მნიშვნელობას იძენს საქმიანობითი, სისტემურ-სტრუქტურული და ალბა-

თობით-სტატისტიკური მიდგომები. ამ მიდგომების გამოყენება მათ ორგანულ ერთობლიობაში იძლევა საშუალებას, გამოყოფილი იქნას დანაშაულებრივ ქმედებაში უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტები. დადგენითი – სამოტივაციო ბლოკი – პროგრამულ-მმართველობითი ბლოკი – გარე ოპერირების ბლოკი – უკუ აფერენტაციისა და მოქმედების აქცეპტორის ბლოკი – საქმიანობის შედეგი; თვალყური ედევნოს მათ ურთიერთმოქმედებას და ასახვითი, მიზეზობრივი და საინფორმაციო კავშირების განვითარებას; გამოავლინოს მოქმედების ელემენტების მტკიცე და კანონზომიერი კავშირები, აგებული იქნას ამ საფუძველზე დანაშაულებრივი მოქმედების ტიპობრივი საინფორმაციო მოდელი; შემუშავდეს გამოძიების ვერსიები და ტიპობრივი საგამოძიები სიტუაციების ამოხსნის რეკომენდაციები, ანუ ტიპობრივი კრიმინალისტიკური მეთოდიკა. კრიმინალისტიკაში ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, საინტერესოა, თუ რა საშუალებებით ხორციელდება ამ ფაქტების წარმოდგენა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის პროცესში (ციპელიუსი, 120).

კრიმინალისტიკის პრაქტიკულ საქმიანობაში აღნიშნული მეთოდები ამსუბუქებენ გამოსაძიებელი მოვლენების ინტეგრალური, ზოგადი და კერძო ვერსიების და საინფორმაციო მოდელების აგებას, და აგრეთვე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გეგმების აგებას და კორექტირებას.

კრიმინალისტიკის შემეცნებით საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია ისეთ ზოგადსამეცნიერო მეთოდებს, როგორცაა დედუქცია, ინდუქცია, ანალოგია, ანალიზი და სინთეზი.

გამოძიების დედუქციური გზა ჭარბობს იმ შემთხვევაში, როდესაც კრიმინალისტიკური ეყრდნობა ობიექტის მოძრაობის მისთვის ცნობილ კანონზომიერებებს, ხოლო კონკრეტული საქმის ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც დადგენილია გამოძიებით, გამოიყენებს, როგორც სილოგიზმის, მცირე პირობებს. ამ გზის რეალიზება ხდება კრიმინალისტიკური ამოცანების ამოხსნის ნებისმიერი ტიპობრივი მეთოდიკის გამოყენებისას, რადგანაც ყველა მათგანი დაფუძნებულია ობიექტის კანონზომიერი კავშირების ცოდნაზე. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია იმ დანაშაულების გამოძიებისას, რომელიც ჩადენილია ტიპობრივი, განმეორებითი ხერხებით. ასე, მკვლევარების გამოძიებისას, რომლებსაც თან ერთვის გვამის დანაწევრება, გამოძიების ტიპობრივი სქემა გამომდინარეობს მსხვერპლისა და დამნაშავეს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობებიდან. ისინი ლოგიკურად გამომდინარეობენ იმ პირობებიდან და გარემოებიდან, რომლებიც აუცილებელია გვამის დანაწევრებისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულის გახსნის გასაღებს წარმოადგენს დაზარალებულის პიროვნების იდენტიფიკაცია. ამ პირობებზეა აგებული დანაშაულის მოცემული კატეგორიის გამოძიების მთელი მეთოდიკა.

გამოძიების ინდუქციური გზა ჭარბობს იმ შემთხვევაში, სადაც ინფორმაცია საქმის გარემოებების შესახებ არ არსებობს ან საკმაოდ შეზღუდულია. ამ შემთხვევაში კრიმინალისტიკა აგებს მოვლენის მოდელს და ვერსიას მისი ცალკეული ფრაგმენტების მიხედვით დადგენილი ფაქტების მრავალმნიშვნელობის და განუსაზღვრელობის პირობებში. ასეთი, გამოსაძიებლად მეტად რთული შემთხვევები მოითხოვენ ევრისტიკული მეთოდების გამოყენებას, რომელიც ეფუძნება გამომძიებლის ინდივიდუალურ გამოძიებას, ერუდიციას და ინტუიციას, პრაქტიკის განზოგადების გამოყენებას, კრიმინალისტიკაში შემუშავებულ მოდელირების ხერხებს და მიზეზობრიობის კვლევის მეთოდებს. აღნიშნული მეთოდების გამოყენების მაგალითად შეგვიძლია ავიღოთ სამძებრო პრაქტიკაში გავრცელებული დამნაშავეს საინფორმაციო პორ-

ტრეტის (გენოტიპის) აგება. ის იგება დამნაშავის ქცევის, დანაშაულებრივი ქმედების ხერხების შესწავლის საფუძველზე, და მის მიერ დატოვებული კვალის მთელ ერთობლიობაზე. ამ მეთოდის რეალიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საძიებო, საგამოძიებო და მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას, რაც იძლევა მოცემული ამოცანის ამოხსნის საშუალებას. კრიმინალისტი ხშირად აყენებს რამდენიმე ჰიპოთეზას, ე.ი. მოვლენათა შესაძლო განვითარებათა რამდენიმე მოდელს, რომელთათვისაც ხდება უკვე ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების მიკუთვნება გამოცდილებით წესების მიხედვით (მაგ. შესაძლებელია, რომ ფ-მ თვითონ კი არ ესროდა, არამედ მას პისტოლეტი ამ ქმედების ჩასადენად მოპარეს და შემდეგ ისევ იქ დადეს, საიდანაც აიღეს.) ამ შემთხვევაში, მიზანს წარმოადგენს დამატებითი მონაცემების მოპოვება, რომლებიც რომელიმე ჰიპოთეზას უარყოფენ ან დაადასტურებენ, ვიდრე საბოლოოდ მხოლოდ ერთი ჰიპოთეზა არ დარჩება, რომელიც როგორც შემთხვევის დადგენის ერთადერთი შესაძლო მოდელი, გამოცდილების კანონებზე დაფუძნებულ ურთიერთკავშირს დაამყარებს დადგენილ ფაქტებს შორის (ციპელიუსი, 120).

ინდუქცია და ანალოგია დედუქციისგან განსხვავებით წარმოადგენენ აზროვნების გზას კერძოდან კერძომდე. გაერთიანებული შედარებასთან და გაიგივებასთან, დასკვნის ეს ტიპები იკავებენ შესამჩნევ ადგილს კრიმინალისტიკის შემეცნებით საქმიანობაში.

სისხლის სამართლის რეგისტრაციისა და კრიმინალისტიკური აღრიცხვის ყველა სისტემა აგებულია ერთ ჯგუფში რომელიმე სისტემის მიხედვით, მსგავსი ან ერთგვარი ობიექტების თვისებების გაერთიანების პრინციპით. ასე, მაგალითად: რეგისტრაციის სისტემა და გამოძიების სისტემა დანაშაულებრივი ქმედების ხერხის თვისებების მიხედვით აგებულია გამოსაძიებელი დანაშაულის ადრე ჩადენილ დანაშაულთან შედარების პრინციპით. ამასთან ერთად, განსაზღვრულ პირობებში შეიძლება იქნას გაკეთებული დასკვნა დანაშაულის ერთი პირის ან პირთა ერთი ჯგუფის მიერ ჩადენის შესახებ. კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის ტიპობრივი შემთხვევა წარმოადგენს უცნობი ობიექტის, რომელიც დაკავშირებულია გამოსაძიებ მოვლენასთან (საძიებო) და გამომძიებლისთვის (სასამართლოსთვის) ცნობილი ობიექტის (სავარაუდოდ საძიებო) შედარებას. თუ იდენტიფიკაციის მეშვეობით ხერხდება, უტყუარად დამტკიცდეს ამ ობიექტების იგივეობა, მაშინ ტრადიციის წესების თანახმად წარმოიშობა ლოგიკური საფუძველი, რათა გადატანილი იქნას საძიებო ობიექტის ყველა თვისება, განსაზღვრა და კავშირი შესამოწმებელ ობიექტებზე, ანუ, მაგალითად, იმის დამტკიცება, რომ დაკავებული არის დამნაშავე.

აქედან გამომდინარე, ოპერ-სამძებრო მოქმედების ნებისმიერი შემთხვევა უნდა დასრულდეს აღმოჩენილი ან დაკავებული სუბიექტის უტყუარი იდენტიფიკაციით, რის გარეშეც შეუძლებელია დარწმუნებული იყო ოპერსამძებრო საქმიანობის შედეგების უტყუარობაში.

ანალიზი და სინთეზი არის ნებისმიერი თეორიული ან პრაქტიკული ობიექტური კვლევის ფუნდამენტალური ხერხები, იქნება ეს ადამიანი, საგანი, რთული მატერიალური კომპლექსი თუ საქმიანობის სისტემა. ანალიზი გამოიხატება იმაში, რომ ობიექტი აზრობრივად იყოფა შემადგენელ ელემენტებად, რომელთაგანაც თითოეული იკვლევა ცალკე იმისათვის, რათა შემდეგ შევაერთოთ ისინი სინთეზის მეშვეობით ერთ მთლიანობაში და ამდაგვარად გავაგვიანოთ მათი კავშირები და დამოკიდებულებები. ახალი ცოდნა, ანალიზი უზრუნველყოფს კვლევის სისრულეს და ყოველმხრივობას. ნებისმიერი კრიმინალისტიკური კვლევის სტრუქ-

ტურაში გამოიყოფა ანალიტიკური სტადია, რომელიც შედგება აზრის მოძრაობაში ობიექტის საერთო თვისებებიდან ობიექტის კერძო თვისებებამდე. ამასთან, ანალიზის სირთულე მიიღწევა გამოსაძიებელი ობიექტის ნიშანთვისებების დეტალიზაციის ისეთი დონით, რომელზეც ყოველი მათგანი წარმოადგენს ელემენტარულს, ანუ დაუნაწილებელს სხვა უფრო კერძო ელემენტებზე. ამ მოთხოვნის რეალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიკრონაწილების, მიკროობიექტების, მოკლე ტესტების, ხელმოწერების და სხვა მცირე ინფორმაციული ობიექტების გამოკვლევისას და კრიმინალისტიკური ინფორმაციის საერთო დეფიციტის დროს.

ანალიზისა და სინთეზის ინსტრუმენტებს, ასევე სისტემურ – სტრუქტურულ მიდგომას წარმოადგენენ ზოგადმეცნიერული და კრიმინალისტიკური კლასიფიკაციები, ასე რთული ობიექტების კრიმინალისტიკურ კლასიფიკაციას (ხელწერა, წერილები, ადამიანის გარეგნობა, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, სატრანსპორტო საშუალება და სხვა) წარმატებით გამოიყენება აღნიშნული ობიექტების ანალიზის, აღწერის, თვისებათა შეფასების მიზნით მათი დიაგნოსტიკისა და იდენტიფიკაციისათვის. ანალიზი და სინთეზი წარმოადგენს კრიმინალისტიკური საინფორმაციო და მტკიცებულებითი სისტემების აგების ფუნდამენტალურ ხერხებს. ობიექტის ცალკეული თვისების დადგენა არის მისი თვისებების განზოგადების (სინთეზი) შედეგი. მტკიცებულებითი ფაქტის (მოვლენის გარემოების) დადგენა არის შედეგი იმ მტკიცებულებათა სინთეზის, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ. მთავარი ფაქტისა და მტკიცებულებითი ინფორმაციის მთელი შეგროვილი სისტემის სინთეზი.

მატერიალური ობიექტების კრიმინალისტიკური კვლევისას არსებით როლს თამაშობს დაკვირვების, გაზომვის, აღწერის და ექსპერიმენტის ზოგადმეცნიერული მეთოდების სისტემა, რომელსაც შეესაბამება პროცესუალურ-საგამოძიებო მოქმედებების და კრიმინალისტიკური მეთოდების ადეკვატურ სისტემას. ასე, მაგალითად, დაკვირვების ზოგადმეცნიერულ მეთოდს შეესაბამება პროცესუალურ-საგამოძიებო კომპლექსი: საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო დათვალიერება, დოკუმენტების და ნივთმტკიცებების წინასწარი კვლევა, შემოწმება. შემეცნების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით კრიმინალისტიკის სფეროში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოდელირებისა და ანალოგიების მეთოდებს.

როცა საკითხი ეხება მოდელირებას, იგულისხმება მოდელისა და ნამდვილის თანაფარდობა გარკვეული მახასიათებლის შეთანადებით. ასევე ანალოგიების გამოყენების მეთოდოლოგიაშიც, რასაც კარგად იყენებს ევროპული კრიმინალისტიკა, რადგანაც მოდელირება შესაძლებლობას იძლევა რეალური მოვლენები შესწავლილ იქნას შედარებით მარტივი და იაფი მასალების საფუძველზე (კოსტავა, 101).

აღწერისა და გაზომვის მეთოდებს შეესაბამება დოკუმენტის მეთოდები, შეერთებული კრიმინალისტიკური ინფორმაციის ტექნიკურ საშუალებებთან. ექსპერიმენტის ზოგადმეცნიერო მეთოდს შეესაბამება საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო ექსპერიმენტის ტაქტიკა და ტექნიკა. ამასთან, პროცესუალურ – საგამოძიებო მოქმედების საინფორმაციო – შემეცნებითი სტრუქტურა და კრიმინალისტიკური ხერხები უნდა შეესაბამებოდეს ზოგადმეცნიერული მეთოდის მოთხოვნებს.

კრიმინალისტიკური ხერხების შესაბამისობა ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან აქცევს მათ საიმედო და ეფექტურ საშუალებად სასამართლო მტკიცებულებათა მისაღებად. ამ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კრიმინალისტიკურმა ინფორმა-

ციამ შეიძლება დაკარგოს თავისი მტკიცებულობითი მნიშვნელობა. დათვალიერებისა და ოქმის შედგენის დროს მიზანმიმართულებისა და გეგმაზომიერების მოთხოვნების დარღვევას მიყვევართ იქამდე, რომ ერთის მხრივ, საგამოძიებო მოქმედებების ოქმები გადატვირთულია ინფორმაციით, რომელიც არანაირ კავშირში არაა საქმესთან, ხოლო მეორეს მხრივ – საქმიდან ქრება კვალი, საგნები, დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან მტკიცებულებით ინფორმაციას.

აღნიშნულ მეთოდურ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად საგამოძიებო მოქმედება და ინფორმაციის ფიქსაცია უნდა ხორციელდებოდეს გამოსაძიებელი მოვლენების ყველა რეალურად შესაძლო ვერსიების გათვალისწინებით, რომელიც თამაშობს ფილტრის როლს რელევანტური ინფორმაციის შერჩევასა.

ლატენტური, უხილავი და განზრახ დაფარული კვალისა და მიკროობიექტების გამოვლენა ხორციელდება ინსტრუმენტალური საშუალებების გამოყენებით რთული დათვალიერების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, რომელიც აფართოებს უშუალო ათვისების საშუალებებს; როგორცაა: ლუპა, მიკროსკოპი, განათების სპეციალური ხელსაქნყო, ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქმნელი, ლითონების დეტექტორი და სხვა. რთულ დათვალიერებაში ხელსაწყოები არიან როგორც ადამიანის გრძნობის ორგანოების გაგრძელება, მაგრამ ეს არ უარყოფს დაკვირვების უშუალობის პრინციპს. ნებისმიერი ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება დათვალიერების, ჩხრეკის, ექსპერიმენტის დროს, წარმოადგენს ინფორმაციის გარდაქმნის არხს. ამიტომ, ხელსაწყოს ჩვენება უნდა იყოს უშუალოდ ათვისებული, დაფიქსირებული და სათანადოდ შეფასებული.

ასეთი შეფასებისას ითვალისწინებენ სიგნალის გარდაქმნილ ფიზიკურ მექანიზმს (ფერთადაყოფა, ლუმინესცენცია, ქიმიური რეაქცია და ა.შ.) ხელსაწყოს მგრძნობიარობა და სინჯის სპეციფიურობა. ხელსაწყოს ფიზიკური ეფექტი (მოქმედების პრინციპი) გათვალისწინებული უნდა იყოს უკვე ტექნიკური საშუალების არჩევის სტადიაში, მაგალითად, ლითონმაძიებელი, ლითონის საგნების საძებნად).

ხელსაწყოს მგრძნობიარობა, მაგალითად, მიკროსკოპში გადიდების დონე, აირჩევა იმ გაანგარიშებით, რომ გამოვლინდეს სასარგებლო სიგნალი, მაგალითად, კვალის წარმომშობი ობიექტის რელიეფის თავისებურებანი, დახშობის ფონზე. ამასთან ერთად მაქსიმალური მგრძნობიარობა ყოველთვის არ არის ოპტიმალური. მთელი რიგი ფიზიკურ – ქიმიური სინჯებისა და რეაქციების, რომლებიც გამოიყენება რთული დათვალიერების დროს, არ იძლევა ერთმნიშვნელოვან შედეგს, ამიტომაც უნდა შეფასდნენ როგორც წინასწარი ასე, სხვაობა ლუმინისცენციის ინტენსიურობაში ყოველთვის არ მიუთითებს შესაძარბელი ობიექტების ქიმიური შემადგენლობის სხვაობაზე, წყალბადის ზეჟანგზე დადებითი რეაქცია (აქაფება) არ არის უდავო მტკიცებულება იმისა, რომ სინჯი არის სისხლი და ა.შ.

კრიმინალისტიკური საქმიანობის აქტიურობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ექსპერიმენტის მეთოდების გამოყენება, რომლის დროსაც შემეცნების ობიექტები იკვლევა კონტროლირებად და მართვად პირობებში. ექსპერიმენტის ცნების ქვეშ, უმრავლეს შემთხვევაში მოიაზრება პირობათა რაიმე კომპლექსი, რომლის რეალიზაციის დროს მოვლენათა სიმძლავრისაგან შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს რაიმე მოვლენაში. ასეთი სახის ამოცანების გადანყვეტისას გამოიყენება სტატისტიკისა და ალბათობის თეორიები.

ეს იძლევა საშუალებას გამოვლინდეს გამოძიებისთვის ობიექტის არსებითი თვისებები და თვალყური ედევნოს მის ქცევას ისეთ პირობებში, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული გამოსაძიებელ მოვლენების პირობებთან. უკანასკნელი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან დანაშაული ყოველთვის წარმოადგენს ექსპერიმენტალურ სიტუაციას, კრიმინალისტს კი არასდროს აქვს მისი უშუალოდ ხილვის საშუალება. ამასთან დაკავშირებით ექსპერიმენტი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, რათა შემონახული იქნას კრიმინალისტის მიერ აგებული გამოსაძიებელი მოვლენის კონცეპტუალური მოდელი. პრაქტიკულად ექსპერიმენტის მეთოდების რეალიზება ხდება როგორც ცალკეული სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებების ფორმით, ასევე ექსპერიმენტალური მოქმედებების ფორმით სხვა საგამოძიებო ქმედებების ჩატარებისას და აგრეთვე, ე.წ. აზრობრივი ექსპერიმენტის ფორმით, მაგალითად, როდესაც გამომძიებელი ადარებს ერთმანეთს დამნაშავის მოქმედების სავარაუდო ვარიანტებს და კვალის რეალობას და შემთხვევის ადგილის სხვა გარემოებას.

საყოველთაოდ ცნობილია შედარების, როგორც მეცნიერული და პრაქტიკული შემეცნების მნიშვნელოვნობა. კრიმინალისტიკა ემსახურება სამართლებრივი შედეგების დადგომას, რასაც განაპირობებს შედარებითი მეთოდით მასალის გაანალიზება, ასე მაგ. შეიძლება განსაზღვრული დანაშაულების მიმართ გამოყენებული მეთოდებით მოპოვებული მტკიცებულებანი, შეფასებული ისეთი ნიშნებით, რომლებიც მნიშვნელოვანია სასჯელის შეფარდებისთვის.

ამასთან ერთად კრიმინალისტიკურ მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობაში ამ ხერხის გამოყენების ფორმებს აქვთ გამოსატყუი სპეციფიკა, რომელიც განპირობებულია კვლევის ამოცანებით და მეთოდის უშუალო ფუნქციით. ამ ამოცანათა რიგში უნდა აღვნიშნოთ ამოცნობა, კლასიფიკაცია, ინდიფიკაცია, ცნობა, ობიექტის შესაბამისობის დადგენა განსაზღვრულ ნორმატიულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებებთან. შედარებითი მეთოდის საფუძველზე ზუსტდება კრიმინალისტიკაში შემავალი ინსტრუქციების ქმედუნარიანობა, როგორც სჩანს, შედარებითი სამართალი არა მხოლოდ მეთოდოლოგიაა, არამედ მეცნიერებაა მისი მეთოდოლოგიური შინაარსის გათვალისწინებით (ცაპელიუსი, 143). პირველად შეხება უცნობ ობიექტთან ან მოვლენასთან ნებისმიერ სიტუაციაში შედგება მისი წარმოშობისა და დანიშნულების ბუნების გამოცნობაში. მკვლევარისთვის ხელმისაწვდომი ობიექტის ნიშანთვისებების გამოცნობისას მნიშვნელოვანია აქვს საქმის გარემოებებს, მისი აღმოჩენისა და ფუნქციონირების სიტუაციას. გამოცნობის მიზანი მდგომარეობს საქმის გარემოებებში ობიექტის ორიენტირებაში. მოცემული სიტუაციისადმი მისი შესაბამისობის განსაზღვრა შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი კრიმინალისტიკური კვლევის გარკვეულ სტადიებზე, მაგალითად სატრანსპორტო საშუალების პროტექტორის, აგრეთვე დანაშაულის ადგილას დატოვებული ტანსაცმლის კვალის გამოცნობა. მაგრამ მომავალში შეიძლება აუცილებელი გახდეს ასეთი ობიექტების უფრო დეტალური კვლევა, დაკავშირებული მათ კლასიფიკაციასა და იდენტიფიკაციასთან.

კლასიფიკაცია წარმოადგენს რამდენიმე სახის საგნების განაწილებას კლასებად მეტად არსებითი მნიშვნელობების გათვალისწინებით, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული სახის საგნებისთვის და რომლის მეშვეობითაც ისინი განსხვავდებიან სხვა სახის საგნებისგან. ამასთან, ყოველი კლასი იკავებს მიღებულ სისტემაში მუდმივ ადგილს და იყოფა ქვეკლასებად. კლასიფიკაციის დროს საგნები უშუალოდ ათვისებული და დადგენილი, ანალიტიკური მეთოდ-

დების მეშვეობით ლაგდება, ობიექტის ნიშანთვისებები ედრება გარკვეული სახის ობიექტის ნიშანთვისებებს, რომელიც წინასწარ დეტალურად არის შესწავლილი, სისტემატიზებული და მოყვანილია ისეთ სისტემაში, რომელიც აადვილებს კლასიფიცირებული ობიექტების ძიებას. კლასიფიკაციური სისტემის (ტაქსონის) ძირითადი რგოლის მოსაძებნად გამოიყენება კარტოტეკები, ცნობარები და კომპიუტერული საინფორმაციო-საძიებო სისტემები.

გამოსაკვლევი ობიექტის კლასის განსაზღვრა შეავსებს ობიექტის შესახებ ცოდნას, რომელიც არ შეიძლება მიღებული იქნას მისი უშუალო ათვისების გზით. ამასთან ერთად კლასიფიკაციური თვისებები საშუალებას იძლევა გააცალკევოს ობიექტი სხვა ობიექტებისგან, რომლებიც არის მისი მსგავსი, მაგრამ რომელიც მიეკუთვნება სხვა სახეობას, ანუ გამოიყენოს გამორიცხვის მეთოდი. რადგან კრიმინალისტიკური კვლევის ობიექტის სახით შეიძლება გამოდიოდეს ნებისმიერი ბუნებრივი ობიექტი ან ტექნოგენური ბუნების პროდუქტი, კლასიფიცირების მეთოდი საშუალებას იძლევა კრიმინალისტიკური ამოცანების ამოსახსნელად მოიზიდოს საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი, რომელიც გამოსახულია მათ კლასიფიკაციურ აგებულებაში. ბოტანიკის, ზოოლოგიის, ფარმაკოლოგიის, ქიმიის, მედიცინის საყოველთაოდ ცნობილი კლასიფიკაციების გარდა, არსებობს ქალაქის, საღებავის, დასაწებებელი ნივთიერებების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, შხამების, ნარკოტიკულ საშუალებათა, სანვავ-საპოხი მასალების, საყოფაცხოვრებო ნივთების, კვების პროდუქტების და სხვათა კლასიფიკაციები.

იდენტიფიკაციის დროს გამოსაკვლევი ობიექტის ინდივიდუალიზაცია თავიდან ხდება საკვალიფიკაციო მეთოდების საშუალებით და შემდეგ კი მისი თვისებები ედრება კონკრეტული ცალკეული ობიექტის ნიმუშს განსხვავების ან მსგავსი თვისებების ინდივიდუალურად განუმეორებელი ერთობლიობის გამოვლენის მიზნით. ინდივიდუალური გაიგივება საშუალებას იძლევა ობიექტის კვალდაკვალ გამოვიკვლიოთ შესადარებელი შესამოწმებელი ობიექტის მიზეზობრივი კავშირი გამოსაკვლევ მოვლენასთან (ავტ. კოლ., 34).

მატერიალური კვალის მიხედვით იდენტიფიკაციისაგან განსხვავებით ცნობა და ამოცნობა ხორციელდება აზრობრივი სახით, რომელიც შენარჩუნდა იმ პირისა გონებაში, რომელმაც უფრო ადრე აითვისა რომელიმე ობიექტი. ცნობაში იგულისხმება პირის მის სახესთან გაიგივების ფსიქიური აქტი, რომელიც ჩამოყალიბდა ამოცნობის პროცესში.

სინთეტიკური (სიმულანტური) ცნობისას სახე ერთდროულად იგივედა ასათვისებელ ობიექტთან. ათვისების (აღქმის) გართულებულ პირობებში.

ხდება ანალიტიკური ცნობა, რომელიც ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ნიშანთვისებების თანმიმდევრული გამოვლენისა და შედარების მეშვეობით.

ამოცნობა წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას, რომელშიც ცნობის ფსიქიური პროცესი ხორციელდება გამომძიებლის კონტროლის ქვეშ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის დადგენილი პროცესუალური ნორმების და პრინციპების შესაბამისად.

შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ამა თუ იმ სახის საგნის ან ობიექტის გაიგივება და საერთოდ კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის წარმოება (პრადელი, 97). ამასთანავე კრიმინალისტიკაში შედარებითი მეთოდის გამოყენების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ როგორ შესაბამისობაშია ობიექტურ ნორმატიულ-ტექნიკური ბაზა და ტექნოლოგიური მოთხოვნილებები. ეს კვლევა ხორციელდება

ლაბორატორიული სინჯების, საქონელმცოდნეობის, ნორმატიულ-ტექნიკური და შეფასებითი ექსპერტიზის ფორმაში. უნდა გავფრთხილდეთ, რათა არ მოხდეს ამ კვლევების აღრევა იდენტიფიკაციასთან.

ევროპულ სამართალში იმდენადაა დამკვიდრებული ფილოსოფიური და ზოგადი მეცნიერული მეთოდოლოგია, იგი ცალკე სამართლის დარგად და მეცნიერებად ჩამოყალიბდა, რაც უნდა გავითვალისწინოთ მომავალში. და ბოლოს – დღემდე კრიმინალისტიკა აქტიურად არ იყენებს იმიტაციური მოდელირების მეთოდს, მიგვაჩნია, რომ მისი დამკვიდრება გარკვეულ სიცხადეს შეიტანს მრავალი პრობლემის გადაწყვეტის დროს. იმიტაცია ნიშნავს, წარმოვიდგინოთ მოვლენის არსი, განვსაზღვროთ ისეთნაირად, რომ ექსპერიმენტირება რეალურ ობიექტებზე არ მოვახდინოთ.

იმიტაციური მოდელირება არის რეალური სისტემის მოდელის კონსტრუირების პროცესი და აგრეთვე ამ მოდელზე დაყრდნობა იმ მიზნით, რომ ან რეალური სისტემის მოქმედების გაგება მოხდეს, ან მოხდეს სხვადასხვა სტრატეგიის შეფასება, რაც დაგვეხმარება რეალობის გაცნობიერებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოსტავა არჩ., მეტაკრეაციონიზმის შესავალი, ქუთ., 1999.
2. კრიმინოლოგია, ავტ. კოლექტივი, თბ., 2008.
3. ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, 2014.
4. პრადელი ჟან, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ., 1999.
5. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006.

შენგელი ფიცხელაური

ფილოსოფიური და ზოგად-მეცნიერული მეთოდების გამოყენების თავისებურებანი ევროპულ კრიმინალისტიკაში რეზიუმე

ევროპული კრიმინალისტიკის მეთოდოლოგია არამხოლოდ კრიმინალისტიკური კვლევის მიდგომას და მსოფლმხედველურ პრინციპებს განაპირობებს, არამედ განსაზღვრავს კვლევის საერთო მიმართულებას, კრიმინალისტიკურ საშუალებათა არჩევანის კრიტერიუმებს და მათი გამოყენების შედეგების შეფასებას. ფილოსოფიური დეტერმინიზმი საიმედოდ იცავს კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიურ სისტემას ფსევდომეცნიერული ხერხებისაგან, რომლებიც დაფუძნებულია ცრურწმენაზე, მისტიკაზე და ა.შ. ევროპული ქვეყნების კრიმინალისტიკური სკოლების წამყვანი მეცნიერების აზრით, ნებისმიერი მეცნიერება, იქნება ის საზოგადოებრივი თუ საბუნებისმეტყველო, აყალიბებს კვლევის საკუთარ მეთოდებს. ამ მხრივ არც კრიმინალისტიკაა გამონაკლისი. იგი აქტიურად იყენებს ზოგადმეცნიერულ და ზოგადფილოსოფიურ მეთოდებსაც. ფაქტების კვლევისა და შეფასების დროს გნოსეოლოგია კრიმინალისტს ათავისუფლებს სუბიექტივიზმისგან, ავალდებულებს მას, გამოავლინოს სინამდვილის ობიექტური კავშირები და გადაწყვეტილების მიღებისას დაემყაროს მხოლოდ უტყუარ, მეცნიერულად დადგენილ ფაქტებს. რადგან კრიმინალისტიკური პრობლემების მეთოდოლოგიური განსჯა ბადებს კითხვას, თუ რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს პრობლემების

სამართლიანად გადანყვეტა, საჭიროა უნდა ვეძიოთ ფართო ინტერსუბიექტური საფუძველი, კერძოდ სამართლიანობის შეგრძნება უმრავლესობაში.

კრიმინალისტიკის საინფორმაციო, შემეცნებითი საქმიანობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ზოგად მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ლოგიკაში, ფსიქოლოგიაში, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ამასთან, კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური ამოცანები და ობიექტები ხშირად მოითხოვს ამ მეთოდების ერთობლიობაში გამოყენებას და განაპირობებს რეალიზაციის სპეციფიკას და ფორმებს, რაც კარგადაა დამუშავებული ევროპულ კრიმინალისტიკაში.

Shengeli Pitshkelaury

Peculiarities of the Philosophical and General Scientific Methods' Application in the European Criminology
Summary

The European Criminological methodology determines not only the approach of the criminological research and ideological principles but also determines the common approach of the research, the criteria of the criminological means and the estimation of their corresponding results. The Philosophical determinism defends the methodological system of the criminology from the pseudoscientific means based on the superstitions, mystic, etc. this is successfully used by the leading scientists of the criminological schools of the European countries. To their mind any kind of the science general or natural creates and establishes its own means of research and the criminology is not an exception, it actively uses the general scientific and general philosophical methods. Philosophical gnoseology releases the criminologists from the partiality during the evaluating and researching the facts that makes the researcher reveal the objective links of the reality and base on the true scientifically proved facts. The criminological problems' methodological discussion creates the question based on what criteria must be legally solved the issue. Here we must find the deep inter-subjective basis, in particular, in the majority's belief of justice. In the structure of the criminology's informational activities important role plays the general scientific methods used in other sciences of psychology, natural, technical, humanitarian cycles. The criminological research special tasks and objects need their conforming with and define the specificity of the realization and forms in the criminological researches that are well made in the European criminology.

შალვა ქურდაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის საერთაშორისო პრინციპები

აღსრულების საერთაშორისო პრინციპებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამეთუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ეროვნულ კანონმდებლობაში ასახული დებულებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ჰარმონიზაცია სააღსრულებო წარმოების სფეროში. ეს კი უთუოდ ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლების და სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდას და ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დონის ამაღლებას.

პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაზე (შემდგომში ტექსტში – ევროკონვენცია). ევროკონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს (შემდგომში ტექსტში – ევროსასამართლო) პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ინიცირების შესაძლებლობა, „სამართლიანი სასამართლოს“ ანუ „სასამართლოს უფლების“ (ევროკონვენციის მე-6 მუხლი) მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს.

მეორე ასპექტს წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების ხელმისაწვდომობის უფლება, რომელშიც იგულისხმება სასამართლო აქტის იძულებითი აღსრულების პროცედურის ინიცირების შესაძლებლობა. ევროსასამართლოს მიდგომის მიხედვით, სასამართლოს უფლება შესაძლოა დაირღვეს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებით (II. E. c., 67). ამრიგად, სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობის და მისი გამოყენების პრაქტიკის ფარგლებში აუცილებელია ევროკონვენციის მე-6 მუხლში ასახული პრინციპების დაცვა.

სააღსრულებო წარმოების უფლება, ისევე როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება, არ წარმოადგენს ზღვარდაუდებელ, შეუზღუდავ უფლებას, რამეთუ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები. პირს უფლება აქვს უარი თქვას თავისი უფლების განხორციელებაზე, თუმცა უარი უნდა იყოს არაორაზროვანი და არ უნდა წარმოადგენდეს იძულების შედეგს.

სასამართლოს უფლების შინაარსიდან გამომდინარე, რომელ შინაარსაც მასში გულისხმობს და მოიაზრებს ევროსასამართლო და ევროკონვენციით განმტკიცებული გარანტიებიდან გამომდინარე, ლოგიკურად გამომდინარეობს და იგულისხმება (ივარაუდება), რომ არსებობენ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნების იძულებითი წესით აღსრულების განმახორციელებელი ორგანოები. ცხადია, რომ ამგვარ ორგანოებს თავიანთ საქმიანობაში მოეთხოვებათ მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის და სხვა იმპერატივების დაცვა. ამ მიზნით, ევროკონვენცია, ამგვარი ორგანოების მქონე სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას პირობები, რათა სააღსრულებო წარმოების მონაწილეები სარგებლობდნენ ევროკონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტიებით (ყველა გარანტიით). სწორედ ევროკონვენციის მე-6 მუხლ-

ში განმტკიცებული საერთაშორისო პრინციპები წარმოადგენენ სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი სააღსრულებო წარმოების გარანტიას.

ევროკონვენციის მე-6 მუხლის დებულებების გამოყენება გულისხმობს, რომ კრედიტორს აქვს არა მარტო გონივრულ ვადებში გადახდევინების უფლება (დროულობის პრინციპი), არამედ გადახდევინების და ყადაღის დადების პროცედურების ეფექტიანად განხორციელების უფლებაც.

სააღსრულებო წარმოების სისტემის შედეგიანობას (ეფექტიანობას) სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად სამოქალაქო იურისდიქციის სისტემისათვის. იძულებითი აღსრულების ეფექტიანობა წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს, სააღსრულებო წარმოების ნებისმიერი სისტემის საკვანძო საკითხს. ეფექტიანობა მოიცავს მრავალ ასპექტს: იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი მოხელეების მომზადებისა და საქმიანობის დონეს, სტატუსს; მათ საქმიანობაზე კონტროლს; სააღსრულებო მოქმედებების შესრულების ვადებს და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებას; მოვალის ლიკვიდური ქონების დადგენის (გამოვლენის) წესს და სხვა.

იძულებითი აღსრულების განხორციელების ვადა გონივრული უნდა იყოს. ეს არის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული განუსაზღვრელი (გაურკვეველი) მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება (აღსრულების გაჭიანურება), რასაც შეუძლია ეს უფლება აქციოს არაქმედით ან მოჩვენებით უფლებად ერთ-ერთი მხარის საზიანოდ.

იძულებითი აღსრულების დროულობა ნიშნავს, რომ ყველა (ნებისმიერი) მოქმედება და ღონისძიება რამდენადაც შესაძლებელია, სწრაფად, დაყოვნების გარეშე უნდა შესრულდეს.

მხარეთათვის იძულებითი აღსრულების პროცედურების ხანგრძლივობას მართლაც აქვს არსებითი მნიშვნელობა. იძულებითი აღსრულების გაჭიანურებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როცა დაცულია ყველა სხვა დანარჩენი გარანტია, შესაძლოა მოჰყვეს უარყოფითი შედეგი კრედიტორისათვის.

თუ კრედიტორს ეცოდინება, რომ აღსრულება გაჭიანურდება იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი ორგანოების მიერ, მაშინ მან შესაძლოა სასამართლო აქტით მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთის მისაღებად გამოიყენოს არასამართლებრივი ხერხები და საშუალებები (მათ შორის კრიმინალური), რამაც თავის მხრივ, შესაძლოა ქვეყანაში (სახელმწიფოში) პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

სააღსრულებო მოქმედებების გონივრულ ვადაში შესრულება ასევე მნიშვნელოვანია მენარმეებისა და იურიდიული პირებისათვის. იძულებითი აღსრულების პროცედურების დაყოვნება და დაუსრულებლობა შესაძლოა გახდეს ბიზნესის წარმოების გართულების მიზეზი და ამით საფრთხის ქვეშ დადგეს საქმიანი ურთიერთობები, შესაძლოა, კომპანიის მთლიანი საქმიანობაც.

იძულებითი აღსრულების გონივრულ ვადაში განხორციელება წარმოადგენს როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო შეთანხმებების მიზანსაც. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ყველა ზომის მიღების ვალდებულება იმისათვის, რომ იძულებითი აღსრულება დროულად განხორციელდეს.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით არ არის მიღებული კანონი, რომლითაც გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების ან გონივრულ ვადაში სასამართლო აქტის აღ-

სრულების უფლების დარღვევისათვის უფლებაშეღებულს ექნებოდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

ამგვარი კანონის მიღება აუცილებელია. ამას განაპირობებს პირველ ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა, რომელთა თანახმადაც სისტემური დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სახელმწიფოს ევალება უფლებათა სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიანი საშუალებების შექმნა.

სისტემური დარღვევები გამოიხატება არა მარტო საქმის განხილვის ანუ სამართალწარმოების, არამედ აგრეთვე სასამართლო აქტების აღსრულების გონივრული ვადების დარღვევაში. ამასთან, უფლების სამართლებრივი წესით დაცვის ეფექტიან საშუალებებში მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენების მიზანია გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების და გონივრულ ვადაში სასამართლო აქტის აღსრულების უფლების დარღვევის პრევენცია (ევროსასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის დადგენილება „ბურდოვი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ №2“).

ასეთი კანონი უნდა ითვალისწინებდეს ფიზიკური პირების, უცხოელი მოქალაქეების, მოქალაქეობის არამქონე პირების, საქართველოს, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფის გრანტიებს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის და გონივრულ ვადაში სასამართლო აქტის აღსრულების უფლების საკითხში. ამ უფლების დარღვევა უნდა წარმოადგენდეს უფლებადარღვევისათვის სამართლიანი კომპენსაციის მიკუთვნების საფუძველს. გონივრულია თუ არა ვადა, ეს განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორც არის კრედიტორისა და მოვალის ქცევა, საქმის სირთულე და ა.შ. სასამართლო აქტის სათანადოდ აღსრულება გონივრულ ვადაში, წარმოადგენს ნებისმიერი სასამართლო სისტემის და მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების არსებით ელემენტს (Чугунова 172). აუცილებელია აღინიშნოს, რომ პრინციპები უზრუნველყოფენ როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებათა დაცვას. ევროკონვენციის მე-8 მუხლი იცავს ადამიანის ღირსებას და კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას. სააღსრულებო წარმოებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისა და მოვალის გადაცდომის თანაზომიერება. მოცემული პრინციპი, თავის დროზე, აისახა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 803-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად: გადასახდევინებელი თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს (აჭარბებდეს) კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და იძულებითი აღსრულების ხარჯების დაფარვისთვის საჭირო თანხას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საფრანგეთის კანონის 22-ე მუხლის 1-ლი აზბაცი ადგენს წესს, რომლის შესაბამისადაც კრედიტორს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს აღსრულების ღონისძიებები, მაგრამ დაუშვებელია ამ ღონისძიებათა გადაჭარბებული დოზით გამოყენება, თუ ეს აუცილებელი (საჭირო) არ არის ვალდებულების დასაფარად. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონი ასევე განამტკიცებს თანაზომიერების პრინციპს, კერძოდ 69-ე მუხლის მე-2 ნაწილში (ქონებაზე გადახდევინების მიქცევა ხდება დავალიანების ფარგლებში ანუ დავალიანების ოდენობის გათვალისწინებით) და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში.

თანაზომიერება უზრუნველყოფს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაბალანსებას. ამ პრინციპის შესაბამისად, იძულებითმა ღონისძიებებისა და ინტერესების დაბალანსებას. ამ პრინციპის შესაბამისად, იძულებითმა ღონისძიებებისა და ინტერესების დაბალანსებას.

ბებმა გაუმართლებლად არ უნდა ხელყოს მოვალისა და მესამე პირთა უფლებები. დაუშვებელია არათანაზომიერი და არაკეთილსინდისიერი ღონისძიებების გამოყენება.

კონვენციის დებულებებიდან გამომდინარეობს არანაკლებ მნიშვნელოვანი და თავისი შინაარსით ტევადი პრინციპები. ეს პრინციპებია: მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და კანონიერება. ეს არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სამი გრანტია სამართლიანი სააღსრულებო წარმოებისა.

იძულებითი აღსრულების განმახორციელებელმა მოხელემ უნდა იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობისა და სამართლის სხვა წყაროების საფუძველზე, ასეთი მოხელე უნდა იყოს მიუკერძოებელი, ე.ი. არ უნდა ჰქონდეს წინასწარ შექმნილი აზრი. გამონაკლისის დაშვება საქმის წარმოებაში, რაიმე სახის ზენოლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან, საზოგადოებრივი აზრის გავლენა, ნებისმიერი სხვაგვარი ზემოქმედება (ჩარევა) გარედან, რაც გავლენას ახდენს სააღსრულებო წარმოების მსვლელობაზე, უნდა გამოირიცხოს. შეიძლება ვისაუბროთ მიუკერძოებელი მოქმედების განმსაზღვრელ ორ კრიტერიუმზე. ერთი მხრივ, ეს არის ობიექტური კრიტერიუმი – ასეთ დროს არსებობენ (სახეზეა) განსაზღვრული გარემოებები, რომლებიც წარმოშობენ ეჭვს იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოხელის მიუკერძოებლობის საკითხში (ანუ ასეთი გარემოებები ქმნიან მოხელის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს).

ასეთ დროს მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ობიექტურად და რეალურად არსებობს დაინტერესების საფრთხე. მეორე მხრივ, ეს არის სუბიექტური კრიტერიუმი: იგულისხმება, რომ სუბიექტი მოქმედებს მიუკერძოებლად მანამ, სანამ ამის სანინაალმდეგო არ დამტკიცდება (მიუკერძოებლობის პრეზიუმფცია). იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელმა მოხელემ (იმის მიუხედავად, სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს თუ არა), რომლის მიუკერძოებლობის მიმართაც წარმოიშობა ეჭვი, უნდა განაცხადოს თვითაც იღლება.

კანონიერება გულისხმობს, რომ იძულებითი აღსრულება ხორციელდება კანონის საფუძველზე. სააღსრულებო წარმოების პროცედურა დეტალურად უნდა იყოს მოწესრიგებული კანონმდებლობაში, რათა იგი იყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ეფექტიანი და ნათელი იყოს სააღსრულებო წარმოების და თითოეული პროცედურის სამართლებრივი შედეგი.

სამართლის უზენაესობის ზოგადი პრინციპი აწესებს ე.წ. კანონიერების სტანდარტს. ასეთი სტანდარტი დადგენილია ევროკონვენციით. ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) კანონმდებლობა მკაფიო რომ უნდა იყოს, ეს იმპერატივი გამომდინარეობს კანონიერების სტანდარტიდან. კანონიერების სტანდარტი მოითხოვს, რომ „ნებისმიერი კანონი ფორმულირებული იყოს საკმარისად ნათლად, მკაფიოდ, რაც პირს საშუალებას მისცემს განჭვრიტოს (თუ საჭიროა რჩევის მიღებით) ის შედეგები, რომლებიც შესაძლოა მოჰყვეს ამა თუ იმ მოქმედებას“ (II. E. c., 98).

წევრი სახელმწიფოსთვის იძულებითი აღსრულების სისტემის სრულყოფის ორიენტირს საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათის აქტებს შორის, ევროკონვენციის გარდა, წარმოადგენს ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის №17 რეკომენდაცია იძულებითი აღსრულების შესახებ (იძულებითი აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპებთან ერთად). განვიხილოთ შემდეგი პრინციპები:

1. სამართლის უზენაესობა. დემოკრატიულ საზოგადოებას არ შეუძლია უგულვებელყოფის საფუძვლები, რომლებზეც იგი დგას და განსაკუთრებით – სამართლის სუბიექტების მიერ, მათ შორის სააღსრულებო წარმოების მონაწილეების მიერ სამართლის ნორმების სავალდებულო დაცვა. სწორედ ამიტომ ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს სამართლის უზენაესობის პრინციპის გაძლიერების აუცილებლობაზე და მიუთითებს იმაზე, რომ პირველ ყოვლისა, იძულებითი აღსრულება უნდა განისაზღვროს და მოწესრიგდეს მხარეთა და მესამე პირთა უფლებამოსილებების, უფლებებისა და მოვალეობების დამდგენი მკაფიო სამართლებრივი ნორმებით, ხოლო მეორე მხრივ, იძულებითი აღსრულების პროცედურა დეტალურად უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობაში, რათა საიმედოდ იცავდეს პირთა უფლებებს და ასეთი პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ნათელი და ეფექტიანი.

სამართლებრივი სახელმწიფოს ანუ სამართლის უზენაესობის (ბატონობის) საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი საფუძვლად უდევს ახალ მსოფლიო წესრიგს და თანამედროვე დემოკრატიების კონსტიტუციურ წყობას (*Журнал российского права*, №12). სამართლის უზენაესობის პრინციპი წარმოადგენს სამართლის ევროპულ პრინციპთაგან ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრინციპს. მოცემული პრინციპის მთავარი ნიშანია ის, რომ სამართლებრივი ნორმები იყოს ნათელი, მკაფიო. საერთაშორისო სასამართლოები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლო, სამართლის უზენაესობის პრინციპში გულისხმობს არა კანონიერების პრინციპს, არამედ უფრო ნორმატიული დანერგული წესების სამართლიანობის და მკაფიოობის ზოგად ბუნებით – სამართლებრივ პრინციპს (*Нешатаева*).

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მიუთითებს კანონმდებლობაში იძულებითი აღსრულების პროცედურების დეტალური მოწესრიგების აუცილებლობაზე. იძულებითი აღსრულების პროცედურა უნდა განისაზღვროს და მოწესრიგდეს მკაფიო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც ადგენენ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი მოხელის უფლებამოსილებებს, მხარეთა და მესამე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს. სააღსრულებო წარმოების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი ეროვნული სამართლის ნორმები, არ შეიძლება და არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ზეეროვნული სამართლის ნორმებს და პირიქით.

2. მოვალის ქონებრივი იმუნიტეტი. აუცილებელია დაცული იქნეს მოვალის ზოგიერთი ძირითადი შემოსავალი და ქონება, მაგალითად, ძირითადი სამეურნეო საქონელი, ძირითადი სოციალური შემწეობა (დახმარება), მკურნალობისა და მედიკამენტების შესაძენად საჭირო ფულადი თანხა, შრომითი საქმიანობისათვის საჭირო საშუალებები (იარაღი, ხელსაწყოები).

ქონებრივი იმუნიტეტის პრინციპი აისახა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 პრიმა და 45-ე მუხლებში. მაგალითად, 45-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს „მოვალისა და მისი ოჯახის წევრების არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური ქონების ხელშეუხებლობა“. კანონი მოვალე ფიზიკური პირის სასარგებლოდ ადგენს ქონებრივ (სააღსრულებო) იმუნიტეტს იმ მიზნით, რომ მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ზოგადი დანიშნულებიდან გამომდინარე, გრანტირებული გახადოს მოვალის და მოვალის კმაყოფაზე მყოფი პირებისთვის მათი ნორმალური არსებობისა და საქმიანობისათვის (მათ შორის პროფესიული საქმიანობისათვის)

აუცილებელი პირობები. მოცემული ნორმა წარმოადგენს ამ პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განხორციელების საპროცესო გარანტიას.

იმუნიტეტი განიყოფება სახეებად სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: პირველ ყოვლისა, სუბიექტის მიხედვით – ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ, რამდენადაც მათთვის კანონმდებლობით დადგენილია სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი. თუ ფიზიკურ პირთათვის იმუნიტეტის მიზანია აუცილებელი საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა, იურიდიული პირისათვის იმუნიტეტის მიზანია ძირითადად მისი, როგორც საწარმოო ერთეულის ფუნქციონირების შენარჩუნება. მეორე მხრივ, ქონებრივი იმუნიტეტი იმისდა მიხედვით, თუ რა დოზით არის დაცული მოვალის ქონება იურიდიული (სამართლებრივი) წესით, განიყოფება აბსოლუტურ და ფარდობით იმუნიტეტად. აბსოლუტური იმუნიტეტის დროს მოვალის განსაზღვრულ ქონებაზე არცერთ შემთხვევაში (არცერთი პირობით) არ შეიძლება (დაუშვებელია) გადახდევინების მიქცევა (მაგალითად, ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ქონება), ხოლო ფარდობითი იმუნიტეტის დროს, განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, გადახდევინება შესაძლებელია გახდეს დასაშვები, მაგალითად, ფიზიკური პირის კუთვნილ ფულად თანხაზე.

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 33-ე მუხლი, რომელიც ადგენს მოვალის მინიმალურ შემოსავალს, რომელზეც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

3. კეთილსინდისიერება. ზემოთ ნახსენები №17 რეკომენდაციის დებულებათა ანალიზისას ცხადად იკვეთება, რომ ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს სააღსრულებო წარმოებაში კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას. ეს პრინციპი თანაბრად შეეხება სააღსრულებო წარმოების ნებისმიერ მონაწილეს და არა მარტო მოვალეს. ამ პრინციპის თანახმად, პირველ ყოვლისა, მხარეებს ევალებათ ერთმანეთთან თანამშრომლობა იძულებითი აღსრულების პროცედურების განხორციელების დროს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოვალემ ყველაფერი უნდა იღონოს და ხელი შეუწყოს სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოს აქტში ასახული მოთხოვნების აღსრულებას და შესაბამისად, ხელი არ უნდა შეუშალოს აღსრულებას. უფრო მეტიც, მოვალე ვალდებულია სააღსრულებო ბიუროს წარუდგინოს თავისი შემოსავლების, სახსრების და აღსრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სხვა საკითხების შესახებ სრული ინფორმაცია. მოცემული ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია სააღსრულებო ბიუროში მოვალის მიერ თავისი ქონების შესახებ დეკლარაციის შეტანით. მეორე მხრივ, №17 რეკომენდაცია მიუთითებს, რომ აუცილებელია სახელმწიფოებმა შეიმუშაონ ამა თუ იმ მხარის მიერ იძულებითი აღსრულების პროცედურის ბოროტად გამოყენების შემთხვევათა პრევენციისა და თავიდან აცილების შესაბამისი მექანიზმი, რაც არ უნდა იქნეს მიჩნეული საქმის გადასინჯვად. იმ შემთხვევაში, თუკი იძულებითი აღსრულების პროცედურების განხორციელებისას მაინც ექნა ადგილი უფლების ბოროტად გამოყენებას, ამასთან, არა იმდენად მოვალის მხრიდან, რამდენადაც სხვა მხარეების მხრიდან, მაშინ იძულებითი აღსრულების ხარჯის დაფარვის ვალდებულება შეიძლება დაეკისროთ არაკეთილსინდისიერ მხარეებს.

მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ევროპის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა უფლება, თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იშუამდგომლონ იძულებითი აღ-

სრულების პროცედურების შეჩერების შესახებ, ხოლო თუ ეს აუცილებელია, კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ასევე მხარეთა უფლება, გაასაჩივრონ იძულებითი აღსრულების პროცედურების განხორციელების დროს მიღებული სასამართლო და არასასამართლო გადაწყვეტილებები.

სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები საკმაოდ დეტალურად არის მონესრიგებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონით გათვალისწინებულია, რომ შეჩერების საკითხის გადაწყვეტის უფლება აქვს როგორც სასამართლოს, ისე აღსრულების ეროვნულ ბიუროს იმისდა მიხედვით, თუ რომელი საფუძვლით ხდება შეჩერება. დასაშვებია როგორც მთლიანი სააღსრულებო წარმოების, ისე რომელიმე ნაწილში მისი შეჩერება ფაქულტატიური და სავალდებულო საფუძვლებით.

4. თანაზომიერება. კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც მოიხსენიება №17 რეკომენდაციაში, არის თანაზომიერების პრინციპი, რომლის შესაბამისადაც იძულებითი აღსრულების პროცედურა უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის, სარჩელის ფასის და მოპასუხის ინტერესების თანაზომიერი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება თავისი მოვალის მიმართ. კანონის შესაბამისად კრედიტორი აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისას განსაზღვრავს აღსრულების სახეს(უძრავ ქონებაზე აღსრულების სახეებია: იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია, იძულებითი აუქციონი ან სეკვესტრი (ქონების იძულებითი მართვა)). მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ არჩევანის თავისუფლება შეზღუდულია თანაზომიერების პრინციპით, რაც მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა ერთმანეთთან თანაფარდობაში უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ამ ღონისძიებათა განხორციელებამ არ შეიძლება გადააჭარბოს იმას, რაც ითვლება საჭიროდ (აუცილებლად) ვალდებულების დასაფარად.

დაუშვებელია იძულებითი აღსრულების უკანონო და უსაფუძვლო ღონისძიებების გამოყენება, ან დასაშვები (ნებადართული) ღონისძიებების გადაჭარბება, რასაც შეუძლია მოვალეს მიაცენოს ზიანი. იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს იყენებს სახელმწიფო (აღსრულება სახელმწიფოს სახელით ხდება). სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ნებისმიერი მოქმედება უნდა იყოს თანაზომიერი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზანს, რა მიზანიც გააჩნია ამ ღონისძიების გამოყენებას.

ამრიგად, სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთი პრინციპი უნდა იყოს კრედიტორის მოთხოვნის მოცულობისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების თანაზომიერების (ერთმანეთთან თანაფარდობის) პრინციპი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ნამეტ თანხას აღსრულების ეროვნულ ბიურო დაუბრუნებს მოვალეს, ფაქტობრივად დადგენილია, რომ გადახდევინების მიქცევა ხდება დავალიანების ფარგლებში, ე.ი. იმ მოცულობით, რაც აუცილებელია კრედიტორისადმი მიკუთვნებული მოთხოვნების აღსასრულებლად. თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა ვალდებულებაზე მრავალჯერ მაღალი ღირებულების მქონე მოვალის ქონებაზე (ქონებაზე, რომლის ღირებულებაც მრავალჯერ აღემატება, აჭარ-

ბებს ვალს, ვალის თანხას). ამასთან, რადგან კანონში ეს პრინციპი არ არის დაკონკრეტებული, აღმასრულებელმა თავისი შეხედულებით უნდა განსაზღვროს, თუ რა ხარისხის თანაფარდობა არსებობს იძულებითი აღსრულების ღონისძიებებსა და ვალს (მოვალის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს) შორის. სადავო შემთხვევაში, საკითხს განიხილავს სასამართლო. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანაზომიერებას გააჩნია თავისი ფარგლები და ეს პრინციპი იზღუდება კრედიტორის კონსტიტუციური უფლებით, მიიღოს კუთვნილი (მიკუთვნიებული) სამართლებრივი სიკეთე.

ამასთან, გადახდევინების მიქცევა არ ხდება იმ ქონებაზე, რომლის ღირებულება აღემატება, აჭარბებს ვალის თანხას, როცა არსებობს ცნობები, მონაცემები სხვა, თანაზომიერი ქონების შესახებ.

5. მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანად და სწრაფად შეგროვება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოვალის კუთვნილი ქონების შესახებ ინფორმაციის მიღების ვადა და რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება, ხელს უწყობს სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოთა აქტების (აღსასრულებელი აქტების) დროულად და სრულად იძულებით აღსრულებას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი სახის რეკომენდაციები. პირველყოვლისა, მოვალის ქონების შესახებ აღსრულებისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის შეგოვება უნდა განახორციელდეს სწრაფად და ეფექტიანად; უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რეესტრებისა და სხვა წყაროების ხელმისაწვდომობა, გარდა ამისა, მოვალეს შეიძლება მოეთხოვოს თავისი ქონების შესახებ დეკლარაციის წარდგენა სააღსრულებო ორგანოში.

მეორე ის, რომ აღსრულების მიზნით მოვალის ქონების აღმოჩენა და მისთვის ამ ქონების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს ეფექტიანად ადამიანის შესაბამის უფლებათა და ინფორმაციის დაცვის შესახებ დებულებათა გათვალისწინებით. თანამედროვე პერიოდში ევროპის სახელმწიფოთა სააღსრულებო წარმოების სისტემაში გამოიყენება მოვალის აქტივების შესახებ ინფორმაციის მიღების ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდი. პირველი მეთოდი ავალდებულებს მოვალეს (ან მესამე პირს) თავისი აქტივების განთავსების დეტალები გაუმჟღავნოს კრედიტორს ან იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოხელეს. მეორე მეთოდი გულისხმობს კერძო რეესტრებისადმი შესაბამის ხელმისაწვდომობას, რისი უფლებაც ენიჭება იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოხელეს. ქართული სააღსრულებო წარმოების სისტემაში გამოიყენება ორივე მეთოდი (მე-17, 42-ე და სხვა მუხლები).

ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაცია პირადად მოვალემ უნდა წარადგინოს. თუ მოვალე უარს ამბობს გაამჟღავნოს თავისი აქტივების ადგილმდებარეობა, აღსრულების ორგანოებს (პოლიციის მეშვეობით) უფლება აქვთ გამოიყენონ ფიზიკური იძულება და ყადაღა. მოვალის მიერ სააღსრულებო ორგანოსთვის შეგნებულად არასწორი ცნობების (ინფორმაციის) მიწოდება დანაშაულად მიიჩნევა.

არსებობს ინფორმაციის მიღების (ხელმისაწვდომობის) მეორე, შედარებით უფრო ეფექტიანი მეთოდი. ზოგიერთი ქვეყნის თანამედროვე სააღსრულებო სამართალი შესაბამის ორგანოებს ანიჭებს კერძო ფაილების ხელმისაწვდომობის უფლებას. ავსტრიასა და ესპანეთში სააღსრულებო წარმოების პროცესში სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მოვალის შრომითი მონაცემების შესახებ ინფორმაცია სოციალური და ზღვევის რეესტრიდან. ესპანეთსა და შვედეთში სააღსრულებო ორგანოებს უფლება აქვთ აგრეთვე გამოითხოვონ ინფორმაცია პირდაპირ

საფინანსო ორგანოებიდან. ნიდერლანდებსა და ბელგიაში აღმასრულებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მოვალის საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და მისი შრომითი მონყობის შესახებ სოციალური დაზღვევის რეესტრიდან (Kennet, 102).

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი მნიშვნელოვან წესს შეიცავს. აღმასრულებელს უფლებას აძლევს თავისუფლად დაუკავშირდეს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს (მაგალითად საგადასახადო ორგანოებს, შემოსავლების სამსახურს და ა.შ.), საბანკო დაწესებულებას, სხვა პირებსა და ორგანოებს და მიიღოს ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლების, საბანკო ანგარიშების, ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და თანხის ბრუნვის შესახებ.

ამასთან, აღმასრულებელი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა და იგი მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის გამოიყენოს. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლში შესული ცვლილებებით, მოიხსნა მოვალის ძებნის შეზღუდვა მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე და ძებნა შესაძლებელი გახდა ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე. პოლიციის ორგანოები ვალდებული არიან მოვალის ძებნაში აღმასრულებელს აღმოუჩინონ დახმარება. მათ უნდა მოიძიონ მოვალის საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მისი შრომითი მონყობის შესახებ ინფორმაცია და უზრუნველყონ მოვალის მოყვანა სააღსრულებო ორგანოში. ამრიგად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს (გაიზარდოს) სააღსრულებო წარმოების პროცესის ეფექტიანობა.

შეიძლება გამოიკვეთოს მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციის მიღების დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული სისტემები. დეცენტრალიზებული სისტემის მქონე ქვეყნებში კრედიტორებს არ აქვთ კერძო რეესტრების პირდაპირი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რადგან მონაცემები (ინფორმაცია) დახურულია, რაც ქმნის კრედიტორისთვის პრობლემას. ასეთი სისტემა გამოიყენება მაგალითად გერმანიაში, სადაც კრედიტორის მიერ სააღსრულებო ორგანოს არჩევა დიდად არის დამოკიდებული მოვალის აქტივების ადგილმდებარეობაზე. კრედიტორს, რომელსაც არა აქვს ინფორმაცია მოვალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელება იმ ადგილას მოქმედი სააღსრულებო ორგანოსაგან, სადაც მოვალეს გააჩნია დომიცილი. თუ აღმასრულებელი ვერ შეძლებს მოვალესთან დაკავშირებას, მაშინ მოვალეს დაიბარებენ სასამართლოში მოვალის აქტივების შესახებ ინფორმაციის სასამართლოსათვის მიწოდების მიზნით. მოვალისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, კრედიტორს შეუძლია გააგრძელოს სააღსრულებო წარმოების პროცედურა. ამასთან, ავსტრიასა და გერმანიაში, არც აღმასრულებელს, არც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელს სააღსრულებო წარმოების პერიოდში არა აქვთ სოციალური დაზღვევის რეესტრისადმი ხელმისაწვდომობის უფლება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, კრედიტორი კარგავს დროსა და ფულს, აღმასრულებელიც უშედეგოდ მოქმედებს და საბოლოო ჯამში, კრედიტორი სათანადოდ ვერ იცავს თავის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი ორგანოების „ცენტრალიზებული სისტემის“ უპირატესობა, რომლის დროსაც სააღსრულებო ორგანოს კვალიფიციურ სპეციალისტ თანამშრომელს აქვს დახურული ინფორმაციის უშუალო წვდომის შესაძლებლობა (Burkhard, 40).

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ფართო უფლებებს ანიჭებს აღმასრულებელს მოვალის ქონების შესახებ ცნობების (ინფორმაციის) მიღების საკითხში (ქონებაში მოიაზრება მოთხოვნებიც, ამიტომ ქონების შესახებ ინფორმაცია მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის წარდგენასაც ეხება).

მოვალის აქტივების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის სააღსრულებო ორგანოში წარდგენას უზრუნველყოფს მოვალის ვალდებულების დადგენა, მოახდინოს თავისი ქონების დეკლარირება და მისი პასუხისმგებლობა შეგნებულად არასწორი მონაცემების დეკლარირებისათვის.

6. სააღსრულებო წარმოების გამჭვირვალობა. მხარეთათვის გამჭვირვალობა წარმოადგენს სამართლიანი სააღსრულებო წარმოების უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ღიაობა და გამჭვირვალობა ნიშნავს, რომ მხარეთათვის ნათელია და ცნობილია სააღსრულებო წარმოების სტადიები. ამ მიზნით, იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის შესახებ მხარეთა და სხვა მონაწილეთა ინფორმირებას (შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა). მხარეებს უნდა მიეწოდოს ნებისმიერი (ყველა) საჭირო ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის და იმის შესახებ, თუ რა მოვლით შემდგომში.

ზემოაღნიშნულის გამო №17 რეკომენდაციაში ყურადღება მახვილდება დოკუმენტების ჩაბარების ეფექტიანი და სათანადო საშუალებების (როგორცაა ფოსტა, ელექტრონული საშუალებები, ჩაბარება პირადად მოხელის მიერ) გამოყენებით სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა სათანადო წესით ინფორმირებასა (მათთვის სააღსრულებო მოქმედებების შეტყობინებასა) და დაბარებაზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი აწესრიგებს შეტყობინებისა და დაბარების პროცედურას. მართალია თავად ამ კანონში აღნიშნული საკითხის დეტალური მონესრიგება არ არის მოცემული, მაგრამ სამაგიეროდ ზემოაღნიშნული მუხლი მითითებითი ხასიათისაა და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კი დეტალურად არის მონესრიგებული შეტყობინებისა და დაბარების პროცედურა.

აღნიშნული ინსტიტუტის დეტალური მონესრიგება მიზნად ისახავს სააღსრულებო წარმოების ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ კი, სააღსრულებო წარმოების ამოცანაა სასამართლო აქტების, სხვა ორგანოთა და თანამდებობის პირთა აქტების დროული აღსრულება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში განასხვავებენ შეტყობინებისა და დაბარების ინსტიტუტს სუბიექტების მიხედვით (ქურდაძე, 373). სააღსრულებო წარმოებაშიც სუბიექტების მიხედვით უნდა მოხდეს ამ ორი კატეგორიის გამიჯვნა და არა იმის მიხედვით, აუცილებელია თუ არა ამა თუ იმ პირის პირადი მონაწილეობა (დასწრება) სააღსრულებო წარმოებაში. მაგალითად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ საქმეზე, კრედიტორი ვალდებულია დაესწროს უძრავი ქონებიდან მოვალის გამოსახლებას (გამოყვანას). ამგვარი დანაწესის მიუხედავად, ნორმაში საუბარია კრედიტორის ინფორმირებაზე (შეტყობინებაზე) და არა დაბარებაზე. იქვე კანონი ადგენს კრედიტორის გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგებსაც მოცემულ საქმეზე.

სააღსრულებო მოქმედებების ან იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შესახებ სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა ინფორმირების ტრადიციული ფორმების გარდა, იძულებითი აღსრულების პროცედურების ფარგლებში დიდი პოტენციალი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია იძულებითი აღსრულების სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა გაზრდილია აღსრულების ორგანოთა სამუშაოს მოცულობა.

ამის გამო აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ისეთი საერთაშორისო – სამართლებრივი აქტების მნიშვნელობა, როგორებიც არის ევროპის მინისტრთა საბჭოს №14 რეკომენდაცია „მართლმსაჯულების სფეროში საინფორმაციო სისტემების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ“ და ევროპის მინისტრთა საბჭოს №15 რეკომენდაცია „სამართლის სფეროში ელექტრონული დოკუმენტების დაარქივების შესახებ“, რომლებიც მიღებული იქნა მინისტრთა წარმომადგენლების 2003 წლის 9 სექტემბრის 851-ე სხდომაზე.

საინტერესოა მოვალის ოფიციალური ინფორირების (შეტყობინების) საკითხი. გერმანული მოდელის თანახმად, კრედიტორს თავადპირველად შეაქვს სარჩელი სასამართლოში, რომელიც დაჩქარებულად განიხილება. გერმანიაში აგრეთვე აქტიურად ინერგება ელექტრონული გამარტივებული წარმოების (რომელიც მთავრდება სასამართლოს ბრძანების გამოტანით) ავტომატური სისტემა „Online-Mahntrag“. სასამართლო ბრძანების გამოტანის შესახებ შუამდგომლობის წარსადგენად „Online-Mahntrag“ სისტემაში საკმარისია ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერიც კი, თუ იგი ჩართულია ინტერნეტში (Брановицкий, 127).

საფრანგეთში მოქმედებს ნოტიფიკაციის პრინციპი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას სააღსრულებო დოკუმენტის სრული ასლის გაგზავნის გზით მოვალის ოფიციალურად ინფორმირების პრინციპი. საუბარია არსებით ფორმალობაზე, რადგან ნოტიფიკაცია წარმოადგენს პირობას იმისთვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძინოს სააღსრულებო ძალა, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა (Кузнецов, 312).

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, მართალია 2012 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ფულადი თანხის დავალიანების გადახდევანების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოებაში შემოღებული იქნა გამარტივებული წარმოების ინსტიტუტი, მაგრამ აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ გამარტივებული წარმოება სავალდებულო წესით წინ უნდა უსწრებდეს იძულებითი აღსრულების პროცედურას. გამარტივებული წარმოების დაწყება კრედიტორის დისპოზიციურ უფლებას განეკუთვნება. კრედიტორს უფლება აქვს არ გამოიყენოს აღნიშნული ინსტიტუტი და სასამართლოს მეშვეობით, ან კანონით დადგენილი სხვა წესით (არბიტრაჟი, ნოტარიუსი) მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტი. ოღონდ მას შემდეგ, არც ის მიიღებს სააღსრულებო დოკუმენტს, აღსრულება განხორციელდება ჩვეულებრივი, საერთო წესით და არა გამარტივებული წესით. ამდენად, ქართული სააღსრულებო წარმოების პროცედურა არ არის გართულებული კრედიტორის მიმართ დადგენილი ფორმალობებით (ფორმალური მოთხოვნებით).

7. იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოხელეების კვალიფიკაცია. იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოხელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს წაეყენება განსაკუთრებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაზეც საუბარია №17 რეკომენდაციაში. კერძოდ, ყურადღება მახვილდება კანდიდატის მორალური თვისებების გათვალისწინების აუცილებლობა-

ზე, მის სამართლებრივ მომზადებაზე და მის მიერ იძულებითი აღსრულების პროცედურების ცოდნაზე. აღნიშნულის საფუძველზე, კანდიდატის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შესაფასებლად რეკომენდებულია გამოცდის ჩაბარება, რომელიც უნდა ჩააბაროს კანდიდატმა ასეთ სამუშაოზე მიღების დროს. გარდა ამისა, როგორც №17 რეკომენდაციაშია მითითებული, იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელმა მოხელემ უნდა გაიაროს არა მარტო პირველადი (საწყისი) მომზადება, არამედ სისტემატურად უნდა გაიაროს შემდგომი მომზადება.

ამრიგად, იმ საკითხს, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს სააღსრულებო დოკუმენტების იძულებითი განხორციელების სისტემა, განაპირობებს აღმასრულებლის კვალიფიკაცია.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აღმასრულებლის თანამდებობაზე დასანიშნი პირის მიმართ ნაყენებულ ზოგად (საერთო) მოთხოვნებს ადგენს. კანონი ერთნაირ მოთხოვნებს ადგენს კერძო აღმასრულებლისა და სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის თანამდებობაზე დასანიშნი პირის მიმართ, მაშინ როცა ამ უკანასკნელის უფლებები უფრო ფართოა, ვიდრე პირველი მათგანის.

აღმასრულებლს ესაჭიროება სპეციალური განათლება იმიტომ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოთა სხვა აქტებში ასახული მოთხოვნების იძულებითი აღსრულებისას მან უნდა იხელმძღვანელოს არა მარტო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით, არამედ უნდა იცოდეს და გამოიყენოს შრომის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სხვა კანონმდებლობა.

აღმასრულებლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის მიმართ ისეთი მოთხოვნის დადგენა, როგორც არის უმაღლესი იურიდიული განათლების ქონა, ხელს შეუწყობს სასამართლო და სხვა აქტების ეფექტიანად და დროულად აღსრულებას, რაც დადებითად აისახება პირთა დარღვეული უფლებების და კანონიერი ინტერესების (კანონით გათვალისწინებული ინტერესების) დაცვაზე.

8. იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოხელის კონტროლი. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მიუთითებს იმაზე, რომ იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოხელეზე შესაძლებელია დაწესდეს პროფესიული ზედამხედველობა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სასამართლო კონტროლსაც. იძულებითი აღსრულების პროცედურა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე იძულებითი აღსრულების პროცედურების განხორციელების დროს მიღებული სასამართლო და არასასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებას.

ქართული კანონმდებლობით დადგენილია აღმასრულებლის საქმიანობის კონტროლის ორი წესი, ე.ი. მკაფიოდ არის დადგენილი აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების ორი წესი: ადმინისტრაციული (დაქვემდებარების წესით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან) და სასამართლო წესი (საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით). ამასთან, შესაძლებელია სარჩელის შეტანა როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო წესით, იმის მიხედვით, თუ პირის რომელი უფლება შელახა სააღსრულებო ორგანომ.

ადმინისტრაციული წესი არ წარმოადგენს დავის მოწესრიგების სავალდებულო და სასამართლომდე აუცილებლად გასავლელ წესს.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად

მიმართოს სასამართლოს. შესაბამისად, იმ პირს, რომელმაც აირჩია სააღსრულებო ორგანოს აქტების, აღმასრულებლის მოქმედების თუ უმოქმედობის გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი, არ ერთმევა უფლება შემდგომში ეს მოქმედებები სადავო გახადოს სასამართლოში.

ამასთან, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის აქტი, მოქმედება თუ უმოქმედობა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით გახდეს სადავო. მისი აქტები ვერ გასაჩივრდება შემდგომ ორგანოში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას ასეთი ორგანო არ გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროკონვენციისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №17 რეკომენდაციაში განმტკიცებული პრაქტიკულად ყველა პრინციპი აისახა ქართულ კანონმდებლობაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის პრინციპები განმტკიცებულია, როგორც საერთაშორისო ხასიათის ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში, ისე შიდასახელმწიფოებრივ (ეროვნულ) ნორმატიულ აქტებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012,
2. Брановицкий К.Л. Информационные технологии в гражданском процессе Германии (сравнительно-правовой анализ) дис. к.ю.н. Екатеринбург, 2009,
3. Кузнецов Е.Н.К.вопросу о принципах исполнительного производства. Российский ежегодник гражданского и арбитражного процесса. 2007. №6,
4. Зоркин В.Д. Верховенство права и конституционное правосудие. Журнал российского права., 2005 №12,
5. Нешатаева Т.Н. Уроки судебной практики по правам человека: европейский и проссийский опыт, М. 2007,
6. Постановление Европейского суда по правам человека от 24.05.2007 по делу «Владимир Соловьев против Российской Федерации». Бюллетень Европейского суда по правам человека.Российское издание, 2007 №10,
7. Постановление Европейского суда по правам человека от 7 июля 2005 года. По делу «Малиновский против Российской Федерации». Бюллетень Европейского суда по правам человека. Российское издание. 2005, №11,
8. Чугунова Е.И. Ерёменко М.С. К вопросу об эффективности исполнения судебных решений по гражданским делам (по материалам 24-й конференции Министров юстиции стран Европы). Защита прав и законных интере сов граждан и организаций: Материалы международной науч-практ. Конф. Сочи: Кубан.гос. унтверситет. 2002. ч.1,
9. Burkhard Hess. Comparative analysis of the national reports. Enforcement agency practice in Europe. 2005,
10. Kennet W.A. The Enforcement of Judgments in Europe. Oxford, 2000.

შალვა ქურდაძე

სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის საერთაშორისო პრინციპები რეზიუმე

აღსრულების საერთაშორისო პრინციპებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რამეთუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ეროვნულ კანონმდებლობაში ასახული დებულებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების ჰარმონიზაცია სააღსრულებო წარმოების სფეროში. ეს კი უთუოდ ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლების და სახელმწიფოს ავტორიტეტის ზრდას და ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის დონის ამაღლებას.

პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაზე. კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება, როგორც სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ინიცირების შესაძლებლობა „სამართლიანი სასამართლოს“ ანუ „სასამართლოს უფლების“ (კონვენციის მე-6 მუხლი) მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. მეორე ასპექტს წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების ხელმისაწვდომობის უფლება, რომელშიც იგულისხმება სასამართლო აქტის იძულებითი აღსრულების პროცედურის ინიცირების შესაძლებლობა. ევროსასამართლოს მიდგომის მიხედვით, სასამართლოს უფლება შესაძლოა დაირღვეს გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებით. ამრიგად, სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობის და მისი გამოყენების პრაქტიკის ფარგლებში აუცილებელია ევროკონვენციის მე-6 მუხლში ასახული პრინციპების დაცვა. სწორედ ამ პრინციპებს შეეხება მოცემული ნაშრომი. ამ პრინციპებისა და ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობა განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას.

Shalva Kurdadze

International Principles of Civil Enforcement Law Summary

International principles of enforcement have a great value. By these principles harmonization of reflected provisions of national legislation and norms of International Law in the field of enforcement proceedings is possible. This helps to increase the authority of judiciary and the state. This helps to increase the level of protection of the rights and lawful interests of individuals and legal entities. First of all attention should be paid to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms.

Article 6 of the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms enshrines the right to a fair trial. According to the practice of the European Court of Human Rights the right of access to justice, as the right to initiate judicial proceedings in civil cases, represent only one aspect of the right to a fair trial. The second aspect is the right of access of the enforcement proceedings. It implies the possibility of initiating procedures for the enforcement of court's act. According to the approach of European Court 'the right' may be violated in case of delay of execution. So it is essential to defend principles which are reflected in article 6 of European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. Research of given problem is actual.

Шишка Роман Богданович

Национальный авиационный университет (г. Киев)

ГРАЖДАНСКО-ПРАВОВАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ В СОВРЕМЕННОЙ ЦИВИЛИСТИКЕ

Одним из проблемных в гражданском праве является различие между деликтным обязательством и гражданско-правовой ответственностью. Здесь живучи старые представления, а новое (положение о ответственности в гражданском праве и гражданско-правовой ответственности как исключительно атрибуте обязательственного права (И.С. Канзафарова)) пробивает себе дорогу с трудом. Противоречие возникло между широким понимаем юридической ответственности (применения санкций к нарушителю юридической обязанности) и её узким пониманием (примененного к нарушителю государственного принуждения и его обязанности претерпевать негативные последствия, которые предусмотрены санкцией нормы права и постановленных судом).

Это произошло вследствие изменения сущности государства и перерастания его в новое качество правового государства (Конституции Украины, 1) отказа от внесудебного правосудия. Так правосудие в Украине осуществляется исключительно судами и делегирование функций правосудия, либо присвоение их иными органами или должностными лицами не допускается (Конституции Украины, ч. 1, ст. 124). Так должно быть в правовом государстве и на таких принципиальных положениях должно осуществляться не только уголовное но и гражданское правосудие.

К сожалению, значительная часть исследователей или глоссаторов положений действующего законодательства о гражданско-правовой ответственности в силу инерции устаревших представлений или неосведомленности это принципиальное обстоятельство упускают и отстаивают широкое толкование гражданско-правовой ответственности чем, фактически, допускают позасудебную ответственность. По крайней мере, они игнорируют основания возникновения гражданско-правовой ответственности, его неизменную составную – государственное принуждение и материально-процессуальные её составные. Априори: гражданско-правовая ответственность – результат накопительного юридического состава, как атрибута обязательственного права, где само нарушение обязательства – его неисполнение либо ненадлежащее исполнение (ГК Украины, 610) порождает либо акцессорное (дополнительное) к договору обязательство либо деликтное обязательство. Последние могут быть выполнены нарушителем (деликвентом) самостоятельно либо принудительно через решение суда и действия Государственной исполнительной службы Украины.

Проблема состоит в отсутствии системного доктринально обоснованного подхода:

- 1) в гражданском законодательстве различия между ними не проведены;
- 2) деликтное обязательство по своему составу приближено к основаниям гражданско-правовой ответственности;
- 3) в большинстве случаев тонкая процессуальная грань между ними упускается (привлечь к ответственности деликвента или субсидиарно ответственное за него лицо может только суд в порядке и на основаниях, которые предусмотрены действующим законодательством. К тому же на этапе привлечения судом нарушителя или ответственного за него лица/лицо возможна и гражданско-процессуальная ответственность, что исключено при выполнении акцессорного или деликтного обязательства;

- 4) исполнить решение о привлечении к гражданско-правовой ответственности может только исполнительная служба, что к тому же связано с дополнительным процессуально-исполнительским бременем для осужденного. В тоже время деликвент или ответственное за него лицо могут добровольно выполнить решение суда.

Закон предполагает возложение гражданской ответственности только при наличии достаточных условий по модели полного или в некоторых случаях усеченного состава (возмещение вреда, причиненного источником повышенной опасности которое наступает без вины и даже без неправомерности причинителя).

Речь идет об интегративных материально-процессуальных основания деликатного обязательства, а рамках неюрисдикционной формы и гражданско-правовой ответственности в рамках юрисдикционной формы. Различие лишь в том, что первое реализуется вне юрисдикционной формы и на основании примирительных (медиативных) процедур, которые, к сожалению, прописаны и разработаны недостаточно, второе – только судом в порядке гражданского судопроизводства.

Наиболее проблемным в этом смысле есть перерастания деликтного обязательства в гражданско-правовую ответственность. До сих пор убедительного ответа на сей вопрос не дано. Представляется, что виной тому определенная разобщенность материалистов и процессуалистов. Как ни странно практикующие юристы-ученые, особенно судьи этими вопросами не занимаются или они их мало волнуют. Теоретики считают это самим собой разумеющимся и тоже абстрагируются от решения этого принципиального вопроса. Законодатель не готов слушать ни тех ни других.

Преимущественно данный вопрос решался путем преобразования условий возникновения деликтного обязательства в основания гражданско-правовой ответственности. Соответственно возникло терминологическое расхождение, в которое мало кто вникал: достаточно посмотреть национальные и зарубежные учебники по гражданскому праву, где условия деликтного обязательства и гражданско-правовой ответственности преимущественно сводятся к её основаниям. Это не соответствует сущности деликтного обязательства как обязанности деликвента возместить причиненный ущерб и гражданско-правовой ответственности как разновидности государственного принуждения не только возместить принудительно такой ущерб, но и понести дополнительные расходы, которые предусмотрены процессуальным и исполнительным производствами.

Учитывая указанное, предлагаем свое видение решения этой сложной проблемы за счет включения дополнительного обязательного элемента для возникновения гражданско-правовой ответственности и перерастания деликтного обязательства в такую, по существу. Для перерастания деликтного обязательства в гражданско-правовую ответственность необходимо еще одно обязательное условие, которое по юридической природе является накопительным юридическим составом, а именно судебное решение о привлечении к гражданско-правовой ответственности. В него входят следующие факты :

- 1) отказ деликвента от добровольного исполнения основного и/или деликтного обязательства или прострочка их выполнения. При этом этот элемент может отсутствовать , поскольку потерпевший вправе напрямую без заявления требований (претензии, заявления) к деликвенту или ответственным за него лицам обратиться с иском в суд. На этой стадии требуется заявление потерпевших или их представителей об исполнении таких требований. Это может быть в форме претензии особенно к де-

ликвентам – юридическим лицам, которые отягощены требованиями платежной дисциплины: могут её удовлетворить лишь по формальным требованиям (заявлении, претензии) и обоснованно списать со своего счета на счет пострадавшего заявленные обоснованные требования. При возмещении убытков в деликвента – юридического лица должна быть формальное основание : а) обоснованный подтвержден товароведческой экспертизой или иными документами размер возмещения; б) письменное обращение, которое может быть удовлетворено в установленном порядке. Это позволяет сторонам избежать судебных расходов, волокиты и других неудобств судебного рассмотрения спора;

2) обращение потерпевшего или других уполномоченных на это лиц в суд с иском о привлечении к гражданско-правовой ответственности . Эта стадия имеет принципиально важное значение и свидетельствует о намерении истца перевести свое требование в публично-правовую плоскость, а чисто частный конфликт – в ранг судебного спора и применить возможности государственного аппарата принуждения;

3) принятие решения о принятии дела к производству и/или применения мер по обеспечению иска, в частности запрет на отчуждение имущества , наложение ареста на счет ответчика . Собственно с этого момента начинается государственное принуждение в отношении нарушителя, который может быть нами назван как превентивное принуждение . Его последствия могут побудить к выполнению акцессорного обязательства но уже как следствие действия двух взаимосвязанных факторов: требования истца в виде иска и решения суда о частичном удовлетворении требований об обеспечении иска;

4) вынесение судом решения о привлечении к гражданско-правовой ответственности по установлению им её размера, формы и ответственного лица /лиц . Таким решением истец ставится под государственную защиту и его требование к ответчику усиливается за счет: обязанности ответчика случае вступления решения в силу его выполнить, суд выдает копию судебного решения ответчику ; ответчик может заявить еще раз требование ответчику или ответчик самостоятельно его выполнить; передать его государственной исполнительной службе;

5) вступление решения о привлечении к гражданско-правовой ответственности в силу. Пока решение опротестовано и находится на рассмотрении в апелляционной или кассационной инстанциях, оно не вступило в силу;

6) отказ осужденного ответчика от добровольного исполнения назначенных судом санкции. Обычно тем злоупотребляют ООО, заранее рассчитывая что их уставного фонда для погашения требований кредиторов недостаточно , или лица , которые формально не имеют зарегистрированного на себя имущества или средств;

7) передача судебного решения в исполнение органа Государственной исполнительной службы и открытия искового производства;

8) принудительное исполнение решения о привлечении к гражданско-правовой ответственности органом Государственной исполнительной службы.

Следует иметь ввиду, что до момента вынесения судебного решения по существу о привлечении к гражданско-правовой ответственности стороны могут заключить мировое соглашение или истец отказаться от иска, изменить цену иска. Однако процессуальные последствия по уплате судебной пошлины и информационного обеспечения остаются.

Напротив, при переводе деликтного обязательства в гражданско-правовую ответственность обычно для ответчиков наступают дополнительные последствия по возмещению истцу расходов на защиту своих субъективных прав: пошлины за подачу иск , информационных затрат, расходов на правовую помощь и т.д. Кроме того, при затягивании с исполнением решения суда на него дополнительно приходится расходы на принудительное исполнение решения суда Государственной исполнительной службой.

На наш взгляд такое решение является материально и процессуально обоснованным и позволяет четко различать где акцессорное или деликтное обязательство, а где гражданско-правовая ответственность.

რომან შიშკა

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თანამედროვე ცივილისტიკაში რეზიუმე

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი სერიოზული თემა პასუხისმგებლობის პრობლემაა სხვადასხვა დელიქტური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევებში.

პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ასევე, საერთაშორისო სამართლის ნორმებიც.

უკრაინის კანონმდებლობა, მათ შორის კონსტიტუციაც, აღიარებს საერთაშორისო ნორმატიული ხელშეკრულების უპირატესობას კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემთხვევაში.

უკრაინის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული დელიქტებს აფასებს და იხილავს სასამართლოები, რომელთა გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა ხდება უკრაინის სააღსრულებო სტრუქტურების მიერ.

სტატიაში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება უფრო სრულყოფილს გახდის მოქმედ ცივილისტიურ კანონმდებლობას დელიქტური პასუხისმგებლობის სფეროში.

ROMAN SHISHKA

CIVIL-LEGAL RESPONSIBILITY IN THE MODERN CIVILISTICS

Summary

One of the serious issues of the civil law is the problem of responsibility in cases of different delictive situations.

Both the national legislation and international law norms also assist to the problem solution.

The Ukrainian legislation including the constitution recognizes the international normative agreement priority in comparison with the constitution.

Taken into consideration the delicts based on the Ukrainian legislation is estimated and discussed by the courts as their decisions' provision is made by the Ukrainian administrative organ.

The consideration of the formed recommendations in the article will make the present civilistics legislation more complete in the delictive responsibility sphere.

ბესიკ ალადაშვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

„ეკონომიკური“ და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთი ასპექტი

ნებისმიერი საერთაშორისო ეკონომიკური პროექტი, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს ან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და უზრუნველყოფდეს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის. საქართველოს ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს ეკონომიკურ გლობალიზაციაში აქტიური მონაწილეობის პირობებში ეროვნული ინტერესების მაქსიმალურ დაცვა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის უმეტეს დარგებში სერიოზულ ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, საქართველოსათვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც შეძლებდა ქვეყნისათვის ახლი ტექნოლოგიების და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარება, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორცაა ნედლეულის მოპოვება და გადამამუშავება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საზღვაო პორტები და აეროპორტები), ტურიზმი (სასტუმროები), სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოება და მრეწველობის სხვა დარგები. ამავე დროს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე არაოპტიმალური და გადამეტებული დამოკიდებულება ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკას გლობალური პრობლემებისადმი უფრო დაუცველს ხდის.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე არაოპტიმალური დამოკიდებულების პოტენციური საფრთხეები: ნებისმიერი ქვეყნისათვის უცხოური ინვესტიციის მოზიდვა ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ ამავედროულად არ უნდა შეილახოს ეროვნული ინტერესები. ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივი შიდა ინვესტიციების მოზიდვას. აუცილებელია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ოპტიმალურად იზრდებოდეს მშპ-ს თან მიმართებაში, რათა არ მოხდეს ეროვნული ეკონომიკის გადამეტებული დამოკიდებულება უცხოურ ინვესტიციებზე.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ეროვნული ეკონომიკის არაოპტიმალური დამოკიდებულება შემდეგი პოტენციური საფრთხეების შემცველია:

1. უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირება, ფულადი გზავნილების კლებასთან ერთად, მნიშვნელოვნად აღრმავებს ქვეყნის საგადაამხდელო ბალანსის დეფიციტს, რისთვისაც, ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიზნით, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების გამოყენება უხდება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს სავალუტო რეზერვების მოცულობას;

2. ზემოაღნიშნულის გამო მნიშვნელოვნად იზრდება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემის საფრთხე;

3. უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების შედეგად იკლებს ფულის ბაზრის მოცულობაც, რაც თავის მხრივ ქვეყანაში შიდა მოთხოვნის მასშტაბების გათვალისწინებით შეამცირებს იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების მოცულობებს;

4. უცხოური ფინანსური სახსრების ნაკადების კლების შედეგად ადგილობრივი ბანკები ვერ ახდენენ ეროვნული ეკონომიკის სათანადო დონეზე დაკრედიტებას, რაც ეკონომიკური ზრდის შემდგომ შეფერხებას შეუწყობს ხელს;

5. ეკონომიკური ზრდის შეფერხება უმუშევრობის ზრდის პროვოცირებას და სოციალურ დაძაბულობას იწვევს;

6. უმუშევრობის შედეგად მკვეთრად მცირდება მოგების, საშემოსავლო და სხვა გადასახადებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობებიც, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის კლებას და ბიუჯეტის დეფიციტს იწვევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სერიოზული ეკონომიკური საფრთხის შემცველია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქვეყანა უპირატესად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეა ორიენტირებული და ნაკლები ყურადღება ეთმობა ეროვნული კაპიტალის ზრუნვის ხელშეწყობას და განვითარებას. ამიტომ ადგილობრივი ინვესტორების მხარდაჭერა ხელისუფლების პრიორიტეტული ამოცანა უნდა იყოს.

ხომ არ იქცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები „ტროას ცხენად“?

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ კრიტიკული იყო. მიაჩნდათ, რომ ეკონომიკური და სავაჭრო ინტერესების მიღმა ყოველთვის რომელიმე ქვეყნის შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნები იმალებოდა და ინვესტიციები გამოყენებული იქნებოდა, როგორც ზემოქმედების იარაღი. მაშინ გავრცელებული გამოთქმით „კაპიტალს ყოველთვის მოჰყვებოდა დროშა“, ანუ ინვესტორი ცდილობდა პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცია ინვესტიციების მიმღები ქვეყანა.

ზემოაღნიშნულ შიშს გარკვეულწილად აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ იმ პერიოდში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შემდგომში აშშ-ი) საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია დაუფარავად ისახავდა მიზნად სხვა ქვეყნების სანედლეულო წყაროების, სატრანსპორტო არხების და გასაღების ბაზრების ხელში ჩაგდებას. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია.

ამ პრობლემისადმი განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტებიც. რამდენიმე წლის წინ აშშ-ის კონგრესმა ნება არ დართო აღმასრულებელ ხელისუფლებას, ქვეყნის ექვსი საზღვაო პორტი ათი წლის მართვის უფლებით უცხოელი ინვესტორისთვის, კერძოდ კი აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის, საუდის არაბეთის ერთ-ერთი ფირმისთვის გადაეცა. ამის შემდეგ აშშ-ში მიიღეს კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ და შექმნეს უცხოური ინვესტიციების კონტროლის სპეციალური საბჭო. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რომ ამ საბჭოს შემადგენლობაში ქვეყნის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორები არიან შეყვანილნი. ევროკავშირიც უფრო ამკაცრებს საინვესტიციო პოლიტიკას, რათა უცხოეთის (უპირველესად

კი რუსეთის) ენერგეტიკულმა მონოპოლისტმა კომპანიებმა, რომელთა უკან ყოველთვის სახელმწიფო ინტერესები იმალება, ხელში არ ჩაიგდონ ევროპის ბაზრები.

ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე „აგრესიული პრივატიზაციის პროცესი“ ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროდ იყო ქცეული. თუმცა ამ მნიშვნელოვანი პროცესის სწორად წარმართვისას, ეროვნული ინტერესების თუნდაც მინიმალურ დონეზე გათვალისწინებას და პრივატიზების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

სათანადო შესანავლას მოითხოვს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების შემოსვლა საქართველოს ეკონომიკაში, ვინაიდან ამ დროს ძალიან ძნელია, ზოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელი იმის გარკვევა, თუ რომელი სახელმწიფო დგას ამ კაპიტალის უკან. „უცნობმა და მტრულმა ინვესტიციამ“ შეიძლება მნიშვნელოვნად შეარყიოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტი, რისი საფრთხეც დღეს ჩვენს ქვეყანაში უალრესად დიდია.

„ავისტოს ომის“ შედეგად გაუარესებული საინვესტიციო მდგომარეობა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პრობლემები შესაძლებელია კიდევ ერთ საფრთხის მაპროვოცირებელი გახდეს. საქართველოს ეკონომიკა ავისტოს მოვლენების შემდგომ ინვესტიციურ „შიმშილს“ განიცდის და ამ პირობებში საქართველოსთვის არახელსაყრელი საპრივატიზაციო გარიგების გაფორმების საშიშროება ძლაზე რეალურია.

სამწუხაროდ, ჩვენთან ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები, კვლავ თვითდინებაზეა მიშვებული: სტრატეგიული ობიექტები ისე იყიდება, რომ სიღრმისეულად არ ხდება უცხოელი ინვესტორების რეალური ინტერესების შესწავლა. ამის მაგალითია თუნდაც საქართველოს ოქროს საბადოების დამუშავების საკითხი. დღემდე დაუდგენელია, თუ რომელი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება კვიპროსის ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ოქროს მომპოვებელი კომპანია და სხვა.

გლობალიზაციის პროცესში და რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის ხელისუფლება განსაკუთრებით ყურადღებით და ფხიზლად უნდა იყოს მრავალმხრივი ეკონომიკური საფრთხეების მიმართ და უკვე მომხდარ მოვლენების შემდგომ კი არ უნდა რეაგირებდეს, არამედ წინასწარ უნდა ჰქონდეს დამუშავებული მოვლენათა შესაძლო განვითარების სიტუაციური მოდელები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალადაშვილი ბ. „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, თბ.; 2011.
2. ჰერსტი ჰ. ტომპსონი გ. „გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი“, თბ.; 2005.

ბესიკ ალადაშვილი

„ევროინტეგრაცია“ და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთი ასპექტი რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორმაგ ბუნებას ეკონომიკური გლობალიზაციისა და ევროინტეგრაციის პირობებში,

ნაშრომში აღნიშნულია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე არაოპტიმალური და გადამეტებული დამოკიდებულება ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკას გლობალური პრობლემებისადმი უფრო დაუცველს ხდის.

ავტორის მიერ გაანალიზებულია ეროვნული ეკონომიკის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე არაოპტიმალური დამოკიდებულების შედეგად პროვოცირებული სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეები.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ გლობალიზაციის პროცესში და რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნის ხელისუფლება განსაკუთრებით ყურადღებით და ფხიზლად უნდა იყოს მრავალმხრივი ეკონომიკური საფრთხეების მიმართ და უკვე მომხდარ მოვლენების შემდგომ კი არ უნდა რეაგირებდეს, არამედ წინასწარ უნდა ჰქონდეს მოვლენათა შესაძლო განვითარების სიტუაციური მოდელები დამუშავებული.

Besik Aladashvili

‘Euro Integration’ and One Aspect of National Economic Safety

Summary

The article deals with one of the most important fields of the national economic security: The dual nature of direct foreign investment in economic globalization and European integration conditions.

The article points out that nonoptimal and excessive reliance on the direct foreign investment makes it more unprotected from the global problem of the national economy.

The author analysis provoked social and economic threats on direct foreign investment in the national economy as the result of nonoptimal reliance.

The author concludes that the authorities being in the process of globalization and the complex geopolitical environment need to be attentive and vigilant against threats of multilateral economic and should not react to the happened events afterward but they should have worked out the situational models for possible development of events in advance.

მედია გოცირიძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

განათლება თუ ცოდნა – ახალი რეალიზი

თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება: იკვეთება ახალი კონტურები, იშლება ძველი. ფუნდამენტალურ ცვლილებებს განიცდის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. ქვეყნის სიმდიდრის საფუძველი ხდება არა ბუნებრივი რესურსები, არამედ მაღალგანვითარებული ადამიანური რესურსები. XXI საუკუნეში კაპიტალის მთავარ ფორმას წარმოადგენს არა ფული, არამედ ცოდნა. ცოდნა ადამიანის და ნებისმიერი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ინტელექტუალური აქტივები ფასდება უფრო ძვირად, ვიდრე მატერიალური.

საინფორმაციო ტექნოლოგიებში – ITC და საინფორმაციო სისტემებში – MIS რევოლუციურ წარმატებებთან ერთად, სულ უფრო მეტად იკვეთება ცოდნის დეფიციტი. ტექნოლოგია უშუალოდ ეხება ცოდნის სფეროს, მოითხოვს ადეკვატურ ცვლილებებს. ჩქარდება “technology”-დან “teknowlegy”-სკენ გარდაქმნის პროცესი.

„ცოდნის“ ცნების განსაზღვრა იყო და რჩება სადისკუსიო პრობლემად. ჩვენ შევხებით არა ცოდნის ძირითად ფილოსოფიურ კონცეფციებს [დასავლური, ინდური, ჩინური], არამედ თანამედროვე ეკონომიკის პოზიციებიდან ცოდნის არსის, განათლებისა და ცოდნის კავშირის, ცოდნის შექმნის, დაგროვებისა და გამოყენების, განათლების ეფექტიანობის საკითხებს.

XXI საუკუნის „მენჯემენტის“ თეორიასა და პრაქტიკაში „ინფორმაციების მართვა“ თმობს წამყვან პოზიციებს და მას „ცოდნის მართვის“ დისციპლინა იკავებს.

ბოლო ათწლეულში საქართველოში ლიბერალური ბაზრის შემოჭრას თან მოჰყვა ანარქია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მკვეთრად დაეცა განათლების ხარისხი, მასშტაბური მნიშვნელობა მიიღო არასაჭირო განათლებამ [unnecessary education], როდესაც მიღებული განათლება არ შეესაბამება საჭირო ცოდნას.

ცოდნა არის მიზანდასახული კოორდინირებული ქმედება, მისი ერთადერთი მტკიცებულება და დემონსტრირების ხარისხი. ცოდნა არის მიზნის მიღწევა. ცოდნა პასუხობს კითხვას – რატომ? რატომ მივიღე განათლება?.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მენჯემენტი პასუხობს კითხვებს – რა? და როგორ? – რა სპეციალობის განათლებას ვიღებ, როგორი პროგრამით და ინფრასტრუქტურით. საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად ორიენტირებულია სპეციალისტზე, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში სჭირდება უმაღლესი განათლება.

რატომ? რა? როგორ? – საგანმანათლებლო სისტემის ორგანული ნაწილებია და ამგვარად, აუცილებელია ერთიანი, სისტემური მიდგომა და მართვა.

პოსტინდუსტრიალურ ეპოქაში სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა სამუშაო ძალის ტრანსფორმაცია „ცოდნის“ მქონე სამუშაო ძალად. სხვაგვარად შეუძლებელია დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის ვარდნის პროცესი ნაკლებად შეეხო იმ დარგებს, რომლებიც ცოდნაზე იყო ორიენტირებული.

განათლების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებიდან ძირითადია ცოდნაში განათლების ტრანსფორმაციის ხარისხის კრიტერიუმი, რადგანაც იგი გამოხატავს მიღებული განათლების გამოყენების ეფექტიანობას.

ცოდნა მრავალი სახისაა. თანამედროვე მეცნიერებაში გამოყოფენ 5 სახეობის ცოდნას:

1. მაკრო-მიკრო ცოდნა. მაკროდონის ცოდნა უზრუნველყოფილია სახელმწიფო საგანმანათლებლო რესურსებით, რადგანაც იგი გამოხატავს საზოგადოების ან კულტურის განვითარების დონეს და მისი ფლობა აუცილებელია მთელი საზოგადოებისთვის. თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებისთვის წიგნიერება და მათემატიკის საფუძვლები მაკროდონის ცოდნას მიეკუთვნება. სპეციალური ცოდნა, რომელსაც ფლობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, მიკროდონის სახეობას მიეკუთვნება. ნებისმიერი სტრუქტურის ჩამოყალიბება და გარე სამყაროში მისი წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოითხოვს ფუნდამენტალური დონის მაკროცოდნას. ამასთან, მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება უზრუნველყოფილი იქნება მიკრო ცოდნით. ამგვარად, საჭიროა მაკრო და მიკრო ცოდნის მუდმივი შეთანაწყობა.

2. ჩაშენებული-განცალკევებული [built-in, stand apart]. ჩაშენებული ცოდნა პროდუქტის ან მომსახურების ერთერთი ძირითადი კომპონენტია. განცალკევებული ცოდნა შეიძლება არსებობდეს ცალკე, დამოუკიდებლად პროდუქციისგან და მომსახურებისგან. იგი გამოიყენება მათგან დამოუკიდებლად. მაგალითად, კონკრეტული პროგრამის თეორიული ცოდნა (განცალკევებული) და მისი კომპიუტერში ჩატვირთვის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება (ჩაშენებული ცოდნა)

3. საბაზრო-არასაბაზრო ცოდნა. ცოდნის ეს სახე გვიჩვენებს, გააჩნია თუ არა ცოდნას რაიმე ღირებულება ბაზარზე. ძირითადად, მიკრო დონის ცოდნა საბაზრო ღირებულების მატარებელია, განსაკუთრებით, როცა იგი ჩაშენებულია პროდუქტში ან მომსახურებაში. მაკრო დონის ცოდნას ან განცალკევებულს გააჩნიათ მუდმივი ღირებულება. ცოდნის ზოგიერთი სახეები, მაგალითად, ოპერაციული სისტემები ან ფუნდამენტალური მეცნიერული ცოდნა, რომელიც გამოიყენება საცდრლ – საკონსტრუქტორო სამუშაოებებისთვის, არ წარმოადგენენ საბაზრო კატეგორიებს ტრადიციული გაგებით, მაგრამ, მათ არანაკლები და ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული ორგანიზაციისთვის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკისთვის.

4. პერსონალური-ჯგუფური ცოდნა. პერსონალური ცოდნა დამახასიათებელია ცალკეული ადამიანისთვის, რომელსაც იგი გამოიყენებს ამოცანის გადასაწყვეტად. ჯგუფურ ცოდნას ფლობს ადამიანთა ჯგუფი. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს პერსონალური და ჯგუფური ცოდნის შეთანაწყობა, მათი ერთიან სისტემაში მოქცევა.

5. გადაცემადი-არაგადაცემადი. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რა დონით შეიძლება ერთი ადამიანის ცოდნის გადაცემა მეორეზე და ამ უკანასკნელს რა ეფექტით შეუძლია მისი გამოყენება.

ცოდნის კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ცოდნაში განათლების ტრანსფორმაციის მიმართულებები, რასაც ცოდნის ტრანსფორმაციის პროცესია: ცოდნის შექმნა, მართვა, გამოყენება. ამ პროცესის ძირითადი თეზაა – თანამედროვე სამუშაო პერსონალს სჭირდება უფრო ფართო მასშტაბის განათლება ვიდრე კონკრეტული სამუშაო სპეციალიზაციაა.

ცოდნა რეგულაციური შინაარსის მატარებელია და ამიტომ მისი სასიცოცხლო ციკლი ხანმოკლეა. ცოდნა სწრაფად ბერდება. პერმანენტული სწავლება წარმოადგენს მის ძირითად აქტივს. განვითარებულ ქვეყნებში ტრეინინგების ინსტიტუტი ცოდნის მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დასაქმების პოლიტიკაში აქცენტი გადატანილია უფრო მომზადება-გადამზადებაზე, ვიდრე ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და შემოსავლების დონის შენარჩუნებაზე. შრომის ბაზარზე სირთულეები ძირითადად, დაკავშირებულია სამუშაო ძალის მომზადებასთან, რაც სახელმწიფო რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

აშშ-ში ტრეინინგებზე განეული ხარჯები წელიწადში 100 მილიარდ დოლარს აღემატება. ტრეინინგების ინსტიტუტი განსაკუთრებით განვითარებულია იაპონიაში. შრომის ბაზრის სტრუქტურა თავის მხრივ ზემოქმედებს სწავლებაზე. პროფესიული ბაზარი კვალიფიციურ მუშაკებს სტიმულს აძლევს შეიცვალოს სამუშაო ადგილი, წარმატება მიაღწიოს კარიერაში, არ შემოიფარგლოს ერთი დამკირავებელით და მიიღოს დასაქმების გარანტია.

სწავლება და გადამზადება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მართვის ორგანული ნაწილია და მის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს.

სწავლება – სისტემატური პროცესია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციების მიერ თანამშრომელთა ცოდნის განვითარებისთვის, რათა გაიზარდოს მათი როლი ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში. სწავლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიერ.

სწავლების მენეჯმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. სწავლებაზე მოთხოვნის ანალიზი
2. სწავლების განხორციელება
3. სწავლების შეფასება:
4. მსმენელთა შეფასება
5. სწავლების დონის შეფასება
6. სწავლების გამოყენების ხარისხი და შედეგები

ტრეინინგები მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონის ყველა თანამშრომელს. თანამედროვე ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მობილურობისა და როტაციის მაღალი დონე. როტაციის მაღალი დონე მოითხოვს ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაფართოებას, რასაც უზრუნველყოფს ტრეინინგები.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგია დაფუძნებული უნდა იყოს 21-ე საუკუნის ეკონომიკაში მიმდინარე ფუნდამენტურ ცვლილებებზე.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ფუნდამენტალურად ცვლის ეკონომიკურ საქმიანობას. 21-ე საუკუნე ახალი ქსელური ეკონომიკის ეპოქაა. მომავალში თანამედროვე ცოდნა ამ სფეროში გამოუსადეგარია.

ტრადიციული ეკონომიკური მეცნიერების მრავალი ასპექტი მიუღებელი ხდება ქსელური ეკონომიკისათვის.

ახალი ეკონომიკა ახალი წესებით მოქმედებს. მათ შორის ძირითადია ახალი წესები ახალ ეკონომიკაში [New Rules for the New Economy, Kelly, 1998]:

1. მოიცავით მასა.

ქსელური მართვა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ცენტრალიზებული. ავტონომიური სტრუქტურების ავტონომიური ქსელი ახალი ეკონომიკის საფუძველია.

2. მზარდი უკუგება.

ახალი ეკონომიკა ფუნქციონირებს მზარდი უკუგების კანონით და არა „კლებადი სარგებლიანობის კანონით“.

3. სიჭარბე და არა დეფიციტი.

ახალი ტექნოლოგიები ქმნის სიჭარბეს და არა დეფიციტს.

ახალი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელია შესაძლებლობის მაქსიმიზაცია და არა მოგების მაქსიმიზაცია.

4. უზრუნველყავით უფასო მოხმარება.

სიჭარბეზე ორიენტირებული ეკონომიკის საფუძველია – უფრო კარგი უფრო იაფია, ყველაზე კარგი – ფაქტიურად უფასო.

5. უზრუნველყავით ქსელი პირველყოვლისა.

ქსელის უარყოფა ნიშნავს თვითმკვლელობას.

6. დათმეთ მწვერვალები.

ნუ დაელოდებით ჩავარდნას, წინასწარ შეიცვალეთ მდგომარეობა, გადადით ახალ ადგილზე. „შემოქმედებითი ნგრევა“ შემოქმედების ნაწილია. დააფუძნეთ ახალი ძველში ცვლილებების შეტანის ნაცვლად.

7. ტერიტორიალური ადგილიდან სივრცისკენ.

ტერიტორიალური სიახლოვე, გეოგრაფიული ადგილის აღქმა იცვლება სივრცის შეგრძნებით – სადაც გინდა, როგორც გინდა.

8. არავითარი ჰარმონია, ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია.

ქაოსის ჰარმონია ნიშნავს – სირთულეები უნდა განვითარდეს და არა დამკვიდრდეს.

9. ურთიერთობის ტექნოლოგია.

ურთიერთობათა განვითარება წარმოადგენს მთავარ ეკონომიკურ მოვლენას. ურთიერთობების უზრუნველყოფა ნებისმიერ ორგანიზაციაში მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველია. წარმოება და მოხმარება ერთიანდება ეკონომიკურ პროცესში: “prosuming” [წარმოება და მოხმარება ერთდროულად].

ურთიერთდამოკიდებულება ახალი ეკონომიკური ფენომენია. მის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთნდობა, რაც თავისუფალი ბაზრის საფუძველია.

10. უფრო მეტი შესაძლებლობები, ვიდრე ეფექტიანობაა.

შესაძლებლობა სიმდიდრის წყაროა. უფრო კარგია არაეფექტიანად დავნერგოთ სიახლეები, ვიდრე ეფექტიანად გადავწყვიტოთ მოძველებული სტანდარტული ამოცანები. ეფექტიანია ახალი შესაძლებლობების ფორმირება და არა არსებულის ოპტიმიზაცია. ამიტომ, მწარმოებლურობა კლასიკური გაგებით მცდარ მიზანს წარმოადგენს ახალ ეკონომიკაში ამოცანების გადასაწყვეტად. ახალი ეკონომიკა შესაძლებლობების ეკონომიკაა. მაღალი მწარმოებლურობა არასაჭირო სამუშაოების შესრულების დროს ბევრად უფრო ცუდია, ვიდრე დაბალი მწარმოებლურობა საჭირო სამუშაოების შესრულების დროს.

21-ე საუკუნის ახალი ეკონომიკის წესები შინაარსობრივად ცვლის განათლების ეფექტიანობის შეფასების მოდელს. განათლების ეფექტიანობის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მომენტები: პრომისა და სამუშაოების რეინტეგრაცია.

შრომის დანაწილებიდან შრომის რეინტეგრაციისკენ. განათლების იზოლირება ამ პროცესებიდან და მისი ღრმა სპეციალიზაცია იწვევს მის დაკარგვას.

„მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის მოხსენებაში“ საქართველომ ადამიანური კაპიტალის განვითარების მიხედვით 2013 წელს მსოფლიოს 122 ქვეყანაში 77-ე ადგილი დაიკავა, განათლების ხარისხის მიხედვით 90-ე ადგილი, განსაკუთრებით მათემატიკისა და მეცნიერების მიმართულებით – 89-ე ადგილი და მენეჯმენტის სკოლებში – 94-ე ადგილი, ტალანტის აღმოჩენის მიხედვით – 84, შენარჩუნების მიხედვით – 78, ინოვაციების ნიჭში – 107-ე ადგილი, ტრენინგ – სერვისების მიხედვით – 114-ე ადგილი.

ეს კატასტროფული მაჩვენებლებია, რაც პირველ ყოვლისა, მენეჯმენტის უაღრესად დაბალი დონის შედეგია საერთოდ და კერძოდ, განათლების დარგში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Drucker, P. F. The New Realities, Jxford, 1998
2. Zeleny, M. Knowledge as a new form of capital, 2009
3. Милан Желены, Знание против информации, Санкт-Петербург 2010
4. Морген Витцель, Знание, определения понятия, Санкт-Петербург, 2008

მედია გოცირიძე

განათლება თუ ცოდნა – ახალი რეალიები რეზიუმე

გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნების წარმატების საფუძველს წარმოადგენს ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ფუნდამენტური პრობლემა ადამიანური რესურსების გამოყენებისა არის სამუშაო ძალა. ეს პრობლემა პირდაპირ არის დაკავშირებული ეფექტიან განათლებასთან.

სტატია განიხილავს ცოდნის თანამედროვე სტრუქტურას. ახალი ეკონომიკის კლასიფიკაციის წესებს და მის კავშირს ეფექტიან განათლებასთან.

Medea Gociridze

Education or Knowledge – New Realities Summary

In the era of globalization the base of the countries success is the effective use of human resources. The fundamental problem in using human resources is the labor force. This problem is directly linked to the effectiveness of education.

The article discuss the contemporary structure of knowledge classification, the rules of the new economics operation and its relation to education effectiveness.

Rika Vaiginiene

Head of academic division, Vilnius University

LITHUANIA'S PATH TOWARD EUROPEAN UNION

I would start with the idea that Lithuania's integration in the European Union was supported by the majority of its population. It was the choice of not only Lithuanian elites but also of the whole community of this nation. At the same time, people historically supported Western direction in a way which on its first stages was governed not by the fillip of improving its own economic conditions but was led by historical, cultural (back to Europe) and political (stay away from the Soviet Union) reasons.

It were these kind of population sentiments that determined further economic policy of Lithuania. Privatization of the state property was carried out very fast, starting from multiple dwellers and finished by huge enterprises. The most liberal regime of foreign trade was introduced. It was very swift and overwhelming transformation.

It is true, its results in the first years were not unambiguous. The point is, liberation of economics triggered vacuum of its regulation and as a result some elements of chaotic development took place. This situation was overcome with the help of the direct efforts of the European Union.

When the point of development was shifted from historical and cultural dimension of Lithuania's integration in the European Union to purely economic and legal spheres, it turned out that the country was not ready for that. There were too many things to be changed and Lithuania was to be attached to the system of economic regulations and had to play according to the rules that were effective in the EU.

Mastering of European legal procedures and standards turned out not so easy task. Problems emerged in the enterprise, trade and other sectors of national economy. Naturally, changes touched also individuals. I mean the culture of doing business and labor relations. However, it was a firm understanding in Lithuania that without solving these issues integration with the West would be impossible. With the help of the European Union new mandatory economic and legal standards were adopted and implemented.

But economic integration in the European Union did not mean mastering of fundamentally new regulations, legal rules, standards and procedures only. What was needed was turning Lithuania's economy orientation from the East to the West that means manufacture of products and services meeting the interests of the European market.

Today Lithuania carries out export of its products primarily to the West. At the same time, export of its commodities going to the East is of the same standards and quality.

Export and import of Lithuania with the European Union member-states is experiencing high growth and increases by roughly 20% per year. This country is more and more included in the international division of the workforce.

Overall, impressive digital date of economic development of Lithuania was an end result which was achieved by Lithuania by dint of steadfast and purposeful efforts. "The most important among them was avoidance of Lithuania's economy and politics being taken by influential groups. To make it short, transformation is over but further road is full of mandatory changes. What was possible to achieve by liberal reforms we have already reached and started to tackle problems that are typical for the model of Western economy itself.

We have to non-stop mull in order to make our industrial potential permanently competitive. Here we have no ready recipes, each enterprise has to look for its own solutions.

In Lithuania there is a situation whereby people are used to success and will hardly get used to new difficulties. The ‘Western illness’ when rise in standard of living is a foregone conclusion started to spread. But this is not the case.

The biggest challenge for Lithuania and its citizens is the necessity to be cognizant that to live well one not only should be able to work in a constantly changing highly competitive environment, but this should be a must.”¹⁴

However, let us go back to the years past. Negotiations between the European Union and Lithuania were over in 1995 and a process for preparation of the EU membership was launched. But it was not very easy process. “In 1997 we were not included in the list of candidates for EU membership. Only after this started a real and very prompt process of active adaptation with European integration and standards.

This process of forced adaptation continued for 5 years. By the year 2002 all important legislative, normal procedures and technical rules which corresponded to European standards were adopted, put in force and implemented.

Indeed, Lithuania appeared to be able to cope with this process in 5 years. The same average time span of 5 years was provided for Georgia according to the Association Agreement. This experience of Lithuania and the Baltic states should be useful for Georgia.

The most important among them is consensus on the necessity of European integration prevailing among the acting political forces of the country. This situation has been shaped up in Lithuania since 90-ies of the last century, in the wake of the dissolution of the Soviet Union when position of political forces in the movement towards Europe was shared by vast majority of the population. If on first stage ‘Return to Europe’ was considered as a historical event and cultural and mental value, later on drive to Europe became a tool of economic benefits. Lithuanian politicians were in a position to assure population and their voters that being part of Europe had no alternative and the best way for development and security of their nation.

It is the support of this kind from population and the society at large that facilitated creation of a strong government center that ensured economic transformation of all sectors of the country in 5 years.

The result of this was growth of Lithuania’s GDP in 2003 by more than 10%, in 2004 – by 7,3%, in 2005 – by 7,6%, in 2006 – by 7,7%, in 2007 – by 8% a created a reality of making

Remigius Shimashius, President, Institute of Free Market of Lithuania an economic stride along with other ‘Baltic tiger’ countries. In the same period economic data of exports and imports with Europe were rising every year by 20%. Therefore, we can conclude that in reality Lithuania was creating products corresponding to the competitive quality and standards of the European market.

At the same time every year the volume of foreign including American investments was on the rise by 10% used basically for the expansion of industrial potential and deployment of the state-of-the-art technologies.

The most important role in Lithuania was played by the banking reform carried out in 1997. **The majority of banks in the Baltic states were represented by noted international financial agencies. The share capital of international entities in the Lithuanian banking sector amounts to 97%.** This facilitated benevolent condition for expansion of the business sector. Due to low-interest loans conditions for modernization of several leading fields and enterprises that provided practical results were met, and soon commodities manufactured at these enterprises in Lithuania gained demand on the European market.

Development of sound economic processes in the environment of right monetary policy and strong currency naturally have begotten rise in the parameters of the standard of living which in a way overcame rate of GDP growth. If in 2004 average revenues of the population as compared with general European level ran up to 40% of this level, in the later 5 years it amounted to 55% of this aggregate.

Positive tendencies developed in tackling unemployment. If in 1997 unemployment rate was 20%, in 2003 it decreased to 12%, and in 2006 this rate was less than 5%. As a result of the improvement of the date in this direction, after becoming members of the European Union Lithuanians were provided the opportunity to export the workforce.

Achievement of the above-mentioned economic well-being parameters was not easy. It is difficult to single out any of the time spans during these 5 years. The most important here is the fact that each and every period of development had its own importance where unity and resolve on the no-alternative road to Europe between authorities and the population is the key.

It goes without saying that process of integration with Europe along with facilitation conditions included a lot of liabilities. Among them were rather biting ones. Just as an example it is worth mentioning nuclear power plant which was operated in Lithuania before this country became a member-state of the European Union. This plant generated 100% electric power consumed by this country and even exported the power. One of the obligations was to shut down this Soviet-made and not-so-safe power plant. This condition was met and Lithuania became a country which depends on the foreign imports of power for 100%. Naturally, power consumption fee nearly doubled which became a serious burden on the shoulders of population and industry.

Likewise, implementation of such not so pleasant liabilities, difficulties and rise in expenses, etc. was expressed in other kind of dissatisfaction to which the line-up of the 2009 government fell victim of.

However, the main fountain spring of a drive to Europe was not dented. Main political spectrum, government and population remained in consensus towards pro-Western course.

The principal reason of participation with this article in the Conference “A Road To Eurointegration” is to showcase on the example of Lithuania the process which took several daunting years with those special 5 years being decisive (1997-2002). In this case Georgia also has medium-term 5 years allotted to her under Association Agreement encompassing various liabilities which should be met by all means and the task of mandatory fulfillment of which should become an indispensable perspective.

რიკა ვაიგინენი

ლიტვის გზა ევროკავშირში რეზიუმე

ლიტვის ინტეგრაციას ევროპის კავშირში მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ასეთმა განწყობამ განსაზღვრა ლიტვის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა.

ევროკავშირსა და ლიტვას შორის მოლაპარაკებები 1995 წელს დასრულდა და დაიწყო პროცესი ევროკავშირის წევრობისათვის მზადებისათვის. მაგრამ, ეს არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. 1997 წელს ჩვენ არ ჩავგვრთეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანათა ჩამონათვალში. მხოლოდ ამის შემდგომ, ქვეყანაში რეალურად, მკვეთრად დაჩქარებული ტემპით დაიწყო ევროპული ინტეგრაციის და სტანდარტების აქტიური ადაპტაციის პროცესი.

მათგან უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში მომქმედი პოლიტიკური ძალების უალტერნატივო კონსენსუსი – ევროპული ინტეგრაციის აუცილებლობის თაობაზე. თუ, თავდაპირველად „ევროპაში დაბრუნება“ განიხილებოდა როგორც ისტორიული კანონზომიერება და კულტურულ-მენტალური ღირებულება, მოგვიანებით, მან ეკონომიკური სარგებლიანობის შინაარსიც შეიძინა. შედეგად ამისა, 2003 წელს ლიტვის მშპ-ს ზრდის ტემპი – 10%; 2004 წელს – 7,3%; 2005 – 7,6%; 2006 – 7,7%; 2007 წელს – 8%-ზე მეტი ფიქსირდება და, ბალტიის სხვა ქვეყნებთან ერთად, „ბალტიის ვეფხვებად“ წოდებული ეკონომიკური ნახტომი განხორციელდა. ამავე პერიოდში, ყოველწლიურად, 20%-ით იზრდებოდა ევროპასთან საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები. რა თქმა უნდა, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი, ხელშეწყობის პირობებთან ერთად, მრავალ ვალდებულებას მოიცავდა; მათ შორის, საკმაოდ მტკივნეულსაც. არც თუ ისე სასიამოვნო ვალდებულებების შესრულება უკმაყოფილებაშიც გამოიხატა, რომელსაც 2009 წლის შემადგენლობის მთავრობაც კი შეეწინა. მაგრამ ევროპისაკენ სწრაფვა ჰქვია, არ განელებულა. ძირითადი პოლიტიკური სპექტრი, მთავრობა და მოსახლეობა დასავლური კურსის ერთეული დარჩა.

ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიზეზი სწორედ ის გახლავთ, რომ ლიტვის მაგალითზე დამენახვებინა პროცესი, რომელსაც არაერთი წელი დასჭირდა. საქართველოს ისე, როგორც თავის დროზე ლიტვას, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან, ხუთწლიანი დრო აქვს განსაზღვრული, რაც მრავალი ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებს. მათი განხორციელება უალტერნატივო ამოცანად უნდა იქცეს.

Rika Vaiginiene

Lithuania's Path Towards European Union

Summary

I would start with the idea that Lithuania's integration in the European Union was supported by the majority of its population. It were these kind of population sentiments that determined further economic policy of Lithuania.

Negotiations between the European Union and Lithuania were over in 1995 and a process for preparation of the EU membership was launched. But it was not very easy process. “In 1997 we were not included in the list of candidates for EU membership. Only after this started a real and very prompt process of active adaptation with European integration and standards.

The most important among them is consensus on the necessity of European integration prevailing among the acting political forces of the country. If on first stage ‘Return to Europe’ was considered as a historical event and cultural and mental value, later on drive to Europe became a tool of economic benefits.

The result of this was growth of Lithuania's GDP in 2003 by more than 10%, in 2004 - by 7,3%, in 2005 – by 7,6%, in 2006 – by 7,7%, in 2007 - by 8% a created a reality of making an economic stride along with other ‘Baltic tiger’ countries. In the same period economic data of exports and imports with Europe were rising every year by 20%.

It goes without saying that process of integration with Europe along with facilitation conditions included a lot of liabilities. Among them were rather biting ones. Likewise, implementation of such not so pleasant liabilities, difficulties and rise in expenses, etc. was expressed in other kind of dissatisfaction to which the line-up of the 2009 government fell victim of.

However, the main fountain spring of a drive to Europe was not dented. Main political spectrum, government and population remained in consensus towards pro-Western course.

The principal reason of participation with this article in the Conference “A Road To Eurointegration” is to showcase on the example of Lithuania the process which took several daunting years with those special 5 years being decisive (1997-2002). In this case Georgia also has medium-term 5 years allotted to her under Association Agreement encompassing various liabilities which should be met by all means and the task of mandatory fulfillment of which should become an indispensable perspective.

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა და კონტროლი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა

დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს ხელისუფლების ყურადღება და ძალისხმევა მთლიანად მიმართული უნდა იყოს ჩვენს წინაშე არსებული იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რასაც საქართველოსგან ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი მოითხოვს.

მოსაწესრიგებელ და მოსაგვარებელ საქმეთა სპექტრი იმდენად დიდია, რომ თუ ყველა სამთავრობო ინსტიტუციის საქმიანობა სწორ კოორდინაციას და ფუნქციონირებას გამოიწვევს არ დაეცემდეგარა, შესაძლოა პროცესმა ქაოტური სახე მიიღოს, ხოლო სხვადასხვა სფეროში არასწორმა ჩარევამ და პარალელიზმმა შესაძლოა ინტეგრაციის პროცესი ნაწილობრივ შეაფერხოს კიდევ.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მეორე თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას საჯარო ფინანსების მართვისა და ფინანსური კონტროლის საქმეში, რაც ჩვენი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ევროკავშირთან საჯარო ფინანსურ ურთიერთობათა ჩარჩოს ფარგლებში განიხილება სახელმწიფოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრაქტიკული ასპექტები. ძირითადი აქცენტი გადატანილია სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ფუნქციაზე და ფინანსური რესურსების გამოყენებასა და შემოსავლების მიზნობრივ და ეფექტიან განაწილებაზე. ამის მიღწევა კი ფინანსური კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვის გარეშე, შეუძლებელი იქნება.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მეორე თავის 279 მუხლის თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის სფეროში კონკრეტული ამოცანების მოსაგვარებლად. ეს ამოცანებია:

- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემდგომი განვითარება და იმპლემენტაცია, რაც ეფუძნება მენეჯერული ანგარიშვალდებულების პრინციპს და მოიცავს ფუნქციონალურად დამოუკიდებელ შიდა აუდიტის სუბიექტებს მთელს საჯარო სექტორში;

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც საქართველოში წამყვანი აუდიტორული ინსტიტუტის, გაძლიერება, ორგანიზაციული და აუდიტორული შესაძლებლობების, ფინანსური და ადამიანური რესურსების, ასევე, უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის მიერ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) გარე აუდიტის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების იმპლემენტაცია.

აღნიშნული ამოცანების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით კანონმდებლობის ზუსტად დაცვას, საბიუჯეტო სისტემის საგადასახადო სამსახურების, ბანკების მიერ საბიუჯეტო სისტემის წინაშე ვალდებულებების სისრულის, აგრეთვე ანგარიშსწორებისა და გადახდების მიხედვით საწარმოებისა და ორგანიზაციების ურთიერთვალდებულებების შესრულების კონტროლს.

საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მაკონტროლებელ ორგანოებს მიეცათ განუსაზღვრელი უფლებები, რამაც ეკონომიკაში დაარღვია წონასწორობის პრინციპი

და შექმნა ისეთი გარემო, სადაც გაიზარდა სახელმწიფო მოხელეთა მონოპოლიზმი, შეიქმნა საჯარო ფინანსების მართვის რთული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემა. ცალკეულ გავლნიან ინდივიდებს და მაკონტროლებელ ჯგუფებს საშუალება ეძლეოდათ „ელიტარული კორუფციის“ დახვეწილი მეთოდების გამოყენებით, გაეძლიერებინათ კონტროლი გავლენის სფეროებზე, რის გამოც ქართული ეკონომიკა აღმოჩნდა უაღრესად მონოპოლიზირებული.

დღეს, ახალ ხელისუფლებას დასჭირდება უზარმაზარი ძალისხმევა იმისათვის, რომ მოახდინოს მისი დივერსიფიცირება. ეს განსაკუთრებით შეეხო იმ სფეროებს, სადაც გამოიყენება სხვადასხვა სახის შეზღუდვები, ლიცენზიების გაცემა, საბიუჯეტო ტენდერები და სხვ.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, სახელმწიფოს მხრიდან პროცესებში ჩარევის სერიოზულ საფუძველს იძლევა. რადგან მთავრობის წინაშე ძალზე მწვავედ დგას მნიერი ფინანსური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების, სიღარიბის დაძლევისა და სოციალური სახსრების სამართლიანი განაწილების საკითხები.

იმის გამო, რომ საჯარო ფინანსების მთავარი წყარო არის გადასახადები ქვეყნის მთავრობამ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მოახმაროს ეკონომიკური სექტორის გაძლიერებას, რაც გულისხმობს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გამოცოცხლებას, შიდა და გარე ინვესტიციების ხარჯზე. ამ ეკონომიკურ სტრატეგიას უნდა დაექვემდებაროს ქვეყნის საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რადგან ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული სოციალური სამართლიანობის ხარისხი.

სახელმწიფოში მთავრობის უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა, შიდა რესურსების ოპტიმიზაციის ხარჯზე ქვეყნის რესურსების მაქსიმალური გამოყენება, და გარე ფაქტორების, მათ შორის საგარეო ინვესტიციების მოძიებით, ქვეყნის პოტენციალური რესურსების გაზრდა. ოპტიმიზაცია გულისხმობს ისეთი საზოგადოებრივი კლიმატის შექმნას, როცა თვით მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობს სოციალური ამოცანების გადაწყვეტისა და განხორციელების საქმეში, ვინაიდან ეკონომიკური ზრდა ყოველთვის არ ითვალისწინებს პროგრესის უმთავრესი სუბიექტის – ადამიანის შემოქმედებით აქტიურობას.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობის ძირითადმა მიმართულებებმა დღის წესრიგში ცალსახად დააყენა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების ახლებური გააზრება, მოითხოვა ეკონომიკურ ბრძოლაში დუბლირებისა და პარალელიზმის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს ზედამხედველობის გაძლიერება.

ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა არ არის ერთგვაროვანი, როგორც მეთოდოლოგიურად, ასევე პრაქტიკულად. არსებობს განსხვავებული მოდელები, მაგრამ მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, მათ აერთიანებთ განუყოფელი ღირებულებები, ინსტიტუტები, პრინციპები და წესები, რომლებიც ქმნიან კიდევ საბაზრო ეკონომიკის ზოგად სახეს და რომელთა გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება.

საჯარო ფინანსების მართვამ და კონტროლმა უნდა შეიძინოს თანმიმდევრული, კომპლექსური და სისტემური ხასიათი, ხოლო ეკონომიკის სფეროში მწყობრი და სტაბილური საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია:

- ევროკავშირთან დადებული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია;

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებით გათვალისწინებული ეკონომიკური უსაფრთხოების დებულებაზე დაყრდნობით შესაბამისი კანონების მიღება, რაც საშუალებას მოგვცემს დავიცვათ ეროვნული წარმოება და დავამყაროთ წესრიგი ქვეყნის ეკონომიკურ საზღვრებზე.

მსოფლიოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მდიდარია ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ დივერსიფიცირებული ეკონომიკა. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ევროპაში გერმანია, საფრანგეთი, შოტლანდია, აზიაში იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი. ამ ქვეყნებში ძლიერია ეკონომიკის არა ერთი რომელიმე დარგი, არამედ ზოგადად ძლიერია ეკონომიკის ბევრი სეგმენტი, მათ შორის პირველ რიგში მრეწველობა. დივერსიფიკაცია შესაძლებელს ხდის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, რაც ოპტიმიზაციის სწორი პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად დააბალანსებს ეკონომიკას და შეამცირებს იმპორტირებული საქონლის რაოდენობას ქვეყნის შიდა ბაზარზე. იმპორტი კი დღეს სამწუხაროდ 3-ჯერ მეტია, ექსპორტზე გატანილ საქონელთან შედარებით.

ვფიქრობთ, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის და კონტროლის ამალღების მიზნით, სახელმწიფო აუდიტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა:

- ევროკავშირის სტანდარტებით გათვალისწინებული ფინანსური აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის მომზადება და განვითარება;
- მაღალი კვალიფიკაციის აუდიტორების მოზიდვა და კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ფინანსური აუდიტისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა და განვითარება;
- სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება ინოვაციების შემუშავების და დანერგვის პროცესში;

თითოეულმა სტრატეგიულმა ამოცანამ უნდა განაზღვროს კონკრეტული საქმიანობის სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნას იმ ინფორმაციისა და რესურსების კონსოლიდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ნაკლები დანახარჯებით, დასახული მიზნების ეფექტიან და კოორდინირებულ განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჯიბუტი ა. „საჯარო ფინანსები“, თბ. 2010.
 2. გაბელაია ა. „ფინანსები“, თბ. 2011.
 3. ვეკუა დ. ვეკუა ი. „საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები“, თბ. 2013.
 4. „საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება“, თბ. 2014.
 5. ცაავა გ. ხანთაძე გ. „საჯარო ფინანსები“, თბ. 2013.
 6. Николаев С. Государственная политика модернизации и инновационный процесс в России „Экономические наука“ М. 2010.
1. www.parliament.ge
 2. www.nbg.gov.ge
 3. www.stat.ge

დავით ვეკუა

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა და კონტროლი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეზიუმე

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მაკონტროლებელ ორგანოებს მიეცათ განუსაზღვრელი უფლებები, რამაც ეკონომიკაში დაარღვია წონასწორობის პრინციპი და შექმნა ისეთი გარემო, სადაც გაიზარდა სახელმწიფო მოხელეთა მონოპოლიზმი, შეიქმნა ფინანსების მართვის რთული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემა.

მოსაწესრიგებელ და მოსაგვარებელ საქმეთა სპექტრი იმდენად დიდია, რომ თუ ყველა სამთავრობო ინსტიტუციის საქმიანობა სწორ კოორდინაციას და ფუნქციონირებას არ დაექვემდებარა, შესაძლოა პროცესმა ქაოტური სახე მიიღოს.

სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატანილია ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებისა და ამ სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვის აუცილებლობაზე. შიდა ფინანსური კონტროლის და გარე აუდიტის სფეროში ახალი სისტემის ჩამოყალიბებასა და მის იმპლემენტაციაზე.

გაანალიზებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ინდიკატორი და ამ კონტექსტში შეთავაზებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიება.

Davit Vekua

Effectiveness and Control of the Management of Public Finances are one of the Main Conditions of Georgia's Integration with European Union

Summary

Improvement of the system of effectiveness and control of the management of public finances is one of the current issues of Georgia's integration with European Union.

The article pays basic attention to the development of the system of financial control and the necessity of the introduction of European standards in this field, also the formation of a new system in the field of internal financial control and external audit and its implementation.

Some indicators of the country's macroeconomic condition are analyzed and in this context some actions of the improvement of the activities of the state audit service are offered.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება დაჯავშრის შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს ევროკავშირთან, შესაბამისად ევროპულ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელოვან და რეალურ მექანიზმებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ევროკავშირში განევრიანებას, (მაგ. თურქეთთან ასოცირების ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა ხელმოწერილი, მაგრამ აღნიშნული ქვეყანა დღემდე არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრს). თუმცა, **ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.** ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და თანდათანობითი, ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმია.

მაგრამ, კარგად უნდა გავიაზროთ ის, რომ შეთანხმება უამრავ ხელშემწყობ უფლებასთან ერთად, მრავალ ვალდებულებასაც წარმოშობს. უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება, რაც გულისხმობს – დათქმულ ვადებში კონკრეტული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და რაც მთავარია, მისი განხორციელების ინსტრუმენტების ევროპული „სტანდარტის“ შემოღებასა და დამკვიდრებას. იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან. შესაბამისად, ეტაპობრივად შესამუშავებელია ან/და შესაცვლელია საკანონმდებლო, ნორმატიული (ბრძანება, წესი, ინსტრუქცია და სხვა), ქვენორმატიული აქტების მთელი წყება, რომელმაც კანონის აღსრულების ევროპული იმპლემენტაციის მექანიზმი უნდა შექმნას.

მაგრამ, რამდენადაა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მზად ამ ცვლილებებისათვის, როცა სულ ახლახანს ანტიდისკრინინაციული კანონის მიღებას რეალურად მცირე ჯგუფების, მაგრამ ხმამაღალი, ზეტმეტად აჟიტირებული ადამიანების ვნებათაღელვა მოყვა.

სწორედ ამიტომ, ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების სწორად ინფორმირებასა და ჩართულობას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პუბლიკაციის ძირითადი შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების მხოლოდ ერთი თავის (V) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და დაბეგვრის საკითხების განმარტებასა და გააზრებას.

ამ თავის პრეამბულაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ევროკავშირი და საქართველო ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმების პროცესს თავიანთი შესაბამისი ეკო-

ნომიკების ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით.“

დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევითი არ არის ამ ჩანაწერის არცერთი სტროფი. ამ შემთხვევაში გამოვყოფდი – **„ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის მიზნებს.**

ამავე დროს, ასოცირების ხელშეკრულების ეს თავი, პრაქტიკულად, უპირველესად ამ ვალდებულებებს წარმოშობს. **„საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, რომ დააფუძნოს და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური, საგადასახადო და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება“.**

დასამალი არ არის, რომ ათეულ წელზე მეტია მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მოხსენებებში საქართველოს შესახებ, თითქმის უცვლელი რჩება ფორმულირება **„ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია სამენარბეო და საგადასახადო კულტურის დონე. გადამხდელთა დიდი ნაწილი გაუთვითცნობიერებულია გადასახადების გადახდის, გაანგარიშების წესებსა და რაობაში“.**

ახალს არაფერს ვიტყვი, განვმარტავ – შეფასება რეალურია, შესაძლებელია უფრო მკაცრიც ყოფილიყო. სამწუხაროდ, ათეული წლებია ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა გადასახადის გადამხდელსა და გადასახადის ამკრეფს შორის უფლება მოვალეობათა თანაბარზიარი ურთიერთობები.

ასოცირების ხელშეკრულების ამ თავში, შემდგომში, ხაზგასმულია, რომ **„მხარეები ითანამშრომლებენ საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“.** ალბათ ყველასათვის გასაგებია, რა იგულისხმება თანამშრომლობა – **„კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“.** ეს არის საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ისეთი კლიმატისა და მექანიზმების შექმნა, როცა გადასახადის გადამხდელი და გადასახადის ამკრეფი თანასწორი სუბიექტები არიან, ერთსაც და მეორესაც თავის უფლებებთან ერთად კარგად აქვს გათავისებული თავისი მოვალეობები. როცა, გადასახადის ამკრეფი არა მხოლოდ, ჩასაფრებული დამსჯელი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ გადამხდელის დამხმარე, მომსახურე რგოლია.

საგადასახადო ურთიერთობათა, რეგულაციების ასეთი სტანდარტია – ევროპაში, ამ დონის თანამშრომლობის სტანდარტის მიღწევას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება.

ასოცირების ხელშეკრულების 280-ე მუხლის გათვალისწინებით, **„მხარეები აღიარებენ და ვალდებულებას იღებენ, რომ შეასრულებენ საგადასახადო სფეროს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორებიცაა მაგალითად, გამჭვირვალობის, ინფორმაციის გაცვლისა და სამართლიანი საგადასახადო კონკურენციის პრინციპებს, ხელს შეუწყობენ კანონიერი საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებას, და მიიღებენ ზომებს ზემოხსენებული პრინციპების ეფექტიანი შესრულებისათვის.“**

იქვე 282-ე მუხლი განმარტავს, რომ **„მხარეები ასევე გააძლიერებენ და გააღრმავებენ თავიანთ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების განვითარებას, მათ შორის, საგადასახადების შეგროვები-**

სა და კონტროლის შესაძლებლობის გაძლიერებას, უზრუნველყოფენ გადასახადების ეფექტიან შეგროვებას და გააქტიურებენ ბრძოლას საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ.“

ამ ნაწილში განსაკუთრებული მინიშნება კეთდება აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საპასუხო ქმედებების განსახორციელებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მათ შორის, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ტარიფების, შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივ დაახლოებას, ანუ ზრდას.

ამასთან ერთად, მუხლი 285-ის მიხედვით, საქართველოს ეკისრება ცალმხრივი ვალდებულება, რომელიც იმპერატიულ ნორმად ყალიბდება, რომ „**მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე ხელშეკრულების XXII დანართის დებულებების შესაბამისად.**“ რომელიც ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნული დანართი წარმოადგენს დაბეგვრის ერთიანი და რიგ შემთხვევებში განსხვავებული რეჟიმებისა და წესების, ზოგადად ინსტრუმენტების, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციების ერთგვარ ჩამონათვალს, რომელიც ეტაპობრივდ უნდა განხორციელდეს. მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ. რომელიც ხუთი წლის ვადაში უნდა ამოქმედდეს.

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

- ✓ გადასახადებისგან გათავისუფლება;
- ✓ ოპერაციები ევროგაერთიანების შიგნით;
- ✓ იმპორტი და ექსპორტი;
- ✓ საერთაშორისო ტრანსპორტი და საერთაშორისო ვაჭრობა;
- ✓ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის, ანგარიშ-ფაქტურის წარმოების, დეკლარირების, ჩათვლებისა და აღრიცხვის წესები.

ამასთან, განსაზღვრულია ვალდებულებები გარკვეული საქონლის იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული სპეციალური სქემები. მაგ. სპეციალური სქემა ელექტრონული ვაჭრობისთვის და სხვა.

ამავე დანართშია მოყვანილი ის გამონაკლისები, რომელიც დღემდე მოქმედებს ევროკავშირის წევრი გარკვეული სახელმწიფოებისთვის.

ამით იმის თქმა და ხასგასმა მინდა, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით გარკვეულ დათქმას აფიქსირებს საქონლის, რომელიმე სახეობის დაბეგვრის რეჟიმთან ან კონტროლის სპეციალურ მექანიზმებთან დაკავშირებით.

ამ მიმართებით არც საქართველო იქნება გამონაკლისი. მაგალითად, საქართველო იტოვებს უფლებას, რომ აქციზის გადასახადისგან გაათავისუფლოს ალკოჰოლური სასმელები, რომლებიც წარმოებულია კერძო პირების მიერ მცირე რაოდენობით და გათვლილია სახლში მოხმარებისთვის და არა ბაზარზე გასატანად.

ასევე, საქართველო იტოვებს უფლებას, დღე-ის გადასახადისგან გაათავისუფლოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

ხოლო, საკითხი – „მესამე ქვეყნებიდან მგზავრების მიერ შემოტანილი საქონლის დამატებითი ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადისგან გაათავისუფლების შესახებ“ გამოიყენება ამ დირექტივის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ შეზღუდვებს აწესებს. ამასთან საყურადღებოა, რომ **ეს დებულებები უნდა შესრულდეს განსხვავებულ ვადაში წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არა ხუთი არამედ სამი წლის განმავლობაში.** და სხვა.

შემდგომი ნაბიჯი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბება და შესატვისი ხელშეკრულების გაფორმებაა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, სწორედ DC FTA წარმოადგენს ევროკავშირთან ცკლ-ნომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს. DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

ამასთან, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფორმირება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდას.

ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს მაგალითად: სურსათის უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები, და ა.შ. სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების შექმნას ან/და სახეცვლილებას.

უდაოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ახალი სანარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ამის პარალელურად თანმდევ რეჟიმში ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; სახელმწიფო ადმინისტრირების (მათ შორის საგადასახადო) ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. (წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით.)

მნიშვნელოვანია, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამ ნაწილში გასათვალისწინებელია და კარგად გასაანგარიშებელია, **ის თუ რა მოცულობის შემოსავლები დააკლდება საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილს და რით უნდა მოხდეს მისი კონპენსირება. ერთი რამ ფაქტია, ბიუჯეტის შემოსავლები იმპორტიდან მიღებული საბაჟო გადასახადების გარეშე დაახლოებით 1/4-ით შემცირდება, ვფიქრობ, მისი შევსება უპირველესად, უნდა განხორციელდეს სიგარეტის/თამბაქოსა და ალკოგოლური სასმელების აქციზის გადასახადის ეტაპობრივი ზრდის ხარჯზე.**

„არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დაანესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა გადასახადი,“ გარდა ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული შიდა მოსაკრებლებისა, მეორე მხარის ტერიტორიაზე საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით. თუმცა ჩანანერის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სახის გადასახადელი და მოსაკრებელი, რომლებიც დაწესებულია ან დაკავშირებულია პროდუქციის ექსპორტთან ან იმპორტთან, არ უნდა აღემატება განეული მომსახურების მიახლოებით ხარჯს .

ცალკე აღნიშვნისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს ამ შეთანხმების II-A დანართი ჩამოთვლილი პროდუქტების ნუსხა, რომელიც სატარიფო კვოტის ფარგლებში, საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში. ბუნებრივია დაისმება კითხვა, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ამა თუ იმ პროდუქტის იმპორტი აჭარბებს სატარიფო კვოტას. შეთანხმების II-A დანართი ცალსახად განმარტავს ამ პროცესს და ამა თუ იმ საქონლის კვოტით განსაზღვრული ოდენობაზე მეტი მოთხოვნის/ მიწოდების შემთხვევაში, „გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი/შელავათიანი საბაჟო გადასახადის განაკვეთი.

ამასთან, **„არცერთმა მხარემ არ უნდა დაანესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად“**,

ხელმოწერი მხარეები თანხმდებიან, რომ მათი შესაბამისი საბაჟო, საგადასახადო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და პროცედურები უნდა იყოს თანაზომადი, გამჭვირვალე, კეთილსინდისიერი, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად.

უნებრივია აღნიშვნა – **„მხარეები უპირველესად ქართული მხარის ვალდებულებებს აყალიბებს, თორემ ევროკავშირის მხრიდან საზღვარზე კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების, გამარტივებული დოკუმენტაციის სტანდარტიზაციის, საბაჟოზე საქონლის სწრაფი გაშვებისა და გაფორმების უზრუნველყოფის სტანდარტები ბევრად მაღალია.**

საქართველოს მხარისათვის მისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია – ტრანზიტული გადაზიდვების თემა. შეთანხმებაში, ამ პროცესის ხელშე-

საწყობად მხარეები ვალდებულებას იღებენ მათ ტერიტორიაზე არსებულ უწყებებსა და სამსახურებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის. ტრანზიტთან მიმართებაში შესაძლებლობის გათვალისწინებით ევროკავშირის ქვეყნები შეეცდებიან მათი პროგრესული საბაჟო ტრანზიტის სისტემების დანერგვაში საქართველოს ხელშეწყობას და ურთიერთდაკავშირების მიღწევას;

მნიშვნელოვანია შეთანხმება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე. მხარეებს შორის ვაჭრობაში, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მიხედვით. საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ გაიზიარებს საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ რისკის მართვაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სისტემების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით ფალსიფიცირებულ საქონელთან მიმართებაში და სხვა.

მნიშვნელოვანი იქნება ხელმოწერის შემდგომი 3-5 წელი, როდესაც ჩვენი ვალდებულებების განხორციელების ეტაპზე გადავალთ. უპირველესად, მნიშვნელოვანი იქნება იგი საქართველოს ევროპული პერსპექტივის შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის.

ექსპერტების შეფასებით, ასოცირების შეთანხმების/ DCFTA-ის გაფორმებით 6.5%-ით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 014.8 ათასი აშშ დოლარიდან (2007 წ.) 11.36 მლრდ-ს მიაღწევს (2020 წ.). მაგალითისთვის, პოლონეთში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ინვესტიციების რაოდენობრივი 4.5 ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (ჰოლანდია) და Case-ის (პოლონეთი) მიერ DCFTA-ის შედეგების შესახებ ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა. დამოუკიდებელი კვლევის თანახმად, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან ჭრილში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება გაიზარდოს 4.2%-ით ანუ 292 მილიონი ევროს ოდენობით და სხვა.

მაგრამ ყოველივე იმ შემთხვევაში, თუკი ასოცირების ხელშეკრულებას მალევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმება მოყვება, სრულფასოვნად გატარდება და შენარჩუნებული იქნება მისი შედეგები. **დღეს საქართველოს სწორედ ამ ჭრილში განიხილება. საქმე სწორედ იმაშია, თუ რამდენად სწორად და დროულად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.**

საყურადღებოა, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში ე.წ. სახელისუფლებო ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად წარმოჩინდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომელიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას, „თუ რამდენად მისაღებია მსგავსი ხელშეკრულება ისეთი სახით, როგორსაც ევროკავშირი მოითხოვს? რომ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესები ამოძრავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება“ და სხვა. რითაც **შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. მით უმეტეს, როცა იმჟამს ხელისუფლებაში მყოფმა ლიბერტიარიანული მსოფლმხედველობის ადამიანებმა საქართველოს**

ეკონომიკა გარკვეულ კალაპოტში უკვე მოაქციეს. მათი ხედვით, ეს იყო ღია ბაზრის პრინციპი, რითაც ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ შესაძლებლობების დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ცალსახაა, რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცემი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება **ევროპელთა მხრიდანაც კეთილგანწყობილი და მხოლოდ პოლიტიკური გადანყვეტილებაა, რადგან პრაგმატული თვალსაზრისით საქართველო ძალზე მცირე ბაზარია – ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი წილი, ალბათ, 00,01 პროცენტი თუ იქნება.**

ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრობაში ძირითადი ბარიერები არის არა გადასახადები და ტარიფები, ან თუნდაც საკანონმდებლო გარემო, არამედ საზოგადოების მზაობა და შესაბამისი მენტალური, პროფესიული და პროცედურული გარემო.

ხშირად, ამის გამო ძალიან რთულდება საქონლის შეღწევა ბაზარზე. ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ევროპული სტანდარტები მაღალი და მომსახურებას და ხარისხიან პროდუქციას გულისხმობს და თუ საქართველო ამ სტანდარტებში ჩაჯდება მისთვის ღიაა არა მარტო ევროპული არამედ ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც. შესაბამისად, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა აშშ-სთან ანალოგიური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა გვექონდეს სტანდარტების (მათ, შორის საგადასახადო კულტურის) ისეთი განვითარებული სისტემა, რომელიც ევროპულს უახლოვდება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მზაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასოციირების ხელშეკრულება, როგორც ცალკე აღებული დოკუმენტი შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს, თუ მას სათანადო განვითარება/იმპლემენტაცია, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება არ მოჰყვა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში – ეს არის გზა ევროპისაკენ. დოკუმენტი ხელმოწერილია, ფაქტი ძალზედ დადებითი, მაგრამ ყოველივე, რომ რეალობა გახდეს, უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება. ხოლო მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია.

სიმონ (ამირან) თავართქილაძე

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციირების შეთანხმება დაბეგვრის შესახებ რეზიუმე

ასოციირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აყვავს საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

მაგრამ, კარგად უნდა გავიაზროთ ის, რომ შეთანხმება უამრავ ხელშემწყობ უფლებასთან ერთად, მრავალ ვალდებულებასაც წარმოშობს. უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება, რაც გულისხმობს – დათქმულ ვადებში კონკრეტული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და რაც მთავარია, მისი განხორციელების ინსტრუმენტების ევროპული „სტანდარტის“ შემოღებასა და დამკვიდრებას. იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან. შესაბამისად, ეტაპობრივად შესამუშავებელია ან/და შესაცვლელია საკანონმდებლო, ნორმატიული (ბრძანება, წესი, ინსტრუქცია და სხვა), ქვენორმატიული აქტების მთელი წყება, რომელმაც კანონის აღსრულების ევროპული იმპლემენტაციის მექანიზმი უნდა შექმნას. მაგრამ, რამდენადაა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მზად ამ ცვლილებებისათვის?

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პუბლიკაციის ძირითადი შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების მხოლოდ ერთი თავის (V) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და დაბეგვრის ზოგიერთი საკითხების განმარტებასა და გააზრებას.

Simon (Amiran) Tavartkiladze

Georgia-EU Association Agreement on Taxation Resume

Association Agreement is an omnibus agreement and from political and content points it is a strong document elevating cooperation between Georgia and the EU on the new level in all priority directions.

However, we should be well cognizant that the Agreement along with numerous facilitating rights stipulates also many liabilities. First and foremost, it will be very important to execute the Agreement in due manner, meaning that in due timeframe Georgian legislation should be brought in compliance with the European Union legislation and, what is the most important, Georgia should put in force instruments of European standards in the implementation and maintenance of this legislation. The Agreement specifies legislation of Georgia which should be brought in line with up to 300 EU legislative acts. Therefore, the whole set of legislative, regulative (decrees, rules, instructions, etc.) acts should create mechanism of European implementation. However, how fit is civil society of Georgia for these changes?

The aim of the contents of this publication is exactly to explain and help to get acquainted with only one chapter (V) of this Agreement - namely, some issues of economic interaction and taxation.

ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში

გლობალურ კონკურენციაში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ინტეგრაციული პროცესების გაფართოება. ინტეგრაციაში იგულისხმება საწარმოებს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებების დამყარება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტეგრირებული და ინტეგრირებადი საწარმოების გენერალური მიზნების გრძელვადიან მიახლოებას და ანიჭებენ ორგანიზაციებს შემდეგ უპირატესობებს:

- ✓ მომარაგებასა და გასაღებაში განუსაზღვრელობის დონის შემცირება;
- ✓ კონკურენციის შეზღუდვა;
- ✓ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის გამარტივება;
- ✓ ხარჯების შემცირება.

ამ ბოლო წლებში ტურიზმის ინდუსტრიაში ფართო გავრცელება ჰპოვა სამეურნეო გაერთიანებების ისეთმა ტიპმა, როგორცაა სტრატეგიული ალიანსები, რაც აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

- ✓ არსებულ ბაზრებსა და ტექნოლოგიურ ბაზაზე ხარვეზების ამოვსება;
- ✓ ქარბი საწარმოო სიმძლავრის გადაქცევა მოგებად;
- ✓ ახალ ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული რისკებისა და ხარჯების შემცირება;
- ✓ ახალი პროდუქციის დამუშავებისა და წარმოების დაწყების დაჩქარება;
- ✓ ეკონომია წარმოების მასშტაბებზე;
- ✓ საკანონმდებლო და სავაჭრო ბარიერების გადალახვა;
- ✓ ოპერაციების დიაპაზონის გაზრდა;
- ✓ ხარჯების შემცირება ოპერაციების შემცირებისას.

სტრატეგიული ალიანსების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უშუალოდ არ ეხებიან კომპანიებში საკუთრების დამოკიდებულებებს, რადგანაც კომპანიები, რომლებიც ალიანსებში თანამშრომლობენ ინარჩუნებენ თავიანთ ავტონომიას და ნიშას ეროვნული, რეგიონული და ლოკალური ბაზრების სფეროში. მოცემული გაერთიანებები მოიაზრებენ პარტნიორულ დამოკიდებულებებს რომელიმე ცალკეულ სფეროში, მაგალითად მარკეტინგულ საქმიანობაში.

მიუხედავად რიგი უპირატესობებისა, რასაც ორგანიზაციები იღებენ სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებისას, აღნიშნული კავშირები ხშირად ირღვევა. კომპანიის Mc Kinsey კვლევებმა გამოავლინა, რომ 40 სტრატეგიული ალიანსიდან ერთი მესამედი დაიშალა. ფ.კოტლერმა გამოყო სამი ძირითადი მომენტი, რომლებზეც დამოკიდებულია ალიანსების წარმატებული საქმიანობა: პარტნიორების სტრატეგიული შესაბამისობა; ორიენტაცია გრძელვადიან თანამშრომლობაზე; მართვის მოქნილობა.

სტრატეგიულ ალიანსებში ფირმებშორისი გაცვლის სახეობებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ტურისტულ ბიზნესში, მიეკუთვნება:

შეთანხმება ფრანჩაიზინგის შესახებ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სათაო ფირმა ხელშეკრულებას აფორმებს ორგანიზაციასთან მისთვის განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ სათაო კომპანიის სავაჭრო მარკით მომსახურების რეალიზაციაზე. ამით პატარა და ნაკლებად ცნობილი ტურისტული ორგანიზაცია (ტურისტული ფირმა ან სასტუმრო) ერთვება ცნობილი ტურისტული კომპანიის გასაღების ცენტრში, რაც აფართოებს ამ უკანასკნელის შესაძლებლობებს გააკონტროლოს ბაზრები მინიმალური დანახარჯებით.

კონტრაქტები მართვაზე, ძალიან ჰგავს შეთანხმებას მმართველობითი მომსახურების მიცემის შესახებ: დამწყები ტურისტული ორგანიზაცია ტურისტული ინდუსტრიის მსხვილ კომპანიას გადასცემს პასუხისმგებლობას საქმიანობის ყველა სახეობაზე, რომელიც დაკავშირებულია ტურისტული მთელი პროდუქტის ან მისი ნაწილის გასაღებასთან გარკვეული ანაზღაურების საფასურად;

ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ვარაუდობენ ინვესტირებისთვის რიგი უპირატესობების შექმნას. ერთობლივი საწარმოებისთვის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში გათვალისწინებულია საკმაოდ ლიბერალური რეჟიმი: რაკი დარეგისტრირდნენ, ისინი სარგებლობენ იგივე უფლებებით, როგორც წმინდა ეროვნული საწარმოები, სანესდებო კაპიტალში ერთობლივი საწარმოს მონაწილეობა ამცირებს რისკს ინვესტორისთვის, რადგანაც ვარაუდობს, რომ მისი პასუხისმგებლობა იზღუდება კაპიტალში მისი მონაწილეობის წილით.

ტურისტულ ბიზნესში სტრატეგიული ალიანსის ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს სასტუმროების ჯაჭვმა, რაც გამოწვეულია რიგი ობიექტური მიზეზებით.

ჯერ-ერთი, ეს არის სასტუმროს სტაბილური დატვირთვის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ამიტომ ყოველი სასტუმროს ჯაჭვს საფუძვლად უდევს დაჯავშნის საკუთარი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ჯაჭვში შემავალი სასტუმროების პირველრიგისეულ დატვირთვაზე.

მეორეც, არსებით როლს თამაშობს სასტუმროს ხარისხიანი მომსახურების ფორმირება. ყველა წამყვან სასტუმრო გაერთიანებას გააჩნია სასტუმროს ყველა სათავსოს აღჭურვის საკუთარი ნორმატივები და სტანდარტები.

მესამეც, მისწრაფება გაიზარდოს სასტუმროს დატვირთვა, ახალი კლიენტურის მოძებნა და ძველის შენარჩუნება აიძულებენ სასტუმროებს ჩაატარონ ბაზრის, კლიენტურის, კონკურენტი სასტუმროების, მიმწოდებლების და ა.შ. ღრმა ანალიზი, აწარმოონ აქტიური სარეკლამო და გასაღების პოლიტიკა, რაც მოითხოვს დიდი ფინანსური, ინფორმაციული და ადამიანური რესურსების გამოყენებას.


და ბოლოს, სასტუმროს პერსონალის პროფესიონალიზმის სრულყოფით დაინტერესება, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს სასტუმროში სტუმრის მომსახურების ხარისხზე.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებულია 300-ზე მეტი სასტუმროს ჯაჭვი, რომლებიც გამოვიდნენ ეროვნული საზღვრების ჩარჩოებიდან. მათ წილად მოდის 7 მლნ. ნომერზე მეტი მსოფლიოში თითქმის 13 მლნ. სასტუმროს ნომრიდან (UNWTO). სასტუმროების ჯაჭვები შეიცავენ არა მარტო იმ სასტუმროებს, რომლებიც თვით ჯაჭვის საკუთრებას წარმოადგენენ, არამედ მათში ფრანჩაიზის პირობებით შესულებსაც.

საქართველოს ბაზარზე სასტუმროს შესასვლელად მსოფლიო სასტუმროების ჯაჭვში ყველაზე უფრო გავრცელებულია ფრანჩაიზინგის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ლიცენზიის გაყიდვას სავაჭრო მარკის გამოყენებაზე და ქსელის გასაღებისა და მარკეტინგის სისტემაში მონაწილეობის უფლებებზე.

საქართველოს ზღვისპირა რეგიონი აჭარა და ასევე თბილისი დომინირებენ საქართველოს სასტუმროების ბაზარზე. მთლიანობაში ქვეყანაში 1075 განთავსების საშუალებაა 37 772 სანოლი ადგილით. ამ უკანასკნელით ლიდერობს აჭარის რეგიონი, მასზე ქვეყანაში არსებული განთავსების საშუალებების 28% მოდის. ადგილების რაოდენობით სასტუმრო ტიპის განთავსების საშუალებების ჭარბობენ ბაზარზე, მათი წილი 64% შეადგენს (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

სავარაუდოა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრი ზრდა განთავსების საშუალებების რაოდენობის გაზრდის საფუძველი გახდება. საქართველომ 2014 წლის მარტის თვეში 392 725 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც 8%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



საერთაშორისო მოგზაურების სტატისტიკა (2005-2014 მარტი)

თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო ჯაჭვია: „Radisson Blue Iveria“, „Tbilisi Marriot“, „Courtyard Marriot“, „Sheraton Metekhi Palace“, „Holiday Inn“ და „Citadines“. საქართველოს სასტუმროების ბაზარზე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ქსელი აპირებს შემოსვლას. რაც შეეხება ბათუმს იქ „Sheraton“-ისა და „Radisson Blue“-ს ბრენდის სასტუმროები გაიხსნა. ამასთან მიმდინარეობს ისეთი ცნობილი სასტუმროების ქსელის მშენებლობა როგორცაა: „Kempinski“, „Hilton“, „Ritz-Carlton“, და სხვა საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების გარკვეული რაოდენობა ასევე იწყებს ფუნქციონირებას საქართველოს სპა კურორტებზეც.

ამჟამად ფრანჩაიზინგი ამა თუ იმ სახით არსებობს 80-ზე მეტ ქვეყანაში. უმსხვილეს ქვეყნებად, რომლებიც განახორციელებენ ვაჭრობას ფრანჩაიზინგზე შეთანხმებით, ითვლება აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია, საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია „ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში“ 2014წ.
2. UNWTO – მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემები
3. Грачева О. Организация туристического бизнеса. 2010г.
4. Зайцева Н. Финансовый менеджмент в туризме и гостиничном бизнесе. 2010г.

სოფიკო თევდორაძე

ინტეგრაციის თანამედროვე ასპექტები ტურიზმში რეზიუმე

ტურიზმის ინდუსტრიაში მყარად დამკვიდრდა სამეურნეო გაერთიანებების ისეთი ტიპი, როგორცაა სტრატეგიული ალიანსი, რომლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისი უშუალოდ არ ეხება კომპანიებში საკუთრების დამოკიდებულებებს.

სტრატეგიულ ალიანსში ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს სასტუმროების ჯაჭვმა, რომელიც არამარტო მათ საკუთრებაში, არამედ მათში ფრანჩაიზინგის პირობებით შესულ არსებულ სასტუმროებსაც მოიცავს.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მოქმედი სტრატეგიული ალიანსების მსოფლიოს საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების ჯაჭვი და გაანალიზებულია მათი ფუნქციონირების ძირიადი ასპექტები.

Sopiko Tevdoradze

Modern Aspects of Integration in Tourism Summary

Economical associations that of the type of strategic alliance are widely spread in tourism industry. Their peculiarity is that they do not limit the freedom of ownership within the companies.

Strategic Alliances represented by the world hotel chains that include not only the hotels that they own but also those that join the alliance on franchising terms became widespread in tourism business.

The paper deal with International brand hotel chains of the strategic alliance in Georgian tourism market and discusses the principal aspect of their functioning.

შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის რეგულირება და საქართველო

თანამედროვე მსოფლიოს სამეურნეო საქმიანობისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და დემოკრატიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებას მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მსხვილმასშტაბიანი მიგრაცია წარმოადგენს.

შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია, საერთაშორისო სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია. შრომითი პოტენციალი, რომელიც წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ეძებს ადგილსა და საშუალებებს, სადაც მისი შედარებით ეფექტიანი გამოყენება იქნება შესაძლებელი, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებში, ასევე მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბებშიც.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული მიგრაციულმა პროცესებმა საქართველოში მეტად სერიოზული მასშტაბები მიიღო, განსაკუთრებით გაიზარდა ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლის შედეგადაც ქვეყნის მოსახლეობა მილიონზე მეტი ადამიანით შემცირდა. ამასთან, ქვეყნიდან ძირითად შრომისუნარიანი მოსახლეობა გავიდა, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულეებზე.

შრომითი რესურსების მიგრაციის კვლევის აქტუალობა იმითაცაა გამოწვეული, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან, გააჩნია მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი შედეგები. ამასთან, მიგრაციული პროცესები ყოველთვის როდი მიმდინარეობენ ოპტიმალურად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების, ასევე პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ, მისი ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია იმ მექანიზმებში გარკვევა, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციის წარმოშობის მიზეზებს, მის მიმართულეებს, ინტენსიობას და ა.შ.

სწორედ ამით იქნა განპირობებული ქვეყანაში მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, სადაც ნათქვამია, რომ „მიგრაცია წარმოადგენს გლობალურ ფენომენსა და თანამედროვეობის გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და, ასევე, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა არის ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი.

ჩვენს ქვეყანაში ცივილიზებული საბაზრი ურთიერთობების დამყარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ეფექტიანად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის ჩამოყალიბება წარმოადგენს. შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომის ბაზრის რაოდენობრივ და ხარისხობრივი პარამეტრების ფორმირებას ყველა დონეზე – იქნება ეს რეგიონული, ნაციონალური თუ საერთაშორისო, რამდენადაც შრომითი რესურსების ნაკადების შემოსვლა ან გასვლა ქვეყნიდან ყოველთვის ახდენს გავლენას როგორც მთლიანად მოსახლეობის აღწარმოებაზე, ასევე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები, მიგრანტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მიმართულებები და მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე.

მკვლევართა დიდი უმეტესობა, მიგრაციული პროცესების, მათ შორის შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ძირითად გამომწვევ მიზეზად ეკონომიკურ ფაქტორებს მიიჩნევენ და სწორედ მასში პოულობს ასახვას ცალკეული მიგრანტების ინტერესები.

შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, მიგრაციული პროცესების განხილვასას, შეიძლება რამდენიმე მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც მიუთითებენ ამ პროცესის როგორც დადებით ასევე უარყოფით მომენტებზე. უპირველეს ყოვლისა, შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნები ყოველგვარი მატერიალური, შრომითი თუ სხვა სახის დანახარჯების განწვევს გარეშე ღებულობენ მაღალკვალიფიციურ, უმეტეს შემთხვევაში იაფ სამუშაო ძალას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ კოლოსალური ეკონომია გასწიონ შრომითი რესურსების მომზადებაზე. ასეთ სარგებელს ძირითადად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ღებულობენ, რომელთა სარგებელი იმიგრანტების შრომის გამოყენებით ბევრად აღემატება იმ ფინანსური დახმარების სიდიდეს, რომელსაც ისინი განვითარებად ქვეყნებს უწევენ.

არაერთგვაროვანია შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის შედეგები შრომითი რესურსების ექსპორტიორ ქვეყნებისთვისაც. ამ შემთხვევაში ერთის მხრივ, ქვეყნიდან ძირითადად ახალგაზდული ასაკის შრომის უნარიანი პირები გადიან, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, აჩქარებს მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერების პროცესს, ზოგიერთ შემთხვევაში ექსპორტიორ ქვეყნებში მოსახლეობის დეპოპულაციასაც კი იწვევს.

მიუხედავად ამისა, შრომითი რესურსების მიგრაცია მისი ექსპორტიორი ქვეყნებისთვის მეტად მომგებიანი პროცესია. პირდაპირი ფულადი გზავნილების მიღების გარდა, შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ასევე რეემიგრაციული პროცესები.

ამ გარემოებებმა თავისი ასახვა პოვეს საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმაში, სადაც ნათქვამია, რომ „თანამედროვე საქართველოსათვის შრომითი მიგრაცია კვლავ რჩება აქტუალურ საკითხად. ამასთან, თუ აქამდე იკვეთებოდა მხოლოდ ემიგრაციული ნაკადების ზრდა მისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, დღეისათვის სულ უფრო აქტუალური ხდება იმიგრაციის რეგულირების საჭიროებაც. საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ უკანასკნელ წლებში საიმიგრაციო პოლიტიკის ლიბერალიზაციამ და მთელ რიგ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღებამ ხელი შეუწყო აღნიშნული რეგიონებიდან უცხოელთა ინტენსიურ შემოსვლას საქართველოში, მათ შორის დასაქმების მიზნითაც.

ცხადია, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება გულისხმობს სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდას და ეს პროცესი ობიექტური

ხასიათისაა. საქართველო ვერ იქნება იზოლირებული ამ პროცესებიდან და ეს არცაა გამართლებული. საუბარია მხოლოდ მიგრაციული პროცესების რეგულირების საჭიროებასა და მისი ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობაზე“.

მიგრაციული პროცესების რეგულირების აუცილებლობა არაა დამახასიათებელი მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო საზოგადოება საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების კოორდინირებული რეგულირების აუცილებლობის წინაშე დადგა, რომელიც გამონვეული იყო საერთაშორისო დონეზე მიგრაციული პროცესების მასშტაბების მკვეთრი მატებითა და აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური შედეგებით. რეგულირების ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური, ნორმატიულ-სამართლებლივი და ფინანსური მექანიზმები, რომლებიც წინა წლებში შეიქმნა გლობალურ (გაეროსა და სხვა ორგანიზაციების ფარგლებში), რეგიონულ (რეგიონალ ეკონომიკური ორგანიზაციები) და ნაციონალურ (ძირითადად მრეწველურად განვითარებული ქვეყნებში) დონეებზე, ხელს უწყობენ მსოფლიო საზოგადოებას, რათა თანდათანობით შეასუსტოს მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემების სიმწვავე და ოპტიმალური გახადოს მიგრაციული ნაკადების მასშტაბები.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებისათვის, როგორც შრომითი რესურსების ქვეყანა-იმპორტიორების, ასევე ქვეყანა-ექსპორტიორებისათვის დამახასიათებელი იყო არსებითი ხასიათის კორექტივები საკუთარ მიგრაციულ პოლიტიკაში. მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ქვეყანათაშორისი მიგრაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ადგილი აქვს არსებითი ხასიათის განსხვავებას სამუშაო ძალის იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების დონეებს, დემოგრაფიული განვითარების, განსაკუთრებით ბუნებრივი მატების ტემპებს შორის.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შრომითი მიგრაციას, ბევრ დადებით მხარესთან ერთად, მნიშვნელოვანი ხასიათის პრობლემები ახასიათებს. იგი ერთის მხრივ, ასუსტებს უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებს, ხელს უწყობს რა ქვეყანა-ექსპორტიორის სამუშაო ძალისათვის სავალუტო შემოსავლის დამატებითი წყაროს მიღებას, ასევე მათ მიერ უცხოეთში ცოდნის გარღმავებასა და გამოცდილების შექმნას, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ავსებენ საშუალო ფენის რიგებს, ხელს უწყობენ ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებას. მეორეს მხრივ, იწვევს ე.წ. „ტვინების გადინებას“, ამწვავებს დემოგრაფიულ პრობლემებს და ა.შ.

უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზაციისა და დადებითი ეფექტის გადიდების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნები ცდილობენ განახორციელონ ოპტიმალური მიგრაციული პოლიტიკა. განსაზღვრონ შესაბამისი პრიორიტეტები, რომელიც მათი აზრით ყველაზე უფრო მეტად პასუხობს ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს და ამის მიხედვით შეიმუშაონ შრომითი რესურსებისა და მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის რეგულირების ადექვატური მექანიზმები.

საერთაშორისო შრომითი მიგრაციული პროცესების რეგულირება ხდება როგორც ცალკეული სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო-სამართლებლივი აქტებით. ამ პროცესის რეგულირებას საფუძვლად უძევს ორი ურთიერთდაპირისპირებული ტენდენცია. ერთის მხრივ, ღია

ეკონომიკის პრინციპების გატარება, სახელმწიფოს მიერ შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილების პრინციპის დაცვა, ხოლო მეორეს მხრივ – სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური მდგომარეობა ქვეყანას აიძულებს გაატაროს რიგი ღონისძიებები, რათა შეზღუდოს ან აკრძალოს მსგავსი გადაადგილება. 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანთა უფლებების დეკლარაცია გულისხმობს ადამიანის მიერ საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის თავისუფალ არჩევის შესაძლებლობას, მაგრამ თითოეულ ქვეყანას რეალური მდგომარეობა აიძულებს შეიმუშაოს ეროვნული მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო, ორგანიზაციულ და სხვ. სახის ღონისძიებათა კომპლექსს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ვარგეულირით ქვეყანაში შემომსვლელებისა და გამსვლელების რიცხოვნობა. სამუშაო ძალის ექსპორტის სახელმწიფო რეგულირება მიმართულია როგორც ქვეყნის შრომითი-მიგრანტების ინტერესების დაცვისაკენ, რომლებიც ღებულობენ უცხოურ სამუშაო ძალას, ასევე ანაზღაურებენ იმ დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია უცხოეთში სამუშაო ძალის გასვლასთან. ემიგრაციული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ემიგრაციული ციკლის სამი ფაზის რეგულირება, ქვეყნიდან სამუშაო ძალის გასვლის, უცხოეთში ყოფნისა და სამშობლოში დაბრუნების ჩათვლით. პრაქტიკაში ეს რეგულირება დაიყვანება შემდეგი პრინციპების დაცვამდე: 1. მომუშავე უფლებების დაცვა გადაადგილებისა და შრომითი მონაცობის მხრივ; 2. მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების გარანტიები; 3. შრომითი მიგრანტების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილების ქვეყანაში დაუბრკოლებელი მიღებისა და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა; 4. უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობა, რაც შეიძლება მიღწეული იქნას იმ პროფესიის მომუშავეების გასვლით, რომელთა გამოყენებაც ქვეყანაში არ ხდება; 5. ეკონომიკის იმ სექტორიდან მომუშავეების გასვლის შეზღუდვა, სადაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დაუკმაყოფილებელია; 6. შრომის შიდა ბაზრის სრულყოფა რეპატრიანტების მიღების გზით, რომლებმაც უცხოეთში აითვისეს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი სპეციალობები; 7. შრომითი ემიგრანტებისათვის სოციალური გარანტიების მინიჭება.

საერთაშორისო-სამართლებლივ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ სამუშაო ძალის მიგრაციის პროცესს ქვეყნებს შორის ინტეგრაციული დაჯგუფებებს შიგნით, როგორც წესი, ლიბერალური ხასიათი გააჩნიათ. მაგრამ აქაც არსებობენ პრობლემები. 1957 წლის რომის შეთანხმების 52 პარაგრაფი, საერთო ბაზრის ფორმირების შესახებ (ძალაში შევიდა 1968 წ.) ევროკავშირის ქვეყნების წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს იმუშაონ მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე. 1993 წლის შენგენის შეთანხმების საფუძველზე მიღებულია ერთიანი სავიზო რეჟიმი. 1990 წლის დუბლინის კონვენციამ დაადგინა თავშესაფრის მინიჭების წესები. 1989 წლის დეკემბერში მიღებული იქნა ქარტია ევროკავშირის მუშების ძირითადი სოციალური უფლებების შესახებ. ქარტიაში ჩანერილია, რომ ყოველ მომუშავეს ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში უნდა ქონდეს უფლება თავისუფლად გადაადგილდეს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მთელს ტერიტორიაზე, დაემორჩილოს მხოლოდ იმ წესებსა და შეზღუდვებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად. ქარტიაში ნათქვამია, რომ გადაადგილების თავისუფლება უფლებას აძლევს თითოეულ მომუშავეს

თავისუფლად აირჩიოს დასაქმების სახე ან პროფესია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფარგლებში.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თავისუფალი გადაადგილების პრინციპის განხორციელებამ ევროპული კავშირის ფარგლებში შეიძლება გამოინვიოს მაღალკვალიფიციური კადრების კონცენტრირება შედარებით განვითარებულ რეგიონებში. დაბალკვალიფიციური მომუშავეები ნაკლებად მობილურები აღმოჩნდებიან. სამუშაო ძალის მიგრაციის შედეგი შეიძლება აღმოჩნდეს მისი დემპინგი. ასე მაგალითად, პორტუგალიელი სანარმოები საკუთარ მომუშავეებს აგზავნიან საფრანგეთსა და გერმანიაში ნაციონალურ სტანდარტებთან შედარებით უფრო დაბალი ანაზღაურების პირობებში.

შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის განვითარების კვალობაზე, იქმნებოდა და იხვეწებოდა მიგრაციული ნაკადების სახელმწიფო მართვის მექანიზმები. მაშინ როდესაც მსოფლიოში არსებული ქვეყნების უმრავლესობა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას აღრმავებს, პრაქტიკულად ყოველი მათგანი ახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც საერთაშორისო მიგრაციის შეზღუდვისკენაა მიმართული. მართალია, მიგრაცია იწვევს წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდას, მაგრამ მიგრაციისაგან მიღებული სარგებლის გადანაწილება მეტად არათანაბრად მიმდინარეობს. იმ ნეგატიური შედეგებიდან, რომელიც შრომითი რესურსების მიგრაციას ახასიათებს, შეიძლება გამოვყოთ ის ფინანსური ტვირთი, რომელიც განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტს აწვება. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება, როცა განვითარებული ქვეყნები გეოგრაფიულად ახლოს არიან შრომითი რესურსების ექსპორტიორ ქვეყნებთან.

იმ ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა, რომლებიც არეგულირებენ ქვეყანაში უცხოელების შემოსვლას, მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისგან იმიგრანტებს – ანუ იმ პირებს, რომლებიც ქვეყანაში შემოდის მუდმივად საცხოვრებლად, არაემიგრანტებისაგან, რომლებიც ქვეყანაში დროებით ჩამოდიან და არ აცხადებენ პრეტენზიას მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ არაიმიგრანტები შეიძლება მიმღებ ქვეყანაში ხანგრძლივად იმყოფებოდნენ და ამასთან მუშაობდნენ კიდევ, სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომითი ემიგრაციის რეგულირებას. როგორც წესი, სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებით, რომელიც მიმართულია უცხოური შრომითი რესურსების შემოსვლის შესაზღუდავად ან მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების (რეემიგრაციის) სტიმულირებისაკენ. შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნები თავიანთ იმიგრაციულ პოლიტიკას აგებენ ქვეყანაში შემომავალი, შრომითი მიგრანტების რაოდენობისა და ხარისხობრივი შემადგენლობის რეგულირებაზე. მიმღებ ქვეყნების უმრავლესობა, იმიგრაციის რეგულირებისას ფართოდ გამოიყენებს სელექციურ მიდგომას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო არ აფერხებს იმ კატეგორიის მომუშავეების შემოსვლას, რომელსაც ქვეყანა საჭიროებს.

მამუკა თორია

**შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის
რეგულირება და საქართველო
რეზიუმე**

შრომითი რესურსების მიგრაცია მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან და მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი შედეგებით ხასიათდება. ამასთან, მიგრაციული პროცესები, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარების თუ პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით ყოველთვის როდი მიმდინარეობენ ოპტიმალურად. ამიტომ, მისი ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია იმ მექანიზმებში გარკვევა, რომლებიც განაპირობებენ მიგრაციის წარმოშობის მიზეზებს, მის მიმართულებებს, ინტენსიობას და ა.შ. აქედან გამომდინარე, მიგრაციული პროცესების მართვა ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

Mamuka Toria

**Regulation of International Migration Labor Resources and Georgia
Summary**

Migration of Labor Resources is tightly connected to the various sides of the social life, and has the versatile and important results. In addition, migration processes did not always progress in the terms of social, economic and demographic development and political interests of the society. Therefore, to perform its effective management, it is necessary to study the mechanisms stipulating the migration origination results, its directions, intensity etc. Therefore, migration process management should become one of the priorities of the development strategy of the country.

ევროკავშირთან დაახლოება და საქართველოში ევროპული სტატისტიკის დანერგვის ზოგიერთი პრობლემა

საქართველო ემზადება ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისათვის, რომლის ნათელი გამოსატყულება იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. მოცემული ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის განხილვას, როგორცაა: ეკონომიკა, ფინანსები, სტატისტიკა და სხვა. სტატისტიკის სფეროში ასეთი თანამშრომლობა გულისხმობს საერთაშორისო მაღალი სტანდარტების დონეზე შედარებადი საიმედო სტატისტიკური მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნების და საქართველოს ხელისუფლების, ბიზნესწრეების წარმომადგენლების და საქართველოს მოქალაქეთა უზრუნველყოფას.

ასოცირების ხელშეკრულების 288 -ე მუხლის მიხედვით, საქართველოში ევროპული სტატისტიკის დანერგვისათვის ევროკავშირთან თანამშრომლობა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა:

- მაკროეკონომიკური სტატისტიკა, მათ შორის ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა;
- დემოგრაფიული სტატისტიკა, მათ შორის აღწერა და სოციალური სტატისტიკა;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მათ შორის სოფლის მეურნეობის აღწერა და გარემოს დაცვის სტატისტიკა;
- ბიზნესის სტატისტიკა;
- ენერგეტიკის სტატისტიკა;
- რეგიონული სტატისტიკა

სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობისას გათვალისწინებული იქნება გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში საქართველოში სტატისტიკის სისტემის რეფორმირების პროცესში გამოვლენილი როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგები. უმთავრესი საკითხი დაეთმობა საქართველოს სტატისტიკის კანონმდებლობის ევროკავშირის სტატისტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

ოფიციალური სტატისტიკის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულია 2009 წლის 11 დეკემბერს ადრე არსებული ორი კანონის (“სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 12 ნოემბერისა და “საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ“ 2001 წლის 12 ოქტომბერის კანონი) ნაცვლად.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის არსს, მიზანსა და პრინციპებს, ადგენს სტატისტიკის წარმოებისა და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამართლებრივ საფუძვლებს, ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოთა სისტემას და მათ ფუნქციებს.

მოცემული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მის შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა: პროფესიული დამოუკიდებლობა; ობიექტურობა; სანდოობა; სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა; ეფექტურობა.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის კონფიდენციალური).

კანონის მე-18 მუხლი ავალდებულებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს გაიაროს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

მოცემული კანონი ასევე არეგულირებს მონაცემთა გავრცელების, შენახვისა და მათი კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს.

ახლო მომავალში საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის შემდგომი დაახლოება უნდა მოხდეს **ევროპულ სტატისტიკოსთა ნორმების კოდექსთან**, რომელიც დამტკიცებულია ევროკავშირის სტატისტიკური პროგრამების კომიტეტის სხდომაზე 2005 წლის 24 თებერვალს. მოცემული კოდექსით ევროსტატმა და ევროკავშირში შემავალმა ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურებმა უნდა ისარგებლონ 15 პრინციპით. ესენია:

პროფესიონალური დამოუკიდებლობა – სტატისტიკური ორგანოების პროფესიონალური დამოუკიდებლობა პოლიტიკური, მარეგულირებელი და ადმინისტრაციული ორგანოებისა და უწყებებისაგან უზრუნველყოფს ევროპული სტატისტიკის უტყუარობას.

უფლებამოსილება მონაცემთა შეგროვებაში – სტატისტიკური ორგანოები უნდა ფლობდნენ გამჭვირვალე უფლებამოსილებას მონაცემთა შეგროვებაში ევროპული სტატისტიკის საჭიროებისათვის. კანონს შეუძლია დაავალდებულოს ადმინისტრაციული დაწესებულებები, საწარმოები, შინამეურნეობები, მოქალაქეები სტატისტიკური ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად დაუშვან თავიანთ მონაცემებთან ან ევროპული სტატისტიკის საჭიროებისათვის აცნობონ აუცილებელი მონაცემები.

რესურსების საკმარისობა – სტატისტიკური ორგანოების განკარგულებაში არსებული რესურსები საკმარისი უნდა იყოს ევროპული სტატისტიკის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

ვალდებულება ხარისხის უზრუნველყოფისათვის – ევროპის სტატისტიკური სისტემის ყველა წევრი ვალდებულია იმუშაოს და ითანამშრომლოს იმ პრინციპების თანახმად, რომელიც ხარისხთან დაკავშირებით ასახულია ევროპის სტატისტიკური სისტემის დეკლარაციაში.

სტატისტიკური კონფიდენციალობა – რესპონდენტების (შინამეურნეობები, საწარმოები, ადმინისტრაციები და სხვ.) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მათ მიერ მოწოდებული

ლი სტატისტიკური ინფორმაციის კონფიდენციალობა და მათი გამოყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.

მიუკერძოებლობა და ობიექტურობა – ევროპული სტატისტიკის წარმოება და გავრცელება სტატისტიკური ორგანოების მიერ ხორციელდება მეცნიერული აზრის დამოუკიდებლობის პატივისცემის სულისკვეთებით, ობიექტურად, პროფესიონალურად, გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით და ყველა მომხმარებელთან ერთგვაროვანი დამოკიდებულებით.

მეთოდოლოგიის საფუძვლიანობა – სტატისტიკის ხარისხი უზრუნველყოფილია საფუძვლიანი მეთოდოლოგიით. ამისათვის საჭიროა შესაბამისი საშუალებები, პროცედურები და გამოცდილება.

სტატისტიკური პროცედურების დასაბუთებულობა – სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხის საფუძველია დასაბუთებული სტატისტიკური პროცედურები, რომელთა გამოყენება იწყება მონაცემთა შეგროვებით და მთავრდება მონაცემთა სისწორის შემოწმებით.

რესპონდენტზე დაკისრებული დატვირთვის ზომიერება – რესპონდენტთა დატვირთვა მონაცემთა წარმოდგენისას უნდა იყოს მომხმარებელთა საჭიროების პროპორციული და არ უნდა იყოს ზომიერად დიდი. სტატისტიკური ორგანოები ახორციელებენ დატვირთვის მონიტორინგს მონაცემთა წარმოდგენისას და აყალიბებენ მიზნებს მისი თანდათანობითი შემცირებისათვის.

ეკონომიურობა – რესურსების გამოყენება უნდა იყოს ეფექტური.

აქტუალობა – ევროპულმა სტატისტიკამ უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ინტერესები.

მეთორმეტე პრინციპი. სიზუსტე და საიმედოობა – ევროპულმა სტატისტიკამ სინამდვილე უნდა ასახოს ზუსტად და უტყუარად.

თავისდროულობა და პუნქტუალობა – ევროპული სტატისტიკის გავრცელება უნდა მოხდეს საჭირო დროს, დაგვიანების გარეშე.

ურთიერთკავშირი და შესადარისობა – ევროპული სტატისტიკა უნდა იყოს შინაგანად და დროის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული, შესადარისი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით. სხვადასხვა წყაროებიდან დაკავშირებული მონაცემების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს კომბინირებულად და ერთდროულად.

ხელმისაწვდომობა და სიცხადე – ევროპული სტატისტიკის წარდგენა უნდა მოხდეს ცხადად და გასაგები ფორმით. მისი გავრცელება უნდა მოხდეს შესაფერისი და სასურველი ხერხებით. მისი გამოყენება და მასთან დაშვება ნებადართული უნდა იყოს ყველასათვის თანაბარ პირობებში. მონაცემებს უნდა ახლდეს მეტამონაცემები და განმარტებები.

ოფიციალური სტატისტიკური სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ევროპული სტატისტიკის სტანდარტისა და კვლევების მეთოდოლოგიის დანერგვისათვის საჭიროა გაიზარდოს საქსტატის მაკოორდინირებელი ფუნქციის შემდგომი ამაღლება საქსტატსა და სხვა სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის საკითხებში. ქართულ კანონმდებლობაში საჭიროა განახლდეს მენარმეთა მიმართ ვალდებულება ოფიციალურ სტატისტიკურ ორგანოებში მენარმეთა საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით უტყუარი ინფორმაციის წარდგენაზე; ასევე საჭიროა სტატისტიკური წარმოების პროცესის მონაწილეთა (საქსტატი, რესპოდენტები, სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლები) შეთანხმებული მუშაობა, რაც სანდოსა და უფრო გამოყენებადს გახდის ოფიციალურ სტატისტიკურ პუბლიკაციებს.

დავით კბილაძე

ევროკავშირთან დაახლოება და საქართველოში ევროპული სტატისტიკის დანერგვის ზოგიერთი პრობლემა რეზიუმე

საქართველოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვა ევროკავშირთან დაახლოებისაკენ განმტკიცებული იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით. მოცემული დოკუმენტი, სხვა დარგებთან ერთად, გულისხმობს ორმხრივ თანამშრომლობას სტატისტიკაშიც.

საქართველოში სტატისტიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება დანერგვა ითვალისწინებს ისეთ სფეროებს, როგორცაა: მაკროეკონომიკური, მათ შორის ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობა, საგადასახდელი ბალანსი, უცხოური ინვესტიციები, დემოგრაფია, ბიზნესი, ენერგეტიკა და სხვა.

ამ მიზნით, გატარებულ ძირითად ღონისძიებათა შორის უმთავრესია:

- სტატისტიკის სფეროში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა და მისი ჰარმონიზება ევროპულ კანონმდებლობასთან;
- სტატისტიკის ევროპული კოდექსის ნორმების შემოღება;
- ევროპული საკლასიფიკაციო სისტემების დანერგვა და გამოყენება.

David Kbiladze

Integration with the EU and Some Problems in Implementing European Statistics in Georgia

Summary

Aspiration of Georgia as a state and majority of population towards the European Union will be supported by signing Association Agreement with the European Union. This document provides the greatest national importance in the areas of bilateral cooperation, such as economics, finance and statistics.

Implementation of European Statistics in cooperation with the EU includes such areas as: Macro economic statistics, including national accounts, foreign trade statistics, statistics of balance payment, foreign investment statistics, population statistics, business statistics, energy statistics and regional statistics.

The most important issues in implementation of European statistics in Georgia are:

- Improvement of official statistics legislation and its harmonization with the EU legislation;
- Approach of official statistics of Georgia to European Code of official statistics;
- Implementation of European classification system and usage in various areas in Georgia.

ტურიზმის ინდიკატორების ევროპული სისტემა „TOOLKIT“, როგორც ახალი მიდგომა საქართველოს ტურიზმის ევროინტეგრაციისთვის

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება იქცა ძირითად კონცეფციად, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გაზიარებულ იქნა მსოფლიო საზოგადოების მიერ. აღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის გაეროს მსოფლიო ფორუმების: რიო დე ჟანეიროს (1992) (ჭელიძე), იოჰანესბურგის (2002) (United Nations Conference) და კოპენჰაგენის (2009) (World Summit. . .) ყრილობებზე გამართულ მსჯელობებს და მათ საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. პრობლემის პრიორიტეტულობა განაპირობა საზოგადოების წინაშე არსებულმა ეკოლოგიურმა საფრთხეებმა, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციამ და ამონურვამ, ახალი ტიპის ტექნოლოგიურმა პროცესებმა და გარემოს დაბინძურების ხარისხის ზრდამ.

მსოფლიოში დღემდე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების დასადგენად. ამ საკითხზე მუშაობენ გაერო, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ქვეყნების ორგანიზაცია, ევროკომისია და ა.შ.

მდგრადი განვითარების ინდიკატორების მეშვეობით ხდება მისი რაოდენობრივი და შინაარსობრივი მდგომარეობის შეფასება, მიღწევების აღრიცხვა, მდგრადობის უმნიშვნელოვანესი ასპექტების განსაზღვრა და დაზუსტება. ამ თემაზე არსებული პუბლიკაციების ზედაპირული მიმოხილვაც კი ნათელყოფს იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიოში უკვე არსებობს მნიშვნელოვანი კვლევები, წინადადებები და რეკომენდაციები სხვადასხვა დონისა და მაშტაბის ინდიკატორების შერჩევის მეთოდოლოგიის შესახებ: საერთაშორისო (გლობალური); რეგიონული; ეროვნული; ლოკალური (ადგილობრივი); დარგობრივი და ცალკეული ტურისტული დესტინაციების გარშემო.

ძირითადად გავრცელებულია ინდიკატორების შერჩევის ორი სისტემა: ერთნი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების მახასიათებელი ისეთი ქვესისტემების კვლევას, როგორცაა – ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ინსტიტუციონალური ქვესისტემები. ამ მეთოდოლოგიის გამოყენებისას მიმართავენ სტრუქტურას: „თემა/პრობლემა – ინდიკატორი“, ან სტრუქტურას „მიზნები-ამოცანები-ინდიკატორები“, ან სტრუქტურას „თემა-ქვეთემა-ინდიკატორი“ და სხვ.

მეორე მიდგომა ეფუძნება აგრეგალური (ინტეგრალური) ინდიკატორების გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის შეფასება. ამ სისტემის გამოყენებისას როგორც უკვე აღინიშნა უპირატესობას ანიჭებენ აგრეგირებული (ინტეგრალური) ინდიკატორების გამოყენებას. ერთი კონკრეტული მაჩვენებლის მიხედვით მთელი პროცესის შეფასებას, მაგ. მოცემულ ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით მთელი ტერიტორიის მდგრადობის შეფასებას. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ სამ ინდიკატორს: დაგროვება, ადამიანური რესურსების განვითარება და ბუნებრივი კაპიტალი.

პრობლემის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროკავშირის ორგანიზაციებმა. გამსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს განეული საქმიანობა. სააგენტოს მიერ 2003 წელს განსაზღვრულ იქნა ძირითადი ინდიკატორების ნუსხა,

რომელიც **354 ინდიკატორს** მოიცავს. (იგულისხმება ძირითადი და სუბ ინდიკატორები). მკვლევართა მიერ **224 მიჩნეულია ძირითად ინდიკატორად**, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ პრობლემაზე საშუალოდ მოდის 15 ინდიკატორი. მათგან 206 აღებულია კარგად განვითარებული სფეროებიდან, ხოლო 148 შედარებით ნაკლებად განვითარებული სფეროებიდან.

გარემოსდაცვითი პრობლემების აღწერილობა მოდელში: მამოძრავებელი ძალები-დატვირთვა-მდგომარეობა-ზეგავლენა-რეაგირება (DPSIR) მოითხოვს თითოეული ბლოკიდან 10-20 ინდიკატორს. წყლის ინდიკატორები, მისი ნაკადების ნარჩენები და მასალები მოიცავს შემდეგ პრობლემებს: მხოლოდ წყლის - რაოდენობას, ორგანულ და საკვებ დაბინძურებებს, საშიშ ნივთიერებებს. ამიტომ ამ ნაწილში ინდიკატორთა რაოდენობა საშუალოზე მეტია. 224 ძირითადი ინდიკატორი მოიცავს 130 სუბ ინდიკატორს. ასევე ცალცალკე განიხილება ნიადაგი და ჰაერი (www.unfccc.int/resource/docs/2009/.../107.pdf)

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (მტო) შეიმუშავა ტურიზმის მდგრადი განვითარების **საბაზისო საკითხები და ინდიკატორები**, რომელიც თორმეტ პუნქტს მოიცავს. ქვემოთმოყვანილ ცხრილში გაეროს მტო-ს პუნქტები ცხრილის მარჯვენა ნაწილშია მოქცეული (<http://www.uncece.org/fileadmin/DAM/env/europe/monitoring/StPetersburg/EEA Core Set of Indicators rev2EECCA.pdf>). ჩვენ შევეცადეთ მათი ხუთ ქვესისტემად დაჯგუფება, რომელიც ცხრილის მარცხენა ნაწილშია. ეს მიმართულებებია:

<p>1. ადგილობრივი მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის კვლევა</p>	<p>ადგილობრივთა კმაყოფილება ტურიზმით</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივთა ტურიზმით კმაყოფილების დონე (კითხვარი) <p>ტურიზმით კმაყოფილების მდგრადობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ვიზიტორებით კმაყოფილების დონე (კითხვარზე დაფუძნებული) • ხარისხის და ფასის თანაფარდობის აღქმა (კითხვარზე დაფუძნებული) • დაბრუნებულ ტურისტთა პროცენტი
<p>2. თანაფარდობა ვიზიტორთა რაოდენობასა და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას შორის</p>	<p>ტურიზმის ეფექტი ადგილობრივ საზოგადოებაში/თემში</p> <ul style="list-style-type: none"> • თანაფარდობა ტურისტების რაოდენობასა და ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას შორის (საშუალოდ და პიკის პერიოდში/დღე) • პროცენტული რაოდენობა იმ მოსახლეობისა, ვისაც მიაჩნია, რომ მათ ტურიზმი დაეხმარა მომსახურების, ან ინფრასტრუქტურის ახალი ფორმების შემოღებაში. (კითხვარზე დაფუძნებული) • საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სოციალური მომსახურების რაოდენობა და მოცულობა (ტურიზმით განპირობებული პროცენტი)
<p>3. ტერიტორიების დაცვა და დაცული ტერიტორიების განვითარება</p>	<p>ტურიზმის სეზონურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტთა ნაკადები ყოველთვიურად, ან კვარტალში (განაწილება მთელი წლის განმავლობაში) • ლიცენზირებული (ოფიციალური) განთავსების საშუალებების დატვირთვის მაჩვენებლები თვეში (პიკის პერიოდების შედარება დაბალ სეზონთან) და მთლიანი დატვირთვის პროცენტი პიკის კვარტალში ან თვეში) • მთელი წლის განმავლობაში ბიზნესის დაწესებულებების გახსნის პროცენტი • ტურისტული ინდუსტრიის სამუშაო ადგილების რაოდენობა და პროცენტი, რომელიც მუდმივია, ან გრძელდება მთელი წლის განმავლობაში (დროებით სამუშაო ადგილებთან შედარებით) <p>ტურიზმის ეკონომიკური სარგებელი</p> <ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა (და მამაკაცებისა და ქალების თანაფარდობა), მათ შორის ტურიზმში დასაქმებულები (ასევე ტურიზმში დასაქმების კოეფიციენტი მთლიან დასაქმებასთან) • ადგილობრივ თემში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების პროცენტული რაოდენობა მთლიან შემოსავლებთან


4. ტურიზმის გავლენით გარემოს დაბინძურების შეფასება	ენერგეტიკის მართვა <ul style="list-style-type: none"> ერთ სულ მოსახლეზე ენერჯის ყველა წყაროს მოხმარება (მთლიანად და მათ შორის ტურისტულ სექტორში - ერთ სულზე დღეში) ენერგოდაზოგვის პროგრამებში მონაწილე კომპანიების პროცენტი, ან მათი ვინც იყენებს ენერჯის დაზოგვის პოლიტიკას და ტექნიკას განახლებადი რესურსებიდან ენერჯის მოხმარების პროცენტი (დესტინაციებში, დანესებულებებში)
	წყლის ხელმისაწვდომობა და საკონსერვაციო <ul style="list-style-type: none"> წყლის გამოყენება: (მოხმარებული წყლის საერთო მოცულობა და ერთი ტურისტის მიერ დღეში მოხმარებული ლიტრი წყალი) წყლის დაზოგვა (რამდენი პროცენტით შემცირდა, დაბრუნდა ან რეციკლირებულ იქნა)
	სასმელი წყლის ხარისხი <ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო სტანდარტებით ვარგისად მიღებული სასმელი წყლის ტურიზმის დანესებულებებში გამოყენების პროცენტი წყლისმიერი დაავადებების ზრის სიხშირე: იმ ტურისტების რაოდენობა/პროცენტი, რომლებმაც განაცხადეს ყოფნის დროს წყლისმიერი დაავადებების გადადების შესახებ
	გამწმენდი კანალიზაცია <ul style="list-style-type: none"> მკურნალობის შედეგად ჩამდინარე წყლების პროცენტი (პირველადი, მეორადი, (კანალიზაციის მართვა) უმაღლეს დონეზე) ტურიზმის დანესებულებების (ან საცხოვრებლების) პროცენტი, რომლებიც მიერთებული არიან გამწმენდ სისტემასთან
	მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავი) <ul style="list-style-type: none"> დედსტინაციის მიერ წარმოებული ნარჩენების მოცულობა (ტონა) (თვეში) გადამუშავებული ნარჩენების მოცულობა (კუბომეტრი) / სულ ნარჩენების მოცულობის (კუბომეტრი) (განსაზღვრეთ ტიპების მიხედვით) საზოგადოებრივ ადგილებში დაყრილი ნარჩენების რაოდენობა (ნაგვის რაოდენობა)
5. ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის რეგულირება და კონტროლი	განვითარების კონტროლი <ul style="list-style-type: none"> მინათსარგებლობის პროცესის არსებობა, ან განვითარების გეგმა, მათ შორის ტურიზმის დაგეგმვა კონტროლს დაქვემდებარებული ფართობის პროცენტი (სიმჭიდროვე, დიზაინი, და ა.შ.)
	გამოყენების ინტენსივობის კონტროლი <ul style="list-style-type: none"> საერთო ტურისტული ჩამოსვლები (მცირე რაოდენობით, ყოველთვიური, პიკის პერიოდები) ტურისტების რაოდენობა კვადრატულ მეტრზე (მაგალითად, პლაჟები, ატრაქციონები), დესტინაციის კვადრატულ კილომეტრზე - საშუალოდ არასეზონზე / საშუალოდ პიკის პერიოდში.

ტურიზმის სფეროსათვის ინდიკატორების სისტემის ფორმირებაში აქტიურად ჩაერთვნენ ყოფილი საბჭოთა სივრცის სპეციალისტები. ამ მიმართებით აღსანიშნავია უკრაინის მაგალითი. უკრაინის ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, თვალსაჩინოა უკრაინის ინტეგრირების პროცესი მსოფლიო ტურისტულ ინდუსტრიაში. ტურიზმის განვითარება უკრაინაში განხილულია ისეთი თანმდევი დარგების გათვალისწინებით, როგორცაა ტრანსპორტი, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მასობრივი მოხმარების საგნების წარმოება.

ინდიკატორების სისტემის ფორმირება საჭიროა უპირველეს ყოვლისა, დარგის განვითარების მდგომარეობის შეფასებისათვის. მიღებული შედეგები საშუალებას აძლევს მას რაციონალურად გამოიყენოს რესურსები და ეფექტურად წარმართოს საქმიანობა, დაგეგმვა და

პროგნოზირება. ანალიზისათვის შერჩეულ იქნა უკრაინის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტული დესტინაცია - ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა.

სპეციალურად ტურიზმის დარგობრივი ინდიკატორების კვლევა ჩაატარეს უკრაინელმა მეცნიერებმა, ს. ციოხლამ და ა. მიშჩენკომ. მათი მტკიცებით, ტურისტული საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები სისტემური მიდგომის პრინციპების გათვალისწინებით უნდა ასახავდნენ მიღებული საბოლოო შედეგების დონეს. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ინდიკატორთა სისტემის მთლიანობა, რომელიც ითვალისწინებს საკვლევო ობიექტის გარემოსთან კავშირს. ამიტომაც ხდება შესაძლებელი შეთავაზებულ იქნას ინდიკატორების ისეთი სისტემა, რომელიც შეაფასებს ტურიზმში მენარმეობის საქმიანობის განვითარებას შესაბამის დონეზე (www.sdt.unwto.org/.../finalreport-bohol2008.pdf).



სამწუხაროდ, საქართველოში ამ მიმართებით არც კვლევები ტარდება და არც მეცნიერები იყენებენ ინდიკატორების სისტემას. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ახალი ტურისტული პროდუქტის დანერგვის მიზნით ჩატარებული კვლევები, სადაც შეკუმშულად იქნა გამოყენებული მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და გაეროს მტო-ს ზემოაღნიშნული ინდიკატორები. (Цѣхла)

ევროპის ტურიზმის ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემა Toolkit განკუთვნილია სპეციალურად ტურისტული დესტინაციებისათვის. ეს არის დარგის ადგილობრივი მოთამაშეების მიერ შემუშავებული და გაფორმებული პროცესი, დესტინაციის მონიტორინგის, მენეჯმენტის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სისტემა ეფუძნება წინა ინიციატივების გა-

მოცდილებას და გაუმჯობესებულია ევროპის სხვადასხვა დესტინაციებში ჩატარებული უკუკავშირზე დაფუძნებული სავაჭრო კვლევების შედეგებით.

მას გააჩნია სამი შემადგენელი: **მაჩვენებლთა კომპლექტი; პრაქტიკული სახელმძღვანელო და მონაცემთა ბაზა**. მისი გამოყენება შეიძლება ნებისმიერი კონკრეტული დესტინაციის მიერ ყოველგვარი სპეციალური მომზადებისა და განსაკუთრებული სწავლების გარეშე. ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელია დესტინაციის პროფილის და სამოქმედო არეალის დადგენა, მართვის გაუმჯობესება და მისთვის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა.

დღევანდელი სისტემა შედგება 27 ძირითადი და 40 დამატებითი, ანუ სუბ-ინდიკატორისაგან (ფაკულტატიური ინდიკატორები). ინდიკატორების ეს სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნას დამოუკიდებლად, ან ინტეგრირებულ იქნას მონიტორინგის არსებულ სისტემებთან. სისტემა არის მოქნილი, რის გამოც შეიძლება მორგებულ იქნას როგორც დესტინაციის კონკრეტულ საჭიროებებზე, ისე დარგის მოთამაშეთა ინტერესებზე, რომელთათვის რელევანტურია დესტინაციის მდგრადობის საკითხები.

ინდიკატორთა სისტემის ძირითადი პრინციპია ყველა დაინტერესებული მხარის სოლიდარული პასუხისმგებლობა და აქტიორთა ჩართვა თვითმმართველობისა და გადანაცვტილების მიღების პროცესში. დესტინაციის ეფექტური მართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ მონაცემთა ბაზის შეგროვება და ანალიზი. (Development of biodiversity-based tourism products in protected areas of Georgia“)

მიზეზები დესტინაციის მონიტორინგისათვის:

- უკეთესი გადანაცვტილების მიღების საფუძველი
- რისკების ეფექტური მართვა
- პრიორიტეტების განსაზღვრა
- ბენჩმარკინგი (შედეგების შედარება)
- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაუმჯობესება და დარგის მოთამაშეთა უფრო მეტი მხარდაჭერა
- სტუმართა გაზრდილი შთაბეჭდილებები
- უკეთესი საბოლოო შედეგი/ხარჯების ეკონომია
- თითოეული სტუმრისგან უმაღლესი დღგ-ს მიღება

ამრიგად, სახეზეა დესტინაციების მდგრადი განვითარების ინდიკატორების ფორმირების დახვეწილი მეთოდოლოგია, რომელსაც გამოყენების ფართო დიაპაზონი და სპექტრი გააჩნია. მთავარია, რომ მკვლევარებს მიეცეთ კვლევისა და აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენების შესაძლებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრისტინსენი პ. ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) ძირითადი ინდიკატორები. 2003.
2. თამარ ქელიძე „ქართული ეკო სერტიფიცირების სისტემა“. მოხსენება სემინარზე.
3. United Nations Conference on Environment & Development Rio de Janeiro, Brazil, 3 to 14 June 1992. AGENDA 21. PDF-ფაილი ვებ-გვერდიდან: www.sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf
4. World Summit on Sustainable Development Johannesburg, South Africa 26 August–4 September 2002 PDF -ფაილი ვებ-გვერდიდან www.un.org/jsummit/.../summit.../0409_16r...
5. Copenhagen Climate Summit. 2009. PDF -ფაილი ვებ-გვერდიდან: www.unfccc.int/resource/docs/2009/.../107.pdf
6. UNWTO: SUSTAINABLE TOURISM INDICATORS AND DESTINATION MANAGEMENT. 2007. S.71-72 ვებ-გვერდიდან: www.sdt.unwto.org/.../finalreport-bohol2008.pdf
7. Development of biodiversity-based tourism products in protected areas of Georgia“ 2014
8. European Tourism Indicator System “TOOLKIT“ for Sustainable Destinations. 2013. PDF -ფაილი ვებ-გვერდიდან: http://ec.europa.eu/enterprise/sectors/tourism/sustainable-tourism/indicators/index_en
9. Цёхла С.Ю., Мищенко А.В. Формирование системы индикаторов развития туристского обслуживания. 2009. ვებ-გვერდიდან: www.tourlib.net/statti_tourism/cehla.htm

ნიკა კვარაცხელია

ტურიზმის ინდიკატორების ევროპული სისტემა TOOLKIT, როგორც ახალი მიდგომა საქართველოს ევროინტეგრაციისთვის რეზიუმე

XX-XXI საუკუნის მიჯნაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება იქცა ძირითად კონცეფციად, რომელიც საყოველთაოდ გაზიარებულია. აღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის გაეროს მსოფლიო ფორუმების: რიო დე ჟანეიროს (1992), იოჰანესბურგის (2002) და კოპენჰაგენის (2009) ყრილობების გადაწყვეტილებებს. პრობლემის პრიორიტეტულობა განაპირობა საზოგადოების წინაშე არსებულმა ეკოლოგიურმა საფრთხეებმა, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციამ და ამონურვამ, ახალი ტიპის ტექნოლოგიურმა პროცესებმა და გარემოს დაბინძურების ხარისხის ზრდამ.

ძირითადად გავრცელებულია ინდიკატორების შერჩევის სისტემა, რომელიც უპირატესობას ანიჭებენ მეთოდოლოგიას და ეფუძნება მდგრადი განვითარების მახასიათებელი ისეთი ქვესისტემების კვლევას, როგორცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და ინსტიტუციონალური ქვესისტემები.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (მტო) შეიმუშავა ტურიზმის მდგრადი განვითარების **საბაზისო საკითხები და ინდიკატორები**, რომელიც თორმეტ პუნქტს მოიცავს. სტატიაში მოყვანილია ცხრილი „გაეროს მტო-ს ინდიკატორების სისტემატიზაცია“, სადაც გაეროს მტო-ს 12 ინდიკატორი ხუთ ქვესისტემაშია მოქცეული.

ტურიზმის დარგობრივი ინდიკატორების შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი კვლევები არ ტარდება და არც მეცნიერები იყენებენ ინდიკატორების სისტემას. გამონაკლისია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ახალი ტურისტული პროდუქტის დანერგვის მიზნით ჩატარებული კვლევები, სადაც ნაწილობრივ იქნა გამოყენებული მდგრადი განვითარების კრიტერიუმები და გაეროს მტო-ს ზემოაღნიშნული ინდიკატორები.

ევროპის ტურიზმის ინდიკატორთა სისტემა Toolkit განკუთვნილია სპეციალურად ტურისტული დესტინაციებისათვის. სისტემა ეფუძნება წინა ინიციატივების გამოცდილებას და გაუმჯობესებულია ევროპის სხვადასხვა დესტინაციებში ჩატარებული უკუკავშირზე დაფუძნებული სავალე კვლევების შედეგებით.

ამრიგად, სახეზეა დესტინაციების მდგრადი განვითარების ინდიკატორების ფორმირების დახვეწილი მეთოდოლოგია, რომელსაც გამოყენების ფართო დიაპაზონი და სპექტრი აქვს.

Niko Kvaratskhelia

European System of Tourism Indicators TOOLKIT as a New Approach of Georgia's Integration to Europe

Summary

In XX-XXI centuries tourism development has become the basic concepts, which is clearly shared by the world communities. To formation this concept contributed greatly UN world forums: Rio de Janeiro (1992), Johannesburg (2002) and Copenhagen (2009). The priority of the problem was conditioned by the ecological risks facing the community due to environmental degradation and exhaustion of natural resources, a new type of technological processes and increase the quality of environment pollution.

Most widespread system of indicators is that gives priority to the methodology and is based on the research of the sustainable development subsystem such as: economic, ecological, social and institutional subsystems.

The United Nation World Tourism Organization (UNWTO) has developed the basic issues and indicators of sustainable developments, which include 12 points. The article provide the table – “systemization of indicators”, within 5 sub-points.

Study of tourism indicators are given special attention. Unfortunately, no studies are conducted now and scientists do not use indicators in Georgia. Rare exception is research to introduction new tourism products on the protected territories of Georgia. They used indicators of “UNWTO” and sustainable development criteria.

European tourism indicators System “Toolkit” is designed specifically for tourists destinations. It is designed and decorated in the field of local players, destination monitoring, management and support sustainable development. The system is based on the experience of previous initiatives and enhanced based on feedback from various European destinations the field survey. So, there is excellent methodology of sustainable development indicators of destinations, which is widely.

მზია კიკნაძე, ლილი პეტრიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეგიონის მდგრადი განვითარების მახასიათებელი ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი

რთული ორგანიზაციული სისტემების ანალიზისას შეიძლება ჩამოვყალიბოთ იმ მიზნების და ფაქტორების სიმრავლე რომელიც დგას სისტემის წინაშე. ჩვეულებრივ ეს მიზნები სტრუქტურირებულია ე.ი. შედგება ქვემიზნებისგან, თითოეული ქვემიზანი თავისმხრივ შეიძლება შედგებოდეს ქვემიზნებისგან და ა.შ. ბოლო ეტაპზე, შედეგად მიიღება ატომარული მიზნების სია. ქვემიზნების რაოდენობა შეიძლება იყოს ძალიან დიდი.

სისტემის მიზნების ოპტიმალური ნაკრების არჩევის და სისტემის ფუნქციონირების მიღწევის ინფორმაციული ტექნოლოგია შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

სისტემის მიზნის სტრუქტურირება – გამოიყოფა სისტემის ფუნქციონირების მთავარი ანუ გლობალური მიზანი. მას ენიჭება ნულოვანი დონე, რომლის დეკომპოზირება ხდება ქვემიზნებად.

სისტემის მიზნისთვის წონის მინიჭება. მიზნის რანჟირებისათვის თითოეული მათგანის შეფასება ხდება რიცხვითი სიდიდით – მათი „წონებით“, რომლებსაც ექსპერტი ან ექსპერტთა ჯგუფი ნიშნავს. თითოეული მიზანი იშლება როგორც „ხე“, რომელშიც მიზანი C_0 „ფუძეს“ წარმოადგენს. შემდეგი დონის წევრობები აღინიშნება წინა C_i დონის წევრობე მეორე ინდექსის დამატებით, მაგალითად, $C_{i1}, C_{i2}, \dots, C_{in}$.

მიზნების ხეზე წევროდან მასზე დამოკიდებული წევრობებისკენ – ფოთლებისაკენ, მიმდევრობით გამოიყოფა ორ იარუსიანი ხის ფრაგმენტები. ექსპერტი წყვილ-წყვილად სპეციალური სკალის საფუძველზე, რომელიც ასახავს წყვილების შედარებით მნიშვნელობას, ამონიშნავს ყველა ქვემიზანს. შედარების შედეგად კი დგება წრფივ განტოლებათა სისტემა, რომელთა ამოხსნის შედეგად მიიღება დამოკიდებული წევრობების წონები [2].

სისტემის ლოკალური მიზნების მინიმიზება. მიზნები და ფაქტორები შეიძლება ძალზე ბევრი იყოს, ამიტომ საჭიროა ჩატარდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნების და ფაქტორების რიცხობრივი შეფასებები და რანჟირება.

მრავალმიზნიანი ალტერნატივის კლასიფიკაცია. ბაზური ლოკალური მიზანი, რომლებიც დარჩება მინიმიზაციის შემდეგ უნდა დახასიათდეს მიზნის მიღწევადობის ხარისხით. მიზნის მიღწევადობის ხარისხის დგინდება ექსპერტების მიერ და გამოხატავენ სიტყვიერ ფორმულირებას (მაგალითად, „დაბალი“, „საშუალო“).

კლასში დომინირებული ალტერნატივის განსაზღვრა. კლასში დომინირებულად ითვლება ისეთი ალტერნატივა, რომელზეც არ დომინირებს არცერთი სხვა ალტერნატივა.

სისტემის მიზნების ოპტიმალური ნაკრების აღწერილი მეთოდი განვიხილოთ რეგიონის მდგრადი განვითარების (სისტემის) მაგალითისთვის.


სისტემის მიზნის სტრუქტურირება. სტრუქტურირებული ინფორმაციული მოდელის შესაქმნელად გამოვიყენოთ მთავარი მიზანი (გლობალური მიზანი) რეგიონის მდგრადი განვითარების

რება – C_0 და რომელსაც მივანჭებთ ნულოვან დონეს. შემდეგ ანუ პირველ დონეზე მოვახდინოთ ამ მიზნის დეკომპოზიცია C_1, C_2, C_3 და C_4 ქვემიზნებად. ცხრილი 1-ში მოყვანილია რეგიონის მდგრადი განვითარებზე მოქმედი ფაქტორების – მიზნების და მისი ქვემიზნების მნიშვნელობები.

ცხრილი 1. მდგრადი განვითარებზე მოქმედი ფაქტორები (ფრაგმენტი)

აღნიშვნა	მნიშვნელობა
C_0	რეგიონის მდგრადი განვითარება
C_1	სოციალური ინდიკატორი
C_{11}	სიღარიბესთან ბრძოლა (%)
C_{12}	დემოგრაფიული დინამიკა (%)
C_{13}	განათლების, კადრების მომზადების და საზოგადოების ინფორმაციულობისთვის ხელშეწყობა (%)
C_{14}	მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა (%)
C_{15}	მოსახლეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა (%)
C_{111}	მოსახლეობის დასაქმების ზრდის ტემპი (%)
C_{112}	ქალების და მამაკაცების საშუალო ანაზღაურების თანაფარდობა (%)
C_{113}	სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობა (%)
C_{114}	მდიდრებსა და ღარიბების შემოსავლებს შორის თანაფარდობა

აღნიშნული მიზნების და ქვემიზნების მიხედვით ავაგოთ მიზნის ხე, რომელსაც ექნება (ნახ.1)-ზე წარმოდგენილი სახე (ფრაგმენტი).



ნახ.1. მიზნებისა და ქვემიზნების ურთიერთდამოკიდებულების მიზნის ხე.

გამოყოთ ზემოდან ქვემოთ ორდონიანი ფრაგმენტები, რომლებიც შედგება ძირეული წვეროსგან და ამ წვეროს ინცინდენტური წვეროებისგან. იმ ფრაგმენტს, რომელშიც შედის ხის ძირეული წვერო მივანჭოთ ნულოვანი რანგი. ფრაგმენტის ქვედა დონის წვეროები წარმოადგენენ ძირეულს პირველი რანგის წვეროებისთვის. ნულოვანი რანგი აქვს მიზნის ხიდან ფრაგმენტს (C_0, C_1, C_2, C_3, C_4). პირველი რანგი აქვს მიზნის ხიდან ფრაგმენტებს: ($C_1, C_{12}, C_{13}, C_{14}, C_{15}$), ($C_2, C_{21}, C_{22}, C_{23}$), ($C_3, C_{31}, C_{32}, C_{33}, C_{34}, C_{35}$), და.ა.შ.

სისტემის მიზნისთვის წონის მინიჭება. მიზნების ურთიერთქმედების შეფასებისთვის (ხეზე წვეროების წონების შემოსაღებად), იმის დასადგენად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მიზანი ექსპერტთან შეთანხმებით შემოვიღოთ შეფასების ქულები. C_i და C_j მიზნების ურთიერთქმედების ძალა შევაფასოთ სიციყვიერი (ლინგვისტური) ფორმულირებით და გამოვხატოთ რაოდენობრივად [1-10] ინტერვალში (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მიზნების ურთიერთქმედების შეფასების ცხრილი

ლინგვისტური მნიშვნელობები	რიცხვითი მნიშვნელობები
C_i და C_j მიზნების ერთნაირი მნიშვნელობისას	1
როდესაც C_i სუსტად არის დამოკიდებული C_j მნიშვნელობაზე	3
როდესაც C_i ძლიერად არის დამოკიდებული C_j მნიშვნელობაზე	5
როდესაც C_i ძალიან ძლიერად არის დამოკიდებული C_j მნიშვნელობაზე	7
აბსოლუტური დამოკიდებულება C_i -ი C_j -ის მნიშვნელობაზე	9
შეფასება მდებარეობს ორ ლინგვისტურ შეფასებას შორის	2,4,6,8

მიზნის ხის ყოველი ფრაგმენტისთვის დანყებული ნულიდან შევადგინოთ კვადრატული მატრიცა $R=||r_{ij}||$.

მატრიცის სვეტები შეესაბამება ხის წვეროებს. მარცხენა სვეტში სულ ზედა უჯრაში მოცემულია ძირეული წვეროს წონა (C_0 გლობალური მიზნისთვის წონა $W_0 = 1$). C_i სტრიქონის და C_j სვეტის გადაკვეთაზე ეთითება r_{ij} -ის მნიშვნელობა, ეს მნიშვნელობა ტოლია 1-ის თუ $C_i = C_j$. თუ C_i უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე C_j მაშინ ეთითება b_{ij} , წინააღმდეგ შემთხვევაში თუ C_i ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე C_j და ეთითება $1/b_{ij}$.


დავუშვათ, მატრიცის სტრიქონები (სვეტები) შეესაბამებიან მიზანს C_1, \dots, C_p , შეფასებულია წონებით W_1, \dots, W_p . ძირეულ წვეროს აქვს წონა W_0 . მაშინ ჭეშმარიტია პირობა:

$$W_0 = \sum_{i=1}^p W_i \quad (1)$$

W_1 წონები წარმოადგენენ შემდეგი განტოლებათა სისტემების ამონახსნს:


$$W_i = \frac{1}{P_i} \sum_{j=1}^p r_{ij} W_j \quad (2)$$

მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ხეზე ნულოვანი რანგის შესაბამისი ხე იქნება (C_0, C_1, C_2, C_3, C_4) (ნახ. 2)



ნახ. 2. 0-ვანი ფრაგმენტის შესაბამისი ხე

პირველი რანგის ($C_1, C_{12}, C_{13}, C_{14}, C_{15}$), ($C_2, C_{21}, C_{22}, C_{23}$), ($C_3, C_{31}, C_{32}, C_{33}, C_{34}, C_{35}$) ($C_4, C_{41}, C_{42}, C_{43}, C_{44}, C_{45}, C_{46}, C_{47}, C_{48}, C_{49}$) შესაბამისი ხეებია (ნახ.3).



ნახ. 3. პირველი რანგის შესაბამისი ხეები

განხილულ მაგალითში 0-ვანი ფრაგმენტის შესაბამის განტოლებათა სისტემებს აქვს სახე (3):

$$W_1 = \frac{1}{4}(W_1 + 3W_2 + 3W_3 + 3W_4) \quad (3)$$

$$W_2 = \frac{1}{4}\left(\frac{1}{3}W_1 + W_2 + 3W_3 + 3W_4\right)$$

$$W_3 = \frac{1}{4}\left(3W_1 + \frac{1}{3}W_2 + 3W_3 + 3W_4\right)$$

$$W_4 = 1 - (W_1 + W_2 + W_3 + W_4)$$

ამ განტოლებათა სისტემის ამოხსნის შედეგად მიიღება C_1, C_2, C_3, C_4 მიზნებისათვის მიზნის წონები.

სისტემის ლოკალური მიზნების რაოდენობის მინიმიზაცია. მდგრად განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ლოკალური მიზნების ურთიერთდამოკიდებულების კოგნიტური რუკის შესადგენად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ცხრილში სვეტები და სტრიქონები შეესაბამებიან ლოკალურ მიზნებს, ცხრილში მარჯვენა მხარეს შეტანილია C_i მიზნები, მარჯვნივ – W_i წონები. სვეტების და სტრიქონების გადაკვეთაზე კი იწერება ექსპერტული შეფასება $+\alpha_{ij}$ თუ C_i მიზნის მიღწევას აძლიერებს C_j , და $-\alpha_{ij}$ თუ C_i მიზნის მიღწევას ასუსტებს C_j , სადაც, $0 \leq \alpha_{ij} \leq 1$.

α_{ij} შეფასება შეიძლება არ დაემთხვეს სკალაზე მნიშვნელობებს და იმყოფებოდეს მნიშვნელობებს შორის ინტერვალში. თუ მიზანი არ მოქმედებს მეორე მიზანზე, მაშინ $\alpha_{ij}=0$ და თუ მიზნებს შორის არ არსებობს დამოკიდებულება ან ეს დამოკიდებულება გაურკვეველია მაშინ (C_i, C_j) თანაკვეთა რჩება ცარიელი.

კოგნიტურ რუკაზე მიზნების შორის ურთიერთ გავლენის დასადგენად შემოგვაქვს რიცხობრივი მაჩვენებლები – გლობალური (C_0) და ლოკალური მიზნების (C_j) მიღწევადობის ხარისხი, ისინი გამოითვლებიან ფორმულებით:

$$J(C_0) = \sum_{j=1}^N \sum_{i=1}^N \alpha_{ij} \cdot W_i \quad (4)$$

$$J(C_j) = \frac{\sum_{i=1}^N \alpha_{ij} \cdot W_i}{J(C_0)} = \frac{\sum_{i=1}^N \alpha_{ij} \cdot W_i}{\sum_{j=1}^N \sum_{i=1}^N \alpha_{ij} \cdot W_i}$$

რომლებიც ჩვენს მიერ განხილული ნულოვანი რანგის მიზნის ხის ფრაგმენტისათვის მიიღებენ სახეს:

$$J(C) = \sum_{j=1}^N (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_i$$

$$= (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_1 + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_2 + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_3 + (\alpha_{11} + \alpha_{12} + \alpha_{13} + \alpha_{14}) \cdot W_4 = 3.5101$$

(5)

აღნიშნული გამოთვლების შესრულების შემდეგ $J(C_0) = 3,501$.

ყველა ლოკალური მიზნის სიმრავლე ავლნიშნოთ C , ნაშლილი ქვემიზნების სიმრავლე C^* , ხოლო მათი სიმძლავრე – $|C^*|$.

მიზნის ქვესიმრავლეების მიღწევის ხარისხი, მათი ურთიერთგავლენის გათვალისწინებით გამოისახება ფორმულით;

$$J(C^*) = J(c_{ji}) + \dots + J(c_{jk}) \quad (6)$$

მაქსიმალური დასაშვები მნიშვნელობა ავლნიშნოთ Δ . განხილულ შემთხვევაში ტოლია 0.2101

მინიმიზაციის ამოცანა ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად უნდა ვიპოვოთ C^* C , ისე რომ ერთდროულად შესრულდეს შემდეგი პირობები

$$J(C^*) \leq \Delta \quad (7)$$

$$|C^*| = \max$$

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს მიერ განხილული შემთხვევისთვის მივიღებთ:

ლოკალური მიზნების მინიმიზების შედეგი არის სიმრავლე $E = \{b_1, b_2, b_3, b_4, b_5, b_6, b_7, b_8\}$, სადაც b_1 – მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიის არსებობა (დაიხ/არა).

b_2 – მდგრად განვითარებაზე საერთაშორისო შეთანხმებები.

b_3 – ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის თანხის წილი (%).

b_4 – მოსახლეობის სიმჭიდროვე (%).

b_5 – შობადობის ზრდა (%).

b_6 – სამენარმეო საქმიანობა (%).

b_7 – მოთხოვნის ხასიათის ცვლილება.

b_8 – დაზუსტებული ნაციონალური პროდუქტის წილის ერთ სულ მოსახლეზე (%).

b_9 – შიდა ნაციონალური პროდუქტის საექსპორტო წილი (%).

b_{10} – ინვესტიციის წილი (%).

b_{11} – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობა გვალვიან ადგილებში (%).

b_{12} – ეკოსისტემების მართვა, გაუდაბნობის და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა.

b_{13} – მოსახლეობის ზრდის ტემპი.

b_{14} – დანახარჯები ეკოსისტემის აღსადგენად (%).

ჩვენს მიერ განხილული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით მდგრადი განვითარების ინდიკატორების ქვედა დონიდან ამოვირჩიეთ შედარებით მაღალი მნიშვნელოვნების ინდიკატორები, რომელთა გავლენის ხარისხი (შენატანი წვლილი) მდგრადი განვითარების ინდიკატორებზე იქნება მნიშვნელოვანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Владиславлев П.Н. Выбор оптимального сценария поведения организационных систем // «Управление большими проектами». Сборник трудов. Под ред. Д.А. Новикова ИПУ РАН, М.: 2005,
2. Юдицкий С.А. Владиславлев П.Н Основы предпроектного анализа организационных систем. М. «Финанси и статистика». 2005
3. Губко М.В., Новмков Д.А. Теория игр в управлнии организационы системами. М. СИНТЕТ. 2002
4. Ларичев О.И. Теория и методы принятия решений, а также хроника событий в Волшебных Странах. М.: Логос, 2000
5. Кулнин А.А., Максимов В.И., Система концептуального моделирования социально-политических ситуации «Компас» . Сб.докл. «Современные технологии упавления». М. 1998-С.115-123.

მზია კიკნაძე, ლილი პეტრიაშვილი

რეგიონის მდგრადი განვითარების მახასიათებელ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი რეზიუმე

რეგიონალური ეკონომიკის მდგრადი განვითარება კვლევას მოითხოვს. ეს თავის მხრივ ეფუძნება რეგიონზე მოქმედი ფაქტორების ანალიზს. ამის განხორციელება შესაძლებელია რეგიონის მდგრადი განვითარების მოდელების შექმნით.

მდგრადი განვითარების მოდელების შექმნა საშუალებას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის მენტალობის მიხედვით შეირჩეს საუკეთესო ვარიანტი და, ამ მოდელის გამოყენების საფუძველზე, განხორციელდეს რეგიონის მდგრადი განვითარების პროგნოზირება.

სტატიაში განხილულია რეგიონის მდგრად განვითარებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი და ეკონომიკის ეფექტური დაგეგმვის საკითხები.

Mzia Kiknadze, Lili Petriashvili

Building of Research Model for Region Stable Development

Summary

The stable development of regional economics requires research and analysis based on the set of management scenarios. Implementation of the latter can be achieved by building stable development models. They will allow us to select the best scenarios taking into account the mentality of our country and implement forecast for region stable development.

The problems of building research and analysis models for the effective planning of region stable development based on situation self-development scenario and control impact on it, is considered in the paper.

In weakly structured organizational systems the need of making decision in course of control process appears. Situation development laws and patterns are described in qualitative manner. In situations where dynamics of their development is not subject of any patterns experts and analytics take part. They use their own experience and intuition when making decisions.

ნინო ლიპარტელიანი, ნანა ახალაია
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დოუ-ჯონსი ერთ-ერთი უძველეს ამერიკულ საბაზრო ინდექსი

დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი (ინგლ. Dow Jones Industrial Average, NYSE: DJI, ასევე DJIA, Dow 30, ან არაფორმალურად Dow industrials, Dow Jones an The Dow) – უღელ სტრიტ ფურნალის რედაქტორისა და დოუ ჯონს & კომპანის დამფუძნებელი ჩარლზ დოუს მიერ არის შექმნილი საფონდო – სააქციო ბაზრის ინდექსით. თავდაპირველად ამ ინდექსის შექმნა დაკავშირებული იყო ფურნალ „უღელ სტრიტის“ მიერ ამერიკის საფონდო ბაზრების სამრეწველო კომპონენტის ანალიტიკური ინფორმაციის გარკვეულ განზომილებაში წარმოდგენის მიზნით. ამჟამად ეს ინდექსი აშშ-ის 30 უმსხვილესი და ყველაზე დივერსიფიცირებულ საზოგადო სააქციო კომპანიებს მოიცავს. სახელში «ინდუსტრიული» ნაწილი უმეტესწილად ისტორიულ ხასიათს ატარებს. 30 თანამედროვე კომპანიებიდან უმრავლესობას მძიმე მრეწველობასთან თითქმის არანაირი კავშირი არა აქვს.

დოუ-ჯონსი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ამერიკულ საფონდო საბაზრო ინდექსს. ინდექსის პირველი ვარიანტი გამოჩნდა 1884 წელს და მოცავდა 9 სარკინიგზო და 2 სამრეწველო კომპანიის აქციების ღირებულებას. ინდექსის ეს ვარიანტი არ ქვეყნდებოდა და მას იყენებდნენ შიდა ანალიზისათვის. 1896 წლის 26 მაისს ინდექსი პირველად გამოაქვეყნეს და იგი წარმოადგენდა 12 ამერიკული სამრეწველო კომპანიის აქციების ღირებულების საშუალო არითმეტიკულს. ამ კომპანიებიდან თანამედროვე ეტაპზე ინდექსში მხოლოდ General Electric წარმოდგენილი. მის გარდა ინდექსის პირველ ვარიანტში წარმოდგენილები იყვნენ:

- American Cotton Oil Company, რომელიც წარმოადგენდა ფირმა Bestfoods-ის წინამორბედს და დღეს ფირმა Unilever-ის შემადგენლობაშია;
- American Sugar Company, ამჟამად Domino Foods, Inc;
- American Tobacco Company, რომელიც დაიყო 1911 წელს;
- Chicago Gas Company, რომელიც 1987 წელს შეისყიდა ფირმა Peoples Gas Light & Coke Co. (ამჟამად Peoples Energy Corporation);
- Distilling & Cattle Feeding Company, ამჟამად Millennium Chemicals;
- Laclede Gas Light Company, ამჟამად ფუნქციონირებს სახელწოდებით The Laclede Group;
- National Lead Company, ამჟამად NL Industries;
- North American Company, 1940 წელს მოხდა მისი გაყოფა;
- Tennessee Coal, Iron and Railroad Company, 1907 წელს შესყიდულ იქნა U.S. Steel-ის მიერ;
- U.S. Leather Company, რომელმაც 1952 წელს შეწყვიტა არსებობა;
- U.S. Rubber Company, რომელმაც 1967 წელს სახელი შეიცვალა, ხოლო 1990 წელს შესყიდულ იქნა ფირმა Michelin-ის მიერ.

1916 წლისათვის კომპანიების რაოდენობა 20-მდე გაიზარდა, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის 30-მდე. მე20 საუკუნის ბოლოსათვის ეს შემადგენლობა ასეა წარმოდგენილი:

- 3M Co. (MMM) სამრეწველო კონგლომერატი
- ALCOA Inc. (AA) ალუმინის წარმოება
- Altria Group, Inc. (MO) თამბაქოს წარმოება

- American International Group, Inc. (AIG) სადაზღვევო კომპანია
- American Express Co. (AXP) საკრედიტო მომსახურება
- Boeing Co., The (BA) თვითმფრინავების მშენებლობა და თავდაცვა
- Caterpillar, Inc. (CAT) სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ტექნიკა
- Citigroup, Inc. (C) საფინანსო ჯგუფი
- Coca-Cola Co. (KO) სასმელები
- E.I. du Pont de Nemours & Co. (DD) ქიმიური მრეწველობა
- Exxon Mobil Corp. (XOM) ნავთობისა და გაზის კომპანია
- General Electric Co. (GE) სამრეწველო კონგლომერატი
- General Motors Corp. (GM) ავტომანქანების წარმოება
- Hewlett-Packard Co. (HPQ) გამომთვლელი ტექნიკა
- Home Depot, Inc. (HD) სამშენებლო ინსტრუმენტების მაღაზიები
- Honeywell International, Inc. (HON) სამრეწველო კონგლომერატი
- Intel Corp. (INTC) ნახევარგამტარები
- International Business Machines Corp. (IBM) გამომთვლელი ტექნიკა
- JPMorgan Chase and Co. (JPM) საფინანსო ჯგუფი
- Johnson & Johnson Inc. (JNJ) ქიმიური მრეწველობა, ფარმაცევტია
- McDonald's Corp. (MCD) სწრაფი მომსახურების რესტორნები
- Merck & Co., Inc. (MRK) ფარმაცევტია
- Microsoft Corp. (MSFT) პროგრამული უზრუნველყოფა
- Pfizer, Inc. (PFE) ფარმაცევტია
- Procter & Gamble Co. (PG) საყოფაცხოვრებო ქიმიკატები
- SBC Communications, Inc. (SBC) ტელეკომუნიკაცია
- United Technologies Corp. (UTX) სამრეწველო კონგლომერატი
- Verizon Communications (VZ) ტელეკომუნიკაცია
- Wal-Mart Stores, Inc. (WMT) სავაჭრო ქსელი
- Walt Disney Co., The (DIS) გართობის ინდუსტრია.

გარკვეული პეროდულობით, როტაციების დროს, როგორც წესი, ინდექსის გაანგარიშების სანარმოთა ჩამონათვალში იცვლება ერთი-ორი კომპანია. ინდექსის ისტორიაში ყველაზე რთულ პერიოდად იქცა „დიდი დეპრესია“ XX ს-ის 30-იან წლებში. 1930 წლის 18 ივლისს ინდექსის შემადგენლობაში ერთდროულად შვიდი კომპანია შეცვალეს, ხოლო 1932 წლის 26 მაისს რვა კომპანია.

არსებობს დოუ-ჯონსის ინდექსის 4 ძირითადი ნაირსახეობა: სამრეწველო (Industrial Average), სატრანსპორტო (The Dow Jones Transportation Average – DJTA), საკომუნიკაციო (The Dow Jones Utility Average – DJUA) და კომპოზიტიური (The Dow Jones Composite Average – DJCA). მათ შორის ყველაზე ცნობადია პირველი ვარიანტი. მის შემადგენლობაში შედის ნიუ-იუორკის საფონდო ბირჟაზე კოტირებული აქციების საბაზრო ღირებულების 15-დან 20%-მდე. დოუ-ჯონსის ინდექსის კოტირება ხდება პუნქტების მიხედვით.

- დოუ-ჯონსის სამრეწველო (Industrial Average) ინდექსი წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილი აქციების საშუალო ფასებს, მაგრამ თუ ამ კომპანიებიდან რომელიმე მთთაგანი განაცხადებს აქციების დაყოფის (stock split) ან დივიდენდების გადახდის შესახებ, მა-

შინ ე.ნ. მიმდინარე გამყოფი (current divisor) ანუ ინდექსის (აქციების ფასების) მაჩვენებელი მცირდება.

- დოუ-ჯონსის სატრანსპორტო (The Dow Jones Transportation Average – DJTA) ინდექსი საშუალო მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს 20 სატრანსპორტო კორპორაციის აქციების ფასების ცვალებადობას.
- დოუ-ჯონსის საკომუნიკაციო (The Dow Jones Utility Average – DJUA) ინდექსი საშუალო მაჩვენებელია, რომელიც ასახავს გაზისა და ელექტრომომარაგების სფეროში მომუშავე 15 კომპანიის აქციების კურსის ცვალებადობას.
- დოუ-ჯონსის კომპოზიტიური (The Dow Jones Composite Average – DJCA) ინდექსი წარმოადგენს სამრეწველო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინდექსებიდან გამოყვანილ საშუალო მაჩვენებელს, რომელშიც მხოლოდ 65 კომპანია მონაწილეობს.

მსოფლიო საფონდო ბაზრების ბარომეტრს დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი წარმოადგენს, მისი პოპულარობის უმთავრეს მიზეზია ის, რომ იგი მუშაობს. 1896 წლიდან მოყოლებული სწორედ ეს ინდექსი აძლევდა ამომწურავ ინფორმაციას ინვესტორებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების 296 -ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოში არსებული წარმატებული სანარმოების აქციების/ფასიანი ქაღალდების ევროპულ საფონდო ბირჟებზე კვოტირების პროცესს, რაც ხელს შეუწყობს მათი ფინანსური შესაძლებლობების ზრდას და ინვესტორებისათვის მიმზიდველობისა და სანდოობის ხარისხის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენიძე ნ. ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა“ თბ.; 2014.
2. შონია ნ. გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო-ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ თბ.; 2010.

ინტერნეტრესურსები:

www.investopedia.com

<https://www.princeton.edu>

www.investinganswers.com

worldearth.hubpages.com

www.moneycrashers.com

ნინო ლიპარტელიანი, ნანა ახალაია

დოუ ჯონსი ერთ-ერთი უძველესი ამერიკულ საბაზრო ინდექსი რეზიუმე

დოუ-ჯონსი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ამერიკულ საბაზრო ინდექსს. ინდექსის პირველი ვარიანტი გამოჩნდა 1884 წელს და მოცავდა 9 სარკინიგზო და 2 სამრეწველო კომპანიის აქციების ღირებულებას. ინდექსის ეს ვარიანტი არ ქვეყნდებოდა და მას იყენებდნენ შიდა ანალიზისათვის. 1896 წლის 26 მაისს ინდექსი პირველად გამოაქვეყნეს და იგი წარმოადგენდა 12 ამერიკული სამრეწველო კომპანიის აქციების ღირებულების საშუალო არითმეტიკულს. ამ კომპანიებიდან თანამედროვე ეტაპზე ინდექსში

ნარმოდგენილია მხოლოდ General Electric. დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსი (ინგლ. Dow Jones Industrial Average, NYSE: DJI, ასევე DJIA, Dow 30, ან არაფორმალურად Dow industrials, Dow Jones ან The Dow) — უძველესი ფინანსური ინდექსებისა და დოუ-ჯონს & კომპანის თანადამფუძნებელი ჩარლზ დოუს მიერ შექმნილ სააქციო ბაზრის ინდექსთაგანია. დოუ ინდექსი შექმნა ამერიკის საფონდო ბაზრების სამრეწველო კომპონენტის ანალიზისთვის. იგი აშშ-ში უწყვეტად მოქმედი საბაზრო ინდექსთაგან დოუ-ჯონსის სატრანსპორტო ინდექსთან ერთად უძველესია, რომელიც ასევე დოუს შექმნილია. ამჟამად ეს ინდექსი აშშ-ის 30 უმსხვილესი და ყველაზე დივერსიფიცირებულ საზოგადო კომპანიებს მოიცავს. სახელში «ინდუსტრიული» ნაწილი უმეტესწილად ისტორიულ ფუნქციას ატარებს – 30 თანამედროვე კომპონენტთაგან უმეტეს წილს მძიმე მრეწველობასთან კავშირი თითქმის არა აქვს. როტაციების დროს, როგორც წესი, ინდექსში იცვლება ერთი-ორი კომპანია. ინდექსის ისტორიაში ყველაზე რთულ პერიოდად იქცა „დიდი დეპრესია“ XX ს-ის 30-იან წლებში. 1930 წლის 18 ივლისს ინდექსის შემადგენლობაში ერთდროულად შვიდი, ხოლო 1932 წლის 26 მაისს რვა კომპანია შეცვალეს. კომპანია.

არსებობს დოუ-ჯონსის ინდექსის 4 ნაირსახეობა: სამრეწველო (Industrial Average), სატრანსპორტო (The Dow Jones Transportation Average – DJTA), საკომუნიკაციო (The Dow Jones Utility Average – DJUA) და კომპოზიტური (The Dow Jones Composite Average – DJCA). მათ შორის ყველაზე ცნობადია პირველი ვარიანტი. მის შემადგენლობაში შედის ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კოტირებული აქციების საბაზრო ღირებულებების 15-დან 20%-მდე. დოუ-ჯონსის ინდექსის კოტირება ხდება პუნქტების მიხედვით.

Nino Liparteliani, Nana Akhalaia

Dow Jones – One of the Oldest U.S. Market Index

Summary

The Dow Jones Industrial Average also called the Industrial Average, the Dow Jones, the Dow Jones Industrial, the Dow 30, or simply the Dow, is a stock market index, and one of several indices created by Wall Street Journal editor and Dow Jones & Company co-founder Charles Dow. The industrial average was first calculated on May 26, 1896. Currently owned by S&P Dow Jones Indices, which is majority owned by McGraw-Hill Financial, it is the most notable of the Dow Averages, of which the first (non-industrial) was first published on February 16, 1885. The averages are named after Dow and one of his business associates, statistician Edward Jones. It is an index that shows how 30 large publicly owned companies based in the United States have traded during a standard trading session in the stock market. It is the second oldest U.S. market index after the Dow Jones Transportation Average, which was also created by Dow. The Industrial portion of the name is largely historical, as many of the modern 30 components have little or nothing to do with traditional heavy industry. The average is price-weighted, and to compensate for the effects of stock splits and other adjustments, it is currently a scaled average. The value of the Dow is not the actual average of the prices of its component stocks, but rather the sum of the component prices divided by a divisor, which changes whenever one of the component stocks has a stock split or stock dividend, so as to generate a consistent value for the index. Since the divisor is currently less than one, the value of the index is larger than the sum of the component prices. Although the Dow is compiled to gauge the performance of the industrial sector within the American economy, the index's performance continues to be influenced by not only corporate and economic reports, but also by domestic and foreign political events such as war and terrorism, as well as by natural disasters that could potentially lead to economic harm.

In 1884, Charles Dow composed his first stock average, which contained nine railroads and two industrial companies that appeared in the Customer's Afternoon Letter, a daily two-page financial news bulletin which was the precursor to The Wall Street Journal. On January 2, 1886, the number of stocks represented in what we now call the Dow Jones Average dropped from 14 to 12, as the Central Pacific Railroad and Central Railroad of New Jersey were dropped from that index. Though comprising the same number of stocks, this index contained only one of the original twelve industrials that would eventually form Dow's most famous index.

მანანა მარიდაშვილი

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში

ქართული ფარმაცევტული სექტორის განვითარება დაიწყო 1990-იანი წლების შუაში, როდესაც ბაზარი ჯერ კიდევ სავსე იყო არალეგალური, უხარისხო და იაფი მედიკამენტებით. 1997 წელს მთავრობის მიერ რატიფიცირებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და შეიქმნა საქართველოს წამლის სააგენტო. ეს უწყება 2008 წლის იანვარში სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სააგენტოს შეუერთდა, რომელიც დღემდე ადგილობრივი ფარმაცევტული ინდუსტრიის მთავარ საზედამხედველო ორგანოდ გვევლინება. მას შემდეგ, ფალსიფიცირებული და უხარისხო მედიკამენტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და ამჟამად ფარმაცევტული ბაზარის უმნიშვნელო ნაწილი უკავია.

2007 წელს რეცეპტურული სამკურნალო საშუალებების ქართული ბაზრის ზომამ მიღწია 177 მილიონ ამერიკული დოლარის ექვივალენტს, იზრდებოდა რა წელიწადში დაახლოებით 34%-ით 1995 წლიდან დაწყებული. ამ წლების განმავლობაში ფარმაცევტულ ინდუსტრიაში ადგილი ჰქონდა საგადასახადო სტიმულირებას, რამაც ხელი შეუწყო ამ სექტორის ზრდას. შინამეურნეობების მზარდმა შემოსავლებმა და აგრეთვე, ოჯახის ხარჯებში ჯანდაცვაზე განეული ხარჯების წილის ზრდამ (2003 წელს ჯანდაცვაზე განეული ხარჯები იყო ოჯახის სუფთა შემოსავლის 6% და გახდა 9.5% 20013 წელს) კიდევ უფრო დააჩქარა სექტორის განვითარება. 2013 წელს ფარმაცევტული ბაზრის ღირებულებამ საქართველოში 230 მილიონ დოლარის ექვივალენტს გადააჭარბა. კანონმდებლობის გამკაცრებამ და ძლიერმა კონკურენციამ გაცხრილა ბაზარი.

დღეისათვის საქართველოში 2000-ზე მეტი ფარმაცევტული ფირმაა რეგისტრირებული, რომელთაგან 76 კომპანია აწარმოებს სხვადასხვა ფარმაცევტულ პროდუქტს ქვეყანაში.

მედიკამენტების წილი საქართველოს ექსპორტის 2%-ს, ხოლო იმპორტის 3%-ს შეადგენს (2013 წ). ქართული ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტირება ძირითადად ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. შემდეგ მოდის უკრაინა და სომხეთი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოების მედიკამენტები იმპორტული მედიკამენტების მიმზიდველ შემცვლელებს წარმოადგენს მათი უფრო დაბალი ფასებისა და კონკურენტული ხარისხის გამო, ადგილობრივი წარმოების მედიკამენტების მოხმარება მაინც დაბალია და საქართველოში მოხმარებული მედიკამენტების საერთო რაოდენობის 10-დან 14 %-მდე მერყეობს. ამის ძირითადი მიზეზი ასორტიმენტის ნაკლებობაა. საქართველოში რეგისტრირებული 50 000 სახეობის მედიკამენტიდან მხოლოდ 100-150 ტიპი იწარმოება ადგილობრივად. თუმცა, ქართული ფარმაცევტული კომპანიების შესაძლებლობის გათვალისწინებით, იგეგმება ამ წილის 30%-მდე გაზრდა. საგადასახადო შეღავათები იმპორტულ პროდუქციაზე, რომელიც ერთ დროს მისასაღმებელი იყო, ამჟამად მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მედიკამენტების ადგილობრივ წარმოებას.

ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის ლიდერები. ავერსი ფარმა, PSP ჯგუფი და GPC არის ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის სამი ლიდერი კომპანია. რომლებსაც დომინანტური პოზიცია უჭირავთ მედიკამენტების იმპორტის/დისტრიბუციის, წარმოებისა და საცალო გაყიდვების სექტორებში. ისინი ჯამში აკონტროლებენ ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 75 %-ს. ეს კომპანიები დაკავებულ არიან როგორც მედიკამენტების დისტრიბუციით, ასევე საკუთარი პროდუქციის წარმოებითა და იმპორტით. ბაზარზე არსებული სიტუაცია იწვევს მაღალი ფასნამატების არსებობას და ფარმაცევტულ პროდუქტებზე განეული დანახარჯების ზრდას. 2013 წელს, ფარმაცევტული პროდუქტების შეძენის ხარჯები თითოეული ოჯახის მიერ ჯანდაცვაზე განეული საერთო დანახარჯების 60%-ს შეადგენდა.

ფარმაცევტულ ბაზართან მიმართებაში საზოგადოებისთვის მთავარ პრობლემას მედიკამენტების სიძვირე წარმოედგენს. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე საფასო კონკურენცია ფაქტობრივად არ არსებობს, შესაბამისად ჩნდება კითხვა თუ რა საპროცენტო მარჯაზე მუშაობენ კომპანიები? „აფბა“-მ შემოსავლების სამსახურიდან მოწოდებული მასალების საფუძველზე რამდენიმე მედიკამენტზე ფასნამატი გამოიკვლია. აღსანიშნავია, რომ საბაჟოზე დაფიქსირებულ ფასსა და სარეალიზაციო ფასს შორის ზოგ შემთხვევაში განსხვავება 200%-ს და მეტსაც აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ საბაჟოზე მედიკამენტის ფასი უკვე ყველა პროცედურა გავლილი ფიქსირდება და კომპანიას ამ ნაშლის საბოლოოდ მომხმარებელამდე მისატანად, მოხლოდ ტრანსპორტირების ხარჯები აქვს გასაწევი.

„ავერსი ფარმა“ 1994 წელს შეიქმნა. მას ქართული ფარმაცევტული ბაზრის 35 % უკავია. კომპანიასვე ეკუთვნის უმსხვილესი აფთიაქების ქსელი, რაც 140 აფთიაქს მოიცავს ქვეყნის მასშტაბით. „ავერსი“ არის ფარმაცევტული პროდუქციის სიდიდის მიხედვით რიგით მეორე მწარმოებელი საქართველოში და ფლობს ISO-ს 9001 სერტიფიკატს. „ავერსი“ რაციონალის ქარხანა აწარმოებს მედიკამენტის 65 ტიპს. „PSP ჯგუფი“, რომელიც ასევე 1994 წელს შეიქმნა, ამჟამად 114 აფთიაქის მფლობელია, აკონტროლებს ადგილობრივი ბაზრის 30%-ს. ყოველწლიურად უშვებს 500 მლნ ტაბლეტსა და 200 მლნ კაფსულას. „GMP“, „PSP ჯგუფის“ წევრი, არის ფარმაცევტული პროდუქციის უდიდესი მწარმოებელი ამიერკავკასიაში. იგი შეიქმნა 2000 წელს და აწარმოებს მედიკამენტის 100-ზე მეტ სახეობას. 2004 წელს კომპანია დაჯილდოებულ იქნა ISO 9001-2000 სერტიფიკატით, ხოლო 2007 წელს GMP (good manufacturing practice) სერტიფიკატით. „GPC“ ამ კომპანიებზე ერთი წლით გვიან, 1995 წელს შეიქმნა, მას საბაზრო წილის დაახლოებით 10 % უკავია, არის 39 სააფთიაქო მაღაზიის მფლობელი. ფარმაცევტული პროდუქციის უცხოელი მწარმოებლები ხშირად მედიკამენტებს უფრო დაბალ ფასებში უთმობენ „ავერსსა“ და „PSP“-ს, ვიდრე სხვა ადგილობრივ საბითუმო მოვაჭრეებს. შედარებით დაბალი ფასები, მომსახურების მაღალი ხარისხი, კარგი რეპუტაცია და მომხმარებელთა ნდობა ეხმარება ამ კომპანიებს სხვა ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებაში. საკუთარი ფარმაცევტული პროდუქცია კიდევ უფრო აძლიერებს მათ საბაზრო ძალაუფლებას.

ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფასწარმონმნის პრაქტიკა. 2004 წლამდე არსებული ძლიერი კონკურენცია მედიკამენტების ფასების შემცირებას უწყობდა ხელს. თუმცა მას შემდეგ, რაც წამყვანმა ფარმაცევტულმა ფირმებმა მოიპოვეს რეპუტაცია და ნდო-

ბა, მათ გადაწყვიტეს, რომ თავიდან აეცილებინათ ფასების ომები და თავიანთი ძალისხმევა მიემართათ მარკეტინგის, ქსელის გაფართოების, მომსახურების ხარისხის ამაღლების და სხვა მიმართულებით.

ფასი არის პროდუქტის ღირებულების მონეტარული გამოხატულება. მომხმარებლის ფასი, პროდუქტის განვითარებისა და დანახარჯების, აგრეთვე მარკეტინგისა და პრომოციის დანახარჯების გარდა, მოიცავს ფასნამატს, რომელიც წარმოიქმნება სადისტრიბუციო ქსელსა და სავაჭრო ობიექტებში. საბაზრო ეკონომიკაში ფასი არის პროდუქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი და საბაზრო სიტუაციის საკვანძო ელემენტი, რომელიც მოქმედებს როგორც მიწოდებაზე, ასევე მოთხოვნაზე.

პროდუქტი არის საქონლის სპეციფიკური კლასი, რომელიც შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: სოციალური მნიშვნელობა, მოთხოვნის ფასის არაელასტიკურობა მედიკამენტების მრავალი ჯგუფისათვის, სპეციალისტების (ექიმებისა და ფარმაცევტების) გავლენა არჩევანზე/გადანწყვეტილებაზე მედიკამენტის ყიდვის შესახებ. საბოლოო (მომხმარებლის) ფასის ფორმირებაზე გავლენას ახდენს საწარმოო, საბაზრო, საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები.

ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, მედიკამენტის ფასი შეიცავს აგრეთვე მარკეტინგისა და პრომოციის ხარჯებს.

ფარმაცევტულ ბაზარზე ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორების ჯგუფები:

საწარმოო ფაქტორები: პროდუქტის განვითარება, კვლევები (პრეკლინიკური, კლინიკური, პოსტ-მარკეტინგული), პროდუქცია, რეგისტრაცია.


საბაზრო ფაქტორები: სადისტრიბუციო ჯაჭვი (მწარმოებლიდან მომხმარებლამდე), სადისტრიბუციო ჯაჭვის მონაწილეთა სტატუსი და რაოდენობა, კონკურენცია, მიწოდების რაოდენობა, არარეცეპტურული და რეცეპტურული წამლების თანაფარდობა.

საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები: ჯანდაცვის სისტემა და ხარჯები, საკანონმდებლო აქტები და შეზღუდვები, სამკურნალო საშუალებების კატეგორიები და სიები, შემცვლელების იმპორტის პოლიტიკა და ადგილობრივი მწარმოების მხარდაჭერა, მედიკამენტების გაყიდვის არხები, ანაზღაურების სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა, ფარმაცევტული ბაზრის ურთიერთქმედება ეროვნული ეკონომიკის სხვა სექტორებთან, უცხოური ეკონომიკური აქტივობები.


1990-იან წლებამდე მოსახლეობის ფარმაცევტული პროდუქციით მომარაგება ხორციელდებოდა ორგანიზებულად კანონმდებლობის ფარგლებში, რაც ხასიათდებოდა სახელმწიფო ქარხნებში ფარმაცევტული პროდუქციის მკაცრი ცენტრალიზაციით. ქვეყნის გარეთ მედიკამენტების შესყიდვა ასევე ცენტრალიზებული იყო. ეროვნული ფარმაცევტული ინდუსტრია აკმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნის დაახლოებით 75%-ს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი შემადგენლობასი შემავალმა ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, გაიარა ე.წ. შოკური თერაპია. ვინაიდან ფარმაცევტული სექტორის მუშაობა დაკავშირებულია ეკონომიკის სხვა სექტორებთანაც, სახელმწიფოს რეგულაციების როლი თანდათან შემცირდა მის განვითარებაში. ოპტიმალური ფასების სისტემის ძიების პროცესი დღემდე გრძელდება, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

ქვემოთ მოცემულია ცხრილების სახით ფარმაცევტული ბაზრის ზომა, ადგილობრივი მედიკამენტების წილი, მედიკამენტების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, ერთეული მედიკამენტის საშუალო ფასი საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებისათვის.


ფარმაცევტული ბაზრის ზომა მილიარდ აშშ დოლარში




ადგილობრივი მედიკამენტების წილი %



მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში



ერთეული მედიკამენტის საშუალო ფასი აშშ დოლარში



წყარო: <http://ick.ge/ka/jinvestigation/371-2010-02-22-07-46-27>

ამგვარად, ფასწარმოქმნის პროცესი ფარმაცევტულ ბაზარზე ასახავს სისტემის მდგომარეობას და ხელს უწყობს ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ვაჯამებთ, რა ზემოთმოყვანილ მონაცემებს, ვასკვნით, რომ სამკურნალო საშუალებების მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალური პასუხისმგებლობა და აგრეთვე, მწარმოებლისა და სადისტრიბუციო ჯაჭვის ეკონომიკური ინტერესები. ფასწარმოქმნის სისტემა ასახავს ამ ფაქტორების ბალანსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის კვლევა;
2. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“
3. ფარმაცევტული კომპანიები - “ავერსი“, “პსპ“, GPC-ის მონოდებული მასალები
4. *How to develop and implement a national drug policy. WHO. Second Edition. P.65*
5. *Pharmaceutical Pricing Policy in Global Market. OECD Health Policy Studies*
6. World Health Report 2013.
7. [www.moh.gov.ge 22-07-46-27-saqarTvelos jandacvis saministros monacemebi](http://www.moh.gov.ge/22-07-46-27-saqarTvelos_jandacvis_saministros_monacemebi)
8. <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe>
9. <http://ick.ge/ka/jinvestigation/371-2010-02>

მანანა მარიდაშვილი

ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში რეზიუმე

ფარმაცევტული პროდუქტი არის საქონლის სპეციფიკური კლასი, რომელიც შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: სოციალური მნიშვნელობა, მოთხოვნის ფასის არაელასტიკურობა მედიკამენტების მრავალი ჯგუფისათვის, სპეციალისტების (ექიმებისა და ფარმაცევტების) გავლენა არჩევანზე/გადანყვეტილებაზე მედიკამენტის ყიდვის შესახებ. საბოლოო (მომხმარებლის) ფასის ფორმირებაზე გავლენას ახდენს საწარმოო, საბაზრო, საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები.

ფასწარმოქმნის პროცესი ფარმაცევტულ ბაზარზე ასახავს სისტემის მდგომარეობას და ხელს უწყობს ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. სამკურნალო საშუალებების მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე, მწარმოებლისა და სადისტრიბუციო ჯაჭვის ეკონომიკური ინტერესები. ფასწარმოქმნის სისტემა ასახავს ამ ფაქტორების ბალანსს.

ფარმაცევტული სექტორის მუშაობა დაკავშირებულია ეკონომიკის სხვა სექტორებთანაც. მის განვითარებაში სახელმწიფოს რეგულაციების როლი თანდათან მცირდება. ოპტიმალური ფასების სისტემის ძიების პროცესი დღემდე გრძელდება, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

Manana Maridashvili

Pharmaceutical Product Price Formation and Regulation Trends in Georgia and CIS Countries Summary

Pharmaceutical product is a specific class of goods that is characterized by the following features: social importance, inelasticity of demand price for many groups of medicine, the influence of specialists (doctors and pharmaceuticals) on the choice of decision about purchasing the medicine. The formation of final (consumer) price are influenced by industrial, market and financial factors.

Pricing processes in the pharma market reflect the state of the system and encourage further development of the industry. Drug consumption is affected by social responsibility of the state and the economic interests of the manufacturer and distribution chain. The system of drug pricing reflects the balance of those factors.

Performance of pharmaceutical sector is related with other sectors of economic. The role of state regulations of its development is gradually decreased. Processes of change in search of an optimal pricing system continue even at this time and is the subject to country-specific economic and political conditions.

SUCCESSFUL JOURNEY TO EMPLOYMENT: THE ROLE OF UNIVERSITY

Education provider’s (herein and after – “university “) “final product” is qualified and skilled graduates. From social point of view, university rankings that reflects quality of education should be measured by whether graduates are able to get jobs.

Can education “guarantee” good job or at least, employment? Unfortunately, both international and Georgian practices give negative answer. It means that education system and/or universities are not fully oriented on graduates’ employability. This new society’s requirement is realized through system called *The education-to-employment* (E2E). E2E path can be described as a road with three intersections: enrolling in postsecondary education, building the right skills, and finding a suitable job (Mourshed, Patel, & Suder,2014). In other words, the system focuses young people, employers, and education providers on improving employment readiness.


Based on brief overview of labor market in Georgia, the article analyzes the causes of youth unemployment and possible universities’ contribution to the problem solution. Specifically, besides the further reform in education system such as improvement of education programs and curricular, E2E system should be implemented.

The article discusses international experience on providing different forms of E2E, for example, “junior enterprises” in Europe. Turkish universities practice that orients university programs and teaching methods on local bossiness’ needs is also studied. But the most effective way to connect business and academics is the foundation of University Business Incubator model. UBI severs as a bridge between education system and local businesses.

1. Georgian labor market situation (brief overview)

According to the National Statistics Office (GeoStat) Georgia has relatively strong economic growth and good macroeconomic performance over the last decade. Despite this fact, as Figure 1 depicts, unemployment rate has been stably high while GDP grows. On another side, the number of employed and unemployed people are relatively stable and, in fact, and they follow the changes in GDP with minor alterations.


Figure 1. Dynamic of real GDP growth, employment and unemployment in Georgia.



Source: GeoStat

The problem of unemployment becomes disturbing when the youth unemployment is added to the consideration. In 2013, 33.8% of Georgians of age 20-24 and 25.7% of those between ages 25-29 could not find work (GeoStat). In other words, unemployment in the group of the youth Georgians of 20-29 years old is the highest during the observed period (Figure 2).

Figure 2. Unemployment rate among age of 20-29 (percent)



Source: GeoStat

Thus, the problem of Georgian labor market is not just high level of unemployment but extremely high youth unemployment. This fact has long-run consequences for the national economy in terms of increased costs to the economy, lower lifetime earnings, “brain drain”, lower life expectancy, higher crime rates, etc.

Unfortunately, there is no official statistics on university graduates’ employment/unemployment. Universities usually provide their own data using them as advertising. Reliability of such data is under the question. But it’s obviously that youth unemployed people are school and high institution graduates.

This brief presentation arises a lot of questions – Is the employment crisis among Georgian young people due to their lack of preparedness for the job market (let’s call it, the supply side unemployment)? Or are there simply not enough jobs available to them (the demand side unemployment)? What are the obstacles that youth face on their journey from education to employment? What can be done to address the problem?

The format of the paper does not allow to give an answer to all of these questions. The focus would be made on further analysis of the labor market – the supply side vs. demand side of youth unemployment and possible ways to address the problem.

2. Lack of jobs or lack of skills?

At the first sight, Georgia’s unemployment rate is at around the mid-level for transition and emerging countries. But regional comparison shows that only in Armenia unemployment rate is higher (Data. World Bank; 2013). Moreover, in reality statistics understates the labor picture as many people who are statistically considered to be ‘employed’ are in fact also underemployed. For example, they are (a) hindered by insufficient pay, (b) irregular or seasonal employed, (c) “hidden” unemployed, or being in the group that

includes “hopeless” or “discourage” workers; (d) “self-employed” (55%-65% of employed). The last group includes people who possess homesteads and mostly cultivate only for their family needs. Because their products are not marketable, they cannot be included into GDP and the effectiveness of such employment is low. Besides, most of these people consider themselves as unemployed and are ready to work.

Sometimes “voluntary” unemployment is discussed as a source of country’s unemployment. For Georgia it is not the case just because country has no system of unemployment benefits.

Therefore, lack of jobs or demand side unemployment is, certainly, one of the reason of high youth unemployment in Georgia. As the statistics shows, on one side Georgian GDP grows steadily with 9% in average in 2004-2007 and with 6% in 2009-2014 (Sadikov, 2014)). On another, instead of fluctuate with economic growth, the number of unemployed/employed does not change significantly (Figure 2). The phenomenon known as “growth without development” or “jobless” growth is usually called as a “paradox of growth” (Gregg, 2011; Jeroen, 2009; Ghani, 2011;etc.) and it became a feature of, first of all, developing economies long ago.

Therefore, the lack of availability of jobs in Georgia is part of the problem, but it is far from the whole story. Another part lies on supply side. While there are more people looking for work, employers in Georgia cannot find the skills they need.

Indeed, despite the serious reform in education, a skills gap between the labor force and the needs of real economy, still exists in Georgia (Papiashvili, Doghonadze, 2009; Papiashvili, 2010). Respondents of numerous surveys also prove this fact. Particular, The Global Competitiveness Report 2010–2011 indicates “an inadequately educated workforce” as the most problematic factors for doing business in Georgia with 19.9% (The Global Competitiveness Report 2010–2011, 162). In the next year report this factor was ranked on the second place with 13.4% (The Global Competitiveness Report 2011–2012, 182). Situation did not change in the past 2013. In The Report “inadequately educated workforce” is ranked again on the second placed with 13.4% (The Global Competitiveness Report 2012–2013,174). The last survey of International Financial Corporation shows the similar picture – uneducated workforce was among the most serious problems faced by businesses in Georgia (Georgia Business; 2012). According to The 2012 World Bank Entrepreneurship Survey stakeholders cited inadequate skills as a key hindrance to developing local industry (Fostering, 2013, 58).

This brief analysis evidences that, firstly, due to the lack of jobs in Georgian labor market there would be strong competition among newcomers most of whom are school and university graduates, secondly, there is high unsatisfied demand on qualified and skilled labor.

3. A way to reform

The situation in Georgian labor market demands modern education providers (universities) to be focused more on what happens to the students after they leave school. Specifically, they should carefully track graduates’ employment and their job satisfaction.

Generally, there are two directions of further reform that Georgian society may follow. One road is further improvement of educational programs and curricular making them more close to the European standards in terms of courses’ design and contents , using textbooks, teaching methods, etc. New courses such as interview practice, résumé preparation, workplace visits, the like should be delivered.

Another way is orientation on enlargement of the students' opportunities for practical learning, orientation of academic teaching on labor market demand, establishment of close links between education providers (universities) and businesses. University must deliver what society and businesses want. In other words, E2E system should be implemented .

International experience gives many interesting examples on connection academic learning process and the business world. For instance, in Europe “junior enterprises” are very popular. These are non-profit organisations created and managed by students in higher education. “Junior enterprises” help students to test and implement their theoretical classroom learning, develop an entrepreneurial skills through the concept of “learning by doing”. There are now about to 20,000 “junior entrepreneurs” between 18 and 25 years old (Mourshed, Patel, &Suder, 2014; 21).

Another example is from Turkey. On the framework of the International project “*University collaboration network at the Black Sea – UNIVER-SEA.NET*” our partners are two Turkish universities – Aydin University (Istanbul) and Karabuk University (Karabuk). IBSU team consisted of lectures and students visited both universities and we were surprised that their curricular included not only standard academic courses but the courses based on the specific needs of the local companies. For this, both universities have organized (constructed and equipped) special labs and centers where teaching is provided by both academic teachers and master craftsmen and businessmen from the local companies.

But the most effective link between business and academic institutions is University Business Incubator model (UBI). UBI model is a channel though which education can be directly transfer to business or UBI severs as a bridge between education system and local businesses. UBI model proves that the role, function and mission of universities in modern societies have been changed dramatically. With their traditional function of teaching / training and R&D, universities have to take the lead in the knowledge / technology transfer process and finally, to widen and simplify to their graduates access to jobs.

The importance of UBIs is world widely recognized. In 2013 the first globally University Incubator Benchmark (UBI Index) was developed. Global index is used to benchmark performance and best practices of University Business Incubators (UBI Index, n/d).

The establishment of the UBIs is not a simple process and requires a complex analysis and research. Numerous factors (such as general business environment and SME sector in the country, quality of education and business education, existed links between business and academic communities, government special programs on business incubators and small business support, readiness of university and their students and their ambitions, etc.) should be discussed before making the decision.

Nowadays, UBIs attract attention of business communities and public in different countries but not in Georgia. As my survey shows, leading Georgian universities both state (Tbilisi State University, Georgian Technical University, Tbilisi State Medical University, Ilia State University, the others) and private (Free University of Tbilisi, Caucasus University, International Black Sea University, Georgian University, Georgian-American University, the others) have established training and research centers, special labs and institutions, business clubs, business competition and conferences, the like through which they connect local business and communities. But none of them has got UBI as a part of organization structure. Just some experience exists, for instance, Georgian Technical University in 1999 participated in an international

project “Research of and opportunities of creation of small business incubator” (www.gtu.edu.ge). In 2009 three-year Adjara Economic Development Project started in Batumi and local university, Batumi Shota Rustaveli University, participated in BI (<http://www.bbi.ge/en/>).

Unfortunately, the programs and projects on further reform of higher education do not include establishment of UBIs in the country (Country Implementation, 2011).

In fact, the situation with UBIs does not go as a surprise because even “typical” business incubators (BIs) are rarely in Georgia (Papiashvili, 2011). Moreover, summarizing Georgia’s experience of BIs/UBIs establishment and operation, it should be said that all of them were (1) founded and financed by international organizations; (2) focused on support to small and particular group of population such as temporary displaced persons, women, minorities, etc.; (3) part of short-run programs or projects; (4) not be included into Georgian national strategy of business development and SMEs support; (5) not widely launched to public and business community.

Conclusion.

High unemployment and especially high youth unemployment is an alarm signal for Georgian community. Youth unemployment has characteristics of both demand-side and supply-side unemployment due to existing lags of jobs and skills. In such a situation education providers (universities) must focus more on what happens to the students after they leave school, and carefully track graduates’ employment and job satisfaction.

The system that realizes this new society’s requirement is called *The education-to-employment (E2E)*. E2E focuses young people, employers, and education providers on improving employment readiness. E2E path is what Georgia’s education system needs today. Universities should stop to produce unemployed people but graduates who are successful in business and/or sciences.

We have to be more careful to international experience of realization of E2E system in different countries, for example, European “junior enterprises”, Turkish practice of intensively cooperation with local businesses, etc. But the most valuable for us experience is a University Business Incubator model (UBI). UBIs demonstrate the new role, function and mission of universities in modern societies. With their traditional function of teaching / training and R&D, universities have to take the lead in knowledge / technology transfer process. UBIs operate as a bridge between entrepreneurial economy and entrepreneurship education.

The importance of UBIs for national economies, local businesses and communities, universities are widely recognized but not in Georgia. Unfortunately, even leading Georgian universities both state and private have not had UBIs as a part of their permanent organizational structure.

References:

1. Country Implementation Plan GEORGIA (2011), WP-ENP E-11-08. Retrieved November 1, 2013 from www.etf.europa.eu/.../IP%20GEORGIA_final_04032011%20with%20P
2. Data. World Bank (2013). Retrieved January 25, 2013 from <http://data.worldbank.org/data-catalog/wdr-2013-jobs>
3. Fostering Entrepreneurship in Georgia. (2013). IBRD/ W B Georgia Business Perception Survey 2012. Georgia Tax Simplification Project (2012). International Financial Corporation. Retrieved January 25, 2013 from http://www.justice.gov.ge/files/Documents/analitikuri/IFC_Business.pdf
4. Ghani, E. (2011). Is growth incomplete without social progress? India's development paradox. Retrieved February 16, 2013 from <http://www.voxeu.org/article/growth-incomplete-without-social-progress-india-s-development-paradox>
5. Gregg, P. (2011). Employment and Growth Paradox. Retrieved April 3, 2013 from <http://cmpo.wordpress.com/2011/06/28/employment-and-growth-paradox/>
6. Jeroen C.J.M. van den Bergh (2009). The GDP paradox. *Journal of Economic Psychology* , #30, p.117-135
7. Mourshed, M., Patel, J., and Suder, K. (2014). Education to employment: Getting Europe's youth into work. Mc Kinsey & Company. Retrieved May 5, 2014 from http://www.qren.pt/np4/np4/?newsId=4105&fileName=Education_to_employment_Getting_Europes_.pf
8. Papiashvili, T., Doghonadze, N. (2009). Knowledge Triangle in Business Education in Post-Soviet Countries. The International Management Development Association, Tbilisi, Georgia. p.381-388
9. Papiashvili, T. (2010). Business Education in Georgia: Challenges and Opportunities. *IBSUSJ*, Tbilisi, Georgia, 2010, 4(1), p.5-15
10. Papiashvili, T. (2011). The role of business incubator in SME sector development. The 4th International Conference 'New trends in Education: Research and Development' proceedings. Gori University, October 21-22, 2011, p. 228-233
11. Sadikov, A. (2014). Georgia and International Monetary Fund. Retrieved May 30, 2014 from <http://www.imf.org/external/country/GEO/rr/2014/060414.pdf>
12. The Global Competitiveness Report 2010–2011. World Economic Forum (2010). Geneva. Retrieved September 10, 2012 from http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2010-11.pdf
13. The Global Competitiveness Report 2011–2012. World Economic Forum (2011). Geneva. Retrieved September 10, 2012 from http://www3.weforum.org/docs/WEF_GCR_Report_2011-12.pdf
14. The Global Competitiveness Report 2012–2013. World Economic Forum. Retrieved January 15, 2014 from http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf
15. UBI Index (n/d). Retrieved September 7 2013 from <http://ubiindex.com/global-top-list-2013/>

ტატიანა პაპიაშვილი

დასაქმების წარმატებული გზა: უნივერსიტეტის როლი რეზიუმე

უმუშევრობა კვლავ რჩება მწვავე პრობლემად ქართული საზოგადოებისთვის. იგი განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდათა შორის. მოცემული ნაშრომი განიხილავს ახალგაზრდათა შორის უმუშევრობის მაღალი დონის მიზეზებს მოთხოვნისა და მიწოდების პერსპექტივებიდან. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ძირითადი გზა იქნება ისეთი სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ქართული უნივერსიტეტების პირდაპირი მიმართვა კურსდამთავრებულთა დასაქმებისაკენ. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია საკითხის გადაჭრის ზოგიერთი გზა („ახალგაზრდული ბიზნესი“ (“junior enterprises”), უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის თურქული გამოცდილება, ბიზნეს ინკუბატორის საუნივერსიტეტო მოდელი (UBI)), ბიზნეს ინკუბატორის საუნივერსიტეტო მოდელის ჩამოყალიბება ითვლება ბიზნესსა და აკადემიურ დაწესებულებებს შორის არსებულ ყველაზე ეფექტურ დამაკავშირებელ რგოლად. აღნიშნული მოდელის როლი ეროვნული ეკონომიკებისთვის, ადგილობრივი ბიზნესების, საზოგადოებისათვისა და უნივერსიტეტებისთვის საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა, არა საქართველოში. წამყვან ქართულ სახელმწიფო და კერზო უნივერსიტეტებს ჯერჯერობით არ გააჩნიათ ამგვარი მოდელი (UBI) რომელიც ინკორპორირებული იქნება მათ ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

Tatiana Papiashvili

Successful journey to employment: The role of university

Abstract

Unemployment is still a painful problem for Georgian society. It is especially high among young people. The article investigates the causes of youth unemployment from demand and supply sides. The basic framework to address the problem is to form a system that would directly orient Georgian universities on graduates' employability. Based on international experience, the article provides some possible solutions (“junior enterprises”, Turkish practice of close cooperation among universities and local businesses, University Business Incubator model (UBI), etc.). Foundation of UBIs is considered as the most effective link between business and academic institutions. The importance UBIs for national economies, local businesses and communities, universities are widely recognized but not in Georgia. Even leading Georgian universities both state and private have not had UBIs as a part of their permanent organizational structure.

ლალი სადალაშვილი, ნანული ქოქაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები გიზნესში

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ და განმამტკიცებელ ატრიბუტს. საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბაზრო ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირველ წლებში ვერ ხერხდებოდა გადასახადების ბიუჯეტით განსაზღვრული მაჩვენებლების შესრულება. ეს აიხსნება ისეთი სუბიექტური მიზეზებით როგორცაა: კანონმდებლობის არასრულყოფილება, საგადასახადო კოდექსი მხოლოდ 1997 წელს იქნა მიღებული. საგადასახადო ადმინისტრაციის დაბალი დონე, გადასახადების ნებაყოფლობითი გადახდის ტრადიციების არარსებობა. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდნენ სხვა ფაქტორებიც: ინფლაციის მაღალი დონე, გადასახდელი და ურთიერთთანხვლის სისტემების კრიზისი, საგადასახადო დისციპლინის მოშლა. საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა არ შეესაბამებოდა საზოგადოდ მიღებულ პრინციპებს, ისეთებს როგორებიცაა: განსაზღვრულობა, გადასახადების ეკონომიურობა, მათი ამოღების ტექნიკის მოხერხებულობა და სიმარტივე, თანაფარდობა გადასახადებსა და გადამხდელთა გადახდის უუნარობას შორის.

საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკის რეტროსპექტიულმა ანალიზმა გამოავლინა შეცდომები, რომლებიც მიმართული იყო უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად საგადასახადო ტვირთის გადიდებისაკენ. 2010 წლის დეკემბრის ახალი საგადასახადო კოდექსით აღიარებული იქნა საგადასახადო დაბეგვრის ნეიტრალურობის აუცილებლობა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ მოხდეს ზემოქმედება მენარმის ქცევის მოტივაციაზე, მისი საქმიანობის სახეობის შერჩევაზე და შესაბამისად, კაპიტალის დაბანდებაზე. მაგრამ, რეალურად, საგადასახადო პოლიციური ადმინისტრირების ტვირთი მძიმედ დაანვა მენარმებს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული საგადასახადო სისტემის ორგანიზებაზე. საქართველოს საგადასახადო სისტემა იყენებს გადასახადების მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსებას სტაბილური გადასახადებით და ცენტრალიზებული გზით, რაც სახელმწიფოს აქცევს უმსხვილეს ეკონომიკურ სუბიექტად. ერთი შეხედვით, ასეთი საგადასახადო პოლიტიკა მისაღები და რეალური უნდა იყოს, მაგრამ აქ გასათავისნივინებელია ის გარემოება, რომ მკაცრად ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა თავდაპირველად ხელს უწყობს საგადასახადო შემოსავლების მოზიდვას სახელმწიფო ბიუჯეტში, მაგრამ თუ მას თან არ ახლავს საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ფუნქციების გამოყენება, ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგში განაკვეთების შემცირება, მასში თანდათანობით მცირდება საგადასახადო ბაზა და შესაბამისად მცირდება გადასახადების წილი საბიუჯეტო შემოსავლებში, თუმცა გარეგნულად აბსოლუტურ მაჩვენებლებში ზრდის ტენდენციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

მიზანშეწონილია, საგადასახადო განაკვეთების კორექტირებით შეიქმნას საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები, ამასთან საგადასახადო განაკვეთების შემცირება ხელს შეუწყობს სამეურნეო აქტივობის ამაღლებას, ინვესტიციების მოზიდვას დასაქმების ზრდას.

საგადასახადო განაკვეთების შეცვლით სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს ფინანსური რესურსების გადიდებისათვის, მაშასადამე, ქვეყნის საგადასახადო სისტემამ, ხელი უნდა შეუწყოს და შექმნას წარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საბოლოო ჯამში, საგადასახადო ბაზის გაფართოების პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების განვითარების შესაძლებლობა დაეცემა, შეიზღუდება საგადასახადო ბაზა და ამით შეიქმნება ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის ხანგრძლივად შენარჩუნების პირობები.

საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი ინსტრუმენტების მოქნილად გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის, სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკური ზრდა. ოპტიმალური საგადასახადო შეღავათების დაწესებით, ფირმის განკარგულებაში დარჩენილი მოგების ნაწილით, მას შეუძლია გააფართოვოს საწარმოო სიმძლავრეები, დაწეროს წარმოებაში უახლესი ტექნიკა და გახდეს კონკურენტუნარიანი. ამასთან აუცილებელია საგადასახადო შეღავათების დაწესებისათვის ამოსავალ პუნქტად იქნეს მიჩნეული წარმოების მიზნობრიობა და წარმოების განვითარების დონე. რაც უფრო დაბალია წარმოების დონე, მით უფრო მეტი უნდა იყოს საწარმოებში საგადასახადო შეღავათები, რათა მათ განკარგულებაში დარჩეს, რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსები წარმოების მასშტაბების და ახალი ტექნოლოგიების დაწერისთვის.

ჩვენი აზრით, საქართველოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ძალზე დიდია პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შეთანაწყობა. პირდაპირი გადასახადების წილი, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად 2010 წელს მთელი საგადასახადო შემოსავლების 48% ანუ 2 მილიარდ 203 მილიონზე მეტი, 2011 წელს – 48,1 % ანუ 2 მილიარდ 784 მილიონზე მეტი, 2012 წელს 48,7% ანუ 3 მილიარდ 070 მილიონზე მეტი, 2013 წელს 48,8 % ანუ 3 მილიარდ 170 მილიონზე მეტი მიღებული იყო დამატებული ღირებულების გადასახადების სახით. განვითარებად ქვეყნებში არაპირდაპირი გადასახადების მაღალი წილის არსებობა მწარმოებლებს აიძულებს შეკვეცოს წარმოების მოცულობა, რასაც თან სდევს სამუშაო ადგილების შემცირება და უმუშევრობის ზრდა. საგადასახადო სისტემების სრულყოფისათვის უმთავრესად ითვლება დაბეგვრის პრინციპების მტკიცედ დაცვა, კერძოდ: გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით; გადასახადების ამოღების ვადების ზუსტი დაცვა; გადასახადების გადამხდელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; გადასახადების ამოღების ხარჯების შემცირება და გადასახადებით სისტემის რაციონალიზაცია.

გადასახადების განაკვეთის დადგენისას აუცილებელია საგადასახადო ოპტიმების დაცვა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებას და გადასახადის გადამხდელთათვის შემოსავლის ისეთი წილის დატოვებას, რომელიც მას საშუალებას მისცემს გააფართოვოს წარმოების მასშტაბები და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები. მსოფლიო საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკით ასეთი ოპტიმუმი შემოსავლების 35%-დან 45%-დე მერყეობს, ხოლო მეწარმეების განკარგულებაში რჩება 55%-დან 65%-მდე. საგადასახადო მექანიზმის გარდაქმნის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ინვესტიციების სტიმულირების მეტოდების ტრანსფორმაცია. საგადასახადო სისტემის სრულყოფა შეუძლებელია სწორად ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკის გარეშე, რომლის მიზეზებია: ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა და ფინანსური უსაფრთხოების დაცვა, ბიზნესის სტიმულირება,

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განვითარება, გადასახადების სტაბილურობა, გადასახადების დადგენისა და ამოღების წესების გამარტივება, სამართლიანობის პრინციპის დაცვა, ქვეყნის ტერიტორიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრება.

ამრიგად, საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ:

- 1) საგადასახადო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- 2) საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება;
- 3) საგადასახადო შეღავათების მინიმუმამდე შემცირება;
- 4) პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ობტიმალური შეთანხმება;
- 5) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფა ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით;
- 6) საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირება, საგადასახადო ტვირთის შემცირება;
- 7) საგადასახადო დაბეგვრის პროცესში სამეურნეო სუბიექტების იმ რეალური დანახარჯების მაქსიმალურად გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან, საგადასახადო ტვირთის ობტიმალურად განაწილება საქონელმწარმოებელზე, მომხმარებელსა და კაპიტალზე.

დღევანდელ საგადასახადო რეჟიმის მიხედვით, გადასახადების გადამხდელისა და საგადასახადო ადმინისტრაციის ურთიერთობა თანამშრომლობის ხასიათს ატარებს, რაც გულისხმობს, რომ გადასახადები არის გადასახდელი, რომელთა ხარჯზე მთელი სახელმწიფო მექანიზმი ფუნქციონირებს. ამიტომ აუცილებელია: ერთმა მხარემ კეთილსინდისიერად გადაიხადოს გადასახადი, მეორემ ასევე კეთილსინდისიერად შეამოწმოს ამ პროცესის მიმდინარეობა. თუმცა, სამწუხაროდ საქართველოში ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მიგვაჩნია, რომ ურთიერთთანამშრომლობა უნდა იყოს გაჭვირვალე და კანონიერი, ვინაიდან ყველა გადასახადის გადამხდელი შეუძლებელია იყოს საგადასახადო კანონმდებლობის კარგი მცოდნე, რადგან საგადასახადო კანონმდებლობა საკმაოდ რთულია და მისი გამოყენებისათვის პროფესიული ცოდნაა საჭირო. შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით მცირე მენარმეები, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც არა აქვთ საშუალება დაიქირაონ მაღალკვალიფიციური ბუღალტრები და იურისტები, როდესაც სურთ კანონის შესაბამისად იმოქმედონ, ხშირად დგებიან პრობლემის წინაშე, არ იციან საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების აღსრულების წესები. ხშირია შემთხვევები, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობით, სხვადასხვა ოპერაციების ჩატარებაზე სხვადასხვა მუხლებში ურთიერთგამომრიცხავი და შეუსაბამო ინტერპრეტაციებია.

ცალკეული გადასახადებისა და საგადასახადო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ საგადასახადო კანონმდებლობა არის უკიდურესად რთული, როგორც შინაარსობრივად ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისით, რის გამოც გადასახადის გადამხდელის, განსაკუთრებით, მცირე და მიკრობიზნესის მხრიდან კანონმდებლობის ყველა პუნქტის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს საბუღალტრო ანგარიშგებაზე, იწვევს გაუმართლებელ სანქციებს და აიძულებს მენარმეს თავი აარიდოს გადასახადებს.

ცხადია, რომ საგადასახადო სისტემა სრულყოფას საჭიროებს, რისთვისაც მიზანშეწონილი იქნება გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) უნდა აღმოიფხვრას დაბეგვრის ობიექტების განმეორებითი და მრავალჯერადი დაბეგვრის პრაქტიკა, დღევანდელი კანონმდებლობით ასეთი საგადასახადო რეჟიმით იბეგრება მაგალითად: სატრანსპორტო საშუალებები, დივიდენდები და სხვა, რომელიც გადასინჯვას საჭიროებს;
- ბ) უნდა დაიხვეწოს დაბეგვრის ობიექტის შინაარსი, მისი გამოანგარიშება მენარმისა და საგადასახადო ორგანოებისათვის სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. დაბეგვრის ობიექტი არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს;
- გ) უნდა გადასინჯოს დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო განაკვეთი მისი შემცირების თვალსაზრისით. რეკომენდირებულია დღგ-ს დიფერენციაცია საქონლისა და მომსახურების ცალკეული სახეების მიხედვით;
- დ) საჭიროა ჩამოყალიბდეს საგადასახადო ადმინისტრირების მოქნილი მექანიზმი, გაიმიჯნოს მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები გადასახადის ამოღების საკითხში. ამოქმედდეს მატერიალური სტიმულირების სისტემა და მოწესრიგდეს შრომის ანაზღაურება, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს საგადასახადო მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ე) საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს და დაკონკრეტდეს საგადასახადო დარღვევის ხასიათი. კერძოდ გაიმიჯნოს შემოსავლების განზრახ დამალვა და შეცდომების ფაქტები. ამავე დროს საჭიროა გამკაცრდეს სანქციები შემოსავლების განზრახ დამალვისათვის;
- ვ) დაბალი საგადასახადო განაკვეთი დამატებითი სტიმულია ბიზნესისათვის, რადგან საგადასახადო ტვირთი მცირდება, მენარმეებს მეტი ფულადი სახსრები რჩებათ, იმისთვის, რომ გააფართოვონ საქმიანობის არიალი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა სტიმული გახდება წარმოების გაფართოებისა, რაც ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას;
- ზ) მიგვაჩნია რომ გადასახადებმა კვლავ უნდა განიცადოს ლიბერალიზაცია;
- თ) ქონების გადასახადის განაკვეთები უნდა დაადგინოს ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა, რადგან მთავრობის მიერ ამ გადასახადის განაკვეთების დადგენა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას;
- ი) უნდა შემცირდეს საგადასახადო განაკვეთები, რადგან, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილურია საგადასახადო ბაზა;
- კ) საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილება, არასტაბილურობა, უარყოფითად მოქმედებს ბიზნეს გარემოზე, აშინებს ინვესტორს. აქედან გამომდინარე, ამ საკითხს მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგადი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საგადასახადო სისტემის დახვეწა, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების შემოღება, დაბეგვრის მექანიზმების გამარტივება ხელს შეუწყობს გადასახადების ლეგალიზაციას და აღრიცხვა ანგარიშგების-მოწესრიგებას, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ქვეყნის გამოყვანის ერთ-ერთ წინაპირობად მიგვაჩნია.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს თანამხვედრი საგადასახადო პოლიტიკის, კანონმდებლობის, საგადასახადო კულტურის ამალგების, გადასახადის გადამხდელთა უფლებების ზრდიდს მოთხოვნებს. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გაუქმდება იმპორტის გადასახადი ევროკავშირიდან შემოტანილ საქონელზე. რაც, გარკვეულ წილად, შეამცირებს საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლების მოცულობებს. ამავე დროს, საქართველო იღებს ვალდებულებებს, ეტაპობრივად, 2020 წლამდე საქონლის ხარისხისა და სტანდარტის შესაბამისად გაზარდოს აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და ნავთობპროდუქტებზე, რომელიც საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლების სტაბილურობას უზრუნველყოფს.

ლალი სადაღაშვილი, ნანული ქოქაშვილი
საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები ბიზნესში
რეზიუმე

ევროინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე ბიზნესის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოებში მოქცევა. საგადასახადო სისტემა იგი მუდმივი კომპლექსური პროცესია, რომელშიც გადასახადები გათვალისწინებულია ერთის მხრივ, როგორც მართვის ობიექტი და მეორეს მხრივ, როგორც რეგულირების ინსტრუმენტი. საგადასახადო მექანიზმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინვესტიციების სტიმულირების მეთოდების ტრანსფორმაცია. ნაშრომში ამ მიმართულებით პუნქტობრივად გამხილულია და გაანალიზებულია საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი მიმართულებები; წარმოდგენილია საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზები; ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების მიხედვით, საგადასახადო სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ: შემოღებულ უნდა იქნას ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები, გამარტივდეს დაბეგვრის მექანიზმი, ხელი შეეწყოს გადასახადების ლეგალიზაციას და აღრიცხვა-ანგარიშგების მოწესრიგებას, რაც საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოებში მოქცევის წინაპირობად გვესახება.

Lali Sadaghashvili, Nanuli Kokashvili
Georgian Taxation System Perfection Issues in Business
Summary

On the way to euro integration an indispensable condition is to frame an international standards of the tax department system. The article 'Georgian Taxation System Perfection Issues in Business' is more actual, because it is a permanent complex process in which the taxes are regarded, on one hand as an object of management and on the other hand as an instrument of regulation. The important direction of the tax department mechanism is a transformation of stimulated methods of investigation. In the work it is discussed in this direction and analyzed as items of the tax department systems main directions, which we consider the main dignity of the work. The authors presented tax system perfection ways. On the basis of economic analysis they conclude that optimum tax rates must be set up, a rating mechanism simplified to support the tax legalization and regulate calculation and accounting process. We think these are the premises for the framed international standards.

უძრავი ქონების როლი საბაზრო ეკონომიკის სრულყოფაში

„უძრავი ქონება“ ეკონომიკური კატეგორიაა. იგი წარმოებითი ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია. უნდა განვასხვავოთ უძრავი ქონების ზოგადი არსი და უძრავი ქონების იურიდიულ არსი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებასთან ერთად იცვლება. საბაზრო ეკონომიკის განვითარება უფრო ამყარებს უძრავი ქონების არსებობის მნიშვნელობას საზოგადოებაში.

უძრავი ქონების შინაარსი მარტო დეფინიცია არაა, არამედ ის არის სინთეზი, ამ ტერმინის ცოდნის შესახებ. ზოგადად, უძრავი ქონება – ესაა მიწის ნაკვეთები და ყველაფერი ის, რაც მასზეა დამაგრებული, რომლის გადაადგილება დიდი დანაკარგის გარეშე შეუძლებელია. ასევე, უძრავ ქონებას მიეკუთვნება მასთან მიახლოებული ქონება, როგორცაა (საჰაერო და საზღვაო ლაინერები). ზოგადად, უძრავი ქონებაში შედის: ა) მიწის ნაკვეთები; ბ) წიაღისეული; გ) წყლის რესურსები; დ) ყველაფერი ის, რაც მყარადაა მიბმული მიწაზე; ტყეები; მრავალწლიანი ნარგავები; შენობები; ნაგებობები; ე) უძრავ ქონებასთან მიახლოებული ქონება, როგორცაა: საჰაერო და საზღვაო ხომალდები; შიდა წყლებში ქვეყნის შიგნით მოცურავე გემები, კოსმოსური ობიექტები;

უძრავი ქონების თეორიასა და პრაქტიკაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ როგორც მატერიალური ობიექტები, ასევე ეკონომიკურ-სამართლებრივი და სოციალური ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველფენ მათი ფლობის წესს და მათზე სამართლებრივი დამოკიდებულების სიმყარეს. უძრავი ქონებს ფიზიკურ, ეკონომიკურ-სამართლებრივ და სოციალური ურთიერთობების კომპლექსს მიეკუთვნებიან:

1. მატერიალური ობიექტი: ა) ნაკვეთის ადგილმდებარეობა; ბ) ფართობის მოცულობა (სიმაღლე, სიგანე, ფართობი) და საზღვრები; გ) ფართობის ფორმა; დ) ლანდშაფტი; ე) წიაღისეული; ვ) მიწის ტიპები(სახეობები); ზ) ფართობის ფიზიკური დახასიათება;

2. ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტებია: ა) საქონელი; ბ) კაპიტალის ფორმა; გ) სარგებლიანობა; დ) შემოსავლიანობა; ე) ლიკვიდურობა; ვ) ფინანსური აქტივი; ზ) ღირებულება; თ) ფასი; ი) გადასახადები; კ) ინვესტირება; ლ) მოთხოვნა და მიწოდება.

3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია: ა) საკუთრების უფლება; ბ) სამემკვიდრეო ფლობის; გ) მუდმივი სარგებლობის უფლება; დ) სამეურნეო საქმიანობის უფლება; ე) ოპერატიული მართვის უფლება; ვ) ტრასტის; ზ) გირაოს, იჯარის, მშენებლობის დაშვების უფლება; თ) სერვიტუტი; ი) მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობის მეპატრონის უფლებები ამ ნაკვეთზე; კ) საწარმოს მართვის სოციალური უფლება; ლ) სხვა სამართლებრივი უფლებები.

4. მიწა, როგორც ზოგადი სოციალური ურთიერთობების ობიექტები არის: ა) ყველა თაობის ადამიანების ცხოვრების ადგილი; ბ) ადამიანების ცხოვრების პირობები; გ) აღუდგენელი ბუნებრივი რესურსი; დ) სხვა ობიექტის განთავსების სივრცე; ე) მიწა – დაცულია ყველა ადამიანის კეთილდღეობისათვის; ვ) მიწა – თავისუფლების და დამოკიდებულებების საფუძველი; ზ)

მინის ფლობის პრესტიჟულობა; თ) მინა სიამაყისა და დიდების საფუძველი; ი) მინის მრავალფუნქციური დანიშნულება; კ) მინა – საზოგადოებაში საშუალო ფენის წარმოშობის პირობა.

რეალურად უძრავი ქონების ნებისმიერი ობიექტი არსებობს ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივ ურთიერთობაში. თითოეული მათგანი შეიძლება გამოვიდეს ძირითადი სახით, გამომდინარე ცხოვრებისეული სიტუაციიდან.

ეკონომიკური კონცეფცია უძრავ ქონებას განიხილავს, როგორც ინვესტირების ეფექტურ ობიექტსა და შემოსავლის გენერირების საიმედო ინსტრუმენტს. უძრავი ქონების ძირითადი ეკონომიკური ელემენტებია ღირებულება და ფასი, რომელიც პირველად წარმოიშობა მისი სარგებლობიდან, სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობიდან და ადამიანთა ინტერესებიდან. უძრავი ქონების მფლობელთა მიერ გადახდილ გადასახადებისგან იქმნება მუნიციპალური ბიუჯეტები და ხდება სოციალური პროგრამების რეალიზება.

იურიდიულ დონეზე უძრავი ქონება ესაა საზოგადოებრივი და კერძო სამართლის ერთობლიობა, რომელსაც აწესებს სახელმწიფო – სახელმწიფო თავისებურებისა და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. კერძო სამართალი შეიძლება იყოს განუყოფელი ან წილობრივი (ერთობლივი საკუთრება) და გაყოფილი, ქონების ჰორიზონტალური და ვერტიკალური განსხვავების საფუძველზე. მინისქვეშა რესურსებად, ზედაპირზე არსებული მინის ნაკვეთები და მათზე დამაგრებული შენობები და საჰაერო სივრცეც. საქართველოში კანონმდებლობით (გარანტირებულია) კერძო პირებს აქვთ უფლება თავისუფლად იყიდონ, გაყიდონ, გააქირონ, გასცენ იჯარით და ა.შ. ანუ თავისუფლად განკარგონ თავიანთი ქონება. მაგრამ, როდესაც კერძო საკუთრება, უძრავ ქონებაზე, მოექცევა საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაშინ შესაძლოა ის გავიდეს კერძო სამართლის იურისდიქციიდან. მაგ., შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს მინის ნაკვეთი, თუ ის სახელმწიფო ინტერესებისათვის საჭიროა და სხვა.

უძრავი ქონების სოციალური როლი მოიცავს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და ადამიანებს სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. რაც სჭირდება ადამიანს გადარჩენისა და ღირსეული ცხოვრებისათვის, იგი ღებულობს მას მინისაგან. უძრავი ქონების ფლობა საზოგადოებრივ აზროვნებაში პრესტიჟულია და აუცილებელია საშუალო ცივილიზებული სოციალური ფენის ფორმებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკაში უძრავი ქონების ქვეშ იგულისხმება მინის ნაკვეთი და ყველაფერი ის, რაც განთავსებულია მასზე, ყველაფერი ის, რაც მინის ქვეშაა და უსასრულოა, მუდმივი ობიექტების ჩათვლით, რომელიც დამაგრებულია მასზე ბუნების მიერ (ხეები, წყალი და სხვა) ან ადამიანის მიერ, ასევე ამ ობიექტზე უფლება.

უძრავი ქონების ძირითადი ფუნდამენტალური თავისებურებებია – უძრაობა და მატერიალურობა ანუ მოხმარებადობა, რაზედაც ვლინდება ყველა დანარჩენი ნიშნები. განასხვავებენ უძრავ და მოძრავ ქონებას. საზღვარგარეთ ასეთს წარმოადგენს ფიქსირებული და „ჩეტლური“. ფიქსირული – ესაა მოძრავი საგნები, რომლებიც დამყარებულია მინაზე, რომლებიც განთავსებულია შენობებსა და ნაგებობებზე, ისინი გახდენენ უძრავი ქონების განუყოფელი ნაწილები (მაგ, გათბობის და წყლის გაყვანილობის სისტემები, ელექტროგაყვანილობა, ლიფტი და სხვ.). „ჩეტლი“ – ესაა უფლებებისა და ინტერესების ნაკრები. ესაა იჯარის უფლება, სამეურნეო საქმიანობის, პრივატიზებული საწარმოს მართვაში მონაწილეობის სპეციალური უფლება და სხვა.

უძრავი ქონებასა და მოძრავ ქონებას შორის განსხვავების დანახვა პრაქტიკაში რთულია, რადგან უძრავი ქონების ზოგიერთი სახეობა შეიძლება გახდეს მოძრავი. მაგალითად, ნათესი მინაზე – არის უძრავი, მაგრამ იქიდან აღებული მოსავალი მოძრავია.

უძრავი ქონებისა და მოძრავი ქონების განცალკევება სხვადასხვა ქვეყანაში ხდება სხვადასხვანაირად. ასე მაგალითად, საფრანგეთში უძრავ ქონებად ითვლება მიწის ნაკვეთზე დამყარებული ყველა საგანი – ცხოველები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები და სხვა, ხოლო აშშ-ში მიწა, ნიაღვრის და რაც მთავარია მიწის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე.

უძრავ ქონებაზე ან კერძო საკუთრებაზე „მოსაზღვრე“ საგნების მისაკუთრებისას უნდა გავითვალისწინოთ სამი ფაქტორი: ა) უძრავი ქონების ობიექტთან კავშირის ხასიათი: პირადი საგნები შეიძლება ადვილად, დანაკარგის გარეშე გადავაადგილოთ; ბ) მხარეების განძრახვა, რომელიც საგნების კავშირის ტიპს განსაზღვრავს უძრავ ქონებასთან; გ) საგნის ღირებულება – დიდი ხნის ხმარების შემდეგ უძრავი ქონება კარგავს ღირებულებას, განიცდის ცვეთას.

უძრავი ქონების ძირითადი საბაზისო ობიექტია მიწა, რომელსაც აქვს მრავალფუნქციური დანიშნულება. ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბუნებრივი ობიექტი მიწა. მთელი პლანეტა მიწაა, რომელიც ასრულებს უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ ფუნქციას. ამავდროულად მიწა ესაა ნიადაგი, დედამიწის ზედა ფენა – მეურნეობრიობის ობიექტი და, მასადაამე, გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს. მიწის სოციალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ იგივე ადამიანების საცხოვრებელი ადგილია და ქმნის ადამიანების ცხოვრების პირობებს. და, ბოლოს მიწა, როგორც სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრავს მის პოლიტიკურ ფუნქციას. ამიტომ მიწის ნაკვეთზე გარიგებები რეგულირდება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ მიწის კანონებით, ასევე, სამოქალაქო სამართლით, ეკოლოგიური და სხვა სამეცნიერო კანონმდებლობით.

მიწა, როგორც ამოუწურავი რესურსი ხასიათდება მრავალფუნქციურობით, აქვს განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი. მიწით სარგებლობა, განასაკუთრებით ყიდვა-გაყიდვა არის სპეციფიკური და რთული საქმე.

მიწის ბაზარი, როგორც მიწების მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური მეთოდები კანონიერი გადანაწილების საშუალება, რეგულირდება უამრავი შეზღუდვებითა და ნორმებით. ექცევა სამართლებრივი ქმედებების ქვეშ.

უძრავი ქონება ექცევა ეკონომიკური პროცესების რთული გადახლართვაში, კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებში, ადმინისტრაციული ნორმებისა და წესებში.

საქართველოში მიწის დეფიციტია – მცირემიწიანი ქვეყანაა, ამიტომ იგი თოთო ბავშვით უნდა იქნეს მოვლილი. მიწის გონივრულ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველომ უნდა მიიღოს მიწათსარგებლობის თანამედროვე კანონი, რომელშიც გარკვეულწილად ეროვნული ტრადიციებიც იქნება გათვალისწინებული. განსაკუთრებულ რეგულაციებს მოითხოვს, მიწის უცხოელებზე გაყიდვის წესი და ფორმა. როგორც ეს აქვს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანას: ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიას, კანადას, ავსტრალიას, თურქეთს, რუსეთს, ავსტრიას და მრავალ სხვა ქვეყანას.

ალექსანდრე სიჭინავა

უძრავი ქონების როლი საბაზრო ეკონომიკის სრულყოფაში რეზიუმე

უძრავი ქონება წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამიტომ აუცილებელია განვიხილოთ უძრავი ქონების ბაზრის სამართლებრივი და ფინანსური პარამეტრები.

უძრავ ქონებას მიეკუთვნება, პირველ რიგში, მიწა, მიწის ნიალი, ტბები, შენობა ნაგებობები, ტყეები და ყველაფერი ის, რაც მყარადაა მიწაზე დამაგრებული, ანუ ის ობიექტები, რომელთა გადატანა დანაკარგის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია განვასხვავოთ „უძრავი ქონების“ ეკონომიკური და იურიდიული არსი. ტერმინი „rael estate“ – უძრავი ქონება – გამოხატავს მიწას და მასზე დამაგრებულ ობიექტებს, „real property“- უძრავი საკუთრება მიწაზე დამაგრებული ნაგებობების გარდა მოიცავს ყველა იურიდიულ უფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ უძრავი ქონება ესაა მიწა, მიწის ნიალი, შენობა-ნაგებობები და ყველა ობიექტი, რომელიც მიწასთან მყარადაა დამაგრებული. ამასთან, უძრავი „საკუთრება“ კი – ესაა ინტერესები, სარგებლიანობა და უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონების ობიექტის ფლობასთან ანუ უფლებებთან.

ყურადღებას იმსახურებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გაყიდვის პრობლემები. საქართველო არის მცირემიწიანი ქვეყანა, 100 წელიწადში დაკარგა ისტორიული ტერიტორიების 50 %. ამას მიმატებული მცოცავი ოკუპაცია რუსეთის მხრიდან. ჩვენ არა ვართ უცხოელი ინვესტორების წინააღმდეგი, მაგრამ აუცილებელი არაა მათ მიწა გადავცეთ საკუთრებაში, არამედ მივცეთ 50-90 წლიანი იჯარით. იჯარის ხელშეკრულების აღდგენა ხელს გაუმართავს ისედაც ძალზე გაღარიბებულ გლეხობას და ყველა მსურველს, რომელიც დაინტერესებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების დადებით ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. მიგვაჩნია, რომ მომავალში აუცილებელია სოფლად მიწების კონსოლიდაცია, რათა გაერთიანებული ძალებით მოხდეს მიწის დამუშავება.

Alexandre Sichinava

The Role of Real Estate for Perfection of Market Economy

Summary

Real Estate is the most significant part of market economy. Therefore, it is necessary to analyse legal and financial parameters for real estate market.

First of all, real estate consists of land, plot of land, lakes, buildings, forests and all that is attached to the ground, these are the objects that can't be moved without loses. It is compulsory to distinguish between economic and legal essence of 'real estate'. The term 'real estate' mean not only land and the objects attached to it, but all legal rights. Therefore, we can conclude that real estate is the land, plot of land building and all objects that is attached to it. However, real 'estate' includes interest, benefits and rights that is connected with the possession of object or right.

The problems of selling the land to the foreign citizen attracts the attention. Georgia is a small land country. In last 100 years we have lost 50 % of historic territories, plus creeping occupation from Russia. We do not have something against foreign investors, but it does not mean that we have to grant them the ownership rights for our land. They can hold our lands on lease for 50-90 years. Leasing contract will support our poor peasants and anybody who will be interested in signing family contract in different branches of economics.

We suppose that in future it is necessary to consolidate lands in the villages in order to till the grounds with joint efforts.

ვიზუალური მერჩენდაინგი – ახალი მარკეტინგული ტექნოლოგია სავაჭრო მომსახურების სფეროში

ყოველი მენარმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქონლის და მომსახურების რეალიზაციის მაქსიმალური გაზრდა. მომხმარებლის ფსიქოლოგიის დეტალური ცოდნა და გათვალისწინება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს გაყიდვის მოცულობა და ამალღდეს მომსახურე ორგანიზაციის რეპუტაცია.

ამ მიზნით საზღვარგარეთულ ბაზრებზე დიდი წარმატებით გამოიყენება მარკეტინგული ტექნოლოგია – მერჩენდაინგი, რომელიც ხელს უწყობს საქონლის წარმატებულ რეალიზაციას საცალო სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მერჩენდაინგი მაღაზიაში განსაზღვრული ატმოსფეროს შექმნით ასტიმულირებს მომხმარებლის ინტერესს და იზიდავს მყიდველებს.

რა არის მერჩენდაინგი? მერჩენდაინგი (**merchandising** – ვაჭრობის ხელოვნება) ხერხების და მეთოდების ერთობლიობაა, ორიენტირებული გაყიდვების გაზრდაზე პროდუქციის სწორი განთავსებით სავაჭრო წერტილზე (საბითუმო, საცალო, ინტერნეტ). ვებსტერის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მერჩენდაინგი არის სავაჭრო ობიექტზე საქონლის გაყიდვების ორგანიზება და გაყიდვების მართვა. ასევე არსებობს მერჩენდაინგის თანამედროვე განმარტება. ალან ველჰოფი და ჟან-ემილ მასონი მორის ჰაიტთან ერთად თანხმდებიან მერჩენდაინგის შემდეგ განსაზღვრაზე: მერჩენდაინგი არის პროდუქციის მოძრაობა მომხმარებლისკენ. მერჩენდაინგის ქრისტომატიული განმარტება ეკუთვნის მეცნიერებათა დოქტორ კურტ კეპნერს: “საჭირო პროდუქცია საჭირო ადგილას საჭირო დროს საჭირო ფასად საჭირო რაოდენობით”.

როდის გაჩნდა მერჩენდაინგი? სავარაუდოდ მერჩენდაინგის ჩამოყალიბების დროდ ითვლება საცალო გაყიდვების წარმოშობა, როცა პირველი მოვაჭრეები ცდილობდნენ მომგებიანი განლაგებით წარმოეჩინათ პროდუქცია, ეს იყო დრო როცა მოვაჭრეები აპრიალებდნენ პროდუქციას მტვერისგან და ალაგებდნენ პირამიდის ფორმით, რომ უფრო შესამჩნევი ყოფილიყო. პირამიდის ფორმით პროდუქციის წარმოდგენა დღემდეა შენარჩუნებული მერჩენდაინგში და ითვლება ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად.

მერჩენდაინგი ხელს უწყობს პროდუქციის ეფექტურ რეალიზაციას საცალო სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მერჩენდაინგი მაღაზიაში განსაზღვრული ატმოსფეროს შექმნით ასტიმულირებს მყიდველთა ინტერესს და იზიდავს მათ. ის წარმოადგენს იმ მარკეტინგულ ტექნოლოგიას, რომელიც ზემოქმედებს სავაჭრო სანარმოს დონეზე და საბოლოო მიზანს წარმოადგენს გაყიდვების მაქსიმიზაცია.

არსებობს მერჩენდაინგის ხუთი ფუნქცია:

- მარაგები – ეს არის პროდუქციის ოპტიმალური რაოდენობა სავაჭრო ობიექტის დარბაზში და სანყოფინი;
- განლაგება – პროდუქციის განლაგება სავაჭრო დარბაზში;

წარმოჩენა – პროდუქციის ისეთი სახინ განთავსება, რომ მიმზიველი იყოს მომხმარებლისთვის;

ინფორმაციის შეგროვება – კონკრეტული სავაჭრო ობიექტების და კონკურენტების აქტივობებზე ინფორმაციის შეგროვება;

ურთიერთობის წარმოება – მოლაპარაკებების წარმოება მოცემული სავაჭრო ობიექტების მენეჯმენტთან;

მერჩენდაიზინგის პრინციპების გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია შემდეგ სიტუაციებში:

- მალაზიის ატმოსფეროს შექმნა
- სავაჭრო ფართების დაპროექტება
- სავაჭრო განყოფილებების განთავსება
- პროდუქციის განლაგება
- ვიტრინების გაფორმება
- საგამოფენო სტენდების გაფორმება
- ექსპოზიციების გაფორმება
- მიმთითებლების განთავსება და გაფორმება

მერჩენდაიზინგის მეთოდების გამოყენება განაპირობა მალაზიის გარეთ ვაჭრობის განვითარებამ (ონ-ლინე მალაზიებმა). ეს ინოვაციები ასტიმულირებს მენარმეებს მოიფიქრონ ვაჭრობის ახალი მეთოდები მყიდველთა შესანარჩუნებლად. მერჩენდაიზინგი წარმოადგენს შანსს მყიდველის დასარწმუნებლად. ცნობილია, რომ მყიდველის 60-70% ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას უშუალოდ მალაზიაში იღებს, ამიტომ საქონლის სწორად განლაგება და მერჩენდაიზინგის სხვა მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს სავაჭრო ბრუნვის 30%-ით გაზრდას.

როგორც მეცნიერება მერჩენდაიზინგი აერთიანებს ცოდნას სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ვაჭრობის, რეკლამის, ლოგისტიკის და დიზაინის სფეროში.

მერჩენდაიზინგის მიზნებს წარმოადგენს

- მალაზიის ინდივიდუალური იმიჯის შექმნა
- ბაზარზე საქონლის გონივრული პრეზენტაცია
- ახალი მყიდველების მოზიდვა და მალაზიისადმი ინტერესების ფორმირება
- საქონლისადმი მყიდველთა ყურადღების კონცენტრაცია
- სამომხმარებლო ქცევის სტიმულირება
- მალაზიაში მყიდველთა ყოფნის ხანგრძლივობის და ყიდვის რაოდენობის გაზრდა

მერჩენდაიზინგის ამოცანები პირობითად შეიძლება 2 ჯგუფად დაიყოს. ამოცანების ერთ ჯგუფში შედის სასაქონლო მარაგების ეფექტური კონტროლი, თაროებზე საქონლის დროულად შევსება, გასაყიდად განკუთვნილი საქონლის გაფორმება, მყიდველთა ნაკადის მოძრაობის გაკონტროლება, სასაქონლო ბრენდების განლაგება, საქონლის წინ წაწევის მეთოდების შემუშავება.

ამოცანების მეორე ჯგუფი მიმართულია მერჩენდაიზინგის კონცეფციის შექმნისაკენ და დანერგვისაკენ; იმ განყოფილებების შექმნისაკენ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მერჩენდაიზინგის ღონისძიებათა შესრულებისაკენ.

მერჩენდაიზინგის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ვიზუალური მერჩენდაიზინგი; სავაჭრო დარბაზის გაფორმებისას და ავეჯის, მონყობილობების განლაგებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მყიდველთა ქცევის თავისებურებანი.

ვიზუალური მერჩენდაიზინგი – ესაა ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს სავაჭრო სივრცის ორგანიზებას და საქონლის ისეთნაირად წარდგენას, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს გაყიდვის მოცულობა.

ვიზუალური მერჩენდაიზინგი – ეს არაა მხოლოდ მიმზიდველი რეკლამა, ვიტრინები. ის მოიცავს უფრო მეტს: მაღაზიის დაგეგმარებას, საქონლის გამოლაგებას, მუსიკას სავაჭრო დარბაზში, სარეკლამო ელემენტებს, ფერთა გამას სავაჭრო დარბაზში; ყოველივე ეს ქმნის იმ უნიკალურ ატმოსფეროს, რომელიც ხელ უწყობს საქონლის რეალიზაციას.

ვიზუალური მერჩენდაიზინგის პრაქტიკა მოითხოვს შემოქმედებას, შთაგონებას, ლოგიკას და ორგანიზებას. ესაა მიქსი მეცნიერებისა და ხელოვნებისა.

არსებობს ვიზუალური მერჩენდაიზინგის სხვადასხვა ელემენტი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მყიდველის გრძნობის ორგანოებზე. ესენია: ვიზუალური აღქმის არხი, სმენითი აღქმის არხი, ყნოსვითი აღქმის არხი.

ცნობილია, რომ ადამიანის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო პასუხისმგებელია ვიზუალური სენსორული არხით მიღებული ინფორმაციის გადამუშავებაზე. ამიტომ მაღაზიის დიზაინის ფერთა გამის შერჩევისას საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ფერის ზემოქმედება ადამიანზე. ცნობილია ისიც, რომ ფერი ზემოქმედებს ფსიქიკაზე გაუცნობიერებელ დონეზე. მას შეუძლია ადამიანის გალიზიანება ან დამშვიდება, სავაჭრო დარბაზის ვიზუალურად გაზრდა ან შემცირება.

ვიზუალური აღქმის არხს ასევე მიეკუთვნება განათება, რომელიც ემსახურება, ხელს უწყობს არა მარტო საქონლის უკეთ დანახვას, არამედ ის ქმნის განსაზღვრულ ხასიათს და ემოციას, მოქმედებს შრომისუნარიანობაზე, ადამიანის განწყობილებაზე და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. გონივრულად გამოყენებული განათება ხელს უწყობს მაღაზიაში განუმეორებელი სტილის შექმნას, მყიდველთა მოზიდვას და მანიპულირებას.

სმენითი აღქმის არხი. მაღაზიაში ატმოსფეროს შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუსიკა. ის ქმნის გარკვეულ პოზიტივსა და კომფორტს, ასტიმულირებს გაყიდვის ზრდას. ამერიკელი მეცნიერები გამოყოფენ ორ ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ მუსიკის გამოყენების ეფექტურობას. ესენია: მუსიკის ტემპი და მუსიკის ტიპი.

მუსიკის ნელი ტემპი დადებითად ზემოქმედებს გაყიდვაზე. მყიდველები უფრო დიდხანს იმყოფებიან მაღაზიაში და იძენენ საქონელს. ხმამაღალი მუსიკა მიანიშნებს დაბალ ფასზე და პრიორიტეტულია ახალგაზრდებისთვის. დაბალი, მშვიდი მუსიკა ხაზს უსვამს მაღაზიის ძვირფას და რესპექტაბელურ სტატუსს, რომლის კლიენტები მოწინააღმდეგეა ასაკის ადამიანები არიან. მაღაზიაში კომფორტის შექმნის მიზნით, მუსიკა არ უნდა იყოს მომაბზრებელი. ის უნდა ქმნიდეს შეუმჩნეველ, მაგრამ ეფექტურ ფონს ყიდვის განხორციელებისათვის.

ყნოსვითი აღქმის არხი. მისი მნიშვნელოვანი ელემენტია სურნელი. სასიამოვნო სურნელი მაღაზიაში ხელს უწყობს შეთავაზებული სერვისის დონის მაღალ შეფასებას, ინვესტ დადებით

ემოციებს. ძალზე მძაფრი სურნელი კი იწვევს მყიდველის გაღიზიანებას და მათ მიერ მაღაზიის სწრაფად დატოვებას, ამიტომ საჭიროა შერჩეულ იქნას საწარმოს სტილთან და პროდუქტთან შესაბამისი არომატი. ხშირ შემთხვევაში სურნელი ხელს უწყობს მაღაზიაში გაყიდვების ზრდას, ზრდის მყიდველის კმაყოფილებას, იწვევს დადებით ემოციებს, რომელიც დიდხანს რჩება მყიდველის მეხსიერებაში, ზემოქმედებს მაღაზიის პერსონალის შრომისნაყოფიერებაზე, აუმჯობესებს გონება-განწყობილებას და ხსნის სტრესს.

მერჩენდაიზინგი გვევლინება გაყიდვების მამოძრავებელ ძალად. იგი შედგება ურთიერთ-მოქმედი ელემენტებისგან, რომელთაც უწოდებენ მერჩენდაიზინგის კომპლექსს. ესენია საქონელი, განაწილება, კომუნიკაცია. ამ მხრივ მერჩენდაიზინგი იკვეთება მარკეტინგთან, სახელდობრ 4P-ს კონცეფციასთან, რომელიც თავის მხრივ შედგება ოთხი ელემენტისაგან: საქონელი, ფასი, წინ ნაწევა, კომუნიკაცია. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მერჩენდაიზინგი გამოხატავს მარკეტინგის მიზნებს, ამოცანებს და მის როლს მთლიანად.

თუმცა არსებობს რიგი სიტუაციები, სადაც მერჩენდაიზინგის გამოიყენება ხდება შეზღუდულად. მაგალითად საქონლის ძალზე მაღალი ღირებულება, საქონლის რეალიზაცია ძალიან დაბალ ფასად, საქონლის გარკვეული სახეობა. მერჩენდაიზინგი ნაკლებად ეფექტურია თუ არსებობს ცოცხალი კონტაქტის, სიტყვიერი კომუნიკაციის შესაძლებლობა.

საზღვარგარეთ წარმატებით აპრობირებული ეს ტექნოლოგია ჩვენს ქვეყანაშიც იწერება. დროა, ჩვენთანაც მიექცეს სათანადო ყურადღება სავაჭრო დაწესებულების გაფორმებას და მოწყობას. რაც უფრო სწრაფად იქნება გააზრებული მერჩენდაიზინგის როლი და მნიშვნელობა, მით სწრაფად შეიძლება დავენიოთ ევროპის მსხვილ კომპანიებს. ამიტომ ჩვენი რეკომენდაციაა: უპირველეს ყოვლისა შეიქმნას მერჩენდაიზინგის განყოფილებები. მეორე, შეიქმნას და დაიგეგმოს მერჩენდაიზინგის კომპლექსური პროგრამა, შემუშავდეს მერჩენდაიზინგის ინსტრუმენტები, დაიწყოს პერსონალის პროფესიული სწავლება ამ მიმართულებით. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს მომხმარებელთან კონტაქტის დამყარებას და სავაჭრო საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოტლერი ფ. არმსტრონგი გ. „მარკეტინგის საფუძვლები“. მეორე მსოფლიო გამოცემა. მოსკოვი, 2009. (რუს ენაზე)
2. Снегирева В.В., Книга мерчендайзера. - СПб.: Питер, 2007.
3. Маршалл С., Джерниган М., Эстерлинг С. - Мерчендайзинг в розничной торговле. Питер, 2004.
<http://intermedia.ge>
<http://www.b2p.ge/>
<http://.blogspot.com>
<http://www.barmashovks.ru/>

მაკა სოსანიძე, ლალი ოსაძე

**ვიზუალური მერჩენდაიზინგი – ახალი მარკეტინგული ტექნოლოგია
სავაჭრო მომსახურების სფეროში
რეზიუმე**

თითოეული მენარმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქონლის და მომსახურების რეალიზაციის მაქსიმალური გაზრდა. მომხმარებლის ფსიქოლოგიის დეტალური ცოდნა და გათვალისწინება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს გაყიდვის მოცულობა და ამალდეს მომსახურე ორგანიზაციის რეპუტაცია.

ამ მიზნით, საზღვარგარეთულ ბაზრებზე დიდი წარმატებით გამოიყენება მერჩენდაიზინგი, რომელიც ხელს უწყობს საქონლის რეალიზაციას საცალო სფეროში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მერჩენდაიზინგი მაღაზიაში განსაზღვრული ატმოსფეროს შექმნით ასტიმულირებს მომხმარებლის ინტერესს და იზიდავს მყიდველს.

მომხმარებელის კმაყოფილების დონის ასამაღლებლად ავეჯის, თაროების ხელსაყრელი განლაგება, კედლის ფერის და განათების სწორად შერჩევა, ზემოქმედება ყნოსვით, შეხებით და სმენით შეგრძნებებზე წარმოადგენს მოცემული ტექნოლოგიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

მომხმარებლის დაახლოებით 60-70% ყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უშუალოდ მაღაზიაში, ამიტომ საქონლის სწორად განლაგება და მერჩენდაიზინგის მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს სავაჭრო ბრუნვის ზრდას 30%-ით.

საზღვარგარეთ წარმატებით აპრობირებული ეს სტრატეგია ჩვენს ქვეყანაშიც ინერგება. დროა მარკეტოლოგებმა ჩვენთანაც სათანადო ყურადღება მიაქციონ სავაჭრო დაწესებულების გაფორმებას და მოწყობას. მოცემული ნაშრომის მიზანია ამ მიმართულებით კვლევა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

Maka Sosanidze, Lali Osadze

**Visual Merchandizing – a New Marketing Technology in the Field of Service
Summary**

The main goal of each producer the maximal growth of the goods and service. The detailed knowledge of the consumer's psychology gives the possibility to increase the level of selling and to grow the reputation of the serving organization.

Because of this aim the merchandizing is widely used in foreign markets. It helps the realization of goods. In other words, merchandizing creates the atmosphere, which attracts the consumer's attention.

The convenient placement of the furniture and shelves, the correct choice of the colour of the walls and the light, the influence on the senses increase the consumer's satisfaction level. All these represent the main task of the given technology.

About 60-70% of the consumers make the decision of buying something right in the shop; that's why the correct placement of the goods and the using of the merchandizing methods the increase of the trading circulation by 30%.

The strategy, which is widely tried abroad is being developed in our country as well. It's high time for our marketologists to pay proper attention to decorating of the trading offices. The goal of the presented work is to investigate and work out certain recommendations in this context.

Gharles M. Stromme /USA/

LIMITS OF ECONOMIC SANCTIONS

Sanctions are becoming one of the European Union's favourite foreign-policy tools. For a political entity that (with a few exceptions) lacks the capacity to project military power, is devoid of a consistent and binding foreign policy, and is generally considered a "soft power", the EU has, over the last two decades, engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. As of June 2012, it had in force sanctions directed at 26 states including North Korea and the United States, one no longer existing country (Yugoslavia), and a host of different terrorist organisations, from al-Qaeda to the relatively lesser known Movement for Islamic Reform in Arabia, as well as some 20 other entities and dozens of individuals such as Milica Gajić-Milošević, the daughter-in-law of the deceased former Serbian president Slobodan Milošević.¹

The use of sanctions by the EU has increased sharply in the last few years from 22 decisions in 2010 to 69 one year later.² Though most focused on a small group of outlaw countries such as Iran, Syria and, until recently, Libya and Burma, they target an increasing number of countries, from 16 in 2002 to 28 nine years on. Stefan Lehne is of the reasonable opinion that this increase is due to a growing self-perception by the EU as an active agent on the international scene, and to its tendency to add new sanctions if old ones seem not to work.

Over the last two decades, the EU has engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. In particular, it sanctions countries in response to particularly egregious human rights violations or democratic backsliding or to deter countries from actions that have negative security consequences for the EU. However, although such sanctions seem to be applied with increasing frequency, it is extremely hard to tell how effective they are. Inadequate monitoring means we do not know how far member states implement EU sanctions. Nor do we know whether sanctions contribute to reaching the desired objectives. In short, it is like shooting in the dark.

Above all, there is an urgent need for better monitoring of the implementation and impact of EU sanctions. However, short of war, sanctions are the only coercive foreign-policy instrument the EU has at its disposal. This means they will continue being used, regardless of criticism of their implementation and questions about their effectiveness. The EU should therefore apply sanctions as smartly as possible. In particular, it should set limited, achievable goals when imposing sanctions; be realistic about its own capacity to impose sanctions and about what they can achieve; loosen or suspend sanctions as a reward for compliance; and communicate effectively with the public and, in particular, the opposition in the target country.

But other factors, such as disillusionment with problem countries' capacity to mend their ways through internal reform probably also play a role.

This sharp increase in the use of sanctions decisions is rather remarkable, for sanctions are not a "soft" policy act. Rather, they are coercive measures, designed to cause damage to the targeted party, in order to force it to undertake, or prevent it from undertaking, certain behaviour.³ In particular, the EU sanctions countries for directly violating political values the EU considers central to its identity or to deter them from acts it considers a security threat. However, although such sanctions seem to be applied with increasing frequency, it is extremely hard to tell how effective they are.⁴ The term "sanctions" refers to a range of

different policy instruments, which makes their systematic study extremely difficult. While effectiveness studies have become quite common in academia (as a sub-section of peace studies), little research has been done within the EU institutions.

The Stockholm Process of 2001, which focused on the effectiveness of targeted sanctions, led to the publication in 2003 of a report that recommended “measures to enhance the planning, monitoring, reporting and coordination among sanctions committees and monitoring bodies” and “establishing a sanctions coordinator, or a special adviser, to further improve and support the coordination among sanctions committees, expert panels and monitoring mechanisms”. However, the EU essentially ignored these recommendations.⁵ Monitoring of sanctions is usually left to the general law-enforcement agencies of the member states. Thus we do not really know to what degree they are implemented, or whether they in fact contribute to reaching the desired objectives. In short, it is like shooting in the dark: we know the target is out there somewhere, and with enough firepower we may be relatively sure we have inflicted some damage, but it would help a great deal if we knew whether our bullets were flying in the right direction – or, indeed, whether we were firing live ammunition, or just blanks.

This brief looks in more detail at two kinds of EU sanctions: those connected with political demands and those connected with security threats.⁶ First, the EU sanctions countries in response to particularly egregious human rights violations (for example, the sanctions following the Andijan massacre in Uzbekistan) or to punish democratic backsliding and encourage a movement towards more democratic governance – what might be called “democracy sanctions”. Second, the EU imposes sanctions in order to deter countries from actions that have, or may have, seriously negative security consequences for the EU and/or the international community – what might be called “security sanctions”. In particular, this brief will focus on democracy sanctions against Burma and Belarus and security sanctions against Libya. On the basis of these three cases, the brief draws conclusions about how the EU can apply sanctions smartly.

The EU first imposed sanctions on Belarus in 1996 – two years after President Alyaksandr Lukashenka took power and started transforming the country into “Europe’s last dictatorship”. Sanctions were suspended in 1999, after a confrontation over diplomatic residences was seemingly solved, but then re-imposed after Minsk refused to grant visas to EU monitors. New sanctions in the form of a visa blacklist and asset freezes followed the intensification of political repression in subsequent years. Yet in 2008 most targeted sanctions were temporarily suspended again, following the Russo-Georgian war and signals from Minsk that it willing to start cooperating with the West. Expectations were dashed, however, when the regime brutally cracked down on marchers protesting electoral fraud in 2010. Since then, sanctions have gradually been expanded. Belarus is exceptional in being the only Eastern Partnership (EaP) country subject to EU sanctions. In fact, Belarus was invited to join the EaP while being under sanctions.

The sanctions on Belarus are specific and targeted, with 243 individuals from the innermost circles of the regime barred from entering the EU and having their assets frozen, while the 32 companies linked to three tycoons closely connected with the president are under trade sanctions. Furthermore, sanctions were temporarily suspended in 1998 and again in 2008 as a positive reaction to real or anticipated political changes inside Belarus – and re-imposed as hopes turned to disappointment. These are, therefore, very fine-tuned policy instruments – and yet, on the face of it, they have failed to bring about the intended political results – that is, a liberalisation of the regime and an end to repression.

However, the impact of sanctions against Belarus is difficult to assess. The relative political thaw of 2008–2010, exemplified by the release of political prisoners, has been quoted as proof of the effectiveness of sanctions. Yet one can plausibly argue that sanctions were, at best, only one among many factors influencing Belarus at that time.

In extreme cases, sanctions can create widespread economic havoc and even mass deaths (e.g. as many as 5 million in Iraq during the 1990s, according to UNICEF). At the same time, sanctions affect not only the target party, but also those who impose them (e.g. Latvia assesses that EU sanctions on Belarus cost it €500m a year, or 2–3 percent of GNP). Even if the assessments quoted might have been inflated for political reasons, there is no doubt that sanctions are a very powerful policy instrument. Their critics routinely call them “war by other means” or the “nuclear option”, to underscore their impact.

In the classical Peterson Institute study of 115 sanctions imposed between 1914 and 2006, the rate of even partial success was 34 percent. See the Peterson Institute for International Economics, Summary of economic sanctions episodes, 1914–2006, available at <http://www.iie.com/research/topics/sanctions/sanctions-timeline.cfm>.

For a systematic overview of EU sanctions policy, see Clara Portela, *European Union Sanctions and Foreign Policy: When and Why do they Work?* (London: Routledge, 2010).

Transnistria, a separatist territory of Moldova, is under EU sanctions for its separatism, and Armenia and Azerbaijan are under an EU-respected OSCE arms embargo due to the Karabakh conflict of 1988–94.

Polish Ministry of Foreign Affairs, “Eastern Partnership”, available at http://www.msz.gov.pl/en/foreign_policy/europe/eastern_partnership/partnership. 9 See Jana Kobzova, “Much Ado about Minsk, Too Little about Baku”, *New Eastern Europe*, 7 May 2012, available at <http://www.neweasterneurope.eu/node/308>.

relations with Moscow, due to issues unrelated to sanctions, made the regime more vulnerable, while the deteriorating economic situation forced it to apply for an IMF loan – which it would not have obtained had political prisoners remained in jail. This illustrates the difficulty of establishing a causal relationship between sanctions and policy change, or the lack of it, in the target country.

The official position in Minsk is that sanctions have no impact on Belarusian policy and should be dropped. Lukashenka has called them a “road to nowhere”.¹⁰ Some civil-society activists support the sanctions. For example, in March the families of political prisoners published an appeal for sanctions in order to “bankrupt” the regime.¹¹ However, others suspect that sanctions may have made the situation worse, because Lukashenka sees them as a challenge and needs to show that he has not caved in.¹² In particular, they see the execution of the two alleged perpetrators of the metro bombing in Minsk in 2010 as a consequence of the new sanctions. Lukashenka has confirmed that he might increase repression in response to sanctions.¹³ He also threatened to retaliate against the West as well and, in particular, to ease controls on people leaving Belarus and thus facilitating an influx to the West of illegal immigrants.¹⁴ The case of Belarus illustrates the importance of a clear and unanimous opposition constituency inside the country that supports sanctions policy and actively contributes to it.

There must also be an acceptable political perspective for forces supporting the regime if it complies with demands. This means not only that sanctions need to be calibrated, rather than being of the all-or-nothing variety, but also their goal, stated or implied, cannot just be regime change. Some opposition

activists argue that sanctions should be intensified in order to “break” the regime. But not only would it be very difficult to “break” a regime that has commercial alternatives to trading with the EU, but also the cost to the population would necessarily have to be huge – Saddam Hussein succeeded in clinging to power even under such a sanctions regime. The formulation of a sanctions goal policy that would not be unacceptable to the regime or alienate the opposition is clearly the most important – and the most tricky – aspect of this method of bringing about political change. This would necessarily imply trade-offs: lifting a predetermined number of restrictions (e.g. on the visa blacklist) in return for the regime meeting a precise target (e.g. the release of all political prisoners, with the proviso that the restrictions will be automatically reinstated in case of backsliding).

The case of Belarus also shows that sanctions can be undermined if the regime has a viable alternative to the ways and means that sanctions are supposed to deny it. Russia and Ukraine, which have repeatedly condemned the EU sanctions, give the regime in Minsk substantial economic breathing space. In particular, a trade embargo would not work, as Belarus has access to alternative trade routes via Russia – and Russia has a political interest in bringing

Belarus closer. But this also means that the sanctions themselves should not contain loopholes that defeat their purpose. If implementation is discretionary, effectiveness will be limited. For example, Slovenia tried to block the new round of EU sanctions against Belarus in the spring of 2012, as Slovenian company Riko Group was heavily involved in a €100 million hotel venture with Belarus tycoon Yuri Chizh, one of the three businessmen close to Lukashenka who were to be blacklisted.

While Slovenian resistance was finally overcome, Latvia made no secret of its opposition. “The effectiveness of these proposed sanctions is what worries Latvia the most. We have on many occasions asked our EU partners what they believe these sanctions will lead to and what we will achieve,” said economy minister Daniels Pavluts. “It would be very sad if these sanctions harm the people of Belarus, businessmen not associated with the ruling regime, as well as EU members themselves, including Latvia,” he added.¹⁶ Latvia does not have a system for monitoring compliance with EU sanctions, nor does it have the money to set one up; it does, however, as noted, expect to incur heavy losses because of them. It seems reasonable to predict that its compliance might therefore be less than complete.

Other member states have also played fast and loose with other aspects of sanctions policy. In January 2012, the Belarusian interior minister, Anatoly Kulyashou, was allowed to travel to France for a conference at Interpol in Lyon, even though he is on an EU visa ban list because of his role in the crushing of the Minsk demonstrations in late 2011. EU law does allow member states to grant visas for the goal of “participating in meetings of international organizations”, but this does not mean that such exemptions should be automatic. Neither France nor Interpol, however, have seen fit to explain why it was in the interest of the common good to have the Belarusian interior minister hone his professional skills.

Kamil Kłysiński and Rafał Sadowski, “Belarus’s diplomatic war with the European Union”, Eastweek, Center for Eastern Studies, 9 February 2012, available at <http://www.osw.waw.pl/en/publikacje/eastweek/2012-02-29/belarus-diplomatic-war-european-union>.

Nina Kolyako, “Daniels Pavluts doubts whether sanctions against Belarus will achieve their purpose”, the Baltic Course, 3 March 2012, available at http://www.baltic-course.com/eng/analytics/?doc=54005&ins_print.

“Lukashenko believes EU understands that sanctions have no prospects”, Kyiv Post, 26 April 2012, available at <http://www.kyivpost.com/content/russia-and-former-soviet-union/lukashenko-believes-eu-understands-that-sanctions--126670.html>.

The petition was published on the “Belaruski partisan” website. It stated: “We call ... for the support of all sanctions which will lead to the rapid bankruptcy of this system”.

During a GMF seminar in Warsaw, two opposition voices argued that the strength of the sanctions is in their threat, not their implementation. Aleh Hulak (Belarusian Helsinki Committee) and Aleh Bahucki (Belarus Social-Democratic Community) both stated that sanctions may [make the regime] refrain from repression if they were used as a threat, and not as reality. If sanctions were to become a reality, the Belarusian authorities may increase repressions regarding “Europe’s agents” inside the country (i.e. against civil society).

In short, while sanctions imposed on Belarus clearly are hurting some elements of the regime, give comfort to some of its opponents, and are proof that the EU is “doing something” in reaction to the egregious human-rights violations of the Lukashenka regime, there is little evidence that they produce the desired effects – that is, a revision of the regime’s policies, ultimately leading to regime change. One can be more optimistic about their usefulness in obtaining limited policy goals such as the release of political prisoners, assuming other circumstances are favourable. However, given the heavy political investment the EU has made in its sanctions policy, any major lifting of sanctions without the desired goals being achieved would be seen as a major defeat.

Be realistic The EU should also be realistic about its own capacity to impose sanctions and about what they can achieve. It should acknowledge that some member states will suffer (in real or percentage terms) more than others from the imposition of sanctions and will therefore attempt to evade them or allow their companies to do so. It is better to introduce a diversified sanctions-imposition regime, with timeouts for particularly affected states, than to see them internally undermined from the very beginning.

The EU should also recognise that no regime will commit suicide in order to get sanctions lifted. There are certain behaviours, like massive political repression of credible political threats to a regime’s survival, which, while morally and politically reprehensible, are simply not very amenable to modification through economic sanctions. In such cases, political sanctions, even if often perceived as desultory, will have to suffice. (In such a case, however, the EU should clearly show that it is reluctant to introduce economic sanctions because they will not work rather than because it is protecting its own economic interests.) Loosen or suspend sanctions as a reward for compliance Even where it is possible to modify a regime’s behaviour through sanctions, the threat of introducing more sanctions seems to be markedly less effective than the promise of reducing or suspending existing ones. Thus, although it may be politically easier for the EU to start small, an incremental increase in sanctions is unlikely to be effective. It is better to start with a rather heavy package of sanctions, and loosen or suspend them if the regime complies in tangible ways with the EU’s demands. The EU should therefore be clear about what it expects from the regime. Sanctions should come with clear descriptions of conditions for their lifting, which should be publicly described to the regime.

Communicate Just as importantly, the EU should communicate with the public and, in particular, the opposition in the target country. In particular, it should inform the public of the reasons and nature of sanctions and the conditions attached. It is of crucial importance to coordinate sanctions policy with the

country's opposition (if a credible one exists), both to be able to fine-tune and target, and to empower the opposition with the capacity of having sanctions suspended, if the conditions are met.

Sanctions, and the threat of them, are the basic staple of diplomacy: if you will not do this, then we will not do that. Recent cases of EU sanctions suggest that, the more limited their scope, and the more fine-tuned their implementation, the bigger the chances of their success. But even such custom-made sanctions need their implementation monitored and their effects assessed. Lacking such data, both on the member state and EU level, it is all but impossible to assess the effectiveness of European sanctions policy. This is neither an original nor a new conclusion; the fact that no such systematic mechanism exists seems indicative of a wilful blindness on the part of the European institutions.

The European Council on Foreign Relations (ECFR) is the first pan-European think-tank. Launched in October 2007, its objective is to conduct research and promote informed debate across Europe on the development of coherent, effective and values-based European foreign policy.

ECFR has developed a strategy with three distinctive elements that define its activities:

- A pan-European Council. ECFR has brought together a distinguished Council of over one hundred Members – politicians, decision makers, thinkers and business people from the EU's member states and candidate countries – which meets once a year as a full body. Through geographical and thematic task forces, members provide ECFR staff with advice and feedback on policy ideas and help with ECFR's activities within their own countries. The Council is chaired by Martti Ahtisaari, Joschka Fischer and Mabel van Oranje.
- A physical presence in the main EU member states.
ECFR, uniquely among European think-tanks, has offices in Berlin, London, Madrid, Paris, Rome, Sofia and Warsaw. In the future ECFR plans to open an office in Brussels. Our offices are platforms for research, debate, advocacy and communications.
- A distinctive research and policy development process. ECFR has brought together a team of distinguished researchers and practitioners from all over Europe to advance its objectives through innovative projects with a pan-European focus. ECFR's activities include primary research, publication of policy reports, private meetings and public debates, 'friends of ECFR' gatherings in EU capitals and outreach to strategic media outlets.

ECFR is backed by the Soros Foundations Network, the Spanish foundation FRIDE (La Fundación para las Relaciones Internacionales y el Diálogo Exterior), the Bulgarian Communitas Foundation, the Italian UniCredit group, the Stiftung Mercator and Steven Heinz. ECFR works in partnership with other organisations but does not make grants to individuals or institutions.

Charles M. Stromme /USA

EU SANCTIONS POLICIES

Summary

Sanctions are becoming one of the European Union's favourite foreign-policy tools. For a political entity that (with a few exceptions) lacks the capacity to project military power, is devoid of a consistent and binding foreign policy, and is generally considered a "soft power", the EU has, over the last two decades, engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. As of June 2012, it had in force sanctions directed at 26 states including North Korea and the United States, one no longer existing country (Yugoslavia), and a host of different terrorist organisations, from al-Qaeda to the relatively lesser known Movement for Islamic Reform in Arabia, as well as some 20 other entities and dozens of individuals such as Milica Gajić-Milošević, the daughter-in-law of the deceased former Serbian president Slobodan Milošević¹. The use of sanctions by the EU has increased sharply in the last few years from 22 decisions in 2010 to 69 one year later. 2. Though most focused on a small group of outlaw countries such as Iran, Syria and, until recently, Libya and Burma, they target an increasing number of countries. It is of the reasonable opinion that this increase is due to a growing self-perception by the EU as an active agent on the international scene, and to its tendency to add new sanctions if old ones seem not to work.

ჩარლზ მორგან სტრომე /აშშ/

ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა რეზიუმე

სანქციები ევროპის კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის სასურველი იარაღი ხდება. პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელსაც (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) სამხედრო ძალის დემონსტრირების მომხრე არ არის, თანმიმდევრული და მტკიცე საერთაშორისო პოლიტიკა გააჩნია და მთლიანობაში, ერთი შეხედვით, თითქოსდა „რბილი ძალის“ სახის მქონედ განიხილება.

ამავე დროს, 2014 წლის გაზაფხულზე ევროკავშირი სანქციების გამოყენების აქტიური პოლიტიკის განხორციელებაში ებმება. წარსულში, 2012 წლის ივნისისათვის მას მხოლოდ 26 სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰქონდა სანქციები მიღებული, მათ შორის ჩრდილოეთ კორეა და ან უკვე არარსებული ქვეყანა (იუგოსლავია). აგრეთვე მთელი წყება (20-მდე) ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ, „ალ-კაედა“-დან დაწყებული შედარებით ნაკლებად ცნობილი „არაბეთში ისლამური რეფორმების მოძრაობი“-თ დამთავრებული. ეკონომიკური და ფინანსური სანქციები მიღებულია კონკრეტულ პირთა მიმართაც, მაგ. როგორცაა მილიცა გაჯიჩ-მილოშევიჩი – სერბეთის გარდაცვლილი ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის რძალი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის მიერ სანქციების პოლიტიკა სულ უფრო აქტიურად გამოიყენება. თუ 2010 წელს, სულ 22 გადაწყვეტილება იქნა მიღებული სანქციების თაობაზე, ერთი წლის შემდგომ, მკვეთრად გაიზარდა და 69 მიაღწია. სანქციები სულ უფრო მზარდი რაოდენობის ქვეყნების მიმართ გამოიყენება, თუმცა უკრაინის მოვლენებამდე, მათი უმრავლესობა შედარებით „პატარა ქვეყნებს“ ეხებოდა, როგორცაა ირანი, სირია, ბოლო დრომდე - ლიბია და ბირმა.

საფუძვლიანად მიმჩნია აზრი, რომ ევროკავშირის ეკონომიკური სანქციების ზრდის პოლიტიკა (განავითაროს/დაამატოს ახალი სანქციები მაშინ, როდესაც ძველი აღარ მუშაობს), ეს არის ამ გაერთიანების სულ უფრო მზარდი მოთხოვნის შედეგი – საერთაშორისო არენაზე იყოს აქტიური აგენტი და „მსოფლიო წესრიგის“ ერთერთი ძირითადი მარეგულირებელი რგოლი.

მსოფლიო ტურიზმის მომავალი ტრენდები და საქართველოს დესტინაციების ამოცანები

ტურიზმის ინდუსტრია ბოლო დეკადაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც მომავალში არსებით გავლენას მოახდენს ტურისტულ მოთხოვნებზე. ერთი მხრივ თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიკურმა განვითარებამ, მეორე მხრივ ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, ცალკეულ რეგიონში პოლიტიკურმა და ფინანსურმა არასტაბილურობამ ერთგვარად შეცვალა დამოკიდებულება ტურიზმისა და დასვენების მიმართ. ამ კონტექსტში, ცხადია, მნიშვნელოვანია ტურიზმის მომავლის ტენდენციების გათვალისწინება, რათა ტურისტული დესტინაციები მომზადებულნი დახვდნენ ახალ გამოწვევებს, რაც მათი წარმატებული მართვის აუცილებელი პირობაა. დარგის წარმომადგენლებისათვის ტურიზმის მომავლის ტრენდები განხილული უნდა იყოს, როგორც, ერთი მხრივ განვითარების შესაძლებლობა, მეორე მხრივ - გამოწვევა.

ტურიზმის მომავალი ტენდენციების თაობაზე არაერთი ექსპერტული მოსაზრება არსებობს. თუმცა, მომავლის ტრენდებიდან, რომელიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს ტურიზმის მომავალზე, გამოვყოფდით შემდეგს:

1. გაიზრდება 30 წლამდე ახალგაზრდების როლი ტურიზმის ინდუსტრიაში – ამ კატეგორიის ტურისტთა ინტერესის სფეროა საერთაშორისო მოგზაურობები მეგობრებთან ერთად, მეტ-ნაკლებად დიდი და ორგანიზებული ჯგუფების სახით; ასაკის გათვალისწინებით ისინი ურბანული დესტინაციებისაკენ უფრო მიისწრაფვიან, ვიდრე რეკრეაციულ-საკურორტო არეალებისაკენ.

2. გაიზრდება ასაკოვანთა როლი ტურიზმის ინდუსტრიაში – ეს კატეგორია გამოირჩევა კეთილდღეობის მაღალი დონით და აქვს მოგზაურობის დიდი მოთხოვნილება. ამასთან განსაკუთრებით მომთხოვნია ტურისტული მომსახურების დონის მიმართ და არ ეგუება მასში არსებულ ხარვეზებს. ამ სეგმენტის მიზანი ძირითადად დასვენება და რელაქსაციაა, უპირატესობას ანიჭებენ სინყნარეს და ნაკლებად გადატვირთულ დესტინაციებს.

3. გაიზრდება მოთხოვნა „განსაკუთრებული დასვენების“ მიმართ – ამ ტიპის ტურისტები, თავიანთი სოციალური სტატუსის გამოვლენისთვის მოხმარების საგნებზე მეტად მნიშვნელობას ანიჭებენ შთაბეჭდილებებითა და გამოცდილებით გამდიდრებას. უნიკალური გამოცდილება მათთვის სოციალური კაპიტალია. ეს კატეგორია თავისი შთაბეჭდილებების გასავრცელებლად უპირატესობას ანიჭებს სოციალურ მედიას, რაც ხელს უწყობს ტრენდის გამყარებას.

4. გაიზრდება სხვადასხვა თაობის ადამიანთა ერთობლივი მოგზაურობები – ამ სეგმენტის ტურიზმი ოჯახური ტურიზმის მსგავსია. ამ კატეგორიის ტურისტთათვის დესტინაციებმა უნდა იზრუნონ იმ სახის მომსახურებისა და პირობების მიწოდებაზე, რაც გათვლილი იქნება პირობითად 7 -დან 70 წლამდე ასაკობრივ დიაპაზონზე.

5. გაიზრდება ელექტრონული ტურიზმის როლი – ელექტრონული ტურიზმი სულ უფრო მეტად პოპულარი ხდება. თანამედროვე ტურისტების გარკვეული ნაწილი ტუროპერატორთან სტანდარტული ტურისტული პაკეტის შექმნის ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებს ონ-ლაინ და-

ჯავშნასა და დამოუკიდებელ ტურებს. თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და მისი ხელმისაწვდომობა ამ ტენდენციას კიდევ უფრო გააღრმავებს.

6. გაიზრდება სწრაფად განვითარებადი მიმღები დესტინაციების რაოდენობა – სულ უფრო იზრდება ტურისტთა მიმღები სწრაფად განვითარებადი დესტინაციების რაოდენობა და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები. UNWTO-ს სტატისტიკისა და ექსპერტული დასკვნების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე თვალსაჩინო სწრაფად განვითარებად დესტინაციებად ბულგარეთი, უკრაინა და ხორვატია ითვლება. ამ ქვეყნების მიერ 2013 წელს მიღებული ტურისტების რაოდენობა შეადგენდა: 7 მლნ-ს (ბულგარეთი), 22 მლნ-ს (უკრაინა) და 9.5 მლნ-ს (ხორვატია). ტურისტული ნაკადების ზრდა 2007-2013 წწ. მოცემული ქვეყნებისთვის ასე გამოიყურება (შესაბამისად): 17%- 12%-14%. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს გარდა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე გაითვალისწინოს შუა აღმოსავლეთის, ჩრდილო აფრიკის, მეზობელი აზერბაიჯანის წინსვლა ამ მიმართულებით. ტურისტულ ბაზარზე ასეთი წარმატებული ტურისტული დესტინაციების გამოჩენა ცხადია გაამძაფრებს მათ შორის კონკურენციას. შესაბამისად საქართველომ უნდა შეაფასოს და გადააფასოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა და ისარგებლოს კონკურენციის სიკეთეებით.

7. გაიზრდება გასვლითი ტურიზმის ახალი ბაზარი და მისი როლი – გასვლით ტურისტულ ბაზარზე ბოლო დროს უმნიშვნელოვანესი პოზიციები დაიმკვიდრეს ჩინეთმა და ინდოეთმა. ყოველწლიურად დაახლოებით 60 მლნ. ჩინელი მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ 2007-2013 წლებში 66% -ით გაიზარდა ტურისტთა რიცხვი. ინდოეთი მას საგრძნობლად ჩამოუვარდება (13 მლნ), თუმცა გასულ ტურისტთა რაოდენობა მითითებულ პერიოდში გაიზარდა 55%-ით. აღნიშნული ტრენდი იმის მანიშნებელია, რომ მიმღები ქვეყნის დესტინაციები მომზადებულნი უნდა შეხვდნენ ამ გამოწვევას, მოაწესრიგონ ინფრასტრუქტურა, მოამზადონ საკომუნიკაციო მედია შესაბამის ენებზე, სხვადასხვა კომპანიების კოორდინაციის საფუძველზე გააუმჯობესონ დესტინაციების მიღწევადობა, შეისწავლონ ამ კატეგორიის ტურისტთა მოთხოვნები და ა.შ.

8. გაიზრდება მოთხოვნა ბუნების ტურიზმისადმი – ბუნების ტურიზმზე (ან სხვანაირად „მწვანე ტურიზმი“, „მდგრადი ტურიზმი“) დღეისათვის უდიდესი მოთხოვნა არსებობს, რაც პროგნოზებით კიდევ უფრო გაიზრდება. მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება ტურისტთა ცნობიერებაც იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ტურიზმმა გარემოს. შესაბამისად იზრდება მათი პასუხისმგებლობაც გარემოს მდგრადობისადმი. ამ კატეგორიის ტურისტები დესტინაციებისაგან ითხოვენ მაღალ პასუხისმგებლობასა და მდგრად ტურიზმს.

9. გაიზრდება კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ტურიზმზე – კლიმატის გლობალური ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური მოვლენაა თანამედროვე ტურიზმისათვის. დესტინაციებმა უნდა გათვალონ და გაითვალისწინონ, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ტრენდი მათზე. ამიტომ, უმჯობესია, ყურადღება გადაიტანონ სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტზე, რომლებიც მრავალმხრივ კომფორტულ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს. კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე სავარაუდოდ უპირატესობა მიენიჭება იმავე კონტინენტზე ან იმავე გეოგრაფიულ არეალში, გრძელვადიანის ნაცვლად- მოკლევადიან მოგზაურობებს.

10. გაიზრდება კრეატიული ტურიზმის როლი – მომავლის ტრენდებში აღსანიშნავია ე.წ. კრეატიული ტურიზმი, ანუ მოგზაურობები გარკვეული მისიით. ამ კატეგორიის მოგზაურობებს

არ სურთ მხოლოდ დასვენება და გართობა. მათთვის მნიშვნელოვანია მოგზაურობისაგან ჭეშმარიტი და შეუღამაზებელი გამოცდილებების მიღება, საკუთარი ცოდნისა და კულტურის გამდიდრება, ჩართულობა დესტინაციის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობებში, ეთნოკულტურულ ღონისძიებებში, სემინარებზე დასწრება და სხვა. ამ ტრენდს ტუროპერატორები სათანადო მომზადებით უნდა შეხვდნენ და, ზოგადი ოპერირების ნაცვლად, უფრო ვიწრო და კონკრეტულ აქტივობებზე გადავიდნენ.

11. გაიზრდება სოციალური მედიის როლი და მნიშვნელობა ტურიზმში – სოციალური მედია უპრეცედენტოდ პოპულარი გახდა, გამრავალფეროვნდა და მისი როლი განუზრელად იზრდება. ბიზნესი სოციალურ მედიას, მისი ხელმისაწვდომობის გამო, განიხილავს როგორც მომხმარებელის გამაერთიანებელ ინსტრუმენტს. არსებითად მნიშვნელოვანია, დესტინაციებმა გამოიყენონ ონლაინ პლატფორმები მათი წინწინვეისთვის, განახლებისათვის, თუმცა საჭიროა იმის გააზრება, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალური მედია იმისათვის, რომ საზოგადოებას მიენდოს სასურველი და ამავე დროს სანდო მესიჯები.

12. გაიზრდება მოთხოვნა ტურისტთა უსაფრთხოებასა და დაცულობაზე – ვინაიდან თანამედროვე ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსური ინდუსტრიაა, რომელშიც უამრავი მონაწილეა ჩართული, დესტინაციების უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს ტურისტთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფა. რა თქმა უნდა, ტურისტთა უსაფრთხოების მიზნების მიღწევა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, თუმცა ის ტურიზმის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობაცაა (სასტუმროები, სატრანსპორტო კომპანიები, ადგილობრივი საზოგადოება, რესტორნები და სხვა), რომელნიც სახელმწიფოსთან ერთად ჩართულნი უნდა იყვნენ კრიმინალის პრევენციის ღონისძიებებში. გასათვალისწინებელია წამყვანი ტურისტული დესტინაციების გამოცდილება, სადაც დარგის პროფესიონალები პერმანენტულად იმაღლებენ კვალიფიკაციას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

13. გაიზრდება მოთხოვნა ადამიანური რესურსების ხარისხის განვითარებაზე – ადამიანური რესურსების ხარისხის განვითარება მომავლის მთავარი ტრენდი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დესტინაციები ძირითადად დაკავებულნი არიან ტურიზმის მომსახურების გაყიდვის პრობლემებით და რეკლამებში ვხედავთ, რომ ისინი ურთიერთდიფერენციაციას ახდენენ მხოლოდ ფიზიკური პროდუქტის მიხედვით. სინამდვილეში კი, ტურიზმის მომსახურებას ახირციელებენ ადამიანები, რომელთა პროფესიონალიზმი და შემოქმედებითობა განაპირობებს დესტინაციის წარმატებულ კონკურენტუნარიანობას ან პირიქით, მის შეფერხებას. საკითხი, რომელიც არაერთხელ დასმულა, არ არის ტიპური მხოლოდ საქართველოსთვის, ანუ, ერთი მხრივ, არსებობს დიდი მოთხოვნა ადამიანურ რესურსებზე, მეორე მხრივ ფიქსირდება დარგისთვის შესაბამისი კვალიფიციური რესურსების ნაკლებობა. დესტინაციებმა უნდა გააერთიანონ ძალისხმევა ტურიზმის მომავალი ბაზრის მოთხოვნებისთვის და იზრუნონ სამუშაო ძალის მდგრადობაზე განათლებისა და ტრენინგების გზით, ისინი კვალიფიციურად უნდა იყვნენ ჩართულნი მომავლის საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებაში, ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების შესაბამისად. არსებული პრაქტიკა კი იმაზე მეტყველებს, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკა იქმნება განათლების სამინისტროებში, პროგრამები-უმაღლეს სასწავლებლებში და დესტინაციების წარმომადგენლები ნაკლებად ან ფორმალურად არიან ჩართულნი ამ პროცესებში. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანური რესურსების საგენტოების შექმნა ლოკალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე, რომლებიც

დამოუკიდებლად შეისწავლიან სექტორში არსებულ პრობლემებს, განსაზღვრავენ საჭიროებებს და ფოკუსირებულნი იქნებიან ხარისხის კონტროლზე. ჩვენ მიერ მომავლის ტურიზმის ტრენდების მოკლე მიმოხილვა რიგ შეკითხვას წარმოშობს:

- რამდენად ითვალისწინებს საქართველოს ტურისტული ბაზარი ამ ტრენდებს და რამდენად მზად დახვდება ტურისტული დესტინაციები ამ გამოწვევებს?
- როგორ იმართებიან დესტინაციები საქართველოში?
- აქვთ თუ არა დესტინაციებს მომავლის ტრენდების გათვალისწინებით შემუშავებული სტრატეგია?
- ვინ არის პასუხისმგებელი დესტინაციის განვითარებაზე?

ცნობილია, რომ დესტინაცია წარმოადგენს ეკონომიკურ სივრცეს და საბაზრო ურთიერთობების ობიექტს, რომელიც, როგორც სისტემა, უნდა ექვემდებარებოდეს მართვას. მართვამ კი თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს დესტინაციის სისტემის სტრატეგიული, ორგანიზაციული თუ ოპერატიული განვითარება. ტურიზმის დარგის ცნობილი მკვლევარი, დიმიტრიოს ბუჰალისი (Buhalis, 572-589) თვლის, რომ „დესტინაცია ეს არის 6 A“ (Attractions, Accessibility, Ancillary services, Amenities Available Packages, Activities). არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დესტინაციის, ანუ მისი ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტების, მართვის პასუხისმგებლობები **სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს** შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

დესტინაციის ელემენტი	ვინ არის მასზე პასუხისმგებელი?
რესურსები	სახელმწიფო სექტორი
ინფრასტრუქტურა	სახელმწიფო სექტორი
ტურისტული სტრუქტურა	სახელმწიფო და კერძო სექტორი
ტურისტული სერვისი	სახელმწიფო და კერძო სექტორი
დესტინაციის გამოცდილების პაკეტი (შინაარსი+ფასი+შესაბამისობა)	კერძო სექტორი

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გარკვეულია პასუხისმგებლობების სფეროები, კონკრეტული დესტინაციების მართვა ძალზე რთული პროცესია მართვის ობიექტთა და სუბიექტთა დიდი მრავალფეროვნების გამო. ამასთან, ცალკეული, კარგად ცნობილი დესტინაცია შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე მუნიციპალიტეტს, რაიონს ან სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს. შესაბამისად, მათი განვითარების სტრატეგია და მომავლის გამოწვევების დაგეგმვა ცალკე როგორც სახელმწიფო სექტორის, ისე კერძო სექტორის ძალებს აღემატება.

საერთაშორისო გამოცდილება დიდი ხანია გვკარნახობს, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილებში უნდა არსებობდეს დესტინაციის მართვის ორგანიზაციები (DMO – Destination Management Organization), რომლებიც გაუძღვებიან ამ მიმართულებებს. დმოებს ქმნიან ტურიზმის მართვაში მონაწილე სახელმწიფო სტრუქტურები ადგილობრივი მმართველების ხელმძღვანელობით, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებები, თემები, ადგილობრივი მაცხოვრებელნი, სამეცნიერო წრეები და ასოციაციები, ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები. ტრადიციულად დმოები პასუხისმგებელნი არიან დესტინაციის მარკეტინგზე, თუმცა დღეისათვის პასუხისმგებლობები გაცილებით გაფართოვდა და გარდა მარკეტინგის მართვისა, ისინი უნდა წარმოადგენდნენ დესტინაციის განვითარების სტრატეგიის ლიდერებს.

ეს როლი მათგან მოითხოვს დესტინაციის მენეჯმენტის აქტივობების მართვასა და კოორდინაციას ერთიანი სტრატეგიის ჩარჩოში. ხშირად დმო-ები იძენენ ტურიზმის ადგილობრივი სამეთვალყურეო კრების, საბჭოს და დეველოპერული ორგანიზაციის ფორმას.

ამ თვალსაზრისით კი საქართველო მხოლოდ საპილოტო პრექტების დონეზეა, რომლის თანახმად დმო-ები შეიქმნება 4 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი და აჭარა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გვაჩვენებს, რომ დესტინაცია მოაზრებულია, როგორც მსხვილი რეგიონი, ადმინისტრაციული ტერიტორია, რაც თავისთავად არ ეწინააღმდეგება დესტინაციის არსს, თუმცა ამგვარმა კლასიკურად რეგიონულმა მიდგომამ შესაძლოა ორგანიზაციები მოუქნელ მმართველობით სტრუქტურად აქციოს. დმო უპირველესად ფოკუსირებული უნდა იყოს კონკრეტული დესტინაციების განვითარებაზე და ლოკალური ამოცანების გადაჭრაზე.

ამდენად, მსოფლიო ტურიზმის მომავალი ტრენდების ანალიზი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დესტინაციების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ხანგრძლივადიანი სტრატეგიების შემუშავებაზე, რათა მომზადებულნი დახვდნენ გამოწვევებს, რომელთაც აღნიშნული ტრენდები შექმნიან და ღრმა გავლენას მოახდენენ მათზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე ვერც სახელმწიფო სტრუქტურები, ვერც კერძო სტრუქტურები და ვერც მათი, თუნდაც იდეალური კოორდინაცია (რასაც ჩვენთან ადგილი ნამდვილად არ აქვს), ვერ უზრუნველყოფენ დესტინაციების სათანადო დონეზე განვითარებას.

მთავარია, ამ რთულ პროცესებში გავიაზროთ და ვალიაოთ დმო-ს მნიშვნელობა სპეციფიკური როლი და აუცილებლობა, კერძოდ:

1. დმო-ები იმოქმედებენ ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე;
2. დმო – დაეხმარება არსებულ დესტინაციას მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებაში, საჯარო და კერძო ურთიერთობების კოორდინაციაში, საინფორმაციო ცენტრების დაფუძნებაში;
3. დმო-ები, ისე როგორც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული, ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, გაცვლიან ინფორმაციას და რესურსებს;
4. დმო – კოორდინაციას გაუწევს ინდივიდუალურ ბიზნესებს და ორგანიზაციებს;
5. დმო – შეიმუშავებს დესტინაციის განვითარების გენერალურ გეგმას და მარკეტინგულ სტრატეგიას;
6. დმო – არსებითად ჩაერთვება დესტინაციის რეკლამირების საკითხებში;
7. დმო – მჭიდროდ ითანამშრომლობს დესტინაციით დაინტერესებულ ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის სასტუმროებთან, ატრაქციებთან, ტურსააგენტოებსა და ოპერატორებთან, პარკებთან, გიდეებთან, რესტორნებთან, კონფერენციების ჩატარების ორგანიზატორებსა და ადგილებთან და ა.შ.
8. დმო – იქნება დესტინაციის განვითარების პროცესის მარეალიზებელი ღერძი და ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების დამცველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უკლება მ. დანიშნულების ადგილი, როგორც სისტემა და მისი მენეჯმენტი. ჟურნალი „კომერსანტი“. N 2 (7), თბილისი, 2009
2. უკლება მ. „ლოკალური საზოგადოება და დესტინაციის მდგრადი განვითარება. „გთსუ სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, N2. 2012
3. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა. საქართველოს ეროვნული ადმინისტრაცია. თბილისი, 2012
4. Bornhorst, T., Ritchie, B. J.R. Determinants of tourism success for DMOs & destinations: An empirical examination of stakeholders' perspectives. Tourism Management Volume 31, Issue 5, October 2010.
5. Crouch, G. I. Destination Competitiveness: An Analysis of Determinant Attributes. Journal of Travel Research 20 (10), 1-19. (2010).
6. UNWTO Tourism Highlights, 2013 Edition

მაია უკლება

მსოფლიო ტურიზმის მომავალი ტრენდები და საქართველოს დესტინაციების ამოცანები რეზიუმე

მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია ბოლო დეკადაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, რაც მომავალში არსებით გავლენას მოახდენს ტურისტულ მოთხოვნებზე. ერთი მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიკურმა განვითარებამ, მეორე მხრივ, ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, პოლიტიკურმა და ფინანსურმა არასტაბილურობამ ერთგვარად გადააფასა დამოკიდებულება ტურიზმისა და დასვენების მიმართ. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ტურიზმის მომავლის ტენდენციების გათვალისწინება. არსებობს არაერთი ექსპერტული მოსაზრება ტურიზმის მომავალი ტენდენციების თაობაზე, თუმცა არსებობს კითხვები: მზად არიან თუ არა საქართველოს დესტინაციები ამ გამოწვევებისათვის? აქვთ თუ არა მათ ტრენდების შესაბამისი განვითარების სტრატეგია? ვინ არის პასუხისმგებელი დესტინაციის წარმატებულ განვითარებაზე?

წინამდებარე სტატიაში ვეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

Maia Ukleba

Future Tourism Trends and Georgian Destination Tasks

Summary

World Tourism industry undergoes big changes during last decade. New trends in Tourism will significantly influence tourism demand. On one hand, dynamic development of new technologies and on the other hand, natural disasters, political and financial instability revalued attitude to tourism and leisure. In this context, it is very important to consider future trends of Georgian tourism and be ready for challenges. There are several expert positions about future trends of World Tourism though some questions still exist: Are Georgian destinations ready to face these challenges? Have they devised any strategy for trend corresponding destination development? Who is responsible for successful development of Georgian destinations?

In presented article, we try to answer to all these questions.

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება, აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად შედეგებიც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური (ნიადაგის ნაყოფიერება, წიაღისეული და ა.შ.) პირობებით განისაზღვრებოდა. მათი როლი დღესაც შეუფასებელია, მაგრამ, მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი, რადგან ისინი არსებითად ცვლიან მსოფლიო მეურნეობას, ამალღებენ შრომის მწარმოებლურობასა და წარმოების ეფექტიანობას.

ინოვაციები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაცია (სიახლე) პრაქტიკაში აღიქმება როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში და გულისხმობს შემოქმედებითი (ინტელექტუალური) საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას. ინოვაციური პროცესი, როგორც ერთიანი სისტემა, ხასიათდება სანარმოო-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ამას ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომელთაც თავიანთი სიძლიერე რადიკალური ინოვაციების საფუძველზე მოიპოვეს (**Корганашвили; 1**).

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალური გახდა ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნის კონცეფცია და მრავალმა ქვეყანამ გააქტიურა თავისი ინოვაციური პოლიტიკა. როგორც ცნობილია, დასაწყისში ეროვნული ინოვაციური სისტემის ცნება ფირმის მოქმედების გარემოს განმსაზღვრელ მეცნიერებასა და ტექნოლოგიებზე იყო კონცენტრირებული, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან კი ამ ცნებამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ელემენტი მოიცვა. ამჟამად ეროვნული ინოვაციური სისტემების კონცეფციაში ინოვაციურ განვითარებაზე ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუციური სტრუქტურების (უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, მცირე და საშუალო ფირმები, ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტები და ა. შ.) ზეგავლენა იგულისხმება, ხოლო ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისას ორიენტაცია მსოფლიოს ინოვაციური განვითარების ძირითად ტენდენციებზეა აღებული. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარება გლობალური ეკონომიკური და სამეცნიერო სივრცის შექმნას განაპირობებს (**Корганашвили; 130-137**).

გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციურად წარმატებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დადგენილია, რომ ყველა ქვეყანას აქვს ინოვაციური განვითარების საერთო ინსტრუმენტები, მაგრამ არ არსებობს ინოვაციური განვითარების მთლიანად იდენტური პროგრამები და სტრატეგიები: ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურობით ხასიათდება და ამიტომ მას ინოვაციური განვითარების საკუთარი სტრატეგია სჭირდება.

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს ეკონომიკამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, რის შედეგად დაიკარგა ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი: 2011 წელს 1985 წელთან შედარებით კვლევითი ორგანიზაციების რიცხვი 250-დან 60-მდე შემცირდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკების – 300-დან 50-მდე და ა. შ. (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საინოვაციო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა საქართველოში

	1985	2011
კვლევითი ორგანიზაცია	250	60
მათ შორის იურიდიული პირი	230	< 10
საკონსტრუქტორო ბიურო	რამდენიმე ათეული	?
საცდელი/სასელექციო სადგური	70	< 10
სამეცნიერო ბიბლიოთეკა	300	< 50
ხარჯები კვლევაზე, მშპ-ს %	3	0.15
წყარო: [8]		

აღნიშნულის მიუხედავად, 2012 წელს ადამიანური განვითარების ინდექსით (0,745) საქართველო 72-ე ადგილზეა მსოფლიოში და იგი მაღალი განვითარების ქვეყანათა ჯგუფში შედის. მართალია, ამ მაჩვენებლით იგი ჩამორჩება ევროპასა და ცენტრალურ აზიას (0.771), მაგრამ აღემატება საშუალო მსოფლიო დონეს (0.694) (Human Development Report, 143-149). ევროკავშირის ქვეყნებიდან ადამიანური განვითარების ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ნიდერლანდებს (მე-4 ადგილი) და ყველაზე დაბალი – ბულგარეთს (57-ე ადგილი). ბულგარეთისა და რუმინეთის გარდა, ევროკავშირის ყველა ქვეყანა ადამიანური განვითარების ინდექსით შედის ძალიან მაღალი განვითარების ქვეყნების ჯგუფში. კვლევებსა და განვითარებაზე გაწეული ხარჯებით ევროკავშირის ქვეყნებს შორის ლიდერობს ფინეთი, სადაც ამ ხარჯებმა 2005–2010 წლებში საშუალოდ ქვეყნის მშპ-ის 3.8 % შეადგენა, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 0.2 %-ის ტოლია. ფინეთი ასევე მონიხავე პოზიციასა და მკვლევართა რაოდენობით (მრ) 1 მლნ სულზე გაანგარიშებით.

ქვეყნების ინოვაციური განვითარების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გლობალური ინოვაციური ინდექსი (გიი). 2002–2010 წლების საშუალო მაჩვენებლით ევროკავშირის ქვეყნებს შორის გამოირჩევა შვედეთი – მე-2 ადგილი მსოფლიოში, თუმცა ინოვაციების ეფექტიანობის კოეფიციენტით (იეკ) იგი მხოლოდ 55-ე ადგილზეა. ამ მაჩვენებლებით საქართველოს შესაბამისად 73-ე და მე-100 ადგილები უკავია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (გკი) გაანგარიშებისას დიდ ყურადღებას უთმობს ინოვაციური პოტენციალის შეფასებას. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლების რეიტინგში საქართველო 72-ე პოზიციას იკავებს, ხოლო ინოვაციური პოტენციალით (იპ) – 126-ეზე. ევროკავშირის ქვეყნებიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს ფინეთს – მე-3 ადგილი, ხოლო ინოვაციური პოტენციალით იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში).

საქართველოს ინოვაციური პოტენციალის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ევროკავშირი, რომელიც თავისი პროგრამებითა და პროექტებით სიახლეების შექმნასა და გავრცელებაში ეხმარება. ინოვაციების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის მრავალწლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, დღემდე ინოვაციური პოტენციალის ზრდა სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებას არ წარმოადგენს და ამის გამო ქვეყნის ინოვაციური განვითარება შეფერხებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება. კერძოდ:

- 2012 წლის სექტემბერში გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ (GIZ) დააფუძნა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნოლოგიური საჭიროებები, ხელი შეუწყოს კვლევითი ორგანიზაციებიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესს, მოარგოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოთხოვნები საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ნოუ ჰაუს, კვლევასა და განვითარებას (R&D) (<http://www.ttcg.ge/?q=ka/node/77>);

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორებში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მენარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა. სააგენტოს მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ექსპორტზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიის ფორმირებას, ასევე ინოვაციური Start-up-ების და ტექნოლოგიური კომპანიების გაჩენის ხელშეწყობას, ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, მათ შორის ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, აქსელერატორების, ინოვაციების ლაბორატორიების შექმნას (<http://www.ghn.ge/news-103190.htm>);

- ევროკავშირის ინიციატივით აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამთავრობო პანელი „კვლევა და ინოვაცია“, ხოლო ვილნიუსის 2013 წლის 28-29 ნოემბერის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში განსაზღვრულია ის მიზნები, რომლებიც პარტნიორობამ 2015 წლისთვის უნდა განახორციელოს. მათ შორისაა ცოდნისა და ინოვაციების საერთო სივრცის ეტაპობრივი განვითარება, კვლევისა და ინოვაციების დარგში თანამშრომლობის რამდენიმე არსებული მიმართულების გაერთიანების მიზნით (http://www.mfa.gov.ge/files/30_17011_940161_VilniusJD_GE.pdf);

- უკანასკნელ წლებში გაფართოვდა საქართველოს მონაწილეობა ევროპულ პროექტებში – ქვეყანა მონაწილეობდა 63 პროექტში, 2013 წლის 1 სექტემბრიდან შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაერთო სამწლიან რეგიონულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ (საქართველოს მთავრობის განკარგულება №1525).

- საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან შეიქმნა საინოვაციო საბჭო, ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით

შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური ღონისძიებები და ა. შ. (საქართველოს მთავრობის განკარგულება №1525).

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია, ამიტომ საქართველოსათვის ევროკავშირის მიერ უმნიშვნელოვანესი R&D მხარდაჭერა მსოფლიო დონის მიღწევებზე ორიენტირებულ კვლევებსა და დამუშავებებს, ახალი ცოდნის დაგროვებას, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს. რაც საბოლოოდ ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში გამოიხატება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყორღანაშვილი ლ. ინტელექტუალური კაპიტალი და ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004.
2. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური საკითხები. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.
3. ყორღანაშვილი ლ. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007.
4. ყორღანაშვილი ლ. ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ. 4, თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2004.
5. ყორღანაშვილი ლ. ვენჩურული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, II ტომი, № 1-2, 2003.
6. შატერაშვილი ო. ინოვაციური განვითარების ტენდენციები მსოფლიოში და მდგომარეობა საქართველოში. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი. „ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პირველადი ღონისძიებები და პერსპექტიული მიმართულებები“. თბ., 13 მარტი, 2013 წ.
7. Корганашвили Л. Инновационный потенциал Грузии и проблемы финансирования его развития. Финансовые проблемы и пути их решения: теория и практика: сбор-ник научных трудов 15-й Международной научно-практической конференции. – СПб.: Изд-во Политехн.ун-та, 2014.
8. Корганашвили Л. Перспективы инновационного развития Грузии. III международная научная конференция ”Роль научной инновации в развитии экономики страны”. Материалы. Национальная академия наук Азербайджана. Баку, 2009.
9. Human Development Report, 2013 The Rise of the South: Human Progress in a Diverse World, UNDP, 2013.
10. The Global Innovation Index 2012. INSEAD and WIPO, 2012.
11. The Global Competitiveness Report. World Economic Forum. Geneva, Switzerland. 2013- 2014.
12. საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი <http://www.ttcg.ge/?q=ka/node/77>).

13. მთავრობის გადაწყვეტილებით „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ იქმნება <http://www.ghn.ge/news-103190.html>.
14. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, ვილნიუსი, 2013 წლის 28-29 ნოემბერი http://www.mfa.gov.ge/files/30_17011_940161_VilniusJD_GE.pdf
15. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1525 „სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის N609528 საგრანტო შეთანხმებასთან (ევროკომისიის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ – IncoNet EaP) მიერთების შესახებ“ საგრანტო შეთანხმების პროექტის მონონების შესახებ;
16. The European Neighborhood Program for Agriculture and Rural Development (ENPARD) was developed by the European Union to boost the production of food in Georgia and to reduce rural poverty http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/annex_enpard_20130313_en.pdf

ლარისა ყორღანაშვილი

საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ინოვაციების სფეროში რეზიუმე

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში ევროკავშირის მრავალი ქვეყანა წამყვან როლს თამაშობს. ამ მხრივ საქართველო ჩანასახოვან სტადიაშია. საქართველოს ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა – ჩამოყალიბებაში ევროკავშირის განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მონაწილეობა ევროპულ პროექტებში გაფართოვდა – ქვეყანა მონაწილეობდა 63 პროექტის განხორციელებაში, ხოლო 2013 წლის 1 სექტემბრიდან შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაერთო სამწლიან რეგიონულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“.

წაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ინოვაციური პოტენციალი, ამ სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის თანამედროვე მდგომარეობა, შესაძლებლობები და პერსპექტივები.

Larisa Korghanashvili

Cooperation Between Georgia And The European Union In The Field Of Innovation

Summary

Currently, many EU countries are playing the leading role in the field of innovation. In Georgia, the formation of an innovative economy is in its infancy. The EU can play a special role in the development of innovative potential of Georgia. In recent years, increased Georgia’s participation in European projects. The country participated in 63 projects. On September 1, 2013 the Shota Rustaveli National Science Foundation was involved in a three-year project of STI International Cooperation Network for Eastern Partnership Countries. This paper analyzes the innovation potential of Georgia, the current status, opportunities and prospects of cooperation between Georgia and the European Union in the field of innovation.

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ევროპის გამონავიჯები და საქართველოს გზა განათლების ევროპულ სივრცეში

შესავალი: ქვეყნის კონკურენტუნარიანი პოზიციის და მდგრადი განვითარების საფუძველი განათლებაა. იგი დღეს კონკურენციის მამოძრავებელი ძალაა. სწორედ ამიტომ, უკანასკნელი ათწლეულის მთავარი გამოწვევა განათლების განვითარებაა. ეს კი ახალი ცოდნის შექმნასთანაა დაკავშირებული, რაც ინოვაციებისა და კვლევების შედეგად მიიღწევა.

ინოვაციები და განათლებული საზოგადოება ახალი დარგების, მიმართულებების, საქონლის შემქმნელია, რაც დასაქმების, შემოსავლების ზრდის და სოციალურ-ეკონომიკური სიძლიერის გარანტია.

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, ერთიანად ჩართული ამ გამოწვევაში. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი ევროპისა და მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანს ხდის, „კონკურენციის ძლიერი ბერკეტის“ მთავარი ყურადღება მიმართულ იქნას ინტელექტუალური კაპიტალის განვითარების, გაფართოებისა და ეფექტიანად გამოყენებისაკენ.

მიუხედავად ერთიანი წესებისა, რომელსაც ევროპა გვთავაზობს ამ მიმართულებით, ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული სვლისა და დადებითი უკუგების მიღებისათვის ყველა ქვეყნისათვის საჭიროა მისთვის შესაბამისი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება და მისი წარმატებული რეალიზაცია.

გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში. გაანალიზებულია რეფორმის ეტაპები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, რის საფუძველზეც წარმოდგენილია მისი კონკურენტული პოზიციონირების რეკომენდაციები.

კვლევა: ცოდნის ეკონომიკისა და მსოფლიო მასშტაბით განათლების განვითარებისათვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან სხვადასხვა პროგრამები ხორციელდებოდა. 1995-2000 წლებში გაეროს მიერ შემუშავებულ ინდიკატორთა სისტემაში დიდი ადგილი ეკავა ცოდნის ეკონომიკის მაჩვენებლებს. მსოფლიო ბანკის მიერ სპეციალურდ შემუშავდა K4D (Knowledge for Development) პროგრამა (www.worldbank.org), სადაც საბაზისო მაჩვენებლად 2 აგრეგირებული მაჩვენებელია წარმოდგენილი. პირველი, მთლიანი შიდა პროდუქტია, ხოლო მეორე - ადამიანური განვითარების ინდექსი. აქვე წარმოდგენილია ცოდნის ეკონომიკის ინდექსები, რომელთა გაანგარიშებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რიცხვი; მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა; მეცნიერების მიერ საერთაშორისო გამოქვეყნებები; ინფაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში გამოქვეყნებათა რაოდენობა და სხვა (ჩაგელიშვილი).

აღნიშნული მაჩვენებლების უზრუნველყოფა შეუძლებელი აღმოჩნდა საქართველოსათვის იმ მიზეზის გამო, რომ იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო შესაძლებელი ინოვაციურ რესურსებთან სრული მისაწვდომობა. საგანმანათლებლო სივრცე არ იყო ღია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის „შეზღუდულად“ განვითარების გამო. ეს კი იმის დასტური იყო, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში უნდა განხორციელებულიყო რეფორმები.

ამ მიმართულებით ევროპის პირველი გამოწვევა ბოლონის პროცესი იყო, რომლის საფუძველსაც 1999 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება – „ბოლონის დეკლარაცია“ წარმოადგენდა. 2005 წელს ბოლონის დეკლარაციის ხელმომწერ ქვეყნებს შეუერთდნენ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა და უკრაინა. ამას მოჰყვა ლისაბონის სტრატეგია განათლების სფეროში – 2000 წ, პრალის კომუნიკე – 2001 წ, ბერლინის კომუნიკე 2003 წ, ბერგენის კომუნიკე – 2005 წ, ლონდონის კომუნიკე 2007 წ და ახალი კომუნიკე ლოვენში – 2009 წ (www.create2009.europa.eu).

თითოეული მათგანი ეთანხმება ევროპული განათლების ერთიანი სივრცის შექმნის ძირითად მოთხოვნებს, სადაც მნიშვნელოვანია: შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება; კვლევებზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება; დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი განათლების სისტემის არსებობა; კრედიტის დაგროვების ევროპული სისტემა; ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში თანამშრომლობის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება; სასწავლო დაწესებულებების შორის თანამშრომლობა; მობილობის უზრუნველყოფა; სწავლებისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნა; უწყვეტი განათლების (LLL – LifeLong Learning) სისტემის შექმნა და მისი სრულყოფა (www.create2009.europa.eu).

საქართველოს რეალობაში, ბოლონის პროცესთან მიერთების შემდეგ, მოვლენები ძალზე სწრაფად განვითარდა. მყისეულად დაიწყო რეფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში, რაც უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ერთიანი ეროვნული გამოცდების დანერგვით გამოიხატა. აღნიშნულს მოჰყვა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მთლიანი რეფორმა, რომელის ერთ-ერთი რიგითი ნაბიჯიც, სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემცირება იყო. თითქოს პარადოქსულია, ერთის მხრივ – განათლების რეფორმა – განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მეორეს მხრივ კი – სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის მკვეთრი შემცირება, რაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დახურვით და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების გაუქმებით, უნივერსიტეტებში მეცნიერთა დიდი ნაწილის განთავისუფლებით გამოიხატა. აქ ჩნდება კითხვა, მაშინ რისთვისაა საჭირო იმ განათლების მიღება, რომლის რეფორმაც ასე სწრაფად და ასეთი ენთუზიაზმით დაიწყო? ინტელექტუალური პოტენციალის მხოლოდ დაბალ და საშუალო დონეზე გამოსაყენებლად? აი ის კითხვები, რომლებმაც ინტელექტის მნიშვნელოვანი ნაწილის უცხოეთში გადინება გამოიწვიეს, და ეს სავსებით ადექვატური რეაქციაა, რათა შემოქმედი (იდეის მატარებელი, ნოვატორი) ადამიანისათვის იდეის მუდმივი გენერირებაა აუცილებელი, რასაც შესაბამისი მატერიალური სტიმულიც უნდა ერთვოდეს.

რეფორმის რეალიზების გზაზე სხვა პრობლემებიც გაჩნდა. კერძოდ, პირველკურსელთა საშუალო განათლების დაბალი დონე. რაც ართულებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებისათვის საჭირო კომპეტენციების მქონე კადრებით უზრუნველყოფას.

ყოველივე ამის ფონზე კი, საქართველოს წინაშე უმაღლესი განათლების სივრცეში ევროპის კიდევ ორი გამოწვევაა:

1. 2013 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტი, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კვლევასა და ინოვაციებს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორების მნიშვნელობას და ხაზს უსვავს სამ სფეროში თანამშრომლობის საჭიროებას, ცოდნისა და ტექნოლოგიური განვითარების საერთო სივრცის შექმნის

მიზნით. უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროებში, ევროკავშირის მხარდაჭერ მიზნად ისახავ სახალ “Erasmus+” პროგრამაში პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების მონაწილეობის გაზრდას. ასევე, ევროკავშირის მომავალი პროგრამის – “Horizon 2020” ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების მხარდაჭერის საჭიროებას (<http://EaPVilniusSummit.pdf>, 2013).

2. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“. იგი მეცნიერებისა და განათლების სფეროში ითვალისწინებს საქართველოს დაახლოვებას ევროკავშირის პოლიტიკასა და აპრაქტიკასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონის პროცესთან (EU-Georgia Association Agreement Guide in Georgia; Pdf; 2014).

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი განათლების სისტემა ევროპასა და მსოფლიოში მუდმივად ფართოვდება. 2000-2009 წლებში ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართულ სტუდენტთა პოპულაცია საშუალოდ 22 %-ით გაიზარდა (2.7% წლიური ზრდის მაჩვენებელი) (Eurostat, 2012). უმაღლესი განათლების სისტემის გაფართოების ეს ტენდენცია ეფუძნება იდეას, რომ მეტი განათლება სარგებლის მომტანია ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით (შემოსავლების და დასაქმების მაჩვენებლების ზრდა, ადამიანური კაპიტალის განვითარება), ისე სოციალური თვალსაზრისით (სოციალური მობილობის ხელშეწყობა, სოციალური სტაბილურობისა და კეთილდღეობის მაჩვენებლების ზრდა) (Machin and McNally, 2007).

ბოლო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი ამოცანები, რომელიც მსოფლიო მასშტაბით უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე დგას. **პირველი ეხება** სამუშაო ძალის ბაზარზე ადამიანური რესურსების მიწოდებასა და მათზე მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფას. **მეორე** – ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობის ზრდაა. **მესამე ამოცანა** მდგომარეობს სოციალური თანასწორობისა და სოციალური მობილობის უზრუნველსაყოფად უმაღლესი განათლების როლის ზრდას (ბრეგვაძე, 3).

აღნიშნული ამოცანების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც ადგილი აქვს ბაზრის მოთხოვნებისადმი კომპეტენციების შეუსაბამობას.

უნარ-ჩვევების თავსებადობის კუთხით, ევროპის 25 ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ საშუალოდ, სამუშაო ძალის 59%-ის კომპეტენციები არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა მაჩვენებელი მერყეობს 15%-დან ჰოლანდიაში 79%-მდე ესტონეთში (European Centre for the Development of Vocational Training, 2010).

ეგთო-ში შემავალი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნები დღეს მეტ აქცენტს ე.წ. გამჭოლ კომპეტენციებზე აკეთებენ, რომლებიც უფრო ადვილად ადაპტირებადია ბაზრის მოთხოვნების ცვალებადობის პირობებში, ხოლო ტექნიკური უნარები ძალიან სწრაფად ძველდება (Machin & McNally 2007, Fasih 2008). ეს ტენდენცია სახეზეა ბრიტანეთსა და ესპანეთში, ისევე როგორც გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი, პოლონეთი, რუსეთი (World Bank, 2008).

ამას ისიც ემატება, რომ ევროპის მოსახლეობაში დაბერების ტენდენცია შეიმჩნევა, შესაბამისად ბაზარზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არსებული რესურსების გადამზადება ბაზრის ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, პრობლემები ერთგვაროვანია მსოფლიოს მასშტაბით და ისინი ყოველთვის იქნება გარემოებათა ცვლილებების გამო. მათი მოგვარების სტრატეგია კი ყოველი ქვეყნისათვის სპეციფიკური და განსხვავებული ხასიათის მატარებელი უნდა იყოს. რაზეა დამოკიდებული სტრატეგიის განსხვავებულობა და როგორი იქნება ის საქართველოსათვის?

რეკომენდაციები: უმაღლესი განათების სფეროში გატარებული რეფორმების შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყველა ქვეყანამ და, მათ შორის საქართველომ საკუთარი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისათვის უპირველესყოვლისა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: **ვინ ვართ? საიდან მოვდივართ? სად ვართ? და საით მივდივართ?** ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არის რეალური შესაძლებლობების შეფასება, რომლის შემდეგაც შესაძლებელია რეალისტური სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა.

საქართველოს საგანმანათლებლო ბაზრის თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბაზარი სულ უფრო იხვეწება და, ჯერ კიდევ 5 წლის წინ თუ მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორებით შემოიფარგლებოდა, დღეს პირველი რიგის მოთხოვნას ხარისხობრივი ინდიკატორების (კურსდამთავრებულთა კომპეტენციები) უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამიტომ, რეკომენდაციებშიც ძირითად აქცენტს სწორედ ანიშნულ მახასიათებლებზე გავაკეთებთ.

საქართველოს საგანმანათლებლო სფეროს ევროსივრცეში ინტეგრირებისა და ევროპულ ინდიკატორებთან ჰარმონიზებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამხორციელდეს:

1. უმაღლესი განათლების სისტემის რაოდენობრივი ინდიკატორის (კურსდამთავრებულთა რაოდენობა; დიპლომირებული კურსდამთავრებულები) მონიტორინგი; ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა; შეუსაბამობების იდენტიფიცირება და პროგნოზირება;
2. უმაღლესი განათლების სისტემის ხარისხობრივი ინდიკატორის (კურსდამთავრებულთა კომპეტენციები) მონიტორინგის განხორციელება; ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია ცალკეულ უნივერსიტეტებში არსებული რესურსების ბაზაზე (ხარისხის განვითარების სამსახური; უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კარიერის მართვის სამსახური; მარკეტინგის სამსახური);

კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და დასაქმების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია:

- პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გაფართოება;
- პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ხელშეწყობა და წახალისება;
- დამსაქმებლის აქტიური მონაწილეობა არა მხოლოდ სასწავლო პროგრამების შემუშავებაში, არამედ პრაქტიკულ სწავლებაში მათი აქტიური ჩართვა (ბიზნესის, ეკონომიკის, საზოგადოებრივ სექტორში, სამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებში გასვლითი სემინარების ჩატარება; პრაქტიკისა და სტაჟირების უზრუნველყოფა; მასტერ კლასები; სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა სტრუქტურის მიერ განხორციელებულ კვლევებში);
- ინკუბატორების, მათ შორის სასწავლო ინკუბატორების განვითარება;

ყოველივე ზემოდ აღნიშნულის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანია დაფინანსების საკითხი, რომელიც დღემდე არაა ბოლომდე მოწესრიგებული. სამწუხაროდ, კერძო ბიზნესი ამ კუთხით არ დგავს ქმედით ნაბიჯებს, სახელმწიფო სექტორი კი ფინანსების სიმწირის მიზეზით სრულად ვერ აფინანსებს განათლების სტრატეგიულ მიმართულებებს. ამ კუთხით მიგვაჩნია, რომ როგორც, სახელმწიფო, ასევე კერძო ბიზნესმა უნდა გააცნობიერონ და აღიარონ ცოდნის ეკონომიკის პრიორიტეტულობა გლობალურ კონკურენციაში და წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე უზრუნველყონ სახელმწიფო, კერძო სტრუქტურებისა და საგანმანათლებლო სტრუქტურების მდგრადი განვითარება.

იმის მაგალითები, რომ განათლებაში ჩადებული კაპიტალი მრავალმხრივ უკუგებას იძლევა, მრავლადაა მსოფლიოში. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ფინეთი, სადაც კვლევებსა და განათლებაზე ხარჯები მშპ-ის 3,8% შეადგენს, შესაბამისად მაღალია დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებელი. ისრაელმა კი ინკუბატორების მეშვეობით შეძლო განათლებასა და ინოვაციებში ინვესტიციების აკუმულირება, რითაც ორივე მაჩვენებლის მიხედვით მაღალ შედეგებს მიაღწია. განსხვავებული სურათია რუმინეთსა და სლოვაკეთში, სადაც მცირეა როგორც სისტემაში ინვესტირება, ასევე უკუგებაც (დასაქმება, ხელფასი). რადიკალურად განსხვავდება საქართველო, სადაც კვლევებსა და განათლებაზე ხარჯების მშპ-ს 0, 4 პროცენტს შეადგენს.

ფიქრობთ, ნაშრომში წარმოდგენილი საკითხის ანალიზი და შემოთავაზებული რეკომენდაციები მოკრძალებულ წვლილს შეიტანენ საქართველოს განათლების სფეროს ევროსივრცეში სრულფასოვანი და წარმატებული ინტეგრირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეგვაძე თ. უმაღლესი განათლება და ადასქმება; თბ.; 2013.
2. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2008.
3. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2012.
4. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. 2013.
5. ჩაგელიშვილი ლ. ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე ასპექტები; თსუ, 2009.
6. ჩაგელიშვილი ლ. განათლება და მდგრადი განვითარება: რეალობა, პრობლემები და შესაძლებლობები; გორი; 2010.
7. EU-Georgia Association Agreement Guide in Georgia; Pdf; 2014
8. European Centre for the Development of Vocational Training, 2010
9. Khitarishvili, T. 2010. Assessing the Returns to Education in Georgia. Levy Economics Institute of Bard College
10. Knowledge for Development Program, Knowledgefordevelopment.www.worldbank.org;
11. Machine, S., & McNally, S. (2007). Tertiary Education Systems and Labor Markets. Paris: OECD.
12. Lali Chagelishvili-Agladze, Education Development problems in the post soviet space; **European Scientific Journal (ESJ)Portugal**; 2013
13. Lali Chagelishvili-Agladze, KobaChagelishvili, Educational service market and the prospects for the development of knowledge in Georgia; **European Scientific Journal (ESJ)Portugal**; 2013
14. Multi-Level Innovation policy and European Integration; Guidebook. 2010
15. The Knowledge Economy, the KAM Methodology and World Bank Operation. Derek H.C. Chen and Carl J. Dahlman The World Bank, Washington DC, 2043; 2005

16. Fasih, T. 2008. Linking Education Policy to Labor Market Outcomes. The World Bank.
 17. Ionescu, A. M. 2012. How does education affect labor market outcomes? Review of Applied Socio- Economic Research. (Volume 4, Issue 2/ 2012)
 18. ILO. 2008. Conclusions on skills for improved productivity, employment growth and development. International Labor Conference, 2008, Geneva.
 19. ILO. 2008. Formulating a National Policy on Skills Development. Policy Brief.
 20. Javakhishvili, N. et al. 2011. Higher Education Institutions of Georgia Aiding Student Employment. European Commission/Tempus program.
- www.EaPVilniusSummit.pdf.2013
 www.create2009.europa.eu
 www.coe.int
 www.reaser.eu

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე
ევროპის გამოწვევები და საქართველოს გზა განათლების ევროპულ სივრცეში
რეზიუმე

დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, ერთიანად ჩართული ევროპის გამოწვევებში. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი ევროპისა და მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანს ხდის, „კონკურენციის ძლიერი ბერკეტის“ მთავარი ყურადღება მიმართულ იქნას ინტელექტუალური კაპიტალის განვითარების, გაფართოებისა და ეფექტიანად გამოყენებისაკენ.

მიუხედავად ერთიანი წესებისა, რომელსაც ევროპა გვთავაზობს ამ მიმართულებით, ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული სვლისა და დადებითი უკუგების მიღებისათვის ყველა ქვეყნისათვის საჭიროა მისთვის შესაბამისი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავება და მისი წარმატებული რეალიზაცია.

გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში. გაანალიზებულია რეფორმის ეტაპები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, რის საფუძველზეც წარმოდგენილია მისი კონკურენტული პოზიციონირების რეკომენდაციები.

Lali Chagelishvili- Agladse
Challenges of Europe and the course of Georgia in the space of European Education
Summary

Nowadays every country despite its social- economic development, is equally involved in European challenges. Irreversible process of globalization makes it very important for Europe and the whole world main attention of “strong lever competition” to be attracted towards the development, effective use and extension of intellectual capital.

Despite the rules which Europe suggests in this direction, every country should work out relevant competitive strategy for his country and think about its successful realization in order to get positive feedback in European education space.

Georgia is no exception in this case of course. In the theme author discusses the tendencies that occur in educational system of Georgia. Analyses the stages of a reform in high education system and on this bases gives recommendations of its competitive positioning.

Nino Bochorishvili
Georgian Technical University

ASPECTS OF TEACHING PROCESS OF FOREIGN LANGUAGE

Teaching a foreign language means formation and development the skills in hearing, speaking, reading, and writing. We cannot expect to develop such skills effectively if we do take into account the ways of forming them, the influence of already obtained habits on the formation of new ones, and many other necessary factors that psychology can supply us with.

Effective learning of a foreign language depends to a great extent on the student's memory and motivation. That is why a teacher must know how he or she can help to memorize and retain in memory the language material student learn.

Foreign language teaching covers three main problems: aims of teaching a foreign language, content of teaching, what to teach to achieve the aims, methods and techniques of teaching, how to teach a foreign language to achieve the aims in the most effective way. Foreign language teaching has a definite relation to physiology of the higher nervous system. Already interrelated theories of "conditioned reflexes", or the "second signaling system" have a direct connection to the teaching of a foreign language. Methods of foreign language teaching is most closely related to linguistics deals with the problems which are significant. Nevertheless four competencies are always considered in any methods of teaching. Those are: speaking, listening, reading and writing.

First Speaking is one of the most difficult aspects for students. This is not surprising when you should cope with everything that is united in speaking: ideas, what to say, language, how to use grammar and vocabulary, pronunciation and also carefully listen to and answer to the person you are communicating with. Any learner of a foreign language can confirm how difficult it is.

That is why it is important to give students as many opportunities as possible to speak in an assistant environment. Gaining confidence will help students speak more easily. Moreover teachers should give certain speaking tasks at the right level for the students or at a level lower than their perceptual skills and move gradually towards more challenging tasks. It is important to praise students' efforts and correct errors sensitively and of course the most significant is creating an atmosphere where students don't laugh at other people's mistakes.

Second – Listening is probably more difficult than reading because students often recognize the written word more easily than they recognize the spoken word. Furthermore when reading, students can go back and read again a phrase whereas with listening they only get one chance. With reading, it's the reader who sets the pace whereas with listening it's the speaker or recording that sets the pace.

Because of these issues, many students find listening difficult. Listening tasks can be very discouraging, daunting and de-motivating, especially if students have had a previous negative experience. It is therefore important to give students plenty of opportunities to practice the skill of listening in an assisted environment that helps them to learn. We need to design tasks that help them learn rather than only testing their abilities in listening. This means that we guide them through the recording, give them some hints, explain and highlight the essential points of the recording, and if necessary translate every phrase used in the task. This is in contrast to testing, where the teacher simply plays the recording and the students listen and answer questions.

We can help learning through a variety of methods including preparing students carefully for the listening activities they are about to do, pre-teaching difficult language, by choosing a recording that is suitable for their level.

Third – Reading, the receptive skill that engages students in understanding and interpreting the written word. Reading is a great source of language learning: language can be attained from reading as opposed to studied directly. While reading it can be seen in context the structures and vocabulary of the text and moreover can be analyzed the paragraph construction.

There is a great choice of texts for practicing in class: apart from textbooks and other EFL resource books, we can take texts from magazines, newspapers, the Internet, brochures, menus. The opportunities are uncountable. If we encourage reading in the classroom, we can expect students to continue doing the same long after they have stopped studying with us. However, as we know the efficient reader interacts with a text, predicting what will come next, and bringing his or her knowledge of the subject and language to the text. It is essential to train our students in these skills and to encourage their use.

Fourth - Writing is a productive skill and somehow basically the way we teach it in class has some similarities with the teaching and learning of speaking. Nevertheless we must make sure that students have the level of English required to do the task. Analyze any tasks for language required before deciding whether to use it in class. Check whether the level is suitable and then decide how you will revise and practice language items with your students.

Depending on the type of written task, the language work might include analysis and practice of a type of writing (genre) for example letters, newspaper articles, summary and so on. Writing also is connected with linkers, for example: although, furthermore, however and so on. Students should be aware of the level of formality that is required; for example a business letter will be more formal than e-mail to a friend.

Altogether, there is often more than one aim in a lesson. Teacher should also try to get aims realistic and achievable. This means making sure the students can do the task and basically it is the right level for them and of course the task should be done in the time available.

Notwithstanding still while studying errors are a natural part of the learning process and we should not ignore them. Students make mistakes when they are learning new language and even though language has been presented, revised and practiced repeatedly, students can still make mistakes and this is reality. Errors and mistakes will always occur but students should learn from their mistakes. Correcting errors is essential for students to learn and improve their language skills. Teachers should be very reasonable and careful with error correction and choose the most suitable form of doing this as it may psychologically influence learners.

Whereas language is connected with thinking, through foreign language study we can develop the student's intellect. Teaching a foreign language develops the students' voluntary and involuntary memory, his imaginative abilities, and will power. Indeed, in learning a new language the student should memorize words, idioms, sentence patterns, structures, and keep them in long-term memory ready to be used whenever they need them in speaking, reading, and writing.

Teaching a foreign language under conditions when this is the only foreign language environment, is practically impossible without appealing to students' imagination. The lack of real communication forces the teacher to create imaginary situations for students, to speak about making each student determine his language behavior as if he were in such situations.

With IT development, the more and more popular access to the Internet and variety of tools enabling using it in the field of teaching, encourage many educational institutions and companies to expand their offers with e-learning courses.

The use of a networked environment for learning in general and for second language acquisition in particular is of great importance because that is different from the traditional design of text-based and stand-alone systems.

Technology, however, offers opportunities for people from other cultures to interact with each other. It can be beneficial to language learners if technology is incorporated into the classroom. Learning and teaching of English as a foreign language is affected by lack of a surrounding community of English speakers outside the classroom. It makes learning and quality teaching more challenging when there are no English speakers available outside the classroom.

Thus, the most successful pedagogies enhance the quality of learning and teaching by applying technology-assisted teaching. Since providing an environment in which learners have the opportunities to interact in English is critical, using technology is of great importance and can ease foreign language learning. Technology also provides an environment in which learners increase their knowledge and creativity.

References:

1. Abbott, G., D. McKeating, J. Greenwood, and P. Wingard. 1981. The teaching of English as an international language. A practical guide. London: Collins.
2. Barad, D. P. Pedagogical issues related to speaking and listening skills & sound editing software: Audacity. *ELT Weekly*, 1(27). 2009
3. Forrester, M. Psychology of Language. SAGE Publications. 1996.
4. Nunan, D. Research Methods in Language Learning. Cambridge: Cambridge University
5. Second Language Acquisition. In National journal for publishing and mentoring doctoral student research. Retrieved September 25, 2007 from <http://www.nationalforum.com>
6. Widowson H.G. Aspects of Language Teaching. Oxford University Press. 1991.
7. Берман И. Н. Методика обучения английскому языку в неязыковых вузах. Москва, Высшая Школа, 1970.
8. Зимняя И.А. Педагогическая психология. Учебник для вузов. Изд.2-е. -М., 2001.

ნინო ბოჭორიშვილი

უცხო ენის სწავლების ზოგადი ასპექტები რეზიუმე

უცხო ენის სწავლების პროცესში ტექნოლოგიის გამოყენებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა დღესდღეობით უდავოა, რომ ტექნიკის გამოყენება მნიშვნელოვნად აადვილებს ენის შესწავლის პროცესს. უცხო ენის სწავლება გულისხმობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორცაა მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა. ამ უნარების სათანადო განვითარება ვერ მოხერხდება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ზეგავლენას, რომელსაც უკვე ათვისებული ინფორმაცია ახდენს ახლის ფორმირებაზე და სხვა აუცილებელ ფაქტორებს, რომელებიც გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებლები არიან.

უცხო ენის ეფექტურად შესწავლა მეტწილად დამოკიდებულია სტუდენტის მეხსიერებასა და მოტივაციაზე. სწორედ ამიტომ უნდა იცოდეს მასწავლებელმა, თუ როგორ დაეხმაროს სტუდენტს მასალის ადვილად ათვისებაში.

უცხო ენის შესწავლა დაკავშირებულია რამოდენიმე ძირითად პრობლემასთან: უცხო ენის შესწავლის მიზნებთან, სწავლების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და ტექნიკასთან. უცხო ენის შესწავლას უშუალო კავშირი აქვს ფსიქოლოგიასთან. უცხო ენის შესწავლის მეთოდები ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ლინგვისტიკის მნიშვნელოვან საკითხებთან. მიუხედავად ყველაფრისა, ნებისმიერი მეთოდით სწავლებისას ყოველთვის განიხილება ოთხი კომპონენტი. ესენია: საუბარი, მოსმენა, კითხვა და წერა.

ნაშრომში მიმოხილულია უცხო ენის სწავლების პედაგოგიური ასპექტები და სპეციფიკა. აღნიშნულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების როლი (სასწავლო პროცესის აქტივიზებისა და ინტერაქტიურობის ზრდა, პროცესის ინდივიდუალიზირება და დიფერენციაცია), რაც, თავის მხრივ, აადვილებს ენის შესწავლას.

Nino Bochorishvili

General Aspects of Foreign Language Teaching Process

Summary

Opportunities of introducing technology in foreign language teaching is critical, nevertheless, still it is of great importance and can ease the process of learning. Teaching a foreign language means formation and development the skills in hearing, speaking, reading, and writing. We cannot expect to develop such skills effectively if we do take into account the ways of forming them, the influence of already obtained habits on the formation of new ones, and many other necessary factors that psychology can supply us with.

Effective learning of a foreign language depends to a great extent on the student's memory and motivation. That is why a teacher must know how he or she can help to memorize and retain in memory the language material student learn.

Foreign language teaching covers some main problems: aims of teaching a foreign language, content of teaching, what to teach to achieve the aims, methods and techniques of teaching, how to teach a foreign language to achieve the aims in the most effective way. Foreign language teaching has a definite relation to physiology of the higher nervous system. Already interrelated theories of “conditioned reflexes“, or the “second signaling system” have a direct connection to the teaching of a foreign language. Methods of foreign language teaching is most closely related to linguistics deals with the problems which are significant. Nevertheless four competencies are always considered in any methods of teaching. Those are: speaking, listening, reading and writing.

Whereas language is connected with thinking, through foreign language study we can also develop the student's intellect. Teaching a foreign language develops the students' voluntary and involuntary memory, imaginative abilities, and will power. Indeed, in learning a new language the student should memorize words, idioms, sentence patterns, structures, and keep them in long-term memory ready to be used whenever they need them in speaking, reading, and writing.

Thus, the most successful pedagogies enhance the quality of learning and teaching by applying technology-assisted teaching. Since providing an environment in which learners have the technology also provides an environment in which learners increase their knowledge and creativity.

ინგა დიაკონიძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ALIENATION PROBLEM IN FOREIGN LANGUAGE LEARNER CLASSROOM AND SOME SOLUTION TECHNIQUES OFFERED

EU Integration and EU membership fuel and additional need for English proficiency. In a globalized, postmodern world a rather different model of education has emerged. With the aim of setting up a European Higher Education Area (EHEA), more than forty countries have joined the Bologna Process with the aim of standardizing higher education in Europe and thus make an open market for European and non-European citizens (Wächter 2008, 12-14). One of the undeniable consequences is the fact that many universities in Europe are desperately trying to internationalize their curricula. This approach offers several benefits, the most obvious of which is that it encourages academic cooperation and, consequently, staff and student mobility.

Internationalization of tertiary institutions usually means implementing higher education in English or, in simpler terms, Anglicization, since universities tend to use this language more and more as a means of instruction and a working language, with the aim of attracting not only international students but also staff and courses. Anglicization in higher education means making use of the English language as a lingua franca for academia (Mauranen and Ranta, 2-4) and converting material in the local language into English in an attempt to increase international cooperation or, more succinctly and directly, introducing a number of English-medium programmes.

The word internationalization primarily suggests, or should suggest, multiculturalism and multilingualism but a flow of cultures and languages other than English does not seem to exist. It is true that languages such as German and French try to keep up with English, but they are significantly less successful. Publication in international journals is a synonym of publication in English. Local languages used for publishing in local publications have little (if any) weight in a globalized world in contrast with almighty English. In fact, most ‘international’ journals based in non-English-speaking countries have become English-only publications, thus reducing multilingualism in that particular field and eliminating the status of any other language as an international language of science (Hamel 2007). Undergraduate and postgraduate programmes taught entirely in English increase year in, year out (Costa and Coleman, 29-32; Wächter and Maiworm 2008, 30-35) not only in Northern Europe, Germany and the Netherlands but also, although at a slower rate, in Southern Europe. Scholars for whom English is their second, or additional, language have a clear disadvantage, since nowadays (on the horns of a dilemma: publish or perish) a teacher may remain unknown on the international stage or academic community if s/he does not publish in English.

At least three main conclusions can be reached from the information presented so far. First of all, as Phillipson (Phillipson, 37) stated, “What emerges unambiguously is that in the Bologna Process, internationalization means English-medium higher education”. Secondly, as Coleman (Coleman, 11) stated, “It seems inevitable that English, in some form, will definitely become the language of education”. The European shift towards English-medium instruction is one of the consequences of the ‘Bologna Process and it has been a non-stop process since English became the international language for the dissemination of knowledge in, for example, scientific conferences several years ago. Finally, it seems to be true that, to a certain extent, most of us are somewhat forced to accept certain, sometimes controversial, beliefs due to the uncritical adoption of Anglo-Saxon paradigms (Phillipson, 65-67).

The policies of the Bologna Process state that all university students will have to accredit the knowledge of a foreign language – in the majority of cases English – to B1 or B2 level of the European Framework of Reference in order to obtain their certificates. Therefore, universities will have to provide for this requirement.

Georgia as one of the signatories of the Bologna treaty completely shares the criteria set and strives to meet the requirements offered.

Mark Twain considered English to be the easiest language to learn among other several European languages. He used to say: “French always tangle up everything to that degree that when you start into a sentence you never know whether you are going to come out alive or not”. German is the most difficult language: “a gifted person ought to learn English in 30 hours, French in 30 days, and German in 30 years”.

However, learning ‘easiest English’ turns to be not so easy at all. Acquisition of the second language is not the linear process, it is not only about remembering constructions, vocabulary, grammar or phrases, it encompasses such deep and complex processes as acquisition of a new identity. When you study a foreign language, you touch upon another culture, values, attitudes and etc.

Scholars often argue (Warren, 30-40) about the need and role of target language culture competence in foreign language acquisition and in spite of controversial attitudes, through experiences and observations carried out, they came to the conclusion that fluency in a foreign language can’t be achieved without good knowledge of the target culture. Though, good knowledge of target culture, its values and specificity does not necessarily mean its complete adoption. It is a very sensitive process and has a great influence not only on foreign language acquisition process, but on the self-image, self-evaluations and attitudes of the language learner towards target language.

However, student’s self-image is his most precious’ possession. Yet this image is constantly threatened in a language class (or anywhere else). Some threats come from the foreignness of the language, others from the power imbalance between student and teacher, others from the student’s failure to live up to what he expects of himself. All of these threats produce various kinds of defensive behavior, which interfere with the quality as well as with quantity of learning. Learners can feel alienation in the process of learning a second language, alienation from people in their home, culture, the target culture, and from themselves. Teachers should try to run their courses in ways which will reduce these threats. A general strategy might include three elements: (1) trying to maximize’ student security; (2) arranging for students to study in ways that maximize their own self-investment in, the enterprise; (3) allowing students, as, much as possible, to learn from themselves and from one another, rather than directly from the teacher. These three elements are compatible with one another if the teacher concentrates on establishing and maintaining classroom routines and making necessary information available when needed, and if the teacher allows the students a large amount of responsibility for who says what to whom, and when(Stevick, 1-2).

Reasons and consequences as well as the types of alienation in the classroom can be different. It is also evident that it can’t be the subject matter of only linguistics or psycholinguistics. This paper is just a modest attempt to offer some techniques, which from the authors own experience, are helpful in ESL classroom to avoid/ fight alienation: They are numerous: such as: Role play, reading, films, simulation games, culture capsules and etc. two most effectives among them are: Role play and culture capsules which through my own experience, ESL students find interesting and are welcome in ESL classroom almost by all language level groups.

Obviously, these techniques discussed below (appendix 1) can't be the unique and universal for any ESL classroom, but they still are factors to avoid/fight alienation among ESL students by raising their self-confidence promoting cross cultural dialogue, giving them opportunities to practice speaking, listening and reading comprehension skills in target language.

Appendix 1

Role Playing Suggestions

Here are some role plays for you to use in practicing your telephone English.

Requesting Travel Information

Student A: Choose a city in your country. You are going to travel to this city for a business meeting over the next weekend. Telephone a travel agency and reserve the following:

- Round-trip flight
- Hotel room for two nights
- Restaurant recommendation
- Prices and departure times

Student B: You work in a travel agency. Listen to student A and offer him/her the following solutions:

- Round-trip flight: Air JW \$450 Coach, \$790 First Class
- Hotel room for two nights: Hotel City \$120 a night in the downtown area, Hotel Relax \$110 a night near the airport
- Restaurant Recommendation: Chez Marceau – downtown – average price \$70 a person

Title American Culture Capsule

Author Krista Bittenbender

Proficiency level Intermediate

Grade level secondary school - adult

Purpose of the activity Enlighten students about certain elements of American culture including pets, fast food, and the changing American family.

Type of activity

Includes a reading passage, discussion questions, and ideas for additional activities. Could be done as a whole class, small group, or partner activity. Any classroom setting and seating arrangement could be used.

Objective

ESL Standards for Pre-K-12 Students: Grades 9-12: Goal 2, Standard 2 To use English to achieve academically in all content areas: Students will use English to obtain, process, construct, and provide subject matter information in spoken and written form

Duration

One culture capsule reading passage and the corresponding discussion questions should easily be covered in less than a 50 minute class period, with some time left for the additional activities.

References:

1. **Coleman, J.A.** “English-medium teaching in European higher education”. *Language Teaching* 1–14, 2006
2. **Costa, F. and Coleman, J.A.** “Integrating content and language in higher education in Italy: Ongoing research”. *International CLIL Research Journal* 1 (3), 2010.
3. **Hamel, R.E.** “The dominance of English in the international scientific periodical literature and the future of language use in science”. *AILA Review* , 2007.
4. **Mauranen, A. and Ranta, E.** (Eds.). *English as a Lingua Franca: Studies and Findings*. Newcastle upon Tyne, UK: Cambridge Scholars Publishing, 2009.
5. **Phillipson, R.** “English in higher education: panacea or pandemic?” *Angles on the English-speaking World*, 2009.
6. **Phillipson, R.** “Figuring out the Anglicization of Europe”. In Leung, C. and J. Jenkins (Eds.) *Reconfiguring Europe*. London: Equinox, 2006.
7. **Stevick, Z. and Farl W.** .*Alienation as a Factor in the Learning of Foreign Languages*, – Paper presented at the Annual Meeting of the American Council on the Ted Ching of Foreign Languages, Washington, 1975.
8. **Warren Philip James** ‘Teaching English as a Second Language, Learning Strategies of Successful ESL Learner (dissertation paper), University of South Africa, 2001.
10. **Wächter, B.** *Internationalisation and the European Higher Education Area*, report prepared for the ‘official Bologna seminar’ of the Flemish government, Ghent, 2008. [http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/BolognaSeminars/documents/Ghent/Ghent May08 Bernd Waechter.pdf](http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/BolognaSeminars/documents/Ghent/Ghent%20May08%20Bernd%20Waechter.pdf)
11. **Wächter, B. and Maiworm, F.** *English-taught Programmes in European Higher Education*, Bonn: Lemmens, 2008.

ინგა დიაკონიძე

გაუცხოების პრობლემა უცხო ენის შესწავლისას და მისი გადაჭრის გზები რეზიუმე

ევროინტეგრაციის პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა უცხო ენის როლი, განსაკუთრებით, ინგლისური ენის მაღალ დონეზე დაუფლების საჭიროება. მეორე ენის შესწავლა არარის სწორხაზოვანი და მარტივი პროცესი. ენის შემსწავლელს შეიძლება დაეუფლოს გაუცხოების გრძნობა.

გაუცხოების ტიპები, მიზეზები და შედეგები მრავალფეროვანია. წარმოდგენილ სტატიაში ავტორი გამოყოფს რამოდენიმე მეთოდს, რომლებიც ეფექტურია გაუცხოების პრობლემის დაძლევისა და პრევენციისათვის უცხო ენის შესწავლის თითქმის ყველა ეტაპზე.

Inga Diakonidze

Alienation Problem in Foreign Language Learner Classroom and Some Solution Techniques Offered Summary

EU integration process significantly increased the role of the second language, especially the need for English proficiency. However, it is not the linear and easy process. Learners can feel alienation in the process of learning a second language.

Reasons and consequences as well as the types of alienation in foreign language learner classroom can be various. Author discusses some classroom techniques that are most effective to avoid/fight the alienation almost for all language level groups.

Ia Ioseliani

Guram Tavartkiladze Teaching University

INTERCULTURAL COMMUNICATION INTERCULTURAL COMMUNICATION IN A DYNAMIC WORLD

We live in an era where Intercultural Communication skills are not just an asset; they are a requirement. Never before has it been so easy for people from different nations and ethnicities to meet and interact. This increased intermingling is largely the product of the stunning advances in technology that now allow people to move quickly and easily across vast distances, both physically and virtually. People all over the world now interact daily with others through the medium of modern telecommunications – telephones, Internet, teleconferencing, etc. They use e-mail to communicate daily, talk via Skype several times a week, and travel to visit each other two or three months, all the while dealing with their cultural and linguistic differences. Long-distance intercultural relationships, such as theirs, are becoming increasingly commonplace as distances across the global community continue to shrink.

“Globalization”, “global society”, “world community”, “homogenized” come catch phrases used to characterize the increased economic and social integration of national populations and ethnicities. As a rule, the requirement to understand cultural differences and communicate across cultural borders has increased exponentially.

Ways to Improve Intercultural communication

Intercultural Communication skills are important in ‘Today’s workplace. These skills can help you avoid unnecessary misunderstandings and misinterpretations due to ineffective communication. You can forestall frustration, tension and decreased productivity. Improve intercultural communication skills by learning about other people’s cultures and communication styles; unlock the potential for a creative and dynamic cross-cultural environment.

The definition of intercultural communication must also include stands of the field that contribute to it such as anthropology, cultural studies, psychology and communication. Regarding their importance of teaching culture in second language classrooms, many scholars today believe that culture and language are inseparable and culture learning must be an integral part of language learning.

As a result of the attention given to strategy analysis, a new generation of ESP materials was founded. This new generation of materials is based on conception of language or conception of need. The concerns was with language learning rather than language use. A truly valid approach to ESP would be based on an understanding of the processes of language learning. The main objective of ESP is usually developing communicative competence. This could only be achieved through an adoption of authentic materials that serve the needs of learners in different fields such as aviation, business technology etc. Others prepare learners for work in the fields such as law, medicine, engineering, etc. The problem that frequently arises with such ESP courses is the teachers' dependence on published textbooks available. These textbooks rarely include authentic materials in their design. A trained teacher should therefore, resort to supplementary material that compensate for the lack of authenticity in textbooks. A teacher who tries to help his pupils to speak fluent English should emphasize the basic aims of situational English:

- 1) To build up confidence in dealing with everyday situations.
- 2) To familiarize students with appropriate language in everyday situations.
- 3) To enable students to understand everyday speech.
- 4) To practice speaking and listening skills.
- 5) To improve pronunciation skills.
- 6) To raise cultural awareness (Hewings, 115.)

While teaching a story from the textbook, the teacher can differentiate the stories written in British English and American English. If the teacher is able to give facts regarding the different words used by the British and Americans for the same thing, she would be able to hold the students' attention. For example, Americans use "gas" for "petrol" "elevator" for "lift". It's very necessary that English teacher tries to come up with creative, innovative and entertaining ways of teaching English to the students. The teachers are expected to make use of all the resources of language teaching. This resource includes lectures, books, group discussions, worksheets, word games, creating class newspapers or collection of writings for linguistic intelligence involving students speeches, story-telling, debates, journal keeping , memorizing and using word processor involving linguistic intelligence. For logical and mathematical intelligence the resources are scientific demonstration logic problems and puzzles and etc. The interpersonal intelligence to work with others can be enhanced or explored through cooperative groups, peer teaching and group brainstorming involving conflict mediation, board games and pair work. All these activities are based on MI (Multiple Intelligence Method), which belongs to a group of instructional perspectives that focus on differences in teaching. MI theory is based on the work of Howard Gardner of the Harvard Graduate School of Education, which encourages learning that goes beyond traditional books, pens and pencils.

English language teaching methodology has been shifting almost every twenty years. These changes are based on a range of factors such as the motive of the learners, the prevailing psychological theories of learning, the linguistic theories and advance modern technology.

Top 10 English as a second language teaching methods with activities are widely used all over the world.

1. FVR-FREE VOLUNTARY READING. FVR is simply allowing students to read materials of their own choosing without the pressure of rewards, book reports or testing. FVR is the best way for the student

to improve language skills (L1 or L2) on their own. **ACTIVITY:** Teachers provide time, space and a variety of materials for students to read. Students should also be allowed to bring their own materials if they desire.

2. **PARTICIPATORY LEARNING.** Participatory learning allowing the students to offer ideas and feedback about what goes on in the classroom. “What it means is that the teacher shares power and encourages student input into many areas of classroom life over which the teacher has traditionally made all the decision-planning lessons, choosing themes and issues. **ACTIVITY:** When playing a game such as Scatter stories, students are asked to provide suggestions for the list of topics they will use in the game and the order in which they would like them to appear.

3. **CONTENT AND LANGUAGE INTEGRATED LEARNING.** CLIL is “both learning another (content) subject...through the medium of a foreign language and learning a foreign language by studying a content based subject.” An advantage to the CLIL method is that students increase their knowledge of the L2 while increasing their knowledge of another subject often, L2 learning materials are very “Dick and Jane” and not relevant or interesting to the student. **ACTIVITY:** A friend of mine is hosting a foreign country where he is going to create the curriculum for an English language immersion. All classes and activities are conducted in English.

4. **TOTAL PHYSICAL RESPONSE.** (TPR) “In the 1960’s James Asher first offered” (Richard- Amato) TPR. TPR “involves giving commands to which students react.” TPR is great for all ages and especially beginners as it allows them to learn the L2, while giving them to maximize the potential of their silent period. ”**ACTIVITY:** One of my favorite way to use TPR is to introduce basic classroom items and commands. These commands are essential if the students are to succeed in my class and for me to succeed as a teacher.

5. **ROLE PLAY LESSON** plans that use Role Play in the classroom can be reality or fantasy based. Role Play gives students the opportunity to experiment with real life situations and practice new cultural norms in the comfort and safety of the classroom. Under the supervision of a teacher whom they trust, they can learn to assimilate into their new culture. They can practice essential situations that may come up in daily life or while traveling. **ACTIVITY:** Topics include: at the bank, at the doctors, car accident, being polite to police, job interview application and at the restaurant. I ask the class regularly if they have a new situation, that have come up so we can address them using role play in class.

6. **AUDIO-LINGUAL Method.** The Audio- Lingual Method originated in the United States. It was first used in the US armed forces, in the 1950’s as a “crash course” for soldiers to learn new languages. It’s a “non- communicative approach (to teaching) that involves heavy use of mimicry, imitation and drill. Speech (and listening) and not writing is emphasized.” **ACTIVITY:** Lots of “repeat after the teacher.”

7. **MUSIC** “At beginning levels, music can be used to teach basic vocabulary. Colors, body parts, simple actions (and phrases), clothes and names of people are only a few of the concepts that can be taught through music.” .**ACTIVITY:** Every lesson includes a song, which is taught to the class. Students easily remember the songs.

8. **STORY –TELLINGS.** A lesson plan that includes Story-Telling Activities, allows students to be creative and fosters the natural approach to learning a second language. **ACTIVITY:** To use cartoons with empty caption bubbles in the classroom. Sometimes soon as part of the lesson plan. Give choice to the students to work alone or together.

9. **WARM UP.** When teaching abroad students entire lives are in their native language. When they enter English classroom they are not thinking in English. It’s important to use Warm-Ups at the beginning of

class give students the opportunity to get their brain into an English frame. ACTIVITY: Warm- UP for more advanced students is to practice past and future tense.

10. GRAMMAR – TRANSLATION. “Grammar-Translation Method (Prussian Method) began in Germany (Prussia), at the end of the 18th century and became popular in early years of the 19th century. The goal of this approach was to produce students who could read and write in the target language by teaching the rules and applications. ACTIVITY: Students must translate short stories to ensure the entire class understands (Jack C. Richards and Theodor s. Rodgers 35)

The predictable result brought about by this course is that it will flourish and research of European Integration. The innovation Character of the course can be understood from the following angles. The relevant disciplines, such as linguistics, sociolinguistics, education and politics are all used to analyze the phenomenon of integration in Europe.

References:

1. Hewings, “A History of ESP through English for Specific Purposes” M; 2002.
2. Jack C. Richards and Theodor S. Rodgers “Approaches and Methods in Language Teaching.”
3. Lazer, D Seven Ways of Teaching: “The Art History of Teaching with Multiple Intelligence”
4. Shore, C. Building Europe: “The Cultural Politics of European Integration”. London and New York, 2000.

ნინო ნადარეიშვილი

ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები ევრო-ინტეგრაციის გზაზე რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება უცხო ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ევრო-ინტეგრაციის გზაზე.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რასაც პედაგოგები წარმოადგენენ სწავლების პროცესში, არის გაკვეთილის დაგეგმვა, განვითარება და სწავლების ორგანიზება.

ნაშრომში შემოთავაზებულია რჩევები, რაც უდავოდ ხელ შეუწყობს გაკვეთილის სწორად წარმართვის უნარების ჩამოყალიბებას. აქვე ნაჩვენებია თანამედროვე სწავლების მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

Nino Nadareishvili

Cotemporary Teaching Methods of English Due To Euro Integration

Summary

This article deals with the contemporary teaching methods of foreign languages, as an essential and important factor due to Europe Integration.

We emphasize one of the six main tasks that teachers perform during the teaching process that is planning, developing and organizing instruction.

The author provides a long list of quick tips that you can use right away to increase classroom management skills within the classes.

This article also focuses on the pros and cons of contemporary teaching methods.

როგორ დავეუფლოთ სწორ ინგლისურ წარმოთქმას დოქტორ სეუსთან ერთად – ლიტერატურა სწორი წარმოთქმის სამსახურში

ინგლისური ენა წარმოთქმის თვალსაზრისით მეტად რთული ენაა. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სიტყვების უდიდესი ნაწილი ფრანგული, ბერძნული, გერმანული, ლათინური ენებიდან არის ნასესხები. ის სტუდენტებიც კი, რომლებიც საშუალო დონეზე ან მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურს, გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან ინგლისური სიტყვების წარმოთქმასთან დაკავშირებით. შესაძლებელია ისინი თითოეულ ბგერას სწორად გამოთქვამდნენ, მაგრამ მათ სჭირდებათ მუშაობა მახვილზე, ინტონაციაზე, სწორ პაუზირებაზე და რითმზე. ერთი სიტყვით, მათ სჭირდებათ მუშაობა სწორი „გაბმული მეტყველების“ დასაუფლებლად.

როგორ შეიძლება ამ პრობლემების დაძლევა ისე, რომ ფონეტიკის გაკვეთილები საინტერესო გახდეს როგორც სტუდენტებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის? მოცემულ სტატიაში წარმოვადგენთ იმ სწავლების მეთოდებს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით გამოვიყენებთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ფონეტიკის პრაქტიკულ გაკვეთილებზე პირველ კურსელ სტუდენტებთან.

უნივერსიტეტში მუშაობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხშირად სტუდენტებს კარგად აქვთ გამოიმუშავებული კითხვის და წერის უნარ-ჩვევები, მაგრამ მათი წარმოთქმა არ მოდის მათ დონესთან შესაბამისობაში. სასწავლო მასალა რომელსაც ჩვენ ფონეტიკის პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოვიყენებთ სხვადასხვაგვარია: ლიტერატურული ტექსტებიდან ამონარიდები (ლექსები და პროზაული ნაწარმოებები), ცნობილ ადამიანთა სიტყვით გამოსვლები, სიმღერები, ენის გასატეხები.

ვთვლით, რომ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორი წარმოთქმის დასაუფლებლად არის სწორად შერჩეული მხატვრული ლიტერატურის გამოყენება ფონეტიკის გაკვეთილებზე. დოქტორ სეუს გიზელის პოეტური ნაწარმოებები: “Fox in socks,” “Oh, Say Can you say?,” “Hop on Pop,” “Horton Hears a Who“ სავსეა საოცრად საჭირო ფონეტიკური სავარჯიშოებით. ამ ლექსებში ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ ბგერებზე, უფრო მეტიც, პირველი ორი წიგნი ეპიკურ ენის გასატეხთა წიგნად ითვლება. რაც შეეხება მესამე წიგნს, იგი სტუდენტებს ეხმარება რითმის ათვისებაში, მოკლე ხმოვნების და ბოლოკიდური ბგერების სწორად წარმოთქმაში.

სამწუხაროდ დოქტორ სეუსის ლექსებს ძალიან ცოტა ადამიანი თუ იცნობს საქართველოში და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მის ლექსებს, როგორც სასწავლო მასალას ფონეტიკის პრაქტიკულ გაკვეთილებზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არავინ გამოიყენებს. ან არადა სეუსის ლექსები, ხატოვნად რომ ვთქვათ, ნამდვილ „ტორნადოს გავს ენაზე“ და საუკეთესო საშუალებაა სწორი წარმოთქმის დასაუფლებლად. უფრო მეტიც, დოქტორ სეუსის აბსურდული ტექსტები გვეხმარება არა მარტო წარმოთქმის, არამედ კითხვის უნარის გაუმჯობესებაშიც. ასევე მისი ნაწარმოებების საშუალებით ვეცნობით აბსურდული პოეზიის ნიმუშებს, ვიმდიდრებთ ლექსიკას სეუსისეული ნეოლოგიზმებითა და ნონს სიტყვებით.

წარმოვადგენთ რამდენიმე აქტივობას რომელსაც ხშირად ვიყენებთ ინგლისური ენის ფონეტიკის გაკვეთილებზე.

აქტივობას ჰქვია: “Doctor Seuss Tongue Twister Cards”. ამ აქტივობას ძირითადად filler-ად გამოვიყენებთ. სტუდენტებს ვთხოვთ სახლში, დამოუკიდებლად გაეცნონ დოქტორ სეუსის ცნობილ ლექსების კრებულებს და ამონერონ მათთვის ყველაზე რთული ენის გასატეხი. თითოეული სტუდენტი ამონერს თითო ენის გასატეხს და მუშაობს ამ ენის გასატეხის სწორად წარმოთქმაზე. გაკვეთილზე სტუდენტები წარმოადგენენ მათ მიერ შერჩეულ ენის გასატეხს ჯერ თავად, შემდეგ კი ბარათს გადასცემენ მათ გვერდით მჯდომს. პარტნიორი ცდილობს რამდენიმე წუთის მანძილზე დაამუშაოს ენის გასატეხი და წარმოადგინოს იგი აუდიტორიის წინაშე. ამგვარი სახით ხდება სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაოს შემოწმება და ახალი მასალის დაუფლება. ამავე დროს სტუდენტები ახდენენ ენის გასატეხების შეკრებას. ხშირ შემთხვევაში ნახალისებული სტუდენტები თავადაც მუშაობენ ახალი ენის გასატეხის შექმნაზე.

მეორე აქტივობა გახლავთ “Whisper game“ იგივე “Chinese whisper“, რომელსაც სტუდენტთა განტვირთვის მიზნით, გაკვეთილის ბოლოს, როგორც cooler-ს ისე გამოვიყენებთ. ამ აქტივობის დროს მაგიდის ირგვლივ წრიულად შემომსხდარი სტუდენტების ლიდერს მასწავლებელი ჩასწორჩულებს რომელიმე მოკლე ენის გასატეხს დოქტორ სეუსის ლექსიდან “Oh, Say Can you say?” ვთქვათ Bed Spreaders spread spreads on beds an Bread Spreaders spread butter on breads. ლიდერი იმახსოვრებს ენის გასატეხს და იგივეს ჩასწორჩულებს მის გვერდით მჯდომს და ასე გრძელდება მანამ, სანამ უკანასკნელი მათგანი არ მოახდენს ენის გასატეხის წერილობით დემონსტრირებას დაფაზე. აქტივობა აუმჯობესებს მეხსიერებას და ამოწმებს სტუდენტების მართლწერას.

აქტივობა, რომელიც ასევე კარგად მუშაობს ფონეტიკის გაკვეთილებზე, არის “Rhyming word families“. აქტივობის წყაროდ გამოვიყენებთ დოქტორ სეუსს გიზელის “Fox in Socks” და “Hop on Pop“. სანამ უშუალოდ ლექსის ნელ ტემპში კითხვას შევუდგებოდეთ, სტუდენტებს ვურიგებთ ბარათებს, რომლებზედაც ფონემათა ჯგუფებია (მაგალითად ox, icks, ocks) გამოსახული. ყოველი ერთი სტროფის ნაკითხვის შემდეგ ვჩერდებით და ვთხოვთ სტუდენტებს გვაჩვენონ ის ბარათი, რომელზეც სტროფში გამოყენებული დომინანტი ფონემათა ჯგუფი იყო გამოსახული. ამავედროულად სტუდენტები ასახელებენ იმ სიტყვებს, რომლებშიც ეს ფონემათა ჯგუფი შედიოდა. მაგალითად: **ox** (box, fox, Knox), **icks** (bricks, chicks, tricks), **ocks** (clocks, blocks, rocks, tocks). ზემოთ შემოთავაზებული აქტივობის ვარიაციას წარმოადგენს, აქტივობა, რომლის დროსაც ლექსის “Hop on Pop“-ის აუდიო ჩანაწერის მოსმენის დროს სტუდენტებს ვთხოვთ ყურადღებით მოისმინონ და ჩაინიშნონ ის სიტყვები, რომლებიც მოკლე ხმოვნებს შეიცავს და ერთმანეთს ერთმანეთს. მას შემდეგ რაც სტუდენტები შეადგენენ ე.წ. “Rhyming word families“, ისინი ცდილობენ მოიგონონ სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს ერთმანეთს და შექმნან მსგავსი სახის ისტორია დოქტორ სეუსის სტილში. ეს აქტივობა ზრდის მათში კრეატიულობის სურვილს.

ამ აქტივობების გარდა, სასურველია თითოეული ფონემის შესწავლის დროს სპეციალურად შერჩეული ენის გასატეხის შესწავლა, მაგალითად:

*If you like to eat potato **chips**
 and **chew** pork **chops** on clipper **ships**,*

*I suggest that you **chew**
a few **chips** and a **chop**
at Skipper Zipp's Clipper Ship Chip Chop Shop.*

სემესტრის ბოლოს, როცა უკვე სტუდენტები კარგად იცნობენ დოქტორ სეუსის შემოქმედებას, ჩვენ გადავდივართ ზემოთ დასახელებული ლექსების კითხვაზე, აუდიო მასალის ზუსტ პროდუცირებაზე და საკუთარი აუდიო ჩანაწერის გაკეთებაზე.

სტუდენტებთან დოქტორ სეუსის ლიტერატურული ნაწარმოებებით მუშაობამ გამოავლინა, რომ ეს ნაწარმოებები და მათში წარმოდგენილი ენის გასატეხები სტუდენტებს ეხმარება უცხო ენის ფონეტიკური მახასიათებლების ათვისებაში. მათი გამოყენება ნებისმიერ ენობრივ დონეზე გამართლებულია რადგანაც იგი ხვენს სტუდენტთა დიქციას, აუმჯობესებს თითოეული ბგერის წარმოთქმას, წესრიგში მოჰყავს საარტიკულაციო სისტემა, უფითარებს სტუდენტს არა მხოლოდ მოსმენით უნარ-ჩვევებს, მეხსიერებას და დაკვირვების უნარს, არამედ აცნობს თანამედროვე აბსურდულ პოეზიას, უვსებს ლექსიკას ახალი ენობრივი ერთეულებით და ზრდის სტუდენტში კრეატიულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. A. Cramer “Horton Hears a Phoneme: Dr. Seuss for Phonetics and Pronunciation”, Proceedings of the CATESOL State Conference, 2005.
2. J. Katcher “Mastering English Pronunciation through Literature” Annual Meeting of the International Conference on Language Teaching/Learning of the Japan Association of Language Teachers, 1988.
3. M. Hişmanoğlu “Teaching English Through Literature”, Journal of Language and Linguistic Studies, Vol.1, No.1, April 2005.
4. *Dr. Seuss Lesson Plans*, www.webenglishteacher.com/drseuss.html

თეა შავლაძე, მაია ტაკიძე

როგორ დავეუფლოთ სწორ ინგლისურ წარმოთქმას დოქტორ სეუსთან ერთად

– ლიტერატურა სწორი წარმოთქმის სამსახურში

რეზიუმე

ინგლისური ენა წარმოთქმის თვალსაზრისით მეტად რთული ენაა. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სიტყვების უდიდესი ნაწილი ფრანგული, ბერძნული, გერმანული, ლათინური ენებიდან არის ნასესხები. ის სტუდენტებიც კი, რომლებიც საშუალო დონეზე ან მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურს, გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან ინგლისური სიტყვების წარმოთქმისას. შესაძლებელია, ისინი თითოეულ ბგერას სწორად გამოთქვამდნენ, მაგრამ მათ სჭირდებათ მუშაობა მახვილზე, ინტონაციაზე, სწორ პაუზირებაზე და რითმზე. ერთი სიტყვით, მათ სჭირდებათ მუშაობა სწორი „გაბმული მეტყველების“ დასაუფლებლად.

როგორ შეიძლება ამ პრობლემების დაძლევა ისე, რომ ფონეტიკის გაკვეთილები საინტერესო გახდეს როგორც სტუდენტებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის? მოცემულ სტატიაში წარმოვადგინებთ იმ სწავლების მეთოდებს, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ვიყენებთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ფონეტიკის პრაქტიკულ გაკვეთილებზე.

ვთვლით, რომ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორი წარმოთქმის დასაუფლებლად არის სათანადოდ შერჩეული მხატვრული ლიტერატურის გამოყენება. დოქტორ სეუს გიზელის პოეტური ნაწარმოებები: “Fox in socks”, “Oh, Say Can you say?”, “Hop on Pop”, “Horton Hears a Who” სავსეა საოცრად საჭირო ფონეტიკური სავარჯიშოებით. ამ ლექსებში ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ ბგერებზე, უფრო მეტიც, პირველი ორი წიგნი ეპიკური ენის გასატეხთა წიგნად ითვლება. რაც შეეხება მესამე ლექსს, იგი სტუდენტებს ეხმარება რითმის ათვისებაში, მოკლე ხმოვნების და ბოლოკიდური ბგერების სწორად წარმოთქმაში.

ჩვენმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ თუკი გარკვეულ დროს დავუთმობთ დოქტორ სეუსის ლექსებს და ენის გასატეხებს ინგლისური ენის ფონეტიკის გაკვეთილებზე, სასურველი შედეგი მალე დადგება.

Thea Shavladze, Maia Takidze

Mastering English Pronunciation through Literature – Dr. Seuss for Phonetics and Pronunciation

Summary

English is a very complicated language. Many English words, due to their roots in a variety of languages such as French, Greek, German and Latin, are known to be exceptionally hard to pronounce. Even at Intermediate, Upper-intermediate and Advanced levels, Georgian students have serious problems with English pronunciation. Although many students can produce the proper sounds in isolation, they need practice with connected speech for fluency at the sentence level and beyond.

How can these skills be taught in a way that both students and teachers find it stimulating? This paper demonstrates techniques and methods that are used successfully with 1st year foreign language students at Batumi Shota Rustaveli State University.

Dr. Seuss is an excellent and innovative teaching resource for students at the lessons of Phonetics. His books: “Fox in socks,” “Oh, Say Can you say?,” ”Hop on Pop,” ”Horton Hears a Who” are full of extremely useful mouth exercises. Dr. Seuss books focus on the most discrete words and sounds, thereby providing the learner of English with many practical opportunities for practicing phonetics and pronunciation. The first two books are considered to be epic tongue twister books which warm up all the aspects of the vocal instrument including lips, the teeth, and the tip of the tongue. As for “Hop on Pop”, it is a book which can help students learn about rhyming words, short vowels and final letter sounds. These poems and tongue twisters may help students feel the stress patterns and rhythm of English and cause speech fluency.

Spending just a few minutes practicing these poems each day can do wonders for our articulation and pronunciation.

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საბანკო რისკების მართვაში

საფინანსო ორგანიზაციების ეფექტური მუშაობა განისაზღვრება ამ ორგანიზაციებში ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნქციონირების ეფექტურობით. საფინანსო ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკების მართვის პროცესების ავტომატიზაცია, რომლის გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია რისკების მათემატიკური შეფასება.

საფინანსო ორგანიზაციებში ფინანსური რისკების მართვის ოპერაციები უნდა განხორციელდეს ავტომატურ ან ავტომატიზებულ რეჟიმში. არსებობს რისკების მართვის მხარდამჭერი ბევრი პროგრამული პაკეტი. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს გადაწყვეტილებების მიღების მხარდამჭერ ინფორმაციულ სისტემას, რომელიც შეიცავს რისკების მართვის მოდულს. ზოგიერთები წარმოადგენენ სხვადასხვა ფუნქციონალური სისტემების დანართს და დამატებას, როგორცაა, მაგალითად, უმარტივესი – კალენდარული დაგეგმარების სისტემა და ურთულესი – სანარმოს მართვის კომპლექსური სისტემა. იშვიათად გვხვდება რისკების მართვის დამოუკიდებელი პროგრამული პროდუქტები.

რისკების მართვის სისტემების დანერგვის პროცესი არ უნდა განხორციელდეს მანამდე, სანამ ბანკი ზუსტად არ განსაზღვრავს რისკების მართვისა და შეფასების მეთოდოლოგიას. სისტემის დანერგვის ადრეულ სტადიაზე ბანკს შესაძლებელია შეექმნას პრობლემა და რამდენჯერმე შეცვალოს სისტემა, მაგალითად, ინფორმაციის არასრულყოფილების გამო.

ბანკი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე იძულებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რისკების მართვას. ეს აიხსნება საკრედიტო ორგანიზების სპეციფიკით.

ბანკისა და საკრედიტო ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს, განხორციელდეს რისკისა და მოგებას შორის ოპტიმიზაცია. მკვეთრად დგას ჩატარებული ოპერაციების რისკის შეფასების საკითხი, როგორცაა – მოგების არმიღება ან დაბანდებული საშუალებების მთლიანად დაკარგვა, რამაც შეიძლება ბანკი მიიყვანოს არამართო მოგების სრულ დაკარგვამდე, არამედ გაკოტრებამდეც.

საკრედიტო ორგანიზაციის რისკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადგილით, დროითა და წარმოშობის მიზეზით. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ მიერ რისკების მართვის მეთოდის არჩევანზე. რისკების დროული და წარმატებული მართვა ნებისმიერი ბანკის კონკურენტუნარიანობისა და სანდოობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

დღესდღეისობით, რისკების განსაზღვრის მრავალი ვარიანტი არსებობს. ბოლო დროს მას ხშირად განსაზღვრავენ სხვადასხვა ასპექტში:

რისკი, როგორც საშუალება (რაც უფრო მაღალია რისკი, მით მეტია პოტენციური მოგება, მაგრამ ასევე მაღალია შესაძლო დანაკარგის ალბათობა);

რისკი, როგორც საშიშროება ან საფრთხე (ნეგატიური მოვლენები: ფინანსური დანაკარგები, თაღლითობა, ძარცვა, გაკოტრება, სასამართლო პროცესებში მონაწილეობა და ა.შ.);

რისკი, როგორც განუსაზღვრელობა (საქმიანობის პროცესში არასასურველი სიტუაციებისა და შედეგების წარმოქმნის შესაძლებლობა).

ხშირად რისკის დადებითი შემადგენელი საერთოდ არ გაითვალისწინება. ასეთ შემთხვევაში ბანკი რისკს აღიქვამს, მხოლოდ როგორც წარმატებული საქმიანობის შესაძლო შეფერხებას.

ბანკების მენეჯმენტში რისკის მართვა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო. რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს, მოიძებნოს გზა რისკის ადრეული იდენტიფიცირებისათვის. რისკების მართვის მთავარი ამოცანაა ფორმალიზებული ინფორმაციის წარმოდგენა რისკების დადგომის შესაძლებლობების შესახებ, რისკებთან ბრძოლის ხერხების არჩევა და მათზე რეაგირების კონტროლი (<http://md-hr.ru/articles/html/article32645.html>).

რისკის თანამედროვე გაგება, მისი ხარისხობრივი შეფასება და კონტროლი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს დანაკარგები რისკის დადგომისას.

რისკების მართვის ეტაპები. რისკის მართვა არის იტერაციული პროცესი, რომელშიც გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები: რისკის იდენტიფიცირება, რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რისკებზე ზემოქმედების მექანიზმის შერჩევა, შედეგების კონტროლი და კორექტირება.

რისკის იდენტიფიცირება – ყველაზე კრიტიკული ეტაპია, რომელიც გავლენას ახდენს საკრედიტო დაწესებულებაზე. ამ ეტაპზე გაითვალისწინება ყველა ფაქტორი და მდგომარეობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკის მომგებიანობაზე. ეს ნაბიჯი მოითხოვს ფინანსური ოპერაციების ღრმა ცოდნას. მოძიებული ინფორმაცია საკმარისი უნდა იყოს რისკის ფაქტორის იდენტიფიცირების, მისი შემდგომი დამუშავებისა და ანალიზისათვის.

რისკის ხარისხობრივი ანალიზი – მოიცავს რისკის ფაქტორის განსაზღვრას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სარისკო სიტუაციები და შესაძლო დანაკარგები. იმ შემთხვევაში, თუ მოვლენები განვითარდა უარესი სცენარით, გამოითვლება მაქსიმალური ზარალი. ფინანსური ზარალი, რომელიც შეიძლება განერილი იყოს ბანკის მიერ, ექვემდებარება იმავე რისკის მართვას. სხვადასხვა სახის რისკისთვის შესაძლოა აგებული იქნეს ფუნქცია – ზარალის განაწილების ალბათობის დამოკიდებულებისა მის მოცულობაზე.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი – ცალკეული რისკების რიცხვითი სიდიდის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა და მდგომარეობს სტატისტიკური მონაცემების შეკრებასა და დამუშავებაში.

რისკზე ზემოქმედების მეთოდების არჩევა – საშუალებას იძლევა, ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად მოხდეს ეფექტურობის შედარებითი შეფასება. ზემოქმედების მეთოდების შედარება შესაძლებელია სხვადასხვა ფაქტორების საფუძველზე – ეკონომიკური, ფინანსური და ა.შ. ამავე ეტაპზე ასევე განისაზღვრება საჭირო ფინანსური და შრომითი რესურსები ზემოქმედების შერჩეული მეთოდის რეალიზებისათვის.

კონტროლი და შედეგების კორექტირება – არის ყველა პროცესისა და რისკის მართვის დასკვნითი ეტაპი. საქმე ეხება მენეჯერების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მათ მიერ მიღებულ ზომებს. ამ ეტაპზე დროულად და ხარისხიანად წყდება პრობლემები, რისკების მართვა, ანალიზი, თუ რამდენად ადეკვატური ზომებია მიღებული, ოპერაციების მოცულობა. საერთო კონტროლი უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი ფინანსური და ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ.

რისკების კლასიფიკაცია. იმისთვის, რომ წარმატებით ვმართოთ სხვადასხვა სახის რისკები, საჭიროა მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია. ბანკები თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ეხებიან სხვადასხვა სახის რისკს. რისკების კლასიფიკაციის კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი წარმოქმნის სფერო და წყარო. ამ პრინციპით რისკები შეიძლება დავყოთ, როგორც – ფინანსური, ფუნქციონალური და გარე.

ფინანსური რისკებიდან უფრო მეტადაა გავრცელებული:

საპროცენტო განაკვეთის რისკი – თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ ასეთი რისკების მოდელირება მათემატიკური მოდელების გამოყენებით. მათემატიკური მოდელი შედგება ერთ პარამეტრზე დამოკიდებული მიზნის ფუნქციისგან. ამ პარამეტრის მნიშვნელობა საჭიროებს მინიმიზაციას ან მაქსიმიზაციას, მაგალითად, მაქსიმალური გახდეს სუფთა საპროცენტო შემოსავალი.

საკრედიტო რისკი – ბანკის აქტივების შემცირების ღირებულება. განსაკუთრებით ეს ეხება კრედიტებს, როდესაც არ ხორციელდება მსესხებლისადმი პირობების დაცვა. საკრედიტო რისკის ანალიზისას წარმოებს ემიტენტებისა და კონტრაგენტების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ინფორმაციული სისტემების საშუალებით შესაძლებელია მოხდეს ასეთი რისკების შეფასება და მართვა საფინანსო და საფონდო ბაზარზე.

არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიები ახორციელებენ ფინანსურ და საფონდო ბირჟებზე კონტრაგენტებზე ოპერაციის ჩატარებას, ასევე – კომერციულ კრედიტებზე რისკების მართვას. კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება შიდა საკრედიტო რეიტინგის რისკების მართვის სისტემა.

ლიკვიდურობის რისკი – ბანკს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, შეასრულოს თავისი ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდურობის ანალიზისთვის განისაზღვრება ის ძირეული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მდგომარეობაზე. პროგნოზის მიხედვით ხორციელდება ამ ფაქტორების შესაძლო ცვლილებები, რის შედეგადაც განისაზღვრება ბანკის ლიკვიდურობის სცენარები. ბანკის ლიკვიდურობის რისკის ანალიზისას გამოითვლება ლიკვიდური აქტივების მარაგი (მომენტალური ლიკვიდურობა) და სადეპოზიტო ბაზის კონცენტრაცია. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, on-line რეჟიმში გაკონტროლდეს აქტივები, ვალდებულებები, მათი წყვეტა და ა.შ.

სავალუტო რისკი – ეს არის უცხოური ვალუტის კურსის არასასურველი ცვლილების გამო წარმოქმნილი დანაკარგის რისკი. ის წარმოიშობება მხოლოდ ღია პოზიციის არსებობის შემთხვევაში. ფულადი ზარალის მინიმუმამდე დასაცვანად უნდა გამოვიყენოთ საინფორმაციო სისტემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, რეალურ დროში აისახოს კურსის ცვალებადობა და ამ ცვალებადობის შესახებ მსოფლიო სავალუტო ბაზარზე უახლესი ინფორმაციები.

სტრატეგიული რისკი – ეს რისკი ასოცირდება ბანკის მენეჯმენტში სტრატეგიულ შეცდომებთან, როგორცაა: ორგანიზაციის მიერ მიზნის არასწორი ფორმულირება, რესურსების არასწორი რეალიზაცია და საბანკო რისკების მართვისადმი არასწორი მიდგომა. სტრატეგიული რისკი ასევე ასახავს ბანკის მიერ გეოგრაფიული და პროდუქტიული სეგმენტის გათვალისწინებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკი პერსონალსა და კლიენტს შორის, რაც განისაზღვრება მონაცემებთან და სააღრიცხვო ჩანაწერებთან არასანქცირებული წვდომით. ასეთი რისკებისგან თავის დასაცავად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავტომატიზებული საშუალებები, რომლებიც ყველა სახის ინფორმაციაზე წვდომას ზღუდავენ. მოსახერხებელია, გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის დაშიფრვა.

საბანკო და ფინანსური რისკების მართვის პროგრამული გადაწყვეტა. რისკების მართვის ფუნქციები საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ყველა ბანკის მიერ გამოიყენება და შედის პრაქტიკულად ყველა თანამედროვე საბანკო სისტემის შემადგენლობაში. ძირითადად, ეს ფუნქციები ეხება სავალუტო პოზიციის კონტროლს (ლიკვიდურობის რისკი) და გამოიყენება ხაზინის სამსახურის მიერ.

ფინანსური რისკების მართვის სპეციალიზირებულ ინსტრუმენტებს შორის შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი პროდუქტი:

SAS Risk Management (SAS) წარმოადგენს ბანკის რისკების მართვის სფეროში მსოფლიოში ცნობილ პროგრამულ გადაწყვეტას. მას აქვს რისკების მართვის მოქნილი, ღია და გაფართოებული გარემო (<http://www.sas.com>).

EGAR Focus-ი (EGAR Technology) ბანკებისა და საინვესტიციო კომპანიებისათვის კომპლექსური გადაწყვეტაა, რომელიც იძლევა სავალუტო პოზიციის მონიტორინგის, რისკების მართვის, ფინანსური ინსტრუმენტებით წარმოებული ფასის შეფასების საშუალებას და აწარმოებს რეალური დროის რეჟიმში მოგება-ზარალის გაანგარიშებას.

Kondor+ (Reuters) ყველაზე ფართოდ მოიცავს საინვესტიციო ბანკების ფუნქციონალური გარემოს სადილინგო მართვას, გარდა ამისა გამოიყენება ლიკვიდურობისა და საპროცენტო რისკის შეფასებისა და კონტროლისათვის. Kondor+ წარმოადგენს რეალურ დროში სავალუტო პოზიციის მართვის სისტემას. მას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი და მართვის მოქნილი საშუალებების სისტემა. მისი საშუალებით შესაძლებელია მოგება-ზარალის ანალიზი, აგრეთვე – ონლაინ რეჟიმში ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტების კომბინაციისა და ბანკის სავაჭრო სტრუქტურის ნებისმიერი სეგმენტის რისკის დონის გათვლა (<http://www.systematica.ru/articles/detail.php?ID=33>).

აღნიშნული გადაწყვეტილებები სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკების მართვის კომპლექსურ გადაწყვეტას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ყველა ბანკს არ შეუძლია ასეთი ძვირადღირებული სისტემის გამოყენება. ამიტომ ბევრი მათგანი იყენებს რისკების მართვის საკუთარ სისტემას, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი საბანკო რისკების (საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო) შეფასებასა და მართვას.

ბანკის ქვეგანყოფილების თანამშრომლების მიერ შემუშავებული ფინანსური რისკების მართვის მეთოდიკა წარმოადგენს სტანდარტული მეთოდიკის მათემატიკური გათვლის ინსტრუმენტს (სტრესული ანალიზი, მოდელირება, სცენარების ანალიზი), გაერთიანებულს გარე და შიდა ფაქტორების ცვლილების სისტემასთან, ინვესტიციების ეფექტურობის შეფასებასთან, ფულადი სახსრების გაცემასა და დაბრუნებასთან და ა.შ. ფინანსური რისკების მართვის სისტემის ხარისხი დამოკიდებული იქნება მასში შემავალი ინფორმაციის სისრულესა და აქტუალურობაზე. ყველა ტიპის რისკის მართვის ავტომატიზაციის ორგანიზება საკუთარი ძალებით ძალიან რთულია.

პროცესინგის (საპროცესინგო დაწესებულების საქმიანობა, რომელიც მოიცავს საბანკო ბარათებით წარმოებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას (შეგროვებას), დამუშავებასა და ანგარიშსწორების ყველა მონაწილისათვის შესაბამისი მონაცემების გადაცემას) რისკების სამართავად და საბანკო საგადახდო ბარათით მაქინაციის ტენდენციისა და მეთოდების, არატიპური მოქმედებების ამოსაცნობად შეიძლება სპეციალიზირებული სისტემების შექმნა, რათა დროულად მოხდეს ოპერაციის შესრულების იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება. ასეთი მეთოდები წარმოადგენს მართვის ნოუ-ჰაუსს და სცილდება მის საზღვრებს.

როგორც წესი, საბანკო რისკების შეფასებისა და პორტფელის ანალიზის ინსტრუმენტებს წარმოადგენენ სისტემები, რომელთა დამუშავება ხდება კომპანია-შემმუშავებლების მიერ საბანკო სისტემების დანართის სახით.

ძირითადად, ფინანსური რისკების მართვის პროგრამული საშუალებების მომწოდებლებს წარმოადგენენ კონსალტინგური კომპანიები, რომლებიც, ასევე ახორციელებენ ფინანსური ორგანიზაციის ანალიზსა და ფინანსურ ორგანიზაციაში რისკების მართვას.

ფინანსური რისკების სამართავი პროგრამული საშუალებების ფართო არჩევანიდან, საწარმოს ინდივიდუალური განსხვავებულობების გათვალისწინებით, შესაბამისი პროგრამული პაკეტის არჩევა ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის წარმოადგენს საკმაოდ რთულ ამოცანას.

ხშირად საფინანსო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა დგას არჩევანის წინაშე – გააგრძელოს არსებულ სისტემაში ინვესტირება თუ შექმნას ახალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართვის ავტომატიზაციისა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, საბანკო საქმიანობა შეიძლება გადაიქცეს რუტინულ და ნაკლებად მართულ პროცესად, რაც ყოველთვის აისახება ბანკის კონკრეტულ საქმიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лобанов А., Чугунова А., Энциклопедия финансового риск-менеджмента, М.: «Альпина Бизнес Букс», 2009.
2. Duncan. B. A., Guide to the Project Management Body of Knowledge, PMBOK GUIDE.– PMI, 2009.
3. Reuters Kondor+ и Systematica Radius – решение по управлению рисками для фронт- и мидл-офиса, <http://www.systematica.ru/articles/detail.php?ID=33>
4. Комплексное решение по управлению рисками SAS, <http://www.sas.com>.
5. Риск менеджмент, оценка рисков, <http://md-hr.ru/articles/html/article32645.html>.

მ. დვალისვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი საბანკო რისკების მართვაში რეზიუმე

ბანკების მიერ რისკების მართვის სისტემის შექმნის ძირითადი მიზანია ამაღლდეს ეფექტურობა, შემცირდეს დანახარჯები და შემოსავალი მაქსიმალურად გაიზარდოს.

სტატიაში შემოთავაზებულია საკრედიტო რისკის შეფასების განზოგადოებული მოდელის შექმნის კონცეფცია, რომლის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების მეთოდების გამოყენებით, დროულად და მაქსიმალურად ზუსტად შეფასდეს რისკები, პროგნოზირება გაუკეთდეს საკრედიტო რისკის დონეს, ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ და აღმოვფხვრათ მისი ნეგატიური ზემოქმედება საბანკო დანესებულების მუშაობაზე.

M. Dvalishvili

The Role of Information Technologies in the Management of the Banking Risks Summary

The main objectives of the banking risks management are based on the raising of the effectiveness, minimize the costs and maximize the profits.

In the article we have offered the concept how to create credit risk assessment's generalized model. The idea of the concept lies in the fact, that by the using the different methods of information technologies we have to evaluate the risks exactly, to make the prediction to the level of the credit risk, which gives by its side to analyze and eradicate its negative influence on the working of the banking institutions.

მაია მიქელაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ვადიმ რაძიევსკი, ნორა ჯალიაბოვა, დიმიტრი რაძიევსკი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანებში

კვლევები ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში დაიწყო მე-20 საუკუნის 70-იან წლებში და დღესდღეობით განეკუთვნება აქტუალურ და სწრაფად განვითარებად დარგს, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ამ დარგში მიღებული შედეგები ფართოდ გამოიყენება ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში - მედიცინაში, ეკონომიკაში, ეკოლოგიაში და ა.შ. კლინიკურ მედიცინაში ინერგება სხვადასხვა დანიშნულების ინტელექტუალური ინფორმაციული სისტემები: განგაშის სიგნალები, პრეცედენტების ძებნა, თერაპიის დაგეგმვა და კონტროლი, სახეთა გამოცნობა და ინტერპრეტირება, დიაგნოსტიკის პროცესის მხარდაჭერა.

რთული სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკა არის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა ადამიანის ინტელექტუალურ საქმიანობაში. ამ სისტემების ზუსტი, რაოდენობრივი ანალიზი და აღწერა ძნელია და ხშირად შეუძლებელიც. აქედან გამომდინარე, იმ პროცესების კომპიუტერული მოდელირება, რომლებიც წარმოიქმნება ამ სისტემებში, დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან. ეს გამონვეულია იმით, რომ ასეთი სისტემების ადეკვატური მოდელირება ითხოვს არაზუსტი, გაურკვეველი ან მიუწვდომელი ინფორმაციის გათვალისწინებას. ასეთ სიტუაციაში მკაცრი მათემატიკური მეთოდები ნაკლებად ეფექტურია და უფრო ხელსაყრელია თვისობრივი არაფორმალური მეთოდების გამოყენება, სადაც ნიშანთა მნიშვნელობები წარმოადგენს არა მხოლოდ რიცხვებს, არამედ ბუნებრივი ან ხელოვნური ენის სიტყვებს ან ნინადადებებს.

ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ობიექტი (სისტემა) წარმოდგენილია თვისობრივად და სისტემის მდგომარეობათა დიაგნოსტიკის ამოცანა არის არაფორმალური. ასეთი არაფორმალური ამოცანების ავტომატიზაციისთვის განკუთვნილია შესაბამისი დარგის ექსპერტების ცოდნის საფუძველზე აგებული ინტელექტუალური სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ ექსპერტის შეცვლა სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკისას. სამედიცინო დიაგნოსტიკის შემთხვევაში ეს ცოდნა შეიცავს დაავადებების აღწერას, სხვადასხვა დაავადებასა და შესაბამისი მკურნალობის მეთოდებს შორის დამოკიდებულებებს.

მოცემულ სამუშაოში სისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკა განიხილება, როგორც კლასიფიცირებისა და სახეთა გამოცნობის ამოცანა. არსებობს სახეთა გამოცნობის მრავალი მეთოდი: ბაესის გადაწყვეტილებათა თეორიაზე დაფუძნებული სტატისტიკური მეთოდები, დისკრიმინანტულ და კლასტერულ ანალიზზე დაფუძნებული მეთოდები, ლინგვისტური მეთოდები და სხვა. სახეთა გამოცნობის ამოცანის გადაწყვეტა მდგომარეობს ისეთი წესის შემუშავებაში, რომელიც გამომცნობი სისტემის შესასვლელზე შემოსული ყოველი ობიექტისათვის დაადგენს, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება ეს ობიექტი.

ერთ-ერთ ყველაზე ზოგად მიდგომას სახეთა გამოცნობის ამოცანათა გადაწყვეტისას, რომლის მეშვეობით იყო მიღებული ძირითადი თეორიული და გამოყენებითი შედეგები, წარმოადგენს ე.წ. გეომეტრიული მიდგომა. ამ მიდგომის თანახმად, ყოველი გამოსაცნობი ობიექტი განსაზღვრულია, როგორც $X = (x_1, \dots, x_n)$ ნერტილი n – განზომილებიან ევკლიდეს სივრცეში, რომლის ღერძები წარმოადგენენ ობიექტის ნიშნებს, ხოლო ნერტილის x_1, \dots, x_n დეკარტული კოორდინატები – ობიექტის ნიშნების მნიშვნელობებს. ობიექტთა სიმრავლეს, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კლასს, შეესაბამება სივრცის გარკვეული არე.

ამ შემთხვევაში სახეთა გამოცნობის ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთი ხერხი დაფუძნებულია დისკრიმინანტულ ანალიზზე. ამ მიდგომაში ობიექტის მიკუთვნება რომელიმე კლასისადმი ხორციელდება დისკრიმინანტული ფუნქციების მეშვეობით. ამ ფუნქციების საშუალებით განისაზღვრება გამყოფი ზედაპირები. ასეთი ზედაპირები გამოყოფენ სხვადასხვა კლასებში შემავალ ობიექტებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან, როგორც ნერტილები ობიექტთა n - განზომილებიან ევკლიდეს სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის წარმოდგენა, როგორც ნერტილი ევკლიდეს სივრცეში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა ნაკრები x_1, \dots, x_n წარმოადგენს ნამდვილი რიცხვების ნაკრებს. თუ მონაცემთა ნაკრები არის თვისობრივი ხასიათის და მანძილის გონივრული ინტერპრეტაცია არ გაგვაჩნია, მაშინ ობიექტის წარმოდგენა ევკლიდეს სივრცის ნერტილის სახით შეუძლებელია. ეს იქნება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტის აღმწერი მონაცემები წარმოადგენენ ისეთ ნიშნებს, როგორიც არის სქესი, ეროვნება, დაბადების ადგილი, თანამდებობა და სხვა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია ობიექტთა სივრცეში ნერტილებს შორის მანძილის განსაზღვრასთან. ეს მდგომარეობა მოითხოვს სახეთა გამოცნობის სფეროში ახალი მიდგომებისა და მეთოდების ძიებას. მოცემულ სამუშაოში შემოთავაზებულია რთული სისტემების მდგომარეობათა დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კონცეპტუალურ მიდგომაზე. ამ მეთოდში ობიექტის განზოგადებული აღწერა მიიღება ლოგიკური ფუნქციების სახით მაგალითებზე დასწავლის შედეგად (Чавчანიძე, 61 №1).

ამისათვის საჭიროა, მოვახდინოთ ნიშნების ბინარიზაცია. ამ მიზნით ნიშნების მნიშვნელობები დაიყოფა შუალედებად. ბინარული ნიშნის როლში გამოიყენება პრედიკატი – “ყოფნა მოცემულ შუალედში”. ამასთან, საწყისი X ნიშანი, რომლის მნიშვნელობა დაიყოფა k შუალედებად, იცვლება k ბინარული ნიშნით (რაძიევსკი, 1998, 204-207; ჯალიაბოვა, 256-259; რაძიევსკი, 2008, 231-235). თითოეული შუალედის შესაბამისი ბინარული ნიშანი წარმოადგენს ერთადგილიან $P(x)$ პრედიკატს, რომელიც ამონებს x -ის მნიშვნელობის ყოფნას ამ შუალედში. ცხადია, რომ $P(x) = 1$ (ჭეშმარიტია), თუ x მოხვდება მოცემულ შუალედში, და $P(x) = 0$ (მცდარია) – წინააღმდეგ შემთხვევაში.

x -ის კონკრეტული მნიშვნელობისთვის $P(x)$ პრედიკატი ან ჭეშმარიტია, ან მცდარი, ე.ი. წარმოადგენს გამონათქვამს. სახეთა გამოცნობის ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ამ გამონათქვამებიდან უნდა აიგოს ლოგიკური ფუნქციები, რომელთაგან თითოეული აღწერს ობიექტების კონკრეტულ კლასს და გამოიყენება გამოსაცნობი ობიექტების ამა თუ იმ კლასისადმი მიკუთვნების განსახორციელებლად. სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანების შემთხვევაში თითოეული R_i კლასის სახით გვაქვს კონკრეტული დაავადება, გამოსაცნობი ობიექტის სახით –

პაციენტის მდგომარეობის აღწერასიმბტომები, ხოლო სასწავლო ამონაკრეფის სახით – მდგომარეობათა აღწერის სიმრავლე უკვე დასმული დიაგნოზით.

R_i კლასის აღმწერი ფუნქცია მიიღება დიზიუნქციური ნორმალური ფორმის სახით. ის აგებულია სასწავლო ამონაკრეფის იმ ობიექტების საფუძველზე, რომლებიც მიეკუთვნებიან R_i კლასს და (Радзиевский ..., 2007, 265-269)-ის მიხედვით, წარმოადგენს ცნებას – კონცეპტს, რომელიც განსაზღვრავს ამ კლასს.

სასწავლო ამონაკრეფი $x_1, x_2 \dots x_k$ ბინარული ნიშნების სისტემაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ცხრილი 1-ის სახით. ამ ცხრილში ერთ სტრიქონში განლაგებული ნულებისა და ერთიანების ნაკრები წარმოადგენს ობიექტის (მდგომარეობის) აღწერას $x_1, x_2 \dots x_k$ ბინარული ნიშნების სისტემაში, ხოლო $R_i, i=1, \dots, d$ – იმ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება ეს ობიექტი (მდგომარეობა).

x_1	x_2	...	x_k	კლასი
0	1	...	1	R_1
1	0	...	0	\vdots
\vdots	\vdots	\vdots	\vdots	\vdots
0	1	...	1	R_d

ცხრილი 1

R_i კლასის აღმწერ f_i ფუნქციას ($i=1, \dots, d$) აქვს შემდეგი სახე:

$$f_i = x_{i1} \vee x_{i2} \vee \dots \vee x_{ik} \vee x_{21} \vee x_{22} \vee \dots \vee x_{2k} \vee \dots \vee x_{l1} \vee x_{l2} \vee \dots \vee x_{lk}$$

სადაც $x_{ij} = x_{ij}$, თუ ცხრილის შესაბამისი ელემენტი ტოლია 1-ის, ხოლო $x_{ij} = \bar{x}_{ij}$, თუ ცხრილის შესაბამისი ელემენტი ტოლია 0-ის; k – ბინარული ნიშნების რაოდენობაა, ხოლო $l - i$ -ურ კლასში შემავალი ობიექტების რაოდენობა.

ამრიგად, f_i ფუნქციის სახით ჩვენ ვღებულობთ კონცეპტს – ობიექტთა (მდგომარეობათა) კლასის განზოგადებულ აღწერას, რომელიც უზრუნველყოფს ექსტრაპოლაციას, ანუ ახალი მდგომარეობების მიკუთვნებას გარკვეული კლასისადმი. ახალი მდგომარეობა მიეკუთვნება R_i კლასს, თუ f_i ფუნქცია ამ მდგომარეობის აღმწერ ნაკრებზე ღებულობს ქვემარტივ მნიშვნელობას (რაძიევსკი, 1998, 204-207; ჯალიაბოვა, 256-259). ამ მეთოდში ექსტრაპოლაცია მიიღწევა ერთ შუალედში მოხვედრილი მნიშვნელობების ექვივალენტურობის ხარჯზე.

სიტუაცია იცვლება, როდესაც საწყისი ნიშნები ღებულობენ ბინარულ ან სიმბოლურ მნიშვნელობებს. ასეთი სახის ნიშნები ხშირად გვხვდება სამედიცინო დიაგნოსტიკის ამოცანებში. ამ შემთხვევაში დაყოფა შუალედებად, როგორც განიხილებოდა ნაშრომებში (რაძიევსკი 2008, 231-235; Радзиевский ..., 2007, 265-269), შეუძლებელია. ერთ-ერთი გამოსავალი არის ნიშნის ბინარიზაცია, როდესაც მისი თითოეული b_j მნიშვნელობა $J=1,2,\dots,N$ განიხილება, როგორც ბინარული ნიშანი (Радзиевский, 61 №1):

$$x_{ij} = \begin{cases} 1, & \text{თუ მდგომარეობის აღწერაში გვხვდება } b_j \text{ მნიშვნელობა,} \\ 0, & \text{თუ მდგომარეობის აღწერაში არ გვხვდება } b_j \text{ მნიშვნელობა,} \end{cases} \quad j = 1, 2 \dots N$$

მაშინ საწყისი ამოცანა დაიყვანება შემდეგ ამოცანაზე: როგორ ავაგოთ ობიექტთა კლასების განზოგადებული აღწერა ისე, რომ მან უზრუნველყოს ექსტრაპოლირება ბინარული ნიშნების სისტემაში აღწერილი ობიექტების მიმართ.

ცხადია, რომ ასეთი განზოგადება შეიძლება მიღწეულ იქნეს არა ნიშანთა მნიშვნელობების, არამედ თვით ნიშანთა ხარჯზე, რომელთაგან ზოგიერთი, როგორც არაარსებითი, შეიძლება საერთოდ არ განიხილებოდეს. განვიხილოთ ბინარიზაციის შედეგად მიღებული სასწავლო ამონაკრეფი. აქამდე ჩვენ მიერ აგებული ყოველი კონიუნქცია იღებს ჭეშმარიტ მნიშვნელობას სასწავლო ამონაკრეფის მხოლოდ ერთ ობიექტზე. განზოგადების უფრო მაღალი დონის მისაღწევად უნდა მოვითხოვოთ, რომ კონიუნქცია იღებდეს ჭეშმარიტ მნიშვნელობას სასწავლო ამონაკრეფის საკმაოდ დიდი რაოდენობის ობიექტებზე. ეს მოთხოვნა გულისხმობს, რომ საჭიროა კონიუნქციის აგება ცხრილში მოცემული არა ყველა n ნიშნისათვის, არამედ მათი გაცილებით ნაკლები რაოდენობისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს ის ჭეშმარიტ მნიშვნელობას მრავალ ობიექტზე (Радзиевский ..., 2007, 265-269). ამრიგად, განსახილველი ნიშნების რაოდენობის შემცირებითა და მხოლოდ არსებითი ნიშნების განხილვით შესაძლებელია ექსტრაპოლირების უზრუნველყოფა ბინარული ნიშნების შემთხვევაში.

გასათვალისწინებელი ფაქტორების დიდი რაოდენობა იძულებულს ხდის ექიმს, დაეყოს ისინი კლასებად: „არსებითი“/„არაარსებითი“, „სპეციფიკური“/„არასპეციფიკური“, „ტიპური“/„იშვიათი“ და ა.შ. დიაგნოსტიკების საყოველთაოდ მიღებული კრიტერიუმების მიუხედავად, ექიმის პრეფერენციები სიმპტომთა სიმრავლეზე გარკვეულწილად ინდივიდუალურია, სუბიექტურია და ასახავს ექიმის არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ მის გამოცდილებასა და ინტუიციას.

თუ ჩვენ გვაქვს პაციენტთა ორი სიმრავლე: C^+ – პაციენტების სიმრავლე, რომლებიც ექიმ-ექსპერტმა მიაკუთვნა მოცემულ დაავადებას, და C^- – პაციენტების სიმრავლე, რომლებიც ექიმ-ექსპერტმა არ მიაკუთვნა მოცემულ დაავადებას, მაშინ სხვადასხვა კლასის სიმპტომების გამოჩენა C^+ და C^- სიმრავლეებზე ხასიათდება სხვადასხვა ფარდობითი სიხშირით. ამრიგად, C^+ სიმრავლეში სიმპტომის გამოჩენის ფარდობითი სიხშირის დათვლით შეგვეძლება, მოვახდინოთ მათი კლასიფიცირება „არსებით“ და „არაარსებით“ ნიშნებად, სადაც „არსებითობა“ ($P(x_j)$ და $P(\bar{x}_j)$) შესაბამისად j სიმპტომის არსებობისთვის და არარსებობისთვის) – ეს უკვე სიმპტომის კომპლექსური შეფასებაა, რომელსაც იყენებს ექიმი დიაგნოზის დასმისას სხვადასხვა კლასებისა და კრიტერიუმების თვალსაზრისით (Микеладзе, 2008, 141-143).

ზოგჯერ სიმპტომის ფარდობითი სიხშირე C^+ სიმრავლეზე არის პაციენტთა არასაკმარისად ფართო სპექტრის შედეგი ან პაციენტთა სრული $C^+ \cup C^-$ სიმრავლის დამახასიათებელი კონონომიერების გამოხატულება. და თუ C^+ სიმრავლისთვის ჭეშმარიტად არსებითი სიმპტომები იშვიათად ვლინდება C^- სიმრავლის პაციენტებში, მაშინ ვითომდა არსებითი სიმპტომები ხასიათდებიან დაახლოებით ერთნაირი სიხშირით, როგორც C^+ , ასევე C^- სიმრავლეზე. ამ სიმპტომების განსასხვავებლად შემოვიტანოთ დიფერენცირების თვისება

$$D(x_j) = 1 - P^-(x_j); \quad D(\bar{x}_j) = 1 - P^-(\bar{x}_j),$$

სადაც $P^-(x_j)$ და $P^-(\bar{x}_j)$ – j -ური სიმპტომის არსებობისა და არარსებობის ფარდობითი სიხშირეებია C^- სიმრავლეზე (Чавчанидзе, 2008, 141-143; Микеладзе, 2010, 223-228).

დიფერენციაციის თვისების ამგვარი განსაზღვრა სრულიად მართებულია. თუ დიაგნოსტიკის წესის კონიუნქცია შეიცავს x_j პარამეტრს, მაშინ რაც უფრო დიდია $D(x_j)$, მით უფრო მეტ „არასასურველ“ პაციენტს გაცხრილავს იგი ამ პარამეტრის წყალობით (ანალოგიურად \bar{x}_j -ისთვის).

ბინარულ ნიშნებიანი არსებითი პარამეტრების არჩევა ხორციელდება შემდეგი წესით (ჭავჭავანიძე ..., 1998, 208-210; Микеладзе, 2004, 384-388; Микеладзе, 2010, 223-228):

თუ არსებითობის თვისების სიდიდე $P(x_i) \geq 0,75$, მაშინ არსებითად ჩაითვლება პარამეტრი x_i (შესაბამისი სიმპტომის არსებობა);

თუ არსებითობის თვისების სიდიდე $P(\bar{x}_i) \geq 0,75$, მაშინ არსებითად ჩაითვლება პარამეტრი \bar{x}_i (შესაბამისი სიმპტომის არარსებობა);

თუ $P(x_i) < 0,75$, და $P(\bar{x}_i) < 0,75$, მაშინ ორივე x_i, \bar{x}_i პარამეტრი ითვლება არაარსებითად და დიაგნოსტიკური წესის აგებისას არ განიხილება.

დიაგნოსტიკური წესის აგება შედგება ორი ეტაპისგან (ჭავჭავანიძე ..., 1998, 208-210; Микеладзе, 2004, 384-388; Микеладзе, 2010, 223-228):

არსებითი პარამეტრების არსებითი ნაკრებების ამორჩევა, ანუ არსებითი პარამეტრების ისეთი ნაკრებების ამორჩევა, რომელთა გამოვლენის ფარდობითი სიხშირე პაციენტების C^+ სიმრავლეზე მეტია ან ტოლი 0,75.

$f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \dots \vee K_{i_r}$ დიაგნოსტიკური წესის ფორმირება, რომელიც წარმოადგენს იმ კონიუნქციების დიზიუნქციას, რომლებიც შეესაბამებიან არსებითი პარამეტრების არსებით ნაკრებებს: $j+1$ ბიჯზე ახალი კონიუნქცია ემატება უკვე აგებულ $f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \dots \vee K_{i_r}$ დიაგნოსტიკურ წესს იმ შემთხვევაში, თუ:

პაციენტების სიმრავლე C^+ სიმრავლიდან, რომლებიც არ აკმაყოფილებენ არც ერთ $K_{i_1}, K_{i_2}, \dots, K_{i_r}$ კონიუნქციას, არ არის ცარიელი და პაციენტების სიმრავლე C^+ სიმრავლიდან, რომლებიც არ აკმაყოფილებენ არც ერთ $K_{i_1}, K_{i_2}, \dots, K_{i_r}$ კონიუნქციას, მაგრამ აკმაყოფილებენ $K_{i_{j+1}}$, ასევე არ არის ცარიელი.

შემოთავაზებული მეთოდები გამოყენებულ იქნა შაკიკისა და დაძაბულობის ტიპის თავის ტკივილის დიფერენციალური დიაგნოსტიკის არაფორმალური ამოცანის ამოსახსნელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რაძიევსკი ვ., კლასიფიკაციის ამოცანა და ობიექტთა კლასის განზოგადებული აღწერა ნიშნების ბინარული მნიშვნელობისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული, თბილისი, 1998.
2. რაძიევსკი ვ., ობიექტთა მრავალხარისხოვანი კლასიფიკაცია და კლასების განზოგადებული აღწერა სახეთა გამოცნობის ამოცანებისთვის, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული №12, თბილისი, 2008.
3. ჭავჭავანიძე ვ., მიქელაძე მ., ექსპერტ-მედიკოსის ობიექტურ-სუბიექტური ცოდნის ამოკრეფა დაავადების შესახებ, კლინიკურ მონაცემთა ალბათურ-კონცეპტუალური დამუშავების საშუალებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული, თბილისი, 1998.

4. ჯალიაბოვა ნ., დაავადებათა ზოგიერთი კლასის დიაგნოსტიკების ინტელექტუალური სისტემა, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული №10, თბილისი, 2006.
5. Микеладзе М., Концептуально-вероятностный метод обработки данных в диагностике состояний многофакторной системы, Сборник докладов Международной научной конференции «Проблемы управления и энергетики» - РСРЕ-2004, Тбилиси, 2004.
6. Микеладзе М., Об одном методе выявления предпочтений эксперта на множестве диагностических критериев, *J. Georgian Engineering News* №3, 2008.
7. Микеладзе М., Концептуальный подход к описанию состояний и представлению знаний в задачах медицинской диагностики, Сборник трудов Института систем управления А. И. Элиашвили №14, Тбилиси, 2010.
8. Радзиевский В., Джалябова Н., Хачидзе М., Радзиевский Д., Гуревич И., Сольветти О., Интеллектуальная система ранней диагностики заболеваний на основе компьютерного анализа электронных изображений эритроцитов, Международная научная конференция «Информационные технологии в управлении», Сборник докладов, Тбилиси, 2007.
9. Чавчанидзе В., Аналитическое решение задачи формирования понятий и распознавания образов, Сообщение АН ГССР, Tbilisi, 1971, 61, №1.

მაია მიქელაძე, ვადიმ რადიევსკი, ნორა ჯალიაბოვა, დიმიტრი რადიევსკი
ინტელექტუალური ინფორმაციული ტექნოლოგიები
სამედიცინო დიაგნოსტიკების ამოცანებში

ნაშრომში, კონცეპტუალური მიდგომის საფუძველზე, შეთავაზებულია რთული სისტემების დიაგნოსტიკების არაფორმალიზებული ამოცანის ამოხსნის მეთოდები. რთული სისტემის დიაგნოსტიკა განიხილება როგორც კლასიფიცირების და სახეთა გამოცნობის ამოცანა, ხოლო კლასების განზოგადებული აღწერის აგება ხორციელდება მაგალითებზე დასწავლის გზით. შეთავაზებული მეთოდები უზრუნველყოფენ გარკვეული კლასისადმი (ექსტრაპოლიაციას) ახალი მდგომარეობების მიკუთვნებას როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი ნიშნებისთვის. ამ მეთოდების გამოყენებით გადანყვეტილია შაკიკის და დაძაბულობის ტიპის თავის ტკივილის დიფერენციალური დიაგნოსტიკის არაფორმალიზებული ამოცანა.

Maia Mikeladze, Vadim Radzievski, Nora Jaliabova, Dimitri Radzievski
Intelligent Information Technologies in Problems of Medical Diagnostics
Summary

On the basis of the conceptual approach the methods of solving the non-formalized tasks of diagnosis the complex systems state are proposed. Diagnosing of a system state is considered as a problem of classification and recognition, and creation of the generalized description of classes is carried out by training on examples. The proposed methods provide reference of new states to a certain class (extrapolation) both for quantitative, and for qualitative features. On the basis of these methods non-formalized task of differential diagnostics of migraine and a tension headache has been solved.

თინათინ მშვიდლობაძე
გორის უნივერსიტეტი

**თანამედროვე ტექნოლოგიების ინტაგრირების
ტენდენციები სასწავლო პროცესში**

თანამედროვე განათლების ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვადასხვა მედია-საშუალებების გამოყენება სასწავლო პროცესში, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე სკოლებშიც.

ახალი მედიის ინტეგრირებული სწავლების კონცეპტთან ერთად გაჩნდა ახალი მოთხოვნები, სწავლებისა და სწავლის ახალი კულტურა, რომელსაც მხარს აქტიურად უჭერენ მასწავლებლები და ფსიქოლოგები. თანდათანობით მეტი ყურადღება ეთმობა იმ უნარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ისევე, როგორც კომუნიკაციასა და ერთობლივ მუშაობას, სოციალურ აზროვნებასა და ქმედებას.

სკოლების ინტერნეტიზაცია და ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობა საქართველოში უკვე განხორციელდა და ელექტრონული რესურსებიც ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. ეს რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საგნის ათვისებას და მათი გამოყენება სახალისოა. ინტერნეტ-რესურსები თავისი ვიზუალური მასალებით, ვირტუალური ლაბორატორიებით ზრდის მოსწავლის ინტერესს და ეხმარება მას მასალის დამახსოვრებასა და შემდეგ მის ცოდნად გარდაქმნაში. რადგან ყველა სკოლას არა აქვს შესაძლებლობა, ჰქონდეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საგნობრივი ლაბორატორია, ახალი კომპიუტერული პროგრამები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ვირტუალურად ჩაატარონ დაკვირვებები და ცდები.

ასევე დიდია ელექტრონული ბიბლიოთეკების როლი. მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოებით, რაც თავის მხრივ ხსნის საჭირო ნივთების შეძენის პრობლემას.

ახალი მედიის გაკვეთილში ინტეგრაციის კიდევ ერთი დადებითი თვისება არის დროის დაზოგვა. მოსწავლეებს შეუძლიათ ერთობლივად იმუშაონ გარკვეულ საკითხზე, ხმაურიანი დისკუსიის გარეშე გაიზიარონ ერთმანეთის მოსაზრებები. ამ შემთხვევაში პროცესის მართვა უფრო ადვილია. მასწავლებელი, რომელიც თვალყურს ადევნებს მათ, აძლევს მითითებებს, რჩევებს და აფასებს მათ მუშაობას. მოსწავლეები სწავლის პროცესის დასრულებისთანავე ეცნობიან თავიანთ შედეგებს.

ამავე დროს ახალი მედია უამრავ შესაძლებლობას აძლევს სკოლას და მისი სათანადო გამოყენებით მოსწავლეები წარმატებას აღწევენ. ა. ბარში აღნიშნავს, რომ ახალი მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაბალი მოსწრებისა და სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის. ახალი მედიის მეშვეობით მათ ეძლევათ შესაძლებლობა, გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები, რადგან ხელსაყრელი პირობები ექმნებათ ერთობლივი და ასევე ინდივიდუალური მუშაობისთვის. ამასთანავე, ახალი მედია ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. ის შესაძლებელს ხდის, შედგეს სასწავლო პროცესი მიუხედავად ისეთი ფაქტორე-

ბისა, როგორცაა დრო და მანძილი. იზრდება მოსწავლის როლი. მასწავლებელი იძენს უფრო მენტორის, მოდერატორის ფუნქციას, მოსწავლე კი იღებს პასუხისმგებლობას სწავლაზე (Bar-sch ..., 146-147).

მთავარი განხილულ მასალაში არის, რომ ახალი მედია არ უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი და უნდა მოხდეს მისი ინტეგრაცია ყველა გაკვეთილში. ამ შემთხვევაში ძირითადი ამოცანა არის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მნიშვნელოვანი იქნება და ადეკვატურად შეფასდება მოსწავლეების გამოცდილება ახალ ტექნოლოგიებში. იქიდან გამომდინარე, რომ თავის დროზე აუდიო და ვიზუალური მეთოდების გამოყენებას საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა, ახალი მედიის ინტეგრირებული სწავლება არა მხოლოდ დროის მიზანმიმართულ გამოყენებას შეუწყობს ხელს და ნაკლებად მნიშვნელოვანს გახდის ამ ფაქტორს და ასევე მანძილს, არამედ დადებითად აისახება სწავლის შედეგებზეც.

„ელექტრონული სწავლების“ ცნება გაჩნდა XX საუკუნის 90-იან წლებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. დისტანციური სწავლების მოთხოვნამ განაპირობა ელექტრონული სწავლების ინტენსიური განვითარება.

სასწავლო პროცესში ელექტრონული პლატფორმის არჩევისას სასურველია ისეთი რესურსის გამოყენება, რომელსაც ექნება მშობლიურ ენაზე ლოკალიზების ადვილი შესაძლებლობა, რესურსებთან თავსებადი ოპერაციული სისტემების, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მართვის ინსტრუმენტების ფართო არჩევანი. ასეთ პლატფორმას წარმოადგენს MOODLE (Modular Object-oriented Dynamic Learning Environment) – მოდულური ობიექტ-ორიენტირებული დინამიკური სასწავლო გარემო (www.moodle.org).

MOODLE-ს გარემოში შესაძლებელია კურსების სხვადასხვა ფორმატის არჩევანი:

- **კალენდარული ან თემატური** – კურსებში შესაძლებელია სხვადასხვა საქმიანობის წარმართვა (რესურსები ვებ-გვერდის სახით, ფორუმები, სემინარები, გამოკითხვები, კონსპექტები ტექსტური ფაილის სახით, ვიკი და ჩატი). კურსის მომზადებისას ინფორმაციის შეტანა ხდება ჩაშენებულ WYSIWYG HTML რედაქტორში, რომელიც აგენერირებს ვებგვერდს html დოკუმენტის სახით. ავტომატურად გენერირდება შედეგების სტატისტიკური დამუშავება. სისტემაში მომხმარებლის შესვლისა და მუშაობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია გრაფიკებისა და დეტალური ჩანაწერების სახით. უზრუნველყოფილია ელფოსტასთან ინტეგრაცია - ხორციელდება ფორუმის გზავნილების, მასწავლებელთა კომენტარებისა და სხვა ასლების ავტოგზავნილები მომხმარებელთა ელფოსტაზე. შესაძლებელია ინდივიდუალური სკალების შექმნა დავალებებისა და ფორუმების გზავნილების შეფასებისათვის. სარეზერვო ასლების შექმნის ფუნქციის გამოყენებით შესაძლებელია მთელი კურსის პაკეტის შექმნა ერთი zip ფაილის სახით და, საჭიროების შემთხვევაში, მისი აღდგენა Moodle-ს ნებისმიერ სერვერზე.

- **LAMS** – არის MOODLE პლატფორმაში ინტეგრირებადი სასწავლო აქტიურობის სტრუქტურირებული თანმიმდევრობის შექმნისა და მოსწავლეთა მიერ კოლაბორაციული განხორციელების გარემო.

- **სოციალური ფორუმი** – ფაქტობრივად ეს არის სასწავლო კურსის კატეგორია. იგი პრობლემურ პროექტზე ჯგუფის კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის გაძღოლის ინსტრუმენტია.

- **SCORM:** სასწავლო კურსის SCORM სტანდარტის ფორმატი გულისხმობს სასწავლო აქტიურობის შესახებ უკუკავშირის გზით მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, კურსის დიზაინერის მიერ დამუშავებული სცენარის შესაბამისად, ავტომატურად სინთეზირებული ვარიაბელური სასწავლო შინაარსისა და მისი მიწოდების თანამიმდევრობის გენერირებას.

MOODLE-ს გარემოში სასწავლო კურსების სხვადასხვა ფორმატის შედარებისა და ანალიზის შედეგად, რეკომენდებული იქნება, რომ კურსის დიზაინერებმა გამოსაქვეყნებლად დამუშავებული სასწავლო ინტერაქტიური ან მულტიმედიაური მასალა მოამზადონ არა მხოლოდ html ფაილის სახით, არამედ შექმნან იმავე მასალის SCORM პაკეტი.

უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ვირტუალური ლაბორატორიები, რომლებსაც გააჩნიათ თეორიული და პრაქტიკული მდგენელი. თეორიული მდგენელი გულისხმობს ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, ხოლო პრაქტიკული მდგენელი – სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული ექსპერიმენტის ჩატარებას.

უკანასკნელ წლებში საზომი ტექნოლოგიების განსაკუთრებულ მიღწევას წარმოადგენს DAQ – boards (Data Acquisition Boards – მონაცემთა შეგროვების პლატები) – საზომი მოდულები, რომლებიც ჩაშენებულია უშუალოდ კომპიუტერში და სპეციალიზირებული საზომი ინტეგრირებული პროგრამული გარსები საზომი ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენის, დამუშავებისა და შეგროვებისათვის. სწორედ ასეთ პროგრამულ გარსს წარმოადგენს – LabVIEW – Laboratory Virtual Instrument Engineering Workbench - გრაფიკული პროგრამირების გარემო, რომელიც ფართოდ გამოიყენება მრეწველობაში, განათლებაში და სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებში. ის წარმოადგენს მონაცემების შეგროვებისა და ხელსაწყოების მართვის სტანდარტული ინსტრუმენტს. LabVIEW ეს არის მძლავრი და მოქნილი პროგრამული გარემო, რომელიც გამოიყენება გაზომვებისათვის და მიღებული მონაცემების ანალიზისათვის.

LabVIEW წარმოადგენს ღია პროგრამულ სისტემას და გააჩნია თანამედროვე პირობებში არსებული ნებისმიერი პროგრამული ინტერფეისის, მაგ., როგორცაა Win32.DLL, COM.NET, DDE, ასევე IP, DataSocket და სხვა ქსელური პროტოკოლების მხარდაჭერა.

LabVIEW-ს შემადგენლობაში შედის სხვადასხვა აპარატურული საშუალებისა და ინტერფეისის მართვის ბიბლიოთეკები, მათ შორის PCI, CompactPCI/PXI, VME, VXI, GPIB, PLC, VISA სისტემები, ტექნიკური ხედვის სისტემები და ა.შ. LabVIEW-ს ბაზაზე შექმნილი პროგრამული პროდუქტები შესაძლებელია გაფართოვდეს C/C++, Pascal, Basic, FORTRAN პროგრამულ ენებზე შექმნილი პროექტებით.

ავტონომიური ლაბორატორია აერთიანებს კვლევის ობიექტსა და კომპიუტერს, რომელიც ჩაშენებულია მრავალფუნქციური შეტანა-გამოტანის მოდული, რომლის საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა სახის საზომი და მმართველი მოდული, შესაძლებელია ასევე სხვადასხვა ობიექტის და პროცესის მოდელირება. მსგავსი ავტონომიური სამუშაო ადგილების რეალიზაცია შესაძლებელია ELVIS II ლაბორატორიული სადგურის საფუძველზე. ასეთი ტიპის სამუშაო ადგილების შექმნა მიზანშეწონილია, თუ ობიექტის გამოკვლევა მოითხოვს ხანგრძლივ და უწყვეტ დაკვირვებას. ავტონომიური ლაბორატორიის ანალოგიურია ელექტრონიკის ლაბორა-

ტორია, რომლის შემადგენლობაშიც შედის NI ELVIS II სასწავლო ლაბორატორიული სადგური, ანალოგური ელექტრონიკის პრაქტიკუმი, სასწავლო-მეთოდური მასალები სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. ამ კომპლექსის დახმარებით ინტერაქტიულ რეჟიმში შესაძლებელია ანალოგური ელემენტებისა და კვანძების მუშაობის რეჟიმისა და მახასიათებლების შესწავლა.

ამგვარად, თანამედროვე მედია-ტექნოლოგიების გამოყენება ამაღლებს მოტივაციასა და სწავლების ხარისხს, ხოლო ვირტუალური ლაბორატორიები ხელს უწყობს ელექტრონული ექსპერიმენტის ჩატარებას, ასევე სასწავლო-მეთოდური მასალები ხელმისაწვდომი ხდება სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. ლაბორატორიების ბაზაზე შესაძლებელია საქმიანობის სფეროს გაფართოება და კომერციალიზაცია, რაც უნივერსიტეტს ფინანსურ მოგებას მოუტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დაუშვილი ნ., ახალი მედია – ტექნოლოგიები სწავლისა და სწავლების პროცესში, GESJ: Education Science and Psychology, No.3(22), 2012.
2. დისტანციური მართვის სისტემა MOODLE, www.moodle.org.
3. Barsch, Achim, Mediendidaktik Deutsch, Paderborn, Ferdinand Schöningh Verlag, 2009.
4. Черкашин С.В., Любенко А.Ю., Баран Е.Д. и др. Автоматизированные учебные практикумы и лаборатории, Образовательные, научные и инженерные приложения в среде LabVIEW и технологии National Instruments: сб. тр. конф. – М.: Издательство РУДН, 2010.

თინათინ მშვიდლობაძე

თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების ტენდენციები სასწავლო პროცესში რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ინოვაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ნაჩვენებია ახალი მედიის როლი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში. საუბარია იმ ცვლილებებზე, რაც შედეგად მოჰყვება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას სწავლისა და სწავლების პროცესში.

წარმოდგენილია დისტანციური სწავლების ტექნოლოგია, რომლის გამოყენებისას ხელმისაწვდომია სწავლების სხვადასხვა საშუალებები და მეთოდები. იგი გამოიყენება არამხოლოდ როგორც დისტანციური მეთოდით განათლების მიღების საშუალება, არამედ როგორც განათლების ნებისმიერი ფორმის კომპიუტერული ტექნოლოგია, რომელიც მიმართულია სტუდენტთა მიერ დიციპლინების შესწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის აქტივაციის, ხარისხის ამაღლებისა და ატესტაციის პროცესის ობიექტურობისაკენ.

მოცემულია ვირტუალური ლაბორატორიების შექმნის შესაძლებლობები. ლაბორატორიას აქვს თეორიული და პრაქტიკული მდგენელი. თეორიული მდგენელი გულისხმობს ელექტრონულ სახელმძღვანელოებს, ხოლო პრაქტიკული – სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს “ელექტრონული ექსპერიმენტის” ჩატარებას. ლაბორატორია აერთიანებს კვლევის ობიექტს, კომპიუტერს, რომელშიც ჩაშენებული მრავალფუნქციური მოდულის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ობიექტის და პროცესის მოდელირება. მსგავსი ავტონომიური სამუშაო ადგილების რეალიზაცია შესაძლებელია ELVIS II ლაბორატორიული სადგურის საფუძველზე. ასევე ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო-მეთოდური მასალები სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

Tinatin Mshvidobadze

Modern Technology Integration Tendencies in the Academic Process

Summary

The paper discusses the importance of innovative technologies in the academic process. It shows the role of new media, schools and universities. The changes, which resulted in the introduction of innovative technologies in the teaching and learning process. The introduction of new media in our country is actively underway. There are Georgian Web - resources that teachers and students can use. Which in turn makes the teaching and learning process more interesting.

The author also discusses distance learning technology, which is being realized using different techniques and methods of teaching. It is used not only as a means of making a remote method of education, but as with any form of computer technology in education, aimed at students in the subjects of the study, activation independent work toward improving the quality and objectivity of the certification process.

The article discusses virtual laboratory capabilities that can increase the quality of the academic process. The laboratory has theoretical and practical components. The theoretical component of electronic textbooks, and the practical component of the system in order to carry out 'an experiment'. The Laboratory includes Integrating research lab, a computer, a built-in multi-function module which enables modeling of different objects and processes. Realization of working places is possible on the basis of ELVIS II lab station. Furthermore, educational and methodical materials for students and teachers become available.

სასწავლო ორგანიზაციებში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივა

სასწავლო ორგანიზაციებისთვის სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ვირტუალური სასწავლო გარემოს შესაძლო ფუნქციები და მათი ინფორმაციით შევსება. არ არსებობს ვირტუალური სასწავლო გარემოს ერთიანი ცნება, ვინაიდან სისტემები მუდმივად ახდენენ ინტერნეტთან ინტეგრაციის გაღრმავებასა და შესაბამისად - სხვადასხვა ახალი ინსტრუმენტის ადაპტირებას თავიანთ გარემოში. ხშირად ვირტუალურ სასწავლო გარემოს სწავლების მართვის სისტემასაც (LMS) უწოდებენ.

LMS სისტემებს ძირითადად აკრიტიკებენ მომხმარებლის მიერ კონტენტის შექმნისა და შენახვის შესაძლებლობების, სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციის დაბალი დონის გამო. პედაგოგთა ნაწილი, LMS სისტემების ამ შეზღუდვების გამო, სასწავლო პროცესში იყენებს ინტერნეტის სხვადასხვა პოპულარულ, უფასო შესაძლებლობას. კერძოდ, იყენებენ ყველასათვის ხელმისაწვდომ ინტერნეტინსტრუმენტებს, ქმნიან სტუდენტებთან თანამშრომლობის უფრო ცოცხალ გარემოს, აძლევენ რა მათ საკუთარი სასწავლო მასალის გამოყენებისა და გაზიარების შესაძლებლობებს. ფორმალური სწავლების კონტექსტში ასეთი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტთა მცირე ჯგუფებთან და პედაგოგისგან მოითხოვს IT სფეროში ცოდნის მაღალ დონეს. სტუდენტისათვისაც ასევე პრობლემურია საკუთარი, პერსონალური სასწავლო გარემოს შექმნა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, როცა ელექტრონული სასწავლო კურსი მოითხოვს ერთობლივი მუშაობისა და შეფასების ინსტრუმენტების არსებობას.

ყველა LMS-ს აქვს ერთი საერთო ფუნქცია, რომლის განხორციელებაც მსოფლიოში არსებულ სერვერებზე განთავსებული ყველა საგანმანათლებლო გამოყენებითი პროგრამის შეკრებითაც კი შეუძლებელია. ესაა სპეციფიკური კონტენტის მიწოდების შესაძლებლობა გარკვეული დახურული ჯგუფებისათვის, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში სწავლებენ კონკრეტულ კურსს. ფორმალური სწავლების დროს ეს აუცილებელია მთელი რიგი მიზეზების გამო:

- სასწავლო დანესებულებებმა შეიძლება დააბანდონ ფული უშუალოდ კონტენტის შემუშავებაში, მაგრამ მისი გავრცელება ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია, საფრთხეს უქმნიდეს მათ საბაზრო მდგომარეობას (თუმცა ბევრი უნივერსიტეტის მოსაზრებით, ღია სასწავლო პროექტების დანერგვა შეიძლება იქცეს მათი ფინანსური მოგების წყაროდ).
- სწავლებას „სასწავლო გარემოში“ აქვს თავისი უპირატესობები, რაც განპირობებულია ჯგუფის წევრთა თანამშრომლობისა და ერთიანი საერთო მიზნების არსებობით. LMS-ის გამოყენებისას შეზღუდულია არასანქცირებული წვდომა სპამერებისა და

სხვა დესტრუქციულად განწყობილი მომხმარებლების მხრიდან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.


- საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო დაწესებულებას ეძლევა შესაძლებლობა, აკონტროლოს სასწავლო გარემო და მისი ელემენტები, გარკვეული იურიდიული, ეთიკური და საქმიანი მოსაზრებებიდან გამომდინარე.
- სასწავლო დაწესებულება ფლობს ინფორმაციას სისტემაში სტუდენტთა წვდომაზე; მას ეძლევა შესაძლებლობა, გააუმჯობესოს კონტენტისა და მიწოდების სერვისის სასწავლო გამოცდილებისა და სტუდენტთა ცოდნის ათვისების დონის ასამაღლებლად.

დღეისათვის ელექტრონული სწავლების უზრუნველსაყოფად განიხილება ორი პოლარული მიდგომა: ერთი მხრივ, სასწავლო დაწესებულებაში დანერგილი LMS და მეორე მხრივ, სხვადასხვა Web 2.0 საიტის ერთობლიობა (<http://net.educause.edu/ir/library/pdf/ERB0813.pdf>), რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის მის მიერ მართვადი სასწავლო გარემოს შექმნას. ამჟამად ვითარდება მესამე მოდელი, რომელიც პოტენციურად შეიძლება წინა ორი მოდელის სრულყოფილ ალტერნატივად ჩამოყალიბდეს მომავალში. ორმა კომპანიამ - Google-მ და Microsoft-მა დაიწყო სასწავლო დაწესებულებებისა და სტუდენტებისათვის ახალი სერვისების შეთავაზება. ეს სერვისები წარმოადგენს საუნივერსიტეტო სისტემების ერთგვარ ჩანაცვლებას ან მათ ფუნქციურ შევსებას, როგორცაა: ელექტრონული ფოსტა, ინფორმაციის მყისიერი გაცვლა, კალენდარული გეგმის შედგენა, პერსონალური დოკუმენტების შექმნა და შენახვა, მათზე ერთობლივი წვდომის უზრუნველყოფა, ვებსაიტების შექმნა. Google Apps for Education სერვისები და Microsoft Live@edu შეიცავს ინსტრუმენტების ფართო ნაკრებს, რომელთა მორგება ხდება მომხმარებლის მოთხოვნებზე, ასევე შესაძლებელია მათი ერთგვარი დაკავშირებაც სასწავლო დაწესებულების ბრენდთან. ამასთან, ეს სისტემები განთავსებულია მომსახურების გარე მომწოდებელთან, ე.წ. "გამოთვლით ღრუბელში" (Cloud Computing) ან უბრალოდ „ღრუბელში“.

ღრუბლოვანი გამოთვლები ელექტრონულ სწავლებაში. Google-ს გამოთვლითი ღრუბელი არის ქსელი, რომელიც შედგება მსოფლიოს სხვადასხვა მონაცემთა ცენტრში განლაგებული მილიონობით სერვერისაგან, სადაც ინახება მსოფლიო ქსელში განთავსებული მრავალი ინფორმაციის ასლი. ასეთი მასშტაბურად განაწილებული არქიტექტურა სწრაფს ხდის საძიებო მოთხოვნების დამუშავების პროცესს, ხოლო მთელი სისტემა ძალიან მტყუნებამდეგია. Google-ს გამოთვლითი ღრუბელი საშუალებას იძლევა, რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდეს ცალკეული სერვერების გამოცვლა ისე, რომ არ შემცირდეს საერთო მწარმოებლობა (Baker...,43-50). Google-მ და ზოგიერთმა სხვა კომპანიამ, კერძოდ, Microsoft-მა და Amazon-მა გააცნობიერეს, რომ მათი მაღალსიჩქარიანი განაწილებული კომპიუტერული ქსელები და გამოთვლითი რესურსები ღირებულნი იქნებოდა სხვა ორგანიზაციებისთვისაც და ისინი უნდა გაეხადათ ხელმისაწვდომი გამოყენების ფართო სპექტრისთვის.

ისევე, როგორც ტერმინს – „ვირტუალური სასწავლო გარემო“, ასევე ტერმინს – „ღრუბლოვანი გამოთვლები“ აქვს მრავალი განმარტება. ვაკერომ თანაავტორებთან ერთად (Vaquero..., 50-55) განიხილა მრავალი მათგანი და შემოგვთავაზა შემდეგი ფორმულირება:

ღრუბელი (Cloud) – ეს არის ხელმისაწვდომი და ადვილად გამოყენებადი ვირტუალური რესურსების (როგორცაა: მონყობილობები, დაპროექტების პლატფორმები და/ან სერვისები) დიდი გაერთიანება. დატვირთვის ცვლილების (მასშტაბირების) შესაბამისად შესაძლებელია ამ რესურსების დინამიკური რეკონფიგურაცია, რაც იძლევა გამოყენებული რესურსების ოპტიმიზაციის საშუალებას. ასეთი გაერთიანების ექსპლუატაცია, როგორც წესი, ეფუძნება მოდელს – „გადაიხადე მხოლოდ იმისთვის, რასაც იყენებ“. ამ მოდელის ფარგლებში პროვაიდერის მიერ მომსახურების გარანტიები განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სერვისის დონის შეთანხმების შესაბამისად.



ნახ. 1.

განაწილებული ინფრასტრუქტურული მონყობილობებისთვის არსებობს ღრუბლოვანი გამოთვლების სერვისის სამი ძირითადი კატეგორია (ნახ. 1). ქვედა დონეზე მოთავსებულია ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი – IaaS (სერვერები, მონაცემთა საცავები, ქსელური მონყობილობები და სხვა), მაგალითად, Amazon’s Elastic Compute Cloud (Amazon EC2), რომელიც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, გაუშვან თავიანთი Linux-სერვერები ვირტუალურ მანქანაზე და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ დატვირთვის სწრაფი მასშტაბირება. შემდეგ დონეზეა პლატფორმები, როგორც სერვისი – PaaS (დაპროექტების სხვადასხვა გარემო, ობიექტების ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბაზები და სხვა). ამ დონეზე დეველოპერებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაწერონ გამოყენებითი პროგრამები. მაგ., დაპროექტების ასეთ საშუალებას წარმოადგენს დაპროგრამების ენა Python-ი Google Apps Engine-სთვის. ამ მომენტისათვის ეს ენა უფასოა გამოყენებისათვის, მაგრამ არსებობს შეზღუდვები შესანახი მონაცემების მოცულობასა და ყოველთვის ტრაფიკზე. ზედა დონეზე მოთავსებულია ღრუბლოვანი გამოთვლე-

ბის გამოყენებითი პროგრამები, როგორც სერვისი - SaaS (ელ. ფოსტა, კალენდარი და სხვა), რომლებიც წარმოადგენს ღრუბლებში მოთავსებულ, სასწავლო ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით საინტერესო, გამოყენებით პროგრამებს. ამ სერვისებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ვებბრაუზერის მეშვეობით სხვადასხვა მოწყობილობებიდან (კომპიუტერები, მობილურები, თხელი კლიენტები, ტერმინალური ემულატორები და სხვა). ღრუბლებში არა მხოლოდ მონაცემების, არამედ გამოყენებითი პროგრამების შენახვამ შეცვალა გამოთვლითი პარადიგმა ტრადიციული კლიენტ-სერვერული მოდელის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც, მომხმარებლის მხარეს მინიმალური ფუნქციებია დარჩენილი. ამიტომ ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა: პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ვირუსებზე შემოწმება და სხვა მომსახურება, ეკისრება ღრუბლოვანი სერვისის პროვაიდერს. რადგან სისტემა განლაგებულია ქსელში და მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტით, ამიტომ გაცილებით მარტივია საერთო წვდომა, ვერსიების მართვა და ერთობლივი რედაქტირება, ვიდრე მაშინ, როცა პროგრამები და მონაცემები განლაგებულია მომხმარებლის კომპიუტერებზე. გარდა ამისა, დეველოპერს ეძლევა შესაძლებლობა, პროგრამა განათავსოს მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ პლატფორმაზე.

პირველი არგუმენტი, რის გამოც შეიძლება სასწავლო დაწესებულებებმა მიიღონ გადაწყვეტილება ღრუბლოვანი სერვისების გამოყენების სასარგებლოდ, როგორიცაა: Google Apps for Education ან Live@edu, არის ის, რომ ღრუბლოვანი პროვაიდერების რესურსების გამოყენება გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ეს სერვისები თავად რომ შექმნან. ფაქტობრივად ხარჯები აღარ არის საჭირო კორპორატიული მოწყობილობებისა და პროგრამული პროდუქტების შესაძენად და მათი მომსახურებისათვის. გასათვალისწინებელია ასევე, რომ საკუთარ ცენტრებში სერვერების საშუალო დატვირთვა გათვლებით მერყეობს 5%-დან 20%-მდე, ანუ ისინი პრაქტიკულად არ არიან დატვირთული. თუმცა ზოგიერთი სერვისის პიკური დატვირთვა შესაძლებელია, 10-ჯერ მეტიც იყოს. ასეთი პიკი შეიძლება სასწავლო დაწესებულებაში წარმოიქმნას, მაგალითად, საგამოცდო ტესტირების შედეგების ონლაინგამოქვეყნების პროცესის დროს. ღრუბლოვანი გამოთვლები კი განუსაზღვრელი მასშტაბირების საშუალებას იძლევა, რაც სასწავლო დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, ხანმოკლე პერიოდით სწრაფად გაზარდოს გამოთვლების სიმძლავრე. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ღრუბლებს შესაძლებლობა აქვს, მოთხოვნების სხვადასხვა სერვერზე გადანაწილებით გაუმკლავდეს მოულოდნელი დატვირთვის პიკებს.

ორგანიზაციებს, რომლებიც იყენებენ ღრუბლოვან სერვისებს, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, აქტივობების ზრდის ან შემცირების შემთხვევაში აღარ სჭირდებათ სერვერების მოსალოდნელი დატვირთვის დონის ზრდის ან შემცირების დაგეგმვა. ისინი უბრალოდ იხდიან გამოყენებული გამოთვლითი სიმძლავრეების შესაბამისად.

ღრუბლოვანი გამოთვლების კიდევ ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაციებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათთვის საჭირო სხვადასხვა კომპონენტი შეადარონ და მოახდინონ კომბინირება ისე, რომ არ იყვნენ მიჯაჭვული მყარ კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ Google Apps

for Education მხოლოდ სტუდენტების ელექტრონული ფოსტისათვის და თავი შეიკავონ სხვა სერვისებისაგან. თუმცა მომავალში სასწავლო ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს და სტუდენტებს შესთავაზოს ტექსტურ პროცესორთან და ელექტრონულ ცხრილებთან ონლაინ-მუშაობის სერვისი, რომელიც Google Docs-ის შემადგენლობაში შედის.

ღრუბლოვანი გამოთვლების შემდგომ უპირატესობას ასევე წარმოადგენს პერსონალზე ხარჯების შემცირება, რადგან აღარ არსებობს პროგრამული პროდუქტების მხარდაჭერისათვის პერსონალისა და შესაბამისად მისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვის საჭიროება. თუმცა ხარჯები მთლიანად არ ქრება, ვინაიდან სასწავლო დაწესებულებებში კვლავ რჩება საჭიროება იმ სისტემის მხარდაჭერისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა სარეგისტრაციო მონაცემების გადაცემას ღრუბლოვანი სერვისებისათვის. სასწავლო დაწესებულებების პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება მონაცემებზე კონტროლიც და პასუხისმგებლობაც მათ არასწორ გამოყენებაზე. ასევე მათ უნდა უზრუნველყონ თავიანთი მომხმარებლების მხარდაჭერა.

შეიძლება დაისვას შეკითხვა, თუ რა სარგებელი მოაქვს Microsoft-ისა და Google-სათვის თავიანთი სერვისების უფასოდ მიწოდებას სასწავლო დაწესებულებებისათვის. მომსახურების შეთავაზება არ შეიცავს რეკლამებს, ასე რომ, მის ხარჯზე ვერ მოხდება უკუგება. ტრადიციულად პროგრამული უზრუნველყოფა სასწავლო დაწესებულებებზე იყიდება საკმაოდ დიდი ფასდაკლებით. კომპანიები აძლევენ რა თავიანთ პროდუქტს სასწავლო დაწესებულებებს, იმედოვნებენ, რომ ისინი მალე სწევენ თავიანთი ბრენდის ცნობადობას და, თუ უკვე ყოფილი სტუდენტები დაიწყებენ მათი სერვისით სარგებლობას, ბუნებრივია, რომ ეს უკვე რეკლამაა. Google სერვისულ პროგრამებს სთავაზობს ასევე კომერციულ კომპანიებს და, ბუნებრივია, გუშინდელ კურსდამთავრებულებს უჩნდებათ სურვილი, თავიანთ საქმიანობაში გამოიყენონ მათთვის ნაცნობი ბრენდი.

ელექტრონული სწავლების სერვისების მიგრაცია ღრუბელში. ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს უნივერსიტეტის მონაცემთა ცენტრებიდან ღრუბლოვანი გამოთვლების პროვაიდერებთან სასწავლო სერვისების მიგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კატალიზატორს. მრავალი სტუდენტი არ სარგებლობს საუნივერსიტეტო საფოსტო სერვერით, რადგან მათ საკუთარი ანგარიშები გააჩნიათ ისეთ უფასო მომსახურების სერვერებზე, როგორებიცაა: Microsoft Hotmail ან Google Gmail. შესაბამისად სასწავლო დაწესებულების მიერ საფოსტო სერვისპროვაიდერის შეცვლა მრავალი სტუდენტისათვის შეუმჩნეველი იქნება. ხოლო თუ ის გადაწყვეტს საუნივერსიტეტო საფოსტო სერვერით სარგებლობას, ეს მისთვის მარტივი იქნება, რადგან ის მოხვდება მისთვის ჩვეულ ღრუბლოვან სერვისზე. დღეს მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელს, მათ შორის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსაც, დადებული აქვს ხელშეკრულება Microsoft-თან ან Google-სთან თანამშრომლობაზე და სტუდენტებისათვის უფასო საფოსტო ანგარიშების გამოყოფის თაობაზე დომენის იმ სახელით, რომელიც ემთხვევა დაწესებულებისათვის მინიჭებულ დომენის სახელს. ასე რომ, არგუმენტები საფოსტო სერვერის ღრუბლოვან სივრცეში გადასატანად უფრო და უფრო მყარია.

ელექტრონული ფოსტა ერთ-ერთია ონლაინსერვისების იმ მრავალრიცხოვან სიაში, რო-

მელთა დამოუკიდებლად მიწოდება უხდება სასწავლო დანესებულებებს. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული ელექტრონული სწავლების სერვისები და სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სერვისებს.

ცხრილში მოცემულია LMS სისტემებიდან ორი ყველაზე მეტად გავრცელებული – Blackboard-ისა და Moodle-ს ფუნქციების შედარება Microsoft-ისა და Google-ს მიერ შესაბამის ღრუბლოვანი სერვისებთან. გასათვალისწინებელია ის, რომ ცვლილებები ამ სფეროში პერმანენტული ხასიათისაა და მუდმივად ხდება ზემოთ ჩამოთვლილი სისტემებისათვის ახალი შესაძლებლობების დამატება. ზოგიერთი ინსტრუმენტი, როგორცაა, მაგალითად, პერსონალური დოკუმენტების შენახვა, შეიძლება არ წარმოადგენდეს LMS სისტემების შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ეს შესაძლებელია ამ სისტემაში პლაგინების დამატებით. LMS სისტემებში ძირითადად რეალიზებულია სასწავლო ორგანიზაციებისათვის საჭირო ინსტრუმენტული შესაძლებლობები, განსხვავებით ღრუბლოვანი სერვისისაგან, რომელიც გამიზნულია უფრო ზოგადი ამოცანების გადასაწყვეტად.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ღრუბლოვანი სერვისებით შესაძლებელია ვირტუალური სასწავლო გარემოსათვის საჭირო მრავალი ფუნქციის რეალიზება. გამონაკლისს წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტი. მაგალითად, Google Apps-ში არ არის შეფასების ელექტრონული სისტემისათვის საჭირო ტესტირების ისეთი აუცილებელი ინსტრუმენტი, როგორც არის Moodle-სა და Blackboard-ში. ასევე, არც ერთ ღრუბლოვან გამოყენებით პროგრამაში არ არის აკადემიური მოსწრების ჟურნალი. ეს განპირობებულია იმით, რომ თავდაპირველად, როცა იქმნებოდა ღრუბლოვანი სერვისები, ჩადებული არ იყო საგანმანათლებლო სპეციფიკა. თუმცა Microsoft-მა და Google-მ უკვე დაიწყეს თანამშრომლობა საგანმანათლებლო სივრცესთან და სავარაუდოდ, არც ისე შორსაა ის დრო, როცა გამოჩნდება მათ მიერ შექმნილი სპეციფიკური საგანმანათლებლო გამოყენებითი პროგრამები.

ცხრილი 1

	Blackboard	Moodle	Microsoft Live@edu	Google Apps for Education	Google Classroom
კომუნიკაციის საშუალებები					
ფორუმი	+	+	+		+
შეტყობინებები (ჩეთი)	+	+	+	+	
ელექტრონული ფოსტა			+	+	
ბლოგი	+	+	+		
ვიკირესურსები/ერთობლივი რედაქტირება	+	+	+	+	
ხმის მიცემა / მიმოხილვა	+	+		+	

ერთობლივი სამუშაოებისთვის ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა		+	+		+
აუდიო/ვიდეო კონფერენცია					
საერთო ელექტრონული „საკლასო დაფა“					
შეფასების ინსტრუმენტები					
საკონტროლო გამოკითხვა	+	+		+	
საშინაო დავალებების ატვირთვა	+	+			
მოსწრების ჟურნალი	+	+			
კონტენტი					
დოკუმენტების ჯგუფური საცავი	+	+	+		+
დოკუმენტების პერსონალური საცავი	+	+	+	+	
ლექსიკონი		+	+		
სიახლეები		+	+		

დღეისათვის Google-მ მოახდინა ინტეგრაცია Google Apps-სა და Moodle-ს შორის, რაც საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნეს ორივე სისტემაში ერთიანი შესვლის შესაძლებლობა. მაგალითად, ასეთი გადანყვეტა განახორციელა კომპანია Moodle Rooms-მა, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის სისტემა Moodle-ს განთავსებას ღრუბელში და ამით ამცირებს ორგანიზაციის შიგნით სისტემის განთავსებით გამოწვეულ ხარჯებს.

ღრუბლოვანი სერვისზე გადასვლის რისკები. ელექტრონული სწავლების გადანაცვლება ღრუბლოვანი სერვისებში შეიცავს გარკვეულ რისკებს საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის. თუმცა რისკი იმისა, რომ ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: Google და Microsoft, ახლო მომავალში გაკოტრდებიან და კლიენტებს დატოვებენ სერვისის გარეშე, ძალიან დაბალია. სასწავლო დანებსებულებისთვის არსებობს უფრო დიდი საშიშროება იმისა, აღმოჩნდეს დამოკიდებული სერვისების ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე. ორივე ეს კომპანია სთავაზობს სასწავლო დანებსებულებებს, დადონ ხელშეკრულება გარკვეულ მომსახურებებზე რამდენიმე წლით. ბუნებრივია, არ არსებობს გარანტიები, რომ სერვისები გაგრძელდება ან თუ გაგრძელდება, მომავალშიც იქნება უფასო. სერვისების მუშაობაში მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა სასწავლო ორგანიზაციებში შეიძლება გამოიწვიოს დიდი დანახარჯები, ვინაიდან მათ ხელი არ მიუწვდებათ პროგრამული უზრუნველყოფის კოდსა და უარეს შემთხვევაში - მონაცემებზეც. ღრუბლოვანი სერვისების პროგრამული უზრუნველყოფის უმნიშვნელო განახლებებმაც კი, რაც საკმაოდ რეგულარულად ხდება, შეიძლება გამოუსადეგარი გახადოს სამომხმარებლო დოკუმენტაცია და საჭირო გახდეს დაპროექტებული საგანმანათლებლო საქმიანობის შეცვლა.

განსაკუთრებით საყურადღებოა სტუდენტებისა და პერსონალის დასაბუთებული ეჭვები საკუთარი მონაცემების შენახვის უსაფრთხოების თაობაზე. თუმცა Google აცხადებს, რომ სტუდენტების მონაცემები შენახული იქნება ევროპული კანონების მოთხოვნების შესაბამისად. ორივე კომპანიას აქვს კონფიდენციალურობის პოლიტიკა, არ აწარმოებს კერძო პირების შესახებ ინფორმაციის დაგროვებას და სტუდენტთა მონაცემები არ გადაეცემა მესამე მხარეს.

კომპანიები – Google და Microsoft, მიუხედავად მათი გრანდიოზული რესურსებისა და კვალიფიკაციისა, არ არიან დაზღვეული მუშაობაში შეფერხებისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგ., DoS-შეტევებით. ერთი კომპანიის მიერ ღრუბლოვანი გამოთვლების სერვისების მართვა, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა ცენტრები განლაგებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაინც ქმნის გარკვეულ სისუსტეებსა და საფრთხეებს ინფრასტრუქტურაში. ამ შემთხვევაში, ალბათ, გონივრული იქნება გამოყენებულ იქნეს ღრუბლოვანი გამოთვლების რამდენიმე პროვაიდერი. თუმცა ლოგისტიკური თვალსაზრისით ელექტრონულ სწავლებაში ასეთი სტრუქტურის გამოყენება ძნელად წარმოსადგენია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ღრუბლოვანი გამოთვლები ახალი ტექნოლოგიაა და ჯერ კიდევ არსებობს მოსაგვარებელი ტექნიკური საკითხები მის გამოყენებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა გადაცემის არსებულმა ქსელებმა, შესაძლებელია ვერ გაუძლოს მოსალოდნელი ტრაფიკის ზრდას. ასევე ჩნდება საშიშროება, რომ ქსელის არარსებობის პირობებში მომხმარებელთა კომპიუტერები უფუნქციოდ დარჩება.

ამრიგად, მაღალი სანდოობის მქონე ღრუბლოვანი სერვისული პროგრამების პროვაიდერულ კომპანიებს, შეთანხმებული სერვისის დონის ფარგლებში, შეუძლიათ, სასწავლო ორგანიზაციების IT სამსახურებს მისცენ საკმარისი გარანტიები თავიანთი პროდუქტების ტექნიკურ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაზე, მტყუნებაზე და დაცვაზე, უცხო პირების არასანქცირებულ შემოჭრაზე, წვდომის მართვასა და მონაცემთა დაცვაზე. სასწავლო დაწესებულებას ასევე შესაძლებლობა ექნება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით თვალყური ადევნოს მომხმარებელთა მოქმედებებს საგანმანათლებლო სისტემაში. ამასთან, ღრუბლოვანი სერვისები უფრო თანამედროვეა, ვიდრე – LMS სისტემების მიერ შემოთავაზებული. ისინი აკმაყოფილებენ ზოგიერთ ისეთ ნოვატორულ მოთხოვნას, როგორცაა – მაღალი ხარისხის ინსტრუმენტები მომხმარებლის კონტენტის გენერაციისათვის და ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან.

აშკარაა, რომ LMS სისტემების (Blackboard, Moodle და სხვა) რეალიზაცია უახლოეს მომავალში განხორციელდება ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით, ხოლო ღრუბლოვანი გამოყენებითი სერვისები (Live@edu, Google Apps for Education და სხვა) უფრო მოერგებიან ელექტრონული სწავლების მოთხოვნებს, მაგრამ რომელ ტექნოლოგიებს აირჩევენ სასწავლო ორგანიზაციები, დღეისათვის ამის პროგნოზირება შეუძლებელია. ერთი კი ცხადია, სასწავლო ორგანიზაციებს ექნებათ დიდი არჩევანი სასწავლო პროცესში თანამედროვე, მონინავე ტექნოლოგიებით აგებული სისტემების დასაწერად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე დ., ლომინაძე თ., ჟვანია თ., თოდუა თ., კობიაშვილი ა., დისტანციური სწავლების ორგანიზება, მონოგრაფია, სტუ, თბილისი, 2008.
2. Baker Mark, Apon Amy, Clayton Ferner Clayton, Brown Jeff, Emerging grid standards, Computer, (4) April, 2005.
3. Sclater Niall, Web 2.0, Personal Learning Environments, and the Future of Learning Management Systems, EDUCASE Center for Applied Research, Research Bulletin, Volume 2008, Issue 13. June 24, 2008, <http://net.educause.edu/ir/library/pdf/ERB0813.pdf>;
4. Vaquero Luis M., Luis Rodero-Merino, Caceres Juan, Lindner Maik, A break in the clouds: towards a cloud definition, Computer Communication Review, v39 i1, January 2009, <http://portal.acm.org/citation.cfm?id=1496091.1496100>.

თალიკო ჟვანია, დავით კაპანაძე

სასწავლო ორგანიზაციებში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები რეზიუმე

თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენება, რასაც ხელი შეუწყო ვირტუალურ სასწავლო გარემოში სხვადასხვა ინსტრუმენტული საშუალების ინტეგრირებამ. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, რომლებიც სასწავლო ორგანიზაციებს სთავაზობს ელექტრონული სწავლების ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დინამიკურ და აქტუალურ ახალ შესაძლებლობებს. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ მომსახურების მაღალ დონეს და გავლენას ახდენს სასწავლო კურსების არქიტექტურაზე, შეთავაზებულ სერვისებსა და ლოგისტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ღრუბლოვანი ტექნოლოგიები შეიცავს ახალ რისკებს, ამავე დროს მისი გამოყენებით საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უკეთეს სერვისი ნაკლები დანახარჯებით.

ნაშრომში მოყვანილია თანამედროვე LMS სისტემებისა და ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით სწავლების სერვისების შედარებითი ანალიზი და ნაჩვენებია აღნიშნული ტექნოლოგიების სასწავლო ორგანიზაციებში დანერგვის პერსპექტივები.

Taliko Zhvania, David Kapanadze

The Perspectives of the Cloud Technologies' Application in Educational Organizations

Summary

Application of e-learning technologies at the modern institutions of higher education have significantly increased, which was supported by integration of the various instruments in the virtual learning environment. Recently, the cloud technologies have become most popular, which offer e-learning internet technologies based dynamical and actual new opportunities to the educational institutions. The cloud technologies provide a high level of the service and they impact on the architecture of the training courses, offered services and logistics. Although, the cloud technologies include the new risks, at the same time their use for educational institutions and students can get a better service at the lower cost.

The authors offer comparative analysis of the learning services with the modern LMS systems and the cloud technologies and show the perspectives of their implementation in the educational organizations.

ვადიმ რაძიევსკი, დიმიტრი რაძიევსკი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

ინტელექტუალური საინფორმაციო ტექნოლოგიები რთული ჰუმანისტური სისტემების მართვის ამოცანებში

მართვის ამოცანებში ამა თუ იმ მეთოდების გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული მართვის ობიექტის თვისებებთან. მართვის ტრადიციულ თეორიაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ობიექტებთან, რომელთა ფუნქციონირების კანონის აღწერა, აგრეთვე მიზნები და კრიტერიუმები იძლევა მკაფიო მათემატიკური ფორმალიზაციის შესაძლებლობას. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი ევროპული ქვეყნების მეცნიერების კვლევის შედეგად ნაჩვენები იყო, რომ რთული ჰუმანისტური სისტემების (ცოცხალი ორგანიზმი, ეკონომიკური სისტემები, სოციალური სისტემები, განათლების სისტემები და ბევრი სხვა, ე. ი. სისტემები, რომლებშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მსჯელობასა და ცოდნას) მართვისას ასეთი ფორმალიზაცია არაეფექტურია და უფრო ხშირად შეუძლებელიც. მსგავსი ამოცანები (Newell, 362–414; Simon, 181–201; Zadeh, 5–45)-ის მიხედვით, მიეკუთვნება არაფორმალიზებულ ამოცანათა კლასს, რომელთა ამოხსნა მოითხოვს ახალი მეთოდებისა და მიდგომების მოზიდვას. დასავლელი მეცნიერების კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა რთული ჰუმანისტური სისტემების ანალიზი და მისი გამოყენება ზემოხსენებული სისტემების მართვის ამოცანების გადასაწყვეტად.

მოცემულ ნაშრომში განიხილება გადაწყვეტილების ძიების არაფორმალიზებული ამოცანები, დაკავშირებული რთული ჰუმანისტური სისტემების მართვასთან. ასეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორც წესი, ხდება ადამიანის მიერ მისი ცოდნის, გამოცდილების და ინტუიციის საფუძველზე. სამუშაოში განიხილება ასეთი ამოცანების კომპიუტერული ამოხსნის საკითხები, რაც მოითხოვს ახალი მეთოდებისა და მიდგომების მოზიდვას. ერთ-ერთი ასეთი მიდგომა დაკავშირებულია ინტელექტუალური სისტემების აგებასთან, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა მართვის ობიექტის შესახებ. ამ ცოდნაზე დაყრდნობით ხდება მიმდინარე მდგომარეობის გამოცნობა და ამის საფუძველზე მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება.

ფაქტორების ერთობლიობა, რომლებსაც იღებს მართვის სისტემა ობიექტისგან მისი მდგომარეობის შესახებ, წარმოადგენს სიტუაციას. სიტუაცია შეიძლება იყოს წარმოდგენილი რაოდენობრივი ან თვისობრივი ნიშნების სახით, ვიზუალურად ან აღწერით, ბუნებრივ ენაზე ტექსტის სახით. იმისათვის, რომ სიტუაციას მიეცეს გარკვეული ინტერპრეტაცია, მართვის სისტემას უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა მართვის ობიექტის შესახებ. ცოდნის წარმოდგენის მიზნით გამოიყენება მისი ისეთი მოდელები, როგორიც არის: პროდუქციები, სემანტიკური ქსელები, ფრეიმები და სხვა. ამ ნაშრომში ხელსაყრელი აღმოჩნდა ცოდნის წარმოდგენის პროდუქციული მოდელის გამოყენება.

პროდუქცია წარმოადგენს წესს, რომელსაც აქვს სახე: თუ — მაშინ, ანუ $x \rightarrow y$, სადაც x ნიშნავს რაღაც პირობას და y ნიშნავს ახალ ფაქტს, რომელიც გამოიყვანება x პირობიდან. ეს ფაქტი შეიძლება იყოს დასკვნა ან ოპერატორი, რომელიც აწარმოებს მოქმედებას. კერძოდ, მოქმედება შეიძლება იყოს გამიზნული მართვის განხორციელებისათვის. იმისათვის, რომ ამუშავდეს პროდუქციის მარჯვენა მხარე და განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღება, საჭიროა, რომ

შემავალი სიტუაცია ზუსტად დაემთხვეს სიტუაციას, რომელიც წარმოდგენილია პროდუქციის პირობით ნაწილში. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი დამთხვევა აუცილებელია გადანყვეტილების მისაღებად. მაგრამ ზოგადად შეუძლებელია, შევექმნათ ასეთი კორელაციური წესი, რომელიც ყოველ შემავალ სიტუაციას შეუსაბამებს ერთ გადანყვეტილებას. უმეტეს შემთხვევაში შემავალი სიტუაცია უნდა გავაიგივოთ რომელიღაც კლასთან არსებითი ნიშნების შესაბამისად, ე. ი. უნდა განხორციელდეს გამოცნობის ამოცანის ამოხსნა. გამოცნობის შედეგად ხდება იმის დადგენა, რომელ კლასს მიეკუთვნება შემავალი სიტუაცია.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გადანყვეტილების რაოდენობა, შეთავაზებული სპეციალისტების მიერ და ფიქსირებული სისტემის ცოდნაში, ძალიან შეზღუდულია. სიტუაციების რაოდენობა კი, როგორც წესი, მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შესაძლო გადანყვეტილებათა რაოდენობა. ამავე დროს მართვის პროცესში დაცული უნდა იყოს ეშბის აუცილებელი სხვადასხვაობის კანონი, რომლის მიხედვით რთული სისტემის სხვადასხვაობა მოითხოვს მართვას, რომელიც თვითონ ფლობს საკმარის სხვადასხვაობას. ე.ი. ამ ორ სიმრავლეს შორის უნდა იყოს იზომორფული შესაბამისობა. იმისათვის, რომ დავიცვათ აუცილებელი სხვადასხვაობის კანონი, შეიძლება გამოვიყენოთ ორი შესაძლებლობა:

1. შევამციროთ მართვის ობიექტის მიერ წარმოქმნილი სხვადასხვაობა და გავხადოთ ტოლი იმ სხვადასხვაობისა, რომლის წარმოქმნა შეუძლია მართვის სისტემას.

2. გავზარდოთ მართვის სისტემით წარმოქმნილი სხვადასხვაობა და გავხადოთ ტოლი იმ სხვადასხვაობისა, რომლის წარმოქმნა შეუძლია მართვის ობიექტს.

ადამიანი ხშირად იყენებს პირველ შესაძლებლობას და ხელოვნურად ამცირებს სხვადასხვაობას წარმოქმნილ მართვის ობიექტში. ამ სხვადასხვაობის შემცირების ერთ-ერთი მეთოდი დაკავშირებულია მართვის ობიექტის მდგომარეობათა სიმრავლის კლასებად დაყოფასთან. ყოველ ასეთ კლასს უნდა შეეუსაბამოთ მისი განზოგადებული აღწერა. ამ შემთხვევაში პროდუქციების, რომლებიც იძლევიან შეფარდებას სიტუაციებსა და გადანყვეტილებებს შორის, პირობით ნაწილებში კონკრეტული სიტუაციების S_1, \dots, S_n მაგივრად იქნება განხილული განზოგადებული სიტუაციები S_1^*, \dots, S_k^* , სადაც $k < n$. ყოველი განზოგადებული სიტუაცია ახასიათებს სიტუაციების კლასს და არა კონკრეტულ სიტუაციას. კონკრეტული სიტუაცია, რომელიც მიეწოდება სისტემას, უნდა მიეკუთვნებოდეს ერთ-ერთ კლასს — განზოგადებულ სიტუაციას, რომლის აღწერა წარმოდგენილია პროდუქციის პირობით ნაწილში. ყოველ ასეთ კლასს შეესაბამება გადანყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ განზოგადება საფუძვლად უდევს სახეთა გამოცნობის ამოცანას, სადაც ობიექტის აღწერა მიეკუთვნება ერთ-ერთ კლასს, ე. ი. ერთ-ერთ განზოგადებულ აღწერას. სამუშაოში (Нильсон, 19-37) განხილულია სახეთა გამოცნობის ერთ-ერთი წამყვანი მიდგომა, რომლის საფუძველზე მიღებული იყო მნიშვნელოვანი შედეგები. ამ მიდგომის თანახმად, ყოველი ობიექტი, რომელიც ექვემდებარება გამოცნობას, განსაზღვრულია, როგორც წერტილი X , ევკლიდის n – განზომილებიან სივრცეში. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს ობიექტებს შორის მანძილის ცნება. ეს კი საშუალებას იძლევა ობიექტები მიკუთვნებულ იქნეს გარკვეული კლასისადმი. ორი ობიექტი მიეკუთვნება ერთსა და იმავე კლასს, თუ წერტილები, რომლებიც წარმოადგენენ ამ ობიექტებს ევკლიდის სივრცეში, ახლოს არიან ერთმანეთთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის წარმოდგენა, როგორც წერტილი ევკლიდის სივრცეში, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა ნაკრები წარმოადგენს ნამდ-

ვილ რიცხვებს. თუ მონაცემთა ნაკრები არის თვისობრივი ხასიათის და მანძილის გონივრული ინტერპრეტაცია არ არის, მაშინ ობიექტის წარმოდგენა, როგორც წერტილი ევკლიდის სივრცეში, შეუძლებელია. ეს იქნება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტის აღწერის მონაცემები წარმოადგენენ ისეთ ნიშნებს, როგორც არის: სქესი, ეროვნება, დაბადების ადგილი, თანამდებობა და სხვა. ამ ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ობიექტის აღწერისა და სახეთა გამოცნობის ისეთი მიდგომების ძიება, რომლებშიც წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული რაოდენობრივი და თვისობრივი ნიშნებიც. მოცემულ სამუშაოში ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება მათემატიკური ლოგიკის ან ბულის ალგებრის აპარატი, რომელიც ფორმალურ დონეზე ობიექტის შინაარსიანი აღწერის შედგენის საშუალებას იძლევა რაოდენობრივი და თვისობრივი ნიშნების გამოყენებით (Чавчანიძე, 61№1).

იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ბულის ალგებრის ან მათემატიკური ლოგიკის მეთოდები, საჭიროა ნიშანთა მნიშვნელობების ბინარიზაცია, რომელიც ხორციელდება მათი დაყოფის საშუალებით რიგ შუალედებზე. ნიშნების როლში გამოიყენება პრედიკატები, რაც ნიშნავს, რომ, აქვს თვისება ჩვენს შემთხვევაში ნიშნავს – „მნიშვნელობების ყოფნა მოცემულ შუალედში“. პრედიკატი ლებულობს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, თუ მოხვდა მოცემულ შუალედში და მცდარს – წინააღმდეგ შემთხვევაში.

რაც შეეხება თვისობრივ ნიშნებს, ისინი რჩებიან ხელუხლებლად, ვინაიდან უკვე წარმოადგენენ ბინარულ ნიშნებს და გამოსახებიან ერთადგილიანი პრედიკატების მეშვეობით. როდესაც ცვლადი ერთადგილიანი პრედიკატში ლებულობს კონკრეტულ მნიშვნელობას პრედიკატი გარდაიქმნება ჩვეულებრივ გამონათქვამში, რომელიც შეიძლება იყოს ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. ასეთი გამონათქვამები განსაზღვრავენ ნიშნების ბინარულ მნიშვნელობებს. აღვნიშნოთ ეს ნიშნები ასობით და წარმოვადგინოთ მათი ბინარული მნიშვნელობები ცხრილში 1, სადაც წარმოდგენილია სასწავლო ამონაკრეფის მონაცემები. ამ ცხრილში რიცხვები 0 და 1 აღნიშნავენ ნიშნების – $x_1 \dots x_n$ ბინარულ მნიშვნელობებს. სახეთა გამოცნობის ამოცანათა გადასაწყვეტად ნიშნებიდან, რომლებიც ახასიათებენ სიტუაციას, აიგება ლოგიკური ფუნქციები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება გამოცნობა (რაძიევსკი ..., 2013, 226-234).

უნდა აღვნიშნოს, რომ განზოგადების უფრო მაღალი დონის მისაღწევად უნდა დავეყრდნოთ არა მხოლოდ ნიშანთა მნიშვნელობებს, არამედ – თვით ნიშნებს. ასეთი მოთხოვნა გულისხმობს ფუნქციის შერჩევას ცხრილში მოცემული არა ყველა n ნიშნიდან, არამედ გაცილებით ნაკლები – არსებითი ნიშნებიდან (რაძიევსკი, 1998, 204–207). ჩავთვალოთ, რომ ნიშანი არსებითია გამოცნობისთვის, თუ ეს ნიშანი ლებულობს სხვადასხვა მნიშვნელობას სხვადასხვა კლასის ობიექტებისთვის (Ватанабе, 254–275). იმ შემთხვევაში, თუ ნიშანი ლებულობს ერთსა და იმავე მნიშვნელობას სხვადასხვა კლასის ობიექტებისთვის, მაშინ ეს ნიშანი არ არის არსებითი და შეიძლება იყოს გამორიცხული ნიშანთა ნაკრებიდან.

განზოგადების განხილული ხერხები, ხშირად ვერ უზრუნველყოფს ექსტრაპოლაციის საკმარის ხარისხს. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის ამოცანათა ამოხსნისას გვიხდება სიტუაციების გაერთიანება კლასებში გადაწყვეტილებათა რაოდენობის მიხედვით. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება უფრო დიდი მოცულობის ცნებებზე გადასვლა. ამისათვის სიტუაციების სიმრავლე, რომელზეც მიიღება ერთნაირი გადაწყვეტილება, უნდა გაერთიანდეს კლასებში. ავიღოთ ერთ კლასში გაერთიანებული სიტუაციების ნიშნების გადაკვეთა და გამოყვით მათი საერთო ნიშანი (ფრეიმი). გადაკვეთის შედეგად მიღებული ნიშნები იძლევიან გვა-

როვნულ ცნებას იმ ცნებათა მიმართ, რომლებიც აღწერენ აღმავალ სიტუაციებს. მიღებულ ცნებას ექნება უფრო დიდი მოცულობა და ამის შედეგად უფრო მაღალი ექსტრაპოლაციის ხარისხი. ასეთი აღწერები, წარმოდგენილი ნიშანთა ნაკრების მეშვეობით, მოთავსებული უნდა იყოს პროდუქციის პირობით ნაწილში და უნდა მოხდეს შემავალი სიტუაციისა და პროდუქციის მარცხენა მხარეს მოთავსებული აღწერების შეპირისპირება. ასეთი შეპირისპირებისათვის ეს ორი აღწერა წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ენაზე. ჩვენს შემთხვევაში ორივე აღწერა წარმოდგენილია ნიშანთა ნაკრების მეშვეობით.

x_1	x_2	x_n	კლასი
0	0	1	R_1
1	0	0	R_1
.....
.....	R_2
.....
0	1	1	R_k

ცხრილი 1

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მართვის სისტემასა და მართვის ობიექტს შორის იზომორფიზმის დამყარება შესაძლებელია არა მხოლოდ მართვის ობიექტის სხვადასხვაობის შემცირებით, არამედ მართვის სისტემაში გადანყვეტილებათა სხვადასხვაობის გაზრდით, რაც საშუალებას იძლევა, დავიცვათ აუცილებელი სხვადასხვაობის კანონი. სხვადასხვაობის მახასიათებელი, ეშის მიხედვით, არის ენტროპია, ვინაიდან ის განისაზღვრება მდგომარეობათა რეალიზაციის ალბათობებით და მიაღწევს თავის მაქსიმუმს თანაბარ განაწილებაზე (მაქსიმალური სხვადასხვაობა იქნება მაშინ, როცა ნებისმიერი მდგომარეობის რეალიზაცია ხდება თანაბარი ალბათობით) და მინიმუმს, როცა რომელიმე ერთი მდგომარეობის რეალიზაცია ხორციელდება ალბათობით – 1. თუ მართვის ობიექტის სირთულე მატულობს, მაშინ მართვის სისტემის სირთულემაც უნდა მოიმატოს. ამიტომაც კორპორაციების, ფინანსური ჯგუფების, ორგანიზაციების და ა.შ. მართვის აპარატის გართულება თანამედროვე პირობებში არის კანონზომიერი პროცესი. სხვა საქმეა, რომ მართვის სისტემის სხვადასხვაობის შევსება საჭიროა არა დამატებითი ადამიანების რესურსების მოზიდვით, არამედ კომპიუტერული და სხვა ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის ხარჯზე. აუცილებელი სხვადასხვაობის კანონს აქვს პრინციპული მნიშვნელობა მართვის სისტემის ოპტიმალური სტრუქტურის დამუშავებისთვის. თუ მართვის ცენტრალური ორგანო არ ფლობს მართვაში აუცილებელ სხვადასხვაობას, მაშინ საჭიროა, განვაფიქროთ იერარქიული სტრუქტურა და გადავცეთ გარკვეული გადანყვეტილების მიღება დაბალ დონეებზე. ამავე დროს უნდა ვიზრუნოთ რომ ეს დაბალი დონეები არ გარდაიქმნას გადაცემის ინსტანციებად. სხვადასხვა ორგანიზაციების მართვის სისტემა მოყვანილ უნდა იყოს აუცილებელი სხვადასხვაობის კანონთან შესაბამისობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რაძიევსკი ვ., კლასიფიკაციის ამოცანა და ობიექტთა კლასის განზოგადებული აღწერა ნიშნების ბინარული მნიშვნელობისას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული, თბილისი, 1998.
2. რაძიევსკი ვ., მიქელაძე მ., ჯალიაბოვა ნ., ხაჩიძე მ., რაძიევსკი დ., გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტიკების, პროგნოზირების და ანალიზის ინტელექტუალური სისტემა, ნიკო ნიკოლაძე 170 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 2013.

3. Newell A., Heuristic programming: ill-structured problems/Progress in operation research, New York, Wiley and Sons, 1969.
4. Simon H., The structure of ill-structured problems, Artificial Intelligence, V.4, 1973.
5. Zadeh L., The concept of a linguistic variable and its application to approximate reasoning, American Elsevier Publishing Company, New York, 1973.
6. Ватанабе С., Разложение Карунена – Лоева и факторный анализ. Теория и приложения, Сб. переводов. Автоматический анализ сложных изображений под ред. Бравермана Э. М., «Мир», Москва, 1969.
7. Нильсон Н., Обучающиеся машины, Мир, Москва, 1967.
8. Чавчანიძე В., Аналитическое решение задачи формирования понятий и распознавания образов, Сообщение АН ГССР, Тбилиси, 1971, 61, №1.

ვადიმ რადიევსკი, დიმიტრი რადიევსკი

ინტელექტუალური საინფორმაციო ტექნოლოგიები რთული ჰუმანისტური სისტემების მართვის ამოცანებში რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების მიღების ამოცანა რთული ჰუმანისტური სისტემების მართვისას. ნაჩვენებია, რომ ამ ამოცანის ამოხსნა ვერ ხერხდება ზუსტი მათემატიკური ან გადარჩევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ამიტომ ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება სახეთა გამოცნობის და ცოდნის პროდუქციული მოდელები. ნაშრომში აგრეთვე განიხილება მართვის ობიექტის მდგომარეობათა სიმრავლესა და მართვის სისტემის მეშვეობით წარმოქმნილი შესაძლო გადაწყვეტილებათა სიმრავლეებს შორის თანაფარდობა. ნაჩვენებია, რომ თანაფარდობა ამ ორ სიმრავლეს შორის შესაბამისობაში უნდა იყოს ეშბის აუცილებელი სხვადასხვაობის კანონთან. შემოთავაზებულია ამ ამოცანის გადაწყვეტის მეთოდები და შესაბამისი რეკომენდაციები.

Vadim Radzievski, Dimitri Radzievski

Intelligent Information Technologies in the Problem of Complex Humanistic Systems Control

Summary

Here is considered the problem of making decisions for managing complex systems. It is shown that the solution of such problems is not possible by means of traditional mathematical methods or busting techniques. In order to solve such problems production models of knowledge and recognition models are used. We also consider the relationship between the set of the control object states and the set of possible solutions generated by the control system. It is shown that the relation between these sets should be brought into line with Ashby's law of requisite variety. The methods for solving this problem and corresponding recommendations are suggested.

ელექტრონული კომერციის დაცული სისტემის აგების პრინციპები ცოდნის ნულთან გადაცემით აუტენტიფიკაციის პროტოკოლების საფუძველზე

ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული ინტერესი მზარდია არა მარტო მთელ მსოფლიოში, არამედ იზრდება საქართველოშიც. ქართული კომპანიები ცდილობენ შექმნან და განავითარონ საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურებათა გაყიდვების ელექტრონული არხები. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ელექტრონული კომერციის განვითარების საკითხსაც. მხარეები, აღიარებენ რა, რომ ელექტრონული კომერცია მრავალ სექტორში ზრდის ვაჭრობის შესაძლებლობებს, თანხმდებიან, რომ ხელი შეუწყონ მათ შორის ელექტრონული კომერციის განვითარებას.

ელექტრონული კომერციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხია უსაფრთხოება. ინტერნეტგადახდების ბაზრის განვითარების გზის ძირითად დაბრკოლებას ფსიქოლოგიური ფაქტორი წარმოადგენს, რაც თაღლითობის პოტენციური რისკის გათვითცნობიერებასთან არის დაკავშირებული. ადამიანები ჯერ კიდევ არ განიხილავენ ინტერნეტს, როგორც უსაფრთხო გარემოს, რასაც ხელს უწყობს ინტერნეტში მუშაობის უსაფრთხოების ხარისხის შესახებ ობიექტური ინფორმაცია. გამოკითხვები ცხადყოფენ, რომ ინტერნეტში მუშაობისას ადამიანებს ყველაზე მეტად უცხო პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების დაუფლების პოტენციური საფრთხის არსებობის ეშინიათ. საგადახდო სისტემა VISA-ს მონაცემებით, ტრანზაქციათა დაახლოებით 23% საბანკო ბარათებით არ ხორციელდება იმის გამო, რომ მომხმარებლები უფრთხიან ელექტრონული მაღაზიის მიერ კლიენტის შესახებ მოთხოვნილი პერსონალური ინფორმაციის მინოდებას (შეყვანას). შედეგად, ადამიანები ინტერნეტს ძირითადად იყენებენ საინფორმაციო არხის სახით, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ინტერნეტის ქსელის მომხმარებლებმა, რომელნიც ერთხელ მაინც დარეგისტრირებულან რომელიმე საიტზე, ინტერნეტმაღაზიის მონაცემთა ბაზაში, ფორუმზე და ა.შ., იციან მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და აუტენტიფიკაციის პროცესების შესახებ. მართლაც, შეგვყავს რა ვებფორმაში მომხმარებლის სახელი (login) და ვადასტურებთ რა მას პაროლით (password), ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ ამ პროცესებში, თუმცა არ ვუფიქრდებით, თუ რაში სჭირდებათ ამ ობიექტების მფლობელებსა და შემქმნელებს ეს ინფორმაცია. არადა ეს პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტრონული კომერციისა და კორპორატიული ვებ-სერვერების დაცვის სისტემის შექმნაში.

ელექტრონული კომერციის სისტემებში ინტერნეტის ქსელისა და მონაცემთა გადაცემის ღია არხების გამოყენება ბოროტმოქმედთა მიერ როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველის აქტივებზე წვდომის პოტენციურ საფრთხეს ქმნის. ამიტომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ინფორმაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ისეთი საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც ერთ მხარეს (შემომწამებელი) საშუალებას აძლევს დარწმუნდეს მეორე მხარის (შესამომწამებელი) ნამდვილობაში.

სისტემის რესურსებზე წვდომის მიღებამდე მომხმარებელმა უნდა გაიაროს ინფორმაცი-

ულ სისტემასთან პირველადი ურთიერთქმედების პროცესი, რომელიც მოიცავს ორ ეტაპს - იდენტიფიკაციასა და აუტენტიფიკაციას.

იდენტიფიკაცია – ეს არის მომხმარებლის ამოცნობის პროცედურა მისი იდენტიფიკატორის (სახელის) მიხედვით. როდესაც მომხმარებელი სისტემაში შესვლას ცდილობს, პირველ რიგში ეს პროცედურა ხორციელდება. მომხმარებელი სისტემის მოთხოვნის შესაბამისად საკუთარ იდენტიფიკატორს ატყობინებს მას და ეს უკანასკნელი საკუთარ ბაზაში მიღებული იდენტიფიკატორის არსებობას ამოწმებს.

აუტენტიფიკაცია – ეს არის ნამდვილობის შემოწმების პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა, საიმედოდ გადამოწმდეს, წარმოადგენს თუ არა მომხმარებელი ზუსტად იმ პირს, ვისადაც აცხადებს თავს. აუტენტიფიკაციის ჩატარებისას შემოწმებული მხარე რწმუნდება შესამოწმებელი მხარის ნამდვილობაში, სადაც შესამოწმებელი მხარე ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას ინფორმაციის გაცვლის პროცესში. სისტემაში საკუთარ იდენტიფიკაციას მომხმარებელი ჩვეულებრივ თავის შესახებ უნიკალური (მაგ. პაროლი ან სერტიფიკატი), სხვა მომხმარებელთათვის უცნობი ინფორმაციის შეყვანით ადასტურებს. მას შემდეგ, რაც სუბიექტი იდენტიფიცირებული და აუტენტიფიცირებულია, ხორციელდება მისი ავტორიზაცია. ეს არის სუბიექტისათვის მოცემულ სისტემაში განსაზღვრული უფლებებისა და რესურსებზე წვდომის პროცედურა.

ელექტრონული ვაჭრობის სისტემებში გამოყენებული ავტორიზაციის პროცედურა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ურთიერთიდენტიფიკაციისა და აუტენტიფიკაციის პროცედურების წარმატებით გავლის შემდეგ მყიდველს მაღაზიის ვებსერვერთან მიერთების უფლება ეძლევა;
- მყიდველის მოთხოვნის საპასუხოდ მაღაზია უგზავნის მას ანგარიშს, რომელიც ხელმოწერილია მაღაზიის ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით. სამართლებრივი თვალსაზრისით ეს ანგარიში წარმოადგენს ხელშეკრულების დადების შეთავაზებას (**ოფერტი**);
- მყიდველი ხელს აწერს საკუთარი ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით მისაღმი წარდგენილ ანგარიშს და აგზავნის მას უკან მაღაზიაში, ახორციელებს რა მის **აქცეპტს**.

ელექტრონული კომერციის სისტემებში სუბიექტთა (გამყიდველი, მყიდველი) ურთიერთაუტენტიფიკაცია, ანუ ინტერნეტით დაკავშირებული სუბიექტების ნამდვილობის ურთიერთდადასტურება ხორციელდება. საკუთარი ნამდვილობის დასადასტურებლად სუბიექტს შეუძლია, სისტემას წარუდგინოს სხვადასხვა არსი. სუბიექტის მიერ წარდგენილი არსიდან გამომდინარე, აუტენტიფიკაციის პროცესები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- რაიმეს ცოდნის საფუძველზე. მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სტანდარტული პაროლები, პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრები (PIN კოდი), ასევე ღია და საიდუმლო გასაღებები, რომელთა ცოდნის დემონსტრირებას ახდენენ „მოთხოვნა-პასუხი“-ს ტიპის პროტოკოლებში;
- რაიმეს ფლობის საფუძველზე. ჩვეულებრივ ეს არის მაგნიტური ბარათები, სმარტბარათები, სერტიფიკატები, **Touch-memory** მონყობილობები და პერსონალური გენერატორები, რომლებიც ერთჯერადი პაროლების გენერაციისათვის გამოიყენება;
- რაიმე განუყოფელი მახასიათებლების საფუძველზე. მოცემული კატეგორია მოიცავს

მეთოდებს, რომლებიც მომხმარებლის ბიომეტრული მახასიათებლების (ხმა, თვალის ბადურა, თითების ანაბეჭდები) შემონიშნაზე არის დაფუძნებული. ამ კატეგორიაში კრიპტოგრაფული მეთოდები და საშუალებები არ გამოიყენება.

აუტენტიფიკაციის პროცესების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონეების მიხედვით. ასეთი მიდგომის თანახმად, აუტენტიფიკაციის პროცესები იყოფა შემდეგ ტიპებად:

- უბრალო აუტენტიფიკაცია (პაროლების გამოყენების საფუძველზე);
- მკაცრი აუტენტიფიკაცია (კრიპტოგრაფული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების საფუძველზე);
- აუტენტიფიკაციის პროცესები (პროტოკოლები), რომლებიც ნულოვანი ცოდნით მტკიცებულების თვისებას ფლობენ.

აუტენტიფიკაციის პროტოკოლების არჩევისა და შედარებისას საჭიროა შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება:

- ურთიერთაუტენტიფიკაციის არსებობა – ეს თვისება ასახავს ინფორმაციის გამცველელ მხარეთა შორის ურთიერთაუტენტიფიკაციის საჭიროებას;
- გამოთვლითი ეფექტურობა – ოპერაციათა რაოდენობა, რომელიც საჭიროა პროტოკოლის შესასრულებლად;
- კომუნიკაციური ეფექტურობა – მოცემული თვისება ასახავს აუტენტიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო შეტყობინებათა რაოდენობასა და სიგრძეს;
- მესამე მხარის არსებობა – მესამე მხარის მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიმეტრიული გასაღებების გამანაწილებელი სერვერი ან სერვერი, რომელიც ღია სერტიფიკატების ხის რეალიზაციას ახდენს ღია გასაღებების გასანაწილებლად;
- უსაფრთხოების გარანტიის საფუძველი – მაგალითად შეიძლება განვიხილოთ პროტოკოლები, რომლებიც ნულოვანი ცოდნით მტკიცებულების თვისებას ფლობენ.
- საიდუმლოს შენახვა – იგულისხმება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვის გზა.


უნდა აღინიშნოს, რომ აუტენტიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს არა მარტო მომხმარებელთა ნამდვილობის დასადგენად, არამედ შეტყობინებათა მთლიანობისა და წყაროს ნამდვილობის შესამოწმებლად. მას შემდეგ, რაც წარმატებულად განხორციელდება აბონენტთა ურთიერთაუტენტიფიკაცია, დაცული არხებით გადაცემული მონაცემების აუტენტიფიკაციის რიგი დგება. ინფორმაციის თითოეული მიმღები (მომხმარებელი, მონყობილობა ან პროგრამული დანართი) უნდა ფლობდეს დადასტურებას იმისა, რომ მის მიერ მიღებული მონაცემები ფორმირებულია და გაგზავნილია ზუსტად იმ გამგზავნის მიერ, რომლის ლეგალურობა დადასტურდა წინმსწრები აუტენტიფიკაციის პროცედურის დროს.

საბანკო საკრედიტო ბარათების (სმარტბარათების) ფართო გავრცელებამ, რომლებიც გამოიყენება ინტერნეტის ქსელში საქონლისა და მომსახურების საფასურის გადახდისათვის, ამ ბარათებისა და მათ მფლობელთა უსაფრთხო იდენტიფიკაციისა და აუტენტიფიკაციის უზრუნველყოფა მოითხოვს. მრავალ პროგრამულ უზრუნველყოფაში მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ინტელექტუალური ბარათის წარმოდგენის შემთხვევაში ოპერატიულად იქნეს აღმოჩენილი გაყალბება, რათა უარი ეთქვას გამყალბებელს წვდომაზე, პასუხზე ან მომსახურებაზე. მარტივი აუტენტიფიკაციის პროტოკოლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

ნაკლოვანება დაკავშირებულია იმასთან, რომ მას შემდეგ, რაც მამტიციცებელი გადასცემს რა შემომონმებელს თავის პაროლს, ამ უკანასკნელს შეუძლია მოცემული პაროლის გამოყენების შემთხვევაში თავი მოაჩვენოს იმ პირად, ვისი შემონმებაც ხდება. ოდნავ უკეთესად გამოიყურება მკაცრი აუტენტიფიკაციის პროტოკოლების შემთხვევა. საქმე ისაა, რომ მონანილე A, პასუხობს რა მონანილე B-ს მოთხოვნებს, ვალდებულია, საიდუმლო გასაღების ცოდნის დემონსტრირება მოახდინოს. ამავე დროს ინფორმაცია, რომლის გადაცემაც მიმდინარეობს, არ შეიძლება მონანილე B-ს მიერ პირდაპირ იქნეს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, მისი ზოგიერთი ნაწილი მონანილე B-ს დაეხმარება, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მონანილე A-ს საიდუმლოს შესახებ. მაგალითად, მონანილე B-ს აქვს შესაძლებლობა ისეთი სახით მოახდინოს მოთხოვნათა ფორმულირება, რომ მიღებული პასუხების ანალიზი მათგან დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდეს.

აუტენტიფიკაციის პროცედურის უსაფრთხო რეალიზაციისათვის შემუშავებულია პროტოკოლები – აუტენტიფიკაცია ნულოვანი ცოდნის გადაცემით ბარათის მფლობელის საიდუმლო გასაღები მისი პიროვნების განუყოფელ მახასიათებელი ხდება. საიდუმლო გასაღების ცოდნის მტკიცებულება ამ ცოდნის ნულოვანი გადაცემით ემსახურება ბარათის მფლობელი პირის ნამდვილობის მტკიცებულებას. ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის რეალიზაცია შეიძლება მოვახდინოთ საიდუმლოს ცოდნის დემონსტრაციის საშუალებით, თუმცა შემომონმებელი მოკლებული უნდა იყოს შესაძლებლობას, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მამტიციცებლის საიდუმლოს შესახებ. უფრო ზუსტად, ნულოვანი ცოდნით მტკიცებულების აუტენტიფიკაციის პროტოკოლები საშუალებას იძლევიან, დადგინდეს მტკიცების ჭეშმარიტება და ამავე დროს არ მოხდეს რაიმე სახის დამატებითი ინფორმაციის გადაცემა თავად მტკიცებულების შესახებ. მოცემული პროტოკოლები ინტერაქტიული მტკიცებულებათა სისტემების მაგალითს წარმოადგენენ, რომლებშიც შემომონმებელი და მამტიციცებელი მხარეები ახორციელებენ მოთხოვნებისა და პასუხების მრავალრიცხოვან გაცვლას, როგორც წესი, დამოკიდებულს შემთხვევით რიცხვებზე (იდეალურ შემთხვევაში ასეთი ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება რეალიზებულ იქნეს მონეტის აგდების სახით), რომლებიც საშუალებას იძლევიან საიდუმლო საიმედოდ იქნეს შენახული.

ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის სისტემის აღწერის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ეგრეთწოდებული ალი-ბაბას გამოქვაბული.



ნახ.1. ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის სისტემის მაგალითი (ალი-ბაბას გამოქვაბული).

გამოქვაბულს გააჩნია ერთი შესასვლელი, რომლისგანაც მომავალი გზა იტოტება გამოქვაბულის სიღრმეში ორ დერეფნად. ისინი შემდგომ ერთ ნერტილში ერთდებიან, სადაც დაყენებულია კარი კლიტით. ყველას, ვისაც გააჩნია კლიტის გასაღები, შეუძლია გადავიდეს ერთი დერეფნიდან მეორეში ნებისმიერი მიმართულებით. ალგორითმის ერთი ოპერაცია შედგება შემდეგი ნაბიჯების მიმდევრობისგან:

1. შემმონმებელი დგება A ნერტილში.
2. მამტიკიციბელი შედის გამოქვაბულში და მიდის კარებთან (ხვდება C ან D ნერტილში). შემმონმებელი ვერ ხედავს, ორიდან თუ რომელ დერეფანში შეუხვია მან.
3. შემმონმებელი მიდის B ნერტილში და სთხოვს მამტიკიციბელს გამოსვლას მის მიერ არჩეული დერეფნიდან.
4. მამტიკიციბელი, თუ საჭიროა, ალებს კარს გასაღებით და გამოდის შემმონმებლის მიერ დასახელებული დერეფნიდან.
5. იტერაცია მეორდება იმდენჯერ, რამდენიც საჭირო იქნება მოცემული ალბათობით მტკიცებულების – „მამტიკიციბელი ფლობს კარის გასაღებს“ ჭეშმარიტების დადასტურებისათვის. i -ური იტერაციის შემდეგ ალბათობა იმისა, რომ შემმონმებელი მოითხოვს მამტიკიციბლისგან გამოსვლას იმავე დერეფნიდან, საიდანაც შევიდა მამტიკიციბელი, ტოლია $(1/2)^i$.

ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის სქემა 1986 წელს შემოგვთავაზეს უ. ფიეგემ, ა. ფიატმა და ა. შამირმა. იგი წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის ნულოვანი გადაცემით იდენტიფიკაციის ყველაზე მეტად ცნობილ მტკიცებულებას.

ძირითადი კონცეფციის უფრო ნათლად გამოვლენისათვის ჯერ განვიხილოთ **ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის სქემის გამარტივებული ვარიანტი**. უპირველესად ირჩევნ მოდულ n -ის შემთხვევით მნიშვნელობას, რომელიც ორი საკმარისად დიდი მარტივი რიცხვის ნამრავლს წარმოადგენს. მოდულ n -ს 512-1024 ბიტის ტოლი სიგრძე უნდა ჰქონდეს. n -ის ეს მნიშვნელობა შეიძლება წარდგენილ იქნეს მომხმარებელთა ჯგუფისთვის, რომელთაც მოუწევთ საკუთარი ნამდვილობის მტკიცება.

იდენტიფიკაციის პროცესში მონაწილეობს ორი მხარე:

- მხარე A, რომელიც ამტკიცებს საკუთარ ნამდვილობას;
- მხარე B, რომელიც ამოწმებს მხარე A-ს მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას.

იმისათვის, რომ მხარე A-სთვის დაგენერირდეს ღია და საიდუმლო გასაღებები, ნდობით აღჭურვილი არბიტრი (ცენტრი) ირჩევს რაიმე V რიცხვს, სადაც შედარებას $x^2 \equiv V \pmod{n}$ (1) გააჩნია ამოხსნა და არსებობს მთელი რიცხვი $V^{-1} \pmod{n}$ (2). V -ს შერჩეული მნიშვნელობა წარმოადგენს მხარე A-სთვის ღია გასაღებს. შემდეგ ანგარიშობენ S -ის უმცირეს მნიშვნელობას, რომლისთვისაც $S \equiv \text{sqr}(V^{-1}) \pmod{n}$ (3). S -ის ეს მნიშვნელობა წარმოადგენს მხარე A-სთვის საიდუმლო გასაღებს. ამის შემდეგ შესაძლებელია შევუდგეთ აუტენტიფიკაციის პროტოკოლის განხორციელებას:

1. მხარე A ირჩევს შემთხვევით რიცხვ r -ს, სადაც $r < n$. შემდეგ იგი ითვლის $x = r^2 \pmod{n}$ და უგზავნის მხარე B-ს x -ის მნიშვნელობას.
2. B უგზავნის A-ს შემთხვევით b ბიტს.
3. თუ $b = 0$, მაშინ A უგზავნის B-ს r -ის მნიშვნელობას.

თუ $b = 1$, მაშინ A უგზავნის B-ს $y = r * S \bmod n$.

4. თუ $b = 0$, მაშინ B ამონებებს, რომ $x = r^2 \bmod n$, იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ A-მ იცის \sqrt{x} .

თუ $b = 1$, მაშინ B ამონებებს, რომ $x = y^2 * V \bmod n$, იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ A-მ იცის $\sqrt{V^{-1}}$.

ეს ნაბიჯები ქმნიან პროტოკოლის ერთ ციკლს, რომელსაც აკრედიტაცია ეწოდება. A და B მხარეები იმეორებენ მთლიან ციკლს t -ჯერ r -ის და b -ს სხვადასხვა შემთხვევითი მნიშვნელობებით მანამდე, სანამ B არ დარწმუნდება, რომ A-მ იცის S -ის მნიშვნელობა. თუ მხარე A-მ არ იცის S -ის მნიშვნელობა და თუ B გაუგზავნის მას $b = 0$, მხარე A-მ შეიძლება აირჩიოს r -ის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, მოატყუოს მხარე B, ან მხარე A-ს შეუძლია შეარჩიოს r -ის ისეთი მნიშვნელობა, რომელიც საშუალებას მისცემს მას, მოატყუოს მხარე B, თუ B გაუგზავნის მას. მაგრამ ამის გაკეთება ორივე შემთხვევაში შეუძლებელია. ალბათობა იმისა, რომ A მოატყუებს B-ს, ერთი ციკლის განმავლობაში შეადგენს $1/2$. ალბათობა B-ს მოტყუებისა, t ციკლის განმავლობაში ტოლია $(\frac{1}{2})^t$. იმისათვის, რომ მოცემულმა პროტოკოლმა იმუშაოს, მხარე A-მ არასდროს არ უნდა გამოიყენოს r -ის ერთიდაიგივე მნიშვნელობა. თუ A ამ გზით წავა, ხოლო B გაუგზავნის A-ს იტერაციის მეორე ბიჯზე სხვა შემთხვევით b ბიტს, მაშინ B მიიღებს A-სგან ორივე პასუხს. ამის შემდეგ B-ს შეუძლია გამოთვალოს S -ის მნიშვნელობა და A-სთვის ყველაფერი დასრულებულია.

აუტენტიფიკაციის პარალელური სქემა საშუალებას იძლევა, გაიზარდოს ერთი ციკლის განმავლობაში შესრულებულ აკრედიტაციათა რიცხვი, რითაც მცირდება აუტენტიფიკაციის პროცესის ხანგრძლივობა. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, დასაწყისში გენერირდება n რიცხვი, როგორც ორი დიდი მარტივი რიცხვის ნამრავლი. იმისათვის, რომ მხარე A-სთვის დაგენერირდეს ღია და საიდუმლო გასაღებები, ჯერ ირჩევენ k სხვადასხვა რიცხვს V_1, V_2, \dots, V_k , სადაც ყოველი V წარმოადგენს კვადრატულ ამოფესვას მოდულ n -იდან. სხვა სიტყვებით, ირჩევენ V_i -ს ისეთ მნიშვნელობას, რომლის დროსაც შედარებას $x^2 \equiv V_i \bmod n$ (4) აქვს ამოხსნა და არსებობს $V_i^{-1} \bmod n$ (5). მიღებული სტრიქონი V_1, V_2, \dots, V_k , წარმოადგენს ღია გასაღებს. შემდეგ გამოთვლიან S_i -ის ისეთ უმცირეს მნიშვნელობებს, რომ $S_i = \sqrt{V_i^{-1}} \bmod n$ (6). სტრიქონი S_1, S_2, \dots, S_k მხარე A-ს საიდუმლო გასაღებს წარმოადგენს. აუტენტიფიკაციის პროცესის პროტოკოლს შემდეგი სახე გააჩნია:

1. მხარე A ირჩევს შემთხვევით რიცხვ r -ს, სადაც $r < n$. შემდეგ იგი ითვლის $x = r^2 \bmod n$ და უგზავნის მხარე B-ს x -ის მნიშვნელობას.

2. B უგზავნის A-ს გარკვეულ შემთხვევით ორობით სტრიქონს b_1, b_2, \dots, b_k , რომელიც k ბიტისაგან შედგება.

3. მხარე A გამოითვლის $y = r * (S_1^{b_1} * S_2^{b_2} * \dots * S_k^{b_k}) \bmod n$. მრავლდება S_i -ის მხოლოდ ის მნიშვნელობები, რომელთათვისაც $b_i = 1$. მაგალითად, თუ $b_1 = 1$, მაშინ თანამამრავლი S_1 შედის გამოსახულებაში, თუ $b_1 = 0$, მაშინ თანამამრავლი S_1 არ შედის გამოსახულებაში და ა.შ. y -ის გამოთვლილი მნიშვნელობა ეგზავნება მხარე B-ს.

4. მხარე B ამონებებს, რომ $x = y^2 * (V_1^{b_1} * V_2^{b_2} * \dots * V_k^{b_k}) \bmod n$.

ფაქტობრივად, მხარე B გადაამრავლებს V_i -ს მხოლოდ იმ მნიშვნელობებს, რომელთათვისაც $b_i = 1$. A და B მხარეები იმეორებენ ამ პროტოკოლს t -ჯერ, სანამ B არ დარწმუნდება, რომ A-მ იცის S_1, S_2, \dots, S_k მნიშვნელობები. ალბათობა იმისა, რომ მხარე A მოატყუებს მხარე B-ს $(\frac{1}{2})^k$ ტოლია.

ლ. გილლოუს და ჯ. ქუისქუოტერის მიერ შემუშავებული **კოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის ალგორითმს** გააჩნია მეტად უფრო კარგი მახასიათებლები, ვიდრე აქამდე განხილულ აუტენტიფიკაციის სქემას. ალგორითმი მდგომარეობს შემდეგში:

ვთქვათ, მხარე A ეს არის ინტელექტუალური ბარათი, რომელმაც უნდა დაუმტკიცოს თავისი ნამდვილობა შემომწმებელ მხარე B-ს. მხარე A-ს საიდენტიფიკაციო ინფორმაცია I ბიტურ სტრიქონს წარმოადგენს, რომელიც შეიცავს მფლობელის სახელს, ბარათის მოქმედების ვადას, საბანკო ანგარიშის ნომერს და სხვა. ფაქტობრივად, საიდენტიფიკაციო მონაცემები შეიძლება იკავებდნენ საკმაოდ დიდ სტრიქონს და მაშინ მათი ქეშირება ხდება I მნიშვნელობამდე.

სტრიქონი I ღია გასაღების ანალოგიაა. მოდული n და ხარისხის მაჩვენებელი V - სხვა ღია სახის ინფორმაციას წარმოადგენს, რომელსაც პროგრამულ პაკეტში მონაწილე ყველა ბარათი იყენებს, აქედან მოდული n - ორი საიდუმლო მარტივი რიცხვის ნამრავლია.

მხარე A-ს საიდუმლო გასაღებს - G სიდიდე წარმოადგენს, რომელიც შეირჩევა ისე, რომ სრულდებოდეს შემდეგი თანაფარდობა $I * G^V \equiv 1 \pmod{n}$ (7).

მხარე A უგზავნის მხარე B-ს საკუთარ I საიდენტიფიკაციო მონაცემებს. მისი შემდგომი ამოცანაა, დაუმტკიცოს მხარე B-ს, რომ ეს საიდენტიფიკაციო მონაცემები ეკუთვნის სწორედ მხარე A-ს. ამ მიზნის მისაღწევად მხარე A-მ უნდა დაარწმუნოს მხარე B, რომ მისთვის ცნობილია G -ს მნიშვნელობა.

განვიხილოთ მხარე A-ს ნამდვილობის მტკიცების პროტოკოლი მხარე B-სთვის G -ს მნიშვნელობის გადაცემის გარეშე:

1. მხარე A ირჩევს შემთხვევით მთელ r -ს, რომლისთვისაც $1 < r \leq n - 1$. იგი ითვლის $T = r^V \pmod{n}$ და უგზავნის მის მნიშვნელობას მხარე B-ს.
2. მხარე B ირჩევს შემთხვევით მთელ d -ს, რომლისთვისაც $1 < d \leq n - 1$ და უგზავნის მის მნიშვნელობას მხარე A-ს.
3. მხარე A გამოითვლის $D = r * G^d \pmod{n}$ და გაუგზავნის ამ მნიშვნელობას მხარე B-ს.
4. მხარე B გამოითვლის $T' = D^V \pmod{n}$. თუ $T \equiv T' \pmod{n}$, მაშინ ნამდვილობის შემოწმების პროცედურა წარმატებით დასრულდა. მათემატიკური გათვლები, რომლებიც გამოიყენება ამ პროტოკოლში, არც ისე რთულია:

$$T = D^V I^d = (rG^d)^V I^d = r^V G^{dV} I^d = r^V (IG^{dV})^d = r^V \equiv T \pmod{n} \quad (8),$$

რადგანაც G გამოითვლებოდა ისე, რომ სრულდებოდა შემდეგი თანაფარდობა

$$I * G^V \equiv 1 \pmod{n} \quad (7).$$

ჩამოთვლილი მეთოდები შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს ძალიან რთულად, მაგრამ მყიდველები და გამყიდველები სერიოზული შემომწმებისა და კონტროლის გარეშე ვერ იქნებიან დარწმუნებულნი ელექტრონულ გარიგებათა უსაფრთხოებაში. სწორედ, რომ თაღლითობის შიში წარმოადგენს ელექტრონული კომერციის განვითარების შემაფერხებელ მთავარ მიზეზს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Menezes A.J., Van Oorschot P.C., Vanstone S.A., Handbook of Applied Cryptography, CRC Press, 1997.
2. Schneier B., Applied Cryptography, John Wiley & Sons Inc., 1996.
3. Соколов А.В., Шаньгин В.Ф., Защита информации в распределенных корпоративных сетях, М.:ДМК Пресс, 2002.

ზვიად საჯაია

ელექტრონული კომერციის დაცული სისტემის აგების პრინციპები ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის პროტოკოლების საფუძველზე ინტერნეტში რეზიუმე

ელექტრონულ ტრანზაქციათა უსაფრთხოების საკითხები ელექტრონული კომერციის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელ პრობლემას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია ცოდნის ნულოვანი გადაცემით აუტენტიფიკაციის ალგორითმის პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები. ეს არის კონცეფცია, რომელიც გამოიყენება მრავალ კრიპტოგრაფიულ სისტემებში. ის საშუალებას აძლევს მომხმარებელს (შესამოწმებელ მხარეს) დაამტკიცოს, რომ იგი ფლობს რაღაც ინფორმაციას (სააღრიცხვო მონაცემებს), ამ ინფორმაციის გადაცემის საჭიროების გარეშე მეორე (შემმოწმებელი) მხარისთვის. ეს კონცეფცია გამოიყენება სისტემაში შემსვლელი მომხმარებლის აუტენტიფიკაციისათვის, მისი პაროლის შემმოწმებელი (სისტემა) მხარისთვის ფაქტიური გადაცემის გარეშე.

Zviad Sajaia

Principles of Building Secure Electronic Commerce Systems Using Zero-Knowledge Authentication Protocol

Summary

Securing electronic transactions on the internet is one of the main issues hindering development of electronic commerce systems.

This article describes practical implementation of the Zero-knowledge Authentication protocol. This concept is used in many cryptographic systems. The method allows the customer (the prover) to prove that it holds certain information (payment data) without a need to transfer this information to the other party (the verifier). This protocol is used to authenticate a user into the system without actually transferring the password.

საინფორმაციო სისტემის აგება და მისი პროგრამული უზრუნველყოფა

თანამედროვე დროში არ არის საკმარისი, ფლობდე ინფორმაციას რომელიმე დარგში. მნიშვნელოვანია მისი გამოყენება და რეალიზება. ასეთ ამოცანებს წყვეტენ საინფორმაციო ტექნოლოგიები. მათი მთავარი მიზანია სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავება. საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე წყდება საინფორმაციო პროცესების ავტომატიზაციის ამოცანა. საინფორმაციო სისტემები უზრუნველყოფენ იმ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, გადამუშავებას, მოძიებას, რომელიც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად ამა თუ იმ სფეროში. ამავდროულად, საინფორმაციო სისტემები ხელს უწყობენ პრობლემის ანალიზსა და ახალი პროდუქტის შექმნას.

Internet-ტექნოლოგიებმა გაამარტივა საინფორმაციო სისტემების დამუშავებისა და მათი გამოყენების შესაძლებლობები; მოგვცა უფრო რთული საინფორმაციო სისტემის დამუშავებისა და გამოყენების საშუალება.

საინფორმაციო სისტემა არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების ან პრობლემის გადაწყვეტის მიზნით იყენებს ცოდნას განსაზღვრული საგნობრივი სფეროდან (Simon, 181-201). ცოდნა გულისხმობს გარკვეულ ორგანიზაციასა და ინტეგრაციას – ცალკეული ინფორმაციები უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს. საბოლოოდ, ამ ცოდნიდან უნდა გამომდინარეობდეს პრობლემის გადაწყვეტა ან რეკომენდაციების შემუშავება. საინფორმაციო სისტემა არის პროგრამა, რომელიც ცვლის ექსპერტს ამა თუ იმ სფეროში. სისტემამ უნდა იპოვოს ამოცანის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც არ იქნება იმაზე უარესი, რომელსაც შემოგვთავაზებს მოცემული საგნობრივი სფეროს სპეციალისტი.

კომპიუტერული საინფორმაციო სისტემის აგებაში დიდ პროგრესს მიაღწია ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენებამ. დღეისათვის ხელოვნური ინტელექტი ინფორმატიკის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სფეროა. ხელოვნური ინტელექტი ინფორმატიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ისეთი აპარატურულ-პროგრამული საშუალებების შემუშავება, რომლებიც ჩვეულებრივ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, დასვას და გადაწყვიტოს ამოცანები, რომლებიც ინტელექტუალურად ითვლება.

ცოდნის წარმოდგენა და ცოდნაზე დაფუძნებული სისტემების შემუშავება. ინტელექტუალურ სისტემაში მონაცემთა ძირითად წყაროს წარმოადგენს ცოდნა. მონაცემები წარმოადგენენ ცალკეულ ფაქტებს, რომლებიც ახასიათებენ ობიექტებს, პროცესებსა და საგნობრივი სფეროს მოვლენებს, ასევე მათ თვისებებს. ცოდნა დაფუძნებულია ემპირიული გზით მიღებულ მონაცემებზე. ის წარმოადგენს ადამიანის გონებრივი მოქმედების შედეგს, რომელიც მიმართულია მისი პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილების განზოგადებისკენ (Литер, 273-278; Kendal, 159-168). ცოდნა გულისხმობს პრაქტიკული საქმიანობისა და პროფესიული გამოცდილების საფუძველზე მიღებულ საგნობრივი სფეროს კანონზომიერებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სპეციალისტებს, დასვან და გადაწყვიტონ ამოცანები ამ სფეროში. სისტემას უნდა შეეძლოს ცოდნის მიღება ექსპერტისგან, მოახდინოს მისი ორგანიზება

და წარმოდგენა სისტემისთვის გასაგები სახით. მნიშვნელოვანია, სისტემას გააჩნდეს მძლავრი მონაცემთა ბაზა და მისი განახლების შესაძლებლობა (უნარი).

ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები წარმოადგენენ ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ის დაკავშირებულია ცოდნის წარმოდგენის მოდელების შემუშავებასა და ცოდნის ბაზების შექმნასთან, რომლებიც ინტელექტუალური სისტემების ბირთვს წარმოადგენენ (Samper..., 130-134). ხელოვნური ინტელექტის სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულების ფარგლებში მუშავდება სპეციალური ენები, რომლებიც ორიენტირებული არიან ინფორმაციის სიმბოლურ დამუშავებაზე – PROLOG-ი, LISP-ი და ა. შ. თუმცა ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების უმეტესობა რეალიზებულია ობიექტზე ორიენტირებული ენების – C++-სა და JAVA -ს გამოყენებით.

სხვადასხვა საგნობრივი სფეროსათვის ცოდნის წარმოდგენის ათეულობით მოდელი ან ენა არსებობს. მათი უმეტესობის დაყვანა შეიძლება შემდეგ კლასებად: პროდუქციული მოდელები; სემანტიკური ქსელები; ფრეიმები; ფორმალურ - ლოგიკური მოდელები.

ჩვენ მიერ აგებულ საინფორმაციო ინტელექტუალურ სისტემაში ცოდნის წარმოდგენის მოდელის როლში გამოყენებულია სემანტიკური ქსელი (Жиреп, 225-273). სემანტიკური ქსელი – ეს არის ორიენტირებული გრაფი, რომლის წვეროებიც აღნიშნავს ცნებებს, ხოლო რკალები – მათ შორის დამოკიდებულებას. ცნების როლს ასრულებენ აბსტრაქტული ან კონკრეტული ობიექტები, დამოკიდებულება კი აღნიშნავს შემდეგი ტიპის კავშირებს: „ეს არის“, „აქვს ნაწილი“, „ეკუთვნის“. სემანტიკური ქსელებისათვის დამახასიათებელია სამი ტიპის მიმართების აუცილებელი არსებობა: კლასი – კლასის ელემენტი; თვისება – მნიშვნელობა; კლასის ელემენტის ეგზემპლარი (თოდუა, 21-25).

სემანტიკურ ქსელებში ცნებებს შორის უმეტესწილად შემდეგი სახის დამოკიდებულებები არსებობს:

- „ნაწილი – მთელი“ ტიპის კავშირები („ქვეკლასი – კლასი“, „ელემენტი – სიმრავლე“);
- ფუნქციონალური კავშირები (ჩვეულებრივ განისაზღვრება ზმნებით: „ქმნის“, „გავლენას ახდენს“...);
- რაოდენობრივი კავშირები (მეტი, ნაკლები, ტოლი);
- სივრცითი კავშირები (შორს, ახლოს, უკან, ქვეშ, ზემოთ. . .);
- დროითი კავშირები (ადრე, გვიან, განმავლობაში. . .);
- ატრიბუტული კავშირები (თვისების ქონა, მნიშვნელობის ქონა);
- ლოგიკური კავშირები (და, ან. . .);
- ლინგვისტური კავშირები და ა. შ.

გადაწყვეტილების მიღების პრობლემა სემანტიკური ქსელის ტიპის ცოდნის ბაზაში დაიყვანება ქსელის ფრაგმენტის პოვნის ამოცანაზე, რომელიც ბაზისადმი დასმული მოთხოვნის ამსახველ რაიმე ქვექსელს შეესაბამება.

საინფორმაციო სისტემის გამოყენება მედიცინაში და მისი პროგრამული უზრუნველყოფა. საინფორმაციო სისტემების შესაძლებლობების გამოყენება მედიცინაში უმეტესწილად მონაცემთა ბაზების შექმნის და კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების ავტომატიზირებული მოქმედების ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. მონაცემთა ბაზები


მედიცინაში სხვადასხვა მიზნით გამოიყენება. მაგალითად, პაციენტების მონაცემების შესანახად და სამედიცინო დანებსებულების ავტომატიზირებული მუშაობას უზრუნველსაყოფად. თუმცა სამედიცინო საინფორმაციო სისტემები არა მხოლოდ მონაცემთა ბაზების ჩამოყალიბების ეფექტური და ხელმისაწვდომი შესაძლებლობაა, არამედ სამეცნიერო კვლევებისა და მათი პრაქტიკული დანერგვის საშუალებასაც იძლევა. სამედიცინო საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს ბიოსამედიცინო ინფორმაციის დამუშავებას მათემატიკური და ხელოვნური ინტელექტის მეთოდებით, ალგორითმებს და პროგრამებს, რომლებიც განახორციელებენ ამ სისტემის ფუნქციონირებას.

ჩვენ მიერ აგებული საინფორმაციო ინტელექტუალური სისტემა ამოიცნობს დაავადებას ექსპერტის მიერ მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით. ცოდნა შეიცავს დაავადების აღწერას და ასევე ინფორმაციას იმ კავშირების შესახებ, რომლებიც არსებობენ სიმპტომებსა და დაავადებათა შორის. კონკრეტული დაავადების კლასის განზოგადოებული აღწერისათვის გამოყენებულია ხელოვნური კონცეპტუალური ინტელექტის თეორია, რომელიც დაფუძნებულია „კონცეპტის“ შექმნაზე (Чавчанидзе, 7-77). ცოდნის წარმოდგენის მოდელის როლში ვიყენებთ სემანტიკურ ქსელს არამკაფიო მიმართებებით, რომელიც წარმოდგენილი იყო კომპიუტერში მატრიცის სახით. ამ ქსელში ცნებები – წვეროები, რომლებსაც მიენერებათ ნიშნების მნიშვნელობები, განსაზღვრავენ სისტემის სხვადასხვა კომპონენტების პათოლოგიას. მიმართებათა როლში გამოიყენებიან ისეთები, როგორიც არის „ცნება-ქვეცნება“, რომლებიც ცნებათა იერარქიას ასახავენ, და აგრეთვე ისეთი არამკაფიო მიმართებები, როგორიც არის „შესაძლო მიზეზი“, „შესაძლო შედეგი“, „ხელს უწყობს“, „ნაჩვენებია“ და ა.შ. ისინი დაავადების პროცესთან დაკავშირებული სიტუაციის უფრო ზუსტად აღწერის საშუალებას იძლევიან. ქსელზე გამოიყოფა წვეროები, რომლებიც შეიძლება უშუალოდ დაკვირვებადი აღმოჩნდნენ და მოიცავდნენ ამოსავალ ინფორმაციას. ამ წვეროებს სიმპტომები ვუწოდოთ. სისტემა-ორგანიზმის თითოეული ქვესისტემა ხასიათდება თავისი სპეციფიკური ნიშნებით. მისი მდგომარეობა ხასიათდება მოცემული ქვესისტემისათვის სპეციფიკური სიმპტომების ამონაკრებით, რომლებიც ექვემდებარებიან შემონმებას ყოფნაზე ან არყოფნაზე. ყოველ ზემოთ ხსენებულ არამკაფიო მიმართებას მიენერება წონითი კოეფიციენტი k_i , რომელიც ასახავს სარწმუნოობის ხარისხს. მაგალითად, მიმართებისათვის – „შესაძლო მიზეზი“, „შესაძლო შედეგი“ ეს კოეფიციენტები ასახავენ სარწმუნოობის ხარისხს იმისა, რომ რომელიღაც პათოლოგია p_i არის s_j სიმპტომის მიზეზი ან რომელიღაც s_j სიმპტომი არის p_i პათოლოგიის შედეგი. გვაქვს რა შეფასებები ყოველი რკალისათვის, განვსაზღვრავთ შეფასებებს წვეროებისათვის. ყოველ წვეროს, რომელიც ასახავს კონკრეტული ავადმყოფის სიმპტომების შესაძლო მიზეზს, ენიჭება შეფასება P_i , რაც წარმოადგენს იმ რკალების წონითი კოეფიციენტების ჯამს, რომლებიც გამოდიან წვერო-სიმპტომებიდან (რომლებიც კონკრეტულ ავადმყოფს გააჩნია) და შედიან p_i წვეროში. ეს შეფასებები ახასიათებენ კონკრეტულ ავადმყოფს. ყოველი ახალი პაციენტისთვის ეს შეფასება განსხვავებულია. ყველაზე ალბათური დიაგნოზის დასადგენად ამოირჩევა წვერო, რომელიც ღებულობს მაქსიმალურ შეფასებას (ჯალიაბოვა, 256-259). ეს წვერო ყველაზე სარწმუნო ჰიპოთეზას ასახავს. ამ ჰიპოთეზის შემონმების მიზნით უნდა შემონმდეს ის წვეროები (სიმპტომები), რომლებიც დაკავშირებულნი არიან განხილულ წვეროსთან და უნდა გამოვლინდეს ის სიმპტომები,

რომლებიც სანყის სტადიაზე არ იყვნენ გამოვლენილნი, მაგრამ რომლებიც დაკვირვებადი უნდა იყვნენ, თუ სანყისი ჰიპოთეზა სწორეა. ამ მონაცემების საფუძველზე გამოითვლება აღნიშნული წვეროს ახალი შეფასება, აგრეთვე – სხვა წვეროების ახალი შეფასებები ხელახლა გამოვლენილი სიმპტომების გათვალისწინებით. ამოირჩევა წვერო, რომელმაც მაქსიმალური შეფასება მიიღო. თუ ეს არის აღნიშნული წვერო, მაშინ ჰიპოთეზა ითვლება დადასტურებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პროცედურა მეორდება იმ ახალი წვეროსადმი, რომელმაც მიიღო მაქსიმალური შეფასება. დიაგნოზის დასმის პროცედურა მოცემულ დონეზე მთავრდება მაშინ, როდესაც რომელიმე ჰიპოთეზა დასტურდება.

განხილული მეთოდების საფუძველზე დამუშავდა სამედიცინო დიაგნოსტიკებისთვის გამიზნული ინტელექტუალური სისტემის მოდელი, რომელიც რეალიზებულია მუცლის ღრუს დაავადებათა მაგალითზე (ნახ.1).

ინტელექტუალური სისტემის ასაგებად შესწავლილ იქნა მუცლის ღრუს დაავადებათა მწვავე ფორმების ხუთი სახეობა: მწვავე აპენდიციტი, მწვავე ქოლეცისტიტი, მწვავე პანკრეატიტი, ნაწლავის მწვავე გაუფალობა, საშვილოსნოს დანამატების მწვავე ანთება. პაციენტის მდგომარეობის აღწერისას გამოიყენება ობიექტური და ანალიტიკური მონაცემები, სუბიექტური ჩივილები, ლაბორატორიული გამოკვლევები და სხვა მაჩვენებლები.



ნახ.1. სისტემის მუშაობის ზოგადი სქემა

ცოდნის ბაზის შევსება ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შეიყვანება დაავადება და მისი თანმხლები სიმპტომები (ანამნეზის მონაცემები). ამის შემდგომ მონაცემები გადაეცემა ცოდნის საერთო ბაზაში, ამავდროულად ხდება მათი კლასიფიცირება, დახარისხება და ამრიგად აიგება კავშირთა მატრიცა. მსგავსი პროცედურა სრულდება იმ მონაცემებზე, რომლებიც მიიღება ექიმის მიერ პაციენტის გამოკვლევის შედეგად. სისტემაში გათვალისწინებულია ახალი დაავადებისა და მისი სიმპტომების დამატება, მათი რედაქტირება და წაშლა. სისტემა რეალიზებულია CBuilder-ზე. გამოყენებულია Borland Paradox-ის მონაცემთა ბაზები. ცოდნის შექმნა ამ კლასის დაავადებათა შესახებ ხორციელდება სისტემის მიერ მენიუს საშუალებით დიალოგის პროცესში.

ცოდნის წარმოსადგენად გამოყენებული იქნა ზემოთ აღწერილი იერარქიულად ორგანიზებული სემანტიკური ქსელი არამკაფიო მიმართებებით, რომელიც წარმოდგენილი იყო კომპიუტერში მატრიცის სახით.

საწყისი 130 ნიშან-თვისებიდან თითოეული ნოზოლოგიური ფორმისათვის ხდებოდა პათოლოგიის შესაბამისი ნიშან-თვისებების დამახსოვრება და დამუშავების შემდეგ სათანადო წონების მინიჭება იმის მიხედვით, თუ რა სიხშირით გვხვდებოდა მოცემული დაავადებისათვის ესა თუ ის ნიშან-თვისება. თითოეული ნოზოლოგიური ერთეულისათვის აგებულ იქნა შესაბამისი ვექტორი, რაც წარმოადგენდა ინტელექტუალური სისტემის ცოდნის ბაზას.

ინტელექტუალური სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში ბუნებრივ ენაზე. დიაგნოსტიკა ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება ავადმყოფის ანამნეზის სიმპტომების დამუშავება, ხოლო მეორეზე კი – ექიმის მიერ ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებული სიმპტომების დამუშავება.

თავდაპირველად ეკრანზე გამოჩნდება პირველი ეტაპის შესაბამისი ნიშან-თვისებები. ექიმმა (მომხმარებელმა) უნდა მონიშნოს მხოლოდ ის სიმპტომები, სადაც არსებობს პათოლოგია. ხდება მონიშნული ნიშან-თვისებების შედარება თითოეული ნოზოლოგიური ერთეულის პირველი ეტაპის შესაბამის ვექტორთან. იმის მიხედვით, თუ რომელ ვექტორთან ან ვექტორებთან მოხდა უფრო მეტი მაღალი წონების მქონე სიმპტომების თანხვედრა, სისტემას გამოაქვს სავარაუდო ერთი ან მეტი დიაგნოზი.

მეორე ეტაპზე ხდება დიაგნოზის დაზუსტება. ეკრანზე გამოჩნდება ამ ეტაპის შესაბამისი ნიშან-თვისებები და ამჯერად ექიმი (მომხმარებელი) მონიშნავს ავადმყოფის გასინჯვის შედეგად მიღებულ ნიშან-თვისებებს. ამ ეტაპზეც ხდება ექიმის მიერ მონიშნული ნიშან-თვისებების შედარება თითოეული ნოზოლოგიური ერთეულის მეორე ეტაპის შესაბამის ვექტორთან და კვლავ განისაზღვრება სავარაუდო დიაგნოზი – ერთი ან მეტი.

შემდეგ ხდება პირველ და მეორე ეტაპზე მიღებული შედეგების შედარება. თუ პირველ ეტაპზე მიღებული იყო ერთი ან მეტი დიაგნოზი და მეორე ეტაპზე მიღებული ერთი ან მეტი დიაგნოზიდან მხოლოდ ერთი დაემთხვა პირველ ეტაპზე მიღებულს, სისტემა ცალსახად განსაზღვრავს დიაგნოზს – აკეთებს დასკვნას, რომ ავადმყოფს აქვს სწორედ ის ერთი დაავადება და ეკრანზე გამოჩნდება ამ დაავადების შესაბამისი დიაგნოზი. თუ კი პირველსა და მეორე ეტაპზე ერთი ან მეტი დაავადება დაემთხვა ერთმანეთს, სისტემა ზუსტ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობს და ეკრანზე გამოჩნდება რამდენიმე სავარაუდო დიაგნოზი. იმ შემთხვევაში, როცა პირველსა და მეორე ეტაპზე მიღებული დიაგნოზებიდან არც ერთი არ ემთხვევა ერთმანეთს, სისტემას ეკრანზე გამოაქვს შეტყობინება, რომ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე დაავადების ამოცნობა ვერ ხერხდება.

მოცემული ინტელექტუალური სისტემა მხოლოდ ეხმარება ექიმს მუცლის ღრუს მწვავე დაავადებათა ზოგიერთი სახეობის დიფერენცირებაში. საბოლოო გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ექიმი ღებულობს. სისტემაში გათვალისწინებულია ცოდნის შევსება და განახლება დიალოგის რეჟიმში. ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა დიაგნოსტიკის ამოცანებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა თ, ექსპერტული სისტემები, თბილისი, 2009.
2. ჯალიაბოვა ნ., დაავადებათა ზოგიერთი კლასის დიაგნოსტიკების ინტელექტუალური სისტემა, სსიპ ა.ელისაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 2006.
3. Kendal S., Creen M., An Introduction to Knowledge Engineering, Springer, 2007.
4. Samper J., Tomas V., Carrillo E., Do Nascimento R., Visualization of Ontologies to Specify Semantic Descriptions of Services, IEEE Transactions, Vol.20, №1, 2008.
5. Simon H., The structure of ill-structured problems, Artificial Intelligence, Vol.4, 1973.
6. Люгер Д., Искусственный интеллект, Москва-Санкт-Петербург-Киев, 2003.
7. Чавчанидзе В., К теории естественного и искусственного концептуального интеллекта, Материалы IV МОКИИ, Тбилиси, 1976.

ნორა ჯალიაბოვა

საინფორმაციო სისტემის აგება და მისი პროგრამული უზრუნველყოფა რეზიუმე

საინფორმაციო სისტემები არა მხოლოდ მონაცემთა ბაზების შესაქმნელად გამოიყენება და კონკრეტული დანესებულების მოქმედების ავტომატიზაციის ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, არამედ სამეცნიერო კვლევებისა და მათი პრაქტიკული დანერგვის საშუალებასაც იძლევა.

ჩვენ მიერ აგებული ინტელექტუალური სისტემა ახდენს დაავადების ამოცნობას ექსპერტისაგან მიღებული ცოდნის საფუძველზე. გადაჭრილია გადაწყვეტილების არჩევის ავტომატიზაციის ამოცანა. სისტემა რეალიზებულია მუცლის ღრუს „მწვავე“ დაავადების მაგალითზე. ცოდნა შეიცავს დაავადების აღწერას და ინფორმაციას იმ კავშირების შესახებ, რომლებიც არსებობენ სიმპტომებს და დაავადებათა შორის. სისტემა მუშაობს დიალოგურ რეჟიმში. ექიმთან დიალოგი ბუნებრივ ენაზე მიმდინარეობს. ამ დიალოგის საფუძველზე სისტემა ამოიცნობს დაავადებას და ადგენს დიაგნოზს.

სისტემაში გათვალისწინებულია ცოდნის შევსება და განახლება დიალოგის რეჟიმში. ამიტომ მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა დიაგნოსტიკების ამოცანებისთვისაც.

Nora Jaliabova,

Information System and its Software Summary

Information systems are used not only for databases creation, they also are a technological basis of action automation of the concrete enterprise and give the possibility of scientific research and their practical implementation as well.

The intellectual system, which on the basis of the knowledge received from the expert solves some problem of medical diagnostics, is considered. The system is realized on the example of diseases of the class “acute abdomen”. This knowledge includes the description of diseases, as well as the information about correlations existing between symptoms and diseases. The system works in a dialogue mode. Dialogue with the doctor is conducted in a natural language. The system identifies the dialogue on the basis of the disease and determine the diagnosis. The chance to widen and renew the knowledge in the conversational mode is stipulated. Therefore, it can be used and for other diagnostics problems.

ISBN 978-9941-441-37-0



9 789941 441370